ვიქტორ ლორთქიფანიძე

საბაჟო საქმის საფუძვლები



2002

ვიქტორ ლორთქიფანიძე

"საბაჟო საქმის საფუძვლები". გვ. 588

საქართველოს საბაჟო აკადემიის საბაჟო საქმის კათედრის უფროსის, საბაჟო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის (გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის) ბატონ ვიქტორ ლორთქიფანიძის წიგნი „საბაჟო საქმის საფუძვლები" პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საბაჟო განხრის ფაკულტეტების სტუდენტებს. ამავე დროს იგი პრაქტიკული მნიშვნელობის სამაგიდო წიგნია საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისა და იმ საქმიანი ადამიანებისათვის, ვისაც შეხება აქვთ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან.

რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი გოგერ ურიდია

რეცენზენტები: ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ჩხარტიშვილი
თარას ლორთქიფანიძე
რევაზ დოლიძე

ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელებს და საქართველოს საბაჟო აკადემიის რექტორს ბატონ აპაკი ნიშნიანიძეს წიგნის გამოცემაში გაწეული პრაქტიკული დახმარებისათვის.

© საგამომცემლო სახლი

„ბიზნეს-კურიერი"

საბაჟოს ისტორიიდან

საბაჟოები არსებობენ ბიბლიური დროიდან და წარმოადგენენ ქვეყნის თვითმყოფადობის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის და პოლიტიკური სუვერენულობის აუცილებელ ატრიბუტს.

საქართველოს საბაჟო ქვეყნის დამოუკიდებლობის პირმშოა და ბუნებრივია, სახელმწიფოსთან ერთად განიცდის ტრანსფორმაციას, სანამ საბოლოოდ ცივილიზებულ სტრუქტურად ჩამოყალიბდება.

როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის სახელმწიფო სამსახური და სამართლებრივი ფორმა, საქართველოს საბაჟო ეყრდნობა შემდეგ კონცეპტუალურ პრინციპებს:

1. საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფო მონოპოლიის უარყოფისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს;
2. ერთიანი საბაჟო ტერიტორიის პრინციპს;
3. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს;
4. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირების პრინციპს;
5. საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და დაჩქარების პრინციპს.

ჩამოთვლილი პრინციპების ერთგულებიდან გამომდინარე, საქართველოს საბაჟო, როგორც საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო, ასრულებს შემდეგ ფუნქციებსა და ამოცანებს:

1. მონაწილეობს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში და რეალიზაციაში;
2. უზრუნველყოფს იმ კანონმდებლობის დაცვას, რომლის შესრულებაზე კონტროლი დავალებული აქვს საქართველოს საბაჟოს;
3. საბაჟო საქმიანობის განხორციელებისას ღებულობს ზომებს მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების კანონიერი უფლებების და ინტერესების დასაცავად;
4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძველს - ეკონომიკურ უშიშროებას;

5. იცავს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელებისას;
6. იყენებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საბაჟო რეგულირების საშუალებებს;
7. ახორციელებს საბაჟო მოსაკრებლების, გადასახადების და სხვა გადასახდელების ამოღებას;
8. მონაწილეობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავებაში და აღსრულებაში;
9. უზრუნველყოფს ნებართვითი წესის დაცვას საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას;
10. ებრძვის საბაჟო წესების და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას;
11. აღკვეთს საბაჟო საზღვარზე ნარკოტიკების, იარაღის, საქართველოს და უცხო ქვეყნების მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური საუნჯის უკანონო საქონელბრუნვას;
12. იცავს ქვეყნის ფლორასა და ფაუნას გადაშენების გზაზე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გატანის გაკონტროლებით;
13. ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმს;
14. ახორციელებს და სრულყოფს საბაჟო კონტროლს და საბაჟო გაფორმებას, ქმნის საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონელბრუნვის დაჩქარების პირობებს;
15. ახორციელებს საგარეო ვაჭრობის და სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას;
16. აწარმოებს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურას;
17. ხელს უწყობს საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და მოქალაქეების მიერ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას;

18. ხელს უწყობს სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, გარემოს და საქართველოში შემოტანილი საქონლის მომხმარებლების დაცვასა და კეთილდღეობას;
19. ახორციელებს კონტროლს სტრატეგიული და ქვეყნისათვის სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მასალების გატანაზე;
20. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სავალუტო კონტროლს;
21. უზრუნველყოფს საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბაჟოს;
22. მონაწილეობს საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავებაში საბაჟო საკითხებზე;
23. ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს საბაჟო საქმის საკითხებში;
24. ახორციელებს საბაჟო კადრების მომზადებას, გადამზადებას და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;
25. უზრუნველყოფს საბაჟო ინფორმაციით უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებს, აგრეთვე წარმოებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს;
26. ახორციელებს რა ერთიან საფინანსო-სამეურნეო პოლიტიკას, ავითარებს საბაჟო ორგანოების მატერიალურ-ტექნიკურ და სოციალურ ბაზას, ქმნის საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისათვის შრომის საჭირო პირობებს.

სამწუხაროდ, ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და, განსაკუთრებით, საბიუჯეტო კრიზისის გამო, საბაჟო ორგანოების აქ მოყვანილი მრავალწახნაგა და მრავალფუნქციური ამოცანებიდან პრიორიტეტი მიენიჭა მის ფისკალურ ფუნქციას. წლების განმავლობაში მთელი ყურადღების ფისკალურ ამოცანებზე გამახვილებამ, საბაჟო ორგანოების ფინანსური და საგადასახადო ორგანოებისათვის დაქვემდებარებამ, საბაჟო ორგანოების, როგორც სამართალდამცავი ორგანოს როლის უგულველყოფამ მაშინ, როცა საქართველოს საბაჟო ორგანოებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული საკუთარი

როლი ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაცვაში, არ ჰქონდათ ათვისებული საჭირო მეთოდები და მსოფლიო გამოცდილება, დააქვეითა და დააკნინა საქართველოს საბაჟო ორგანოთა ფორმა, შინაარსი და ადგილი სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობაში.

ევროცივილიზებული ფორმის საბაჟოს შექმნის გზაზე წარმოშობილი ხარვეზების ნაწილობრივი გამოსწორება შეუძლია საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა, ექსპორტ-იმპორტის განხორციელებასთან დაკავშირებულ პირთა და სტუდენტ-მასწავლებელთა უზრუნველყოფას საბაჟო თემატიკის სპეციალური ლიტერატურით. ამ მხრივ გარკვეული წარმატება ხვდა წიგნს "საქართველოს საბაჟო კოდექსი. კომენტარები" (თბილისი, 1998წ., გამომცემლობა "ეტრატი").

საქართველოს საბაჟო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ მიიჩნია, რომ სასურველია საბაჟო თემატიკის მთლიანად მოცვის მიზნით ასევე მომზადდეს სახელმძღვანელოები, რომლებიც მიეძღვნება საბაჟო კონტროლის ტექნოლოგიას და საბაჟო ორგანოების სამართალდამცავ საქმიანობას.

წინამდებარე წიგნი მცდელობაა საბაჟო კონტროლისა და გაფორმების, როგორც საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების სახელმწიფო რეგულირების, თეორიისა და პრაქტიკის, ფორმისა და შინაარსის გადმოცემისა.

თავი I

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი და ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება

1. ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებანი

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან პრაქტიკაში აპრობირებული იქნა და საყოველთაოდ დამკვიდრდა საბაჟო საზღვარზე საქონელბრუნვის სახელმწიფოს მიერ კონტროლის და მართვის შემდეგი მეთოდები:

1. სატარიფო ღონისძიებანი

ამ ღონისძიებების არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში შემოტანილი (შემოსატანი) საქონელი იბეგრება საბაჟო გადასახადებით, რის გამოც ხდება მისი მიკუთვნება საქონლის სისტემატური ჩამონათვალის გარკვეული კოდისადმი (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურა), განისაზღვრება ამ საქონლის საბაჟო ღირებულება, დადგენილი განაკვეთების მიხედვით გამოიანგარიშება და გადაიხდევინება გადასახადი. ამ ჯგუფის ღონისძიებებია აგრეთვე საბაჟო გადასახადების შემოღების, შეცვლის ან გაუქმების მექანიზმი და საქონლის წარმოშობის (წარმოების) ქვეყნის დადგენის წესი.

ამ ღონისძიებების ყველაზე აქტიური ნაწილია საბაჟო გადასახადის განაკვეთები. საბაჟო განაკვეთები თავისი შინაარსით წარმოადგენენ ბეგარას უცხოური საქონლის შემოტანაზე.

2. პარატარიფული ღონისძიებანი

მათ რიცხვს მიეკუთვნება სხვა გადასახადები, რომლებიც თავისი შინაარსით არ წარმოადგენენ საბაჟო გადასახადს, მაგრამ საბაჟო წარმო-

ადგენს მათი გადახდის ადგილს და ამიტომ მიაკუთვნებენ საბაჟო გადასახდელებს. ასეთებია: სხვადასხვა საბაჟო მოსაკრებლები, შიდა გადასახადები (დღგ, აქციზი), სპეციალური და მიზნობრივი მოსაკრებლები.

3. ფასების კონტროლის ღონისძიებანი

ამ ღონისძიებების ამოცანაა მეწარმეთა ეროვნული ინტერესების დაცვა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ანტიდემპინგური და კომპენსაციური ღონისძიებანი, საექსპორტო სუბსიდიების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი. აქ საუბარია იმ სუბსიდიებზე, რომლებსაც ქვეყნები აძლევენ თავის ექსპორტიორებს უცხო ქვეყნების ბაზარზე შესაღწევად დაბალი ფასების ხარჯზე. საექსპორტო სუბსიდიების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო, საგარეო ვაჭრობის რეგულირების მიზნით პირს, რომელსაც შემოაქვს სახელმწიფოში სუბსიდირებული საქონელი ახდევინებს დამატებით, როგორც წესი, სუბსიდიის ტოლ გადასახადს და ამით ინარჩუნებს თავისი ქვეყნის ბაზარზე ჯანსაღ კონკურენციას. ასევე, ზოგიერთი ეკონომიკურად სუსტი სექტორის (უპირველესად, აგრარულის) დასაცავად შეიძლება შემოღებულ იქნეს ცვლადი (მაგალითად, სეზონური) საიმპორტო მოსაკრებელი, რომლის მიზანია შიდა ფასების შენარჩუნება დადგენილ ჩარჩოებში.

4. საფინანსო ღონისძიებანი

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მიზნით ხელისუფლებას შეუძლია შემოიღოს სავალუტო ოპერაციების განხორციელების სპეციალური წესები. ასეთი ღონისძიებების ერთ-ერთი სახეობა იყო საქართველოში ადრე მოქმედი წესები და შეზღუდვები ვალუტის გატანაზე.

5. რაოდენობრივი კონტროლი

ასეთი კონტროლი გამოიხატება გარკვეული საქონლის შემოტანაზე და გატანაზე რაოდენობრივი შეზღუდვის (კვოტების) სახით.

6. ავტომატიზირებული ლიცენზირება

ამ ღონისძიების არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეული საქონლის შემოსატანად (გასატანად) მოითხოვება დადგენილი ფორმის დოკუმენ-

ტი (ლიცენზია). ამრიგად, ხორციელდება დაკვირვება (მონიტორინგი) ამ საქონლით ვაჭრობაზე. ასეთი დაკვირვება თავისთავად არ წარმოადგენს ვაჭრობის შემზღუდავ საშუალებას, მაგრამ თუ გადაწყდა ამ საქონლის შემოტანაზე (გატანაზე) შეზღუდვების განხორციელება, აადვილებს მათ.

7. სახელმწიფო მონოპოლია

ამ შემთხვევაში სახელმწიფო აწესებს თავის მონოპოლიას გარკვეული საქონლით ვაჭრობაზე. თუ საქმე გვაქვს საგარეო ვაჭრობასთან, მხოლოდ თავად სახელმწიფო გამოდის ასეთი საქონლით მოვაჭრედ. აქ საუბარია მხოლოდ ცალკეულ საქონელზე. საბჭოურ სისტემაში ეს შეზღუდვა ჰიპერფირებული იყო - საგარეო ვაჭრობა ნებისმიერი საქონლით ეკრძალებოდა ყველას, სახელმწიფოს გარდა.

8. ტექნიკური ბარიერები

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ასეთი ფორმა გულისხმობს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების კონტროლს იმპორტულ საქონელზე, მისი ხარისხისა და უსაფრთხოების შესაბამისობაზე ეროვნულ სტანდარტებთან.

საერთაშორისო ვაჭრობის მსხვილ მონაწილეთა საგარეო ვაჭრობის რეგულირების სისტემები და ინსტრუმენტები პრინციპულად ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავდება. ასევე ნაკლებად განსხვავდება ამ სფეროში რეჟიმები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

რამდენადაც იმპორტის საბაჟო გადასახადები წარმოადგენენ ქვეყნის შიდა ბაზრისა და სამამულო მეწარმეობის დაცვის მექანიზმს, გასაგები ხდება, რომ განვითარებულ ქვეყნებს ნაკლებად ეშინიათ თავისი ბაზრის უცხოური საქონლით დატბორვისა და ამიტომ საიმპორტო საბაჟო გადასახადების საშუალო დონე ასეთ ქვეყნებში ძალიან დაბალია 5-6%. სამაგიეროდ განვითარებად ქვეყნებში გადასახადი საკმაოდ მაღალია. მაგალითად, არგენტინაში - 30%, ბრაზილიაში - 25%, კოლუმბიაში - 22%, ჩილეში - 15%.

საქონლის უმრავლესობაზე ტარიფები სტაბილურია. არის ისეთი საქონელიც, რომელზეც საბაჟო ტარიფები ხშირად იცვლება. ასე მაგალითად, მექსიკაში შაქარზე საბაჟო ტარიფები იცვლება ყოველთვიურად.

1994 წელს საქართველომ საბაჟო ტარიფების მსოფლიო საბაჟო წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გააუქმა (ნულოვანი გახადა) საექსპორტო საბაჟო გადასახადი ყველა სახის საქონელზე. ამ დროს მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის დიდი პრაქტიკა გააჩნიათ, ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ. თუმცა ასეთი ქვეყნების უმრავლესობაში (ჩინეთი, ჰონკონგი, ბანგლადეში, ეგვიპტე, კოლუმბია და სხვა) ექსპორტის დაბეგვრა ვრცელდება მხოლოდ საექსპორტო საქონლის ცალკეულ სახეობებზე. მართალია, არგენტინაში საბაჟო გადასახადით დასაბეგრი საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალი დიდია, მაგრამ მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითადად იბეგრება მხოლოდ ეროვნული და ტრადიციული საექსპორტო პროდუქცია. მსოფლიო პრაქტიკაში ექსპორტის დაბეგვრა უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. მას შემდეგ, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობის პირობა გახდა ექსპორტის საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლება, იმ ქვეყნების ნუსხა, რომლებიც ჯერ კიდევ ბეგრავენ ექსპორტს, საგრძნობლად შემცირდა. ასე მაგალითად, ინდოეთში შეწყვეტილ იქნა ექსპორტის დაბეგვრის მრავალწლიანი პრაქტიკა.

ასევე იშვიათია, მაგრამ ჯერ კიდევ ფაქტია, რომ არიან განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირებისას მიმართავენ ადმინისტრაციულ ზომებს. ასე მაგალითად, ინდოეთში დღემდე მოქმედებს სახელმწიფო მონოპოლია ზოგიერთი საქონლის როგორც იმპორტზე, ასევე ექსპორტზე. იგივე არგენტინაში, საკუთარი მეწარმეობის დაცვის საბაბით საერთოდ აკრძალულია ქვეყანაში ზოგიერთი სახეობის საქონლის იმპორტი. არიან ქვეყნები, რომლებიც თითქოს და იცავენ იმპორტის დაბეგვრის საერთაშორისო წესებს და ნორმებს, მაგრამ იმავე დროს პარალელურად აწესებენ პარატარიფულ გადასახადებს, როგორიცაა, მაგალითად, მოსაკრებელი კონტრაქტიდან, მოსაკრებელი ექსპორტის განვითარების ფონდში და სხვა, რაც ფაქტობრივად ზრდის საიმპორტო გადასახადებს. მაგალითად, პერუში დამატებითი გადასახადით იბეგრება თავად საბაჟო გადასახადიც.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, როგორც წესი, ქვეყნები ნაკლებად მოქმედებენ რაიმე ერთიანი, უნიფიცირებული ნორმებით და წესებით და ამიტომ ქართველმა კომერსანტებმა სასურველია ჯერ კიდევ სავაჭრო გარიგებამდე კარგად შეისწავლონ უცხოელი პარტნიორის ქვეყნის კანონები და წესები საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების საკითხებში. შორს წაგვიყვანდა ყველა ქვეყანაში ასეთი კანონებისა და წესების განხილვა და ვფიქრობთ, არც არის საჭირო, რადგან რამდენადაც მსოფლიოში, განსაკუთრებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა პლანეტაზე ვაჭრობის ერთიანი წესების დამკვიდრებისათვის.

უდაოა, რომ თამაშის საერთო წესებს საფუძვლად დაედება განვითარებული ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეჟიმები, ამიტომ განვიხილოთ მათი თავისებურებანი.

2. საგარეო ვაჭრობის საბაჟო რეგულირება ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირი ევროპის 15 ქვეყნის ინტეგრაციული გაერთიანებაა, რომელიც შექმნილია ავსტრიის, ბელგიის, გერმანიის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, პორტუგალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ფინეთის და შვედეთის მიერ.

ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ფორმირების ისტორია წარმოადგენს ნახევარსაუკუნოვან ეტაპებს, როცა ქვეყნები „მცირე ევროპის“ მართვის ორგანოებს თანდათან გადასცემდნენ მთელ რიგ მნიშვნელოვან, ზოგჯერ ქვეყნის სუვერენიტეტის განმსაზღვრელ მართვის სფეროებს. ეს პროცესი ხორციელდებოდა აუჩქარებლად, ფრთხილად, ნაციონალური თავმოყვარეობის შელახვის გარეშე, მაგრამ იმავდროულად გეგმურად, თანმიმდევრულად და მტკიცედ. ევროკავშირის თანმიმდევრობითი ინტეგრაციის შედეგად ჯერ შეიქმნა ერთიანი საბაჟო კავშირი, რომლის ფარგლებში წევრმა ქვეყნებმა

უარი თქვეს ურთიერთის საქონლის იმპორტის დაბეგვრაზე, ხოლო მესამე ქვეყნებიდან იმპორტის დაბეგვრისას მოქმედებდნენ ცალ-ცალკე ნაციონალური კანონების შესაბამისად. შემდეგ ეტაპზე ევროკავშირის წევრებმა შექმნეს ერთიანი საბაჟო სივრცე ერთიანი საბაჟო გადასახადებით მესამე ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე. ამჟამად, ინტენსიური მუშაობის შედეგად შემოღებულია ერთიანი ვალუტაც (ევრო).

უნიფიცირებულ პროცედურებს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ამტკიცებს ევროკავშირის საბაჟო, ევროკავშირის კომისია თუ სხვა ერთობლივი ევროპული ორგანოები და ახორციელებენ წევრი ქვეყნების ადმინისტრაციული აპარატები. ფაქტობრივად ჩამოყალიბებულია ხელისუფლების სამივე შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.

მართალია ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ ღრმადაა წასული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ევროკავშირის სხვადასხვა უწყებებთან ურთიერთობისას თავიდანვე დასაზუსტებელია, თუ როდის მოქმედებენ ისინი თავისი ქვეყნის სახელით და როდის ევროკავშირის.

1968 წლის 1 ივლისიდან ევროპის ეკონომიკური კავშირის პირველმა წევრებმა (ბელგია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია) გააუქმეს ურთიერთვაჭრობაში რაოდენობრივი შეზღუდვები, ურთიერთშორის ყოველგვარი საბაჟო დაბეგვრა და შემოიღეს ერთიანი საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნების საქონლის იმპორტის მიმართ, ხოლო 1993 წლის 1 იანვრიდან მთლიანად გააუქმეს საბაჟო კონტროლი ურთიერთვაჭრობაში.

ასე, რომ ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის საბაჟო გაფორმება ნიშნავს, რომ ამით ხდება ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება მთლიანად ევროკავშირის ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე.

ევროკავშირში მოქმედებს იმპორტის კონტროლის ერთიანი სისტემა - აკრძალვები და შეზღუდვები რომელიმე საქონლის შემოტანაზე ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში ნიშნავს აკრძალვებს და შეზღუდვებს საქონლის შემოტანაზე ევროკავშირის მთელ ბაზარზე.

ევროკავშირში უნიფიცირებულია მოთხოვნები საქონლის ხარისხისა და უსაფრთხოების მიმართ. ევროკავშირის ერთ ქვეყანაში გაცემული ხარისხის

სერტიფიკატი მოქმედებს მთელ კავშირში და მიიღება როგორც ამ კავშირის ხარისხის სერტიფიკატი.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ თუმცა ევროკავშირის საბაჟო გადასახადის განაკვეთები ერთიანია მთლიანად ევროკავშირისათვის და ერთიანია სხვა გადასახდელების (მაგალითად, დღგ-ს) გადახდევინების წესიც, თავად გადასახადების განაკვეთები ყველა ქვეყანას თავისი აქვს.

ევროკავშირი არ აკლებს მცდელობას, რომ დაწესდეს ერთიანი საგადასახადო განაკვეთები. 1993 წელს მოხდა ქვეყნების განაკვეთების დაახლოებაც, მაგრამ ჯერჯერობით ისინი მაინც სხვადასხვა რჩება. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ერთსა და იმავე საქონლის შეტანაზე კავშირის ყველა ქვეყანაში განაკვეთები ერთნაირია, დღგ-ს სხვადასხვა დონის გამო საბაჟოზე ჯამური გადასახდელი სხვადასხვა გამოდის. ასე მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში ქსოვილის შეტანისას გერმანიაში დღგ-ს განაკვეთია - 15, დანიაში - 25, ხოლო ირლანდიაში - 12,5 პროცენტი.

ევროკავშირში მოქმედებს იმპორტის ლიცენზირების ერთიანი სისტემა. კონტროლირებადი საქონლის შეტანაზე ლიცენზიას გასცემენ ქვეყნების ნაციონალური სამსახურები, თუმცა იმავე დროს ზოგიერთ საქონელზე პარალელურად მოქმედებს ევროკავშირის ერთიანი უწყების ლიცენზია, კავშირში შემავალ ქვეყნებზე კი რაოდენობრივი კვოტები გაიცემა. ამასთან, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ბოლო დრომდე შენარჩუნებული იყო სახელმწიფო მონოპოლია ზოგიერთი საქონლის შემოტანაზე.

ამავე დროს, ევროკავშირში წარმოების საშუალებებზე მოქმედებს ერთიანი ევროსტანდარტები, ხოლო სამომხმარებლო საქონელზე გამოცხადებულია ნაციონალური სტანდარტების ურთიერთაღიარება. ასე მაგალითად, სამომხმარებლო საქონელი, შექმნილი საფრანგეთის სტანდარტების შესაბამისად, გერმანიაში ყოველთვის ითვლება სტანდარტულად, თუნდაც ის არ შეესაბამებოდეს გერმანულ ნაციონალურ სტანდარტებს.

ევროკავშირში მოქმედებს ასევე ერთიანი საბაჟო სისტემა, ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიები აღიქმება როგორც ერთიანი საბაჟო ტერიტორია და შემოტანილი საქონელი ამ ტერიტორიაზე გადაიზიდება შეუფერხებლად. ამასთან, არსებობს გარკვეული თავისებური მოთხოვნები გარკვეული ქვეყნების საქონლის მიმართ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ

საქართველო ასეთ ქვეყნებს არ მიეკუთვნება და მისი საქონლის მიმართ რაიმე სპეციალური რეჟიმი არ მოქმედებს.

საქართველოსაგან განსხვავებით ევროკავშირში საბაჟო ტარიფები დიფერენცირებულია ცალკეული საქონლისა და საქონლის ჯგუფების მიხედვით. ევროკავშირის საბაჟო ტარიფებს ყოველწლიურად გამოსცემს ევროკავშირის კომისია ორ ვარიანტად: ოფიციალური გამოცემა (Common customs tariff) და ინტეგრირებული გამოცემის (Integrated tariff of the European Communities) სახით. უკანასკნელი შეიცავს უფრო სრულ ინფორმაციას.

1983 წლის 1 იანვრიდან საბაჟო ტარიფებს საფუძვლად უდევს ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე შექმნილი საქონლის რვანიშნა ნომენკლატურა. ოფიციალური გამოცემისაგან განსხვავებით ინტეგრირებული ტარიფების ნომენკლატურა გაზრდილია 13 ნიშნამდე. მე-9 ციფრი გამოიყენება მხოლოდ ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური მიზნებისათვის. მე-10-13 ციფრები გამოიყენება სატარიფო პოზიციების დეტალიზებისათვის მაშინ, როდესაც ხდება არა მთლიანი სასაქონლო კატეგორიის სატარიფო რეგულირება, არამედ მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილებისა.

ტარიფების ოფიციალურ გამოცემაში საბაჟო ტარიფები წარმოდგენილია ორი სვეტის სახით.

პირველი სვეტი შეიცავს კანონით გათვალისწინებულ (ავტონომიურ) საბაჟო განაკვეთებს. მეორე კი - განაკვეთებს, გამოყენებულს იმ ქვეყნების საქონლის მიმართ, რომლებისთვისაც ევროკავშირს მინიჭებული აქვს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და რომლებიც არიან „WTO"-ს წევრები ან რომლებთანაც ევროკავშირს დადებული აქვს ხელშეკრულება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის თაობაზე. ამრიგად, ევროკავშირში საქართველოდან შეტანილი საქონელი იბეგრება შეღავათიანი (მეორე სვეტის) განაკვეთებით.

ეს მნიშვნელოვანი შეღავათია, რადგან მეორე სვეტის განაკვეთები პირველი სვეტის განაკვეთებთან შედარებით კვების პროდუქტებზე და სოფლის მეურნეობის ნაწარმზე 10-30%-ით ნაკლებია სხვა საქონლისათვის დაწესებულ ტარიფებზე 25%-დან 70%-მდე. 2000 წლისათვის სავარაუდო იყო მათი კიდევ 40%-ით შემცირება.

1998 წელს ევროკავშირში საქონლის შეტანისათვის საიმპორტო საქონელზე საბაჟო გადასახადები მერყეობდა (საუბარია ავტონომიურ გადა-

სახადებზე, ანუ პირველ სვეტზე) 4-დან 25%-ის ფარგლებში, თუმცა ზოგიერთ საქონელზე გაცილებით მეტი იყო (ავტოტრანსპორტზე 29%, შაქარზე - 80%, თამბაქოს ნაწარმზე - 180%).

ევროკავშირი, ყოველწლიურად, ამ კავშირში საქონლის იმპორტიორ ქვეყნებს, გარკვეული რაოდენობის სატარიფო კვოტის ფარგლებში, ნებას აძლევს შემოზიდონ უბაჟოდ ან შეღავათიანი გადასახადებით ზოგიერთი საქონელი: რქოსანი პირუტყვი, საქონლის ხორცი, თევზის ზოგიერთი სახეობა, ციტრუსები, ზოგიერთი სახის ხილი, წვენები, ყავა, კაკაო, ყვავილები, საგაზეთო ქაღალდი რულონებში, ქსოვილები, ხელოსნური ნამუშევარი და ფერადი ლითონები. ყველა ამ შემთხვევაში მითითებულია კონკრეტული ქვეყნები, რომელთა საქონლის მიმართ ვრცელდება ასეთი შეღავათები.

ევროკავშირში მოქმედებს სატარიფო პრეფერენციების ექვსი სქემა. მათგან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა პრეფერენციების ზოგადი (საერთო) სისტემა, რომელიც გულისხმობს პრეფერენციებს განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ამ პრეფერენციის შესაბამისად ევროკავშირში არ იბეგრება განვითარებად ქვეყნებში წარმოშობილი (წარმოებული) სამრეწველო ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები, გარდა მცირე გამონაკლისებისა (შავი ლითონი, ქსოვილი). ქართველმა მეწარმემ უნდა იცოდეს, - იმისათვის, რომ ისარგებლოს ასეთი შეღავათით, მას თავის საქონელზე აუცილებლად უნდა გააჩნდეს „A" ფორმის წარმოშობის სერტიფიკატი, სადაც მინიშნებული იქნება საქართველო, როგორც წარმოშობის ქვეყანა. ამასთან, აუცილებელია, რომ საპრეფერენციო საქონელი ევროკავშირის ქვეყნებში მიეწოდოს უშუალოდ ქვეყანა-ექსპორტიორიდან, ანუ საქართველოდან.

პრეფერენციების ზოგადი სისტემა, როგორც წესი, ვრცელდება მხოლოდ იმ განვითარებად ქვეყნებზე, რომლებთანაც ევროკავშირს დადებული აქვს შესაბამისი შეთანხმება ჯგუფური ან ორმხრივი სახით. ამ სისტემის მეშვეობით პრეფერენციებს საქონლის იმპორტზე ღებულობს ასზე მეტი ქვეყანა.

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, ევროკავშირის საბაჟო გადასახადების განაკვეთები (ტარიფები) საკმაოდ ლიბერალურია, განსაკუთრებით გან-

ვითარებადი ქვეყნების საქონლის მიმართ და, რამდენადაც საბაჟო გადასახდელები ევროკავშირის მასშტაბით უნიფიცირებულია, მათში კორექტივების შეტანა არ და ვერ შეუძლიათ კავშირის წევრ ქვეყნებს.

კავშირის ასეთი ლიბერალური პოლიტიკის შედეგად საბიუჯეტო „დანაკარგებს“ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ხშირად კომპენსაციას უკეთებენ საბაჟოზე აკრეფილი სხვა (პარატარიფული) გადასახადების: შიგა გადასახადების და მოსაკრებლების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე კომპენსაციური მოსაკრებლებისა და ცალკეულ საქონელზე დამატებითი გადასახადების სახით.

ევროკავშირის ყველა ქვეყანა სარგებლობს დამატებითი გადასახადებით ფქვილზე, შაქრის და შაქრიანი ნაწარმის ზოგიერთ სახეობაზე.

ზოგიერთი საქონლის ევროკავშირში იმპორტირებისათვის (ხორბალი, ყველანაირი ხორცის, ღვინის, რძის პროდუქტების, შაქრის, თესლის) საჭიროა სპეციალური **საიმპორტო სერტიფიკატი.**

ამ შემთხვევაში იმპორტის ლიცენზირება ხორციელდება შემდეგი მიზნით:

- საქონლის საჭირო ხარისხის შენარჩუნებისათვის;
- გარეული ცხოველების და მცენარეების დაცვისათვის.

ლიცენზია საჭიროა შემდეგი საქონლის იმპორტირებისათვის: ცოცხალი პირუტყვი, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე, ნაღები, მაწონი, ყველი, მუხუდო და სხვა პარკოსნები, ტკბილი სიმინდი სათესლედ, მანიოკა, ტკბილი კარტოფილი, გამხმარი ფინიკი, ქიშმიში, კონსერვირებული ხილი, მარცვლეული და ფქვილი, შაქრის ჭარხალი, ზეითუნის ზეთი, შაქარი და ბადაგი, შაქრის ვაჟინები, ფორთოხლის წვენი, ღვინო, კვების მრეწველობის ნარჩენები, პირუტყვის მზა საკვები. ეს საქონელი მინიშნებულია ინტეგრირებულ ტარიფებში. ლიცენზია სჭირდება აგრეთვე იშვიათ და გადაშენების გზაზე მყოფ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების გატანას და შემოტანას.

ნაციონალურ დონეზე გაცემულ ლიცენზიებს უფლებამოსილება აქვთ მთელი კავშირის დონეზე. დიდ ბრიტანეთში ლიცენზიებს იძლევიან „სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ჩარევის საბჭო“ (Intervention Board for Agricultural Produce), ხოლო სამრეწველო საქონელზე

„ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს იმპორტის ლიცენზირების განყოფილება" (Departament of Trade and Industry, Import Licensing Branch). გერმანიაში სამრეწველო საქონლის იმპორტის ლიცენზიას გასცემს ეკონომიკის ფედერალური უწყება (Bundesant fur Ernshrung und Forstwistschoft). საფრანგეთში იმპორტის ლიცენზირებას ახდენს ფინანსური და კომერციული ნებართვების სამსახური (Service des autorisations financieres er commerciales). იტალიაში - იტალიის ეროვნული ბანკის ამაზე უფლებამოსილი ბანკები. ესპანეთში - ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის გენერალური დირექცია (Ministero de Economia y Hacienda, Direccion General de Comercio Exterior). ფინეთში ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობის დეპარტამენტი (Kauppaji teollisuusministerio).

ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს ნაციონალურ დონეზე წინასწარი ნებართვების სისტემა.

ბელგიაში ასეთი ლიცენზირება სჭირდება ახალ ხორცს, დანიაში - კვამლის დეტექტორებს, საფრანგეთში - კარაქს, ცხიმიან თესლებს, საქარინს, ვაქცინებს, საზომ ინსტრუმენტებს, ტოქსიკურ ნარჩენებს, საბერძნეთში ელექტრო საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებს და მაიონიზირებელ რადიაციონურ მოწყობილობას, ირლანდიაში - პირუტყვს და მცენარეულ პროდუქტებს, ესპანეთში - ხმის ჩამწერ აპარატურას და აუდიო-ვიზუალურ მასალებს.

საიმპორტო კვოტები ევროკავშირში დადგენილია შემდეგ ქვეყნების საქონელზე: ფოლადის პროდუქციის, ნედლი თამბაქოს, ქსოვილების, ქიმიკატების, ფეხსაცმლის, შუშის ნაწარმის და ა.შ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. ქლორ-ფტორ ნახშირბადებს (ფრეონს) და სხვა. მონრეალის პროტოკოლში შეტანილი ოზონის ფენის დამშლელი ნივთიერებების შემოტანა დასაშვებია მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, ვინც ხელი მოაწერა ამ პროტოკოლს.

აკრძალვები. გაეროს სანქციებით ერთი პერიოდი აკრძალული იყო ნებისმიერი იმპორტი ერაყიდან, ასევე იუგოსლავიიდან (სერბიიდან და ჩერნოგორიიდან). იკრძალება სპილოს ძვლის, სხვადასხვა ცხოველების ქურქების და მათგან შეკერილი ნაწარმის შემოტანა. ასევე, როგორც კი დაფიქსირდება რომელიმე სახელმწიფოში რაიმე პანდემია, იმავე დღეს

იკრძალება ამ ქვეყნებიდან შესაბამისი ცხოველური წარმოშობის საქონლის შემოტანა.

ნებაყოფლობითი საექსპორტო შეზღუდვები. ზოგიერთი ქვეყნები ილებენ ვალდებულებას რაოდენობრივად თავად შეზღუდონ ევროკავშირში ზოგიერთი საქონლის შეტანა. ასეთ თვითშეზღუდვად საწარმოებს მიეკუთვნება იაპონია თავისი ავტომობილების, ზოგიერთი სახის დაზგების, ამწეების, ბურთულა-საკისრების, ტელევიზორების, კინესკოპების, ვიდეომაგნიტოფონების, მიკროტალღური ღუმელების შემოტანაზე, ასევე ყველის - ავსტრიიდან, ახალი ზელანდიიდან და კანადიდან. ევროკავშირს დაწესებული აქვს საექსპორტო შეზღუდვები არგენტინასთან, ბრაზილიასთან, ჩინეთთან, ჩეხეთთან, სლოვაკეთთან, ჰონკონგთან, უნგრეთთან, იტალიასთან, ინდონეზიასთან, კორეის რესპუბლიკასთან, მაკაოსთან, მალაიზიასთან, პაკისტანთან, პერუსთან, ფილიპინებთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, შრილანკასთან, სინგაპურთან და ტაილანდთან.

ევროკავშირის სასაქონლო კლასიფიკაცია ითვალისწინებს 123 სახის საფეიქრო ნაწარმს და 123-ვე სახეობის ქსოვილის შემოტანა ევროკავშირის ტერიტორიაზე რეგულირდება ამ კავშირის სპეციალური საფეიქრო პოლიტიკით.

მონოპოლისტური ღონისძიებანი. საფრანგეთში ასანთის იმპორტი სახელმწიფოს მონოპოლიაა და ასეთი საქმიანობის უფლება სხვას არავის აქვს გარდა სახელმწიფოსი. ასევეა საბერძნეთში.

ტექნიკური ღონისძიებანი. ევროკავშირში ზოგიერთი კატეგორიის საქონლის შემოტანა ნებადართულია მხოლოდ გარკვეული სახის ტექნიკური კონტროლის გავლის და შესაბამისი უსაფრთხოების და ხარისხის სერტიფიკატის მიღების შემდეგ.

ევროკავშირში ხორცისა და თევზის შესატანად საჭიროა ვეტერინარული სერტიფიკატი და ექსპორტიორი ქვეყნის იმ ვეტერინარული ინსტანციის სერტიფიკატი, რომელსაც სცნობს ევროკავშირი. ხორცპროდუქტებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური „ნიშანი ჯანმრთელობის შესახებ" (Health Mark). მათი იმპორტირებისას, ასევე ახალი ბოსტნეულისა და ხილის იმპორტირებისას, საბაჟოზე ხორციელდება ამ საქონლის ინსპექტირება ევროკავშირის სტანდარტებისადმი შესაბამისობის თაობაზე. ევროკავშირში

გადასამუშავებლად შეტანილ საქონელს უნდა ჰქონდეს გადამუშავების სერტიფიკატი გაცემული იმპორტის კონტროლის სამმართველოს მიერ.

სანიტარული წესებით დადგენილია დასაშვები საკვები დანამატები, მათი მაქსიმალური დონე. კვების პროდუქტებში პესტიციდების ნაშთის დასაშვები დონე. უსაფრთხოების მკაცრი წესები მოქმედებს საპნის, კოსმეტიკის, ტუალეტის საგნების, სასუქის, პესტიციდების, სარეცხი საშუალებების, წამლების, პროდუქტების პლასტიკური ტარისა და შესაფუთი მასალების და ა.შ. მიმართ.

ჩერნობილის ავარიის შემდეგ გამოცემული იქნა დირექტივა რადიაციის დასაშვები დონის შესახებ, რომელსაც თან ახლდა ჩამონათვალი საქონლისა, რომლის შემოტანა ევროკავშირში ამ მიზეზით აიკრძალა.

ძირიანად ამოთხრილი და მოჭრილი მცენარეების, ხილის, ბოსტნეულის, მოჭრილი ყვავილების საქონელზე მოითხოვენ ფიტოსანიტარულ სერტიფიკატს. თუ ხილი და ბოსტნეული, შენახვის გაზრდის მიზნით იქნა დასხივებული, ამაზე მას უნდა ჰქონდეს სპეციალური მინიშნება. გერმანიაში აკრძალულია ნებისმიერი დასხივებული საკვების შეტანა. ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში აქვთ იმ დასხივებული საქონლის სია, რომლის შემოტანა ამ ქვეყნებში დასაშვებია.

უსაფრთხოებაზე უნდა შემოწმდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, დაზგები, ცეცხლმქრობები, ფურგონი-საცხოვრებლები, ბავშვის ტანსაცმელი, ბავშვთა ეტლები, სათამაშოები, ელექტრო-საყოფაცხოვრებო ნივთები, ელექტრო ჩამრთველ-გამომრთველები და ჩანგლები, ტელევიზორები, სამედიცინო მოწყობილობა, აეროზოლის გამაფრქვევლები, ზეთის გამთბობი რადიატორები, სასუნთქი აპარატები, ელექტრული საბნები, თხევადი საწვავი, პენოპლასტის ავეჯი და ა.შ.

ავტოსატრანსპორტო საშუალებები კონტროლდება გარემოს მინიმალური გაჭუჭყიანების უზრუნველყოფის მოთხოვნით. ნებისმიერი ტრანსპორტის ძრავა უნდა უზრუნველყოფდეს ისეთი ბენზინით მუშაობას, რომელიც არ შეიცავს ტყვიას (უფრო სწორედ ტყვიის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,013 გრამს ლიტრზე). დადგენილია ნახშირჟანგის, აზოტის ჟანგის, ჰაეროვანი და მყარი ნაწილაკების გამოყოფის ნორმები და ხმაურის დასაშვები დონე.

საბაჟო გაფორმება. ევროკავშირში შემოტანილი საქონელი დეკლარირებული უნდა იქნეს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციით, რომელიც ანალოგიურია საქართველოში მოქმედი დეკლარაციის ფორმისა. ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მიერ გაცემული ლიცენზია მოქმედებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. ევროკავშირში საქართველოს საქონელს შეტანისათვის აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფორმა „A" ტიპის წარმოშობის სერთიფიკატი.

3. საბაჟო რეგულირება ამერიკის შეერთებულ შტატებში

საბაჟო ტარიფი. ამერიკის შეერთებული შტატების საიმპორტო საბაჟო ტარიფები აგებულია ჰარმონიზებული სისტემის რვანიშნა ნომენკლატურაზე და საკმაოდ რთულია. ის შეიცავს საბაჟო გადასახადის განაკვეთების (როგორც ადვალურის, ისე სპეციფიკურის) ორსვეტიან სისტემას. მეორე სვეტი წარმოადგენს აშშ-ს ტარიფების შესახებ 1930 წელს დადგენილ და მას შემდეგ უცვლელ ტარიფებს.

ეს განაკვეთები დაწესებულია იმ ქვეყნებში წარმოებული საქონლისათვის, რომლებისთვისაც აშშ-ს არ დაუდგენია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. დღეისათვის ქვეყნები, რომლებზედაც არ ვრცელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, თითებზე ჩამოსათვლელია: ავღანეთი, ვიეტნამი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და კუბა. ამ სვეტით დადგენილი საბაჟო გადასახადის განაკვეთები 25-დან 60%-მდეა, ხოლო ზოგიერთი საქონლისათვის (მაგალითად, ქსოვილი) 90%-მდე. შეიძლება ითქვას, რომ მეორე სვეტი ფაქტობრივად აღარ მოქმედებს და ისტორიის საკუთრებაა, თუმცა ოფიციალურად არ გაუქმებულა.

ტარიფების მეორე სვეტი ასევე შედგება ორი სვეტისაგან. პირველ მათგანში მოცემულია ე. წ. „საერთო" განაკვეთები, რომლებიც გამოიყენება იმ ქვეყნების მიმართ, ვისაც აშშ-მ მიაკუთვნა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. ამერიკული წესებით ასეთი რეჟიმის მისანიჭებლად სულ არ არის საჭირო რაიმე შეთანხმება რეჟიმი მიეკუთვნება ავტომატურად იმით,

რომ ქვეყანა შეიტანება ასეთი რეჟიმის ქვეყნების სიაში. ამ სიაში საქართველოცაა და ე.ი. სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით.

საშუალო დონე ამ სვეტით დადგენილი საბაჟო გადასახადის განაკვეთისა მერყეობს 3%-დან (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე) 5%-მდე (სამრეწველო ნაწარმზე). საქონლის ზოგიერთი კატეგორიისათვის (თამბაქო, ბოსტნეული, კერამიკა, ბენზოლური ქიმიკატები, ქსოვილები და ფეხსაცმელი) საბაჟო გადასახადი გაცილებით მაღალია და აღწევს 20%-მდე. კიდევ უფრო მაღალია ზოგიერთი სპეციფიკური გადასახადი. ასე მაგალითად, ადვალურზე გადაყვანით თამბაქოს მრეწველობის ნაწარმის საბაჟო გადასახადი აღწევდა 1775%-ს; კაკაოსა და მისგან ნაწარმის 338%-ს, მაჯისა და მაგიდის ზოგიერთ საათზე - 151%.

მას შემდეგ, რაც 1995 წლის 1 ივლისიდან აშშ გაწევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, ქვეყანაში მოქმედი პარატარიფების ნაცვლად კვოტის ზემოთ იმპორტირებულ საქონელზე დაწესდა კონსოლიდირებული (ყველა საბაჟოზე გადასახადების ნაერთი) ტარიფები: ხორცზე 31,1%; ნაღების კარაქზე - 138%; რაფინირებულ შაქარზე - 216%.

იმ შემთხვევაში, თუ კვოტირებული საქონელი (შაქარი, რძის და ნაღების ზოგიერთი სახეობა, ძვირფასი თევზი, მწვანე ზეითუნი და ა.შ.) შემოიტანება კვოტის ფარგლებში, საბაჟო გადასახდელების ერთობლივი განაკვეთი არ სცილდება 70-75%-ის ფარგლებს.

ამერიკის კონტინენტზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების მსგავსი პროდუქტების აშშ-ში შეტანის მცდელობისას, თავისი ბაზრის დაცვის მიზნით, ამ პროდუქტებზე აშშ-ს შემოაქვს დამატებითი სეზონური საბაჟო გადასახადი.

აშშ-ში ზოგიერთი საქონლით ბაზრის გაჯერება მუდმივი დაკვირვების ქვეშაა და ბაზრის ანალიზიდან გამომდინარე, ხშირად, ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მიზნით, ადგილი აქვს საბაჟო გადასახადის დროებით გაზრდის ან დროებით შემცირების ფაქტებს, მაგრამ მისი დროებით გაზრდა არ ვრცელდება ევროკავშირიდან შემოტანილ ხორცზე, კონსერვირებულ ტომატებზე და ხილის წვენებზე, ასევე იაპონურ ტყვიის ნაწარმზე და ინფორმაციის დამამუშავებელ მოწყობილობაზე.

მეორე სვეტის მეორე ქვესვეტი შეიცავს პრეფერენციულ განაკვეთებს **საერთო პრეფერენციალური სისტემის ამერიკული სქემის მიხედვით.** მაგალითად, 1993 წელს ჰარმონიული სისტემის რვანიშნა კლასიფიკატორით ეს სისტემა ითვალისწინებდა პრეფერენციებს (შეღავათებს) 4100 სასაქონლო პოზიციის საქონელზე 131 ქვეყნიდან (32 განუვითარებელი ქვეყნის ჩათვლით). თუ ქვეყანა მიაღწევს მნიშვნელოვან წარმატებას წარმოებასა და ვაჭრობაში და ეროვნული პროდუქტის გარკვეულ რაოდენობას ერთ სულ მოსახლეზე, ასეთი ქვეყანა გამოყავთ იმ ქვეყნების ჩამონათვალიდან, რომელთათვისაც დაწესებულია პრეფერენციები.

ასევე შეღავათიანი საქონლის ნუსხიდან ამოაქვთ ისეთი პროდუქტები, რომელთა მოწოდება ერთი ქვეყნიდან გადააჭარბებს მთელი აშშ-ს იმპორტის 50%-ს (ზოგჯერ 25%-ს). ასევე შეღავათები უწყდება ქვეყანას, რომლის ჯამური იმპორტი აშშ-ში გადააჭარბებს წინასწარ დაწესებულ ზღვარს.

ვინაიდან აშშ-ში გადასახადები და შეღავათები პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე თუ სად, რომელ ქვეყანაშია წარმოებული საქონელი, დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრას. საერთოდ მიღებულია, რომ საქონელი ითვლება გარკვეულ ქვეყანაში წარმოშობილად, თუ ის მთლიანად ამ ქვეყანაში წარმოიშვა, ან თუ ამ ქვეყანაში საკმარისად იქნა გადამუშავებული. აშშ-ში საკმარისად ითვლება გადამუშავება, რომლის ღირებულება ამ საქონლის ღირებულების 35%-ს აჭარბებს. ამ სიდიდეში ჩაითვლება ის მასალები, ნახევარფაბრიკატები და შრომა, რომელიც გაწეულია ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო კავშირში პარტნიორების მიერ.

ასევე აუცილებელი პირობაა პირდაპირი გადატვირთვა (ანუ საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში აშშ უნდა იყოს დაფიქსირებული როგორც საქონლის მიმღები ქვეყანა).

შეღავათით მოსარგებლე ქვეყნების სია ქვეყნდება ყოველწლიურად ივლის-აგვისტოში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქონლის იმპორტირებისას საბაჟო გადასახადებისაგან მთლიანად გათავისუფლებულნი არიან:

- ქვეყნები, რომლებიც შედიან ჩრდილოეთ ამერიკულ თავისუფალი ზონის ქვეყნებში (ნაფტა);
- კარიბის აუზის 24 ქვეყანა;

- ანდების ქვეყნები (ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ);

- ისრაელი.

ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ აშშ-ს სატარიფო სისტემა მიმართულია არა მარტო პროტექციონისტური ხერხებით საკუთარი ბაზრისა და საკუთარი მეწარმის დასაცავად, არამედ ეკონომიკური მეთოდებით სხვადასხვა ქვეყნებთან გარკვეული პოლიტიკის გასატარებლად.

პარატარიფული ღონისძიებანი. გარდა საბაჟო გადასახადებისა, აშშ-ში საქონლის შეტანისას ახდევინებენ;

- მოსაკრებელს საბაჟო გაფორმებისათვის - 0,17% საბაჟო ღირებულებიდან, მაგრამ არა ნაკლებ 21 დოლარის და არა უმეტეს 400 დოლარისა;

- ნავსადგურის მოსაკრებელს - იმ საქონლის საბაჟო ღირებულებიდან, რომელიც დაიცლება აშშ-ს ნავსადგურებში. ეს მოსაკრებელი შემოღებულია 1987 წელს. მისი განაკვეთია საბაჟო ღირებულების 0,124%;

- ავტოსატრანსპორტო საშუალების შეყვანისას - საბაჟო ღირებულების 25%;

- ჩაის შეტანისას - მოსაკრებელს გამოკვლევისათვის;

- ზოგიერთი მცენარის შეტანის ნებართვისათვის 70 დოლარს;

- დამატებითი გადასახდელია დაწესებული საწვავად გამოსაყენებელი ეთილის სპირტის შემოტანისათვის.

გარდა ამისა, იმპორტული საქონელი იბეგრება შემდეგი ირიბი გადასახადებით:

- ნავთობი და ზოგიერთი ქიმიური პროდუქტი, რომელიც გამოიყენება გაუდაბნოებული ტერიტორიების რეკულტივაციისათვის 9,7 ცენტი 1 ბარელზე - სარეზერვო ფონდის გადასახადით (Superfund tax);

ღვინო, ლუდი, სპირტიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და პარფიუმერია იბეგრება ფედერალური საакციზო გადასახადით სპეციფიკური განაკვეთით;

- 1991 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს ასევე აქციზი ავტომობილებზე, რომელთა ღირებულება აჭარბებს 30 ათას დოლარს; სპორტულ და სასეირნო ნავებზე - 100 ათას დოლარს; თვითმფრინავებზე (გარდა საწარმოო ხასიათის) - 10 ათას დოლარს;

- ნატურალური ბეწვისაგან დამზადებულ ან ნატურალური ბეწვით გაწყობილ ნაწარმზე - 10 ათას დოლარს.

გარდა ამისა, შემოყვანილი ავტომობილები იბეგრება შიგა გადასახადებით: კორპორაციული გადასახადით საწვავის ეკონომიისათვის, აქციზური გადასახადით ფუფუნების საგნებზე, აქციზის გადასახადით ბენზინით სარგებლობისათვის.

იმპორტის ლიცენზირება. იმპორტის ლიცენზირება ხდება საქონლის იმპორტის შეზღუდვის, ან საქონლის ხარისხის გარკვეულ დონეზე შენარჩუნების მიზნით.

ალკოჰოლური სასმელები აშშ-ში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ლიცენზიას იძლევა ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს ნაწარმის და ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალური ბიურო (Bureau of the Alcohol, Tobacco and Firearms), რომელიც ექვემდებარება აშშ-ს ხაზინას.

ქვეყანაში მცენარეების, ხილის და ბოსტნეულის, მარცვლეულის, ზოგიერთი მოჭრილი ყვავილის, ქვის კარიერების ნაწარმის, ბამბის, მორების, შაქრის ლერწმის ჩენჩოს, სიმინდის ჩალის, ბრინჯის ზოგიერთი ნაწარმის, ბურლულის, შინაური ცხოველის, ცხოველური სუბპროდუქტების, ცოცხალი მწერების და მათი კვერცხების, შინაური ფრინველის და საინკუბაციო კვერცხების, ფრინველების, ფრინველის ბუმბულის და ზოგიერთი ცოცხალი და მკვდარი ცხოველის შემოტანაზე ლიცენზიას იძლევა აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეო სასოფლო-სამეურნეო სამსახური. ეს შეზღუდვები დაწესებულია ვეტერინარული და ფიტოსანიტარული დაცვის მიზნით.

რძისა და ნაღების იმპორტირება დასაშვებია მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველოს (Food and Drugs Administration) ლიცენზიით. ამ დროს სხვა ინგრედიენტებთან შერეული რძის ფხვნილის ზოგიერთი სახეობა შეიძლება შემოტანილ იქნეს მხოლოდ საცალო რეალიზებისათვის დაფასოებული სახით.

ბუნებრივი გაზის იმპორტზე ლიცენზიას იძლევა ენერგეტიკის სამინისტრო.

ბირთვული მოწყობილობისა და მასალების შემოტანაზე ნებართვას იძლევა ბირთვული რეგულირების კომისია (Nuclear Regulatory Commision).

ლიცენზიას ექვემდებარება აგრეთვე ტექნიკური სპირტის შემოტანა და გარეული ცხოველების შემოყვანა.

კვოტები. აშშ-ში შემოღებულია კვოტები შემდეგი საქონლის იმპორტზე:

მშრალ რძეზე, ნაღებზე და შრატზე, კარაქსა და მის შემცვლელებზე, მიწის თხილზე, შაქრიან საკონდიტრო ნაწარმზე, კაკაოზე, რძეზე და ნაღებზე, ასევე ახალ კონცეტრირებულ და შედედებულ რძეზე, ყველზე, შოკოლადზე და შოკოლადის შემცველ ნაწარმზე, ნაყინზე, რომელიც შეიცავს რძესა და რძის პროდუქტებს, პირუტყვის საკვებსა და ბამბაზე.

იმის და მიხედვით, თუ რამდენად იზრდება ხორცის იმპორტი მიმდინარე წელს და უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, შეიძლება შემოღებულ იქნეს კვოტები საქონლის ხორცზე.

გარდა ამისა, აშშ-ს აქვს ევროკავშირთან შეთანხმებული ორმხრივი კვოტები კანფეტებზე, შოკოლადზე ბლოკებში 4,5 კგ და მეტი, ვაშლის და მსხლის წვენებზე, ლუდზე, არაშუშხუნა ღვინოებზე.

კვოტირებას ექვემდებარება ოზონის ფენის დამშლელი ნივთიერებანი.

ტექნიკური სტანდარტები. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული ბაზრის სამსახურის მიერ დაწესებულია სტანდარტები იმპორტულ საქონელზე ხარისხის, ზომის, სიმწიფის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით ახალი პამიდვრის, ავოკადოს, მანგოს, ლიმონის, ფორთოხლის, გრეიფუტის, მწვანე წიწაკის, ირლანდიური კარტოფილის, კიტრის, ბადრიჯნის, თავიანი ხახვის, ნიგვზის, დამუშავებული ფინიკის, შავი ქლიავის, ყურძნის და ნაღებისათვის.

იგივე სამსახური ადგენს და აკონტროლებს შინაური ფრინველის, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების სტანდარტებს. მათი შემოტანისას ზოგიერთი ქვეყნიდან საჭიროა უცხოური სერტიფიკატი შემოწმების შესახებ.

რიგი საქონლის ხარისხს აკონტროლებს კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველო. ეს პროდუქტები ინსპექტირებას გადიან საბაჟოზე. მათ შორის: რძე, ნაღები, ყველი, ბოსტნეული, ხილი, სასმელები, შინაური ფრინველი, ტელევიზორები, მიკროტალღოვანი

ღუმელები, რენტგენის მოწყობილობა და სხვა რადიოგამომსხივებელი მოწყობილობა და პროდუქტი, წამლები, ადამიანის მოსახმარი ბიოლოგიური პროდუქტები, სამედიცინო მოწყობილობა.

გარდა ამისა, ზოგიერთ საქონელს გაშვების წინ ესაჭიროება ინსპექტირება. ასეთებია: ტროპიკული ხილი, ზოგიერთი სახის ბოსტნეული, თესლი, პირუტყვი, ცხოველური სუბროდუქტები, ხორცი, ხორცპროდუქტები.

კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველო ადგენს პროდუქტების მიერ რადიოგამოსხივების და ქირურგიული ხელთათმანების სტანდარტებს.

კავშირგაბმულობის საშუალებების ფედერალური კომისია (Federal Communications Commission) არეგულირებს რადიომიმღებებისა და ტელევიზორების, რადიოგადამცემი და სხვა რადიოსიხშირული მოწყობილობების საკითხს.

ტრანსპორტის სამინისტროსა და გარემოს დაცვის სააგენტოს დადგენილი აქვთ საკმაოდ მკაცრი ნორმები საწვავში მავნე ნივთიერებების და გამონაბოლქვის მიერ გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის მიზნით. ასევე შემოღებულია მოტოციკლეტების დასაშვები ხმაურის ნორმები.

დადგენილია ტყვიის შემცველობის ნორმები საკვების მოსამზადებლად გამოსაყენებელ ფაიფურის და კერამიკულ ჭურჭელში - 3 მიკროგრამი 1 მლ. ხსნარში სასადილო ჭურჭლისათვის და 2 მიკროგრამი - სამზარეულო ჭურჭლისათვის.

ენერგეტიკის სამინისტროს დადგენილი აქვს სტანდარტული ნორმები და აკონტროლებს ელექტროსაყოფაცხოვრებო მოწყობილობის, მადუღარების, კონდეციონერების, გაზის ქურების ნორმებს.

სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების კომისია (US Consumer Products Safety Commission) ადგენს ტანსაცმლის, ავეჯის და მათი დასამზადებელი ქსოვილების აალებადობის, წვის და წვის დროს მახრჩობელა ნივთიერებების გამოყოფის ნორმებს.

მოთხოვნები საქონლის მარკირებისადმი. აშშ-ში მიღებულია, რომ ქვეყანაში იმპორტირებულ საქონელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინგლი-

სურად მითითებული წარმოშობის ქვეყანა. გარდა ამისა, კვების პროდუქტზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული კომპონენტების ჩამონათვალი.

ამ მოთხოვნისაგან თავისუფლდება ნედლეული და მასალები - ნაწარმი, რომელზეც მათი დაზიანების გარეშე შეუძლებელია წარწერის გაკეთება. მაგალითად, დიდი ოდენობით ღილები, კვერცხები, ლურსმნები, ბოსტნეული, ტყავები და სხვა - ასეთი საქონლისათვის საკმარისია მათი კონტეინერის მარკირება. რკინის და ფოლადის მილები, ინსტრუმენტები და სხვანი შეიძლება იქნეს დადალული ან მარკირებული ჩამოურეცხავი საღებავით. საბაჟო სამსახურს აქვს დეტალური სია იმ საქონლისა, რომლის ქვეყანაში შეტანა შეიძლება წარმოშობის ქვეყნის მინიშნების (მარკირების) გარეშე.

1994 წლის მაისიდან შემოღებულ იქნა წესი, რომლითაც კვების პროდუქტების ეტიკეტებზე აღნიშნული უნდა იყოს: კალორიულობა, ცხიმის, გაჯერებული ცხიმების, ქოლესტერინის, ნატრიუმის შემცველობა.

პესტიციდების შემოტანისას მინიშნებული უნდა იყოს მათი მოხმარების ნორმა, საჭირო დამცველი მოწყობილობა, ტანსაცმელი პესტიციდებით მუშაობისათვის, პერიოდი, რომლის განმავლობაში არ შეიძლება სიარული პესტიციდებით დამუშავებულ ტერიტორიაზე. ნებისმიერი საქონელი, რომელიც შეიცავს ოზონის ფენის დამშლელ კომპონენტებს, შეიტანება ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მასზე წარწერაა გაკეთებული.

აუცილებელია, რომ ყველა კვების პროდუქტი სტანდარტულად იყოს შეფუთული. 1994 წლის მაისიდან სტანდარტიზებულია ასეთი შეფუთვის 150 სახეობა.

საბაჟო გაფორმება. აშშ-ში საქონლის შესატანად საჭიროა საბაჟოს წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები: საბაჟო დეკლარაცია ან დაუყოვნებელი შეტანის ნებართვა; დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს შეტანის უფლებას (ლიცენზია და სხვა); ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი); საჭიროების შემთხვევაში - შეფუთვის ფურცელი; სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის ამერიკის ბაზარზე გაშვების უფლებას (ხარისხის სერტიფიკატები და სხვა). გარდა ამისა, მოითხოვება ან საბაჟო გადასახადის ნაღდი ფულით გადახდა ან აშშ-ს რეზიდენტის გარანტია საბაჟო გადასახადების გადახდის თაობაზე.

თავი II

ვაჭრობის საერთაშორისო სისტემა

1. საერთაშორისო ვაჭრობის გაეროს პრინციპები

ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოწესრიგება ეყრდნობა საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო წესების შემუშავებას, მათ აღიარებას და შესრულებას მოვაჭრე სუბიექტების მიერ.

საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო წესებს შეიმუშავებენ, ადგენენ, ნერგავენ საერთაშორისო ორგანიზაციები და გამოსცემენ ამ წესებს სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების ფორმით. ისეთი საერთაშორისო ორგანზიაციების რაოდენობა, რომლებსაც შეხება აქვთ საერთაშორისო ვაჭრობასთან, სამასამდეა. ბუნებრივია, საქართველო ერთბაშად ვერ გახდება მათი წევრი და ვერ მიუერთდება ყველა კონვენციას, ალბათ, მხოლოდ იმათ, რომლებსაც ჩვენი ქვეყნისათვის რაიმე სასარგებლოს მოტანა შეუძლია.

საერთაშორისო ორგანიზაციები სათავეს იღებენ ისტორიულ წარსულში. ჯერ კიდევ ელინურ სამყაროში ცნობილი იყო საერთაშორისო სამართალი, რომელიც საშუალებას იძლეოდა ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირების სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებისა.

იმ დროიდან მოყოლებული საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის მთავარი მიზანი ხდება სახელმწიფოებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის ქვეყნებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა.

მოტივი, რომელიც უბიძგებს სახელმწიფოს, გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, არის მისი უუნარობა ან სიძნელე, თავისი ძალებით მთელი რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების გადაწყვეტისა და ამ პრობლემების მოგვარების გაადვილება საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული სახელმწიფოების თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში მეორე მსოფლიო ომს ემსხვერპლა და თანამედროვე სახით აღორძინება დაიწყო ორმოციანი წლების მეორე ნახევრიდან.

თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციებს ახასიათებთ ოთხი საერთო ნიშანი:

1. იურიდიული ბაზა - ქარტია, კონვენცია, შეთანხმება;
2. მიზნები, პრინციპები, ფუნქციები - პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, მეცნიერული, ტექნიკური, ჰუმანიტარული, სოციალური, საზოგადოებრივი, კულტურული და ა.შ;
3. წევრები - ქვეყნები, რეგიონული ორგანიზაციები, გაერთიანებები, კავშირები და თავად წევრობის ფორმები: უნივერსალური წევრები, დამფუძნებლები, მიერთებულები, ხელშემკვრელი მხარეები, დამკვირვებლების სტატუსის მქონენი, გადამწყვეტი და სათათბირო ხმის უფლების მქონენი და ა.შ.
4. სტრუქტურა - საერთო კრება, სესია, კონფერენცია, ყრილობა, აღმასრულებელი კომიტეტები, კომიტეტები, კომისიები, სამდივნო და ა.შ;

საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მთავარი და უმნიშვნელოვანესია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ანუ გაერო (UNAITED NATIONS ORGANISATION - UNO).

გაერო შეიქმნა 1945 წლის 24 ოქტომბერს მისი იმ წესდების რატიფიკაციის შედეგად, რომელიც მიიღო 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოს დამფუძნებელმა კრებამ.

ორგანიზაციის მისამართია: United Nations Plaza, New York, NY 10017. USA, ტელ. (1) (212) 963 1234, ფაქსი: (1) (212) 963 4116.

დღეისათვის გაერო წარმოადგენს ძირითადი და დამხმარე ორგანოების სისტემას, რომელშიც ჩამოყალიბებულია 17 სპეციალიზირებული დაწესებულება და მასთან მიერთებული ორი ავტონომიური ორგანიზაცია: ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო და ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ამ დანესებულებათაგან ამ წიგნის თემასთან კავშირშია:

- მსოფლიო სასურსათო პროგრამა. რომი (იტალია);
  ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კომისია (იუნკტადი). ჟენევა (შვეიცარია);
- მსოფლიო სასურსათო საბჭო. რომი (იტალია).

გარდა ამისა, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში არსებობს მთელი რიგი ფუნქციონალური და რეგიონალური კომისიები, მუდმივი და დროებითი კომიტეტები და მუდმივი საექსპორტო ორგანოები, რომელთაგანაც ამ კრებულის მიზნებისათვის უმნიშვნელოვანესია:

- გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT)/ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), ჟენევა (შვეიცარია);
- განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია, ვაშინგტონი (აშშ);
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია, ლონდონი (ბრიტანეთი);
- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მონრეალი (კანადა);
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ვაშინგტონი (აშშ);
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, ვაშინგტონი (აშშ);
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი (აშშ);
- სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი, რომი (იტალია);
- საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო, ვაშინგტონი (აშშ);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სამრეწველო განვითარების საკითხებში (UNIDO), ვენა (ავსტრია);
- გაერთიანებული ერების სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი (იტალია).

2. გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ


გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (General Agreement on Tariffs and Trade GATT) არის მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმება მონაწილე ქვეყნების ურთიერთ ვაჭრობის პრინციპების, ნორმების და წესების შესახებ. ამ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1947 წელს 23 ქვეყნის მიერ და ძალაში შევიდა 1948 წელს. ბოლო წლებში (1994) GATT-ს 128 წევრი ქვეყანა და 50 დამკვირვებელი ჰყავდა. ამ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და კონსულტაციები, მათ შორის არაოფიციალურებიც, ვაჭრობაში ერთობლივი პოლიტიკის გამომუშავების მიზნით.

სხვა ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, GATT-ისათვის დამახასიათებელი იყო არა რაიმე შეკრებაზე შემოღება საერთაშორისო შეთანხმებების, წესების და ნორმებისა, არამედ ხანგრძლივი მრავალწლიანი და თანდათანობითი გატარება ცხოვრებაში სასურველი და პროგრესული იდეებისა. ასე მაგალითად, GATT-ს მიაჩნდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების უპირველესი საშუალებაა ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერების მოხსნა და, ვინაიდან მსოფლიო მასშტაბით ერთობლივად საბაჟო გადასახადებზე საერთოდ უარის თქმაზე შეთანხმება არარეალური იყო, GATT-ი იბრძოდა საბაჟო ტარიფების შემცირებისათვის ეტაპობრივად, რომელთაც რაუნდები ეწოდება.

ქვემოთ მოყვანილია GATT-ის რაუნდები ცხრილის სახით:

რაუნდის რიგითი ნომერი	წლები	რაუნდის დასახელება და ადგილი	განხილული საკითხები	მონაწილე ქვეყნები
I	1947	ჟენევა	ტარიფები	23
II	1949	ანისი	ტარიფები	13
III	1951	ტორკუეე	ტარიფები	38
IV	1956	ჟენევა	ტარიფები	26
V	1960-61	ჟენევა (დილონის რაუნდი)	ტარიფები	26
VI	1964-67	ჟენევა (კენედის რაუნდი)	ტარიფები, ანტიდემპინგური ზომები	62
VII	1973-79	ჟენევა (ტოკიოს რაუნდი)	ტარიფები, არასატარიფო ზომები, "ჩარჩო შეთანხმებები"	102
VIII	1986-94	ჟენევა (ურუგვაის რაუნდი)	ტარიფები, არასატარიფო ზომები, მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრება, დაავების გადაწყვეტა, საფეიქრო მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მსო-ს ჩამოყალიბება და ა.შ.	123

GATT-ის რაუნდების საერთაშორისო ეფექტი მსოფლიოში საბაჟო ტარიფების შემცირების და მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის გაზრდაში ნათლად ჩანს შემდეგი დიაგრამიდან:



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რიგით მეექვსე რაუნდისათვის მიღებული იქნა გადაწყვეტილება 1968-72 წლებში მსოფლიოში მომხდარიყო სამრეწველო საქონელზე საბაჟო გადასახადების შემცირება 35-37%-ით. ამ რაუნდს მისი სულისჩამდგმელის საპატივცემულოდ კენედის რაუნდი ეწოდა. შემდეგი, მეშვიდე „ტოკიოს რაუნდის" შედეგად საშუალოდ საბაჟო გადასახადები 1980 წლისათვის უნდა შემცირებულიყო 5%-მდე. „ტოკიოს რაუნდის" მონაწილე ქვეყნების დიდმა ნაწილმა შეთანხმება არ შეასრულა. მეორე ნაწილმა კი ის თითქოს შეასრულა, მაგრამ „დანაკარგის" კომპენსაციის მიზნით გაამკაცრა არასატარიფო შეზღუდვები (ფასიანი ლიცენზიებისა და კვოტების სისტემით). 1986 წელს დაიწყო „ურუგვაის რაუნდი" (ქალაქი პუნტა-დელესა), რომელშიც მონაწილეობდა 107 ქვეყანა. GATT-ი იძულებული გახდა შეერბილებინა თავისი მკაცრი ნორმატივი (როგორც ზემოთ ვთქვით, საშუალოდ საბაჟო გადასახადის 5%-მდე დაყვანა), რათა ის აღსრულებადი გამხდარიყო.

ადრე GATT-ის სტრატეგიული მიზნების განხორციელების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ცნობილი **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი** (most favoured nation treatment), რომელიც დაფიქსირებული იყო GATT-ის პირველივე მუხლში და აღიარებდა GATT-ის წევრ ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რაც გამოიხატებოდა საკმაოდ ორიგინალურად: GATT-ის წევრები იღებდნენ ვალდებულებას საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაციების, უცხოური საქონლის რეალიზაციის, ან საერთაშორისო ინვესტიციების განხორციელებისას არ შეექმნათ GATT-ის წევრი ქვეყნებისათვის იმაზე ნაკლებად ხელშემწყობი რეჟიმი, რომელსაც უქმნიდნენ ეს სახელმწიფოები ლიბერალური საგარეო ეკონომიკის, შეღავათიანი გადასახადების, დაბალი განაკვეთების, საბაჟო ფორმალობების გამარტივების, ან რაიმე სხვა სახით ნებისმიერ სხვა ქვეყანას. ამრიგად, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ წარმოადგენდა რაიმე კონკრეტულ ხელშემწყობ პირობებს, არამედ იყო არადისკრიმინაციული ნორმა, რომლითაც ხდებოდა მოვაჭრე პარტნიორების (სახელმწიფოების თუ კომერსანტების) და მათი საქონლის გათანასწორუფლებიანობა. აქედან გამომდინარე: **არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება მიანიჭოს სხვა ქვეყანას უპირატესობა ვაჭრობაში ან გამოიყენოს დისკრიმინაციული მეთოდები სხვა ქვეყნის წინააღმდეგ; ყველა**

ქვეყანა სარგებლობს თანასწორი უფლებებით და თანაბრად იყენებს სავაჭრო ბარიერების გაუქმებისაკენ მიმართული ღონისძიებების შედეგებს.

GATT-ის მესამე მუხლში ასახული იქნა კიდევ ერთი არადისკრიმინაციული ნორმა, რომელიც ცნობილია „ეროვნული რეჟიმის" სახელით და მოითხოვს, რომ იმპორტული საქონლისათვის შექმნილი იქნეს რეალიზაციის იგივე პირობები, რაც სამამულო წარმოების საქონლისათვის.

ასეთი გათანაბრება საკმაოდ ამაღლებდა GATT-ის ავტორიტეტს და ეხმარებოდა მას საბაჟო ბარიერების თანდათანობით დაბლა დაწევაში. საკმარისია ითქვას, რომ GATT-ის დაარსებიდან 1962 წლამდე მსოფლიოში საშუალოდ საბაჟო გადასახადების განაკვეთები ორჯერ შემცირდა. შემდგომში საბაჟო ტარიფების გლობალური შემცირების ტენდენციამ იკლო. ასეთ შემცირებებს წინააღმდეგობას უწევდნენ განვითარებადი და განუვითარებელი ქვეყნები, რომლებიც თვლიდნენ, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მოვაჭრე სუბიექტების გათანასწორებით წყალს ასხამდა განვითარებული ქვეყნების წისქვილზე, რადგან დაბალი საბაჟო ბარიერები ხელს უწყობდნენ განვითარებული ქვეყნების საქონლით მათი შიგა ბაზრის გაჯერებას და ეს იწვევდა ეროვნული მრეწველობის დაცნინებას, ჩაკვდომას, ქვეყნის გალარიბებას ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით, მაშინ როცა თავად განვითარებადი და განუვითარებელი ქვეყნები თავიანთი საქონლის ნაკლებად კონკურენტუნარიანობის გამო ვერ შეძლებდნენ ადეკვატური შედეგის მიღებას.

განვითარებული ქვეყნები, რათა შეენარჩუნებინათ ბაზრები განვითარებად და განუვითარებელ ქვეყნებში, იძულებული იყვნენ ცალმხრივად გაეტარებინათ ტარიფების უპირატესად შემცირების პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო აშშ და მისი პრეზიდენტი კენედი, რის გამოც, როგორც ზემოთ ითქვა, GATT-ის ფარგლებში მოლაპარაკების მეექვსე რაუნდს „კენედის რაუნდი" დაერქვა, რომლითაც 1968-72 წლებში სამრეწველო საქონელზე საბაჟო გადასახადები უნდა შემცირებულიყო 35-37%-ით, თანაც უპირატესად განვითარებული ქვეყნების მიერ. სამწუხაროდ, ცალკეული ქვეყნების ინტერესები თანდათანობით წინააღმდეგობაში მოვიდა რეგიონული ინტეგრაციული ჯგუფების სურვილთან, რათა მოეხსნათ ურთიერთშორის საბაჟო ბარიერები. ამით ქვეყანა იძულებული ხდებოდა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციული კავშირის წევრ

ქვეყანასთან ჰქონოდა ერთი შეღავათიანი (თუნდაც საერთოდ უბაჟო რეჟიმი) და დანარჩენებთან - სხვა, ჩვეულებრივი, ანუ იგი ვერ უზრუნველყოფდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დაცვას. ასეთ წინააღმდეგობას აწყდებოდა MFN-ის მხრიდან სახელმწიფო ორმხრივი ხელშეკრულებების დადებისას, როცა სურდათ დაეფიქსირებინათ ერთმანეთის საქონლისათვის ხელშეწყობის პირობები.

ყველაფერმა ამან გამოიწვია GATT-ის წესდების პირველ მუხლში სერიოზული, პრაქტიკულად მისი და საბოლოო ჯამში GATT-ის შინაარსის შემცვლელი ცვლილებები, რომლითაც MFN-ის რეჟიმში არ ითვალისწინებდნენ იმ უპირატეს ხელშეწყობას, რაც უნდა გამოეჩინათ ქვეყნებს განვითარებად სახელმწიფოთა ვაჭრებისა და მათი საქონლის მიმართ და ასევე შეექმნათ საუკეთესო სავაჭრო პირობებით სარგებლობის შესაძლებლობანი იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც თავისი სავაჭრო მოცულობის სიმცირის გამო ვერ მოახდენდნენ გავლენას გლობალურ ეკონომიკურ მოვლენებზე. უპირატესი შეღავათების გაწევა საჭირო გახდა აგრეთვე საბაჟო კავშირებზე და თავისუფალი ვაჭრობის ზონებისათვის.

GATT-ის საქმიანობაში საქართველოს და მის კომერსანტებს, ბუნებრივია, მონაწილეობა არ მიუღიათ და ამიტომ ეს საქმიანობა არც იქნებოდა ჩვენთვის საინტერესო, რომ არა იმის აღიარება, რომ სწორედ GATT-მა ჩამოაყალიბა ის სავაჭრო გარემო, რომელშიც ჩვენ ჩავერთეთ.

მსოფლიო ბაზარზე საქართველო „თავისუფალი ვაჭრობის" კონცეფციის თვალსაზრისით სავსებით კეთილსინდისიერად შევიდა, რადგან მის საბაჟო პრაქტიკაში არ გამოიყენება არასატარიფო რეგულირების ისეთი დაგმობილი ფორმებით, როგორიცაა საქონლის კვოტირება და ლიცენზირება, მაშინ როცა საკუთარი ბაზრის დაცვის მიზნით ამას არ თაკილობენ განვითარებული ქვეყნებიც კი, რომლებსაც ასეთის მიზერული საშიშროება ელით. ამის მაგალითები საკმაოდაა მოყვანილი წინა ქვეთავში.

ამავე მიზანს, არც თუ იშვიათად, ემსახურება იმპორტის შეზღუდვისათვის გამოყენებული ხარისხის, შეფუთვის და სერტიფიცირების ძალიან მაღალი ნაციონალური ნორმები.

GATT-ის მიერ შექმნილ საერთაშორისო ვაჭრობის საბაჟო-სატარიფო რეგულირების პოლიტიკაში დიდი ხანია შემუშავებული იყო მეთოდები,

რომლებიც აცილებდნენ ქვეყნებს ზარალს საქონლის ფასების შეგნებულად დაბალ დონეზე დეკლარირების გამო. საქართველოში რატომღაც დაგვიანდა ამ მოვლენასთან ბრძოლის ცნობილი ხერხების მეთოდური ჩამოყალიბება, სამართლებრივად გაფორმება და ცხოვრებაში დანერგვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის GATT-ის წესდებაში, პრინციპებში და ამოცანებში შეიქმნა ისეთი დიდი თვისობრივი ცვლილებების შეტანის ობიექტურად აუცილებელი მოთხოვნილება, რომ 1993 წლის 15 დეკემბერს ჟენევაში, როგორც „ურუგვაის რაუნდის" დასასრული, მიღებული იქნა გადაწყვეტილება GATT-ის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად (WTO-დ) გადაქცევისა.

3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - WTO

1994 წლის 15 აპრილს ქალაქ მარაკეშში (მაროკო) GATT-ის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს ე. წ. „მარაკეშის დეკლარაცია", რომლის საფუძველზეც 1995 წლის 1 იანვარს დაფუძნდა **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - WTO.**

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - WTO არის მრავალმხრივი სავაჭრო სისტემების სამართლებრივი და საინსტიტუციო საფუძველი, რომელიც დახმარებას უწევს ქვეყნებს განსაზღვრონ და ცხოვრებაში გაატარონ შიგა სავაჭრო კანონმდებლობა. ამასთანავე, ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას კოლექტიური დისკუსიების, მოლაპარაკებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ბაზაზე.

სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სწორედ WTO იქნება მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობის მომწესრიგებელი და კოორდინატორი.

ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ 152 პოტენციური წევრი ქვეყნიდან 76 სახელმწიფო WTO-ში მისი შექმნის პირველ დღესვე გაწევრიანდა. 50-მდე ქვეყნის გაწევრიანება დაყოვნდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ეროვნული კანონმდებლობით აუცილებელი იყო მათი პარლამენტების მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცედურა. თუ 1994 წლის მონაცემებით 128 ქვეყანა იყო GATT-ის წევრი, ამჟამად WTO-ს წევრია 135 ქვეყანა.

WTO-ს შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში: Centre William - Rappard Rue de Lausanne, 154 CH - 1211 Geneve 21 Schweiz/Suisse ტელ. (41) (22) 739 5111, ფაქსი: (41) (22) 739 5458.

WTO-ს ფუნქციებია:

- მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების ზედამხედველობა და განხორციელება;
- მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების წარმართვა;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა;
- ქვეყნის შიგა სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა;

მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

WTO-ს ახასიათებს რამდენიმე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავებული თავისებურება. უპირველესია მათ შორის ის, რომ WTO-ს ხელშეკრულება არ წარმოადგენს რაიმე დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც შექმნილია ეს ორგანიზაცია. WTO ითვლება GATT-ის მემკვიდრედ და ითავისებს და ეყრდნობა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც დაუდია GATT-ის ან დადებულა მის ფარგლებში. ამიტომ WTO-ს ხელშეკრულება 29 დოკუმენტის პაკეტია, რომლებიც მოიცავენ სოფლის მეურნეობისა და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმით დაწყებული და დამთავრებული სამთავრობო შესყიდვებთან, მომსახურებასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საკითხებით.

გარდა ამისა, ამ პაკეტში შედის მინისტრების დონეზე შესრულებული 25-ზე მეტი დეკლარაცია, გადაწყვეტილება და შეთანხმების ოქმი, რომლებითაც წევრი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულებას. მიუხედავად ამ და სხვა მემკვიდრეობით მიღებული დოკუმენტების სიმრავლისა, შესაძლებელია იმ ძირითადი პრინციპების გამოყოფა, რომლებიც გათვალისწინებულია ყველა ამ დოკუმენტში ამა თუ იმ ფორმით და, საბოლოო ჯამში, აყალიბებს მსოფლიო სავაჭრო სისტემის მთავარ პრინციპებს:

1. **ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე;**
2. **ქვეყნების ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარზე;**

3. კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება;
4. ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების ხელშეწყობა.

ვაჭრობაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო GATT-ის დებულებებისა და ღონისძიებების შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი (MFN, „ეროვნული რეჟიმი" და სხვა), რომელიც გარკვეული მოდერნიზაციის შედეგად ახლა განახლებული ვერსიის სახითაა წარმოდგენილი (რომელსაც „GATT-1994"-ის სახელით იცნობენ). არსებობს ანტიდისკრიმინაციული სხვა სფეროებიც. მაგალითად: ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (TRIPS), გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS) და სხვა. ამას გარდა, WTO-ს განკარგულებაში გადმოსული დოკუმენტები მოიცავენ წესებს პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების შესახებ, გადაზიდვამდე საქონლის ინსპექტირების წესებს, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინვესტიციების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების დოკუმენტებს და სხვა.

ქვეყნების საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა თავად ამ ქვეყნის WTO-ში გაწევრიანებაც. თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობისათვის, როგორც წესი, საკმარისია სურვილი, დეკლარაციის, კონვენციის, ხელშეკრულების თუ წესდების აღიარება, ზოგ შემთხვევაში გაეროს წევრობა ან გარკვეული ფულადი შენატანი, WTO-ში გაწევრიანებისათვის საჭიროა წევრობის მსურველი ქვეყანა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს და იღებდეს გარკვეულ ვალდებულებებს. WTO-ს ხელშეწყობით საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში არსებულ სატარიფო და საბაჟო სისტემას. WTO-ს წესებით აკრძალულია წევრ ქვეყნებში ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების სისტემის გამოყენება. მიზანშეწონილი იქნებოდა გაუქმებულიყო საბაჟო ტარიფებიც, მაგრამ ტარიფები მაინც არსებობს, თუმცა WTO-ს წესებით ეს ტარიფები უნდა იყვნენ „მიბმულნი", რაც ნიშნავს, რომ WTO-ში გაწევრიანებული ან წევრობის მსურველი ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას არ გაზარდოს სატარიფო განაკვეთები, ან არ გააკეთოს ეს ძირითადი სავაჭრო პარტნიორისაგან კომპენსაციის გარეშე. უმეტესად ეს ეხება ისეთ სიტუაციას, როცა ქვეყანა შედის რომელიმე საბაჟო კავშირში, რომელსაც შემოაქვს ერთიანი განაკვეთები თითოეული საქონლის მიმართ და შეიძლება ამასთან

დაკავშირებით თავისთავად მოხდეს რომელიმე საქონელზე საბაჟო ტარიფის გაზრდა. ასეთ შემთხვევაში WTO ითვალისწინებს სათანადო კომპენსაციის თაობაზე მოლაპარაკებების გამართვის აუცილებლობას.

GATT-ის დაარსებიდან სავაჭრო მოლაპარაკებების შვიდი რაუნდის შედეგად ტარიფების საშუალო განაკვეთების საგრძნობლად შემცირებამ (ზოგიერთ კატეგორიაში ნულოვან დონემდეც კი) ხელი შეუწყო მსოფლიო მასშტაბით **ალებ-მიცემობის** ინტენსიურ ზრდას. მარტო ურუგვაის რაუნდის დროს დაახლოებით 120-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა დოკუმენტებს ტარიფების საყოველთაო შემცირების თაობაზე. ეროვნულ სატარიფო ცხრილებში „ბმულმა" ტარიფებმა (რომლების მიმართ სახელმწიფოებმა ივალდებულეს, რომ მომავალში შეამცირებენ, ან ყოველ შემთხვევაში არ დაუშვებენ მათ გაზრდას) 22500 გვერდიანი ნუსხა შეადგინა.

განვითარებული ქვეყნები WTO-ს წევრად გახდომისას პირობას დებენ, რომ ეტაპობრივად, ხუთი წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციაზე შეამცირებენ სატარიფო განაკვეთებს 40%-ით, რაც ნიშნავს, რომ დღეს ამ ქვეყნების საშუალო ტარიფები 6,3%-დან შემცირდება საშუალოდ 3,8%-მდე და იმ იმპორტირებული სამრეწველო პროდუქციის რაოდენობას, რომლებიც საერთოდ არ ექვემდებარებიან დაბეგვრას, მთელი იმპორტის 20%-დან 40%-მდე გაზრდიან.

ურუგვაის რაუნდის დროს GATT-ის მოთხოვნით წევრმა ქვეყნებმა გააუქმეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არასატარიფო შეზღუდვები, რის შედეგად ისეთ პროდუქციაზე, რომელიც წარსულში იზღუდებოდა კვოტებით და იმპორტზე სხვადასხვა შეზღუდვებით და წარმოადგენდა პროდუქციის 30%-ს, მთლიანად მოიხსნა. WTO ძალაში ტოვებს ურუგვაის რაუნდის ხელშეკრულებას და ავალდებულებს წევრ ქვეყნებს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მოახდინონ მათი განაკვეთების შეუქცევადი და თანმიმდევრული შემცირება.

რამდენადაც მომსახურების სფეროში ექსპორტ-იმპორტი არ ითვალისწინებს სასაზღვრო დაბეგვრას, ეს სფერო GATT-ის ყურადღების მიღმა რჩებოდა, მაგრამ WTO-ს თაოსნობით მთავრობებმა შეიმუშავეს მომსახურების სფეროს სპეციალური ვალდებულებების პაკეტიც. ეს ვალ-

დებულებები, ისევე როგორც ტარიფებთან დაკავშირებული ვალდებულებები, შეტანილია ეროვნულ პროგრამებში. მათი სრულყოფა დაგეგმილია მომავალში მომსახურების სფეროსთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს.

WTO მიზნად ისახავს ინვესტირებისა და ვაჭრობების პირობების პროგნოზირებას და ამიტომ მაქსიმალურად უზღუდავს ქვეყნებს თამაშის წესების თვითნებურად შეცვლის მცდელობას.

WTO-ს პროგნოზირებადი სავაჭრო გარემოს შექმნის პირობად მიაჩნია ადგილობრივი კანონმდებლობების, დადგენილებების, სტატისტიკური მონაცემების, WTO-სთან ოფიციალური მიმოწერის საჯაროობა და ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის, ანალიზის და საჭირო შემთხვევაში საჯარო კრიტიკის საშუალებით მასზე ზედამხედველობა, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე.

მრავალმხრივი სავაჭრო სისტემების ჩამოყალიბებით და მათში ინტეგრაციის მეშვეობით (რისი გამოხატულებაც არის WTO-ს წევრობა) სახელმწიფოები ცდილობენ მეწარმეებს, კომერსანტებს, მომხმარებლებს, გადამზიდველებს, ბანკებს, ინვესტორებსა და სახელმწიფო მოხელეებს შეუქმნან იმგვარი სამუშაო გარემო, რომელიც წაახალისებს ვაჭრობას, ინვესტირებას, შექმნის სამუშაო ადგილებსა და განაპირობებს დაბალ საბაზრო ფასებს.

კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება WTO-ს სავაჭრო სისტემის ერთ-ერთი პრინციპია. აქაც ვლინდება WTO-ს თავისებურება, რომელიც განასხვავებს მას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ WTO საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციას პირობად უდებს გარკვეულ „იძულებას", რათა წევრმა ქვეყნებმა თუნდაც სატარიფო პოლიტიკაში ივალდებულონ დაემორჩილონ WTO-ს გარკვეულ კონკრეტულ ნორმებს. კეთილსინდისიერი სავაჭრო გარემოს შესაქმნელად WTO ითვალისწინებს დისკრიმინაციული, დემპინგური და სხვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევებში საკომპენსაციო თანხების გადახდის მოთხოვნებს, რაც შეგვიძლია „დაჯარიმების" ფორმად ჩავთვალოთ. ასეთივე სანქციებია ჩადებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობის (TRIP) და მომსახურებითი ვაჭრობის შესახებ გენერალურ შეთანხმებაში (TS).

ამას გარდა, WTO ხელმძღვანელობს თავისებური კეთილსინდისიერი ქცევის კოდექსებით - მემორანდუმით დავების დარეგულირების წესების შესახებ (Understanding on Rules and Procedure Cohering the Settlement of Disputes) და სავაჭრო პოლიტიკის გადახედვის მექანიზმით (Trade Policy Review Mechanism).

ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების ხელშეწყობის პრინციპის განხორციელება განსაკუთრებით ეფექტური იყო 1986-1993 წლებში, როცა 60-ზე მეტმა ქვეყანამ განახორციელა ვაჭრობის რეფორმები და „თავისუფალი ვაჭრობის" პროგრამები. განვითარებული ქვეყნების სატარიფო პოლიტიკის უპირატესად ლიბერალიზაციამ WTO-ს შეფასებით ფაქტიურად შეცვალა შეხედულება, რომ GATT-ის სავაჭრო სისტემა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მიერ იქნა შექმნილი და მხოლოდ მათ ემსახურებოდა. შეიცვალა ის პირობაც, რომლითაც განვითარებადი ქვეყნები არ დაიშვებოდნენ GATT-ის ზოგიერთ ხელშეკრულებებში და პროგრამებში მონაწილეობისათვის. WTO-ს აზრით, თუმცა განვითარებადი ქვეყნები დღეს უკვე მზად არიან იკისრონ WTO-ს ყველა პირობის შესრულება, ამ ქვეყნებს ადაპტაციისათვის მიეცათ გარკვეული დრო, ხოლო მათ შორის უმცირესი შემოსავლის მქონეებს - დამატებითი შეღავათებიც და დახმარებაც.

იმავე დროს საბაჟო ტარიფები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის დონეს. კერძოდ, საქართველოს WTO-ში გაწევრიანების პირობად დადებული იქნა მოთხოვნა, რომ მოხდებოდა საქართველოს საბაჟო გადასახადების განაკვეთების მაქსიმალური ჰარმონიზაცია WTO-ს მოთხოვნებთან. გაწევრიანების თაობაზე გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებები. ასევე, როგორც წესი, საქართველო მოითხოვდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეულ დათმობებს ამა თუ იმ სასაქონლო ჯგუფებზე ბმულ ტარიფებში.

მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმებული განაკვეთები დაფიქსირდა "ბმული ტარიფების" ცხრილებში, რომლებიც წარმოადგენს WTO-ში გაწევრიანების ოქმის განუყოფელ დანართს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ WTO-ში გაწევრიანებამდე საქართველოში მოქმედებდა ფაქტობრივად უნიფიცირებული განაკვეთი -

12%, ზოგიერთ საქონელზე 5%-იანი შეღავათიანი განაკვეთით, WTO-ში შესვლის შემდეგ დაფიქსირდა დიფერენცირებული განაკვეთები ფართო დიაპაზონში - 0%-დან 30%-მდე.

საერთო ჯამში WTO-ს წევრობა, ერთის მხრივ, ფართოდ უღებს კარს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პროდუქციას და, იმავე დროს, უქმნის კარგ პირობებს უცხოურ საქონელს საქართველოს ბაზარზე, დაბლა იწევს ბარიერები თავისუფალი კონკურენციის გზაზე, ქვეყანა გადადის შეღავათიანი გარდამავალი პერიოდიდან თავისი უნარის, ეკონომიკური პოტენციალის, ქართველ მეწარმეთა კომერციული ფხის სერიოზული გამოცდისა და მსოფლიო სავაჭრო სისტემაში დამკვიდრების ეპოქაში.

WTO-ს 135 წევრიდან 98 განვითარებადი ქვეყანაა. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან 1998 წლის ოქტომბერში WTO-ში გაწევრიანდნენ ყირგიზეთი და ლატვია. 1999 წლის მაისში WTO-ს წევრი გახდა ესტონეთი. დღეისათვის თურქმენეთისა და ტაჯიკეთის გარდა ყველა პოსტსაბჭოური ქვეყანა WTO-ში დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს.

საქართველო 1995 წლის 1 იანვრიდან GATT-ის წევრი იყო, 1996 წლის 26 ივნისიდან მოიპოვა WTO-ში დამკვირვებლის სტატუსი, 2000 წლის 14 ივნისიდან გახდა WTO-ს სრულუფლებიანი წევრი შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერით.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში WTO-ში გაწევრიანების მოსალოდნელი დადებითი ფაქტორები იმდენად დიდია, რომ ობიექტურად საქართველოს WTO-ში გაწევრიანებას სხვა გონიერი ალტერნატივა არ აქვს, მაინც არსებობს საფრთხე იმისა, რომ საერთო ჯამში საბაჟო ტარიფების დაბლა დაწევამ, როგორც WTO-ს წევრობის პირობამ, შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი სამამულო მწარმოებლის ინტერესების შელახვა მოჭარბებულ იმპორტთან კონკურენტუნარობის გამო. თანაც, ასეთი უარყოფითი შედეგის მიზეზი ყოველთვის არ იქნება საქართველოს მეწარმეთა უნიათობა, არამედ წმინდა ობიექტური მიზეზებიც (მაგალითად, საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად საკმარისი სასტარტო კაპიტალის არქონა).

ასეთი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად საქართველომ უალრესად გონივრულად და ბოლომდე გათვლილად უნდა გამოიყენოს ის შეღავათები, რომელიც გაეწია საქართველოს WTO-ს მიერ და რომლითაც

ქვეყანას შეუძლია დროებით გაზარდოს თავის მოქმედ (12%-იან) ტარიფებთან შედარებით განაკვეთები ზოგიერთ საქონელზე, ან დააწესოს იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები, საგადასახადო ბალანსის საჭიროებიდან გამომდინარე, და ოპტიმალურად გამოიყენოს მისთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის, მინიჭებული ადაპტაციის უფრო გრძელვადიანი პერიოდი.

დავაფიქსიროთ WTO-ს სტრუქტურა:

1. **მინისტრების კონფერენცია (ყოველ ორ წელიწადში ერთხელ).**
2. **საერთო საბჭო:**
   - შემთანხმებელი კომიტეტი;
   - სავაჭრო პოლიტიკის გადახედვის კომიტეტი (Trade Policy Review Mechanism, TPRM): მინისტრების კონფერენციის შეთანხმებისა და გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი, WTO-ს ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კომპლექსის გადაწყვეტისათვის პასუხისმგებლობა, დამხმარე ორგანოების. შექმნა.
3. **დამხმარე ორგანოები:**
   - საბჭო მომსახურების საკითხებში;
   - საბჭო საქონლის საკითხებში;
   - საბჭო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სავაჭრო ასპექტში (Trade Related Aspects of Intellectual Property Rights, TRIPS);
   - ვაჭრობისა და განვითარების კომიტეტი;
   - საბიუჯეტო საკითხების კომიტეტი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია (United National Commission on International Trade Law). მისი შექმნა გაერომ გადაწყვიტა 1966 წელს და აამუშავა 1968 წლის 1 იანვრიდან. კომისიაში შედის 36 ქვეყნის წარმომადგენელი. კომისიის შტაბ-ბინა იმყოფება ვენაში. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩვენს ჩამონათვალში „იუნისტრალი"-ს ადგილი განაპირობა ამ კომისიის მიერ 1980 წელს მომზადებულმა და ჩატარებულმა კონფერენციამ, რომელმაც მიიღო ვენის კონვენციის სახელით ცნობილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ. „იუნისტრალი"-ს მოღვაწეობა, ბუნებრივია, ამ დოკუმენტით არ ამოიწურება. 1968 წელს „იუნისტრალმა" გამოაქვეყნა საერთაშორისო ვაჭრობის

უნიფიცირებული სამართლის კრებული, რომლითაც მას შემდეგ ყოველწლიურად აქვეყნებს დამატებებს. 1976 წელს გაეროს დაამტკიცა „იუნისტრალის“ საარბიტრაჟო რეგლამენტი, 1980 წელს გაეროს მიიღო იმავე კომისიის მიერ მომზადებული შეთანხმებული რეგლამენტი, 1985 წელს ტიპიური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ; 1988 წელს - კონვენცია საერთაშორისო გადარიცხვების თამასუქების და საერთაშორისო უბრალო თამასუქების შესახებ; 1987 წელს - სამართლებრივი სახელმძღვანელო თანხების ელექტრონული გადარიცხვებისათვის. მნიშვნელოვანია აგრეთვე 1980 წელს მიღებული კონვენცია შერეული ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ.

საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო წესების შემოღებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სავაჭრო პალატას. გაეროს წესდებით მას აქვს საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი, მაგრამ მისი მთელი რიგი რეკომენდაციები იმდენად ფასეულია, იმდენად უწყობს ხელს საერთაშორისო ვაჭრობას და ამარტივებს მას, რომ მთელი რიგი ქვეყნები და მოვაჭრე სუბიექტები საერთაშორისო სავაჭრო პალატის დოკუმენტებს აღიქვამენ როგორც საერთაშორისო წესებს და, ზოგჯერ ეროვნულ კანონებშიც აფიქსირებენ მათ ნორმებს.

ამ პალატის მიერ გამოცემულია „სავაჭრო ტერმინების განმარტებების საერთაშორისო წესების - „ინკოტერმსის“ უკანასკნელი (1990 წლის) რედაქცია - „ინკოტერმს-90“.

არიან ქვეყნები (ესპანეთი, ერაყი), რომლებშიც „ინკოტერმს“-ს სახელმწიფო კანონის სტატუსი მიანიჭეს და ძირითად საშუალებად გაიხადეს მოწოდების პირობების განსაზღვრისას. საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციაში „ინკოტერმსი“ აღიარებულია საერთაშორისო ჩვეულებად. ბევრ სხვა ქვეყანაში მას არა მარტო რეკომენდაციას უწევენ, არამედ აღიარებენ სასამართლო გარჩევებისას.

ბანკების საერთაშორისო ასოციაციის და 175 ქვეყნის ბანკის მიერ აღიარებულია „უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები დოკუმენტური აკრედიტივებისათვის“ და ასეთივე უნიფიცირებული წესები „ინკასოს“ თაობაზე.

საერთაშორისო ვაჭრობის წესების დასადგენად მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო დოკუმენტები „სუფთა კონოსამენტის პრობლემები", „კომერციული წარმომადგენლობა", „უნიფიცირებული წესები შერეული სატრანსპორტო გადაზიდვების დოკუმენტაციისათვის", „კომერციული გარიგებისას მექრთამეობის და გამოძალვის შესახებ", „საგადასახადო გარანტიების უნიფიცირებული წესები", „ფორს-მაჟორისა და გართულებული პირობების შესახებ" (Force-Majeure and Hardship), „კომპიუტერული კავშირით სავაჭრო მონაცემების საერთაშორისო გადაცემების უნიფიცირებული წესები" და სხვა. ყველა ეს და სხვა დოკუმენტი ქართულად მთარგმნელსა და გამომცემელს ელოდება. ბუნებრივია ყველა მათ ეს წიგნი ვერ დაიტევდა და ჩვენ მათგან მოვიყვანეთ მხოლოდ ზოგიერთი, რომლებიც, ჩვენის აზრით, საშუალებას მოგვცემდნენ გაგვეშუქებინა საგარეო ვაჭრობის პროცესი.

ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების და მათი დაზღვევის წესები რეგულირდება დარგობრივი საერთაშორისო კონვენციებით და შეთანხმებებით, რომელთა შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ, შესაბამის თავებში. იგივე ეხება საერთაშორისო ვაჭრობის საბანკო უზრუნველყოფას. მანამდე საჭიროა ამთავითვე და შემდგომშიც გავმიჯნოთ და განვასხვავოთ ცნებები „მსოფლიო ბანკი" და „საერთაშორისო სავალუტო ფონდი", რასაც ამ ინსტიტუტების მსგავსების გამო ხშირად აიგივებენ ან ერთმანეთში ურევენ.

მსოფლიო ბანკი აერთიანებს ოთხ ინსტიტუტს:

- **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს** (EBRD), რომელიც ჩამოყალიბდა გაეროს შემადგენლობაში ჯერ კიდევ 1945 წელს;

- **საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას** (UFC), რომელიც შეიქმნა 1956 წელს;

- **განვითარების საერთაშორისო ასოციაციას** (AID), რომელიც შეიქმნა 1960 წელს;

- **მრავალმხრივ საერთაშორისო სააგენტოს საინვესტიციო გარანტების საკითხებში** (MIGA), რომელიც დაფუძნდა 1988 წელს.

მსოფლიო ბანკი ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს გრძელვადიანი პროექტების და პროგრამების დაფინანსებით, რათა უზრუნველყონ ამ ქვეყნებში წარმოების ზრდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი აკონტროლებს მსოფლიოს სავალუტო სტაბილურობას, მეურვეობს ფონდის წევრი ქვეყნების ქცევას საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ქვეყნებს ეროვნული ვალუტის გამყარებაში კრედიტების საშუალებით.

ურუგვაის რაუნდის მსვლელობისას ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებები განიცადა საბაჟო თანამშრომლობის საბჭომაც (Customs Cooperation Council) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მსგავსად მას ეწოდა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (World Customs Organisation).

თავი III

საბაჟო ორგანოების ორგანიზაცია და მართვა

1. საბაჟო საქმის ორგანიზაცია

საბაჟო საქმის ორგანიზაციის ძირითადი საკითხებია:

ა) **საბაჟო სამსახურის ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევა;**

ბ) **საბაჟო სამსახურის რაციონალური განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;**

გ) **საბაჟო სამსახურის, როგორც საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.**

საბაჟო ორგანოების ერთიანობის პრინციპი ეფუძნება:

ა) **ერთიან საბაჟო პოლიტიკას;**

ბ) **ერთიან საბაჟო ტერიტორიას;**

გ) **ერთიან საბაჟო კანონმდებლობას;**

დ) **ექსპორტ-იმპორტის რეგულირების ერთიან სახელმწიფო მექანიზმს;**

ე) **ეკონომიკური პოლიტიკის ერთიან ღონისძიებებს.**

ამ პრინციპებიდან გამომდინარე საბაჟო ორგანოები სახელმწიფოში ქმნიან **ერთიან საბაჟო სივრცეს**.

საბაჟო ორგანოების ერთიან სისტემას ქმნიან: საბაჟო დეპარტამენტი (კომიტეტი), რეგიონული საბაჟო სამმართველოები, საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები და გამშვები პუნქტები.

თითოეული მათგანი წარმოადგენს **საბაჟო ორგანოს** და აქვს **სამართალდამცავი ორგანოს სტატუსი**.

საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემა წარმოადგენს საბაჟო ორგანოების ერთობლიობას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთკავშირს და გულისხმობს ერთობლივ მოქმედებას საბაჟო საქმის განხორციელებისას.

საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემა, როგორც საერთოდ ნებისმიერი ერთიანი სისტემა, ემყარება **ზოგად სისტემურ პრინციპებს:**

მთლიანობის პრინციპი გამოიხატება საბაჟო ორგანოების ურთიერთკავშირსა, ურთიერთდამოკიდებულებასა და თანამშრომლობაში ერთიანი ფუნქციონალური მიზნის მისაღწევად;

სტრუქტურულობის პრინციპი გამოიხატება საბაჟო სისტემის აგებულობაში, რომლის მიხედვით საბაჟო ორგანოები საბაჟო საქმის განხორციელებისას მოქმედებენ ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში;

იერარქიულობა გამოიხატება საბაჟო ორგანოებს შორის ვერტიკალურ სუბორდინაციაში და ჰორიზონტალურ კოორდინაციაში, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია საბაჟო საქმეში თითოეული საბაჟო ორგანოს უფლებამოსილებებსა და ფუნქციებზე;

სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის პრინციპი გულისხმობს საბაჟო ორგანოების მუდმივ კავშირს, თანამშრომლობას უმაღლეს და ადგილობრივ ხელისუფლების სტრუქტურებთან და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეებთან.

საბაჟო სისტემისათვის დამახასიათებელია **მიზნობრიობა და მიზანშეწონილობა**, რაც წარმოადგენს სისტემის **დამოუკიდებლობის** საფუძველს.

საბაჟო ორგანოების დამოუკიდებლობა დაფიქსირებულია საბაჟო კანონმდებლობით და ასახულია საბაჟო ორგანოების სახელმწიფო დონეზე დამტკიცებულ ატრიბუტებში და სიმბოლოებში: **გერბი, დროშა, ფიცი, უნიფორმა, სპეციალური წოდებები, პროფესიული დღესასწაული.**

საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემა შეიცავს ქვესისტემებსა და ელემენტებს და მათ შორის ურთიერთობებსა და დამოკიდებულებას.

საბაჟო ორგანოების სისტემას სათავეში უდგას ხელმძღვანელი ორგანო (დეპარტამენტი, კომიტეტი). საბაჟო სისტემის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები, უფლებამოსილებანი და მოვალეობანი და ა.შ. დაწვრილებით განხილულია ქვემოთ, სპეციალურ ქვეთავში "საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი" ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი საბაჟო ორგანოს მაგალითზე.

თავისი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ხან დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურა იყო, ხანაც ფინანსთა ან შემოსავლების სამინისტროების შემადგენლობაში შედიოდა. სა-

ბაჟო დეპარტამენტი თავისი უფლებების და მოვალეობების ნაწილის დელეგირებას უკეთებდა და უკეთებს აღნიშნულ სამინისტროებს.

2. საბაჟო ორგანოების მართვა

საბაჟო ორგანოების მართვის სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

მართვის მექანიზმი - კანონები, პრინციპები, მიზნები, მეთოდები და მართვის ფუნქციები;

მართვის სტრუქტურა მოიცავს: მართვის ორგანოებს, მმართველ პირებს და მართვის ტექნიკურ საშუალებებს;

მართვის პროცესი მართვის ყველა ორგანოს მიზანდასახული მოქმედებაა მართვის მიზნების მისაღწევად.

ამავე დროს საბაჟო ორგანოების მართვას ახასიათებს საკუთარი თავისებურებანი: მკვეთრად გამოხატული, მიზანდასახული ქმედებები სამსახურებრივი საქმიანობის მიზნის მისაღწევად; საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეებთან მუშაობის შეხამება სისტემის შიგნით მმართველობით საქმიანობასთან; სახელმწიფო მართვის სრულუფლებიანი ორგანოს როლის შესრულება; მართვის პროცესში გონივრული რისკის ნაწევა; მართვის დინამიკურობა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მრაკეთილსინდისიერ მონაწილეებთან, კონტრაბანდისტებთან და მათ ხელშემწყობებთან ბრძოლის პირობებში; მართვის განხორციელება გარკვეულწილად ბუნდოვან პირობებში.

საბაჟო ორგანოებში მართვა ემყარება როგორც ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს და მართვის ზოგად კანონებს, ასევე მათ საფუძველზე ჩამოყალიბებულ ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის ყველა მონაწილის ინტერესთა ერთიან სისტემას: საზოგადოებრივ, კოლექტიურ და პირად ინტერესებს. მართვის მთავარი თავისებურებაა ის, რომ იგი უნდა იყოს შემოქმედებითი, ამასთან, მიმართული საბაჟო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისაკენ.

მართვის კანონები ასახავენ მართვის ელემენტებსა და ქვესისტემებს შორის საერთო, სიღრმისეულ და საჭირო კავშირებს. ისინი ობიექტურნი არიან, ანუ არ არიან დამოკიდებულნი ადამიანების ნებასა და შეგნებაზე. ამიტომ მართვის სისტემის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის საჭიროა მართვის კანონების ცოდნა და მათი გათვალისწინება.

მართვის კანონების მოთხოვნებია:

- **მართვის სისტემის ერთიანობის კანონი** გამოიხატება მართვის ზემდგომ ორგანოებთან კავშირის უწყვეტ ჯაჭვში, სახელმწიფოს მართვის უმაღლესი ორგანოებიდან მის ყველაზე ქვედა რგოლებამდე; მართვის პროცესების ყველა სტადიის, ოპერაციის და ეტაპის უწყვეტობაში, რითმულობაში და შეთანხმებულობაში; გლობალური ამოცანების და თითოეული ადამიანის პირადი ინტერესების გათვალისწინებით მართვის ერთიანობაში; მართვის ფუნქციებისა და მეთოდების ერთიანობაში; მართვის აპარატის თანამშრომლებისადმი მოთხოვნების ერთიანობაში;

- **პროფესიონალური საქმიანობის და მართვის პროპორციულობის კანონი**. პროპორციულობა აისახება იმაში, პროფესიონალური თვალსაზრისით, თუ როგორ, ხორციელდება მართვა სისტემის მუშაობისას - საბაჟო გაფორმება და საბაჟო კონტროლი, საბაჟო წესების დარღვევებთან ბრძოლა და სხვა ფუნქციები;

- **ცენტრალიზაციის ოპტიმალური შეფარდების კანონი** გულისხმობს მართვის სისტემის ისეთნაირ აგებას და ფუნქციონირებას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია საბაჟო ორგანოების ქვედა რგოლების ურყევი და საკმაოდ მყარი დაქვემდებარება ზემდგომი საბაჟო ორგანოებისადმი. ეს არ ნიშნავს ყველა რგოლის უაღრესად ხისტ რეგლამენტაციას. ცენტრალიზაციის ოპტიმალურობა გამოიხატება იმაში, რომ მართვის სისტემის ცენტრალიზაცია უნდა შეესაბამებოდეს რეალურ მოთხოვნილებებს, გამოსახავდეს განვითარების დონეს და არ ახშობდეს ქვედა რგოლების ინიციატივას.

მართვის კანონები გადმოსცემენ მართვის თეორიის, ძირითადი ფუნქციების, მეთოდებისა და სტრუქტურის შინაარსს და გვაცნობენ მართვის პროცესის თავისებურებებს. ამიტომ მართვის კანონების გამოყენებისას უნდა დავეყრდნოთ არა მათ ცალკეულ ელემენტებს, არამედ განვახორციელოთ სისტემური მიდგომა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგენილი იქნეს

მოთხოვნილება და შეირჩეს მთელი (ჩვენს შემთხვევაში - საბაჟო) სისტემის ფუნქციონირების და განვითარების ობიექტური ვარიანტი.

მართვის პრინციპების ქვეშ იგულისხმება იდეები, წესები, ქცევის ძირითადი დებულებები და ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობს მართვადი სისტემა.

მართვის ზოგადი პრინციპები - ეს მართვის სტრატეგიული ნორმებია, რომლებიც მოქმედებენ საბაჟო ორგანოების ყველა სფეროში და ქვესისტემაში. მართვის ზოგადი პრინციპებია სისტემურობა, უკუკავშირი, საინფორმაციო საკმარისობა, ოპტიმალურობა, ურთიერთქვემდებარება და სხვა.

სისტემურობა - მართვის წამყვანი პრინციპია. მართვის სისტემურობა საბაჟო ორგანოების მართვისას უზრუნველყოფს და სრულყოფს საბაჟო სისტემის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ერთიანობას.

რაც უფრო რთულდება საბაჟო ორგანოების ამოცანები, მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საბაჟო ორგანოების ინფორმირებულობა და **სისტემის უკუკავშირის** პრინციპი. ინფორმაცია მმართველ სუბიექტს საშუალებას აძლევს ჰქონდეს წარმოდგენა ყოველ კონკრეტულ მომენტში სისტემაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ მოახდინოს სისტემაზე ზემოქმედება მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ინფორმაციული საკმარისობის პრინციპი გულისხმობს, რომ საბაჟო ორგანოთა სისტემაში გასატარებელია საინფორმაციო პროცესების ისეთი ინტენსიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს მმართველი რგოლის საკმარის ინფორმირებულობას თავისი მმართველი როლის უკეთ შესასრულებლად.

მართვის ოპტიმალურობის პრინციპი გულისხმობს მართვის ისეთ ტექნოლოგიას, რომლის დროსაც შესაძლებელია დასახული ამოცანის მიღწევა მოკლე დროში და უმცირესი მატერიალური, ფინანსური და შრომითი დანახარჯებით.

მართვის კერძო პრინციპები საბაჟო საქმეში იყოფა ორ დიდ ჯგუფად: პრინციპები, რომლებიც გამოიყენება საბაჟო საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ სფეროებში და პრინციპები, რომელთაც ადგილი აქვთ საბაჟო ორგანოების, როგორც სახელმწიფო

სამართალდამცავი ორგანოების სფეროში, რაც, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უშიშროებას.

მართვის კერძო პრინციპებს მიეკუთვნება: კანონიერება; დეცენტრალიზაციასთან გონიერად შეხამებული ცენტრალიზაცია; ოპერატიულობა; მოქნილობა; პასუხისმგებლობა; მემკვიდრეობითობა; საბოლოო შედეგზე განწყობა და სხვა. ასევე საბაჟო სისტემის მართვა ეყრდნობა ისეთ კერძო პრინციპებს, როგორებიცაა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები; კადრების შერჩევის, სწავლების და აღზრდის პრინციპები; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების და სხვა პრინციპებს.

მართვის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური პრინციპები საფუძვლად უდევს საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელთა ორგანიზაციულ-განმკარგავ და ადმინისტრაციულ-აღმასრულებელ საქმიანობას. ესენია: ერთმმართველობის, კონკრეტულობის, შრომის განაწილების, იერარქიულობის, განმკარგაობის, ერთ უფროსზე უფლებამოსილების დელეგირების, მართვის დიაპაზონის და სხვა პრინციპები.

ერთმმართველობის პრინციპი გულისხმობს უმცირესი პერსონალური პასუხისმგებლობის შეხამებას მართვის კოლეგიალურობასთან. საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი ფუნქციიდან და რამდენადმე გასამხედროებული ხასიათიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოების სისტემაში სხვა ორგანოებთან შედარებით, ერთმმართველობის პრინციპი რამდენადმე ჭარბობს კოლეგიალობას. თუმცა საბაჟო დეპარტამენტში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანო - დეპარტამენტის კოლეგია. მისი გადაწყვეტილებები გამოიხატება საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებებში. საბაჟო სისტემის ყველა დანარჩენ რგოლში სრული ერთმმართველობაა.

მართვის კონკრეტულობის პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ მმართველობითი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კონკრეტული სიტუაციის ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად.

შრომის განაწილების პრინციპი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალწახნაგოვან საბაჟო სისტემაში. მართვის ფუნქცია არა მარტო ნაწილდება საბაჟო ორგანოებს შორის, არამედ შიგნით ორგანოში საბაჟო გა-

ფორმებისა და კონტროლის ცალკეული ეტაპების შესრულებისას, სამართალდამცავი, ფისკალური თუ სხვა ფუნქციების შესრულებისას.

იერარქიულობის პრინციპი - ქვემდგომი საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ემორჩილება საბაჟო ორგანოს ზემდგომ თანამშრომელს. საბაჟო ორგანოს თითოეული თანამშრომელი პასუხს აგებს ზემდგომის წინაშე არა მარტო თავის გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე, არამედ ხელქვეითი თანამშრომლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზეც.

განმკარგაობის, ანუ ერთი უფროსის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ საბაჟო ორგანოების ნებისმიერი თანამშრომელი ბრძანებებსა და განკარგულებებს უნდა ღებულობდეს ერთი უფროსისგან და საბაჟო ორგანოს არც ერთმა თანამშრომელმა არ უნდა ჩააბაროს თავისი მოქმედების შესახებ პატაკი ერთზე მეტ ზემდგომ უფროსს.

უფლებამოსილების დელეგირების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ხელმძღვანელი თავისი საქმიანობის სფეროდან დაავალებს ხელქვეითს რაიმე ფუნქციის შესრულებას, მან ასევე უნდა გადასცეს მას გადაცემული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო უფლებამოსილებანი, ხოლო ხელქვეითმა უნდა აიღოს ამ ვალდებულებების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა.

მართვის დიაპაზონის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ზემდგომი თანამდებობის პირი პასუხს უნდა აგებდეს მკაცრად განსაზღვრული, ოპტიმალური რაოდენობის თანამშრომლებზე.

საბაჟო ორგანოების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი ეთმობა მართვის ფუნქციას.

მართვის ფუნქცია ეს არის მმართველობითი საქმიანობის კონკრეტული სახე, რომლის რეალიზაციისათვის საჭიროა გარკვეული მმართველობითი სამუშაოს (ოპერაციების) ჩატარება.

საბაჟო ორგანოების მმართველობითი ფუნქციები შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: ზოგად და სპეციალურ ფუნქციებად.

საბაჟო ორგანოების მართვის ზოგადი ფუნქციები წარმოადგენენ მართვის არსს. ისინი უნიფიცირებულნი არიან იმდენად, რამდენადაც ასახავენ ნებისმიერი ობიექტის მართვის პროცესს.

ზოგადი ფუნქციების შემადგენლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი დიალექტიკური ერთობა და მმართველი და მართული სისტემების ერთობლიობა.

მმართველობითი საქმიანობის (ოპერაციის) ქვეშ იგულისხმება იმ მუდმივად გამეორებადი ქმედებების ერთობლიობა, რომლებიც საჭიროა მართვის ფუნქციის განსახორციელებლად, მაგრამ არასაკმარისია მართვის ობიექტის მართვადობის უზრუნველსაყოფად.

მართვის ზოგად ფუნქციებს მიეკუთვნება: ოპერატიული სამსახურებრივი გარემოს ანალიზი და პროგნოზირება, დაგეგმვა, ორგანიზაცია, რეგულირება, აღრიცხვა და კონტროლი.

ანალიზისა და პროგნოზირების ქვეშ იგულისხმება ოპერატიულ-სამსახურებრივი გარემოსა და გარემოებების დაწვრილებითი შესწავლისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. სისტემის დანაწევრება საშუალებას იძლევა არა მარტო სისტემის კომპონენტების მდგომარეობის დაფიქსირებისა, არამედ გამოავლენს მათ ურთიერთობასა და ურთიერთდამოკიდებულებას. ამ დროს შეისწავლება არა მარტო მართვის სისტემა მთლიანობაში, არამედ მმართველობითი ციკლის თითოეული კომპონენტი.

საბაჟო საზღვარზე ოპერატიული მდგომარეობის ანალიზი მჭიდროდაა დაკავშირებული საბაჟო საქმიანობის ამა თუ იმ უბანზე მდგომარეობის შესწავლასთან, გააზრებასთან და პროგნოზირებასთან, რაც საშუალებას იძლევა ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის მიღებული იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილება, დაისახოს შემდგომი მოქმედებების ოპტიმალური გეგმა. ყოველივე ეს საბოლოოდ აისახება საბაჟო საქმიანობის შედეგებზე.

საბაჟო ოპერატიული მდგომარეობის ქვეშ იგულისხმება საბაჟო საქმიანობაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედი ურთიერთდაკავშირებული ელემენტები, დიალექტიკურ განვითარებაში მყოფი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი, რეგიონული და სხვა პირობების (ფაქტორების) ერთობლიობა.

საბაჟო ოპერატიული მდგომარეობის ძირითადი ელემენტებია:

- საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა მომსახურების მდგომარეობა, საქართველოს და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მომსახურების დონე, სასაქონლო ნაკადების სახეობები, მოცულობები და მიმართულება საბაჟო ორგანოს საქმიანობის ზონაში, მათი განაწილება დროში და სივრცეში ტრანსპორტის სახეობების მიხედვით;

- საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა შორის საბაჟო კანონმდებლობის ბოროტ დამრღვევთა და მათ ხელშემწყობთა გამოვლენა; კონტრაბანდისტების და მათ ხელშემწყობთა საქმიანობის აღკვეთა; საბაჟო ორგანოებზე უარყოფითად ზემოქმედი კრიმინალური სტრუქტურების, მათი გეგმების, ჩანაფიქრის განხორციელების დროის, ადგილის, სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომჟღავნება;

- საბაჟო ორგანოების ძალებისა და საშუალებების შესწავლა მათზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობის გამოსავლენად;

- საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების დაცვის საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;

- საბაჟო ორგანოების მოქმედების ზონაში სხვა სამართალდამცავი ორგანოების, უწყებებისა და ორგანიზაციების არსებობა და მათთან კონტრაბანდასა და საბაჟო მართლწესრიგის დამრღვევებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესაძლებლობის შესწავლა;

- იმ გარემოს შესწავლა, რომელშიც ხორციელდება საბაჟო საქმიანობა.

დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის საბაჟო ორგანოებში წარმოადგენს მართვის იმ ძირითად ფუნქციას, რომლის საფუძველზე ხდება მომავალი საქმიანობის ორგანიზაციული საწყისების გამომუშავება, გამოიკვეთება სისტემის ამოცანები და მოძრაობის მიმართულება, შემუშავდება მეთოდები, რომელთა მეშვეობით აღმოიფხვრება არსებული პრობლემები და განისაზღვრება სისტემის განვითარების ტემპი. ჩვეულებრივ, სტრატეგიული დაგეგმვა ევალება შემოსავლების სამინისტროსა და საბაჟო დეპარტამენტს, ოპერატიული დაგეგმვა - რეგიონულ საბაჟო სამმართველოებს, ტაქტიკური - საბაჟოებსა და საბაჟო საგუშაგოებს.

დაგეგმვა შეიძლება იყოს გრძელვადიანი (5 წელი და მეტი), საშუალოვადიანი (1-დან 5 წლამდე) და მოკლევადიანი მიმდინარე (ერთ წლამდე).

ორგანიზაციის ქვეშ იგულისხმება ის მმართველობითი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დასახული გეგმების შესრულება.

ამ ფუნქციის არსია ისეთი ძალებისა და საშუალებების სისტემის შექმნა, შემსრულებლებს შორის საჭირო კავშირებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, მათი თანამშრომლობის რაციონალური ფორმების და მეთოდების შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს გეგმების რეალიზებას. "ორგანიზაციას" აგრეთვე მიეკუთვნება შემსრულებლების მომზადება (მათ შორის, სწავლება).

რეგულირების ქვეშ იგულისხმება მმართველობითი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხდება დაგეგმვის დროს მიღებული პარამეტრებიდან გადახრის კორექტირება, რაც ზრდის ქვემდებარე სტრუქტურული ქვედანაყოფების გეგმების შესრულებაში მონაწილეობის ეფექტიანობას.

აღრიცხვის ფუნქციაა საქმის მიმდინარე მსვლელობის შესახებ ინფორმაციის დაგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება.

კონტროლი არის მმართველობითი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხდება საბაჟო ორგანოების ერთიანი სისტემის ფუნქციონირების პროცესის ზედამხედველობა. ამ დროს ხდება მონაცემების შეგროვება დროში და სივრცეში, ქვემდებარე საბაჟო ორგანოების საქმიანობის მსვლელობის, პირობების, მდგომარეობის და შედეგების შესწავლა-გაანალიზება.

ყოველი კონკრეტული საბაჟო ვითარებისათვის საბაჟო კონტროლი, უმეტეს შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი სტანდარტული მეთოდებით.

კონტროლის ფუნქციის განსახორციელებლად საჭიროა განისაზღვროს კონტროლის ობიექტი, ვადები, კონტროლის მეთოდები; დადგინდეს კონტროლის განმახორციელებელთა სია და მოხდეს მათი მომზადება; მომზადდეს კონტროლის ობიექტი; განხორციელდეს თავად კონტროლი; დამუშავდეს შემოწმების მასალები და განხორციელდეს შედეგების რეალიზაცია.

საბაჟო ორგანოთა მმართველობითი ფუნქციები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. აქედან, საბაჟო ორგანოების მართვა ეს არის კომპლექსური, კონკრეტული, პრაქტიკული საქმიანობა ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის ყველა ეტაპსა და სტადიაზე, დროში და სივრცეში, მისი ოპტიმალური ორგანიზაციისათვის.

საბაჟო ორგანოების მართვის სპეციფიკური ფუნქციებია:

საბაჟო საქმიანობის მართვის ფუნქცია (საქმიანობა საბაჟო გაფორმების, საბაჟო კონტროლის, სამართალდამცავი საქმიანობის, ეკონომიკური

საქმიანობის, სამართლებრივი რეგულირების და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების სფეროებში);

საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მართვის ფუნქცია (საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის მართვა);

სოციალური საქმიანობის მართვის ფუნქცია (საკადრო პოლიტიკის, შრომითი და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საქმიანობისა და სოციალური უზრუნველყოფის მართვა);

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის მართვა (ადმინისტრაციული საქმიანობის, საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარების და კაპიტალური მშენებლობის ხელშეწყობის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მართვა).

მართვის მეთოდი ეწოდება დასახული მიზნების მისაღწევად ობიექტზე ზემოქმედების გზების, ხერხების, საშუალებების და ფორმების ერთობლიობას.

მართვის მეთოდებს განასხვავებენ მათი მასშტაბებისა და ზემოქმედების ფორმების მიხედვით.

მმართველობითი საქმიანობის მასშტაბურობის მიხედვით გამოიყოფა:

მართვის საერთო მეთოდები - საბაჟო ორგანოების სტრატეგიული, ძირითადი ამოცანების გადაწყვეტის და საერთოდ საბაჟო სისტემის ფუნქციონირების საშუალებების და ფორმების ერთობლიობა;

მართვის კერძო მეთოდები მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ოპერატიული და მიმდინარე მმართველობისას (რეგიონულ საბაჟო სამმართველოებში, საბაჟოებში და საბაჟო საგუშაგოებში).

ზემოქმედების ფორმების მიხედვით საბაჟოს მმართველობითი მეთოდები იყოფა პირდაპირ და ირიბ მეთოდებად.

ზემოქმედების პირდაპირი მეთოდები ეყრდნობა სახელმწიფოს ნებასა და ავტორიტეტს. მათ რიცხვს მიეკუთვნება განკარგულებითი და სამართლებრივი მეთოდები.

ზემოქმედების ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები.

საორგანიზაციო-განკარგულებითი (ადმინისტრაციული) მართვის მეთოდები ახდენენ ისეთი ცნებების ფორმირებას, როგორიცაა ვალი, მოვალეობა, უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა, დისციპლინარული მოთ-

ხოვნა და სხვა. ასეთი მეთოდები განსაკუთრებით დამახასიათებელია გამოუდრეკებული და სამართალდამცავი და, შესაბამისად, საბაჟო ორგანოებისთვის.

საბაჟო ორგანოების სისტემაში მართვის საორგანიზაციო-განკარგულებითი მეთოდები იყოფა სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფი - ორგანიზაციული ზემოქმედება **რეგლამენტირებით** (მკაცრი ზემოქმედება დებულებებში, წესებში, ამოცანებში, უფლება-მოსილებებში, სტატუსში, ფუნქციებში, ინსტრუქციებში, შინაგანაწესში ასახული ქცევის ჩარჩოების დაცვის მკაცრი მოთხოვნის ფორმით);

მეორე ჯგუფი - **ნორმირება,** გარკვეულწილად იმეორებს რეგლამენტირების მეთოდს, მაგრამ ნაკლებად მკაცრ ფორმებში, იმდენად, რამდენადაც შემოზღუდულია ზემოქმედების ზედა და ქვედა ფარგლებით და ამ ფარგლებში იძლევა მოქმედების გარკვეულ დამოუკიდებლობას;

მესამე ჯგუფი - **ინსტრუქტირება,** კიდევ უფრო ნაკლებად მკაცრია, აქვს მეთოდოლოგიური და ინფორმაციული დახმარების ფორმა.

განკარგულებითი ხასიათის ზემოქმედების მეთოდებს მიეკუთვნება ბრძანებები, დავალებები, დოკუმენტებზე რეზოლუციები, წერილობითი და ზეპირი განკარგულებები.

დისციპლინარული ზემოქმედების მეთოდებს მიეკუთვნება პასუხისმგებლობის დაწესება არასწორი ქმედებისათვის. განასხვავებენ პირად, კოლექტიურ, მატერიალურ, მორალურ და სამსახურებრივ პასუხისმგებლობას.

ყველა ჩამოთვლილი მეთოდი გამოიყენება როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად და ისინი ავსებენ ერთმანეთს.

მართვის ეკონომიკურ მეთოდებს საბაჟო სისტემაში მიეკუთვნება საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები.

საბიუჯეტო შემოსავლების ცენტრიდან დაგეგმვის ეკონომიკურ მეთოდს მიეკუთვნება ზემოქმედება (მაგალითად, სამსახურიდან დათხოვნის მუქარა) საბიუჯეტო შენატანების გეგმის შეუსრულებლობისათვის. ეს მეთოდი უხეში ადმინისტრირების კლასიკური მაგალითია, მაგრამ იმის გამო, რომ ის ფართოდაა გავრცელებული, მისი არდანახვა და იგნორირება არ იქნებოდა სწორი.

სტიმულირების მეთოდის დანერგვისათვის იქმნება სპეციალური ეკონომიკური სტიმულირების ფონდი, საიდანაც გაიცემა პრემიები და დახმარებები.

მართვის სოციალურ და ფსიქოლოგიურ მეთოდებს მიეკუთვნება მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნა, ასევე ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დისციპლინირებულობა, კეთილსინდისიერება, ფსიქოლოგიური კლიმატი კოლექტივში და სხვა.

მართვის ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს მიეკუთვნება კომპიუტერული ტექნიკის, ელექტრონული კავშირების და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საბაჟო საქმეში.

საბაჟო ორგანოების სისტემა მოითხოვს მუდმივ სრულყოფას, განახლებას, მოდერნიზაციას, რეფორმებს. მართვის თეორიის დაუფლება ასეთი განახლების ოპტიმალურად წარმართვის საუკეთესო საშუალებაა.

3. საბაჟო ორგანოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ქვეშ იგულისხმება მართვის იერარქიული სისტემის ელემენტების მოწესრიგებული ერთობლიობა და მათი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ელემენტების, როგორც მთელის, განვითარებას.

გამოყოფენ შემდეგ ელემენტებს:

მართვის რგოლები. საბაჟო ორგანოების სისტემაში ესენია: საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, საბაჟო დეპარტამენტი, საბაჟო დეპარტამენტის მმართველობა და დამოუკიდებელი განყოფილებები, რეგიონული საბაჟო სამმართველოები, რეგიონული საბაჟო სამმართველოების განყოფილებები, საბაჟოები, საბაჟოთა განყოფილებები, საბაჟო საგუშაგოები, ცალკეული, შესაბამისი პროფესიონალური თუ მმართველობითი ფუნქციების შემსრულებელი სპეციალისტები.

სისტემის ყველა რგოლი იმყოფება იერარქიული კიბის განსაზღვრულ საფეხურზე.

მართვის დონის ქვეშ იგულისხმება მართვის ისეთი რგოლების ერთობლიობა, რომლებიც მმართველობის სისტემაში იკავებენ ერთსა და იმავე საფეხურს.

უმეტეს ქვეყნებში და საქართველოშიც განასხვავებენ მართვის ოთხ დონეს: საბაჟო დეპარტამენტი, რეგიონული საბაჟო სამმართველო, საბაჟოები, საბაჟო საგუშაგოები. გარდა ამისა საქართველოში, გარკვეული, უმაღლესი დონე უკავია საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს.

საბაჟო ორგანოების მართვის სისტემის ჩარჩოებში მიმდინარეობს **მმართველობითი პროცესი**, როცა მართვის პროცესის მონაწილეთა შორის განაწილებულია ამოცანები და ფუნქციები, მაშასადამე, ამისათვის საჭირო უფლებები და პასუხისმგებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო ორგანოების მართვის სისტემაში ყველა მმართველობით რგოლს თავისი ადგილი უჭირავს, სპეციალისტები განასხვავებენ საბაჟოს, მისი განყოფილებების და საბაჟო საგუშაგოების განსაკუთრებულ როლს იმდენად, რამდენადაც სწორედ აქ წყდება საკუთრივ საბაჟო საქმიანობის საკითხები.

ამრიგად, თუმცა მმართველობის იერარქიულ კიბეზე საბაჟოს არ უჭირავს ზედა საფეხური, მმართველობითი პროცესის ამოსავალ წერტილად სწორედ საბაჟოს მიიჩნევენ.

საბაჟო სისტემის რგოლებისა და დონეების ურთიერთობას განიხილავენ როგორც **ვერტიკალურ მმართველობით ურთიერთობებს** (საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, საბაჟო დეპარტამენტი და ა.შ. საბაჟო საგუშაგომდე), **ჰორიზონტალურ მმართველობით ურთიერთობებს** (ერთი დონის რგოლებს შორის) და **დიაგონალურ მმართველობით ურთიერთობებს** (მაგალითად, საბაჟო საგუშაგოსი სხვა საბაჟოსთან, საბაჟოსი სხვა რეგიონის რეგიონულ საბაჟო სამმართველოსთან და ა.შ.).

ვერტიკალური ურთიერთობები უპირველეს ყოვლისა სუბორდინაციული, დაქვემდებარებული ხასიათისაა. ეს ე.წ. **სახაზო ურთიერთობებია**. მაგალითად, საბაჟოს კადრების განყოფილების გამგე სახაზო დაქვემდებარების ურთიერთობაშია რეგიონალური საბაჟო სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსთან, საბაჟო სამმართველოს მოადგილესთან კადრების საკითხებში, თავისი საბაჟოს უფროსთან.

სახაზო ურთიერთობით უფროსის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა სახაზო ურთიერთობით უმცროსისათვის.

იმავე დროს, თუ თანამდებობის პირი არ იმყოფება უშუალო სახაზო ურთიერთობაში ზემდგომი ორგანოს თანამშრომლებთან (მაგალითად, საბაჟოს კადრების განყოფილების უფროსი საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან კადრების საკითხებში), ასეთ ურთიერთობას ეწოდება **ფუნქციონალური ურთიერთობა.** ფუნქციონალური ხელმძღვანელის განკარგულება ფუნქციონალური ქვეშევრდომისათვის ატარებს **რეკომენდაციულ ხასიათს.**

ჰორიზონტალური ურთიერთობები შეიძლება იყოს ორი ფორმის: ერთი დონის თანამდებობის პირთა, რომლებიც იმყოფებიან ერთი პირის დაქვემდებარებაში და ერთი დონის თანამდებობის პირთა, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა პირთა დაქვემდებარებაში.

მართვის სახაზო ორგანიზაციის უპირატესობებია: გამოხატული ვერტიკალური კავშირი; პასუხისმგებლობა, დადგენილი მოვალეობანი; ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების მკვეთრი გამიჯვნა; გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა; მითითების გაგების და შესრულების სიმარტივე, დისციპლინის დაცვის უკეთესი შესაძლებლობანი.

სახაზო მოწყობის უარყოფითი მხარეებია: მოუქნელობა, სიხისტე; ტენდენციურობა და გაჭანჭყლება იმ საკითხებისა, რომელთა განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს რამდენიმე ქვედანაყოფი (ჰორიზონტალური ურთიერთობა), მუშაობის შედეგების პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება ხელმძღვანელის პირად და საქმიან თვისებებთან.

მართვის სტრუქტურის ფუნქციონალურ პრინციპზე აგების უპირატესობანია: ის, რომ ამ დროს სახაზო ხელმძღვანელები თავისუფლდებიან ზოგიერთი სპეციალური საკითხის გადაწყვეტის მოვალეობისაგან; იქმნება მუშაობაში გამოცდილი სპეციალისტების კონსულტაციების გამოყენების საშუალება; მცირდება ფართო პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნილება.

მართვის ფუნქციონალური სისტემის უარყოფითი მხარეებია: ურთიერთობების და კოორდინაციის გაუარესება; გადამეტებული ცენტრალიზაციისაკენ სწრაფვა და თანამშრომლების ორმაგი დაქვემდებარება.

შერეული სისტემები (ხაზური, ფუნქციონალური, სახაზო-შტაბური, პროგრამულ-მიზნობრივი), როგორც წესი, უფრო ამწვავებენ თავის უარყოფით მხარეებს, ვიდრე გამოხატავენ დადებითს.

ამიტომ უკეთესია ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამისი სტრუქტურის შერჩევა. შექმნილი ურთიერთობების ანალიზი საშუალებას იძლევა საბაჟო ორგანოების მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებისათვის გათვალისწინებული იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

1. სიმარტივე და ეკონომიურობა.
2. ნათელი წარმოდგენა. ნებისმიერმა საბაჟო ქვედანაყოფმა და საბაჟო ორგანოს თანამშრომელმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი, ვისგან უნდა მოიპოვოს ინფორმაცია, ვინ ღებულობს მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებებს. უამისოდ მოსალოდნელია კონფლიქტური სიტუაციის შექმნა და გადაწყვეტილების მიღების დაყოვნება.
3. გარკვეულობა. საბაჟო ორგანოს ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ეხმარებოდეს საბაჟოს თანამშრომელს მის მოვალეობების გარკვევაში. ამისათვის ზემოდან მოსული ინფორმაცია უნდა აღწევდეს შემსრულებლამდე მინიმალური დანაკარგებით.
4. მართვადობა. სტრუქტურა, სადაც გადაწყვეტილებებს ღებულობენ "ქვემოდან ზემოთ", უკეთესია სტრუქტურაზე, სადაც გადაწყვეტილებებს ღებულობენ "ზემოდან ქვემოთ".
5. მდგრადობა. სტრუქტურა უნდა იყოს სტაბილური დროში, თვითგანახლებადი და თვითგანვითარებადი, რისი მიღწევაც უპირველესად უნდა ხდებოდეს პროფესიონალიზმის ამაღლებით და ახალი ლიდერების აღზრდით.
6. მოქნილობა. სტრუქტურა დაუყოვნებლივ უნდა რეაგირებდეს პირობების შეცვლაზე და ადვილად მიესადაგოს ნებისმიერ ცვლილებებს.
7. ჰომეოსტატიკურობა. სისტემის სტაბილურობა ვერ უნდა შეარყიოს შემთხვევითმა მოვლენებმა და გამოვლინებებმა.
8. მართვაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ფორმები, როგორიცაა: უფლებამოსილებების გადაცემა, კოორდინაცია, ცენტრალიზაცია და სხვა.

ბევრია დამოკიდებული ხელმძღვანელის პიროვნულ თვისებებზე. მას უნდა შეეძლოს თავისი ორგანიზაციის ორმაგი სტრუქტურის, მატერიალურის და ფსიქოლოგიურის შეხამება.

საბაჟო ორგანოებში მართვის პროცესის ორგანიზაციის ქვეშ იგულისხმება მისი ყოველმხრივი მოწესრიგება, რომელიც განისაზღვრება სიზუსტით, თანმიმდევრობით და დასაშვები საზღვრებით.

თავისი შინაარსით მართვის ნებისმიერი პროცესი შეიცავს ციკლებს, ეტაპებს, სტადიებს და ფაზებს.

მართვის ციკლის ქვეშ იგულისხმება დროის მონაკვეთი, რომელიც საჭიროა მართვის ყველა ფუნქციის სრული რეალიზაციისათვის (ანალიზი და პროგნოზირება, დაგეგმვა, ორგანიზაცია, რეგულირება, აღრიცხვა და კონტროლი).

ეტაპის ქვეშ იგულისხმება დროის მონაკვეთი, რომლის დროსაც ერთ შემთხვევაში იქმნება მომავალი საქმიანობის სისტემა, ხოლო მეორეში ხდება მისი ფუნქციონირების მართვა.

სტადიის ქვეშ იგულისხმება დრო, რომელიც საჭიროა მართვის რომელიმე ფუნქციის სრული რეალიზაციისთვის.

ფაზის ქვეშ იგულისხმება დრო, რომელიც საჭიროა ერთი მმართველობითი სამუშაოს (ოპერაციის) შესასრულებლად.

მმართველობითი გადაწყვეტილებანი შეიძლება იყოს: სტრატეგიული, ოპერატიული, ტაქტიკური; ერთპიროვნული, ჯგუფური, კოლექტიური; ადმინისტრაციული, ეკონომიკური და მორალური ხასიათის; წერილობითი და ზეპირი (განკარგულება).

გადაწყვეტილება შეიძლება იყოს სტანდარტული და არასტანდარტული (შემოქმედებითი).

გადაწყვეტილება ეს არის დირექტიული აქტი, რომელიც საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს უკეთებს ორგანიზაციას, მიმართავს და აძლევს სტიმულს ერთობლივად მიაღწიონ დასახულ მიზანს.

გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, დაბალანსებული და შესრულებადი.

გადაწყვეტილებას აქვს ფასი, თუ ის დროულად იქნა მიღებული. ამავე დროს ის არ უნდა იყოს ნაჩქარევი, აუწონავ-დაუწონავი. სხვანაირად

მან შეიძლება მიგვიყვანოს კანონდარღვევამდე. გადაწყვეტილება უნდა იყოს კონკრეტული და მოქნილი.

კონკრეტულობა გადაწყვეტილების შინაარსის ზუსტი გადმოცემაა, მოქნილობა - გაუთვალისწინებელი გარემოებისას დამოუკიდებლად რეაგირების შესაძლებლობა.

ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღებისას, სასურველია მთელი მუშაობა მისი მომზადების, მიღების და რეალიზაციის საქმეში წარიმართოს თეორიაში და პრაქტიკაში აპრობირებული და დანერგილი თანმიმდევრობით:

1. გადაწყვეტილების მომზადება:

ა) პრობლემური სიტუაციის გამოვლენა და გაანალიზება;

ბ) მიზნისა და ამოცანის ფორმირება;

გ) ალტერნატივების დოკუმენტური ჩამონათვალის შემუშავება;

დ) საუკეთესო ალტერნატივის წინასწარი შერჩევა.

2. გადაწყვეტილების მიღება:

ა) გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ ალტერნატივების შეფასება;

ბ) გადაწყვეტილების არჩევა.

3. გადაწყვეტილების რეალიზაცია.

ა) ეტაპების, ვადებისა და შემსრულებლების განსაზღვრა;

ბ) გადაწყვეტილების შესასრულებლად ჩასატარებელი სამუშაოს უზრუნველყოფა;

გ) გადაწყვეტილების შესრულება, კონტროლი.

4. საბაჟო ორგანოების მართვის ფსიქოლოგიური ასპექტები

მმართველობითი პროცესის ძირითადი ამოცანაა მმართველის მიერ მისი მმართველობის ქვეშ მყოფ პირთა დარაზმვა დასახული ამოცანის შესრულებისათვის. ამისათვის ხელმძღვანელმა, უპირველეს ყოვლისა, დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს სამ გარემოებას:

1. ყურადღების გამახვილებას იმ ადამიანებისადმი, რომლებიც არიან საწარმოო ამოცანის უშუალო შემსრულებლები, რაც გულისხმობს მათი ქცევის სტილის შესწავლას საწარმოო ამოცანის შესრულებისას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, მათში დადებითი ფასეული ორიენტაციის დამკვიდრებას და საქმისადმი პროფესიონალური მიდგომის მოტივაციას, საწარმოო კოლექტივის ფორმირებას, ორგანიზაციის კორპორაციული სულის გაღვივებას და ა.შ.

2. პროფესიონალური საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების ზუსტად განსაზღვრის მიღწევას, გარემოში მიმდინარე ცვლილებების პირობებში ორგანიზაციის მიზნების მიღწევის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების გადაწყვეტას და სხვა.

3. საწარმოო ამოცანების მისაღწევად პირობების შექმნას, რაც გულისხმობს კომუნიკაციების სრულყოფას, სამუშაო ადგილებზე სასურველი პირობების შექმნას, მართვისა და წარმოების ტექნოლოგიების რაციონალიზაციას, აგრეთვე შემსრულებლებზე საჭირო უფლებამოსილებათა დელეგირებას და სხვა.

თავის მმართველობით საქმიანობაში ხელმძღვანელები გამოირჩევიან სხვადასხვაგანზომილებიანი აზროვნებით.

ერთგანზომილებიანი მმართველობითი აზროვნების ქვეშ იგულისხმება ხელმძღვანელის ორიენტირება მხოლოდ მმართველობითი ფუნქციის შესრულებისას წარმოშობილ ამოცანებზე. სიტუაციის სხვა ელემენტები (საქმიანობის სუბიექტი და ობიექტი) რჩება ხელმძღვანელის გაძლიერებული ყურადღების გარეშე.

ასეთ ხელმძღვანელებს ახასიათებთ ადამიანებზე, როგორც საქმიანობის სუბიექტებზე, შემდეგი შეხედულებანი:

- ადამიანებს არ უყვართ შრომა და გაურბიან მას ყოველთვის, როცა ამის საშუალება მიეცემათ;

- ადამიანებს არ აქვთ პატივმოყვარეობა, თავს არიდებენ პასუხისმგებლობას და ურჩევნიათ, რომ სხვის მიერ იყვნენ მართულნი;

- ადამიანებს ყველაზე უფრო სურთ იყვნენ დაცულნი;

- იმისათვის, რომ ადამიანებმა იშრომონ საჭიროა იძულება, კონტროლი და დასჯის მუქარა.

ასეთი შეხედულებანი წინაპირობაა ავტორიტარული (ავტოკრატიული, დირექტიული) მმართველობის სტილისა. ასეთი ხელმძღვანელი ახდენს თავისი უფლებამოსილებების ცენტრალიზაციას. ავტოკრატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავს ძლიერი ხელით, მიმართავს ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მუქარას. მისთვის მთავარია მართვის ოპერატიული ფუნქციები, რომელთა რეალიზაცია ეყრდნობა დაგეგმვას (გადაწყვეტილების მიღებას), ინსტრუქტაჟს და ხელქვეითთა საქმიანობის კონტროლს. ამ დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონტროლს. ასეთ ხელმძღვანელს შეუძლია მიაღწიოს თავის საქმიანობაში წარმატებებს, მაგრამ ვინაიდან ხელქვეითებს ეხშობათ ინიციატივისა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების საშუალება, საბოლოო ჯამში, ხელმძღვანელის წარმატებები დროებითი ხასიათისაა.

ორგანზომილებიანი მმართველობითი აზროვნება გულისხმობს ხელმძღვანელის ყურადღებას როგორც საწარმოო ამოცანებისადმი, ასევე მათი შემსრულებლებისადმი.

ასეთი ხელმძღვანელი ადამიანებს, როგორც საქმიანობის სუბიექტებს, განიხილავს შემდეგი მახასიათებლებით:

- შრომა ისეთივე ბუნებრივი პროცესია, როგორც თამაში ან დასვენება. თუ მუშაობის პირობები დამაკმაყოფილებელია, ადამიანები არა მარტო აიღებენ პასუხისმგებლობას, არამედ მისწრაფებულნი იქნებიან ამისაკენ;

- დასახული მიზნის მისაღწევად გამუდმებული კონტროლი და დასჯის მუქარა არ არის მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება;

- საქმიანობის მიზნებისადმი ერთგულების საფუძველია წახალისებების მოპოვების სურვილი. ამ საქმიანობაში თვითდამკვიდრება ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილებების მიღებაში და რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობით;

- საწარმოო ამოცანების გადაჭრისას სწორედ თანამშრომლებს შეუძლიათ შედარებით მაღალი დონის აზროვნების, გამომგონებლობისა და შემოქმედების გამოვლენა.

ასეთი შეხედულებების მიმდევარი ხელმძღვანელი ადვილად ახდენს უფლებამოსილებების დელეგირებას ,,ზემოდან ქვემოთ" და მართვის დემოკრატიული სტილის მომხრეა. ნამდვილი დემოკრატიული ხელმძღვანელი

ერიდება ხელქვეითებზე თავისი ნების თავს მოხვევას. ის უპირატესობას ანიჭებს ზემოქმედების ისეთ მექანიზმებს, რომლებიც ეხება მათ პირად ღირსებას, პირადი და პროფესიული ზრდის პერსპექტივას. ამის შედეგად, ხელქვეითები ღებულობენ უფრო აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებისას და დავალების შესრულებისას სარგებლობენ მეტი თავისუფლებით.

ასეთ დროს მთავარია, რომ ხელმძღვანელი არ აყვეს ცდუნებას და პასუხისმგებლობაც მიღებული გადაწყვეტილებებისათვის არ გადააბრალოს თანამშრომლებსა და ხელქვეითებს.

აქ განხილული მმართველობითი აზროვნების ორი ფორმა, მიმართული საქმეზე (ამოცანაზე) და ორიენტირებული ადამიანზე (საქმიანობის სუბიექტზე), ყოველ კონკრეტულ ხელმძღვანელს სხვადასხვა შეფარდებით აქვს განვითარებული.

სამგანზომილებიანი მმართველობითი აზროვნებისას ხელმძღვანელს გამახვილებული აქვს ყურადღება როგორც საქმისადმი (ამოცანისადმი) და ადამიანისადმი (სუბიექტისადმი), ასევე მოქმედების ობიექტური პირობებისადმი.

მრავალგანზომილებიანი მმართველობითი აზროვნება ყველაზე უფრო მიესადაგება თანამედროვე მმართველობით აზროვნებას. კიდევ უფრო უკეთესია ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც შეუძლია თავისი მმართველობითი საქმიანობისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წინა პლანზე წამოწიოს ესა თუ 'ის კერძო მოვლენა, რომელსაც ამ მომენტში აქვს უპირატესი მნიშვნელობა. მაგალითად, შესრულებული სამუშაოს ხარისხი, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე, თანამშრომელთა ქცევის მოტივაცია და სხვა.

ვინაიდან ერთი და იგივე მმართველობის სტილი გარკვეულ მომენტში შეიძლება იყოს ეფექტური, ხოლო მეორეში - არა, უკეთესია, თუ ხელმძღვანელის მმართველობითი სტილი იქნება მოქნილი, ყოველი კონკრეტული გარემოებისადმი შესაფერისი.

ვინაიდან, საბაჟო საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფრო ხშირად უხდება დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება მოკლე დროში და საკმაოდ რთულ სიტუაციაში (მაგალითად, შერჩევითი კონტროლის უფლების პირობებში კონტროლის ფორმის

შერჩევა) და ამ დროს ის ვერ ,,ამოეფარება" თავისი ხელმძღვანელის გადაწყვეტილებას, მიზანშეწონილია საბაჟო ორგანოების მეტი ორიენტირება **პროფესიონალური საქმიანობის სუბიექტებზე**, ანუ საბაჟო ორგანოების ინსპექტორებზე. საბოლოოდ, სწორედ საბაჟო ორგანოების ოფიცრების პროფესიონული განსწავლულობა და პირადი თვისებები განსაზღვრავენ წარმატებას. მაღალი რანგის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მებაჟეების სწავლებასა და დახელოვნებას, უნარიანობას და გამოცდილებას.

მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო საგუშაგოების თითოეული ცვლა მოქმედებს პრაქტიკულად დამოუკიდებლად, ზოგადი ხელმძღვანელობისაგან მოწყვეტით და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს, საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს მათში ერთიანი კორპორაციული სულის დანერგვა - უნდა ჩამოყალიბდეს **ქართველ პროფესიონალ მებაჟეთა კორპუსი**, ისეთი, როგორიცაა ექიმების, იურისტების, აგრონომების, პედაგოგების და ა.შ. "ამქარი".

ასეთი კოლექტივის წევრების ერთიანობის ფასეული ორიენტაცია ყალიბდება მათი ერთად საქმიანობისას, როგორც **მათი ფასეულობების, მიზნების და ამოცანების რეფლექსი**. ასეთი კორპორაციული სული გამოვლენას პოულობს არა მარტო ერთმანეთთან ურთიერთობაში, არამედ მათ დამოკიდებულებაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეებთან, საბაჟო ბროკერებთან, საბაჟო გადამზიდავებთან, საბაჟო ინფრასტრუქტურის ხელმძღვანელებთან და სხვა საქმესთან დაკავშირებულ პირებთან.

კორპორაციული სული ქმნის ისეთ გარემოს, როცა საბაჟო ორგანოს თითოეული თანამშრომელი ისე უნდა ასრულებდეს საბაჟო კანონმდებლობის ნორმებს და ისე მოითხოვდეს მათ შესრულებას სხვებისაგან, თითქოს თავად იყოს ამ კანონმდებლობის ავტორი. აქ მართებულია დუაიტ დ. ეიზენჰაუერის სიტყვების მოყვანა: **"ხელმძღვანელობა ეს არის უნარი განაწყო სხვა ადამიანი აკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა, ისე, თითქოს ეს მისი საკუთარი სურვილი იყოს".**

ამის მიღწევა უპირველეს ყოვლისა შეიძლება **სიტყვით**. სიტყვების საშუალებით ხელმძღვანელმა უნდა გადასცეს ხელქვეითებს თავისი გრძნობები, მოსაზრებები, სურვილი, გამოხატოს დამოკიდებულება მათი ქცევისადმი

და ამით ზემოქმედება მოახდინოს მათ საქმიანობაზე და მათი კორპორაციული სულით აღზრდაში.

კომპოზიციურად (აგებულებით) სიტყვიერი დარწმუნება იყოფა სამ ნაწილად: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

1. შესავალი:

- თანამშრომლებში განსახილველი საკითხებისადმი ინტერესის აღძვრა;
- თანამშრომლებთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება (მათთან ფსიქოლოგიური გაერთიანება).

2. ძირითადი ნაწილი:

- მუშაობის შემოთავაზებული მიმართულების მნიშვნელობის მტკიცება;
- საწინააღმდეგო აზრის (თუ ასეთი არის) გაბათილება (თუ ის არ უწყობს ხელს მიზნის მიღწევას).

3. დასკვნა:

- თქმულის შეჯამება;
- თავისი წინადადების განკარგულების სახით ჩამოყალიბება.

თანამშრომლებთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება მცირე დროში საკმაოდ რთულია და მოითხოვს ხელმძღვანელისაგან საკმაო ინდივიდუალურ ოსტატობას. ამავე დროს არსებობს გარკვეული სტანდარტული რეკომენდაციები: სასურველია ხელმძღვანელს, ისევე, როგორც მის თანამშრომლებს, ეცვას **უნიფორმა**, რაც ფსიქოლოგიურად აახლოვებს მას კოლექტივთან; **ხელმძღვანელის პოზა** უნდა იყოს საქმიანი, აქტიური, მიზანმიმართული დასახული ამოცანების შესრულებაზე და იმავე დროს ღია და ნათელი თანამშრომლებისათვის; **ხელისგულები** გაშლილი და ზემოთ, არ უნდა ფარავდეს სახეს და გამოხატავდეს თანამშრომლებისაკენ სწრაფვას; სასურველია **სახეზე ღიმილი, ხელის ჩამორთმევა და ოდნავი თავის დახრა, მიმართვა ბატონობით, საქმიანი ურთიერთობის დისტანციის (1-2.5 მ) დაცვა, საქმიანი საუბრისათვის განწყობის პოზა, თანამშრომლებისათვის "თვალის გასწორება".**

უკანასკნელ დროს სწრაფი ტემპებით განვითარებადი დარგი - ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება, განასხვავებს ინფორმაციის მიღებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის სამ დომინირებულ სისტემას: ვიზუალურს

(ხედვის ორგანოებით), აუდიურს (სმენის ორგანოებით) და კინესტეტიკურს (მგრძნობელობითს). იმისდა მიხედვით, თუ რომელი სუბმოდალობა დომინირებს ხელმძღვანელში, მათ ყოფენ ვიზუალისტებად, აუდიისტებად და კინესტეტიკოსებად.

ვიზუალისტი ყურადღებას ამახვილებს მხედველობით ფიგურებზე: "როგორც ვხედავთ...", "თუ დავაკვირდებით...", "აქედან ჩანს...". ნათქვამის ილუსტრირება ხდება ხელების მიხმარებით, თითქოსდა რეალური სიტუაციის გამოსახვით. ხმა - ძლიერი, ფრაზები - მოკლეა.

აუდისტი ხშირად იყენებს სიტყვებს: "თუ დავფიქრდებით, მაშინ...", "თუ შევაფასებთ..." და ა.შ. ხმა შეესაბამება დაფიქრების, განსჯის პროცესს - დინჯი და დამაჯერებელია. ხელები, როგორც წესი, წელსზევითაა.

კინესტეტიკური აღქმა, როგორც წესი, იხილავს უკვე მომხდარს ("პოსტ-ფაქტუმ"), შესაბამისად ხელმძღვანელმა უნდა "განიცადოს" მომხდარი (ამოოხვრა, პაუზები, ხელების ქვემოთ დაშვება).

ხელმძღვანელმა ხელქვეითებზე სიტყვიერი ზემოქმედებისას თავი უნდა აარიდოს ბოდიშის მოხდას ("მაპატიეთ, რომ მოგწყვიტეთ საქმეს..."); ამორფულობას, მალე გადავიდეს კონკრეტულ საკითხზე; არ გამოიყენოს ყავლგასული წინადადებები, შტამპები, სტერეოტიპები (მაგალითად, "გამოუცხადოთ საბაჟო წესების დარღვევას სასტიკი ბრძოლა..."); არასოდეს დაკარგოს ზომიერ ფარგლებში იუმორის გრძნობა.

ხელმძღვანელის მაღალი მმართველობითი კულტურა საბაჟო ორგანოების თანამშრომლებთან და სტუმრებთან ურთიერთობისას ასახვას პოულობს მის მიერ **სამსახურებრივი ეთიკის ნორმების** დაცვაში: ურთიერთობების დემოკრატიზმი; მისაწვდომობა; ყურადღება (მოსმენის კულტურა); ნდობის ატმოსფეროს შექმნა; ურთიერთობებისას თავაზიანობა და "სიტყვის კაცობა". არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქცევის მანერაში აკურატულობასა და ორგანიზებულობას.

საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელი პირის ხასიათისა და ქცევის გარეგანი გამოვლენა უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელმძღვანელის შინაგან რწმენას.

ამერიკელი ფსიქოლოგები თვლიან, რომ ხელმძღვანელის მაღალ ინტელექტზე უფრო მნიშვნელოვანია ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნე-

ბა. ეს არ არის გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელი მუშაკი თავისი სამუშაო დღის სამ მეოთხედს ახმარს ზემდგომ ხელმძღვანელებთან, ხელქვეითებთან და სტუმრებთან ურთიერთობას.

ხელმძღვანელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ყველა პირს, რომელიც მასთან აქვს კონტაქტი, სურს:

1. **მიაღწიოს მასთან ურთიერთგაგებას, თვითგამომჟღავნებას;**
2. **ემოციური მხარდაჭერა;**
3. **მისი, როგორც პიროვნების, აღიარება.**

თვითგამომჟღავნების უებარი საშუალებაა მოსმენის უნარი. ხელმძღვანელმა არასოდეს არ უნდა აგრძნობინოს მოსაუბრეს, რომ მას ელოდება უფრო მნიშვნელოვანი საქმეები და ბოლომდე მოუსმინოს ხელქვეითს, გამოხატოს დაინტერესება, ჩაწვდეს მის ნაფიქრალსა და გრძნობებს.

ხელმძღვანელის ემოციური მხარდაჭერამ უნდა დამუხტოს თანამოსაუბრე დადებითი ემოციებით, დაამშვიდოს და თავდაჯერებული გახადოს იგი.

პიროვნებად აღიარების გამოხატულებაა ხშირი მიმართვა ბატონობით და სახელით, რჩევის კითხვა, ქცევით იმის გამოხატვა, რომ ყურადღებით უსმენ და პატივს სცემ მის აზრს. საჭირო ზომით ხელმძღვანელმა არ უნდა დაიშუროს შექება და კომპლიმენტი. ზომიერება გამოიხატება იმაში, რომ არ უნდა შეუქო ის კეთილთვისებები, რომელიც მოსაუბრეს არ გააჩნია. საჭიროა დიდი მოთმინება, თავდაჯერება, თვითკონტროლი, რათა არასასიამოვნო ადამიანებთან ისევე მოიქცე, როგორც სხვა დანარჩენებთან.

ამრიგად, **ეფექტური ურთიერთობის და სამსახურებრივი ეთიკის** თვალსაზრისით საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელებს შეიძლება მიეცეს შემდეგი რჩევები:

- იყავით თანამშრომლების მიმართ ყურადღებიანები;

- შესძელით ხელქვეითებზე განკარგულების გაცემა ისეთი ფორმით, რომ მათ იგი მოეჩვენოთ საკუთარ გადაწყვეტილებად;

- ეცადეთ გახსოვდეთ ყველა თანამშრომლის სახელი და გვარი და მოიქეცით მათთან თავისუფლად, ძალდაუტანებლად;

- განუვითარეთ ყოველ ხელქვეითს ღირსების შეგრძნება, ინიციატივა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა;

- წარმოიდგინეთ თავი ხელქვეითის ადგილას და არ დასცინოთ, არ გააჭილიკოთ, არ გალანძღოთ;

- დაეუფლეთ ადამიანების გულთბილად მიღებისა და ყურადღებით მოსმენის ხელოვნებას.

5. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოს საბაჟო კოდექსის 158.1 მუხლის შესაბამისად, "საქართველოს საბაჟო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ როგორც სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საბაჟო ორგანოები, რომლებიც შედიან საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სისტემაში".

ის, რომ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი არის სამართალდამცავი სტატუსის მქონე სპეციალური სახელმწიფო მმართველობის საქვეუწყებო დაწესებულება, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ის უშუალოდ ახორციელებს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ქვეყნის ერთიან საბაჟო პოლიტიკას და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, გადაცემული უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში, უზრუნველყოფს დაკისრებული ამოცანების შესრულებას საბაჟო საქმიანობის სფეროში;

საბაჟო დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საბაჟო კოდექსით, სხვა კანონებით, პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, პარლამენტის დადგენილებებით, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ბრძანებებით, დეპარტამენტის კოლეგიის დადგენილებებით და დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებებით, საბაჟო დეპარტამენტის დებულებით;

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი შედგება ცენტრალური აპარატის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამმართველოების, რეგიონული საბაჟოების, საბაჟო საგუშაგოებისა და საბაჟო გამშვები პუნქტებისაგან;

საბაჟო დეპარტამენტის დაფინანსება ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებით;

საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით.

საბაჟო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებთან ერთად საქართველოს საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და ამ პოლიტიკის განხორციელება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და შიგა ბაზრის დაცვა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიის მთლიანობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებლების მობილიზაცია და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა;
- სამეურნეო საქმიანობის საბაჟო რეგულირების საშუალებების სრულყოფა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და საქართველოს მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მონაწილეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის პრიორიტეტებიდან გამომდინარე;
- საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და სრულყოფა საქართველოში;
- საბაჟო კანონმდებლობისა და იმ კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, რომლის შესრულებაზე კონტროლი დაკისრებული აქვთ საქართველოს საბაჟო ორგანოებს;
- საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო საბაჟო თანამშრომლობაში.

საბაჟო დეპარტამენტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- ამზადებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფისათვის და უზრუნველყოფს ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას;

- შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოში საბაჟო საქმიანობის განვითარების პროგრამებს;
- ამზადებს საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებს, ქმნის და სრულყოფს ღონისძიებების სისტემას, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო საქმის შესახებ კანონმდებლობისა და იმ კანონმდებლობის დაცვას, რომლის შესრულებაზე კონტროლი დაკისრებული აქვთ საქართველოს საბაჟო ორგანოებს;
- მონაწილეობს წინადადებების შემუშავებაში საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის მექანიზმის სრულყოფის თაობაზე, მათ შორის საერთაშორისო საწარმოო კოოპერაციის, ექსპორტის სტიმულირების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეებში;
- დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები შესაბამის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში საბაჟო ტარიფებისა და სხვა საბაჟო გადასახდელების განაკვეთებისა და მათი გამოყენების მექანიზმების შესახებ და ორგანიზებას უკეთებს მათ ამოღებას და უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში მათ დროულ შეტანას;
- მონაწილეობს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების, მათ შორის ლიცენზირების, ფასების რეგულირებისა და სხვა არასატარიფო ღონისძიებების შემუშავებაში საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლის მიმართ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უკეთებს ამ ღონისძიებების რეალიზაციას;
- უზრუნველყოფს საბაჟო რეჟიმების ეფექტურ გამოყენებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას და საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის წარმოებისას;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოფს ლიცენზიების გაცემას, მათ ანულირებას ან გამოთხოვას, უზრუნველყოფს რეესტრების წარმოებას, ზედამხედველობას და კონტროლს უწევს ლიცენზიების საფუძველზე შექმნილი დაწესებულებების საქმიანობას;

- ორგანიზებას უკეთებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას, იღებს ზომებს მისი სრულყოფისა და გამარტივებისათვის;
- ადგენს საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცალკეული სახის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, სტრატეგიული და საქართველოს ინტერესებისათვის სხვა სასიცოცხლო მნიშვნელოვანი მასალების, აგრეთვე კულტურული ფასეულობების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების სანებართვო წესს და ორგანიზაციას უკეთებს ამ წესის დაცვას;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზაციას უკეთებს სავალუტო კონტროლის განხორციელებას, ასრულებს სავალუტო კონტროლის ორგანოს ფუნქციებს;
- უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო ორგანოების მონაწილეობას სახელმწიფო უშიშროების დაცვის ზომების განხორციელებაში, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობრიობის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, ბუნებრივი გარემოს დაცვაში;
- ორგანიზაციას უკეთებს კონტრაბანდისა და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების, სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოფს ასეთ დანაშაულობებზე საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ მოკვლევის ორგანოების ფუნქციების შესრულებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ორგანიზაციას უკეთებს საბაჟო წესების დარღვევებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას;
- ახორციელებს კანონიერების დაცვის კონტროლს საქართველოს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირების მიერ კონტრაბანდისა და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების და სხვა დანაშაულების საქმეების მოკვლევისას, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების განხორციელებისას, საბაჟო წესების დარღვევების საქმეების წარმოებისას და მათი განხილვისას, იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების წარმოებისას, რომლებიც ხელყოფენ საქართველოს საბაჟო ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას;
- ორგანიზებას უკეთებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის წარმოებას და მონაცემების ოფიციალურ გამოქვეყნებას;

- ორგანიზებას უკეთებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენებას, თვალყურს ადევნებს ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებს და დამატებებს, საერთაშორისო განმარტებებს და ღებულობს მათ სახელმძღვანელოდ. საჭიროების შემთხვევაში, არსებული წესის მიხედვით ნომენკლატურაში შეაქვს დამატებები ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე;
- იღებს ზომებს საბაჟო საქმიანობის განხორციელების პროცესში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების და ინტერესების დასაცავად;
- უზრუნველყოფს საჩივრებისა და მომართვების დროულ და სრულ განხილვას;
- უზრუნველყოფს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებას, ატარებს საინფორმაციო-განმარტებით მუშაობას საბაჟო საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ქმნის წინასწარი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფუნქციონირების სისტემას საბაჟო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტების შეფარდების საკითხებზე კონკრეტული საქონლის ან კონკრეტული სამეურნეო ოპერაციის მიმართ;
- დადგენილი წესით იღებს უცხოეთის დელეგაციებს, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან საბაჟო საქმესთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად;
- ორგანიზებას უკეთებს საბაჟო საქმის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას;
- უზრუნველყოფს უცხო ქვეყნების საბაჟო პოლიტიკისა და ამქვეყნებში საბაჟო საქმის გამოცდილების შესწავლასა და ანალიზს;
- უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო ორგანოების ერთიანი ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის შექმნას, ფუნქციონირებას და დახვეწას;
- ქვეყნის საბაჟო სისტემაში ახორციელებს ერთიან საკადრო პოლიტიკას, ახდენს კადრების შერჩევას და განაწილებას, ატარებს ღონისძიე-

ბებს მათი მომზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ამტკიცებს ნომენკლატურას;

- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს საბაჟო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით, დეპარტამენტს უფლება აქვს:

- განსაზღვროს საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები;
- დააწესოს ფიზიკური პირების მიერ საქონლის არაკომერციული მიზნებით გადაადგილების გაიოლებული, შეღავათიანი წესი;
- განსაზღვროს საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის სპეციალისტთა საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები;
- მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოითხოვოს საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, საწარმოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და დაქვემდებარებისა, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისაგან დოკუმენტები და მონაცემები, გააკონტროლოს მიღებული ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს მოკვლევა და მოიწვიოს საექსპერტო საბჭოები და დროებითი სამუშაო ჯგუფები საბაჟო საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით;
- იქონიოს კავშირებისა და მონაცემების გადაცემის საუწყებო სისტემა;
- დაამტკიცოს სტრუქტურული დანაყოფების, დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებები და წესდებები, დანიშნოს მათი ხელმძღვანელები, განახორციელოს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიები და შემოწმებები;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავოს და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წარუდგინოს საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და

ორგანიზაციისათვის განურჩევლად საკუთრების ფორმისა და დაქვემდებარებისა, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის;

- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

6. საქართველოს საბაჟო ორგანოები

საბაჟო ორგანოები თავის საქმიანობას ახორციელებენ საბაჟო დეპარტამენტის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი განსაზღვრავს თითოეული საბაჟო ორგანოს საქმიანობის რეგიონს (ზონას).

საბაჟოების უშუალო დაქვემდებარებაში არიან საგუშაგოები, რომლებიც იმყოფებიან ამ საბაჟოს საქმიანობის ზონაში. დასაშვებია ცალკეული მნიშვნელოვანი საგუშაგოების პირდაპირი დამორჩილება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისადმი.

საბაჟო ზონების საზღვრები შეიძლება (მაგრამ არ არის აუცილებელი) შეესაბამებოდეს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებს.

ოთხმოცდაათიან წლებამდე საბაჟო კონტროლის პუნქტები ძირითადად განლაგებული იყო საზღვრებზე და სასაზღვრო ნავსადგურებში, რკინიგზის სადგურებში და აეროპორტებში. საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებამ და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა საბაჟოების საქონლის გამგზავნებთან და მიმღებებთან დაახლოების საკითხი კერძოდ, შემოღებული იქნა ქვეყნის შიგა საბაჟოები და ტერმინალები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთმა ფორმამ გაამართლა, განსაკუთრებით საქონლის გადამუშავების და სხვა საბაჟო რეჟიმებისას საბაჟო კონტროლის განხორციელების საკითხებში. ამ კონტექსტში შესაძლებელია სპეციალიზირებული, მაგალითად, ენერგეტიკული ან სააქციზო საქონლის საბაჟოების შექმნაც.

საბაჟოს ხელმძღვანელობს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული საბაჟო ორგანოს უფროსი.

საბაჟო საგუშაგოები თავის საქმიანობას ახორციელებენ უშუალოდ საბაჟო სამმართველოებისა და რეგიონული საბაჟოების ხელმძღვანელობის დაქვემდებარების ქვეშ. თუ აჭარისა და აფხაზეთის საბაჟო სამმართველოები და რეგიონული საბაჟოები იურიდიული პირები არიან, საბაჟო საგუშაგოები, როგორც წესი, არ ფლობენ იურიდიული პირის სტატუსს. კანონმდებლობა არ უკრძალავს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში მიანიჭოს რომელიმე საბაჟო საგუშაგოს იურიდიული პირის სტატუსი. მაშინ მას ექნება საკუთარი ბალანსი, მიმდინარე და სხვა ანგარიშები ბანკში, პირდაპირი ურთიერთობა ბიუჯეტთან, ოპერატიული მართვის და სხვა უფლება.

ჩვეულებრივ, საბაჟო საგუშაგოების ამოცანებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების განხორციელება;

ბ) საბაჟო გაფორმების და საბაჟო კონტროლის განხორციელება;

გ) საზღვარზე გადაადგილებული (გადასაადგილებელი) საქონლისადმი საბაჟო-სატარიფო მექანიზმის ამოქმედება;

დ) კონტრაბანდასთან, ამ სფეროში სხვა დანაშაულთან და საბაჟო წესების დარღვევასთან ბრძოლა.

თუ საბაჟო საგუშაგო იურიდიული პირია, მას ისევე, როგორც რეგიონულ საბაჟოს, უფლება აქვს იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში.

საბაჟო ორგანოები საბაჟო საქმიანობის განხორციელების მიზნით ურთიერთმოქმედებენ სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის, საგადასახადო დეპარტამენტის, გარემოსა და ბუნების დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, საკარანტინო, სავეტერინარო, ფიტოსანიტარული, პროდუქციის ხარისხის, საგზაო, სატრანსპორტო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და დაწესებულებებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

სახელმწიფო ორგანოები და მათი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საბაჟო ორგანოებს თავისი უფლებამოსილების შესრულებაში, შეუქმნან მუშაობის სათანადო პირობები.

ამავე დროს საბაჟო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ თავისი კონტროლის ქვეშ ნება მისცენ სხვა სახელმწიფო ორგანოებს, დაწესებულებებს, სანარმოებს და ორგანიზაციებს განახორციელონ გარკვეული ქმედებები საბაჟო კონტროლის ობიექტებზე და საბაჟო კონტროლის ზონაში.

საბაჟო ორგანოებისადმი ხელშეწყობის მიზნით საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებია აგრეთვე საბაჟო ორგანოებისათვის სასამსახურო და საყოფაცხოვრებო სათავსების, მოწყობილობებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გამოყოფა და საბაჟო ორგანოებისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემა.

საბაჟო ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის გადაწყვეტილების, მოქმედების თუ უმოქმედობის გასაჩივრების უფლება აქვს ყველას, ვინც თვლის, რომ დარღვეული იქნა მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები და ასეთმა გადაწყვეტილებებმა, მოქმედებამ თუ უმოქმედობამ ზიანი მიაყენა მას.

როგორც წესი, პირველადი საჩივარი იწერება თავად საბაჟო ორგანოს სახელზე, რომლის სახელმწიფო მოხელის გადაწყვეტილება, მოქმედება თუ უმოქმედობა გახდა საჩივრის საბაბი.

პირველადი საჩივარი განხილული უნდა იქნეს ერთ თვეში. ზემდგომ ორგანოს შეუძლია ვადის გაგრძელება ორ თვემდე.

საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი წერილობითი ფორმით შესაბამისი საბაჟო ორგანოს ან თანამდებობის პირის სახელზე.

თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდა ან საჩივრის შედეგად გატარებული ღონისძიებანი არ აკმაყოფილებს პირს, მას უფლება აქვს მიმართოს იმავე საბაჟო ორგანოს ან მის ზემდგომ ორგანოს განმეორებითი საჩივრით;

თუ საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული საბაჟო ორგანოების მიერ, პირს რჩება უფლება მიმართოს სასამართლოს.

საბაჟო დეპარტამენტს ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე:

ა) დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მოქმედებს დეპარტამენტის

სახელით, წარმოადგენს დეპარტამენტს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობისას;

ბ) უშუალოდ, აგრეთვე მოადგილეების, დეპარტამენტის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, საბაჟო ორგანოებისა და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით წყვეტს დეპარტამენტის ამ დებულებით განსაზღვრულ საკითხებს;

გ) პერსონალურად პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საბაჟო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებების და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ბრძანებების შესრულებაზე საბაჟო საქმიანობის სფეროში; თავის მხრივ თავმჯდომარე განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეების, დეპარტამენტის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, საბაჟო ორგანოებისა და სხვა დაქვემდებარებული სამსახურების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხებს;

დ) თავმჯდომარე ძალადაკარგულად ცნობს მოადგილეების, დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების და საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, სხვა კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე თავმჯდომარის ბრძანებებს;

ე) თავმჯდომარე დადგენილი წესით საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრს და პრეზიდენტს აბარებს დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშს;

ვ) დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფები საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრს და პრეზიდენტს მიმართავენ თავმჯდომარის მეშვეობით;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსთან შეთანხმებით იღებს და იუსტიციის სამინისტროში წარადგენს სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს, ორგანიზებას უწევს მათი შესრულების შემოწმებას;

თ) სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ი) საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და საბაჟო სისტემის საშტატო ნუსხებს და შეაქვს მათში ცვლილებები;

კ) ნიშნავს თანამდებობებზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან დეპარტამენტის თანამდებობის პირებს დადგენილი თანამდებობების ნუსხის საფუძველზე;

ლ) განსაზღვრავს დეპარტამენტს დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოების მიერ ორგანიზაციული, საკადრო, საფინანსო და სხვა საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებამოსილებებს;

მ) ამტკიცებს დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, აგრეთვე საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებებს;

ნ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ანიჭებს სპეციალურ წოდებებს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს და დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაკებს, დადგენილი წესით შეაქვს წარდგინებები უმაღლესი სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებისა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაკებისათვის. სპეციალურ წოდებებს და მათი მინიჭების წესს განსაზღვრავს კანონი;

ო) საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასამსახურო ტანსაცმლის ფორმას;

პ) დადგენილი წესით აჯილდოებს საბაჟო სისტემის მუშაკებს;

ჟ) წარადგენს საქართველოს საპატიო წოდებებსა და სახელმწიფო ჯილდოებზე იმ მუშაკებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი;

რ) გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული დისციპლინური ზემოქმედების ზომებს საბაჟო ორგანოების მუშაკების და სხვა დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ;

ს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა ფუნქციებს და სარგებლობს სხვა უფლებამოსილებით;

ტ) დეპარტამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოახდინოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ნაწილობრივი დელეგირება დაქვემდებარებულ თანამდებობის პირებზე.

ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში მძვინვარე საბიუჯეტო კრიზისმა საბაჟო ორგანოების წინაშე ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანებიდან პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებლების მობილიზაციას და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას. თუ მანამდე ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელებიდან გათვალისწინებულ შემოსავლებს საპროგნოზო მაჩვენებლის ფორმა ჰქონდა, თანდათანობით იმპერატიული (სავალდებულო) მაჩვენებლის - საბაჟო ორგანოების შემოსავლების გეგმის სახე მიიღო. თუ ამ გეგმის შესრულებას საწყის ეტაპზე საბაჟო ორგანოების ფუნქციებს შორის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამ გეგმების შესრულება თანდათანობით საბაჟო ორგანოების მუშაობის შეფასების ერთადერთ და განმსაზღვრელ მაჩვენებლად გადაიქცა.

ვინაიდან ასეთი გეგმები ვერასოდეს სრულდებოდა, გეგმის შეუსრულებლობას თან სდევდა ორგანიზაციული დასკვნები - რვა წელიწადში გამოიცვალა საბაჟო დეპარტამენტის ცხრა თავმჯდომარე და ყოველ ასეთ ცვლილებას მოჰყვებოდა როგორც თავად საბაჟო სისტემის სტრუქტურული ცვლილებები, ისე პირადი შემადგენლობის ძირფესვიანი განახლება. ასეთი პოლიტიკის შედეგად საქართველოს საბაჟო ორგანოები ხასიათდება როგორც უაღრესად არასტაბილური სახელმწიფო სამსახური, რომელსაც არ ჰყავს მუდმივი და სტაბილური კადრები - პროფესიონალ მებაჟეთა კორპუსი.

საბაჟო ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმალურობის ძიებამ საბაჟო დეპარტამენტს რამდენიმეჯერ შეუცვალა ზემდგომი და მეკურატორე ორგანოები და პირები, რასაც არ შეეძლო მოეტანა და არც მოუტანია დადებითი შედეგი.

უკანასკნელი და განსაკუთრებით კარდინალური ცვლილებები შეეხო საბაჟო ორგანოებს მაშინ, როცა შეიქმნა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო და საბაჟო დეპარტამენტი გადავიდა მის საუწყებო დაქვემდებარებაში.

აქამდე საბაჟო დეპარტამენტის სუსტ მუშაობას განაპირობებდა ის, რომ საბაჟო ორგანოებმა ფისკალურ ფუნქციას ანაცვლეს ყველა სხვა ამოცანა. ამასთან, ვერც ფისკალურ ფუნქციას ასრულებდნენ სათანადოდ. ჩვენის აზრით იმიტომ, რომ არ იყენებდნენ სათანადოდ თავის, როგორც სამართალდამცავი ორგანოს სტატუსს. ამ მხრივ ძალიან სუსტი იყო ამ ორგანოების პროფესიონალური მომზადება, რანჟირება. ამავე დროს შეიარაღება საქართველოს საბაჟოში ფაქტობრივად ტაბუდადებული იყო ამას ემატება ისიც, რომ კონტრაბანდის და საბაჟო წესების დარღვევის არც ერთი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დარღვევის თუ დანაშაულის სამართლებრივი დევნა არ იქნა მიყვანილი ბოლომდე, საქართველოში წლების განმავლობაში არც ერთი პირი არ გასამართლებულა .ასეთი სახის დანაშაულისათვის.

ამ გარემოებათა შედეგად საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელობაში დამკვიდრდა კაპიტულანტური განწყობები: "შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკური საზღვრების შეკვრა და დაცვა მის მთელ პერიმეტრზე!", "თუ სახელმწიფო არ შეამცირებს საბაჟო გადასახდელებს, შეუძლებელი იქნება იმპორტიორების დაყოლიება გადაიხადონ გადასახადები!" და სხვა.

იმის მაგივრად, რომ საბაჟო ორგანოებში გაძლიერებულიყო სამართალდამცავი ორგანოების სტატუსი და გამკაცრებულიყო ადმინისტრირება საბაჟო კანონმდებლობის დაცვის საქმეში, ახლადშექმნილმა სამინისტრომ შეიმუშავა და განახორციელა ახალი, მსოფლიო საბაჟო პრაქტიკაში არნახული, წმინდა ქარსული მოდელი - საბაჟო ორგანოებს და საბაჟო ორგანოთა თანამშრომლებს ფაქტობრივად ჩამოართვა სამართალდამცავთა სტატუსი და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საგანგებო ლეგიონს გადაეცა საბაჟო ორგანოების საქმიანობის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი - საბაჟო წესების დარღვევისათვის პირთა და ქონების დაკავების და მოკვლევის ჩატარების, საქმის აღძვრის, თავად განხილვის და სისხლის სამართლის დანაშაულთა საქმეების საგამოძიებო ორგანოებში გადაცემის უფლება. საბაჟო ორგანოების ოფიცრები გადაიქცნენ ფისკალური სამსახურის ჩინოვნიკებად.

კონკრეტულად, აღნიშნული ნოვაციები გამოიხატა იმაში, რომ საბაჟო დეპარტამენტში გაუქმდა შიგა კონტროლის სამსახური, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური, მოკვლევის სამმართველო, კონტრაბანდასა და

საბაჟო კანონმდებლობის სხვა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო.

საბაჟო დეპარტამენტის დარჩენილ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს აკისრიათ შემდეგი ფუნქციები:

1. თავმჯდომარის აპარატი

საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტში გასამართი თათბირების მომზადების ორგანიზება, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან მიღებულ თავმჯდომარის აპარატის კომპეტენციაში შემავალ დავალებებზე კვალიფიციური დასკვნების დროული მომზადება, საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის დადგენილებების, თავმჯდომარის ბრძანებების მომზადებაში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოსა და საზღვარგარეთის საბაჟო პოლიტიკის საკითხებზე უახლესი მასალების, აგრეთვე ქართულ და უცხოურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ამ საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების ან ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და კონკრეტული წინადადებების მომზადება; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საბაჟო პოლიტიკის საკითხებზე და საბაჟო დეპარტამენტის მიმართ კრიტიკულ პუბლიკაციებზე ოპერატიული რეაგირებით მასალების მომზადების კოორდინაცია, დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმება და გამოქვეყნება, მასმედიასთან ურთიერთობა კომპეტენციის ფარგლებში.

2. საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლობები საზღვარგარეთ

საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორქვეყნებში საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლობების ძირითად ფუნქციას შეადგენს ამ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების და კონტრაბანდის და საბაჟო კანონმდებლობის სხვა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელშეწყობა.

3. საფინანსო კონტროლის სამმართველო

ქვეყნის ექსპორტ-იმპორტზე და საერთაშორისო ტრანზიტით გადაადგილებულ საქონელზე მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი; ადგილობრივი საბაჟო ორგანოების სტა-

ტისტიკური სამსახურების კურირება, საბაჟო ორგანოებში საბაჟო სტატისტიკური ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, ანალიზის და გადაცემის ავტომატიზებული სისტემის შექმნა, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის შედგენის ინფორმაციული უზრუნველყოფა, საბაჟო სტატისტიკური მონაცემების მომზადება ოფიციალური პუბლიკაციებისთვის, საბაჟო სისტემაში ფინანსური შემოსავლებისა და გასავლების დაგეგმვა, ფინანსური რესურსების მაქსიმალური მობილიზაციის და გამოყენების მიზნით ღონისძიებების განხორციელება; ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი.

4. ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო

სათავო ორგანიზაციის საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშსწორება, დაქვემდებარებული და სათაო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშსწორებების მოპოვება, ერთობლივი საბუღალტრო ბალანსის შედგენა და ზემდგომ ორგანოებში წარდგენა, შესანახი ხარჯების ზღვრული ასიგნების განსაზღვრა, ხარჯთანუსხის შედგენა, სახაზინო დეპარტამენტში წარდგენა, დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის შეტყობინება.

5. საბაჟო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის სამმართველო

საბაჟო სისტემაში საქმის წარმოება და მისი შემდგომი სრულყოფა, დოკუმენტების შესრულების კონტროლი, თათბირების მომზადების ორგანიზება, კოლეგიის დადგენილებების, ბრძანებების პროექტების მომზადებაში კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა, მოქალაქეთა წერილების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა, მათზე რეაგირების ორგანიზება, დეპარტამენტის სისტემაში შემავალი ქვედანაყოფების სათანადოდ აღჭურვა დანადგარებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, საბაჟო ტექნიკით უზრუნველყოფა, საავტომობილო ტრანსპორტით დაკომპლექტება და მისი საექსპლუატაციო პირობების უზრუნველყოფა, კაპიტალური მშენებლობის უზრუნველყოფა, მუშაკთა შრომითი საქმიანობის უსაფრთხო პირობების და მატერიალური ფასეულობების დაცვა.

6. საერთაშორისო ურთიერთობების და დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის კოორდინაციის სამმართველო

საბაჟო საქმის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადება, კანონპროექტების, კანონქვემდებარე ნორმატიული

აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, საერთაშორისო სამართლის ნორმებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა, საბაჟო საქმის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების კონტროლი, საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარების და განვითარების უზრუნველყოფა, საბაჟო საქმის უცხოური მოწინავე გამოცდილების შესწავლის, ანალიზის და დანერგვის მიზნით უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, მათ მიერ სემინარების და სხვა ღონისძიებების მოწყობის, საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოებში სისტემის მუშაკთა სწავლების და სტაჟირების ორგანიზება, უცხოურ ენებზე შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და გავრცელება, საერთაშორისო მიმოწერის კოორდინაცია და ექსპერტიზა, დეპარტამენტში უცხოეთის დელეგაციების მიღების ორგანიზება.

7. სათბობ-ენერგეტიკისა და აქციზური საქონლის სამმართველო

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სათბობ-ენერგეტიკული და აქციზური საქონლის საბაჟო გაფორმების მონიტორინგი და კონტროლი, საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული სათბობ-ენერგეტიკული და აქციზური საქონლის აღრიცხვის და დაბეგვრის ორგანიზება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მიღება სათბობ-ენერგეტიკული და აქციზური საქონლის მოძრაობის შესახებ, სათბობ-ენერგეტიკული და აქციზური საქონლისათვის კოდის მინიჭება, აქციზის განაკვეთის განსაზღვრა, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის და განცხადების სისწორის კონტროლის განხორციელება.

8. საბაჟო საქმის მართვის სრულყოფის და კონტროლის სამმართველო

საბაჟო პროცედურების ტექნოლოგიების შემუშავება და კოდიფიცირების სრულყოფა, საბაჟო რეჟიმების რეგულირება და მათი განხორციელების მექანიზმების სრულყოფა, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის კოდიფიცირების სრულყოფა, საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო საქმის აღსრულების მექანიზმის სრულყოფა.

9. კადრების სამმართველო

შეიმუშავებს დეპარტამენტის შინაგანაწესს და კონტროლს უწევს მის შესრულებას, ამზადებს ბრძანებების პროექტებს საშტატო ნუსხით განსაზღვრულ თანამდებობებზე მოსამსახურეთა და მომსახურე პერსონალის და-

ნიშვნის, გათავისუფლებისა და გადაადგილებების შესახებ, ადგენს მოსამსახურეთა შვებულებების გრაფიკს, მასალებს სისტემის ნომენკლატურული მუშაკებისათვის პენსიების გასაფორმებლად, სპეციალური წოდებების მისანიჭებლად, არჩევს უცხოეთის ქვეყნებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გასაგზავნ კანდიდატებს, უზრუნველყოფს სახელმწიფო მოსამსახურეთა ატესტაციის, აგრეთვე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ორგანიზებას და გამართვას, ორგანიზებას უწევს სახელმწიფო მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხთა გადაწყვეტას, ახორციელებს საკადრო რეზერვის შევსებას და მისი პრაქტიკული გამოყენების ღონისძიებებს.

10. იურიდიული სამსახური

სამართლებრივ საშუალებათა აქტიური გამოყენება ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად; საბაჟო საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, კანონპროექტების საქართველოს პარლამენტის სხდომებზე გატანის უზრუნველყოფა; საბაჟო სისტემაში წარმოშობილ შრომით დავაზე სამსახურებრივი მოკვლევის განხორციელების უზრუნველყოფა; დეპარტამენტის ინტერესების წარმოდგენა სასამართლოსა და სხვა ორგანოებში სამართლებრივი საკითხების განხილვისას.

11. საინფორმაციო ცენტრი

საინფორმაციო ცენტრის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის ექსპორტ-იმპორტზე და საერთაშორისო ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი; სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან საბაჟო საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე ინფორმაციის მიღება-დამუშავება და ანალიზი, საბაჟო კანონმდებლობის დამრღვევებზე მონაცემთა ინფორმაციული ბაზის შექმნა; რისკის ფაქტორების გამოვლენა, საბაჟო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების და მონაცემთა გადაცემის სისტემების მომსახურება, ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ტენდენციების სტრუქტურის დინამიკა და ანალიზი, დეპარტა-

მენტის დაქვემდებარებული საბაჟო ორგანოების სტატისტიკური სამსახურების კოორდინაცია.

12. დაცვისა და უშიშროების სამმართველო

დაცვისა და უშიშროების სამმართველოს ძირითადი ამოცანაა ინფორმაციის მოპოვება საბაჟო წესებისა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა სახის დარღვევების ფაქტების აღსაკვეთად, აგრეთვე მოსალოდნელი საბაჟო დანაშაულებების შესახებ მიღებული ინფორმაციის განხილვა, სისტემატიზაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ მისი გამოყენების მიზნით, დადგენილი წესით ინფორმაციის მიწოდება სხვა სამართალდაცვის ორგანოებისათვის, საბაჟო ზონებისა და დეპარტამენტის კუთვნილი შენობა-ნაგებობების დაცვა, ასევე სხვა სპეციალური დავალებების შესრულება (მათ შორის ნაღდი ფულის ინკასაცია, საჭიროების შემთხვევაში საბაჟო სისტემის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების პირადი დაცვის ორგანიზება), განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხებზე თავმჯდომარის დავალებით შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

13. საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და დისპეტჩერიზაციის სამმართველო

საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და დისპეტჩერიზაციის სამმართველოს ძირითადი ამოცანაა დადგენილი წესით საბაჟო ტვირთებით დატვირთული ავტოტრანსპორტის შერჩევითი გაცილება. შემკრებ-გამანაწილებელში სარეგისტრაციო სადისპეტჩერო მომსახურების განხორციელება, მიმართულების მიხედვით კოლონებად მოძრავი ავტოტრანსპორტის დადგენილ მარშრუტზე გადაადგილების დაფიქსირება, შესაბამისი ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დადგენილი წესით დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის გადაცემა.

14. საბაჟო ლაბორატორია

საბაჟო ლაბორატორიის ძირითადი ამოცანაა საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე საბაჟო მიზნებისათვის საქონლის ექსპერტიზისა და სპეციალური გამოკვლევების ჩატარების ორგანიზების უზრუნველყოფა, საბაჟო საქმის საექსპერტო მეთოდურ და ტექნიკურ პრობლემებზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

15. საბაჟო წესების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების სამმართველო

საბაჟო წესების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების სამმართველოს ძირითადი ამოცანაა საბაჟო წესების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტებზე სრული, ყოველმხრივი და ობიექტური საქმისწარმოების განხორციელება, მასალების მომზადება და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენა ადმინისტრაციული სახდელების დასადებად.

ვინაიდან ამ სახელმძღვანელოს გამოცემის მომენტისათვის საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში კარდინალურად შეიცვალა დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, არ არის გამორიცხული დეპარტამენტის სტრუქტურაში შემდგომი ცვლილებები.

7. საქართველოს საბაჟო ორგანოების თანამშრომლები

საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელის სტატუსი, თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინარული პასუხისმგებლობის, გათავისუფლების და სხვა პირობები განისაზღვრება კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ", შრომის კანონმდებლობით, დებულებით „საბაჟო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ", საბაჟო ორგანოების დისციპლინარული წესდებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" ძალაში შევიდა 1998 წლის 1 დეკემბრიდან. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო ორგანოებში სამსახური განეკუთვნება საჯარო სამსახურს, ეს კანონი საკმაოდ სრულად იძლევა საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეების სტატუსის ძირითად ცნებებს:

საბაჟო ორგანოში სამსახური, როგორც საერთოდ საჯარო სამსახური, არის საქმიანობა სახელმწიფო დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოში.

თანამდებობა საბაჟო ორგანოში, როგორც საერთოდ სახელმწიფო თანამდებობა, განსაზღვრავს მოქალაქის ადგილს და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებს და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

საქართველოს საჯარო სამსახური ერთიანია და იყოფა ორ სახედ: ა) სახელმწიფო სამსახური და ბ) სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში. სამსახური საბაჟო ორგანოებში მიეკუთვნება სახელმწიფო სამსახურს.

საბაჟო ორგანოს მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო დაწესებულებაში.

საბაჟო ორგანოს მოსამსახურე იმავე დროს არის სახელმწიფო მოხელე, პირი, რომელიც ინიშნება სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე.

საბაჟო ორგანოების ტექნიკური მუშაკები მიეკუთვნებიან დამხმარე მოსამსახურეებს, რომლებიც მიიღებიან დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე.

საქართველოში საბაჟო ორგანოების, როგორც საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპებია:

ა) საქართველოს სახელმწიფოს და ხალხის ერთგულება;
ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობის განხორციელებისას;
გ) ადამიანის და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;
დ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარის და პროფესიული მომზადების შესაბამისად;
ე) მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
ვ) საჯაროობა;
ზ) საჯარო სამსახურის უპარტიობა და საერო ხასიათი;
თ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა;

ი) მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საბაჟო ორგანოებში, როგორც საჯარო სამსახურში სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა;

ბ) იმყოფება წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშერკულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

სამსახური საბაჟო ორგანოებში წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეობას, რომლითაც ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში შემავალი საბაჟო ორგანოების ფუნქციები და მოვალეობები.

საქართველოს საბაჟო ორგანოებში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საბაჟო კოდექსი, კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, კანონი „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ და დებულება „სა-

ქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ".

დებულება დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 8 იანვრის № 2 ბრძანებულებით.

ამ დებულების თანახმად საბაჟო ორგანოების მოსამსახურეები იყოფიან თანამშრომლებად და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალად.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს განეკუთვნებიან საბაჟო დეპარტამენტის კადრებში ჩარიცხული ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც განეკუთვნებიან რიგით და ოფიცერთა შემადგენლობას და მინიჭებული აქვთ კანონმდებლობით გათვალისწინებული წოდებები. საბაჟო ორგანოებში მომუშავე ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს მიეკუთვნებიან ის მოსამსახურეები, რომელთაც არ მიენიჭებათ სპეციალური წოდებები.

საბაჟო ორგანოების სამსახურში მიღების წესი.

საბაჟო ორგანოების სამსახურში მიიღებიან საქართველოს მოქალაქენი 21 წლის ასაკიდან, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას და ზნეობრივი მონაცემების, განათლების დონის, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით უნარი შესწევთ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი.

საბაჟო ორგანოებში სამუშაოდ მიღება ნებაყოფლობითი ხასიათისაა და ხორციელდება, როგორც წესი, კონკურსის საფუძველზე. გადაწყვეტილებას საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის მოწყობის თაობაზე იღებს საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე და უთანხმებს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს.

კონკურსის ორგანიზებისა და კომისიის საქმიანობის წესები განსაზღვრულია "საბაჟო დეპარტამენტის სისტემის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" დებულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

საბაჟო ორგანოებში სამუშაოდ მიღებასთან დაკავშირებით მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა) **წერილობითი განცხადება;**

ბ) **ავტობიოგრაფია;**

გ) ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;

დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;

ზ) ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან;

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

ამ დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს პირისთვის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

საბაჟო ორგანოების რიგითი შემადგენლობის თანამდებობებზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის თანამდებობებზე, როგორც წესი, მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები.

უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის თანამდებობებზე ინიშნებიან მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება ხდება თანამდებობაზე მისი დანიშვნით, რომლის უფლებაც, დამტკიცებული ნომენკლატურის თანახმად, აქვს შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელს ან ამისათვის უფლებამოსილ პირს.

თანამდებობაზე თანამშრომლის დანიშვნის დღედ ითვლება სათანადო ბრძანებაში კონკრეტულად აღნიშნული თარიღი.

თუ სამსახურში მისაღები პირის შემოწმების დროს მიღებული იქნა მისი მაკომპრომეტირებელი მონაცემები, ამ შემთხვევაში სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელი, რომელიც სარგებლობს სამსახურში დანიშვნის და სამსახურიდან გათავისუფლების უფლებით.

თანამშრომლის გადაყვანა ზემდგომ, თანაბარ ან დაბალ თანამდებობაზე ითვლება თანამდებობრივ გადაადგილებად.

თანამდებობრივი გადაადგილება ხდება:

ა) ზემდგომ თანამდებობაზე სამსახურებრივი დაწინაურებით დასაწინაურებელ თანამშრომელთან შეთანხმების საფუძველზე;

ბ) თანაბარ თანამდებობაზე თანამშრომლის თანხმობით სხვა თანამდებობების დაკომპლექტების აუცილებლობის დროს ან თანამშრომლის უფრო მიზანშეწონილ გამოყენებასთან დაკავშირებით მისი სამსახურებრივი ჩვევებისა და პირადი თვისებების, ჯანმრთელობის, განათლების და სპეციალური მომზადების გათვალისწინებით;

გ) დაბალ თანამდებობაზე - პირადი თხოვნით; შტატების შემცირებისას; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე; საატესტაციო წესით; დისციპლინური წესით.

თანამშრომელთა გადაადგილება შეიძლება როგორც ერთსა და იმავე სტრუქტურულ ქვედანაყოფში, ისე სხვა სამსახურში. თანამშრომლის გადაადგილება დაიშვება მხოლოდ მისი თანხმობით.

საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით შეუძლია დროებით ჩამოაშოროს თანამდებობას თანამშრომელი საგამოძიებო ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, აგრეთვე სათანადო ორგანოების დადგენილების საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გადაყენებულ თანამშრომელს გამართლების შემთხვევაში უნდა მიეცეს ადრე დაკავებული ან მისი თანაბარი თანამდებობა, ამასთან, უნდა აუნაზღაურდეს ხელფასი იძულებით გაცდენილი დროისათვის.

საბაჟო ორგანოებში სამსახურებრივი დისციპლინა ნიშნავს საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალური ბრძანებების, უშუალო უფროსის მითითებების, დაკისრებული მოვალეობისა და უფლებამოსილების შესრულებას.

საბაჟო ორგანოს ქვედანაყოფის უფროსი პასუხისმგებელია ხელქვეითი თანამშრომლების სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობისათვის. აქედან გამომდინარე, იგი ვალდებულია:

ა) შეუქმნას თანამშრომლებს შრომის, დასვენების და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო პირობები;

ბ) ჩაუნერგოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პასუხისმგებლობის გრძნობა;

გ) სამსახურებრივი საქმიანობის შეფასებაში უზრუნველყოს საჯაროობა და ობიექტურობა;

დ) პატივი სცეს თანამშრომლის პირად ღირსებას;

ე) არ დაუშვას პროტექციონიზმი პირად შემადგენლობასთან მუშაობაში და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე თანამშრომლის დევნა პრაქტიკულ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკისათვის.

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა მიმართ გამოიყენება **წახალისების შემდეგი ფორმები**:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ერთდროული ფულადი ჯილდო;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება;

ე) საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით დაჯილდოება;

ვ) დაჯილდოება სამკერდე ნიშნით "საქართველოს სახელმწიფო საპატიო მებაჟე", "საბაჟო სამსახურის ფრიადოსანი";

ზ) ადრე დადებული სასჯელის ვადამდე მოხსნა.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლის მიმართ ერთდროულად შეიძლება გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

დისციპლინარული გადაცდომაა:

ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა;

გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელესა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი

(ბრალეული ქმედება) განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ფორმები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა;

ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა;

ვ) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.

ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლის მიმართ წახალისება და დისციპლინური სასჯელი გამოიყენება იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს უფლება მისი სამსახურში მიღებისა.

დასჯა და წახალისება ცხადდება ბრძანებით. დისციპლინური სასჯელის დადებამდე თანამშრომელს უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება. დისციპლინური სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმეს და პირის ბრალეულობის ხარისხს. სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: გადაცდომის ხასიათი, გარემოებანი, რომელთა დროსაც იქნა იგი ჩადენილი, დამრღვევის ადრინდელი ყოფაქცევა, მისი დამოკიდებულება სამსახურისადმი, სამსახურებრივი სტაჟი და პროფესიული მომზადების დონე.

დისციპლინური სასჯელი საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიმართ ითვლება მოხსნილად, თუ სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მას არ დაედო ახალი სასჯელი. წახალისების წესით დისციპლინური სასჯელი შეიძლება მოიხსნას ერთი წლის ვადის გასვლამდეც.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლისათვის არ შეიძლება დისციპლინური სასჯელის დადება მისი ავადმყოფობის, შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი გადაცდომის

შემდეგ გავიდა ექვს თვეზე მეტი ან თუ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან, საფინანსო-სამეურნეო საქმის რევიზიით გამოვლენილი დარღვევებიდან გასულია ორ წელზე მეტი.

თუ ხელქვეითის მიმართ გამოსაყენებელი წახალისების ან დისციპლინური სასჯელის ზომა სცილდება უშუალო ხელმძღვანელის უფლებამოსილებას, იგი ვალდებულია ღონისძიებების განხორციელების მიზნით აღძრას შუამდგომლობა სათანადო კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელის წინაშე.

ზემდგომ უფროსს უფლება აქვს გააუქმოს, შეამსუბუქოს ან გაამკაცროს ხელქვეითი უფროსის მიერ გამოყენებული დისციპლინური სასჯელის ზომა, თუ იგი არ შეესაბამება ჩადენილი გადაცდომის ხარისხს და ხასიათს.

ადრე დადებული დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნის უფლება აქვს უფროსს, რომელმაც გამოიყენა სასჯელი, აგრეთვე მისი თანაბარი უფლებების მქონე პირს ან ზემდგომ უფროსს.

ზემდგომი უფროსის მიერ გამოყენებული სასჯელის ვადამდე მოსახსნელად უშუალოდ უფროსი აღძრავს მოტივირებულ შუამდგომლობას. დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნა ცხადდება ბრძანებით, რაც ეცნობება დაინტერესებულ პირს.

ყველა წახალისება და დისციპლინური სასჯელი ექვემდებარება აღრიცხვას კადრების სამმართველოს მიერ.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს უფლება აქვთ:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილონ საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები;

ბ) მიიღონ თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და შექმნან შესაბამისი მატერიალური პირობები;

გ) მოითხოვონ სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გაბათილების მიზნით;

დ) გაასაჩივრონ ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში მათ მიმართ მიღებული გადაწყვეტილებანი, თუ ისინი თვლიან, რომ ამით იზღუდება მათი კანონიერი უფლებები და ილახება ღირსება;

ე) ძირითად საქმიანობას შეუთავსონ პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობა;

ვ) დადგენილი წესით მიიღონ ინფორმაცია და მასალები სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად;

ზ) საკუთარი ინიციატივით მიიღონ მონაწილეობა საბაჟო ორგანოში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსებში;

თ) სამსახურებრივი დაწინაურებისა;

ი) წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით საპენსიო უზრუნველყოფისა.

საბაჟო ორგანოების მუშაკებს აგრეთვე აქვთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო მოხელეებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ სპეციალური წოდება, საქართველოს კანონის შესაბამისად "ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ" უფლება აქვთ ატარონ ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი. იარაღისა და სპეციალურ საშუალებათა ტარებისა და გამოყენების წესი განისაზღვრება "საქართველოს პოლიციის შესახებ" კანონის მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები;

ბ) დროულად და კეთილსინდისიერად ალასრულონ სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით;

გ) უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

დ) უზრუნველყონ ხელმძღვანელთა მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში გაცემული ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულება გარდა ისეთისა, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

ე) თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დროულად განიხილონ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მიმართვები და მოთხოვნები;

ვ) დაიცვან საბაჟო ორგანოებში დაწესებული შინაგანაწესის მოთხოვნები, სამსახურებრივ ინფორმაციასთან დამოკიდებულების წესები და თანამდებობრივი ინსტრუქციები;

ზ) **როგორც სამსახურებრივი ურთიერთობებისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელონ და დაიცვან სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებები, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემები, აგრეთვე სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ცნობილი გახდა მათთვის სამსახურებრივ მოვალეობათა განხორციელებასთან დაკავშირებით.**

საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობანი დაკავებული თანამდებობის მიხედვით განისაზღვრება და მტკიცდება საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობა. მათ შეუძლიათ მხოლოდ იყვნენ აქციებისა და წილის მფლობელნი.

საბაჟო ორგანოების შრომით შინაგანაწესს ადგენს შესაბამისი ორგანოს უფროსი და ამტკიცებს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელთათვის დადგენილია 40-საათიანი სამუშაო კვირა.

იმ თანამდებობათა ჩამონათვალს, რომლებისთვისაც დადგენილია არასრული სამუშაო დღე, განსაზღვრავს საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაჟო ორგანოს თანამშრომლები, აუცილებლობის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეიძლება ჩაებან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში სამუშაოს ხანგრძლივობის დადგენილი ნორმის ზემოთ. ზეგანაკვეთური, აგრეთვე ღამის, უქმე და სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის საბაჟო ორგანოების მუშაკებს მიეცემათ სათანადო ფულადი კომპენსაცია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

ცვლიანი გრაფიკით მუშაობის შემთხვევაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დადგენილი სამუშაო საათების ნორმირებულ ოდენობას.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, დანამატს ნამსახურები წლებისათვის, სასურსათო ულუ-

ფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავდასხმის შედეგად საბაჟო ორგანოს თანამშრომლის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაღუპული მოსამსახურე იკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

თანამშრომელს, რომელიც დაინვალიდდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, შრომისუნარიანობის დაკარგვის შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს სამხედრო სამედიცინო კომისია, ეძლევა კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1-დან 5 წლამდე ხელფასის ოდენობით.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს ეძლევათ შვებულებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით:

ა) **ყოველწლიური შვებულება (მორიგი);**

ბ) **მოკლევადიანი შვებულება;**

გ) **სასწავლო შვებულება, სასწავლებლის დამთავრებასთან დაკავშირებული შვებულება;**

დ) **ქალებისათვის - შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისათვის, ვიდრე ბავშვი არ მიაღწევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ასაკს.**

მუშაობის პირობებთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს სოციალური და სხვა დამატებითი შვებულებები მიეცემათ საერთო წესით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლის ყოველწლიურ შვებულებაში ყოფნისას ავადმყოფობის შემთხვევაში მას შვებულების ხანგრძლივობა უნდა გაუგრძელდეს ავადმყოფობის დღეთა იმ რაოდენობით, რომელიც დადასტურებულია სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული შრომის უუნარობის ფურცლით.

დაუსწრებლად სწავლებისას მუშაკს სასწავლო შვებულება მიეცემა სასწავლებლის გეგმით გათვალისწინებულ დროს.

მოკლევადიანი და სასწავლო შვებულებები არ ჩაითვლება მორიგი შვებულების ვადაში.

საბაჟო დეპარტამენტის ორგანოების სამსახურიდან გასულ პირს მიეცემა ფულადი კომპენსაცია მის მიერ გამოუყენებელი შვებულების ნაცვლად.

შვებულების გამოყენების ყოველი კონკრეტული შემთხვევა, ვადა და წესი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც სწავლობენ დაუსწრებელი ან საღამოს სწავლების ფორმაზე, უწესდებათ შეღავათები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფეხმძიმე ქალები და ქალები საბაჟო ორგანოების რიგებიდან, აგრეთვე უდედოდ ბავშვების აღმზრდელი მამები (დედის სიკვდილის შემდეგ, დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევისას, დედის ხანგრძლივად სამკურნალოდ ყოფნისას და სხვა შემთხვევებში, როცა ბავშვი დედის მზრუნველობას მოკლებულია) სარგებლობენ ყველა იმ უფლებით და შეღავათით, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს (ცოლი, ქმარი, არასრულწლოვანი შვილები) აქვთ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში ფასიანი მკურნალობისა და დასვენების უფლება, რისთვისაც უნაზღაურდებათ საგზურის ღირებულების 50 პროცენტი.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელს, რომელიც სამსახურებრივ საქმიანობაში იყენებს პირად სატრანსპორტო საშუალებას, მისი შენახვისა და საწვავ-საპოხი მასალების ხარჯების ანაზღაურების მიზნით უხდიან ფულად კომპენსაციას დადგენილი წესით. საბაჟო ორგანოების თანამშრომელი ყველა სახის ტრანსპორტზე სარგებლობს ბილეთის ურიგოდ შეძენის უფლებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლები და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები იხდიან ბინის ქირას და კომუნალური მომსახურების საფასურს (ელექტრო და თბოენერგია, რადიო, კოლექტიური ანტენა,

გაზი, გათბობა, წყალმომარაგება, დასუფთავება და სხვ.) და სატელეფონო, (გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა) გადასახდელის 50 პროცენტს მიუხედავად საცხოვრებელი ბინის კუთვნილებისა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

სხვა დანარჩენ შეღავათს, გარანტიას და კომპენსაციას ადგენენ სახელმწიფო ორგანოები.

საბაჟო ორგანოებში სამსახურის შეწყვეტის ძირითადი საფუძვლებია:

ა) საბაჟო ორგანოებიდან დათხოვნა;
ბ) მოქალაქეობის შეცვლა;
გ) კანონით დადგენილი წესით თანამშრომლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობა;
დ) თანამშრომლის სიკვდილი (დაღუპვა).

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბაჟო სისტემიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს:

ა) სამსახურის ვადის გასვლის გამო;
ბ) საკუთარი ინიციატივის საფუძველზე;
გ) შემცირებასთან დაკავშირებით;
დ) საბაჟო ორგანოს ლიკვიდაციის გამო;
ე) დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;
ვ) დისციპლინური გადაცდომისათვის;
ზ) ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო;
თ) საპენსიო ასაკის მიღწევის გამო;
ი) სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო;
კ) გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო;
ლ) სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის;
მ) სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით;
ნ) მოქალაქეობის შეცვლის გამო;
ო) გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საკუთარი სურვილით სამსახურიდან დათხოვნა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე პირი დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ან იმ თანამშრომლის სამსახურში აღდგენისას, რომელიც უკანონოდ იქნა დათხოვნილი. საბაჟო ოგანოების თანამშრომელი არ შეიძლება დათხოვნილი იქნეს სამსახურიდან, თუ იგი გამოთქვამს სხვა თანამდებობაზე დანიშვნის თანხმობას.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი შეიძლება დათხოვნილ იქნეს მისი დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო:

ა) ატესტაციის შედეგების საფუძველზე;

ბ) იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად;

გ) სახელმწიფო ენის არადამაკმაყოფილებელი ცოდნის გამო;

დ) არადამაკმაყოფილებელი პროფესიონალიზმის გამო;

ე) გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისათვის შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. იგი შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან მოქმედი დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუკი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი დათხოვნილ უნდა იქნეს სამსახურიდან, თუ სასამართლომ მას გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი და მიუსაჯა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის ან სასჯელი, რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი არჩეული ან დანიშნული იქნა სხვა თანამდებობაზე სხვა უწყების შემადგენლობაში.

საბაჟო ორგანოებში სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი განისაზღვრება:

ა) მამაკაცისათვის - 65 წლით;

ბ) ქალისათვის - 60 წლით.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს უფლება აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად მიიღონ პენსია ინვალიდობის გამო ნამსახურევი წლების რაოდენობისაგან დამოუკიდებლად.

საბაჟო ორგანოების თანამშრომლის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. პენსიის დასანიშნად ნამსახურობის წესს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

საბაჟო ორგანოების თანამშრომელი დათხოვნილ უნდა იქნეს სამსახურიდან, თუ მას შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა ან საკუთარი ნებით მიიღო სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა.

გარდაცვლილი (დალუპული) ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები ამოირიცხებიან პირადი შემადგენლობის სიიდან.

მოქალაქეს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ბრძანება საბაჟო სისტემიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

იმ მოქალაქეთა შეღავათები და ანაზღაურება, რომლებიც გათავისუფლდნენ საბაჟო სისტემიდან, რეგულირდება საერთო საფუძვლებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ინიშნებიან, აგრეთვე მუშაობენ საბაჟო ორგანოების რიგით და ოფიცერთა შემადგენლობის თანამდებობებზე, ენიჭებათ სპეციალური წოდებები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რიგითი შემადგენლობის პირველი სპეციალური წოდებები მიენიჭებათ პირებს, რომლებიც მიიღებიან სამუშაოდ საბაჟო ორგანოებში რიგითი შემადგენლობის თანამდებობაზე. რიგითი შემადგენლობისათვის პირველი სპეციალური წოდების მინიჭება წარმოებს თანამდებობაზე დანიშვნასთან ერთად.

რიგითი შემადგენლობისათვის სპეციალური წოდების მისაღებად ვადა არ არის განსაზღვრული.

საშუალო და უფროსი რანგის მუშაკთა შემადგენლობის პირველი და მორიგი სპეციალური წოდებების მინიჭების უფლება წარდგინების საფუძველზე აქვს მხოლოდ საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

სამართალდამცავი ორგანოებიდან გადმოსულ პირებს პირველი სპეციალური წოდება მიენიჭებათ იმ წოდების შესაბამისად, რომელიც მათ

ჰქონდათ გადმოსვლამდე, მიუხედავად თანამდებობით გათვალისწინებული ზღვრული სპეციალური წოდებისა.

საშუალო და უფროსი რანგის მუშაკებს მორიგი სპეციალური წოდება მიენიჭებათ დადებითი ატესტაციის, წოდებით სამსახურის ვადის გასვლისა და დაკავებული თანამდებობის ზღვრული წოდების მისანიჭებელ წოდებასთან შესაბამისობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის ვადამდე წოდებას საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუშაკები მორიგი წოდების მისანიჭებლად უნდა წარადგინონ მათმა უშუალო უფროსებმა. დისციპლინური სასჯელის მქონე თანამშრომლის წარდგენა მორიგ წოდებაზე არ შეიძლება.

თანამშრომლისათვის მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად წარდგენის უსაფუძვლო შეჩერების ან დაგვიანებისათვის შესაბამის ხელმძღვანელს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო გაშვებული ვადის კომპენსირება შეუძლია საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს გაშვებული ვადის გათვალისწინებით შესაბამისი წოდების მინიჭებით.

ყოფილი თანამშრომლის საბაჟო ორგანოებში ხელახლა მიღებისას იგი საბაჟო დეპარტამენტის კადრებში ჩაირიცხება მხოლოდ საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ და იმ წოდებით, რომელიც ჰქონდა დათხოვნამდე. თუ მან საბაჟო ორგანოებიდან დათხოვნამდე იმსახურა ამ წოდებით, ხოლო დადგენილი ვადა და ამასთან მისანიჭებელი წოდება არ აღემატება დაკავებული თანამდებობის ზღვრულ წოდებას, მაშინ იგი შეიძლება ჩაირიცხოს კადრებში იმ წოდებაზე ერთი საფეხურით მეტის მინიჭებით, რომელიც ჰქონდა დათხოვნამდე (უარყოფითი მოტივის გარდა).

მუშაკებს, რომლებიც წელთა ნამსახურობით გადიან პენსიაზე, ხასიათდებიან დადებითად და გაუვიდათ სპეციალური წოდებით სამსახურის ვადა, საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე საბაჟო ორგანოებიდან დათხოვნის დროს შეიძლება

საქართველოს პრეზიდენტმა მიანიჭოს ზღვრულ წოდებაზე ერთი საფეხურით მაღალი წოდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სპეციალური წოდებების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. სპეციალური წოდებიდან ჩამოქვეითება უშუალო ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე შეუძლია მხოლოდ საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს. მასვე შეუძლია წოდებაში აღდგენა, მიუხედავად ჩამოქვეითებული პირის მიერ დაკავებული თანამდებობისა, სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ. ჩამოქვეითებული წოდებით სამსახურის ვადა არ შედის აღდგენილი წოდებით სამსახურის ვადაში.

თუ გასამართლებულ, შემდგომში კი სასამართლოს მიერ რეაბილიტირებულ პირებს საბაჟო ორგანოებში აღდგენისას ეკუთვნით გაცდენილი წლების ჩათვლით მორიგი წოდება, მათ შეიძლება მიენიჭოთ მორიგი სპეციალური წოდება.

საბაჟო ორგანოების რიგითი, საშუალო და უფროსი რანგის შემადგენლობის პირთა თანამდებობების ჩამონათვალს, მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და შესაბამის სპეციალურ წოდებებს ამტკიცებს საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

უმაღლესი რანგის შემადგენლობის პირთა თანამდებობების ჩამონათვალს და შესაბამის სპეციალურ წოდებებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

სპეციალური წოდების მინიჭების კონტროლს ახორციელებს საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის კადრების სამმართველო.

საბაჟო სამსახურის მოხელეებმა უნდა ატარონ საბაჟო ორგანოთა თანამშრომლებისათვის განკუთვნილი და დამტკიცებული ფორმა.

საბაჟო დეპარტამენტის სასამსახურო ფორმის აღწერილობა მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 8 იანვრის №2 ბრძანებულების №2 დანართში.

თავი IV

საბაჟო ინფრასტრუქტურა

1. სასაწყობო ინფრასტრუქტურა

საქართველოს საბაჟოს სასაწყობო ინფრასტრუქტურას მიეკუთვნება სამი სახის საწყობები: **დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო საწყობი** და **თავისუფალი საწყობი**.

ამ საწყობების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია არა მათი მატერიალური და ორგანიზაციული მოწყობა, არამედ მათში საქონლის მოთავსების და იქიდან გამოტანის პირობები (წესი, რეჟიმი). ამასთან, თუ მათი მატერიალურ-ორგანიზაციული მოწყობა მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან, სასაწყობო რეჟიმებში განსხვავება მნიშვნელოვანია. ამიტომ უკეთესია, თუ თავიდანვე განვასხვავებთ დროებითი შენახვის, საბაჟო და თავისუფალ საწყობებს, როგორც მატერიალურ ობიექტებს და იმავე საწყობების რეჟიმებს, როგორც საკანონმდებლო ნორმებში მოქცეულ გარკვეულ კატეგორიებს.

როგორც გარკვეული სამეურნეო ობიექტები, სამივე სახის საწყობი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. საწყობები შეიძლება დაარსდეს საწარმოების, საბაჟო ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირების, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე საკუთარი დასახელების პირთა გაერთიანებების, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ინდივიდუალური (ოჯახური) კერძო საწარმოების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული მეწარმეობით დაკავებული პირების მიერ იურიდიული პირის წარმოუქმნელად (შემდგომში - "საწყობის მფლობელი");

2. საწყობის მფლობელი უნდა იყოს საქართველოს პირი;

3. საწყობის დაარსების ლიცენზიას გასცემს, საბაჟო ორგანო სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თანხმობით. ლიცენზია არ მოითხოვება, თუ საწყობის დამაარსებელია თავად საბაჟო ორგანო;

4. ლიცენზია საწყობის დაარსებაზე მიეცემა პირს ერთ ან რამდენიმე სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსოზე, ღია მოედანზე ან სხვა ადგილზე, რომელიც ამ სახის საწყობის შესაბამისად, განკუთვნილია საქონლის შესანახად, თუ მოცემული სათავსო იმყოფება ამ პირის მფლობელობაში და განლაგებულია ერთი საბაჟოს მოქმედების ზონაში;

5. ლიცენზიის მისაღებად სათავსოს მფლობელმა საბაჟო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც მითითებულია საბაჟო საწყობის ტიპი, მისი იურიდიული მისამართი, ლიცენზიის გაცემის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები და საბანკო გარანტია საბაჟო გადასახადების გადახდის შესახებ საწყობის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში;

6. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- სათავსოს მფლობელის დამფუძნებელი და სარეგისტრაციო დოკუმენტების ასლები (წესდება, დამფუძნებელთა ხელშეკრულება, რეგისტრაციის მოწმობა და ა.შ.);

- სასაწყობოდ განკუთვნილი სათავსოს გეგმა და მისი სათანადო ნახაზები;

- სათავსოს მფლობელობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები;

- საწყობში შესვლის უფლების მქონე თანამშრომელთა სია;

7. ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრება დროებითი შენახვის საწყობისათვის - 1 თვით, საბაჟო საწყობისათვის - 3 ან 6 წლით, საწყობის მფლობელის სურვილით და საბაჟოს თანხმობით;

8. თუ საწყობის მფლობელი არღვევს ლიცენზიის პირობებს, საბაჟო ორგანოს შეუძლია მას გაუუქმოს, შეუჩეროს ან გამოითხოვოს ლიცენზია;

9. საწყობები შეიძლება იყოს ღია ტიპის, ე.ი. გამოსაყენებელი ყველა პირის მიერ და დახურული ტიპის, ე.ი. განკუთვნილი გარკვეული პირების საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების შესანახად. დახურული ტიპის საწყობი შეიძლება დაარსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საკმარისი საფუძველი არსებობს ღია ტიპის საწყობის დაარსების მიზანშეუწონლობის შესახებ;

10. ყველა სახეობის საბაჟო საწყობი ითვლება საბაჟო ზონად, ხოლო მათში მოთავსებული საქონელი საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ საქონლად, რისთვისაც:

- საწყობი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ გამოირიცხოს საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების შეტანა და გამოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, უზრუნველყოფილი იქნეს საწყობში მოთავსებული საქონლის (დროებითი შენახვის საწყობის შემთხვევაში - სატრანსპორტო საშუალებებისაც) დაცულობა და მათთან უცხო პირების შეღწევის შეუძლებლობა;

- საწყობის ტერიტორია, მიმდინარე გადმოსატვირთი მოედნების ჩათვლით უნდა იქნეს შემოსაზღვრული, მონიშნული და დაცული. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს წამოაყენოს კონკრეტული მოთხოვნები საწყობის კონსტრუქციის, მოწყობის, ადგილმდებარეობის, მისასვლელი გზების, ორმაგი ჩამკეტი მოწყობილობის (რომელთაგანაც ერთი იქნება საბაჟო ორგანოს განკარგულებაში) დაყენების თაობაზე. მოთხოვნები შეიძლება წაყენებული იქნეს ალრიცხვიანობის ანგარიშვალდებულების თაობაზეც;

- საწყობის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს საწყობი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, მათ შორის: ჩამტვირთავ-გადმოსატვირთი და სატრანსპორტო საშუალებებით, სასაწყობო მოწყობილობებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, ორგტექნიკით, ავეჯით და ყველაფერი იმით, რაც საჭიროა თავად საწყობში შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სრულყოფილი საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად.

11. საწყობში შენახულ საქონელზე, მისი შენახვის, გაყიდვის და ტრანსპორტირებისათვის ნებადართულია და შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი ოპერაციების ჩატარება:

- გასუფთავება;
  განიავება;
  გაშრობა (მათ შორის, სითბოს მიწოდებით);
  შენახვის ოპტიმალური ტემპერატურის რეჟიმის უზრუნველყოფა (გაცივება, გაყინვა, გათბობა);
  დამცავ საფუთავში მოთავსება;
  დამცავი საფენის და კონსერვანტის ჩატანება;

- ჟანგსაწინააღმდეგო შეღებვა;
  დამცავი მოწყობილობის შეტანა;
  ტრანსპორტირების წინ ანტიკოროზიული საფენების ჩატანება;
  პარტიებად დანაწილება;
  გზავნილების ფორმირება;
  დახარისხება;
  შეფუთვა;
  მარკირება;
  დატვირთვა;
  გადმოტვირთვა;
  გადატვირთვა;
- დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული უბრალო ოპერაციები;
- საქონლის გადაადგილება საწყობში რაციონალურად განლაგების მიზნით;
  საქონლის მოთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე;
  ტესტირება (გამოცდა).

ყველა ეს ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით, იმ პირობით, რომ ასეთი დამუშავების შედეგად საქონელს არ შეეცვლება სასაქონლო ნომენკლატურის კოდი;

12. საწყობის მფლობელს პასუხისმგებლობა ეკისრება საწყობში მოთავსებული საქონლის ყველა საბაჟო გადასახდელზე, რაც გამოიხატება ან ამ გადასახდელების თავად მის მიერ გადახდაში (შემდგომში შენახვის ხარჯებში შეტანით), ან იმაში, რომ შემოტანილი საქონელი არ გაუშვას, სანამ არ დარწმუნდება, რომ საწყობში საქონლის მომთავსებელმა პირმა გადაიხადა ყველა საბაჟო გადასახდელი.

საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსებისას, იგი რეგისტრირებული უნდა იქნეს საწყობის მფლობელის სასაწყობო დოკუმენტებში საბაჟოს მიერ დადგენილი ფორმით.

თუ აქამდე საბაჟო სასაწყობო ინფრასტრუქტურა განიხილებოდა როგორც მატერიალური, გარკვეული ორგანიზაციული ფორმის ობიექტების ერთობლიობა და, ამ თვალსაზრისით, დროებითი, საბაჟო და თავისუფალი

საწყობები, ფაქტობრივად, იდენტურია, იგივე საწყობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი ფუნქციით საბაჟო გაფორმების პროცესში. ამ თვალსაზრისით, **დროებითი შენახვის საწყობის** რეჟიმი წარმოადგენს საბაჟო გაფორმების ერთ-ერთ, საბაჟო რეჟიმების გარეთ მყოფ საშუალედო რეჟიმს, მაშინ, როდესაც **საბაჟო საწყობი** და **თავისუფალი საწყობი** თავად არიან საბაჟო რეჟიმები.

საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, დროებითი შენახვის არსი განიმარტება შემდეგნაირად: **"საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან და მათ გაშვებამდე, ან არსებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად პირის განკარგულებაში გადაცემამდე დროებით ინახება საბაჟო კონტროლის ქვეშ"**(მუხლი 111).

საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო ორგანოში მისი წარდგენის მომენტიდან და მათ გაცემამდე ან პირზე გადაცემამდე, შერჩეული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, დროებით შესანახად იმყოფება საბაჟო კონტროლის ქვეშ.

საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები დროებით შენახვაზე მყოფის სტატუსს იღებენ ავტომატურად მათი საბაჟო ორგანოში წარდგენის მომენტიდან.

შემოტანისას წარდგენა გამოიხატება გადამზიდველის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ან მიწოდების ადგილზე მიტანის შესახებ საბაჟო ორგანოს შეტყობინებაში.

გატანისას წარდგენა გამოიხატება საქონლის გადამაადგილებელი პირის ან გადამზიდველის ან მათი უფლებამოსილი პირების მიერ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ადგილზე მიტანის შესახებ (საბაჟო გაფორმების ჩასატარებელ ადგილამდე) საბაჟო ორგანოს შეტყობინებაში.

გაფორმების მთელ პერიოდში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების მოთავსების ადგილი შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი შენახვის საწყობი.

საქონლის (ხოლო საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვისას - სატრანსპორტო საშუალებების) მოთავსება სხვა ადგილებში დაიშვება მხოლოდ საბაჟოს თანხმობით, რომლის საქმიანობის ზონაშიც იმყოფება საქონლის

გადამაადგილებელი პირი ან ზემდგომი საბაჟო ორგანოს თანხმობით იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ხასიათიდან გამომდინარე, საბაჟო გაფორმება მიზანშეწონილია მოხდეს ამ ადგილებში (მაგ.. ვალუტა, სავალუტო ფასეულობანი, იარაღი და ა.შ.), აგრეთვე სხვა შემთხვევაში, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით და ნორმატიული აქტებით. ამასთან, ასეთი საქონელი და სატრანსპორტო საშუალება განიხილება, როგორც დროებითი შენახვის საწყობში მყოფი.

დროებითი შენახვა, როგორც საბაჟო გაფორმების სტადია, შეიძლება არ იქნეს გამოყენებული მხოლოდ საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოში წარდგენიდან საბაჟო გაფორმების სამ საათში დამთავრების შემთხვევაში, თუ ეს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები იმყოფებიან საბაჟოს მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ და ისინი აღწერილნი არიან დროებითი შენახვის უახლოესი საწყობის მფლობელის მიერ. გადამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი აღწერა.

დროებითი შენახვა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსოებში, ღია მოედნებზე და სხვა ადგილებში - დროებითი შენახვის საწყობებში.

დროებითი შენახვის საწყობები შეიძლება დაარსდეს ნებისმიერ ადგილზე, რომელიც მოწონებული იქნება საბაჟო ორგანოების მიერ, დებულების შესაბამისად.

საერთაშორისო მიმოსვლისათვის აეროპორტებში, აეროდრომებზე და პორტებში, სატვირთო ეზოებში, სადგურის საწყობებში და რკინიგზის სადგურის მოედნებზე, სადაც ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული საქონლის მიღება, ჩატვირთვა, გადმოტვირთვა და გაცემა, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ან სახელმწიფო ტერიტორიიდან გაშვების პუნქტებში, სადაც ხორციელდება საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლა, დროებითი შენახვის საწყობების არსებობა აუცილებელია.

საბაჟო საწყობის და თავისუფალი საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმების არსი და თავისებურებანი განხილულია ამ წიგნის მეხუთე თავში "საბაჟო რეჟიმები".

2. საბაჟო ბროკერი

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან ერთად სულ უფრო მეტ ავტორიტეტს იძენენ, მათ შორის საბაჟო სფეროში, შუამავალი იურიდიული პირები, რომლებიც დახელოვნებულნი არიან ამ სფეროში და მათთვის გარკვეული საფასურის გადახდისას აგვარებენ მთელ რიგ სპეციფიკურ პრობლემებს. ასეთი შუამავალი პირები თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე იმდენად უახლოვდებიან საშუამავლო სფეროებს, რომ ხდებიან მათი ინფრასტრუქტურის ნაწილი გარკვეული უფლებებით (ლიცენზიებით) და ვალდებულებებით.

ასეთი საშუამავლო ორგანიზაციების საუკეთესო მაგალითია საბაჟო ბროკერი. „საბაჟო ბროკერი (შუამავალი) არის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზია საბაჟო ბროკერის საქმიანობის განსახორციელებლად" (საბაჟო კოდექსი, მუხლი 113.1).

საბაჟო ბროკერს, როგორც შუამავალს საქმე აქვს, ერთის მხრივ, იმ პირთან, რომელსაც ის წარმოადგენს და შუამავლობს საბაჟო ორგანოებთან ურთიერთობაში და, მეორეს მხრივ, თავად საბაჟო ორგანოებთან.

საბაჟო ბროკერის ურთიერთობა პირთან, რომელსაც ის წარმოადგენს, ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე. ხელშეკრულება საბროკერო მომსახურებაზე საბაჟო სფეროში თავისი შინაარსით კონსენსუალური ხასიათისაა, რადგან ასეთი შეთანხმებისათვის საჭიროა ორივე მხარის თანხმობა (კონსენსუსი). იმავე დროს ეს ხელშეკრულება ორმხრივია, რადგან მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ უფლებები და მოვალეობები.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საბაჟო ბროკერი არა იმდენად ისეთი შუამავალია იურიდიულ პირსა და საბაჟოს შორის, რომელიც ხელს უწყობს თავისი კლიენტის და საბაჟოს ურთიერთობების ჩამოყალიბებას და წარმართვას, არამედ „საბაჟო ბროკერს უფლება აქვს თავისი სახელით, მისი წარმომადგენელი პირის ხარჯზე და დავალებით განახორ-

ციელოს საბაჟო გაფორმების ნებისმიერი ოპერაცია და შეასრულოს სხვა საშუამავლო ფუნქციები საბაჟო საქმის სფეროში" (მუხლი 115.1).

თუ რას ნიშნავს ის, რომ საბაჟო ბროკერს აქვს უფლება თავისი სახელით (და არა მარწმუნებელი პირის სახელით) განახორციელოს საბაჟო გაფორმების ნებისმიერი ოპერაცია, კარგადაა განმარტებული ამავე მუხლის მეორე ნაწილში - „მას ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრებოდა საბაჟო საზღვრის გავლით საქონლის დამოუკიდებლად გადამაადგილებელ პირს" (მუხლი 115.2).

უკანასკნელი იმასაც ნიშნავს, რომ საბაჟო ბროკერი მსგავს ოპერაციაზე პასუხს აგებს თავისი ქონებით. ეს კი ნიშნავს, რომ საბაჟო ბროკერს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ქონება, ანუ საბაჟო ორგანოს შეუძლია ნებართვა (ლიცენზია) მისცეს საბაჟო ბროკერს, თუ მისი საქმიანობა დაზღვეული იქნება. საბაჟო ბროკერს უნდა შეეძლოს (იცოდეს) საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმება, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის აღრიცხვა, ჰქონდეს საკუთარი ანგარიში ბანკში და ა.შ.

ამრიგად, იმისთვის, რომ საბაჟო ბროკერმა შეასრულოს თავისი ფუნქცია, ობიექტურად საჭიროა, რომ მას ჰქონდეს საბაჟო ორგანოების ნებართვა (ლიცენზია). ლიცენზია არა მარტო ნებართვაა, არამედ, რამდენადმე ხელშეკრულების მაგიერიცაა, ვინაიდან შუამავალს ხელშეკრულება უნდა ჰქონდეს დადებული იმ ორივე მხარესთან, რომლებსაც ის შუამავლობს.

თქმულიდან გამომდინარე, ორგანიზაცია, რომელსაც სურს იყოს საბაჟო ბროკერი და მოიპოვოს ლიცენზია უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1) ჰყავდეს თავის შემადგენლობაში საკვალიფიკაციო ატესტატის მქონე საბაჟო გაფორმების სპეციალისტი;

2) თავისი საბროკერო საქმიანობა დაზღვეული უნდა ჰქონდეს სადაზღვევო კომპანიაში გარკვეული თანხით;

3) ჰქონდეს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა;

4) ჰქონდეს „აწყობილი" საბაჟო აღრიცხვიანობის წარმოების საშუალებანი.

კოდექსის 118-ე მუხლი განიხილავს ლიცენზიის გაცემის, შეჩერების და ჩამორთმევის ნორმებს ისე, რომ, ჩვენის აზრით, ეს საკითხები დაწვრი-

ლებით კომენტარს არ საჭიროებს. მით უმეტეს, რომ მოსალოდნელია დაინყოს საბაჟო გაფორმების სპეციალისტების სწავლება — მომზადება, გამოცდა, სერტიფიკატის მინიჭება და შემუშავებული იქნება მათი პერიოდული ატესტირების სისტემა.

საბაჟო გაფორმების სპეციალისტს ასევე სჭირდება ლიცენზია თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის და ეს ლიცენზია ასევე შეიძლება შეჩერებული ან ჩამორთმეული იქნეს დარღვევების გამო.

ყურადსაღებია ერთი მომენტი — უმეტეს ქეყნებში, როცა საბაჟო ბროკერი ცხადდება ვალაუვალად და ამის გამო მას ჩამოერთმევა ლიცენზია, ამ საბაჟო ბროკერის ყველა საბაჟო გაფორმების სპეციალისტის საკვალიფიკაციო ატესტატი ავტომატურად უქმდება.

თუმცა, საბაჟო ბროკერი არ წარმოადგენს სახელმწიფო უწყებას, მას კლიენტების კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა ისეთივე პასუხისმგებლობით ევალება, როგორც საბაჟო ორგანოებს.

3. საბაჟო გადამზიდველი

საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებით დაინტერესებულმა პირმა საბაჟო გადამზიდველი შეიძლება გამოიყენოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით. საკუთარი ინიციატივით, ანუ ნებაყოფლობით საქონლის საზღვარზე გადამაადგილებელი პირი მიმართავს საბაჟო გადამზიდველს იმის გამო, რომ მას შეუძლია სატრანზიტო საქონლის გადაზიდვა საბაჟო თანხლების და საბაჟო გადასახდელების გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებების გარეშე.

საბაჟო გადამზიდველის აუცილებელი გამოყენების შესახებ საკითხის დაყენება შეუძლია საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს, როცა წარმოიშვება საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ვარაუდის საფუძველი, ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი ითვალისწინებს რა გადასაზიდი საქონლის საბაჟო სტატუსს და ეყრდნობა რა მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, ღებულობს გადაწყვეტილებას, რომ საქონლის გადაზიდვა საბაჟო გაფორმების გარკვეულ ეტაპზე მოხდეს მხოლოდ საბა-

ჟო გადამზიდველის მიერ. სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაზიდვის ასეთი ხერხი სავალდებულოა, რადგან საქონლის განმკარგავს არ აქვს უფლება უგულვებელყოს საბაჟო ორგანოს მითითება. საყურადღებოა, რომ ეს მითითება სავალდებულოა არა მარტო გადამზიდველის, საქონლის გამგზავნისა და მიმღებისათვის, არამედ თავად საბაჟო გადამზიდველისთვისაც. ასეთი მითითების შედეგად წარმოშობილი დამატებითი ხარჯები, მაგალითად ჩვეულებრივი გადამზიდველის საბაჟო გადამზიდველით შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯები (ადრე დადებული შეთანხმების დარღვევა, ტვირთის გადატვირთვა ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეზე და ა.შ.) ეკისრება გადაზიდვის დაინტერესებულ პირს.

საბაჟოს აქვს უფლება მოითხოვოს გადაზიდვა საბაჟო გადამზიდველის მეშვეობით მაშინაც კი, თუ ამ საქონელზე გადახდილია ყველა საბაჟო გადასახდელი. ასე ხდება მაშინ, როცა საქონლის საქართველოში შემოტანა აკრძალულია, მაგრამ გარემოებათა გამო საჭიროა მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით გატარება, ან მაშინ, როცა საქონელი ექვემდებარება ლიცენზირებას, ან სერტიფიცირებას, ან კონტროლს სახელმწიფოს სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ, თუ ასეთი კონტროლი არ განხორციელებულა უშუალოდ საზღვრის გადაკვეთისას.

ამრიგად, საბაჟო გადამზიდველის არჩევას სხვა გადამზიდველთან შედარებით აქვს გარკვეული უპირატესობა გადაზიდვის ოპერაციის დაჩქარების თვალსაზრისით და ზოგჯერ იძლევა საშუალებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ხარჯები. აქედან გასაგებია, რომ საბაჟო გადამზიდველის სტატუსი აფართოებს სატრანსპორტო-საექსპედიტორო ორგანიზაციების კლიენტების არეალს და აძლევს მას უპირატესობას ჩვეულებრივ გადამზიდველებთან შედარებით.

საბაჟო გადამზიდველის ცნება დაკავშირებულია ამ სტატუსის რეგიონულ ფარგლებთან. შესაბამისად, არიან ზონალური საბაჟო გადამზიდველები, რეგიონული საბაჟო გადამზიდველები და სრულიად საქართველოს საბაჟო გადამზიდველები.

სატრანსპორტო-საექსპედიტორო ორგანიზაცია საბაჟო გადამზიდველის უფლების მოსაპოვებლად უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ფინანსურ და ტექნიკურ პირობებს.

ფინანსური პირობების ქვეშ იგულისხმება, რომ სატრანსპორტო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს მყარი ფინანსური მდგომარეობა და ისეთი გადახდისუნარიანობა, რომ ყოველთვის შეეძლოს ყველა საბაჟო გადასახდელის დაუყოვნებლივ გადახდა. ამისათვის გადამზიდველს უნდა გააჩნდეს თავის საკუთრებაში ან მთლიან სამეურნეო განკარგვაში იმ რაოდენობის ლიკვიდური ფონდები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო ანგარიშსწორების სრულ გარანტიას, შესაბამისად, ზონალურ, რეგიონულ თუ სრულიად საქართველოს დონეზე.

ტექნიკური მოთხოვნების ქვეშ ძირითადად იგულისხმება, რომ გადამზიდველი უნდა უზრუნველყოფდეს სატრანსპორტო საშუალებებით (მათ შორის, კონტეინერებით) ისეთ ტრანსპორტირებას, როცა გადაზიდვის მთელი პროცესის განმავლობაში საქონელი საიმედოდ იქნება დაცული საბაჟო ბეჭდებით და ლუქით. საბაჟო გადამზიდველს საკუთრებაში, სრულ სამეურნეო განკარგვაში ან არა ნაკლებ 3 წლის იჯარით აღებული იმდენი სატრანსპორტო საშუალება უნდა გააჩნდეს, რომ 49 საათის განმავლობაში საბაჟო ორგანოს გამოძახებით საბაჟო გაფორმების ზონაში გაგზავნოს თუნდაც ერთი სატრანსპორტო საშუალება. საბაჟო გადამზიდველს არ ეკრძალება გამოიყენოს სხვისი კუთვნილი მისაბმელები, ნახევრადმისაბმელები, კონტეინერები, ამწეები და სხვა საშუალებები.

საბაჟო გადამზიდველის სტატუსის მოპოვების მსურველმა გადამზიდველმა საბაჟოში (ზონალური გადამზიდველის სტატუსის მოსაპოვებლად) ან საბაჟო დეპარტამენტში (რეგიონული და სრულიად საქართველოს საბაჟო გადამზიდველის სტატუსის მოსაპოვებლად) უნდა შემოიტანოს სპეციალური განცხადება, რომელიც შეიცავს გადამზიდველის ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების სრულ დახასიათებას განცხადებას უნდა ახლდეს იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ გადამზიდველის მიერ საბაჟო გადამზიდველის პირობების შესრულების შესაძლებლობებს: ლიცენზია, რომელიც ადასტურებს, რომ პირს უფლება აქვს აწარმოოს სატრანსპორტო და სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმია-

ნობა, ცნობა, რომ ის დაშვებულია საბაჟო ბეჭდების და ლუქის ქვეშ საქონლის გადაზიდვაზე, დაზღვევის ცნობა (პოლისი, სერტიფიკატი), დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მისი სატრანსპორტო საშუალებების კუთვნილებას, განკარგვის უფლებას ან ხანგრძლივი ვადით იჯარას, აგრეთვე საგადასახადო ინსპექციის, სააუდიტორო ორგანიზაციის ან სახელმწიფო საკუთრების განმკარგავი ორგანოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საბაჟო გადამზიდველის სტატუსის მაძიებელ იურიდიულ პირს გააჩნია ძირითადი ფონდები, რომელთა ღირებულება აღემატება დადგენილ ნორმატივს.

ურთიერთობა ტვირთის გამგზავნსა და საბაჟო გადამზიდველს შორის ხორციელდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში, სხვა საკითხთა შორის, გათვალისწინებული უნდა იყოს საბაჟო გადამზიდველის ის ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ ტრანსპორტირების შემთხვევაში. ხელშეკრულებაში შეტანილი კონკრეტული უფლებების და მოვალეობების გარდა, საბაჟო გადამზიდველის სამართლებრივი სტატუსი ითვალისწინებს მის მიერ შემდეგი მოვალეობების შესრულებას:

1. მიაწოდოს საქონელი დანიშნულების საბაჟოს მისი შეფუთვისა და მდგომარეობის შეუცვლელად (გარდა იმ ცვლილებებისა, ცვეთისა თუ დანაკლისისა, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს შენახვისა და ტრანსპორტირების ნორმალურ პირობებში) და უზრუნველყოს გადასაზიდი ტვირთის დაცულობა;

2. დაიცვას საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილი მიწოდების ვადები და მარშრუტი;

3. წარმოადგინოს საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დანიშნულების საბაჟოში;

4. არ გადაზიდოს საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ საქონელთან ერთად სხვა რაიმე საქონელი;

5. აწარმოოს საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაზიდული საქონლის აღრიცხვა და საბაჟო ორგანოების წინაშე შესაბამისი ანგარიშგება;

6. არ გასცეს საქონლის გამგზავნისაგან მიღებული ის კომერციული, საბანკო და სხვა ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით დაცულ საიდუმლოებას;

8. მას შემდეგ, რაც საქონელი მიტანილი იქნება დანიშნულების საბაჟოში, საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე არ დატოვოს ეს საქონელი უმეთვალყურეოდ, არ შეუცვალოს დგომის ადგილი, არ გადმოცალოს და არ გადაცალოს საქონელი, არ გახსნას შეფუთვა, არ მოაცილოს იდენტიფიკაციის ნიშანდებები. ეს პასუხისმგებლობა საბაჟო გადამზიდველს ეხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებს, რომ ამ მომენტში საფრთხე შეექმნა სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ან წარმოიქმნა საქონლის განადგურებისა თუ მნიშვნელოვნად გაფუჭების საფრთხე, ან საფრთხე წარმოექმნა თავად სატრანსპორტო საშუალებას.

საბაჟო გადამზიდველი თავად არის პასუხისმგებელი ყველა იმ საბაჟო გადასახდელის გადახდაზე, რომელიც წარმოიშვება საქონლის მისი მფლობელისათვის გადაცემამდე ან დროებითი შენახვის საწყობში მოთავსებამდე დანიშნულების საბაჟოში. აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქონლის გადაცემა მფლობელისათვის ან მისი რწმუნებით აღჭურვილი პირისათვის შეიძლება მხოლოდ დანიშნულების საბაჟოს ნებართვით. თუ საბაჟო გადამზიდველმა გასცა საქონელი საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე, ან დაკარგა საქონელი, ან საქონელი ნაწილობრივ მიაწოდა, ის ვალდებულია გადაიხადოს ყველა ის გადასახადი, რომლებსაც გადაიხდიდა საქონლის განმკარგველი თავისუფალ ბრუნვაში გაშვების თუ ექსპორტის რეჟიმების დროს.

საბაჟო ორგანოები რეგისტრაციას უკეთებენ საბაჟო გადამზიდველებს და პერიოდულად აქვეყნებენ მათ სიებს და რეკვიზიტებს.

საბაჟო კოდექსის 25-ე თავის, „საბაჟო გადამზიდველის“ კომენტირებისას ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საბაჟო გადამზიდველის საშუალებით არ გადაიტანება ის ტვირთი, რომელიც გადაიტანება საერთაშორისო კონვენციით (1085 წლის **TIR** კონვენცია) **TIR** წიგნაკების საშუალებით. შეიძლება ითქვას, რომ, თუ საქართველოს საბაჟო გადამზიდველები მოქმედებენ ზონური, რეგიონული და სრულიად საქართველოს საბაჟო გადამზიდველების სტატუსით, **TIR** წიგნაკის მფლობელები საერთაშორისო საბაჟო გადამზიდველები არიან. აქედან, **TIR** წიგნაკით საქონლის გადამზიდველების უფლება-მოვალეობანი საქართველოს საბაჟო გადამზი-

დველების უფლება-მოვალეობების იდენტურია. განსხვავება შეიძლება იმაში იყოს, რომ საბაჟო გადამზიდველს ლიცენზიით ასეთი საქმიანობის სტატუსი ეძლევა გარკვეული დროით (3-დან 6 წლამდე), ხოლო TIR კორნეტით - თითოეულ გადაზიდვაზე გაცემული ერთი და ერთჯერადი წიგნაკით.

საბაჟო გადამზიდველის მიერ ასევე არ გადაიზიდება საქონელი, რომლის ტრანსპორტირება ხდება საბაჟო თანხლებით. ვინაიდან საბაჟო გადამზიდველის და საბაჟო თანხლების მიზანი ერთი და იგივეა - საქონლის მიწოდება დანიშნულების ადგილას საბაჟო კონტროლის ქვეშ, პასუხისმგებლობის გაყოფა ორ სხვადასხვა პირს შორის ამცირებს და არა აძლიერებს კონტროლს და გარანტიებს.

საბაჟო მიზნებით ექსპერტიზის და სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი უფლებამოსილია გახსნას საბაჟო ლაბორატორიები და კვლევითი დაწესებულებები, ხოლო კადრების მომზადების და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად - სასწავლო დაწესებულებები.

გარდა ამისა, საბაჟო დეპარტამენტს შეიძლება ჰქონდეს სხვა ინფრასტრუქტურული დანაყოფები: გამოთვლითი ცენტრები, პოლიგრაფიული, სამშენებლო-საექსპლუატაციო და სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მათ მიერ აუცილებელი საბაჟო პროცედურების ჩატარების გარდა დასაშვებია აგრეთვე ფასიანი მომსახურების გაწევაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

თავი V

საბაჟო რეჟიმები

1. საბაჟო რეჟიმების არსი

საქართველოს საბაჟო კოდექსით (მუხლი 6.1) ყველა პირს თანაბარი უფლება აქვს საქართველოში შემოიტანოს თუ გაიტანოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ნებისმიერი, მათ შორის, კომერციული მიზნებით. ეს დებულება გავრცობაა საქართველოს კონსტიტუციით მოქალაქეებისათვის მინიჭებული უფლებისა, თავისუფლად გაემგზავრონ საქართველოს ფარგლებს გარეთ და დაბრუნდნენ საქართველოში, აგრეთვე უფლებისა თავისუფლად გამოიყენონ თავისი ნიჭი და ქონება სამეწარმეო საქმიანობისათვის. კოდექსის ეს დებულება ასევე სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მსოფლიოში აღიარებულ ნორმებს: ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-7 და მე-13 მუხლებს, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-12 მუხლს, ჰელსინკის 1975 წლის 1 აგვისტოს ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს და მთელ რიგ სხვა საერთაშორისო დოკუმენტს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ან შეეზღუდოს საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის უფლება“, რაც ნიშნავს, რომ საბაჟო კოდექსი უკრძალავს საბაჟო ორგანოებს თვითნებურად, კანონის გარეშე ხელყონ ადამიანის უფლება - შემოიტანოს ან გაიტანოს საქართველოდან რაიმე საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება.

იმავე დროს, კოდექსი ითვალისწინებს განსაკუთრებულ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამ უფლებების რეალიზაციის შეზღუდვას.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გატანის ან შემოტანის აკრძალვის კანონიერი საბაბი შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებანი;
ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საჭიროება;
გ) ადამიანების ზნეობრივი ნორმების შელახვის აცილება;
დ) ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა;
ე) გარემოს დაცვა;
ვ) ცხოველების და მცენარეების დაცვა;
ზ) საქართველოს მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების დაცვა;
თ) პირადი საკუთრების, ინტელექტუალური საკუთრების ჩათვლით დაცვა და ა.შ.

საბაჟო კოდექსი არ კრძალავს და არ ზღუდავს აკრძალული საქონლის ნუსხის შედგენას და პერიოდულ გაახლებას, რაც უნდა მოხდეს შესაბამისი აქტებით.

საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთა უნდა მოხდეს კონკრეტული, გაცხადებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად.

„საბაჟო რეჟიმი" შეიძლება განიმარტოს როგორც ღონისძიებების სპეციალური უნიფიცირებული სისტემა და მეთოდების (ხერხების) ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო რეგულირების ინსტრუმენტების კომპლექსურ გამოყენებას. სხვაგვარად, ეს არის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის გარკვეული სტატუსის მინიჭება (საბაჟო რეჟიმში მოთავსება), რომელიც ითვალისწინებს საბაჟო პროცედურების სტანდარტულ, ამ რეჟიმისათვის დამახასიათებელ ფორმებს, თავისებურებებს და თანმიმდევრობას. საბაჟო რეჟიმი განსაზღვრავს:

ა) საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესს;

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე (ან მის გარეთ) საქონლის ყოფნის პირობებს და მოხმარების შესაძლებლობას (ან შეუძლებლობას);

გ) თითოეული რეჟიმისათვის ბენეფიციარის (პირის, რომელიც საბაჟო კანონმდებლობით უფლებამოსილია განკარგოს საქონელი) უფლებებს და მოვალეობებს;

დ) მოთხოვნებს საქონლისა და, ზოგჯერ, ბენიფიციარისადმი.

სტანდარტული საბაჟო რეჟიმები (რეჟიმების სახეები) შეიძლება დაყოთ შემდეგ ჯგუფებად.

1. დამოუკიდებელი და საბაჟო გაფორმების პროცესშივე დამთავრებული რეჟიმები: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) და ექსპორტი. ამ ჯგუფის რეჟიმებს აერთიანებს ის, რომ ანგარიშსწორების და საბაჟო ფორმალობების შემდეგ საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გადაეცემა ბენეფიციარს სრულ განკარგვაში და საბაჟო ორგანოებს ამ საქონელთან და სატრანსპორტო საშუალებასთან აღარაფერი აკავშირებს.

2. იმპორტის და ექსპორტის რეჟიმების მსგავსი რეჟიმები: რეიმპორტი და რეექსპორტი, რომლის დროსაც, გაფორმების შემდეგ, საქონელი და სატრანსპორტო საშუალება ასევე გადაეცემა ბენეფიციარს სრულ განკარგვაში. ამასთან, წინა ჯგუფის რეჟიმებისაგან განსხვავებით, აღნიშნული რეჟიმები, ასე ვთქვათ, ორეტაპიანია - იმპორტირებული საქონლის (პირველი ეტაპი) ექსპორტი (მეორე ეტაპი) ან ექსპორტირებულის (პირველი ეტაპი) იმპორტი (მეორე ეტაპი). ეს ჯგუფები განსხვავდება იმპორტისა და ექსპორტის ჯგუფებისაგან იმით, რომ მეორე ეტაპის დასაწყისში ბენეფიციარი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ეს იგივე საქონელია, რომელიც ადრე იმპორტირებული (ექსპორტირებული) იყო. ასეთ რეჟიმში არ შეიძლება ისეთი საქონლის მოქცევა, რომლის იდენტიფიკაცია საერთოდ შეუძლებელია.

3. საერთაშორისო გადაზიდვის რეჟიმი (ტრანზიტი). ეს რეჟიმი იწყება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლით და მთავრდება საქართველოს საბაჟო საზღვრის დატოვებით. რეჟიმის დამთავრების (გასვლის საბაჟოში საბაჟო პროცედურების გავლის) შემდეგ საქონელი აქაც გადაეცემა ბენეფიციარს სრულ გამგებლობაში, მაგრამ მანამდე, ქვეყნის გავლის მთელ პერიოდში, საქონელი და სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო კონტროლის ქვეშ და საქონლის მიერ საქართველოს დადგენილ ვადაში დაუტოვებლობის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება განადგურდა ან დაიკარგა ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად) ტრანზიტის რეჟიმი საქონელს ავტომატურად ეცვლება იმპორტის რეჟიმით, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

4. დასაწყობების რეჟიმი (საბაჟო საწყობი, თავისუფალი საწყობი). ეს რეჟიმები შეიძლება ჩაითვალოს შუალედურ რეჟიმებად, როცა საქონელი შეინახება შეუცვლელი სახით, მოუხმარებლად და გამოუყენებლად. ის,

რომ ამ დროს დასაშვებია საქონლის დახარისხება, ტარისა და შეფუთვის მოწესრიგება ან საერთოდ შეცვლა და ა.შ., სულაც არ ცვლის საბაჟო რეჟიმის არსს. წინა რეჟიმებისაგან განსხვავებით, ამ რეჟიმში მყოფი საქონელი რეჟიმის დამთავრებისას არ გადაეცემა ბენეფიციარს განკარგვისათვის, არამედ ბენეფიციარის სურვილისამებრ გადაიყვანება რომელიმე სხვა რეჟიმში.

5. გადამუშავების საბაჟო რეჟიმები (საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების და საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების რეჟიმები). წინა რეჟიმებისაგან განსხვავებით, ამ რეჟიმში მოთავსებული საქონელი მოიხმარება (გადამუშავდება), ოღონდ საბაჟო ორგანოების მიერ წინასწარ დათქმული პირობებით და მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ წინასწარ დათქმული მიზნით. დასაშვებია საქონლის გადამუშავებისა ან დამუშავების შედეგად სრული ან ნაწილობრივი სახეცვლილება, მაგრამ მიღებული პროდუქცია ან მისი ის ნაწილი, რომელიც ამ რეჟიმში რჩება, რაოდენობრივად უნდა შეესაბამებოდეს საბაჟო ორგანოებთან წინასწარ შეთანხმებულ გამოსავლიანობას.

6. რეჟიმები, რომლებიც ითვალისწინებენ მათში მოთავსებული საქონლის მოხმარების უფლებას (დროებითი შემოტანის და დროებითი გატანის რეჟიმები). ამ რეჟიმების შინაარსი ისაა, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი მოხმარების შემდეგ ისევ გაიტანება საბაჟო საზღვრის გარეთ ან, პირიქით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქონელი მოხმარების შემდეგ ისევ შემოიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ე.ი. არ ხდება მათი რეალიზაცია არც საბაჟო ტერიტორიის შიგნით (პირველ შემთხვევაში) და არც საბაჟო ტერიტორიის გარეთ (მეორე შემთხვევაში).

7. ბრუნვიდან საქონლის ამოღების რეჟიმები (საქონლის განადგურების რეჟიმი და საქონელზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმის რეჟიმები). ამ რეჟიმებისათვის დამახასიათებელია საბაჟო რეჟიმების დამთავრება კომერციული შედეგების გარეშე (ბენეფიციარის მიერ განადგურებაზე გაწეული ხარჯები და სახელმწიფოს ამონაგები სარგებლობაში გადაცემული საქონლის რეალიზაციიდან არ განეკუთვნება ბენეფიციარის კომერციულ საქმიანობას).

2. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება

იმპორტი არის „საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან" („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", თბილისი, 1962, გვ. 248).

ამ რეჟიმში მოთავსება ხდება მხოლოდ იმ საქონლისა, რომელიც შემოტანის შემდეგ მუდმივად დარჩება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების რეჟიმი უმნიშვნელოვანესია 15 საბაჟო რეჟიმთა შორის და ამ რეჟიმში შემოტანილი საქონლის რაოდენობა სჭარბობს ყველა დანარჩენი რეჟიმების საქონელბრუნვას საქართველოს საბაჟო საზღვარზე. ეს ერთადერთი რეჟიმია, რომლითაც შემოტანილი საქონელი ექვემდებარება საბაჟო დაბეგვრას.

ამ საბაჟო რეჟიმის კულმინაციური და დამაგვირგვინებელი მომენტია გაშვება. უფრო მეტიც, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი შეიძლება არა მარტო გამოყენებული იქნეს ნებისმიერი მიზნისათვის, არამედ ღებულობს საქართველოს საქონლის სტატუსს და განიკარგება ისევე, როგორც საქართველოს სხვა საქონელი. ეს ნიშნავს, რომ შემდგომში სხვა საბაჟო რეჟიმებში ასეთი საქონლის მოთავსებისას მათ მიმართ გამოყენებული იქნება იგივე გადასახადები და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებანი, როგორც ქართული წარმოშობის საქონელზე. იმავე მოტივაციით, თუ საქართველოს საქონელი ადრე გატანილი იყო საზღვარგარეთ და შემოიტანება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების რეჟიმში, ამ საქონლის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთივე გადასახადები და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებანი, როგორც საერთოდ უცხო ქვეყნის საქონლის შემოტანისას.

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების რეჟიმი (ისევე, როგორც სხვა საბაჟო რეჟიმები) იწყება დაინტერესებული პირის მიერ რეჟიმის არჩევით და წინასწარი განაცხადით ამ რეჟიმის შესახებ. ეს პროცედურა ხორციელდება საქონლის დეკლარირების (განაცხადის გაკეთების) ფორმით. ამის შემდეგ საბაჟო აფორმებს საქონელს და აძლევს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების უფლებას ან უარს ამბობს ამაზე. საქონლის გაფორმების შემთხვევაში ბენეფიციარი იხდის საბაჟო გადასახდელებს.

კონკრეტულად არჩეულ, ჩვენს შემთხვევაში, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების რეჟიმში საქონლის მოსაქცევად ბენეფიციარმა უნდა წარუდგინოს საბაჟოს:

ა) **სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია;**

ბ) **საჭირო ლიცენზია (თუ საქონელი ექვემდებარება ლიცენზირებას);**

გ) **სხვა ორგანოების ნებართვები (თუ საქონელი ექვემდებარება სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების კონტროლს);**

დ) **ხარისხის სერტიფიკატები;**

ე) **დოკუმენტი (ქვითარი), რომელიც ადასტურებს ბენეფიციარის მიერ ყველა საბაჟო და საბაჟოსათვის დავალებული გადასახდელებისა და მოსაკრებლების გადახდას.**

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმა და შევსების წესი მოცემულია ამ წიგნის მე-XIII თავში "საბაჟო დეკლარირება".

იმპორტირებისას ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქონლის სია მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1995 წლის 23 იანვარს №35 დადგენილებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „საქონლის (სამუშაოთა მომსახურების) ჩამონათვალი, რომლის იმპორტი და რეექსპორტი ხორციელდება ლიცენზიებით". ჩამონათვალი მოიცავს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის 46 პოზიციას. ჩამონათვალის მოძიება შეიძლება წიგნში „საბაჟო საქმე" (1997 წ., წიგნი II, გვ. 20).

„ნუსხა სახელმწიფო ვეტერინარულ ზედამხედველობას დაქვემდებარებული ტვირთისა, რომელთა იმპორტ-ექსპორტი არ დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს თანხმობის გარეშე" დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 3 ივლისს №541 დადგენილებით და მოიცავს 24 დასახელების ცხოველს და ცხოველთა ჯგუფებს, 16 დასახელების ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს და მათ ჯგუფებს და 18 დასახელების ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს (ნუსხა იხ.: „საბაჟო საქმე", წიგნი II, გვ. 97).

„საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი და სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ჩამონათვალი" (დამტკიცებუ-

ლია საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ერთობლივი №190/35 ბრძანებით 1996 წლის 21 მაისს) მოიცავს 233 დასახელების საქონლის, საგარეო–ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 18 ჯგუფს და 264 პოზიციას (ჩამონათვალი იხ.: „საბაჟო საქმე", წიგნი II, გვ. 75).

თავის მხრივ, საბაჟო გადასახდელების გადახდამდე ბენეფიციარმა თავად უნდა განაცხადოს წარმოდგენილი საქონლის საბაჟო ღირებულება „საბაჟო ღირებულების დეკლარაციის (სღდ) შევსების ინსტრუქციის" („საბაჟო საქმე", წიგნი II, გვ. 140) მიხედვით შევსებული დეკლარაციის სახით.

საბაჟო ღირებულების დეკლარაციით გაანგარიშებული საქონლის საბაჟო ღირებულების უტყუარობის შესამოწმებლად და დასადასტურებლად დეკლარანტმა საბაჟო ღირებულების დეკლარაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) დამფუძნებელი დოკუმენტი იმ პირისა, რომელიც აწარმოებს საქონლის გადაადგილებას;

ბ) ხელშეკრულება (კონტრაქტი) და მისი დამატებითი შეთანხმებები, თუ ისინი გათვალისწინებულია;

გ) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) და ბანკის საგადასახადო დოკუმენტები (თუ ანგარიშსწორება მომხდარია) ან ანგარიშ-პროფორმა (პირობითი ღირებულების გარიგებისა), აგრეთვე სხვა საგადასახადო ან საბუღალტრო საბუთები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის ღირებულებას;

დ) სატრანსპორტო და სადაზღვევო საბუთები, თუ ისინი გათვალისწინებულია მიწოდების პირობებით;

ე) ტრანსპორტირების ანგარიში ან ოფიციალურად დამოწმებული სატრანსპორტო ხარჯების კალკულაცია იმ შემთხვევებში, თუ სატრანსპორტო ხარჯები არ იყო შეტანილი ანგარიშ-ფაქტურაში;

ვ) გამგზავნი ქვეყნის საბაჟო დეკლარაცია (თუკი ასეთი გააჩნია);

ზ) შეფუთვის ფურცლები;

თ) იმ საქონლის ლიცენზია, რომელთა იმპორტი ხორციელდება ლიცენზიებით;

ი) **წარმოშობის, ხარისხის, უსაფრთხოების და სხვა სერტიფიკატები.**

თუ ამას მიიჩნევს საჭიროდ, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს დამატებით მოითხოვოს შემდეგი საბუთები:

- მესამე პირის კონტრაქტები, რომელსაც კავშირი აქვთ გარიგებასთან;
- მესამე პირის მიერ გამყიდველის სასარგებლოდ გადახდილი ანგარიშები;
- საკომისიო და საბროკერო ანგარიშები, რომლებიც მიმართებაშია შესაფასებელი საქონლის გარიგებასთან;
- საბულალტრო დოკუმენტაცია;
- საავტორო ან სალიცენზიო შეთანხმებები;
- საექსპორტო (საიმპორტო) ლიცენზიები;
- სასაწყობო ქვითრები;
- შეკვეთები მიწოდებაზე;
- დამამზადებელი ფირმების ფასის კატალოგები, სპეციფიკაციები და პრეისკურანტები;
- დამამზადებელი ფირმების შესატყვისი საქონლის კალკულაცია (თუ ფირმა თანახმაა წარუდგინოს იგი ქართველ მყიდველს);
- სხვადასხვა საბუთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეკლარაციაში გაცხადებული საბაჟო ღირებულების დასადასტურებლად. (დებულება ,,საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლის საბაჟო ღირებულების გაცხადების პირობების და წესის შესახებ", „საბაჟო საქმე", წიგნი III, გვ. 131).

დეკლარანტის მიერ გაცხადებული საქონლის ღირებულება, თუ მის სისწორესთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოს პრეტენზია არ აქვს, იქცევა გადასახადის ადვალური (პროცენტების დარიცხვა საბაჟო ღირებულებაზე) წესით გაანგარიშების საგადასახადო ბაზად.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას მისი წარმოშობის სერტიფიკატის წარმოდგენა სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში:

ა) **თუ საქონელი წარმოშობილია ისეთ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო უწესებს გადასახდელებზე პრეფერენციას (მაგალითად, დსთ-ს ქვეყნებიდან);**

ბ) თუ საქონელი შემოიტანება ისეთი ქვეყნებიდან, საიდანაც საქონლის შემოტანა შეზღუდულია რაოდენობრივი კვოტებით (ამ წიგნის დაწერის პერიოდისათვის საქართველოს არ აქვს დაწესებული რაოდენობრივი შეზღუდვები არც ერთი ქვეყნისათვის);

გ) თუ საქონლის შემოტანა რომელიმე ქვეყნიდან აკრძალულია, შეჩერებული ან შეზღუდულია გარემოს და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით (მაგალითად, კარანტინის დროს) ან თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის და სხვა სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე;

დ) როდესაც საბაჟო ორგანოებს აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქონლის წარმოშობის შესახებ დეკლარირებული მონაცემები გაყალბებულია.

დეკლარაციაში მითითებული წარმოშობის ქვეყანა შეიძლება დადასტურებულ იქნეს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წერილობითი საბუთით, საიდანაც გამოიგზავნა საქონელი ან თავად გამომგზავნის წერილობითი განცხადებით, რომ საქონელი ნამდვილად შეესაბამება კონვენციაში მითითებული წარმოშობის ქვეყნის კრიტერიუმებს. მანამდე საქონელი არ მიიჩნევა მითითებულ ქვეყანაში წარმოშობილად. დაეჭვების შემთხვევაში საბაჟო ორგანოები უფლებამოსილნი არიან გადაამოწმონ საქონლის წარმოშობის ქვეყნის დამადასტურებელი საბუთები, მაგრამ არ აქვთ უფლება მხოლოდ ეჭვის საფუძველზე თქვან უარი საქონლის საზღვარზე გატარებაზე.

საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება სახელმწიფო, სადაც საქონელი წარმოებული ან საკმარისად გადამუშავებულ იქნა. უდავოდ და მთლიანად ამ ქვეყანაში წარმოებულად ითვლება ამ ქვეყანაში მოპოვებული წიაღისეული, მოსავალი, გამოზრდილი პირუტყვი და მათგან წარმოებული პროდუქცია. საკმარისად გადამუშავებული პროდუქცია ითვლება ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოებულად, თუ უცხოური ნედლეულის და მაკომპლექტებელი ნაწილების გამოყენებით გადამუშავების შედეგად იცვლება მისი სასაქონლო ნომენკლატურა. ამასთან, არ შეიძლება საკმარისი გადამუშავების კრიტერიუმად ჩაითვალოს საქონლის შენახვისა და ტრანსპორტირების, შეფუთვის, დაკომპლექტების, ჩამოსხმის, აწყობის, არევის, გადარჩევის, პირუტყვის

დაკვლის და სხვა მსგავსი ოპერაციები. მაგალითად, ერთ ქვეყანაში გამოზრდილი და მეორე ქვეყანაში დაკლული მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი ითვლება პირველ ქვეყანაში წარმოშობილად (გავიხსენოთ ინგლისში ძროხის ცოფით დაავადების შემთხვევა). თუ ერთ ქვეყანაში იწარმოება არაყი და ჩამოისხმება მეორე ქვეყანაში, ის ითვლება პირველ ქვეყანაში წარმოშობილად. ხოლო, თუ მეორე ქვეყანაში ჩამოისხა არაყი პირველ ქვეყანაში ნაწარმოები სპირტიდან, ეს არაყი ითვლება მეორე ქვეყანაში წარმოშობილად.

დსთ-ს ქვეყნებთან მიმართებაში დადგენილი პრეფერენციები (საგადასახადო შეღავათები) ვრცელდება ამ ქვეყნებში წარმოშობილ საქონელზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქონელი შემოიტანება დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან და ახლავს დეკლარაცია-სერტიფიკატი, გაცემული წარმოშობის ქვეყნის ამაზე უფლებამოსილი უწყების მიერ.

საბაჟო რეჟიმებისაგან დამოუკიდებლად, სერტიფიკატის წარდგენის გარეშე, გაიშვება შემდეგი საქონელი:

- საქონელი, განკუთვნილი ოფიციალური გამოყენებისათვის უცხო ქვეყნების წარმომადგენლობების და საერთაშორისო სახელმწიფო ორგანიზაციების, აგრეთვე მათი პერსონალის მიერ;

- საქონელი, შემოტანილი ფიზიკური პირების მიერ, რომელიც არ არის განკუთვნილი საწარმოო ან სხვა კომერციული საქმიანობისათვის, ე.ი. ფიზიკური პირის ქონება შეიძლება პირობითად გაშვებულ იქნეს სერტიფიკატის წარდგენის გარეშე.

3. საქონლის რეიმპორტი

რეიმპორტის საბაჟო რეჟიმის ქვეშ არ შეიძლება მოთავსებული იქნეს სხვა საბაჟო რეჟიმით (გარდა ექსპორტის რეჟიმისა) საქართველოდან ადრე გატანილი საქონელი, უცხო ქვეყნის საქონელი, ან საქართველოში შემოსატანად აკრძალული საქონელი.

იმისთვის, რომ საქონელი მოთავსებულ იქნეს რეიმპორტის რეჟიმში, ის:

ა) უნდა იყოს ადრე საქართველოს ტერიტორიიდან გატანილი ექსპორტის საბაჟო რეჟიმით;

ბ) გატანის მომენტისათვის უნდა იყოს სამამულო საქონელი, ანუ საქართველოში წარმოშობილი;

გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უნდა იყოს გატანის მომენტამდე არა უგვიანეს სამი წლისა. გატანის მომენტად ითვლება გატანაზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მიღების დღე;

დ) უნდა იმყოფებოდეს ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც იყო გატანისას. ამ დროს მხედველობაში არ მიიღება ბუნებრივი ცვეთა ან დანაკლისი ტრანსპორტირების და შენახვის ნორმალურ პირობებში ყოფნისას.

საქონლის გამოყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საწარმოო თუ სხვა კომერციული მიზნებით არ მიიჩნევა ამ საქონლის რეიმპორტის რეჟიმში მოთავსების საწინააღმდეგო ჩვენებად.

ამ საქონლის მიმართ განხორციელებული დაცვის ღონისძიებები (რემონტი, წესრიგში მოყვანა), თუ იგი არ ზრდის მის ღირებულებას შემოტანისას, ასევე არ უშლის ხელს საქონლის რეიმპორტის რეჟიმში მოთავსებას. რეიმპორტის რეჟიმში საქონლის მოსათავსებლად არ არის აუცილებელი, რომ საქონლის ამ რეჟიმში მომთავსებელი პირი იყოს იგივე პირი, რომელმაც ადრე მოახდინა ამ საქონლის ექსპორტის რეჟიმში გატანა.

რეიმპორტის რეჟიმის მნიშვნელოვანი პირობაა ის, რომ ამ რეჟიმში მოთავსებული იქნეს სწორედ ის საქონელი, რომელიც ადრე იყო გატანილი და რომ ეს საქონელი იყოს საქართველოს საქონელი. ასეთის მტკიცება ევალება რეიმპორტით დაინტერესებულ პირს. გატანის ფაქტის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა „მაშინდელი" საბაჟო დეკლარაციის წარმოდგენა, ასევე საქონლის წარმოების დრო და ადგილი. შესაძლებელია სპეციალური ექსპერტიზის ჩატარებაც.

4. საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტი

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტს ისეთივე მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, როგორც თავად საერთაშორისო ვაჭრობას.

მე-18 საუკუნის ბოლო წლებამდე ტრანზიტული საქონელი იბეგრებოდა ისეთივე წესით, როგორც იმპორტი და ექსპორტი, სანამ ასეთი პრაქტიკის ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა არ მიიყვანა მოვაჭრე ქვეყნები ტრანზიტის დაბეგვრისაგან გათავისუფლების ობიექტურ საჭიროებამდე.

ვინაიდან საქონლის ტრანზიტზე საბაჟო გადასახდელები არ არსებობს, ტრანზიტი ვერ იქნება საქართველოს ბიუჯეტის შევსების პირდაპირი საშუალება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სწრაფვა, იქცეს მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყნად, მოკლებულია ეკონომიკურ საფუძვლებს. სინამდვილეში ქვეყანას შეუძლია ტრანზიტისაგან ჰქონდეს მნიშვნელოვანი ამონაგები, კერძოდ: სატრანსპორტო და საექსპორტო მომსახურების და ტვირთების დამუშავების სფეროში; სატრანზიტო ბრუნვის მოცულობასთან პირდაპირ კავშირშია ნავსადგურების და საპორტო ქალაქების ეკონომიკური ზრდა; დიდ შემოსავალს და სამუშაო ადგილებს იძლევა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი; ვითარდება და მომგებიანი ხდება ეროვნული ავიაცია და აეროპორტები; დიდ შემოსავალს უქადის ქვეყანას მასზე გამავალი მილსადენების მომსახურება. შეიძლება ითქვას, რომ თავისი შინაარსით ტრანზიტის მომსახურება წარმოადგენს მომსახურების ექსპორტს.

აქედან, საქონლის ტრანზიტის მომსახურებაში საბაჟო კოდექსის და საბაჟო ორგანოების წვლილი უნდა გამოიხატებოდეს საქონლის ტრანზიტის მიმართ კანონმდებლობის ჰარმონიზაციით საერთაშორისო წესებთან: ტრანზიტის ცივილიზებულობაში, სიმარტივეში და, რაც მთავარია, ტრანზიტის შეუფერხებლობაში.

ტრანზიტის ნებართვას იძლევა საქონლის შემოსვლის საბაჟო ორგანო. ცალკეულ შემთხვევებში, როგორიცაა, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით აქციზური საქონლის ტრანზიტი, შემოსვლის საბაჟოს

შეუძლია ტრანზიტის ნებართვა მისცეს საბაჟო ორგანოს დეპოზიტზე გირაოს თანხის შეტანის ან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

ტრანზიტის რეჟიმში მყოფი საქონელი ტრანზიტის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა მისი ნორმალური ცვეთისა და კლებისა, რაც დამახასიათებელია ამ სახის საქონლის ნორმალურ პირობებში ტრანსპორტირებისა თუ შენახვისათვის.

ტრანზიტის რეჟიმში მყოფი საქონელი არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა რაიმე მიზნებისათვის, გარდა ტრანზიტისა. ეს დებულება ფორმულირებულია იმ მიზნით, რომ ტრანზიტის რეჟიმის თავისებურებები არ იყოს გამოყენებული ისეთი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის, როგორიცაა აკრძალული საქონლის ქვეყნიდან გატანა (შემოტანა), კონტრაბანდა, გადასახადებისაგან თავის არიდება.

საბაჟო ორგანოები გარკვეულად პასუხისმგებელნი არიან ამ რეჟიმის განხორციელებისას საქონლის ქვეყნის ტერიტორიაზე გავლით უდანაკარგოდ და უცვლელად გატარებისათვის და, აქედან გამომდინარე, უფლება აქვთ ტრანზიტის რეჟიმში საქონლის მოქცევისათვის მოითხოვონ გარანტიის ისეთი პირობები, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალებებისა და ტარა-შეფუთვის წინასწარი მონესრიგება ან ტრანზიტის განხორციელება საბაჟო გადამზიდველის მიერ. ამასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ეკისრება საქონლის გადამზიდველს.

საბაჟო ორგანოებს ასევე შეუძლიათ უარი უთხრან გადამზიდველებს საქონლის ტრანზიტის რეჟიმში მოთავსებაზე, თუ ამ საქონლის ტრანზიტი აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან სატრანსპორტო საშუალება მისი სახეობის ან ტექნიკური მდგომარეობის გამო შეუფერებელია საერთაშორისო გადაზიდვისათვის.

დოკუმენტური საბაჟო კონტროლი ძირითადად ხორციელდება საქონლის გაფორმებისას. დანიშნულების საბაჟოსადმი წარსადგენი დოკუმენტაციის მიტანა ხდება იმავე წესით, როგორც თავად საქონლისა. გაცხადებული მონაცემების შესაბამისობა ფაქტობრივთან მოწმდება დათვალიერების, შემოწმების და, საჭირო შემთხვევებში, ინვენტარიზაციის გზით. საქონლის იდენტიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს პლომბებით, ბეჭდებით, მარკირებით და საიდენტიფიკაციო ნიშნების დასმით. გარკვეულ შემთხვევებში

იდენტიფიკაციას ექვემდებარება ის სატრანსპორტო საშუალებაც, რომლითაც გადაიტანება საქონელი. ასე მაგალითად, საერთაშორისო გადაზიდვების კონვენციის შესაბამისად, ტვირთების გადაზიდვისას ავტომობილებზე ამაგრებენ სპეციალურ ფირს - TIR.

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი მთავრდება დანიშნულების საბაჟოში საქონლის მიტანით, შესაბამისი საბაჟო პროცედურების გავლით, რის შემდეგ საქონელი გატანილი უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ან მოთავსებული სხვა რეჟიმში.

თუ ტრანზიტისას:

- საქონელი გაიცა მესამე პირზე საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე;

- დაიკარგა;

- არ იქნა მიტანილი გასვლის საბაჟო ორგანომდე,

გადამზიდველი ვალდებულია გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები, რომლებიც დაწესებულია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების რეჟიმით საქონლის შემოტანაზე.

თუ ტრანზიტისას:

- საქონელმა და სატრანსპორტო საშუალებამ განიცადა ავარია ან დაუძლეველი ძალის ზემოქმედება;

- ცვეთა ან დანაკლისი ნორმალურზე მეტ ფარგლებში;

- საქართველოს სხვადასხვა ორგანოებმა ან თანამდებობის პირებმა მათ წინააღმდეგ განახორციელეს არამართლზომიერი მოქმედება და ამის შემდეგ დაიკარგა საქონელი ან ადგილი ჰქონდა დანაკლისს, გადამზიდველი თავისუფლდება დანიშნულების ადგილას მიუტანელ საქონელზე საბაჟო გადასახდელებისაგან.

რაც შეეხება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საბაჟო რეგულირებაში სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის რეგლამენტაციას, მას სატრანზიტო საქონლისაგან რამდენადმე განცერძოებული ადგილი უჭირავს. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ შემთხვევაში და საერთოდ საერთაშორისო საქონელბრუნვაში ტრანსპორტი გაიაზრება, როგორც საშუამავლო რგოლი, რომელიც არ წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების უშუალო ობიექტს. აქედან გასაგებია, თუ რატომ

ეხება საბაჟო კოდექსის დებულებები ძირითადად საქონლის და არა სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტს. საზღვაო, სარკინიგზო, საავიაციო, საავტომობილო და სხვა სახის ტრანსპორტის ქვეყანაში შესვლა, გასვლა და ტრანზიტი რეგულირდება სხვა საერთაშორისო წესებით და ეროვნული კანონმდებლობით.

5. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა

თავიდანვე უნდა გაიმიჯნოს ტერმინ „საბაჟო საწყობის" ორი შინაარსი. პირველი: საბაჟო საწყობი წარმოადგენს გარკვეულ ობიექტს, ადგილს ან დაცულ ტერიტორიას, რომელშიც შეინახება გარკვეული საბაჟო რეჟიმის ქვეშ მყოფი საქონელი. მეორე: ამ თავში მოცემული შინაარსით „საბაჟო საწყობი" არის კონკრეტული საბაჟო რეჟიმი.

კოდექსში მოყვანილი ნორმების გარდა, საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმის სამართლებრივი წყაროა დებულება **„საბაჟო საწყობის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 1999 წლის 6 დეკემბრის №235** ბრძანებით). დებულება აკონკრეტებს კოდექსის მოთხოვნების რეალიზაციის მექანიზმს ლიცენზიების გაცემის, გაუქმების, შეჩერების და გამოთხოვნის საკითხებში, შეიცავს საწყობის მოწყობისა და აღჭურვის მოთხოვნებს, მფლობელის ვალდებულებებს, საწყობში საქონლის შენახვის წესს, შენახულ საქონელზე ნებადართულ ოპერაციებს, საბაჟო გადასახადებთან ურთიერთობას, აღრიცხვის და ანგარიშიანობის წესს, შენახვის ვადებს, საწყობიდან გატანის წესს, დამოკიდებულებას საბაჟო საწყობის მფლობელსა და საბაჟო ორგანოებს შორის და სხვა საკითხებს.

საბაჟო საწყობების შექმნას თავისი ისტორია აქვს. სახელმწიფოები სიამოვნებით აარსებდნენ და აარსებენ საბაჟო საწყობებს. საქმე იმაშია, რომ შენახვის ფუნქციის მილმა ხშირად დგას ქვეყანაში სტრატეგიული სასაქონლო მარაგების შექმნის სურვილი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმების (ომები, მოუსავლიანობა, ეკონომიკური კრიზისი, ემბარგოს გამოცხადება და სხვა) შემთხვევისათვის. აქ ყველაზე უკეთ იჩენს

თავს საბაჟო საწყობების განსხვავებულობა ჩვეულებრივი საწყობებისაგან. თუ ჩვეულებრივ საწყობებში საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა და მარაგის დაწყობა აუცილებლად დაკავშირებულია შესაბამისი გადასახდელებით დაბეგვრასთან, საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსება ემყარება გარკვეულ ადმინისტრაციულ ფიქციას, საწყობში მოთავსებული უცხოური საქონელი საბაჟო და საგადასახადო თვალსაზრისით ითვლება ჯერ კიდევ საზღვარგარეთ მყოფად, რადგან თავად საბაჟო საწყობების ტერიტორია ითვლება საბაჟო ტერიტორიის გარე ტერიტორიად. ამრიგად, სახელმწიფოს ეძლევა საშუალება დააგროვოს უცხოური საქონლის სტრატეგიული მარაგი შემოტანაზე გადასახადების გადაუხდელად.

გარკვეულ შემთხვევებში საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსება ასევე მომგებიანია მეწარმე პირისათვისაც იმით, რომ მის მიერ საბაჟო საწყობში შემოტანილი საქონელი ლეგიტიმურია, კანონიერია და საზღვრის გადმოლახვა მომხდარია საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის ფარგლებში. მეორეს მხრივ, მეწარმეს საშუალება ეძლევა საქონლის საწყობში შენახვის პირობებში აუჩქარებლად აწარმოოს სავაჭრო თუ სხვა გარიგებები, მიიღოს გადაწყვეტილებები და საბაჟო გადასახდელები გადაიხადოს გარიგების თითოეული ფაქტის შემდეგ. უფრო მეტიც, თუ ამ ქვეყანაში შესაბამისი გარიგება არ მოხდა ან სხვა ქვეყანაში შეიქმნა უკეთესი პირობები და მეწარმემ გადაწყვიტა იქ გადააგზავნოს საქონელი, მას საშუალება ეძლევა თავი აარიდოს მთელ რიგ საბაჟო პროცედურებს იმდენად, რამდენადაც ეს საქონელი საბაჟო თვალსაზრისით ამ ქვეყანაში თითქოს ჯერ "არც შემოსულა".

ფართო მასშტაბით კომერსანტები იყენებენ საბაჟო საწყობებს მაშინ, როცა საგარეო ბაზარზე ამ საქონელზე დაბალი ფასებია და ყიდიან თავის ქვეყანაში ან საზღვარგარეთ მაშინ, როცა გარე ან შიგა ბაზარზე შეიქმნება უკეთესი კონიუნქტურა. საბაჟო საწყობებში შეიძლება ასევე ინახებოდეს საგარანტიო მომსახურებისათვის საჭირო მარაგ-მასალები, სათადარიგო და სარეზერვო ნაწილები.

საბაჟო საწყობის რეჟიმი ხელსაყრელია ექსპორტიორისათვისაც. მას შეუძლია ჯერ გაიაროს საბაჟო პროცედურები და დააწყოს საქონელი საბაჟო საწყობში, ხოლო შემდგომ სწრაფად და უფრო იოლად გაიტანოს

მისთვის სასურველ მომენტში. მაგალითად, ფირმას შეუძლია საექსპორტო პროცედურაგავლილი საქონელი მოთავსებული ჰქონდეს ფოთის ნავსადგურის საბაჟო საწყობში და იქიდან აწარმოოს მისი გადატვირთვა, როცა მოინახება საჭირო საზღვაო ტრანსპორტი. ეს იძლევა კომერციული მობილურობის და ზედმეტი ხარჯების შემცირების საშუალებას საბაჟოზე გასატარებელი პარტიების გამსხვილების გზით.

საბაჟო საწყობი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე საბაჟო ორგანოების სტრუქტურული შემადგენელი.

კერძო საწყობების დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ საწარმოები, ორგანიზაციები და სხვა იურიდიული პირები და მათი გაერთიანებები, ასევე ასეთი საწყობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური და საოჯახო კუთვნილების.

კლიენტურის მიხედვით საწყობები შეიძლება იყოს ღია და დახურული ტიპის. ღია საწყობით სარგებლობის უფლება აქვს ყველა იურიდიულ პირს, დახურულით სარგებლობის უფლება - მხოლოდ გარკვეულ წრეს. საბაჟო ორგანოების კუთვნილი საწყობები მხოლოდ ღია ტიპისაა.

თუ საწყობი დახურული ტიპისაა, მისმა მფლობელმა წინასწარ უნდა შეუთანხმოს საბაჟო ორგანოებს, თუ ვისი საქონლის შესანახადაა განკუთვნილი ასეთი საწყობი და იმ საქონლის ნუსხა, რომლის დასაწყობებაც მოხდება. საწყობმა ასევე უნდა წარუდგინოს საბაჟო დეპარტამენტს საბანკო გარანტია საწყობში სავარაუდოდ შესანახი საქონლის მაქსიმალური საბაჟო ღირებულების 15%-ის ფარგლებში.

საბაჟო საწყობის დაარსება ხდება საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით და საჭიროებს ლიცენზიას.

საბაჟო საწყობის ლიცენზირების საკითხებით დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ ყურადღებით გაეცნონ საბაჟო დეპარტამენტის მიერ 1995 წლის 31 იანვარს დამტკიცებულ დებულებას ,,საბაჟო საწყობის შესახებ". იქვეა მოცემული საწყობის მფლობელის უფლება-მოვალეობანი და სხვა ტექნიკური საკითხები.

საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსება უნდა მოხდეს საბაჟო ორგანოების ნებართვით ან წარმომადგენლის თანდასწრებით. ამ დროს საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს:

ა) საბაჟო-სატვირთო დეკლარაცია;

ბ) სატვირთო და საქონლის თანმხლები დოკუმენტები (ზედდებულები, კონოსამენტი, სპეციფიკაცია, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა);

გ) სხვა დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად.

საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსებისათვის სერტიფიკატის წარმოდგენა საჭირო არ არის.

ვადის გასვლის შემდეგ საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში.

6. უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმი

უბაჟო ვაჭრობის რეჟიმში მოთავსებული საქონლის რეალიზაცია ხდება სპეციალურ უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებში. უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებს ჩვეულებრივ ხსნიან ნავსადგურებში, აეროპორტებში, ფიზიკურ პირთა საზღვარზე გატარების პუნქტებში და სხვა ადგილებში.

უბაჟო ვაჭრობის რეჟიმი საშუალებას იძლევა გაყიდულ იქნეს უცხოური საქონელი ქვეყნის ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ, მაგრამ საბაჟო გადასახდელების გარეშე.

რეჟიმის არსის უკეთ გასაგებად შევადაროთ უბაჟო ვაჭრობის რეჟიმი, ერთის მხრივ, საბაჟო საწყობის და, მეორეს მხრივ, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების რეჟიმს.

უბაჟო ვაჭრობის რეჟიმში საქონლის მოთავსებისას არ გადაიხდევინება საბაჟო გადასახდელები შემოტანილ უცხოურ საქონელზე ისევე, როგორც უცხოური საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსებისას. მაგრამ, თუ საბაჟო საწყობის რეჟიმში საქონლის მოთავსების მიზანი შენახვაა, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიისათვის ის სუფთა კომერციულია - ამ საქონლის მოკლე დროში გაყიდვა.

პოტენციურ მყიდველს უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში იზიდავს პირველ რიგში ის, რომ აქ საქონელი იყიდება საბაჟო გადასახდელებისაგან თავისუფალ ფასად.

ამ რეჟიმით ვაჭრობის ობიექტში შეიძლება იყოს როგორც უცხოური, ისე სამამულო საქონელი. რეჟიმის მთავარი მახასიათებელია ის, რომ ასეთ მაღაზიებში საქონელი მიეყიდება მხოლოდ ფიზიკურ პირებს და მხოლოდ იმათ, ვინც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას. უბაჟო ვაჭრობის რეჟიმში შეძენილი საქონელი აუცილებლად უნდა იქნეს გატანილი საზღვარგარეთ. ზოგჯერ ამ პირობის შესრულების კონტროლისათვის მგზავრებს სამგზავრო დოკუმენტებში უკეთებენ სპეციალურ ჩანაწერს.

საბაჟო ორგანოები უბაჟო ვაჭრობის რეჟიმის შესრულებას აკონტროლებენ:

ა) უბაჟო ვაჭრობის ობიექტის რეჟიმის პირობების დაცვის კონტროლით;

ბ) იმის უზრუნველყოფით, რომ უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში ნაყიდმა საქონელმა აუცილებლად დატოვოს საქართველოს საბაჟო საზღვრები.

მეორე პირობის უკეთ შესასრულებლად უბაჟო ვაჭრობის სავაჭრო ობიექტები აუცილებლად უნდა გაიხსნას საბაჟო კონტროლის ხაზის იქით, ე.ი. იმ ადგილს გარეთ, რომელიც გათვალისწინებულია საბაჟო გაფორმების განსახორციელებლად მიმავალი მგზავრებისათვის. ეს ადგილი მიუდგომელი უნდა იყოს ჩამოსული მგზავრებისათვის და უცხო პირებისათვის.

უბაჟო ვაჭრობის ობიექტებში რეალიზებულ საქონელს ერიცხება დაწესებული საბაჟო მოსაკრებელი. ამ გადასახდელის „გადახდის ვალდებულება ეკისრება უბაჟო საცალო ობიექტის მესაკუთრეს ან მფლობელს".

უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის „საზღვრისპირა" მდებარეობიდან გამომდინარე, უბაჟო ვაჭრობის ობიექტის გახსნა და მისი ადგილი უნდა შეთანხმდეს სასაზღვრო ჯარების და პორტის თუ აეროპორტის ხელმძღვანელობასთან. შეთანხმება გულისხმობს, რომ მესაზღვრეები და პორტების ხელმძღვანელობა წერილობით ადასტურებენ, რომ უბაჟო მაღაზიის გახსნა ამ ადგილას თავსებადია სასაზღვრო რეჟიმთან და ხელს არ შეუშლის საზღვაო და საჰაერო პორტის მუშაობას. ლიცენზიის მისაღებად საბაჟო დეპარტამენტში შეტანილ განაცხადს უნდა ახლდეს იმ საბაჟო ორგანოს წერილობითი დასკვნა, რომლის სამოქმედო ზონაშიც იხსნება უბაჟო ვაჭრობის ობიექტი,

სადაც დადასტურებული იქნება მაღაზიის მფლობელის მიერ განაცხადით მოწოდებული ცნობები და ასეთი მაღაზიის გახსნის მიზანშეწონილობა.

უარის თქმა უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის გახსნაზე უნდა იყოს წერილობითი და მოტივირებული.

უბაჟო ვაჭრობის ობიექტის ლიკვიდაციის მიზეზები შეიძლება იყოს:

ა) მაღაზიის მფლობელის ნება;

ბ) ლიცენზიის ვადის გასვლა;

გ) ლიცენზიის ანულირება;

დ) ლიცენზიის გაწვევა.

საკმარისია თუნდაც ერთი ამ მიზეზთაგან, რომ მაღაზია დაიხუროს და გადაიქცეს (გადავიდეს) დროებითი შენახვის საწყობის რეჟიმში.

თუ ყველა სხვა რეჟიმში შეიძლება ნებისმიერი საქონლის მოთავსება, გარდა აკრძალულისა, თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიის რეჟიმში არ შეიძლება მოთავსდეს:

ა) საქონელი, რომელიც ექვემდებარება სხვა სახელმწიფო ორგანოების კონტროლს (ამ ორგანოების ნებართვის გარეშე);

ბ) ტექნიკურ-საწარმოო დანიშნულების და სხვა ისეთი საქონელი, რომელიც აშკარად არ არის ფიზიკურ პირთა სარგებლობისა თუ მოხმარების საგანი;

გ) მძიმე წონიანი (20 კგ-ზე მეტი) და დიდი მოცულობის (თუ სიგრძის, სიგანის და სიმაღლის ჯამი აღემატება 200 სმ) საქონელი;

დ) საქართველოს საქონელი, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზიით.

როგორც წესი, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში გასაყიდი საქონელი უნდა იყოს საცალოდ მოსახმარებელ შეფუთვაში, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი უშუალოდ მოხმარება. ფარმაცევტული პროდუქცია არ უნდა მოითხოვდეს სავალდებულო წესით ექიმის რეცეპტს. აკრძალულია საქონლის როგორც ბითუმად, ისე პარტიებად გაყიდვა - ერთი სახის საქონელი ერთ ფიზიკურ პირს უნდა მიეყიდოს არა უმეტეს 10 ერთეულისა. ანგარიშსწორება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით. აქ გასაყიდ საქონელს უნდა ჰქონდეს საბაჟოსთან შეთანხმებული სპეციალური დამატებითი მარკირება, ისე რომ საჭირო შემ-

თხვევაში შეიძლებოდეს უბაჟო ვაჭრობის სავაჭრო ობიექტში ნაყიდი საქონლის განსხვავება სხვა ჩვეულებრივი წესით შეძენილისაგან.

7. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე

საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებები (კერძოდ, კიოტოს 1973 წლის კონვენცია), მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა, იმის და მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში მიმდინარეობს საქონლის გადამუშავება და რომელია გადამუშავებული საქონლის წარმოშობის ქვეყანა, ანსხვავებენ გადამუშავების რეჟიმების ორ ტიპს - აქტიურს და პასიურს. პირველს მიეკუთვნება შემთხვევა, როცა უცხოური წარმოშობის საქონლის გადამუშავება ხდება ეროვნულ საბაჟო ტერიტორიაზე, ხოლო მეორეს - როცა წარმოშობით ეროვნული საქონელი გადამუშავდება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

„საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე", ანუ რეჟიმი, რომლის მეშვეობით საქართველოში შემოდის უცხო ქვეყნის საქონელი (ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მაკომპლექტებელი ნაწილები და ა.შ.) და გადამუშავების შემდეგ საქართველოდან გადის წარმოებული ნაწარმის სახით, მიეკუთვნება აქტიურ ტიპს.

გადასამუშავებლად საქონლის საქართველოში შემოტანის სოციალური სარგებლობა იმაშია, რომ ეს საშუალებას იძლევა დასაქმდეს მუშახელი და მიიღოს გარკვეული შემოსავალი ისე, რომ არ იყოს მოსაძებნი რაიმე დამატებითი მატერიალური რესურსები ქვეყნის შიგნით. ეკონომიკური საფუძველი კი დღეისათვის საქართველოს მუშახელის სიიაფეა. ამის საფუძველზე უკვე მუშაობს რამდენიმე საწარმო და მათი რაოდენობა თანდათან იზრდება. რაც უფრო შრომატევადია წარმოება, მით უფრო ხელსაყრელია უცხო მეწარმეთათვის მისი საქართველოში განთავსება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში გათვალისწინებული იქნება საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალიც და უცხოელ ჰი საქართველოში განათავსებენ მეცნიერებატევად წარმოებებსაც.

საბაჟო რეჟიმი - საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, მოწოდებულია, რათა ხელი შეუწყოს ასეთ პროცესებს. ამ შემთხვევაში ხელშეწყობა მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ რეჟიმში მოქცეული საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახადებისაგან და მის მიმართ არ გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები.

ამავე დროს ამ რეჟიმით საბაჟო ორგანოების კომპეტენციაა გადამუშავებული საქონლით მიღებული პროდუქციის გატანის პირობის აუცილებელი შესრულება. ამისათვის საბაჟო კოდექსის 34-ე მუხლი იძლევა იმ გადამუშავების ოპერაციების ნუსხას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მოცემულ რეჟიმში.

ამ მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტი გადამუშავების პროცესში ითვალისწინებს „იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს ან აიოლებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში". აქ იგულისხმება სამამულო საქონელი და მისი ამგვარი გამოყენება. ეს ეკონომიკური შინაარსით იგივე სამამულო ნაწარმის ექსპორტია, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის რეჟიმს.

რეჟიმის საბაჟო კონტროლის აუცილებლობა პროცესების მთელ მანძილზე განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს და პასუხისმგებლობას აკისრებს პირებს, რომლებიც ღებულობენ უცხოური საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, უფლებას (ლიცენზიას) აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებს, გადასამუშავებლად შემოტანილი (გატანილი) საქონლის და გადამუშავებული საქონლის მეპატრონეებსა და სხვა.

უპირველესი აუცილებელი პირობაა, რომ ეს პირები იყვნენ საქართველოს პირები, შესაბამისად რეგისტრირებულნი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

სხვა თავისებურებები გათვალისწინებულია ლიცენზიის გაცემის პირობებით.

ამ რეჟიმის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეთოდი, როცა გადასამუშავებლად შემოტანილ საქონელზე გადახდილი საბაჟო გადასახადები ექვემდებარება უკან დაბრუნებას გადამუშავების პროდუქტების გატანისას.

„გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებიდან გატანის პირობის" შესრულების უზრუნველყოფა არ გულისხმობს ადმინისტრაციულ მეთოდებს. უბრალოდ, რაც არ იქნება გატანილი დადგენილ ვადაში, იმის საწარმოებლად შემოტანილი საქონლისათვის საბაჟო გადასახდელები არ დაუბრუნდება გადამხდელს, თანხა მოიხსნება დეპოზიტიდან და ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც იმავე საქონლის თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში გაშვების ტოლფასი იქნება.

ამრიგად, მიღებული პროდუქტის უკან დაბრუნების გარანტად გამოდის თავად გადახდილი თანხა.

გადასამუშავებლად საქონლის შემოტანის წესები უფრო დეტალიზებულია დებულებაში ,,გადამუშავებისათვის საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური საქონლის შემოტანის, ან საქართველოს საქონლის შემოტანის, ან საქართველოს საქონლის საზღვარგარეთ გადამუშავებისათვის გატანის წესის შესახებ", რომელიც დამტკიცებულია საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის 31 იანვრის №16 ბრძანებით („საბაჟო საქმე", წიგნი II, გვ. 147).

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლის საბაჟო კონტროლის საუკეთესო საშუალებაა კონტროლი გამოსავლიანობის ნორმების მიხედვით. ეს აგრეთვე საშუალებას იძლევა ბენეფიციარს გატანად ჩაეთვალოს არა მხოლოდ კონკრეტული საქონლიდან მიღებული კონკრეტული პროდუქტი, არამედ საკომპენსაციო, ანუ გამოსავლიანობის ნორმების შესაბამისი რაოდენობის სხვა პროდუქცია. ეს, აგრეთვე, საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნეს იდენტიფიკაციის რთული პროცესი.

კონტროლის პროცესის გამარტივებისათვის შეიძლება „საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე" რეჟიმის გაერთიანება ექსპორტის რეჟიმთან. ასეთ შემთხვევაში გადასამუშავებელი საქონელი შემოტანისთანავე თავსდება ექსპორტის რეჟიმში. სხვა ქვეყნებში შემუშავებული ასეთი ფორმა, როგორც ამტკიცებენ, იძლევა კონტროლის უკეთეს გარანტიას, ამარტივებს პროცესებს და შეიძლება შემუშავებული იქნეს საქართველოსთვისაც.

„საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე" რეჟიმის ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ უკვე ითქვა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს

ცალკეულ შემთხვევებს, როცა ამ რეჟიმმა ქვეყანას შეიძლება მოუტანოს უარყოფითი ეკონომიკური შედეგი. ასეთი ნეგატიური ფაქტორებია:

- უცხოური სანედლეულო საქონლის შემოტანა ისეთი რაოდენობით, რომელიც ჩაკლავს ეროვნულ მომპოვებელ წარმოებას;

- ზომაზე მეტმა ხელშეწყობამ საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამამუშავებელი ბენეფიციარისთვის შეიძლება მას შეუქმნას გაუმართლებლად შეღავათიანი პირობები იმ კონკურენტებთან შედარებით, ვინც ანარმოებს იგივე საქონელს „ჩვეულებრივი“ წესით;

- რეჟიმი ქმნის სანედლეულო საქონლის გატანაზე ორიენტირების პირობას, როცა ასეთი საქონელი შეიძლება მაღალტექნოლოგიური წარმოების გზით დამზადდეს სახელმწიფოს შიგნით და ექსპორტირებულ იქნეს მზა სახით.

საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან არ დაუშვან „საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე“ რეჟიმის საბაბით საქართველოში ისეთი საქონლის შემოტანა და გადამუშავება, რომელიც აუარესებს ეკოლოგიურ გარემოს, საშიშროებას უქმნის ადამიანთა და ცხოველთა სიცოცხლეს. ამის აღკვეთა უნდა მოხდეს ლიცენზიის გაცემის ეტაპზე.

ვინაიდან საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების რეჟიმი ხანგრძლივია, ის შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: რეჟიმის მიღება, რეჟიმის გამოყენება და რეჟიმის მოქმედების შეწყვეტა. რეჟიმის მიღება (მოპოვება) ხდება დადგენილი ფორმის განცხადებით, რომელზეც 30 დღის განმავლობაში საბაჟო ორგანოებმა უნდა გასცენ ნებართვა (დადგენილი ფორმის სამი ეგზემპლარი) ან დასაბუთებული წერილობითი უარი.

რეჟიმის გამოყენება ხდება გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ვადებში „რომელიც დგინდება საბაჟო ორგანოების მიერ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გადამუშავების ოპერაციის ხასიათიდან გამომდინარე, მაგრამ არა უმეტეს 1 წლისა“ (დებულება ,,გადამუშავებისათვის საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური საქონლის შემოტანის ან საქართველოს საქონლის საზღვარგარეთ გადამუშავებისათვის გატანის წესის შესახებ“, მუხლი 1.10). რეჟიმის მოქმედება წყდება გადასამუშავებელი საქონლის გატანის საბაჟო გაფორმებით, რაზეც გათვალისწინებულია ექსპორტის რეჟიმის მსგავსი პროცედურები და დრო.

საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში საქონლის შემოტანისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) საბაჟო ხელმძღვანელობის ნებართვა საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავებაზე;

ბ) საქონლის გადამუშავების თაობაზე დადებული ხელშეკრულება;

გ) სათანადო წესით შევსებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია;

დ) თავად საქონელი მისი დათვალიერებისა და იდენტიფიკაციისათვის.

საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტის გატანისათვის საბაჟოში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) საბაჟო ორგანოების ნებართვა გადასამუშავებლად საქონლის შემოტანაზე;

ბ) სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომლითაც შემოტანილი იყო გადასამუშავებელი საქონელი;

გ) სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია გადამუშავების პროდუქტის (საკომპენსაციო საქონლის) გატანაზე;

დ) თავად გასატანი პროდუქტი (საკომპენსაციო საქონელი) იდენტიფიცირებისათვის ან გადამუშავების პირობის შესრულების შესამოწმებლად.

საქონლის მესაკუთრის თხოვნით, თუ საბაჟო ორგანო ჩათვლის ამ თხოვნას საფუძვლიანად, გადამუშავების ვადა შეიძლება გაგრძელებული იქნეს საბაჟოს მიერ. ვადის გაგრძელებაზე განაცხადის შეტანა თავისთავად ამ ვადას არ აგრძელებს.

თუ საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტი არ გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, საქონელი უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების რეჟიმში.

შესაძლებელია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად შემოტანილი საქონელი ამ რეჟიმში ყოფნის დროს დაიკარგოს, თუმცა ამაზე თავად კოდექსი არ მიუთითებს. „დროებითი დებულება“ და რეჟიმების სხვა წესები ითვალისწინებენ ასეთი შემთხვევის შემდეგ დიფერენცირებას: თუ საქონელი დაიკარგა ავარიის ან სხვა გადაულახავი გარემოებების გამო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც გააჩნია ბენეფი-

ციარს, ასეთ საქონელზე გადახდილი საბაჟო გადასახდელები უბრუნდება გადასახადის გადამხდელს. აქ მოქმედებს პრინციპი, რომ საქონელი არ ყოფილა რეალიზებული და მოხმარებული საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. სხვა შემთხვევებში საქონლის შემოტანისას გადახდილი გადასახდელები არ უბრუნდება გადამხდელს. ეს გარემოება არც ერთ შემთხვევაში არ ეხება მოსაკრებლებს, რადგანაც გაფორმების, ტვირთების გაცილების თუ სხვა მომსახურება, რომლისთვისაც იხდიან მოსაკრებლებს, ამ დროისთვის ფაქტობრივად განხორციელებულია.

8. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ

ეს საბაჟო რეჟიმი, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების რეჟიმს. მთავარი განსხვავება არა თავად რეჟიმების არსია, არამედ მათი დანიშნულება. პირველ შემთხვევაში გადამუშავება ხდება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით“, ხოლო მეორე შემთხვევაში - „გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად“.

ორივე შემთხვევა აქტიური გადამუშავების ტიპისაა. ორივე შემთხვევაში გადამუშავება ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და საქონლის შემოტანა გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისაგან. ესაა მხოლოდ, რომ საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმის დროს საგადასახადო შეღავათი (გადახდილის უკან დაბრუნება) ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გადამუშავების პროდუქტის გატანის პირობის შესრულების შემდეგ (ერთად), მაშინ როცა საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების რეჟიმში საგადასახადო შეღავათი შემოტანილ საქონელს ეძლევა შემოტანის მომენტში ყოველგვარი დამატებითი პირობის გარეშე. „უპირობობის“ გარკვეული კომპენსაციაა ის, რომ გადამუშავება უნდა მოხდეს საბაჟო კონტროლის ქვეშ და შემდგომში საქონელი აუცილებლად უნდა მოთავსდეს თავი-

სუფთა მიმოქცევაში გაშვების რეჟიმში (ე.ი. გადახდევინებულ იქნეს საბაჟო გადასახდელები) ან სხვა რეჟიმში.

ამრიგად, საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების რეჟიმი ერთგვარად შუალედური რეჟიმია და საბაჟო გადასახდელებისაგან მის მიერ საქონლის გათავისუფლება პირობითია, გარკვეულად დელეგირებულია შემდგომი რეჟიმებისადმი. ამით ის არ ეწინააღმდეგება საერთო პრინციპს, რომ საბაჟო გადასახდელები აუცილებლად უნდა იქნეს გადახდევინებული იმ ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ, სადაც ხდება შეტანილი საქონლის რეალიზაცია და მოხმარება.

ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოში შემოტანილი საქონელი იმთავითვე არ არის მომზადებული რეალიზაციის და მოხმარებისთვის და მოითხოვს წინასწარი ოპერაციების ჩატარებას: მონტაჟს, აწყობას, სხვა საქონელზე მორგებას, რემონტს, დაფასოებას, ჩამოსხმას, დახარისხებას, პარტიებად ფორმირებას, შეფუთვას, მარკირებას და სხვა.

როცა ეს ოპერაციები მარტივია და ისინი შეიძლება შესრულდეს საბაჟო საწყობში, საბაჟო კოდექსის 46-ე მუხლი ითვალისწინებს მათი ჩატარების უფლებას საბაჟო საწყობებში.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საქონლის დამუშავება და გადამუშავება მოითხოვს მის გატანას სპეციალურ შენობებში ან საწარმოებში. თუ მარტივი გადამუშავებისთვის გამოდგება საბაჟო საწყობი, სადაც საქონელი რეჟიმის შესაბამისად იმყოფება საბაჟო კონტროლის ქვეშ, უფრო რთული გადამუშავებისათვის საჭირო ხდება შემოტანილი საქონელი აყვანილ იქნეს საბაჟო კონტროლის ქვეშ საბაჟო კონტროლის ზონისა და საბაჟო საწყობებს გარეთ, ანუ მოითხოვს სხვა ახალ რეჟიმს და ამ რეჟიმში საქონლის მოთავსების ნებართვას (ლიცენზიას).

საბაჟო კოდექსის შესაბამისი მუხლი არ იძლევა განმარტებას, თუ რა შემთხვევაში მიეცემა პირს უფლება მოათავსოს საქონელი საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების რეჟიმში. ამის თაობაზე არც სხვა რაიმე მარეგულირებელი აქტია ჯერ-ჯერობით მიღებული. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევთ ასეთი პირობები დავესესხოთ სხვა ქვეყნების საბაჟო პრაქტიკას, რომლის მიხედვით საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების რეჟიმში მოსათავსებლად საჭიროა, რომ:

ა) საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების რეჟიმში საქონლის შემომტანი თავად იყოს ამ საქონლის გადამამუშავებელი;

ბ) საწარმოს, რომელიც განახორციელებს საქონლის გადამუშავებას საბაჟო კონტროლის ქვეშ ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი;

გ) გადამუშავების ოპერაციები ხორციელდებოდეს საწარმოს ჩვეულებრივი ტექნოლოგიური პროცესების ფარგლებში;

დ) საწარმომ წარადგინოს საბაჟო ორგანოში გადასამუშავებელი საქონლის შემოტანის და გადამუშავების პროდუქტის გატანის გრაფიკი თარიღის, რაოდენობის და ღირებულების ჩვენებით;

ე) საწარმომ აწარმოოს ამ რეჟიმში მოთავსებული საქონლის ცალკე აღრიცხვა და პერიოდულად, არა ნაკლებ თვეში ერთხელ, ეს ანგარიში წარუდგინოს ლიცენზიის გამცემ საბაჟო ორგანოს. იმისათვის, რომ ანგარიში საკმარისად სრული იყოს, მისი ფორმა და მონაცემების ჩამონათვალი წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული საბაჟო ორგანოსთან;

ვ) საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს ყოველთვის ჰქონდეთ უფლება და საშუალება განახორციელონ საქონლის გადამუშავებაზე ვიზუალური, დოკუმენტური და, თუ ამის საჭიროებაა, ტექნიკური კონტროლი;

ზ) რეჟიმში მოთავსებული საქონელი არ იყოს აქციზური;

თ) გადამუშავების ვადა არ აღემატებოდეს 6 თვეს.

საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების რეჟიმი მთავრდება გადამუშავების პროდუქტის მთლიანად თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებით (იმპორტი) ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცევით.

9. საქონლის დროებითი შემოტანა და/ან გატანა

საქონლის დროებითი შემოტანის (გატანის) საბაჟო რეჟიმი წარმოადგენს პირობებს, რომელთა შესრულებით დასაშვებია უცხოური საქონლით დროებითი სარგებლობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და, პირიქით, საქართველოს საქონლით დროებითი სარგებლობა უცხო ქვეყანაში, ისე რომ ამ საქონლით საბაჟო საზღვრის გადაკვეთა არ დაიბეგროს საბაჟო

გადასახადებით და მათ მიმართ გამოყენებული არ იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები.

ამ რეჟიმის მთავარი პირობა და მახასიათებელია ის, რომ:

ა) საქონლის გამოყენება საბაჟო ტერიტორიის გარეთ ან ტერიტორიაზე ატარებს დროებით ხასიათს;

ბ) ამ საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილება არ იბეგრება.

დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმი გარკვეულ შეღავათებს აძლევს და ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული კავშირების დამყარებას და განვითარებას. იმავე დროს ეროვნული ეკონომიკის და უშიშროების დაცვის აუცილებლობა მოითხოვს ამ რეჟიმისათვის გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოების შექმნას.

რეჟიმის გამოყენებისას მისი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად საბაჟო ორგანოებს, ჩვეულებრივ, აძლევენ გარკვეულ უფლებამოსილებებს:

ა) ისეთი შემთხვევების გამოყოფის, როცა საჭიროა წერილობითი ვალდებულება (დეკლარაცია) საქონლის უკან შემოტანისათვის (გატანისათვის);

ბ) საქონლის დროებითი გატანის (შემოტანის) ნებართვის წესის დადგენის;

გ) დათქმულ ვადაში საქონლის გაუტანლობის შემთხვევაში საბაჟო გადასახდელების გადახდევინების წესის შემუშავების;

დ) საქონლის იმ კატეგორიების ჩამონათვალის შედგენის, რომლებიც არ შეიძლება მოთავსებული იქნეს აღნიშნულ რეჟიმში;

ე) ცალკეული კატეგორიის საქონლისათვის დროებით შემოტანილი (გატანილი) საქონლის ზღვრული ვადების შეცვლის წესის დადგენის.

ზოგიერთ ქვეყნებში ეროვნული ეკონომიკის დასაცავად, განსაკუთრებით იმ ძირითადი საშუალებების შემოტანისას, რომლებიც არ არიან გათავისუფლებულნი საბაჟო გადასახდელებისაგან (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის „ც" პუნქტით გათავისუფლებულ ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის 84-ე, 85-ე და 90-ე თავებით გათვალისწინებული საქონელი), აწესებენ საბაჟო გადასახდელებისაგან არასრულ გათავისუფლებას, გადასახადს

საქონლის ღირებულების პროცენტებში (მაგალითად, 3% ყოველ სამ თვეში). საქართველოში ჯერ-ჯერობით ასეთ პრაქტიკას ადგილი არა აქვს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი საქონლის დროებითი შემოტანის (გატანის) ზღვრულ ვადას განსაზღვრავს ერთი წლით.

ამ ვადის ჩარჩოებში საბაჟო ორგანო, რომელიც იძლევა ნებართვას საქონლის ამ რეჟიმში მოთავსებისა, შემოტანის (გატანის) მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით აწესებს კონკრეტულ ვადას ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

ვადის გაგრძელებით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს სგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მოტივირებული განცხადებით, რომელსაც უნდა დაურთოს საბაჟოს დასკვნა ვადის გაგრძელების თაობაზე და იმ საბაჟო დეკლარაციის ასლი, რომლითაც ადრე გაფორმებული იყო დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმი. განცხადების შეტანის ფაქტი თავისთავად არ აგრძელებს დროებითი შემოტანის (გატანის) ვადას.

გადასახდელებისაგან სრული გათავისუფლების მაგალითია გამოფენებისათვის სადემონსტრაციო მოწყობილობის და საქონლის შემოტანა, ნაწილობრივი გათავისუფლების (როცა დროის მიხედვით ახდევინებენ საქონლის ღირებულების გარკვეულ პროცენტს) - ავტომობილის დროებითი შემოყვანა.

თუ სხვა რეჟიმების დროს არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვის შემოაქვს (გააქვს) საქონელი, დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმში ისეთ იურიდიულ პირებს, რომლებიც არიან საერთაშორისო გამოფენების ორგანიზატორები, თეატრალური კოლექტივები, სპორტული გუნდები და გააქვთ (შემოაქვთ) გამოფენის ექსპონატები, ნიმუშები, თეატრალური რეკვიზიტი, სპორტული იარაღი და ა.შ. უნდა შეექმნათ განსაკუთრებული ხელშეწყობის პირობები.

საბაჟო კოდექსის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „საბაჟო ორგანოებს არ აქვთ უფლება გასცენ საქონლის დროებითი შემოტანის (გატანის) ნებართვა, თუ შეუძლებელია მათი საიმედო იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა" ჩვეულებრივ, ამის გარდა, საბაჟო პრაქტიკაში დროებითი

შემოტანის (გატანის) რეჟიმში აკრძალულია ისეთი საქონლის მოთავსება, როგორიცაა მასალები და ნიმუშები, რომლებიც იხარჯება იმ მიზნის განხორციელებისათვის, რომლისთვისაც შემოტანილია (მაგალითად, გამოფენის ნიმუშები დემონსტრირებისას; კვების პროდუქტები, სასმელები, თამბაქოს ნაწარმი; კვოტირებას დაქვემდებარებული საქონელი; საწარმოო ნარჩენები).

დროებითი შემოტანის (გატანის) საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონელი მთელი რეჟიმის პერიოდში რჩება შემომტანის (გამტანის) განკარგვაში. როგორც წესი, მას ევალება არ გამოიყენოს ასეთი საქონელი მოგების მისაღებად. ამ რეჟიმში მყოფი საქონელი არ შეიძლება გასხვისებული იქნეს საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე. იმავე დროს დასაშვებია ამ საქონლის ოჯახის წევრებზე მოსახმარად გადაცემა.

საქონლის დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმი მთავრდება დათქმულ ვადაში ან უფრო ადრე ამ საქონლის სხვა რეჟიმში გადაყვანით ან უკან გატანით (შემოტანით). ამით პირი, რომელმაც შემოიტანა (გაიტანა) საქონელი დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმში თავისუფლდება იმ ვალდებულებებისაგან, რომელსაც მას ავალებდა საბაჟო რეჟიმი.

საქონლის დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმის ვადის გასვლისას, თუ საქონელი არ იქნა უკან დაბრუნებული, საქონელი შეიძლება განთავსებული იქნეს:

ა) დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ნამყოფი საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) რეჟიმში, რეიმპორტის, ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, უბაჟო ვაჭრობის, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, თავისუფალი საბაჟო ზონის, თავისუფალი საწყობის, რეექსპორტის, განადგურების და სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმის რეჟიმებში;

ბ) დროებითი გატანის შემდეგ - ექსპორტის, საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმებში.

საქონლის დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმი ყოველთვის იყო და რჩება გაერო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. მიღწეულია თხუთმეტზე მეტი საერთაშორისო შეთანხმება. ეს კონვენციები ძირითადად ეხება საქონლის გარკვეულ ჯგუფებს მიზნებიდან და დანიშნულებებიდან გამომდინარე და პირებს (ტურისტები, სპორტსმენები,

მივლინებაში მყოფნი და ა.შ.). ასეთია, მაგალითად, 1952 წლის კონვენცია კომერციული ნიმუშების და სარეკლამო მასალების შეტანის შესახებ; 1956 წლის საბაჟო კონვენცია საგზაო გადამზიდავი საშუალებების კომერციული მიზნებით შესვლის შესახებ; 1968 წლის საბაჟო კონვენცია მეცნიერული მოწყობილობის შეტანის შესახებ და სხვა. ამ კონვენციების საფუძველზე მონაწილე ქვეყნებმა მოახდინეს საქონლის დროებითი შეტანის (გატანის) რეჟიმების რეგლამენტაციის უნიფიცირება და გამარტივება ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკის, ჰუმანიტარული კონტაქტების და სხვა გამოცდილების საფუძველზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია მსოფლიო საბაჟო საბჭოს დოკუმენტები: საერთაშორისო კონვენცია საბაჟო პროცედურების, გადაადგილების და ჰარმონიზაციის შესახებ (კიოტოს 1973 წლის კონვენცია), საბაჟო კონვენცია TIR კორნეტის თაობაზე (1961 წელი) და სტამბულის კონვენცია დროებითი შეტანის შესახებ (1990 წელი). ეს კონვენციები საკმაოდ საგნობრივი და კონკრეტულია. ასე მაგალითად, სტამბულის კონვენცია შეიცავს სპეციალურ დანართებს: „დროებითი შეტანის დოკუმენტების შესახებ", „გამოფენებზე, ბაზრობებზე, კონფერენციებზე და მსგავს ღონისძიებებზე სადემონსტრაციო ან გამოსაყენებელი საქონლის შესახებ", „პროფესიული მოწყობილობების შესახებ"; „კონტეინერების, სადგამების, შეფუთვების, ნიმუშების და სხვა საქონლის კომერციული მიზნებით შეტანის შესახებ"; „საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მიზნებით საქონლის შეტანის შესახებ".

10. თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება

არსებობს თავისუფალი ზონების დიდი მრავალსახეობა: თავისუფალი საბაჟო ზონები, თავისუფალი ზონები ნავსადგურებში (პორტო-ფრანკო), თავისუფალი სავაჭრო ზონები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ტექნო-პოლისები და ა.შ. მარტო გაეროს დოკუმენტებში ოცდაათზე მეტი დასახელების თავისუფალი ზონაა მოხსენიებული.

საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება კიოტოს 1973 წლის კონვენციის VIII დანართში მოყვანილი განმარტება: „თავისუფალი ზონის ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ნაწილი, რომელშიც შემოტანილი საქონელი ჩვეულებრივ განიხილება, როგორც საქონელი, რომელიც იმპორტის და შესაბამისი გადასახადების მიმართ იმყოფება საბაჟო ტერიტორიის გარეთ და არ ექვემდებარება ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს".

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არ მოქმედებს არც ერთი თავისუფალი ზონა და თუ იმოქმედებს, საბაჟო რეჟიმი ბევრად იქნება დამოკიდებული თავად თავისუფალი ზონის ფორმაზე და, შესაბამისად, ასეთი ზონებისათვის გათვალისწინებული იქნება განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმი. ამიტომ გასაგებია საბაჟო კოდექსის ლაკონური მითითება, რომ მათი „შექმნა და მათში საქონლის განთავსების და/ან გამოყენების პირობები რეგულირდება შესაბამისი კანონით".

რაც შეეხება თავისუფალ საწყობებს, ამ ტერმინით მოიხსენიება როგორც საბაჟო რეჟიმი, ასევე ადგილი, შენობა, ტერიტორია, სადაც ხორციელდება ეს რეჟიმი.

ჩვეულებრივ, ქვეყნების კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ამ საბაჟო რეჟიმში მყოფი საქონლის მიმართ ყველანაირი საწარმოო და სხვა კომერციული ოპერაციების ჩატარებას, თავისუფალი საწყობიდან საქონლის საცალო რეალიზაციის გარდა. ამავე დროს თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის ამ რეჟიმში შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა აკრძალვები და შეზღუდვები.

თავისუფალი საბაჟო საწყობის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს პირი. საწყობის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის საჭიროა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ლიცენზია.

ამ რეჟიმების ფისკალურ (საგადასახადო) არსში ჩაწვდომა უფრო ადვილია, თუ გამოვიყენებთ შემდეგ ფორმალურ ლოგიკას:

ა) თავისუფალი საბაჟო ზონა და თავისუფალი საწყობები იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მათი ტერიტორია, ფისკალური თვალსაზრისით, იმყოფება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

ბ) საქართველოში შემოტანილი ყველა უცხოური საქონელი, მაშინ, როცა კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, ითვლება საქართველოში იმპორტირებულად;

გ) თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობში შემოტანილი უცხოური საქონელი კვეთს სახელმწიფო საზღვარს, მაგრამ არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს და ამიტომ მის მიმართ ვერ გამოიყენება ვერცერთი სხვა საბაჟო რეჟიმი, მათ შორის, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) რეჟიმი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა საბაჟო რეჟიმი დაკავშირებულია საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადალახვასთან;

დ) აქედან, საქონლის თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობებში შემოტანა თავისუფალია საბაჟო გადასახდელებისაგან და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისაგან;

ე) თუ თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობში საქართველოს გარედან საქონლის შემოტანისას არ ხდება საბაჟო საზღვრის გადალახვა, საქართველოს ტერიტორიიდან თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობში საქართველოს საქონლის შეტანისას პირიქით, ხდება საბაჟო საზღვრის გადალახვა ისეთივე რეჟიმში, როგორც ექსპორტისას;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საბაჟო საწყობში გატანისას საქონელი უნდა იბეგრებოდეს ექსპორტის საბაჟო მოსაკრებლებით (თუ ისინი მოქმედებს);

ზ) რადგან საქართველოდან საქონლის ექსპორტი საქართველოში არ იბეგრება გადასახადებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობში საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან შეტანილი საქონელიც ასევე არ იბეგრება საბაჟო გადასახადებით.

ამრიგად, საქართველოში თავისუფალ საბაჟო ზონებში და თავისუფალ საწყობებში საქონლის შეტანა და გამოტანა, საიდანაც არ უნდა ხდებოდეს ის, არ იბეგრება საბაჟო გადასახდელებით. ასევე არ გადაიხდევინება საბაჟო გაფორმების მოსაკრებელი იმპორტირებისას. საბაჟო მოსაკრებელი გადაიხდევინება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის შეტანისას ისე, როგორც ექსპორტისას, იმ უბრალო მიზეზის გამო,

რომ ამ დროს საჭიროა საქონლის საბაჟო გაფორმების და კონტროლის პროცედურების ჩატარება.

იმის გამო, რომ თავისუფალ საბაჟო ზონაში და თავისუფალ საწყობში უბაჟოდ შემოტანილი საქონელი საბაჟოს გვერდის ავლით არ მოხვდეს ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე, თავისუფალი საბაჟო ზონის პერიმეტრი ისევე მკაცრად უნდა იქნეს დაცული, როგორც საბაჟო საზღვარი და ტექნიკური თვალსაზრისით პასუხობდეს დაცვის უზრუნველსაყოფ მთელ რიგ პირობებს.

11. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ

თუ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმს შევხედავთ გადამუშავების ადგილის და გადამუშავებისათვის ნებადართული საქონლის თვალსაზრისით, ის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების სარკისებრი ანარეკლია (ოღონდ ეს რეჟიმი არ მოითხოვს ლიცენზიას). ამ შემთხვევაშიც გამოიყენება განვადების პრინციპი: თუ რაიმე თანხა იყო გადახდილი საქონლის გადასამუშავებლად გატანისას, იგი უბრუნდება დაინტერესებულ პირს (გარდა საბაჟო გაფორმების მოსაკრებლისა) გადამუშავების პროდუქტის შემოტანისას.

საბაჟო კოდექსის 51-ე მუხლში ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდესაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული რეჟიმი. „კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებად" (პუნქტი „გ") ჩვენ მივიჩნევდით:

ა) თუ თავად საქონლის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია როგორც მისგან წარმოებული პროდუქციის, ასევე საკომპენსაციო საქონლის იდენტიფიკაცია;

ბ) როცა აშკარაა, რომ საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად გატანის საბაბით შეიძლება ჩაფიქრებული იყოს საქართველოს ეკონომიკისათვის ზიანის მომტანი ქმედებები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება უნდა მოხდეს საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილ ვადებში და იგი უნდა ემყარებოდეს საქონლის გადამუშავების პროცესის ეკონომიკურად გამართლებულ ხანგრძლივობას.

ამ შემთხვევაშიც ვადის დარღვევა არ იწვევს ადმინისტრაციულ ზომებს. უბრალოდ, ბენეფიციარი ვერ შემოიტანს გადამუშავების შედეგს ან საკომპენსაციო საქონელს ამ რეჟიმში და შემოტანილი საქონელი ველარ იქნება გათავისუფლებული საბაჟო გადასახადებისაგან. თუ ეს გამიზნულია ანგარებისათვის, ამას შეიძლება მოყვეს სხვა იურიდიული შედეგებიც.

თუ რაიმე მიზეზის გამო გადასამუშავებლად გატანილი საქონელი ვერ იქნა გადამუშავებული და ბენეფიციარი იმავე სახით აბრუნებს მას უკან, საბაჟო ორგანოს შეუძლია მისცეს ამის უფლება ამავე რეჟიმში, ე.ი. შემოტანაზე გადასახდელების გადაუხდელად.

12. საქონლის ექსპორტი

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით ექსპორტის საბაჟო რეჟიმი არის საქონლის საქართველოდან გატანა - უკან დაბრუნების პირობის გარეშე. ის სხვა საბაჟო რეჟიმებისაგან, რომლებითაც შეიძლება გატანილი იქნეს საქართველოდან საქონელი, განსხვავდება სწორედ იმ ნაწილით, როგორიცაა გატანა „უკან დაბრუნების პირობის გარეშე". ამით ექსპორტის რეჟიმი მართლაც საპირისპიროა იმპორტის რეჟიმისა და არა მარტო იმიტომ, რომ ერთ შემთხვევაში საქონლის შემოტანასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორეში - გატანასთან, არამედ იმითაც, რომ პირველი რეჟიმის პირობა იყო შემოტანილის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დატოვება, გატანის პირობის უარყოფა, რისი საპირისპიროცაა შემოტანის პირობის უარყოფა.

საერთაშორისო პრაქტიკაში, ზემოთქმულის გამო, ექსპორტის რეჟიმში ათავსებენ საქონელს ისეთი კომერციული ოპერაციების დროსაც, როცა უცხო პირი საქართველოს პირისაგან ყიდულობს საქონელს, რომელსაც გადასცემს საქართველოს სხვა პირს გადასამუშავებლად, რათა შემდგომ

გაიტანოს გადამუშავების პროდუქტი ქვეყნის გარეთ. ე.ი. უცხოელს შეუძლია ამ რეჟიმში შეიძინოს საქართველოში სანედლეულო საქონელი, გადაამუშაოს ის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და, შემდეგ, გაიტანოს გადამუშავების პროდუქტი. ამრიგად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყიდვა-გაყიდვის, გადამუშავების და, შემდეგ, გატანის კომერციულ ოპერაციებში, რეჟიმისათვის პრიორიტეტი ეძლევა მხოლოდ უკანასკნელს - გატანას უკან დაბრუნების პირობის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან გამომდინარე, თავად ექსპორტის საბაჟო რეჟიმი არ ათავისუფლებს ექსპორტირებულ საქონელს საბაჟო გადასახდელებისაგან და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისაგან. საქართველოდან ექსპორტი, ფაქტობრივად, გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისაგან იმიტომ, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ექსპორტზე არ არის დაწესებული გადასახდელები და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები. წარსულში, როცა მოქმედებდა ასეთი გადასახდელი (8%), ამ რეჟიმში მას ახდევინებდნენ და ეს არ ეწინააღმდეგებოდა ექსპორტის რეჟიმის პირობებს. ასევე არ იქნება რეჟიმთან წინააღმდეგობრივი, თუ აიკრძალება ან კვოტებით და ლიცენზიებით შეიზღუდება რომელიმე საქონლის სახელმწიფოდან გატანა (მაგალითად, ჯართის, ხე-ტყის, სილიკომანგანუმის და სხვა).

ამრიგად, ექსპორტის საბაჟო რეჟიმი თავისთავად არ გამორიცხავს ექსპორტის სახელმწიფო რეგულირებას ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა: სატარიფო და საგადასახადო რეგულირება, არასატარიფო რეგულირება (აკრძალვა, კვოტები, ლიცენზიები და სხვა) და სავალუტო კონტროლი.

საქონლის ექსპორტის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების მაგალითია ის, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანასა და გადაგზავნას არ ექვემდებარებიან:

1) საგნები, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულ, მხატვრულ, მეცნიერულ და სხვა კულტურულ ფასეულობებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ საგნების შექმნის დროის მიუხედავად, მიეკუთვნებიან საქართველოს მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულ ობიექტებს;

2) საგნები, რომლებსაც იცავს სახელმწიფო, შეტანილი არიან დამცავ სიებსა და რეესტრებში, მათი შექმნის დროის მიუხედავად;

3) სახელმწიფო და საქალაქო მუზეუმებში, არქივებში, ბიბლიოთეკებში და ა.შ. მუდმივად შენახული კულტურული ფასეულობანი;

4) ასი წლის უკან შექმნილი კულტურული ფასეულობანი:

- ყველა ქვეყნისა და ხალხის მიერ შექმნილი უნიკალური არქიტექტურული ფრაგმენტები, ქანდაკება, ფერწერა და გრაფიკა (სურათები, ეტიუდები, ექსლიბრისები და სხვა);

- ყველა სახის ფრესკა, მოზაიკა და მათი ფრაგმენტები;

- ხის, ლითონის, ძვლის, ქალალდისა და სხვა მასალისაგან დამზადებული უნიკალური მინიატურები;

- არქეოლოგიური მასალა და მისი ფრაგმენტები;

- უნიკალური ხატები და რელიგიური კულტურის საგნები;

- ძვირფასი ქვებით (ალმასი, ლალი, საფირონი, ზურმუხტი, მარგალიტი, ალექსანდრიტი) შემკული ოქროს, პლატინის და ვერცხლისაგან ყველა ეპოქაში შექმნილი უნიკალური საგნები;

- ნატურალური ქვებით (მალაქიტი, აკვამარინი, ამეთვისტო, ტოპაზი, ფირუზი, მარჯანი, მაღალხარისხოვანი ქარვა და სადაფი) და მათი ინკრუსტაციით შემკული ყველა ეპოქაში შექმნილი უნიკალური ნივთები;

- სპილოს და ზღვის ლომის ეშვებისაგან დამზადებული ყველა ეპოქაში შექმნილი უნიკალური ნივთები;

- უნიკალური გემა, კამეა, ქვისაგან, ძვლისაგან და ნიჟარებისაგან გამოთლილი ბეჭდები;

- ლითონის მონეტები და კოლექციები, ქალალდის ფულის ნიშნები, რომლებიც მიმოქცევაში არ იმყოფებიან და წარმოადგენენ უნიკალურ ღირებულებას;

- სამკერდე ნიშნები და ორდენები, სამახსოვრო მედლები (გარდა იმათი, რომელთა გატანა ნებადართულია კულტურის სამინისტროს ნებართვით);

- ყველა სახის სამუზეუმო მნიშვნელობის ან უნიკალური ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი;

- უნიკალური საყოფაცხოვრებო, სამეცნიერო მოწყობილობანი და ინსტრუმენტები (საათები, ბარომეტრები, სასწორები, დურბინდები და ა.შ.);

- უნიკალური მხატვრული ნაკეთობანი (ფაიფური, ქაშანაური, კერამიკა, მაიოლიკა, მინა, ბროლი, მძივი, ქვა, რქა, ტყავი, ბრინჯაო, სპილენძი, მინანქარი, რკინა, მელქიორი, ხე);

- უნიკალური მხატვრული ავეჯი;

- მხატვრული ტანისამოსი, უნიკალური ქსოვილებისაგან შექმნილი ნაკეთობანი;

- უნიკალური შპალერი, გობელენები, ხელით ნაქსოვი ხალიჩები და ფარდაგები, მხატვრული ქარგვის უნიკალური ნიმუშები;

- ხალხური მხატვრული რეწვის უნიკალური ნიმუშები;

- ნებისმიერი ფირმის და ოსტატის მიერ დამზადებული უნიკალური კლავიშიანი ინსტრუმენტები (ფორტეპიანო, პიანინო, სპინეტი, კლავესინი, კლავიკორდი, ფისგარმონია და სხვა);

- უნიკალური, კლავიშიანი ხის და ლითონის ჩასაბერი საკრავები და სხვა ინსტრუმენტები;

- სიმებიან-ხემიანი მუსიკალური საკრავები, დამზადებული გამოჩენილი ფირმების და ოსტატების მიერ;

- უცხოური ფირმების (განსაკუთრებით იტალიური და ფრანგული) უნიკალური აკორდეონები, დამზადებული 1945 წლამდე;

- უცხოური ფირმების მიერ დამზადებული უნიკალური არფები და სასულე საკრავები;

- გრამფირფიტები, გამოშვებული 1960 წლამდე;

- მარკები და ბლოკების პროექტების სინჯები და ნიმუშები, ყველა მარკა გადაბრუნებული და ორმაგი მინაბეჭდებით და მათი კოლექციები, რომლებიც ოფიციალურ საფოსტო ბრუნვაში არ არის გამოშვებული, მარკების დაუკბილავი ვარიანტები, რომლებიც ფილატელისტთა ცენტრალურ სააგენტოს კატალოგში არ არიან შეტანილნი, მარკები პერფორაციული საშვით, აგრეთვე ყველა ქვეყნის საფოსტო მარკები და ბლოკები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისათვის იშვიათობას წარმოადგენენ;

- უძველესი ხელნაწერი წიგნები, პირადი საარქივო ფონდები, ისტორიული ღირებულების მქონე დოკუმენტები და ფოტოდოკუმენტები;

- ყველა სახის ის ქართული გამოცემები (წიგნები, რუკები, ნოტები, აფიშები, პლაკატები, მხატვრული ფოტოალბომები), რომლებსაც ისტორიული, სამეცნიერო ან კულტურული ღირებულება გააჩნიათ;

- XIX-XX საუკუნის უნიკალური პერიოდული გამოცემები, კრებულები, ჟურნალ-გაზეთები, არარეგულარულად დასტამბული ან ხელნაწერი პროდუქცია;

- წიგნები და პერიოდიკა, რომლებიც დასტამბულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, ძვირად ფასეულია და გააჩნია ისტორიული, სამეცნიერო ან კულტურული ღირებულება (ქართული ხელნაწერები, ტყავის, ბეწვის გარეყდით დასტამბული გამოცემები, აბრეშუმზე, პერგამენტზე, ტყავზე ხელნაწერი პროდუქცია და ა.შ.);

- გამოჩენილ მხატვართა მიერ გაფორმებული და დასურათებული გამოცემები, მოჭედილი ან მოტვიფრული ესთეტიკური და კულტურული ღირებულების მქონე სუპერით ან სხვა შემკულობით (ბეწვი, თვლები, ძვირფასი ტყავი, ხე და სხვა);

- ყველა სახის წიგნები ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ავტოგრაფებით, ხელნაწერებით, აღდგენილი ტექსტით ან მნიშვნელოვანი შენიშვნით;

- გამოცემები, რომლებიც დროთა განმავლობაში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ. მათ შორის, ქართველ კლასიკოსთა სიცოცხლისდროინდელი და პირველი სრული კრებულები, ენციკლოპედიური (განმარტებითი ხასიათის) ლექსიკონები და იშვიათი ბიბლიოგრაფიული კრებულები;

- მოქმედი ბიბლიოთეკების, ცნობილი ადამიანების, კერძო კოლექციონერების და ბიბლიოფილთა ბეჭდებით და ექსლიბრისებით აღნიშნული ეგზემპლარები ან მათი კოლექციები.

ექსპორტის რეჟიმით, საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ (შემოწმების საფუძველზე) გაცემული ნებართვით, საქართველოდან შეიძლება შემდეგი ფასეულობის გატანა:

1) ყველა ის ნივთი, რომელიც არ შედის წინა ჩამონათვალში;

2) ფოტოალბომები და მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციები (მათ შორის, უცხო ენაზე გამოცემული);

3) მრავალტომეული ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ხელოვნების ალბომები;

4) ადრინდელი და ბოლო წლებში გამოცემული საბავშვო ლიტერატურა (თხზულებები, ხელმოწერითი გამოცემები, ცალკეული ტომები);

5) გამოცემები უსინათლოებისათვის (ბრაილის წესით დასტამბული);

6) ცალკეული გამოცემების ქსერო- და ფოტოასლები;

7) რელიგიური ლიტერატურა;

8) სპეციალისტებისათვის განკუთვნილი დარგობრივი (ტექნიკური, სამეცნიერო და ა.შ.) ლიტერატურა;

9) პირადი ჯილდოები (სათანადო მოწმობის საფუძველზე);

10) უცხოური ფირმების 1945 წლის შემდეგ გამოშვებული აკორდეონები;

11) 1960 წლის შემდეგ გამოშვებული გრამფირფიტები (ინსტრუქცია ,,კულტურულ ფასეულობათა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესის შესახებ", დამტკიცებული საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის 31 იანვრის №16 ბრძანებით, „საბაჟო საქმე", წიგნი II, გვ. 161).

13. საქონლის რეექსპორტი

ისტორიული აბრეშუმის გზის თანამედროვე მონაკვეთის - ტრანსკავკასიური სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება დიდ პერსპექტივას უქმნის იმ ქართველ საქმიან ადამიანებს (კომერსანტებს), რომლებიც ხელს მოკიდებენ მსხვილ საბითუმო სატრანზიტო ვაჭრობას პრინციპით - „ერთ ქვეყანაში ვყიდულობთ და მეორეში ვყიდით".

1992 წლის საქართველოს საბაჟო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებდა ისეთ საბაჟო რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფდა ქართველი სოვდაგრების მონაწილეობას ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამის გამო ხშირად მიმართავდნენ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმს, რომელიც ტექნიკური თვალთახედვით მართლაც ჰგავს რეექსპორტის საბაჟო რეჟიმს იმდენად, რამდენადაც ერთი უცხო ქვეყნის საქონელი საქართველოს გავლით მიედინება მეორე უცხო ქვეყანაში, რაც არ იბეგრება და

რომლის მიმართ არ გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებანი. როგორც წესი, საქონლის განმკარგავი იხდის მხოლოდ გაფორმების და გადაზიდვის საფასურს.

სინამდვილეში, განსხვავება ტრანზიტსა და რეექსპორტს შორის უფრო არსებითია. საქართველოს გავლით ტვირთების ტრანზიტის დროს საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირები პასიურნი არიან ტრანზიტული საქონლის მიმართ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ შემთხვევას, როცა ისინი ემსახურებიან ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე ტვირთების გადატვირთვას და უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთების გადაადგილების პროცესებს.

რეექსპორტის რეჟიმი კი გათვალისწინებულია იმ ქართველი კომერსანტების ხელშეწყობისათვის, რომლებიც თავად ახორციელებენ საერთაშორისო ვაჭრობას, მაგალითად, ყიდულობენ აზიაში სარფიანი გარიგებით ბამბას, შემოაქვთ ნაყიდი საქართველოში და შემდეგ ყიდიან მას ევროპის რომელიმე ქვეყანაში მათთვის ხელსაყრელ ფასებში ან ყიდულობენ ევროპაში უახლესი მარკის ავტომობილებს, მეცნიერებატევად ტექნიკას და ყიდიან აზიის ქვეყნებში და ა.შ.

რეექსპორტის, როგორც სამამულო კომერციის ხელშემწყობის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს საბაჟო რეჟიმი ათავისუფლებს საქონლის განმკარგავს მის მიერ უცხო ქვეყანაში ნაყიდი საქონლის საქართველოში იმპორტირებისას საბაჟო გადასახადებისაგან (ან ითვალისწინებს გადახდილის დაბრუნებას), თუ საქონლის პატრონი 6 თვის განმავლობაში გაიტანს (გაყიდის) შემოტანილ საქონელს საზღვარგარეთ.

საქონლის რეექსპორტი განხილულია საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-14 თავში, ხოლო თავად რეჟიმის არსი მოცემულია 61.1. მუხლში შემდეგი რედაქციით: „საქონლის რეექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად".

ეს რეჟიმი რეიმპორტის საბაჟო რეჟიმის სარკისებური ანარეკლია. იმავე დროს ამ რეჟიმების სამართლებრივი ნორმების შედარებისას შეიმჩნევა პრინციპული ხასიათის განსხვავებები. კერძოდ, რეიმპორტის რეჟიმში საქონლის მოთავსებისას იგი იმყოფება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის

გარეთ მაშინ, როცა რეექსპორტის რეჟიმში მოთავსებისას საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზეა, რაც საშუალებას იძლევა ამ საქონლის საბაჟო კონტროლი განხორციელდეს გაფორმებასთან ერთად და ეს გარემოება გამოყენებული იქნეს რეჟიმის პირობების შესასრულებლად დამატებითი ღონისძიებების განსახორციელებლად. თუ რეიმპორტის დროს ძირითადი აქცენტი გადატანილია დოკუმენტურ კონტროლზე, რეექსპორტის დროს შესაძლებელია საბაჟო კონტროლის ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა საქონლის დათვალიერება და შემოწმება.

რეექსპორტი ისევე, როგორც რეიმპორტი, ხორციელდება მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტის ნებართვით. რეექსპორტით შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დეკლარირებას და საბაჟო გაფორმებას საერთო წესით.

ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოდან რომელიმე ქვეყანაში საქონლის რეექსპორტი იმ ქვეყნის კანონმდებლობით მოითხოვს იმ ქვეყნის საბაჟო ორგანოების წინასწარ ნებართვას. გარდა ამისა, იმ სახელმწიფოს შეუძლია ფირმა-რეექსპორტიორს მოსთხოვოს „შიგა“ და „გარე“ ფასებს შორის განსხვავების ნაწილის გადახდა. არსებობს შეთანხმებები, რომლითაც მწარმოებელმა ქვეყანამ, შეიძლება მოითხოვოს საბაჟო გადასახდელების წილი ამ საქონლის შექმნაში მონაწილეობის პროპორციულად.

პრაქტიკაში ადგილი აქვს რეექსპორტის ორ ფორმას:

ა) როცა საქონელი თავსდება რეექსპორტის რეჟიმში რომელიმე სხვა რეჟიმში ყოფნის შემდეგ. ამ შემთხვევაში გადასახდელები გადაიხდევინება ცალ-ცალკე შემოტანისათვის და გატანისათვის (თუ ამაზე დაწესებულია გადასახდელები) და ორივეჯერ - საბაჟო მოსაკრებლები;

ბ) როცა საქონელი თავიდანვე თავსდება რეექსპორტის რეჟიმში. ამ შემთხვევაში გადასახადი გადაიხდევინება ერთხელ და ასევე ერთხელ გადაიხდევინება მოსაკრებელი საბაჟო გაფორმებისათვის.

თუ დეკლარანტი საქონლის შემოტანისთანავე ირჩევს რეექსპორტის რეჟიმს, საბაჟო ორგანოები ამის ნებართვას, როგორც წესი, იძლევიან შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

ა) საქონლის გაფორმებისას დეკლარანტი წარმოუდგენს საბაჟო ორგანოებს კონტრაქტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ საქონელი შემოიტანება

უშუალოდ და მხოლოდ რეექსპორტის მიზნით (ფაქტობრივად წარმოადგენს ორ კონტრაქტს - შემოტანაზე და გატანაზე);

ბ) დაინტერესებული პირი (დეკლარანტი) იღებს ვალდებულებას შემოტანილი საქონლის გატანაზე;

გ) ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს რეექსპორტს, იძლევა გარანტიას გაიტანოს შემოტანილი საქონელი კანონით გათვალისწინებულ ვადაში და თუ ამას არ (ვერ) გააკეთებს, გადაიხადოს დაწესებული გადასახდელები. თუ რეექსპორტის რეჟიმში შემოტანილი საქონელი შემოტანისთანავე არ გაიტანება ქვეყნიდან, მაშინ ის უნდა ინახებოდეს საბაჟო საწყობის რეჟიმში. რეექსპორტისას გადასახადები გადაიხდევინება წინასწარ, ხოლო რეჟიმის დამთავრების შემდეგ უკან ბრუნდება.

14. საქონლის განადგურება

მიზეზთა გამო, მაგალითად, საბაჟო საზღვრის გადალახვის შემდეგ საქონლის რეალიზაციის ვადის გასვლა (იმის გამო, რომ დიდხანს იმყოფებოდა საბაჟო საწყობში) ან ხარისხის დაკარგვა (მაგალითად, მაცივარი გამოვიდა წყობიდან და დაირღვა შენახვის რეჟიმი) ან როცა სხვა და სხვა საკონტროლო ორგანიზაციების (მაგალითად, ხარისხის ინსპექციის) მიერ ამ საქონლის რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე მიჩნეულია დაუშვებლად, კომერსანტს რჩება არჩევანი - ან უკან გაიტანოს ეს საქონელი ან გაანადგუროს. ჩვეულებრივ, ირჩევენ მეორეს, რადგან ამით თავისუფლდებიან ახალი სატრანსპორტო ხარჯებისაგან და ასევე თავისუფლდებიან (უბრუნდებათ) საბაჟო გადასახდელებისაგან. განადგურების რეჟიმი შეიძლება არჩეული იქნეს საგამოფენო საქმეშიც, როცა საბაჟო მოწყობილობების, სტენდების, ზოგჯერ ექსპონატების უკან გატანა-ტრანსპორტირებას ამჯობინებენ ყველაფერი ამის „დატოვებას“ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში გამოფენის ორგანიზატორებს არ უბრუნდებათ გადასახდელები, რადგანაც სტენდები და ექსპონატები შემოტანილი იყო დროებითი შემოტანის რეჟიმში და ამიტომაც გათავისუფლებულია გადასახდელებისაგან,

მაგრამ ამ საქონლის განადგურების რეჟიმში მოთავსებით ისინი გათავისუფლდებიან მისი გატანის ვალდებულების ტვირთისაგან.

ამრიგად, კომერსანტი ირჩევს განადგურების რეჟიმს, როცა საქონლის უკან გატანა არ არის ხელსაყრელი და ურიგდება საქონლის დაკარგვას.

თავის მხრივ, საბაჟო ორგანოები თანხმდებიან მოათავსონ ეს საქონელი განადგურების საბაჟო რეჟიმში (ე.ი. ფაქტობრივ განადგურებაზე), თუ:

ა) საქონლის განადგურება არ იქნება დაკავშირებული რაიმე ხარჯებთან საბაჟო ორგანოების (სახელმწიფოს) მხრიდან;

ბ) საქონლის განადგურება განხორციელდება საბაჟო ორგანოების თანხმობით და მათი კონტროლის ქვეშ;

გ) მთელი პასუხისმგებლობა განადგურებისათვის ეკისრება დეკლარანტს.

პრინციპები, რომლებსაც ემყარება განადგურების რეჟიმი, შემდეგია:

ა) რეჟიმი არ უნდა იქნეს გამოყენებული რაიმე შემოსავლის მიზნით;

ბ) არ უნდა დაირღვეს გარემოს დაცვის კანონმდებლობა;

გ) განადგურების შედეგად მიღებული გამოყენებადი ნარჩენები (ნაწილები) ისევ უნდა მოთავსდეს საბაჟო კონტროლის ქვეშ;

დ) თუ განადგურების რეჟიმი უფრო მისაღებია, ვიდრე უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

განადგურებული საქონელი ამოიღება ბრუნვიდან (მაგალითად, იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვიდან).

გარემოს დაცვის პრინციპის განსახორციელებლად საბაჟო დეპარტამენტს შეუძლია მოსთხოვოს დეკლარანტს განადგურებაზე ნებართვა გარემოს დაცვის ორგანოებისაგან.

უშუალოდ განადგურება შეიძლება განხორციელდეს სრული განადგურებით (დაწვა, დანგრევა, დამარხვა და სხვა) ან გამოუყენებელ მდგომარეობაში მოყვანით (დემონტაჟი, დაშლა, მექანიკური დაზიანებით გამოუყენებელ მდგომარეობაში მოყვანა - მაგალითად, ჯართად გადაქცევა). საბოლოო ჯამში, საქონელმა სრულიად უნდა დაკარგოს თავისი სამომხმარებლო თვისებები და ღირებულება.

განადგურების რეჟიმის დეკლარირების უფლება საქონლის მიმართ შეუძლია დეკლარანტს ან ბროკერს. განაცხადის გაკეთება სატრანსპორტო საშუალების განადგურებაზე შეუძლია მხოლოდ გადამზიდველს.

განადგურების რეჟიმში არ შეიძლება იქნეს მოთავსებული:

ა) აკრძალული საქონელი;

ბ) საბაჟო ორგანოების მიერ გირაოდ მიღებული საქონელი (გირაოს ვადის გასვლამდე);

გ) კონტრაბანდის თუ სხვა საქმეებთან დაკავშირებით ნივთმტკიცებად მიჩნეული ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები;

დ) საქართველოს ან სხვა ხალხების ხელოვნების, ისტორიულ და არქეოლოგიურ ფასეულობად მიჩნეული საქონელი.

განადგურებაზე დეკლარაციას თუ განაცხადს თან უნდა ახლდეს ამ საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების ყველა თანმხლები დოკუმენტი (კონოსამენტი, ზედდებული, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა) და ის უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ინფორმაციას საქონლის სახის, რაოდენობის, წარმოშობის, ადგილმდებარეობის, ბრუნვიდან ამოღების დღის და ა.შ. შესახებ.

ფაქტობრივ განადგურებაზე უნდა შედგეს განადგურების აქტი.

განადგურების აქტის ფორმა არ არის კანონით დადგენილი, მაგრამ აუცილებლად უნდა შეიცავდეს:

ა) შედგენის თარიღს;

ბ) საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების დასახელებას, ინდივიდუალურ ნიშნებს, მდგომარეობას და რაოდენობას;

გ) განადგურების ხერხს და თარიღს;

დ) მიღებული ნარჩენების დასახელებას, ინდივიდუალურ ნიშნებს და რაოდენობას;

ე) ჩამონათვალს და ხელმოწერებს იმ პირებისა, რომლებიც ესწრებიან განადგურებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის განადგურებისას საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის დასწრება აუცილებელია.

განადგურების საბაჟო რეჟიმში მოთავსებისათვის გადაიხდევინება ჩვეულებრივი საბაჟო მოსაკრებელი.

თუ განადგურების შედეგად დარჩენილი ნარჩენების (ნაწილების) ღირებულება აღემატება 20 ამერიკულ დოლარს, ისინი უნდა მოთავსდნენ დროებითი შენახვის საწყობში და დეკლარანტს მოეთხოვება განადგურების დღიდან 7 დღის ვადაში განკარგოს ისინი (აირჩიოს საბაჟო რეჟიმი და წარმოადგინოს საბაჟო დეკლარაცია).

15. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა

ერთი შეხედვით ძნელად წარმოსადგენია, რომ საქონლის მეპატრონემ თავისი ნებით უარი თქვას მის კუთვნილ ქონებაზე და გადასცეს ის სახელმწიფოს, მაგრამ, როგორც ამას საბაჟო პრაქტიკა ადასტურებს, ასეთი რამ არც თუ იშვიათია და მიზანშეწონილია (უკეთესია უარესთან შედარებით) და გამიზნულია რთულ სიტუაციაში კომერსანტისათვის დახმარების გასაწევად.

რეჟიმზე მოთხოვნა ძირითადად წარმოიშობა მაშინ, როდესაც მიზეზთა გამო, მაგალითად, უაღრესად ცუდი სავაჭრო კონიუნქტურის გამო, იმპორტული საქონელი ვერ უწევს კონკურენციას სხვა იმპორტულ ან სამამულო ნაწარმს და მისი გაყიდვით მიღებული შემოსავალი ვერ დაფარავს საბაჟო გადასახდელების თანხას და თავად რეალიზაციის ხარჯებს. ასეთი შედეგი შეიძლება მოყვეს აგრეთვე გაუთვალისწინებელ დიდ მოცდენებს საზღვაო ან სარკინიგზო ტრანსპორტზე, რკინიგზის ჯარიმებს. გაიანგარიშებს რა ახალ პირობებში საგარეო-სავაჭრო გარიგების შედეგებს (საბაჟო ტარიფები, ტრანსპორტის მოსალოდნელი მოცდენების და, აქედან, ჯარიმების, საწყობში მოთავსების და შენახვის, თავად რეალიზაციის ხარჯები და სხვა), იმპორტიორი შეიძლება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ აღარ არის ხელსაყრელი საქონლის რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე. თუ ამ საქონლის უკან გატანაც და სხვა ქვეყნებში შეტანაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და უპერსპექტივოა, იმპორტიორი შეიძლება შეურიგდეს

საქონლის დაკარგვის აუცილებლობას და თავი დააღწიოს თუნდაც საბაჟო გადასახდელებს ამ საქონელზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმის გზით.

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონლის გადაცემას აქვს მორალური მბარეც - ჩუქნის რა სახელმწიფოს უსასყიდლოდ ამ საქონელს, იმპორტიორი სამაგიეროდ მოიპოვებს დადებით საქმიან რეპუტაციას.

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოთავსებას წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი პირობები:

- რეჟიმზე განაცხადი უნდა გააკეთოს იმპორტიორმა თავისი ნებით, თავისი არჩევანის შედეგად;

- საქონელზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქონელს არ დაუკარგავს სამომხმარებლო ღირებულება და წარმოადგენს მოხმარებად ან რეალიზებად ფასეულობას;

- თუ რეჟიმი არ მოითხოვს სახელმწიფოსაგან რაიმე ხარჯებს;

- თუ შემდგომში იმპორტიორი არ შეცვლის საბაჟო რეჟიმს;

- თუ რეჟიმი მატერიალურად ხელსაყრელია სახელმწიფოსთვის;

თუ ამ საქონელზე არ შეიძლება წარმოიქმნას მომავალში სხვა, მესამე პირის ქონებრივი პრეტენზია.

ნებართვას სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმაზე იძლევა საბაჟო ორგანო და თავადვე იბარებს საქონელს. ნებართვა უნდა იყოს მოტივირებული.

საქონლის საბაჟო ორგანოში მიტანა ევალება იმპორტიორს.

დოკუმენტი, რომლითაც ფორმდება რეჟიმი, წარმოადგენს გადაცემის აქტს.

გადაცემის აქტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ჩანაწერებს:

- დოკუმენტის შედგენის თარიღს;

- იმ პირის დასახელებას, რომელმაც გადასცა საქონელი საბაჟოს;

- იმ საბაჟო ორგანოს დასახელებას, რომელმაც მიიღო საქონელი;

- საქონლის დასახელებას, რაოდენობას და ინდივიდუალურ ნიშნებს.

აქტს ამოწმებენ (ხელის მოწერით, ბეჭდით) ორივე მხარის წარმომადგენლები. საბაჟო ორგანოების მხრიდან ხელმომწერი უნდა იყოს მატერია-

ლურად პასუხისმგებელი პირი. გადაცემის აქტი მკაცრი ალრიცხვის დოკუმენტია.

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის რეჟიმის გაცხადებისას საბაჟო გაფორმების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

რეჟიმის ფინანსურ-სამართლებრივ მხარეს მიეკუთვნება:

- დეკლარანტის უფლება უკან მოითხოვოს თანხა, რომელიც შეიტანა საბაჟო ორგანოს დეპოზიტზე საბაჟო გადასახდელების გირაოდ;

- სახელმწიფომ უნდა დაუბრუნოს დეკლარანტს საიმპორტო საბაჟო გადასახადები, დღგ და აქციზი, გადახდილი საქონლის რეექსპორტის ან საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმებში ამ საქონლის მოთავსებისას.

თავი VI

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის საბაჟო-სატარიფო რეგულირება

1. საბაჟო ტარიფი

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე უარი თქვა სახელმწიფო მონოპოლიაზე წარმოებისა და მომსახურების სფეროში, მათ შორის, საგარეო ვაჭრობაში. საქართველომ აღიარა **თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო პრინციპი,** ანუ ვალდებულება აიღო არათუ არ შეზღუდოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა კომერციული საქმიანობა და ამისათვის საქონლის გადაადგილება ქვეყნის საბაჟო საზღვარზე, არამედ, თვლის რა მენარმეობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად საფუძვლად, თავის ძირითად ამოცანად მიიჩნია წარმოებისა და კომერციის ხელშეწყობა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური საზღვრების დაცვის სამსახურის - საბაჟო დეპარტამენტის, უპირველესი ამოცანაა საზღვარზე საქონლის გადაადგილების, შემოტანისა თუ გატანის მაქსიმალური ხელშეწყობა საბაჟო კონტროლის გამარტივების, პროცედურების დაჩქარების, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების, საბაჟო პროცესის ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციის და სხვა საშუალებებით.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში საბაჟო საზღვარზე ტვირთბრუნვის დაჩქარება და გაზრდა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესია, არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საქონლის ან საქონლის ჯგუფის საქართველოში შემოტანა ან გატანა არ შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

უპირველეს ყოვლისა, ეს სავაჭრო ბრუნვიდან ამოღებული საქონლის (ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, რადიოაქტიური, მომწამვლელი ნივთიერებები, იარაღი, ტყვია-წამალი და ა.შ.) შემოტანის დაუშვებლობაა და,

მეორეს მხრივ, ეროვნული კულტურული, ისტორიული, სამუზეუმო და ა.შ. საგნების ქვეყნიდან გატანის დაუშვებლობაა.

არსებობს საქონლის მესამე ჯგუფი, რომელიც არ არის სავაჭრო ბრუნვიდან ამოღებული (აკრძალული), მაგრამ რომლის დიდი რაოდენობით იმპორტი, აჯერებს რა საქართველოს ეროვნულ ბაზარს, ყოფნა-არყოფნის პრობლემებს უქმნის იმავე საქონლის სამამულო წარმოებას.

ზემოთ მოყვანილ მიზეზთა გამო, უსაფრთხოებისა და ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო და მათ შორის საქართველო, იძულებულია და ახორციელებს კიდეც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო საბაჟო რეგულირებას.

სახელმწიფოს მიერ საქონლის ექსპორტ-იმპორტის რეგულირების ფორმებს, მეთოდებს და მასშტაბებს განსაზღვრავს ის კონკრეტული ამოცანები, რომლებსაც მიზნად ისახავს თითოეული ქვეყანა მისი მასშტაბებიდან, ეკონომიკური პოტენციალიდან, წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგებიდან, თანამედროვე სამყაროში მისი ადგილიდან, მის მიერ არჩეული საგარეო და საშინაო პოლიტიკიდან გამომდინარე.

საკლასიფიკაციო ნიშნების (კრიტერიუმების) მიხედვით, ქვეყნის მიერ გამოყენებული საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების მეთოდები იყოფა ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მეთოდებად.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ეკონომიკური მეთოდები ეყრდნობა სავაჭრო პოლიტიკის ეკონომიკურ ინსტრუმენტებს - გადასახადებს, მოსაკრებლებს, ფასებს და ა.შ. გამოიყენებს რა ამ ინსტრუმენტებს, სახელმწიფო ზემოქმედებს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილე სუბიექტების ინტერესებზე და, შესაბამისად, მათ ქმედებებზე, თანაც ისე, რომ ამით არ უკარგავს ოპერატიულ დამოუკიდებლობას. ასეთი ეკონომიკური მეთოდები ყველაზე უფრო შეესაბამება საბაზრო ურთიერთობებს და პრიორიტეტულ მეთოდებს განეკუთვნება.

ადმინისტრაციული მეთოდები გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებს, წესებს, მოთხოვნებს, რომლებიც კრძალავენ ამა თუ იმ კონკრეტული საქონლის ან საქონლის ჯგუფის ექსპორტსა და იმპორტს ანდა არეგულირებენ მათ სხვადასხვა ნორმატივებით (ქვოტები), ექსკლუზიური ნებართვებით (ლიცენზიები), სერტიფიკატებით და ა.შ.

ხელისუფლება ადმინისტრირებით ზემოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებზე და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ზღუდავს მათ. ადმინისტრირება თავისთავად იძულების ფორმაა და აუცილებელია, რომ მსგავსი მეთოდები გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება ეროვნულ ინტერესებს.

ექსპორტ-იმპორტის სატარიფო რეგულირება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ყველაზე გავრცელებული და ქმედითი ფორმაა. სატარიფო მეთოდების ქვეშ იგულისხმება რეგულირების ეკონომიკური მეთოდების მხოლოდ ის ნაწილი, რომლის დროსაც რეგულირება ხორციელდება საბაჟო გადასახადის (ბაჟის, ტარიფის) საშუალებით.

განასხვავებენ საექსპორტო (გატანაზე) და საიმპორტო (შემოტანაზე) ტარიფებს.

საექსპორტო ტარიფები რამდენადმე ეწინააღმდეგება საბაზრო ურთიერთობების ბუნებას და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, რომლის თანახმად ბაჟი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, უნდა გადაიხდევინებოდეს იმ სახელმწიფოს ხაზინაში, სადაც რჩება და მოიხმარება საქონელი. როგორც არაპირდაპირ გადასახადს, მას ფაქტობრივად იხდის ამ საქონლის მომხმარებელი. საექსპორტო ტარიფების შემთხვევაში გამოდის, რომ იმპორტიორი ქვეყნის მომხმარებელი უხდის გადასახადს ექსპორტიორი ქვეყნის ბიუჯეტს (?!).

საექსპორტო ტარიფებზე უარის თქმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის აუცილებელი პირობაა.

ეროვნული საბაჟო სამსახურის შექმნის გარიჟრაჟზე მოქმედებდა უნიფიცირებული საექსპორტო ტარიფი 8 პროცენტიანი გადასახადის ფორმით, რაც გაუქმდა 1994 წელს.

ზოგიერთი საქონლის და ნივთის ქვეყნიდან გატანა არა მარტო არ იბეგრება საბაჟო გადასახადებით, არამედ არც სტატისტიკურად აღირიცხება როგორც ექსპორტი. ასეთ საქონელზე და ნივთებზე ამბობენ, რომ ის **გათავისუფლებულია გადასახადისაგან**. ამის საპირისპიროდ, საქონელზე, რომლის ქვეყნიდან გატანა ფორმდება და აღირიცხება როგორც ექსპორტი, რაოდენობითაც და ღირებულებითაც, ამბობენ, რომ ის **იბეგრება ნულოვანი გადასახადით**, ანუ დოკუმენტებში დაბეგვრის გრაფაში იწერება "0".

საიმპორტო ტარიფები ქვეყანაში იმპორტული საქონლის შემოტანის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტია და, იმავე დროს, ქვეყნის ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლების მთავარი წყარო.

საქართველოში სატარიფო პოლიტიკა დაიწყო 1992 წელს, როცა დაწესდა პირველი ეროვნული უნიფიცირებული (ერთნაირი ყველა საქონლისთვის) ტარიფები: ექსპორტისას - 8 პროცენტი გარიგების (კონტრაქტის) ღირებულებიდან, იმპორტზე - 2 პროცენტი, ბარტერზე - 20 პროცენტი.

საინტერესოა, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ და რა მოსაზრებებიდან გამომდინარე დააწესა ასეთი ტარიფები, ვერ იქნა მოძიებული.

1994 წლის ბოლოდან ტარიფებმა მიიღო რამდენადმე ნორმალური სახე იმით, რომ მოიხსნა საექსპორტო და ბარტერის ტარიფები, იმპორტის (თავისუფალ ბრუნვაში გაშვების საბაჟო რეჟიმით საქონლის შემოტანისას) ტარიფი განისაზღვრა 12 პროცენტით და საბაჟო ტარიფებს საფუძვლად (საგადასახადო ბაზად) დაედო არა გარიგების ფასი, არამედ **საბაჟო ღირებულება**, ანუ საქონლის ღირებულება საზღვრის გადაკვეთის მომენტში.

1995-2000 წლებში საქართველოში მოქმედებდა ერთიანი უნიფიცირებული საბაჟო ტარიფი - 12 პროცენტი. ამ პერიოდში საქართველო პრაქტიკულად ერთადერთი ქვეყანა იყო მსოფლიოში, რომელსაც ჰქონდა უნიფიცირებული ტარიფი ნებისმიერი სახეობის საქონელზე. ასეთი ტარიფი ვერ ასრულებდა მარეგულირებელ ფუნქციას და გარკვეული საბაჟო პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტის როლს. ამრიგად, ამ პერიოდში **საქართველოს არ გააჩნდა არავითარი საბაჟო პოლიტიკა** და გამოიყენებოდა ასეთი ტარიფის მხოლოდ ფისკალური ფუნქცია.

მოგვიანებით, საქონლის მცირე ჯგუფზე შეღავათიანი, 5 პროცენტიანი ტარიფის დაწესებას ამ სიტუაციაში არანაირი ცვლილებები არ შეუტანია.

ამ წლებში სპეციალისტების დაჟინებული მოთხოვნა **დიფერენცირებული ტარიფების** შემოღების შესახებ, დაუკმაყოფილებელი რჩებოდა და მხოლოდ საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი დიფერენცირებული ტარიფების თაობაზე, გაწევრიანების ხელშეკრულების თანმხლები **ბმული ტარიფების** ფორმით.

2. საქართველოს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის შეთანაწყობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან

WTO-ს შექმნის არსი და ამოცანაა ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერების (უპირველეს ყოვლისა კი ტარიფების) დაწევა, გაუქმებაც კი და ამით მსოფლიო მასშტაბით საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლის გაადვილება, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის საყოველთაო დანერგვა.

არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ WTO-ს მიზნების შესრულებით უპირველესად დაინტერესებულნი არიან განვითარებული ქვეყნები, იმდენად, რამდენადაც WTO-ს პოლიტიკა მათ საშუალებას აძლევს თავისი საქონლით უფრო ადვილად შეივიდნენ სხვა ქვეყნების შიგა ბაზარზე, და, ზოგჯერ, მოიპოვონ იქ მონოპოლური პოზიციები თავისი საქონლის მაღალი ხარისხისა და დაბალი ფასების ხარჯზე.

რამდენადაც WTO არ არის მხოლოდ განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია, ის ვალდებულია თავისუფალი ვაჭრობის ზოგად პრინციპებს შეახამოს დანარჩენი განუვითარებელი, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ნაციონალური ინტერესები. საინტერესოა, რომ WTO ასეთ (პროტექციონიზმის) პოლიტიკას ატარებს არა საერთოდ, ყველა განუვითარებელი, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიმართ, არამედ ინდივიდუალურად თითოეულ მათგანთან, თითოეულის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

ამრიგად, ანალიზის საგანი უნდა გახდეს არა ის, თუ რას აძლევს WTO სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ის, თუ რას აძლევს კონკრეტულად საქართველოს:

ა) უპირველეს ყოვლისა, საქართველოში გაუქმდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნიფიცირებული ტარიფები. როცა ლაპარაკია ექსპორტ-იმპორტის რეგულირებაზე და ამით გარკვეული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე, მსოფლიოში მიღებული, აპრობირებული და ყველაზე ცივილიზებულ მეთოდად მიჩნეულია რეგულირება დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთებით. უნიფიცირებული საგადასახადო განაკვეთის გამო

საქართველოს საბაჟო ორგანოებს ფაქტობრივად წართმეული ჰქონდათ ექსპორტ-იმპორტის რეგულირების ეს მექანიზმი და უამისოდ ქვეყანა ვერ ახორციელებდა ვერანაირ საკუთარ საბაჟო პოლიტიკას;

ბ) საქართველოს საბაჟო საკანონმდებლო ბაზა მოყვანილი იქნა საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოებას, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას;

გ) საქართველოს პროდუქცია და მომსახურება ღებულობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს WTO-ს წევრ 134 ქვეყანასთან, დაცული იქნება ამ ორგანიზაციის მექანიზმებით დისკრიმინაციისაგან, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან, ფალსიფიკაციისაგან და გაუმართლებელი შეზღუდვებისაგან;

დ) ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაცია (სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე გადანაწილება) უფრო სტაბილურს გახდის ეკონომიკის განვითარებას, შეამცირებს მის დამოკიდებულებას რომელიმე ერთ ქვეყანაში ან რეგიონში კრიზისულ მოვლენებზე და ა.შ.;

ე) ნედლეულზე და საწარმოო მოწყობილობაზე დაბალი საბაჟო ტარიფები (საქართველოს მხრივ დათმობათა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ პოზიციებზე მოდის) საგრძნობლად შეუწყობს ხელს საწარმოო დანიშნულებისათვის მათ შემოტანას, რაც სტიმულს მისცემს წარმოების განვითარებას;

ვ) WTO-ში გაწევრიანება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს და ხელს შეუწყობს მსხვილი ინვესტორების შემოსვლას, რომელთაც უზრუნველყოფილი ექნებათ როგორც პროგნოზირებადი სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანაში, ასევე საგარეო ბაზრებზე საქონლის ექსპორტის შეღავათიანი პირობები;

ზ) ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდგომი ლიბერალიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას, ქართული პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

აქ ჩამოთვლილი ყველა სიკეთე, რომელიც შეუძლია მოუტანოს საქართველოს ეკონომიკას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობამ,

თავისთავად ვერ მოახდენს იმის კომპენსაციას, რომ განვითარებული ქვეყნები, თავისი ეკონომიკური სიძლიერისა და ტექნოლოგიური უპირატესობის ხარჯზე, უფრო უკეთ და ეფექტიანად გამოიყენებენ სუსტი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, ეროვნული ბაზრის მეტ კარგახსნილობას, ამ ქვეყნების ფირმები და კორპორაციები უმტკივნეულოდ დაიჭერენ ჩვენი შიგა ბაზრის მნიშვნელოვან სეგმენტებს სამამულო ნაწარმის ბაზრიდან გამოდევნის და სამამულო წარმოების დაცინება-გაკოტრების გზით.

ამრიგად, როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის შედეგი, მთლიანად დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკის დინამიზმზე, იმაზე, თუ რამდენად იპოვის საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარ სექტორს.

უდაოა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას შეუძლია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის როგორც დაჩქარება, ისე დამუხრუჭება, იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად განავითარებს ქვეყანა თავის პრიორიტეტულ მიმართულებებს (სატრანსპორტო დერეფანი, ღვინის, მინერალური წყლების, ფერადი ლითონების, სუბტროპიკული კულტურების წარმოება, ტურიზმი და სხვა).

ყველა შემთხვევაში WTO-ს წევრობას სხვა გონიერი ალტერნატივა არ გააჩნია, **საქართველო ვერ გამოეთიშებოდა მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებს და ვერ დარჩებოდა მათ მიღმა.**

1999 წლის 6 ოქტომბერს საქართველო გახდა WTO-ს წევრი და მოგვიანებით რატიფიკაცია გაუკეთა გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების თანმხლებ, მათ შორის, საბაჟო ტარიფების თაობაზე ნაკისრი ვალდებულებების, დოკუმენტების პაკეტს.

3. ბმული ტარიფების ფორმირების პრინციპები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველო თავისი ორიგინალური უნიფიცირებული 12-პროცენტიანი (მცირე გამონაკლისის გარდა) ტარიფით შევიდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საშუალო ტარიფებია 4-6 პროცენტი, ხოლო განვითა-

რებადი ქვეყნების - 20-25 პროცენტი, საქართველო თავისი 12 პროცენტით უფრო ახლო იყო განვითარებულ ქვეყნებთან, ვიდრე სხვა განვითარებადი ქვეყნები.

ტარიფების დონიდან გამომდინარე, ასეთი "პატივი", გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების წინდგომა, საქართველოს ეკონომიკას, სამამულო ბაზარსა და წარმოებას მეტად ძვირი დაუჯდა.

როგორც ჩანს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ გაითვალისწინა ის, რომ საქართველოს ასეთი, მისი ეკონომიკური მდგომარეობისათვის შეუსაბამოდ დაბალი ტარიფები ჰქონდა და ტარიფების ზედა ზღვარის შეთანხმებისას არ მოუთხოვია ტარიფების კარდინალური შემცირება. მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ქართული მხარის წინადადებები.

"ბმული ტარიფების" ცხრილებზე მუშაობისას მხედველობაში იქნა მიღებული, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს, რომლის პოტენციალის გამოყენებაზე ბევრადაა დამოკიდებული ექსპორტის განვითარება, იმპორტშემცვლელი პროდუქციით შიგა ბაზრის დაკმაყოფილება და, როგორც შედეგი, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება.

სოფლის მეურნეობის (სასურსათო) საქონლის საიმპორტო დაბეგვრის დინამიკა, ერთობლივად, ასე გამოიყურება:

ა) მოქმედი სატარიფო განაკვეთები WTO-ში შესვლამდე - 12%;
ბ) ბმული ტარიფები გაწევრიანებისას - 16,5%;
გ) ბმული ტარიფები გაწევრიანებიდან 5 წლის შემდეგ - 15,6%.

საშუალო მაჩვენებლები სამრეწველო საქონლისათვის:

ა) მოქმედი სატარიფო საშუალო განაკვეთი WTO-ში შესვლამდე - 10%;
ბ) ბმული ტარიფები გაწევრიანებისას - 10,1%;
გ) ბმული ტარიფების განაკვეთები გაწევრიანებიდან 5 წლის შემდეგ - 8,2%.

გათვლებმა აჩვენა, რომ "ბმული ტარიფების" გამოყენებით მიღებული ჯამური შემოსავალი 5 წლის განმავლობაში იქნება 107,4 მილიონი ლარით ნაკლები, ვიდრე ის იქნებოდა WTO-ში შესვლამდე არსებული განაკვეთების დატოვების შემთხვევაში. საქართველოს ბიუჯეტში საგადასახადო

შემოსავლების ასეთი კლება საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების და WTO-ს წევრობის სავალდებულო საზღაურია.

WTO-ს დამფუძნებელი მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მიერთების ხელშეკრულების თანმხლები, "ბმული ტარიფების" გაანალიზების შედეგად რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მხარემ ტარიფებზე მუშაობის პროცესში ვერ გამოიყენა სრულად ის მეთოდები, რომლებიც არა მარტო გაანეიტრალებდა ტარიფების დაწევით ეროვნული ეკონომიკური ინტერესებისათვის მიყენებულ ზარალს, არამედ, ზოგ შემთხვევებში, დადებით შედეგებსაც კი მოიტანდა.

არც მომავალშია გვიანი ამ პრინციპების ჩამოყალიბება, შესწავლა და გამოყენება:

ა) **სოციალური მიდგომის პრინციპი.** რამდენადაც ტარიფის შემცირებით მცირდება იმპორტული საქონლის ფასიც, თუ საშუალო ტარიფის შემცირება გარდაუვალია (მაგალითად, WTO-ს წევრობის პირობაა), სჯობს პირველ რიგში განაკვეთები შემცირდეს ისეთ საქონელზე, რომელსაც სოციალურად დაუცველი ან ნაკლებად დაცული მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება კომპენსირდება სოციალურ პროგრამებზე საბიუჯეტო ხარჯების ნაწილის ტრანსფორმირებით, ასეთ საქონელზე ფასების შემცირების სახით;

ბ) **ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის პრინციპი.** ქვეყნის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების ხარჯებს. განაკვეთების შემცირებისას აქცენტის გამახვილება ფარმაცევტულ პროდუქციაზე (ჯგუფი 30), ოპტიკურ სამედიცინო და ქირურგიულ ხელსაწყოებსა და აპარატებზე (ჯგუფი 90) საერთო ჯამში გარკვეულ კომპენსირებას გაუკეთებს ბიუჯეტში შენატანების შემცირების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების მოსალოდნელ შემცირებას;

გ) **ტექნოლოგიური მოწყობილობების იმპორტის ხელშეწყობის პრინციპი.** მანქანები, მოწყობილობები, მექანიზმები, ელექტროტექნიკური მოწყობილობანი და მათი ნაწილები (ჯგუფები 84, 85) მიეკუთვნებიან ძირითად საშუალებებს, რომლებზეც ფასების შემცირება არათუ ავნებს

სამამულო საწარმოებს, არამედ ხელს შეუწყობს მათ აღდგენა-განვითარებას და ამისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ეს საქონელი წარმოების პროცესში ტრანსფორმირდება წარმოების პროდუქციად, რომლის რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებული შემოსავალი ფაქტიურად სრულ კომპენსაციას უკეთებს ტექნოლოგიური მოწყობილობის შემოტანაზე საიმპორტო განაკვეთების შემცირებით ბიუჯეტში შემოსავლის დაკარგვას;

დ) **საზოგადოებრივი მომსახურების ტრანსპორტის საიმპორტო ტარიფების შემცირების პრინციპი.** ამ პრინციპის მთავარი არსია, რომ ასეთი ტრანსპორტის შეძენა, როგორც წესი, ხორციელდება ცენტრალური ან მუნიციპალური ბიუჯეტიდან და მათზე ტარიფის შემცირება თავისუფლად კომპენსირდება იმავე საქონლის შეძენაზე გასაწევი ხარჯების შემცირებით. ასეთ საქონელს შეიძლება მივაკუთვნოთ "სარკინიგზო ლოკომოტივები და მოძრავი შემადგენლობა, ტრამვაი, მისი ნაწილები, საგზაო მოწყობილობანი სარკინიგზო და სატრამვაიო ქსელებისათვის, სასიგნალო მექანიკური და ელექტრომექანიკური მოწყობილობა" (ჯგუფი 86);

ე) **ნედლეულის შეღავათიანი განაკვეთებით დაბეგვრის პრინციპი.** ნედლეულზე საბაჟო გადასახადების შემცირებით გამოწვეული ზიანი კომპენსირდება და ხშირად რამდენიმეჯერ, ამ ნედლეულის გამომყენებელი წარმოების აღდგენა-განვითარებით და უფრო კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებით.

მაგალითად: თბილისის საკონდიტრო კომბინატი "მზიურის" შოკოლადის ნაწარმი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირში და შოკოლადის წარმოებისათვის აუცილებელ იმპორტულ ნედლეულზე, კაკაოს მარცვალსა და კაკაოს ზეთზე ყველა ფაბრიკებისათვის ერთნაირი - უნიფიცირებული ფასების პირობებში, მაღალრენტაბელური.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ უფრო გონივრული საბაჟო პოლიტიკის გატარების შედეგად რუსეთში კაკაოს მარცვლისა და კაკაოს ზეთის შემოტანაზე დაწესდა ნულოვანი განაკვეთი, მაშინ, როცა საქართველოში იყო და "ბმულ ტარიფებშიც" გამეორებით დაფიქსირდა კაკაოს მარცვლის, ზეთის და ცხიმის შემოტანაზე საბაჟო გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთი. ამრიგად, თბილისის საკონდიტრო კომბინატი თავიდანვე აღმოჩნდა რუსეთის საკონდიტრო საწარმოებთან შედარებით არაკონკურენტიან გარემოში.

შედეგად, საქართველოს შოკოლადის ნაწარმმა დაუთმო საკუთარი ბაზარი რუსეთისას და საკონდიტრო კომბინატი "მზიური" გაკოტრდა და გაჩანაგდა. ანალოგიურად, ბადაგზე (ძირითადი იმპორტული შემადგენელი კარამელის საწარმოებლად) და აგარ-აგარზე (იმპორტული ნედლეული მარმელადის საწარმოებლად) მაღალი საბაჟო ტარიფის პირობებში (საქართველოში - 12 პროცენტი, რუსეთში - "0" პროცენტი) საქართველომ დაკარგა თავისი საკუთარი ბაზარი და ეროვნული წარმოება საკონდიტრო ნაწარმისა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში.

ვ) საიმპორტო განაკვეთების საქონლის მოსახმარად ვარგისიანობის (დამუშავების დონის) შესაბამისად დიფერენციაციის პრინციპი. პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უფრო დაბალი განაკვეთები ნედლეულის იმპორტზე, ზომიერად დაბალი - ნახევარფაბრიკატებზე, მაკომპლექტებელ ნაწილებზე და მაღალი - მზა ნაწარმზე, სტიმულს აძლევს დისტრიბუტორს მზა პროდუქციის, შემოტანის მაგიერ თავად საქართველოში აწარმოოს ეს პროდუქცია, ამისათვის აღადგინოს ყოფილი სიმძლავრეები ან შექმნას ახალი, შემოიტანოს მოწინავე ტექნოლოგია და ტექნიკური დანადგარები, ჩადოს ინვესტიციები, გაზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

მაგალითად: ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია საქართველოს ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობა. უკანასკნელ ათწლეულში ხორცის წარმოება (I კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით) შემცირდა 400-ჯერ და მეტად, ძეხვეულის ნაწარმის წარმოება 23-ჯერ და ეს ყველაფერი მაშინ, როცა საექსპერტო შეფასების სახორცე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის რაოდენობა ქვეყანაში გაიზარდა. საქართველოში ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების დაბალმა კონკურენტუნარიანობამ და ასეთ პროდუქტებზე დაბალმა საიმპორტო (საბაჟო) გადასახადმა - 12%, ხელსაყრელი პირობა შეუქმნა საქართველოს ბაზარზე უცხოური ხორცისა და ხორცპროდუქტების შემოდინებას. ასე, მარტო 1999 წელს საქართველოში შემოტანილი აღრიცხული ხორცის რაოდენობამ შეადგინა 924,9 ათასი დოლარის საქონელი, ხოლო ძეხვისა და ხორცის ანალოგიური პროდუქტის სახით შემოვიდა 827,5 ათასი დოლარის საქონელი.

"ბმული" ტარიფების შემოთავაზებულ ვარიანტში ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შემოყვანისათვის (პოზიცია 0102), იმავე მსხვილ-

ფეხა რქოსანი საქონელის ხორცის შემოტანისათვის (0201) და ძეხვეულისა და მსგავსი პროდუქტების იმპორტისათვის (1601) დატოვებულია იგივე (უნიფიცირებული) საგადასახადო "ბმული" განაკვეთი 12%, როგორც გაწევრიანების მომენტისათვის, ასევე საბოლოოდ.

ამ დროს საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ცოცხალი სახორცე პირუტყვის იმპორტის ტარიფი სულ 5%-ია, ხორცისა და საკვებად გამოსაყენებელი ხორცპროდუქტებისათვის 15%, ხოლო ძეხვისა და მსგავსი ნაწარმისათვის 20% (მაგრამ არა ნაკლებ 0,4 ეკიუ ერთ კილოგრამზე).

ამრიგად, შემოთავაზებული "ბმული" ტარიფები საქართველოს ხორცის გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტუნარიანობის დაცემის და ქართველ მეწარმეთა მიერ საქართველოში ხორცისა და ხორცპროდუქტების ბაზრის დაკარგვისკენაა მიმართული.

ასეთი მაგალითები საკმაოზე მეტია:

- საქართველოში ბამბის ნაწარმი, მოსახმარად მზადყოფნის დონის მიუხედავად, იბეგრება ერთნაირი 12 პროცენტიანი საბაჟო გადასახადით. რუსეთში ბამბის ბოჭკოს შემოტანა საერთოდ არ იბეგრება, ბამბის ძაფი იბეგრება 5 პროცენტიანი გადასახადით; ქსოვილი - 10 პროცენტით, ხოლო ბამბის მზა ნაწარმისაგან საკუთარი ბაზრის დასაცავად დაწესებულია 15 პროცენტიანი გადასახადი;

- რუსეთში ალუმინის შემოტანა ხდება შეღავათიანი 5 პროცენტიანი გადასახადის რეჟიმში. იმავე დროს რუსეთი თავს იცავს ალუმინის ნაკეთობების შემოდინებისაგან ალუმინის კოვზებზე (ჯგუფი 8215) 25 პროცენტიანი გადასახადით;

- აბრეშუმის პარკზე (ჯგუფი 5001) მაღალი საიმპორტო გადასახადის (12 პროცენტი) გამო საქართველო მოკლებულია საშუალებას განავითაროს საექსპორტო აბრეშუმის წარმოება მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილი აბრეშუმის პარკის ხარჯზე, მაშინ, როცა საქართველოში წარმოებული პარკის მეზობელ ქვეყნებში გასაყიდი გზა, პირიქით, ხსნილია (0 პროცენტი);

- საქართველოში კაუჩუკის (ნედლეული) და მანქანის საბურავების (მზა პროდუქცია) შემოტანა იბეგრება ერთნაირი (12 პროცენტი) საბაჟო გადასახადით. მეზობელ ქვეყნებში შესაბამისად 5 და 25 პროცენტია.

ზ) დაკმაყოფილებული მოთხოვნილების პრინციპი. ამ პრინციპის არსი კარგად შეიძლება იქნეს დანახული ისეთი ტრივიალური საქონლის მაგალითზე, როგორიცაა კარტოფილი.

თითქმის ყველა ქვეყანაში კარტოფილის მოყვანის შესაძლებლობის გამო ამ საქონლის იმპორტზე დაწესებულია მაღალი საბაჟო გადასახადი. თვლიან, რომ კარტოფილის საზღვარგარეთ შეძენა იყოს ქვეყნიდან დიდძალი ვალუტის გადინების ღირსი. კარტოფილის მწარმოებელ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბელორუსი, უკრაინა, რუსეთი, პოლონეთი და სხვა, კარტოფილის იმპორტისაგან თავის დასაზღვევად აღმართული აქვთ 25 პროცენტიანი გადასახადის ბარიერი.

საქართველოს თავისუფლად შეუძლია საკუთარი კარტოფილით დააკმაყოფილოს საკუთარი ბაზრის მოთხოვნილება, განსაკუთრებით თუ კარგ ორგანიზებას გაუკეთებს სამხრეთ კარტოფილისმომყვან რეგიონებიდან მის შემოზიდვას. ხდება კი პირიქით. მარტო 1999 წელს ერთი მილიონი დოლარის ღირებულების თურქულმა კარტოფილმა ადვილად გადმოლახა ჩვენი 12 პროცენტიანი საზღვარი.

სიმპტომატურია, რომ ყველა მეზობელ ქვეყანაში კარტოფილის წარმოებისათვის აუცილებელი კარტოფილის თესლი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, მაშინ, როცა საქართველოში ისევე იბეგრება, როგორც სასაქონლო კარტოფილი;

თ) დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების პრინციპი. ეს პრინციპი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, დაკმაყოფილებული მოთხოვნილების საპირისპიროა და მიუთითებს იმაზე, რომ იმ საქონელზე, რაზეც საქართველოში მწვავე და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებაა, მაგალითად, ენერგომატარებლები, კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ელექტრონული ტექნიკა, სამხედრო აღჭურვილობა, მილები გაზ და ნავთობსადენებისათვის, გემები, სატვირთო მანქანები, ტრაქტორები, სპეცტექნიკა და სპეცტრანსპორტი და ა.შ. საბაჟო გადასახადების განაკვეთები უნდა იყოს ჩვეულებრივზე უფრო დაბალი ან სულაც ნულოვანი;

ი) "ფუფუნების საგნების" პრინციპი. მსუბუქი ავტომანქანა ძრავის სიმძლავრის გარკვეულ ზღვრამდე გადაადგილების და ტრანსპორტირების საშუალებაა, ხოლო ამ ზღვარს შემდეგ, "ზედმეტი ცხენის ძალები"

ძვირად ღირებული ფუფუნება, ზედმეტი საწვავის ხარჯვა და გარემოს დაბინძურება. ამიტომ გადასახადიც, შესაბამისად, დიფერენცირებული უნდა იყოს.

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპიდან გამომდინარე, არავის არ უნდა აეკრძალოს დასალევად შვეიცარიის წყაროს წყლის შემოტანა, მაგრამ როცა სასმელი წყალი საქართველოში არ წარმოადგენს დეფიციტს, მისი იმპორტი უნდა შეფასდეს როგორც ზედმეტი ფუფუნება და, შესაბამისად, დაიბეგროს უფრო მაღალი გადასახადის განაკვეთით.

უდავოა, რომ ტარიფი, ისევე როგორც ყველა სხვა არაპირდაპირი გადასახადი, უშუალო გავლენას ახდენს საქონლის ფასზე, მისი შემადგენელი ნაწილი ხდება.

ამავე დროს ტარიფი, სხვა საბაჟო გადასახდელებისაგან განსხვავებით, თავად ასრულებს კონკრეტული საქონლის საბაჟო საზღვარზე საქონელბრუნვის დამაჩქარებლის ან შემფერხებლის როლს. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარში ფასები სტიქიურად ყალიბდება, იმპორტული და სამამულო საქონლის შეფარდებას, კონკურენციის პირობებს მაინც ტარიფი კარნახობს.

თუ საჭიროა რომელიმე საქონლის იმპორტის სტიმულირება, ამ კონკრეტულ საქონელზე ტარიფის დონე უნდა იყოს უფრო დაბალი, ვიდრე სხვაობა უცხოური საქონლის და სამამულო ნაწარმის წარმოების ღირებულებებს შორის. ასეთი ტარიფი მიეკუთვნება **მასტიმულირებელ ტარიფებს.**

თუ, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა რომელიმე კონკრეტული საქონლის იმპორტის შეკვეცა, მაშინ საბაჟო ტარიფებს ადგენენ უფრო მაღალს, ვიდრე სხვაობაა იმპორტული და სამამულო პროდუქციის წარმოების ღირებულებებს შორის. ვინაიდან, ჩვეულებრივ, ასეთი ტარიფების შემოღება სამამულო წარმოების ხელშეწყობის მიზნით ხდება, მათ ეწოდება **პროტექციონისტული ტარიფები.**

თუ ტარიფი ასახავს კონკრეტული ან მსგავსი საქონლის უცხოეთში და საქართველოში წარმოების ღირებულებათა სხვაობას, ბაზარში იქმნება იმპორტული და სამამულო საქონლით ვაჭრობის თავისუფალი, კონკურენტული გარემო. ასეთ შემთხვევაში ტარიფი გამოდის მაწონასწორებლის როლში და ასეთ ტარიფს ეწოდება **მასტიმულირებელი ტარიფი.**

თუ შეიქმნა სიტუაცია, როცა კონკრეტულ საქონელზე თანაბარი ხარისხობრივი მაჩვენებლების პირობებში, სამამულო ნაწარმის წარმოების ღირებულება ნაკლებია, ვიდრე იმავე ნაწარმის წარმოებისა საზღვარგარეთ, იმპორტი აზრს კარგავს იმისდა დამოუკიდებლად, თუ რა ტარიფი იქნება დაწესებული ამ საქონელზე. ასეთ შემთხვევაში აწესებენ **ნულოვან ტარიფს**.

სხვა გადასახადებისაგან განსხვავებით, საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე დამოკიდებულობის გამო, ტარიფები უფრო ხშირად ცვლადი და მობილურნი არიან.

4. სხვა საბაჟო გადასახდელები

ტარიფებს გარდა ქვეყანაში საქონლის თავისუფალ ბრუნვაში შემოტანისას ახდევინებენ აქციზს, დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) და საბაჟო მოსაკრებლებს.

საბაჟოზე აქციზისა და დღგ-ს გადახდევინების მიზანია იმპორტული და სამამულო საქონლის ერთნაირ კონკურენტულ გარემოში ჩაყენება. ამიტომ ეს გადასახადები ვერ შეასრულებენ და არც ასრულებენ საბაჟო საზღვარზე საქონელბრუნვის მარეგულირებლის როლს. ვინაიდან საბაჟოზე გადახდილი აქციზისა და დღგ-ს როლი უცხოური და სამამულო საქონლის ერთნაირ პირობებში ჩამყენებელ-მასტაბილიზებელია, უცხოური საქონლის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს იგივე საგადასახადო განაკვეთები, როგორიც სამამულო პროდუქციის მიმართ. ამ პირობის დაცვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის აუცილებელი პირობაა.

საბაჟო მოსაკრებელი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, არ არის გადასახადი, არამედ, გარკვეულწილად, საბაჟო მომსახურების საფასურია. რამდენადაც საბაჟო მომსახურება გაეწევა იმპორტულ საქონელს, ამ გადასახდელს არ ახდევინებენ სამამულო საქონლის რეალიზაციისას შიგა ბაზარზე. მოსაკრებელი დამოკიდებული უნდა იყოს და ასახავდეს საბაჟო მომსახურების ხარჯებს, მაგრამ, ამ საქმეში გარკვეული ზომიერების დაცვის მიზნით, მისი განაკვეთი რეგლამენტირებულია საერთაშორისო სავაჭრო კონვენციებით და შეთანხმებებით.

აქციზი (ლათინურად **Excise**) ჩამოჭრას ნიშნავს. ის ისეთივე არაპირდაპირი გადასახადია, როგორც საბაჟო და დამატებული ღირებულების გადასახადები, ოღონდ გადაიხდება არა ყველა საქონლის იმპორტისას, არამედ მხოლოდ ე.წ. „სააქციზო საქონლის" იმპორტირებისას.

სააქციზო საქონლის ნუსხას და განაკვეთებს განსაზღვრავს კანონი.

აქციზი დაკავშირებულია დღგ-სა და საბაჟო გადასახადთან. აქციზი გადაიხდევინება მაშინ, როცა გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი და დღგ და არ გადაიხდევინება მაშინ, როცა საქონლის იმპორტი თავისუფლდება ამ გადასახადებისაგან. „საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი გათავისუფლებული არ არის გადასახადისაგან" („საქართველოს საგადასახადო კოდექსი", მუხლი 122.2).

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს დასაბეგრ ობიექტსაც და გადასახადის ბაზასაც:

„აქციზით დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი" (მუხლი 124).

„იმპორტისას დასაბეგრი ოპერაციის თანხად ითვლება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო ღირებულებისა (მაგრამ არანაკლებ საბითუმო საბაზრო ფასისა, აქციზისა და დღგ-ის გარეშე) და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი მოსაკრებლებისა და გადასახადების თანხის (აქციზისა და დღგ-ის გარდა) ჯამი" (მუხლი 125.2).

ამრიგად, იმისათვის, რომ აქციზით დაიბეგროს შემოტანილი საქონელი, თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები:

1. განისაზღვროს სააქციზო იმპორტული საქონლის საბაჟო ღირებულება.

2. მიღებული საბაჟო ღირებულება შედარებული უნდა იქნეს ამ საქონლის საბითუმო საბაზრო ფასთან (აქციზისა და დღგ-ის გამოკლებით). თუ საბაჟო ღირებულება, მიღებული საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესით, მეტია ამ საქონლის საბითუმო საბაზრო ფასზე (აქციზისა და დღგ-ის გარეშე), საგადასახადო ბაზად მიიჩნევა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესით მიღებული საბაჟო ღირებულება, ხოლო თუ ნაკლებია - საბითუმო საბაზრო ფასი (აქციზისა და დღგ-ის გამოკლებით).

3. მიღებულ საბაჟო ღირებულებას ემატება საბაჟო გადასახადი, საბაჟო მოსაკრებლები, სხვა გადასახადები (თუ ისინი არსებობს) და მიიღება დასაბეგრი ოპერაციის თანხა.

4. დასაბეგრი ოპერაციის თანხას მიეყენება შესაბამისი აქციზის განაკვეთი და მიიღება აქციზის გადასახდელი თანხა.

5. „აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ შედის მრავალჯერადად გამოსაყენებელი დასაბრუნებელი ტარის ღირებულება, გარდა საცალო წესით საქონლის მისაწოდებლად გამოყენებული ტარის ღირებულება“ („საგადასახადო კოდექსი“, მუხლი 125.3).

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ საქონელზე აქციზის გადახდევინებას ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები. გადასახადის გადახდის საფუძველია სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი დადგენილ ვადებში, შესაბამისი ფორმის მიხედვით წარადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მონაცემებს სახელმწიფო ბიუჯეტში აქციზის ჩარიცხვის შესახებ.

აქციზის გადამხდელად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

აქციზის გადახდა ხდება მოსაკრებლების და საბაჟო გადასახადის გადახდასთან ერთად საქონლის მესაკუთრის (მფლობელის, განმკარგულებლის) ან, მისი დავალებით, სხვა ორგანიზაციის (დეკლარანტის, წარმომადგენლის) მიერ.

საბაჟო ღირებულების კორექტირებასთან დაკავშირებით აქციზის გადაანგარიშების შემთხვევაში გადასახადები, აგრეთვე ჯარიმები და საურავები ყველა შემთხვევაში გადაიხდევინება კონტრაქტის მფლობელისაგან (სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის „0“ გრაფა „ფინანსურ რეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი“).

პირს, რომელიც ახორციელებს აქციზით დასაბეგრი საქონლის გადაადგილებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე, უნდა ჰქონდეს სარეგისტრაციო ფორმა, სადაც მითითებული იქნება მისი საიდენტიფიკაციო კოდი.

დასაბეგრ იმპორტად ითვლება აქციზური საქონლის იმპორტი, გარდა იმ აქციზური საქონლის იმპორტისა, რომელიც გათავისუფლებულია აქციზისაგან.

აქციზისაგან გათავისუფლებულია იმპორტის შემდეგი სახეები:

ა) ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი. საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი;

ბ) აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებითი შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

გ) აქციზური საქონლის რეექსპორტი. საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტისათვის გათვალისწინებულ აქციზურ საქონელზე გადაიხდევინება აქციზი, დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

დ) მანქანებისა და საბურავების იმპორტი სტიქიური უბედურების დროს ჰუმანიტარული დახმარების სახით;

ე) საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავი იმპორტისას საბაჟო ორგანოებისათვის საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე;

ვ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი;

ზ) „ბ" და „გ" პუნქტების მიხედვით აქციზისაგან გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნისათვის საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან თუ საბაჟო გადასახადი ექვემდე-

ბარება გადახდას გათავისუფლების პირობების დარღვევის გამო, იგივე რეჟიმი გამოიყენება აქციზის მიმართაც;

თ) აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

წიგნზე მუშაობის დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული იქნა წინადადება სააქციზო საქონლის სახეების რაოდენობის ოთხამდე დაყვანის შესახებ, რაც წიგნის გამოცემის დროისათვის არ ყოფილა განხორციელებული.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ აქციზურ საქონელზე აქციზი გამოიანგარიშება საქონლის საბაჟო ღირებულების, საბაჟო მოსაკრებლებისა და საბაჟო გადასახადის ჯამიდან.

აქციზის თანხა გამოიანგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი ფორმულით:

$$\text{ა.თ.} = (\text{ს.ღ}+\text{ს.მ.}+\text{ს.გ.}) \times \text{ა.გ.} \quad 100$$

სადაც,

ა.თ. — აქციზის თანხაა;

ს.ღ. — საბაჟო ღირებულება;

ს.მ. — საბაჟო მოსაკრებლების თანხა;

ს.გ. — საბაჟო გადასახადის თანხა;

ა.გ. — აქციზის განაკვეთი.

აქციზი გადაიხდევინება შემოსატანი აქციზური ტვირთის საბაჟო გაფორმებამდე.

აქციზის დარიცხვის სისწორე მოწმდება საბაჟო ორგანოს საგადასახადო მუშაკის მიერ და დასტურდება ხელმოწერით და სათანადო ნომრიანი ბეჭდით იმავე დღეს, რა დღესაც სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში გაკეთდა აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია“. საბაჟო საგუშაგოებისა და გამშვები პუნქტების მიერ დაუშვებელია იმ ტვირთების გატარება, რომელთა სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში არ იქნება საგადასახადო მუშაკის ხელმოწერა და ბეჭედი, მიუხედავად იმისა მასში არის თუ არა აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია“.

დაუშვებელია საბაჟო ორგანოების მიერ იმ ტვირთების გატარება, რომელთაც ერიცხებათ საბაჟო გადასახდელების დავალიანება, მათ შორის, აქციზის ნაწილში.

აქციზის თანხის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება ლარებზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით.

თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ დეკლარირებული თანხის ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება კროს-კურსის მიხედვით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხდება მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციზის გადახდა ხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

საბაჟო ორგანოს ეკრძალება ტვირთების საბაჟო გაფორმება იმ დრომდე, სანამ საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ საქონელზე დაკისრებული აქციზის თანხა არ მოხვდება საბაჟოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მეშვეობით შემოტანილ საქონელზე აქციზით ანგარიშსწორება წარმოებს კავშირგაბმულობის საწარმოებთან, რომლებიც აღნიშნულ თანხას გადარიცხავენ საქართველოს საბაჟო ორგანოების სადეპოზიტო ანგარიშებზე.

აქციზის თანხები ეროვნული ვალუტით ჩაირიცხება იმ საბაჟო ორგანოს სადეპოზიტო ანგარიშზე, სადაც მოხდა ტვირთის გაფორმება.

საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან სისტემატურად აკონტროლონ თანხების შემოსვლა სადეპოზიტო ანგარიშებზე ბანკის ამონაწერების მიხედვით, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში ასახონ დარიცხული და შემოუსვლელი თანხები და უზრუნველყონ დებიტორული დავალიანებების ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის შესაბამისობა და უტყუარობა.

თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის ბოლომდე.

საბაჟო ორგანოს შეუძლია დაარიცხოს ან გადასინჯოს აქციზის დარიცხული თანხის სისწორე საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო წლის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა.

რეექსპორტის მიზნით საქართველოს აქციზური საქონლის შემოტანისას გადახდილი აქციზის (გირაოს) დაბრუნება რეექსპორტირებული საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად ხდება საბაჟო ორგანოების მიერ 15 დღის განმავლობაში.

აქციზის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოების მიერ ზედმეტად არის გამოთვლილი აქციზის გადასახდელი თანხა ან საბაჟო ღირებულება.

თუ აქციზის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას, საბაჟო ორგანო:

ა) ზედმეტად გადახდილ აქციზის თანხას ჩათვლის აქციზის გადამხდელის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში;

ბ) აქციზის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში დარჩენილ ნაწილს ჩათვლის მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში;

გ) უბრუნებს აქციზის გადამხდელს დარჩენილ თანხას 2-დღიან ვადაში მისი წერილობითი განცხადების მიღების დღიდან, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ აქციზის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, ცნობები აღნიშნული თანხის გამოყენების შესახებ უნდა აღინიშნოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში.

აქციზის თანხის დაბრუნებისათვის აუცილებელია საბაჟო ორგანოებს წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ;

ბ) შევსებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც მოხდა გადასახადის გამოთვლა;

გ) საგადასახადო დავალება, რომლის მიხედვითაც მოხდა გადასახადის გადახდა ბანკის მიერ გაკეთებული აღნიშვნით თანხის გადახდის თაობაზე;

დ) საქონლის თანმხლები დოკუმენტები, საბაჟო ორგანოს აღნიშვნით საზღვრის ფაქტიური გადაკვეთის შესახებ.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან აქციზის გადამხდელებისაგან ან ბანკისაგან (იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია საგარანტიო წერილი) უდავო წესით ამოიღონ გადასახადების ვადაგადაცილებული დავალიანებების თანხები.

აქციზის გადამხდელის ან მისი რწმუნებული ბანკის მიერ გადასახადის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და საბაჟო ორგანოები ამოიღებენ აქციზის თანხას და მასზე დარიცხულ საურავს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 1 პროცენტის ოდენობით გადასახადის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე.

ნორმატიული აქტების საფუძველზე შესაძლებელია შემოღებულ იქნეს მოთხოვნა აქციზური მარკების სავალდებულო დართვის შესახებ იმ ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა და იმპორტული საქონლისათვის, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას აქციზის ფიქსირებული განაკვეთით. ამ შემთხვევაში აქციზი გადაიხდება მარკის ყიდვის დროს. საქონელი, რომელსაც აქვს მარკა, დამატებით აქციზით არ იბეგრება. აკრძალულია აქციზური საქონლის იმპორტი ან რეალიზაცია აქციზური მარკის გარეშე. საგადასახადო ორგანოებს აქვთ აქციზური მარკის გარეშე გასაყიდად მიღებული აქციზური საქონლის ჩამორთმევის უფლება კანონით დადგენილი წესით.

პასუხისმგებლობა აქციზის გადახდის სისწორესა და დროულობაზე საგადასახადო კოდექსის მიხედვით ეკისრებათ აქციზის გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს.

აქციზის გამოანგარიშების სისწორესა და ბიუჯეტში სრულად შეტანაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები.

"დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი

ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი" ("საქართველოს საგადასახადო კოდექსი", მუხლი 90).

"პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, ითვლება დღგ-ის გადამხდელად ამგვარ იმპორტზე" (იქვე, მუხლი 91.3).

"დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი" (იქვე, მუხლი 96.1).

"დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების ჯამისა, დღგ-ის ჩაუთვლელად" (იქვე, მუხლი 100.1).

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლისათვის დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი საქონლის იმპორტის თანხის 20 პროცენტს.

დღგ გადაიხდება ეროვნული ვალუტით და მთლიანად ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ საქონელზე დღგ-ს გადახდევინებას ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები. გადასახადის გადახდის საფუძველია საერთაშორისო ტრანსპორტის დოკუმენტაციის საფუძველზე შედგენილი სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ყოველი თვის 5 რიცხვში წარადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მონაცემებს სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ს ჩარიცხვის შესახებ.

დღგ-ის გადახდა ხდება საბაჟო გადასახადის, საბაჟო მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გადახდასთან ერთად საქონლის მფლობელის (განმკარგულებლის), ან მისი დავალებით სხვა ორგანიზაციის (დეკლარანტის) მიერ.

საბაჟო ღირებულების კორექტირებასთან დაკავშირებით დღგ-ს გადაანგარიშების შემთხვევაში გადასახადები, აგრეთვე ჯარიმები და საურავები ყველა შემთხვევაში გადაიხდევინება კონტრაქტის მფლობელისაგან (სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მე-9 გრაფა "ფინანსურ რეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი").

პირს, რომელიც ახორციელებს დღგ-თი დასაბეგრი საქონლის გადაადგილებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე, უნდა ჰქონდეს შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო ფორმა, სადაც მითითებული იქნება მისი საიდენტიფიკაციო კოდი. დაბეგვრა ხორციელდება ავტომატურად, სპეციალური პროგრამის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია "ასიკუდას" მუშაკების მიერ.

დასაბეგრ იმპორტად ითვლება საქონლის იმპორტი, გარდა იმ საქონლის იმპორტისა, რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისაგან. „საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი იბეგრება საბაჟო გადასახადით საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით. თუ საქონელი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა მასზე უნდა გადახდილიყო საბაჟო გადასახადი, ეს საქონელი გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო საბაჟო გადასახადისაგან" („საგადასახადო კოდექსი", მუხლი 109).

დღგ-ისაგან გათავისუფლებულია იმპორტის შემდეგი სახეები:

ა) ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური მიზნების გამოსაყენებლად გათვალისწინებული) იმპორტი;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;

გ) საფოსტო მარკების (გარდა საკოლექციოსი), საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;

დ) ჩამორთმეულ, უპატრონო ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

ე) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130 110 000, 130120 000, 150 420, 151530, 1520, 170211 000 კოდების, 28-ე და 29-ე თავებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე თავით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის ვაქცინების, 391212000, 39123 000, 701010 000, 701090470, 960 200 000 (ჟელატინის კაფსულები) კოდექსში აღნიშნული საქონლის იმპორტი;

ვ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419200000, 842310, 900130 000, 900140, 900150, 9018-დან 9022-ის ჩათვლით, 902511910, 9402 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713, 871420 000 კოდებში აღნიშნული ინვალიდთა ეტლების, იოდირებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) იმპორტი;

ზ) დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

თ) ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის იმპორტი;

ი) სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებთან შეთანხმებით დამტკიცებული, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის · იმპორტი;

კ) საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარების და ქიმიური რეაქტივების იმპორტი;

ლ) სამეცნიერო, სახელმძღვანელო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი;

მ) პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის იმპორტი;

ნ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარებისა და ქველმოქმედების მიზნით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემული საქონლისა და გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი. ამ პუნქტის მიზნებისათვის საქონლის იმპორტის განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

ო) სანაშენე ცხოველების, სანაშენე პროდუქტის, სათესლე მასალის, სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი შხამ-ქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროსა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური ქვოტების მიხედვით;

პ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 84-85-ე, 88-ე და 90-ე თავებით გათვალისწინებული საქონლის (გარდა 8415, 8418, 842211000, 842219000, 842310100, 842310900, 8450, 8507, 8509 -8513, 8516-8524, 852520910, 852530, 852540, 8527, 8528, 8531, 8540, 8544 - 8546, 9003, 9004, 9006 - 9010, 901 600 ჯგუფებში ჩამოთვლილი საქონლისა), აგრეთვე გამწევი ავტომობილების, მისაბმელების და ნახევრადმისაბმელების (კოდი 870120, 871639300, 871639510, 871639590, 871 639 800), სამგზავრო ავტობუსების (კოდი 8702), მცურავი, საშუალებების (890400, 8905), ხის განძელის (კოდი 440610000, 440690000), რელსების (კოდი 730210310), სარადარო კავშირგაბმულობისა და სანავიგაციო აღჭურვილობის (კოდი 852510, 852520100, 8525209950, 8526, 853110100) იმპორტი;

ჟ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც საქართველოა; აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი - პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის;

რ) საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარაშესაფუთი მასალების იმპორტი, ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. აღნიშნული ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ტარაშესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ხდება დღგ-ს გადახდევინება ან საბანკო გარანტიის დატოვება, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოების მიერ უბრუნდება დღგ-ს გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

ს) საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი, დროებითი შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ტ) რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბაჟო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ს გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

უ) ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რაც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებისათვის;

ფ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილების, მასალების იმპორტი;

ქ) 2002 წლის 1 ივლისამდე ელექტროენერგიის წარმოებისათვის (თბოელექტროსადგურები) ბუნებრივი აირის იმპორტი;

ღ) 2002 წლის 1 ივლისამდე ელექტროენერგიის იმპორტი;

ყ) ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისათვის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებებით უცხოეთის სახელმწი-

ფოების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით დაფინანსებული საქონლის იმპორტი;

შ) ჟ-უ პუნქტების მიხედვით დღგ-საგან გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების პირობები; ამასთან თუ საბაჟო გადასახადის მიზნით საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას გათავისუფლების პირობების დარღვევის გამო, დღგ-ს მიმართაც გამოიყენება იგივე რეჟიმი.

საქონლის ექსპორტი იბეგრება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატან საქონელზე დღგ გამოანგარიშება იმ სიდიდიდან, რომელიც მოიცავს საქონლის საბაჟო ღირებულებას, საბაჟო მოსაკრებლებს, საბაჟო გადასახადს და აქციზურ საქონელზე აქციზის თანხას.

დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა გამოიანგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი ფორმულით:

ა) საბაჟო მოსაკრებლებით, საბაჟო გადასახადით და აქციზით დასაბეგრ საქონელზე:

$$(\text{ს.ღ.} + \text{ს.მ.} + \text{ს.გ} + \text{ა.თ.}) \times \text{დ.ღ.გ}_{\text{ა}} : 100$$

ბ) საქონელზე, რომელიც ექვემდებარება საბაჟო გადასახადებით დაბეგვრას, მაგრამ არ ექვემდებარება აქციზით დაბეგვრას:

$$(\text{ს.ღ.} + \text{ს.მ.} + \text{ს.გ}) \times \text{დ.ღ.გ}_{\text{ა}} \quad 100$$

სადაც,

ს.ღ. საბაჟო ღირებულება;

ს.მ. საბაჟო მოსაკრებლების თანხა;

ს.გ. საბაჟო გადასახადის თანხა;

ა.თ. აქციზის თანხა;

დღგ$_{\text{ა}}$ დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი.

დღგ გადაიხდევინება შემოსატანი დასაბეგრი ტვირთის საბაჟო გაფორმების მომენტში და დაუშვებელია მისი გადავადება.

დღგ-ის დარიცხვის სისწორე მოწმდება საბაჟო ორგანოს საგადასახადო მუშაკის მიერ და დასტურდება ხელმოწერით და სათანადო ნომრიანი ბეჭდით იმავე დღეს, რა დღესაც "გაშვება ნებადართულია".

საბაჟო საგუშაგოებისა და გამშვები პუნქტების მიერ დაუშვებელია იმ ტვირთების გატარება, რომელთა საბაჟო დეკლარაციაში არ იქნება საგადასახადო მუშაკის ხელმოწერა და ბეჭედი. მიუხედავად იმისა, მასში არის თუ არა აღნიშვნა "გაშვება ნებადართულია".

დაუშვებელია საბაჟო ორგანოების მიერ იმ ტვირთების გატარება, რომელთაც ერიცხებათ დავალიანება დღგ-ის ნაწილში.

დღგ-ის თანხის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება ლარებზე:

ა) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით, თუ ასეთი არსებობს;

ბ) თუ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის ასეთი არ არსებობს, კროს-კურსის მიხედვით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დღგ-ის გადახდა ხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

საბაჟო ორგანოს ეკრძალება ტვირთების საბაჟო გაფორმება იმ დრომდე, სანამ საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ საქონელზე დაცისრებული დღგ არ მოხვდება საბაჟოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მეშვეობით გაგზავნილ საქონელზე დღგ-ით ანგარიშსწორება წარმოებს კავშირგაბმულობის საწარმოებთან, რომლებიც აღნიშნულ თანხას გადარიცხავენ საქართველოს საბაჟო ორგანოების სადეპოზიტო ანგარიშებზე.

დღგ-ის თანხები ეროვნული ვალუტით ჩაირიცხება იმ საბაჟო ორგანოს სადეპოზიტო ანგარიშზე, სადაც მოხდა ტვირთის გაფორმება.

საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველდღიურად აკონტროლონ თანხების შემოსვლა სადეპოზიტო ანგარიშებზე ბანკის ამონაწერების მიხედვით, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში ასახონ დარიცხული და შემოუსვლელი თანხები და უზრუნველყონ დებიტორული დავალიანებების ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის შესაბამისობა და უტყუარობა.

თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის ბოლომდე.

საბაჟო ორგანოს შეუძლია დაარიცხოს და გადასინჯოს დღგ-ის დარიცხული თანხის დარიცხვა საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო წლის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა.

დღგ-ის თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოების მიერ ზედმეტად არის გამოთვლილი დღგ-ის გადასახდელი თანხა ან საბაჟო ღირებულება.

თუ დღგ-ის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას, საბაჟო ორგანო:

ა) ზედმეტად გადახდილ დღგ-ის თანხას ჩათვლის დღგ-ის გადამხდელის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში;

ბ) დღგ-ის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში დარჩენილ ნაწილს ჩათვლის მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში;

გ) უბრუნებს დღგ-ის გადამხდელს დარჩენილ თანხას 2-დღიან ვადაში მისი წერილობითი განაცხადების მიღების დღიდან, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, ცნობები აღნიშნული თანხის გამოყენების შესახებ უნდა აღინიშნოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ.

დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის აუცილებელია საბაჟო ორგანოებს წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) გადამხდელის განცხადება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ;

ბ) შევსებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომლის მიხედვით მოხდა გადასახადის გამოთვლა;

გ) საგადასახადო დავალება, რომლის მიხედვითაც მოხდა გადასახადის გადახდა ბანკის მიერ გაკეთებული აღნიშვნით გადახდის თაობაზე;

დ) საქონლის თანმხლები დოკუმენტები საბაჟო ორგანოს აღნიშვნით საზღვრის ფაქტობრივი გადაკვეთის შესახებ.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან დღგ-ის გადამხდელებისაგან ან ბანკისაგან (იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია საგარანტიო წერილი) უდავო წესით ამოიღონ გადასახადების ვადაგადაცილებული დავალიანებების თანხები.

პასუხისმგებლობა დღგ-ის გადახდის სისწორესა და დროულობაზე ეკისრებათ დღგ-ის გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს.

დღგ-ის გამოანგარიშების სისწორესა და ბიუჯეტში სრულად შეტანაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები.

საბაჟო მოსაკრებლები - ეს საზღაურია საბაჟო გაფორმების პროცედურების შესრულებისათვის. განსხვავება საბაჟო გადასახადსა და საბაჟო მოსაკრებლებს შორის ნათლად ჩანს იმაში, რომ საბაჟო მოსაკრებელი გადაიხდევინება ყველა საბაჟო გაფორმებისას, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია საქონელი გადასახადებისაგან თუ არა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როგორიცაა:

ა) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიის და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ბ) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით;

გ) უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი. (საბაჟო კოდექსი არ არეგულირებს საბაჟო მოსაკრებლისაგან გათავისუფლების პროცედურას. ეს საკითხი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" კანონის პრეროგატივაა. თუმცა საბაჟო კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად საბაჟო მოსაკრებლისაგან თავისუფლდება უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი

საქონლის იმპორტი, აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი. გათავისუფლების ეს პირობა „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" კანონში არ ფიგურირებს. ამდენად კანონმდებლობა შესაბამისობაშია მოსაყვანი);

დ) ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი 50 კგ-ზე ნაკლები წონის საქონელი.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან შეთანხმებით, 2000 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საბაჟო პროცედურებისათვის მოსაკრებლის ახალი განაკვეთი, საქონლის საბაჟო ღირებულების 0.15 პროცენტის ოდენობით. ამასთან, საქონლის ერთ დასახელებაზე მოსაკრებლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს და არ უნდა იყოს ნაკლები 50 ლარზე.

პრაქტიკაში ამ მითითების რეალიზება ხდება შემდეგნაირად:

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში მითითებული ერთი დასახელების (და/ან რამდენიმე დასახელების) საქონელზე საბაჟო მოსაკრებლების ოდენობა განისაზღვრება ცალკე აღებული თითოეული საქონლის საბაჟო ღირებულების 0.15 პროცენტის ოდენობით. ცალკე თითოეული საქონლის 0.15 პროცენტით გაანგარიშებული საბაჟო მოსაკრებლების თანხა შედის აქციზის და დღგ-ს გაანგარიშების ფორმულაში. ამასთან, თუ დეკლარაციაში მითითებულ ერთი დასახელების (და/ან რამდენიმე დასახელების) საქონელზე გაანგარიშებული საბაჟო მოსაკრებელი (და/ან მოსაკრებლების ჯამი) ნაკლებია 50 ლარზე, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის "B" გრაფაში "ვრცელი გაანგარიშება", მოსაკრებლის შიფრი 10-ის გასწვრივ დაიწერება და, შესაბამისად, გადაიხდევინება 50 ლარი. თუ დეკლარაციაში მითითებული ერთი დასახელების (და/ან რამდენიმე დასახელების) საქონელზე გამოანგარიშებული საბაჟო მოსაკრებელი (და/ან მოსაკრებლების ჯამი) მეტია 2000 ლარზე, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის "B" გრაფაში "ვრცელი გაანგარიშება", მოსაკრებლის შიფრი 10-ის გასწვრივ დაიწერება და, შესაბამისად, გადაიხდევინება 2000 ლარი.

საბაჟო დაბეგვრის სუბიექტია (გადასახადის გადამხდელია) დეკლარანტი. დეკლარანტი შეიძლება იყოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი ან საბაჟო ბროკერი.

საბაჟო გადასახადის ობიექტია საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო ღირებულება, საქონლის რაოდენობრივი მახასიათებელი ან ორივე ერთად.

საქართველოში გამოიყენება საბაჟო გადასახადის განაკვეთების შემდეგი სახეები:

ა) **ადვალური** - განისაზღვრება პროცენტებით, დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ. ადვალური წესით გადახდევინებული გადასახადის სიდიდე, განაკვეთის უცვლელობის შემთხვევაშიც კი, ცვალებადია და დამოკიდებულია სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურაზე. გადასახადის ბაზა — საბაჟო ღირებულება — აგებულია დეკლარანტის მიერ დეკლარირებულ მონაცემებზე, რომლებიც, გადასახადზე თავის არიდების მიზნით შეიძლება ხელოვნურად შემცირებული იყოს.

ბ) **სპეციფიკური** (ფიქსირებული) - განისაზღვრება ლარებით, დასაბეგრი საქონლის ერთეულის მიმართ. ფიქსირებული გადასახადი გადაიხდევინება საქონლის წონის, მოცულობის, რაოდენობის, სიგრძის და ა.შ. ერთეულის მიხედვით, „მიბმულია" ზომა-წონის ერთეულზე. მისი დადებითი მხარეა, რომ ის არ არის დაკავშირებული საბაზრო კონიუნქტურის ცვალებადობასთან და საკმარისად მყარია და ამავე დროს დაცულია საგადასახადო ბაზის ხელოვნურად შემცირებისაგან. ამასთან, უნაკლო არც ფიქსირებული ფასებია. ისინი, ფაქტობრივად, ვერ გამოიყენება ერთსა და იმავე სახის საქონელზე ფასთა დიდი სპექტრისას, მისი მასალის, შესრულების, ხარისხის, მოდელების დიდ დიაპაზონში, ზომის, სეზონურობის და სხვა ფაქტორების გამო.

გ) **კომბინირებული** - მოიცავს განაკვეთების ორივე სახეს. კომბინირებული გადასახადის ფორმა ადვალორულისა და ფიქსირებულის ერთდროულად გამოყენებაშია, რითაც ისინი უფარავენ ერთმანეთს თავის ნაკლს. ასეთი ფორმა, ჩვეულებრივ, ასე გამოიყურება — „იბეგრება**X%** - ით, მაგრამ ერთ ლიტრზე (ცალზე, 1 ღერზე და ა.შ.) არანაკლებ **y** ლარისა".

საბაჟო გადასახადის განაკვეთები ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და დაუშვებელია მათი შეცვლა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამტანი პირების, გარიგების შინაარსის და სხვა

ფაქტორების მიხედვით, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში ხშირად საბაჟო საგადასახადო ტარიფები დიფერენცირებულია იმის და მიხედვით, თუ როგორია ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობა, როგორია პარტნიორი ქვეყნის განვითარების დონე, მისი საექსპორტო საქონლის ხარისხი, ფასი და ოდენობა და როგორ იმოქმედებს ის ქვეყნის ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნებს, რომლებთანაც ვაჭრობა სასურველია, უქმნიან (უცხადებენ) უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს, ხოლო სხვებს - ჩვეულებრივს და, ზოგჯერ, დისკრიმინაციულსაც კი. საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში აგრეთვე გამოიყენება ცნებები და მათი შესაბამისი საგადასახადო ფორმები: **ავტონომიური და კონვენციური, სპეციალური, ანტიდემპინგური, კომპენსაციური, სეზონური გადასახადები.**

5. ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დაბეგვრის სპეციფიური ფორმები

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში საქონლის შემოტანისას დაბეგვრისაგან თავისუფლდება 300 ლარამდე ღირებულების საქონელი. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს არაუმეტეს 50 კილოგრამი საერთო წონის ტვირთი, რომლის ფარგლებში შეიძლება შემოტანილი იქნეს შემდეგი რაოდენობის აქციზური საქონელი:

- ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელი - 3 ლიტრი;
- ლუდი - 10 ლიტრი;
- თამბაქოს ნაწარმი - 200 ღერი;
- საიუველირო ნაწარმი - 1 ცალი;
- მანქანური ქსოვის ხალიჩა - 1 ცალი;
- მსუბუქი ავტომობილის საბურავი - 4 ცალი.

აგრეთვე, ერთი პირისთვის საჭირო ოდენობით განკუთვნილი სამკურნალო პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების საგნები.

ფიზიკური პირის მიერ არაკომერციული დანიშნულებით შემოტანილი 50-დან 100 კილოგრამამდე წონის ტვირთი იბეგრება საბაჟო გადასახადით 1 ლარი ყოველ კილოგრამზე.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ერთჯერადად 100 კილოგრამზე მეტი წონის ტვირთის ან ერთგვაროვანი საქონლის 20 კილოგრამზე მეტი ოდენობით შემოტანა განიხილება როგორც საქონლის კომერციული მიზნით შემოტანა და დაიბეგრება საერთო რეჟიმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

უცხოეთში 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ყოფნის შემდეგ ფიზიკური პირის მიერ საქართველოში საქონლის შემოტანის შემთხვევაში ზემოთ გათვალისწინებული ნორმები იზრდება 5-ჯერ. ამაზე მეტი წონის ტვირთზე ვრცელდება დაბეგვრის საერთო რეჟიმი.

საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსული ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ შორის, ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალება) იმპორტი არ იბეგრება.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში დროებით შემოტანილი ან საქართველოდან დროებით გატანილი საქონელი შეიტანება საბაჟო დეკლარაციაში.

თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრისას სამართალდარღვევათა აღმოფხვრის და საბაჟო კონტროლის გაძლიერების მიზნით ამ აქციზური საქონლის შემოტანის საბაჟო კონტროლისა და გაფორმებისას, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 6 ივნისის № 96 ბრძანებით "თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ" ამ სახის ნაწარმის იმპორტისას გათვალისწინებულია დამატებითი, მხოლოდ ამ სახის საქონლის მიმართ, განსახორციელებელი ღონისძიებანი:

- თამბაქოს ნაწარმის შემოტანა ნებადართულია მხოლოდ ფოთის, ბათუმის, სარფის, გარდაბნის, თბილისის აეროპორტის, წითელი ხიდის და სადახლოს საბაჟოებიდან;

- თამბაქოს ნაწარმის საბაჟო გაფორმების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ აჭარის რეგიონულ, თბილისის რეგიონულ და ფოთის საბაჟოებზე;

- თამბაქოს ნაწარმზე აქციზური მარკებით ნიშანდებაზე, ამ მარკების ნომრების იდენტურობასა და სიყალბეზე კონტროლის გაძლიერების მიზნით დაწესებულია თამბაქოს ნაწარმის თითოეული სატრანსპორტო საშუალებით შემოტანისას ყუთების საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი პროცენტის, ხოლო თითო ყუთიდან არანაკლებ ორი პროცენტის შერჩევითი გადამოწმება, რის შესახებაც უნდა შედგეს სათანადო აქტი თანდართული ფორმის მიხედვით;

- თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე კონტროლის გაძლიერების მიზნით შემოღებულია იმპორტიორის ბარათი და აქციზური ტვირთის გადაზიდვის ნებართვა. ეს დოკუმენტი წარმოადგენს საბაჟო გადასახადის გადახდის და აქციზური მარკების იდენტურობის შესახებ შედგენილი აქტის საფუძველზე გაცემულ საბუთს. ეს დოკუმენტი არის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსებისა და საქონლის საბაჟო გაფორმების საფუძველი და დასაწყობების ადგილამდე თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების თანმხლები დოკუმენტი;

- საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ამყარებს მეზობელი ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან ისეთ ურთიერთობას, რომლის ძალითაც თამბაქოს ნაწარმის ყოველი კონკრეტული პარტიის გადაცემა ამ ქვეყნების საბაჟო სივრცეში ხდება ხელშეკრულების გაფორმების წესით;

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის მიმღების შეცვლა ნებადართულია მხოლოდ საბაჟო საზღვარზე ტვირთის გადამაადგილებლის მიერ ტვირთის მფლობელისაგან მიღებული შესაბამისი დავალებისა და განაცხადის საფუძველზე;

- საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელში გამოვლენილი არამარკირებული თამბაქოს ნაწარმი სავაჭრო ქსელიდან ამოიღება და ნადგურდება იმავე დღეს;

- საცალო სავაჭრო ქსელში არსებული თამბაქოს ნაწარმი, რომელსაც არ ახლავს შესყიდვის დამადასტურებელი საბუთი და აღრიცხვის ბარათი განიხილება როგორც შესყიდვის დამადასტურებელი საბუთის არმქონე ნაწარმი, რის გამოც კონტროლის ორგანოებს ნება ეძლევათ, საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაახდევინონ საქონლის მფლობელს ამ საქონლის ღირებულება საბაზრო ფასებში.

მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში იბეგრება ისეთივე გადასახადებით (საბაჟო, დამატებული ღირებულების გადასახადები, აქციზი და საბაჟო მოსაკრებელი), მაგრამ იმავე დროს ამ საქონელზე გადასახდელებებსა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილების წესს ახლავს სპეციფიური თავისებურებანი.

მსუბუქ ავტომობილებს მიეკუთვნება ავტომობილები, რომლებშიც საჯდომი ადგილები, მძღოლის საჯდომი ადგილის ჩათვლით, არ აღემატება 9 ერთეულს და რომლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდია 8703.

მსუბუქი ავტომობილების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისათვის დაწესებულია გადასახადი 5 თეთრი ავტომობილის შიგა წვის ძრავის მოცულობის ყოველ ერთ კუბურ სანტიმეტრზე, პლუს ამ თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლოატაციის ყოველ წელიწადზე, დაწყებული გამოშვების დღიდან. ამ დროს ყოველი არასრული წელიწადი ჩაითვლება ერთ კალენდარულ წლად.

აქციზი განისაზღვრება 10 თეთრის ოდენობით შიგა წვის ძრავის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე.

დღგ განისაზღვრება ავტომობილის **საბაჟო ღირებულებიდან ნაზარდი ჯამის** 20 პროცენტით.

საბაჟო მოსაკრებელი განისაზღვრება ავტომობილის საბაჟო ღირებულების 0.15 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა ერთ ავტომობილზე და არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამრიგად, ახალ მსუბუქ ავტომობილზე ჯამური საბაჟო გადასახადი გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

საბაჟო გადასახადი = ძ.მ. X ს.გ.გ./1სმ³

აქციზი = ძ.მ. X ა.გ./სმ³

საბაჟო მოსაკრებელი = (ს.ღ. X 0.15) : 100

დღგ = (ს.ღ. + ს.გ.თ. + ს.გ.თ. + ა.თ.) X 20 100

სადაც:

ძ.მ. ძრავის მოცულობა კუბურ სანტიმეტრებში;

ს.გ.გ. საბაჟო გადასახადის განაკვეთი;

ა.გ. აქციზის განაკვეთი;

ს.ღ. საბაჟო ღირებულება;

ს.მ.თ. - საბაჟო მოსაკრებლის თანხა;

ს.გ.თ. - საბაჟო გადასახადის თანხა.

თუ მსუბუქი ავტომანქანა ნამყოფია ექსპლოატაციაში, საბაჟო გადასახადი განისაზღვრება დამატებული 5 პროცენტით ექსპლოატაციაში ყოფნის ყოველ 1 წელზე:

ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახადი = (ძ.მ. X ს.გ.გ./1სმ³) X 5 X ე.ყ. 100,

სადაც, ე.ყ. - ექსპლოატაციაში ყოფნის წლებია.

მსუბუქი ავტომანქანის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოყვანის გაფორმება, როგორც წესი, ხდება იმ საბაჟო ორგანოში, რომლის მოქმედების ზონაშიც არის რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილის შემომტანი (გამომტანი) იურიდიული ან ფიზიკური პირი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი (გასატანი) მსუბუქი ავტომობილების საგზაო პოლიციაში რეგისტრაცია და სახელმწიფო ნომრის მინიჭება, ასევე აღრიცხვიდან მოხსნა საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებით, ნებადართულია მხოლოდ ამ ავტომობილზე გაფორმებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარმოდგენის შემდეგ.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გასაფორმებლად საბაჟოს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) მსუბუქი ავტომობილის ტექნიკური პასპორტი;

გ) ნასყიდობის ფურცელი, ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რომელშიც ნაჩვენებია ავტომობილის გასაყიდი ფასი;

დ) სხვა, საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტები.

ფიზიკური პირი თავისუფლდება თავისი საიდენტიფიკაციო კოდის წარმოდგენისაგან, თუ მას მანქანა შემოჰყავს პირადი საჭიროებისათვის და არა გასაყიდად.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა და/ან გატანა წარმოებს შემდეგ საბაჟო რეჟიმებში:

ა) თავისუფალ ბრუნვაში გაშვება (შემოტანა მუდმივად ადგილზე დატოვების მიზნით);

ბ) ექსპორტი (გატანა დაბრუნების გარეშე);

გ) დროებითი შემოტანა და/ან გატანა;

დ) ტრანზიტი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ნებისმიერი საბაჟო რეჟიმით სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისას შემოსვლის საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ მასზე გამოიწერება შიდა საბაჟო ტრანზიტის ფორმა შსტ-3.

შსტ-3 წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლისა და გაფორმებისათვის აუცილებელ დოკუმენტს, მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც დროებითი დოკუმენტი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს აძლევს საშუალებას იმოძრაოს საქართველოს ტერიტორიაზე სრულ საბაჟო გაფორმებამდე დადგენილი ვადის განმავლობაში ან (ტრანზიტის შემთხვევაში) საქართველოს ტერიტორიის დატოვებამდე.

შსტ-3-ის მფლობელს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის და სრული საბაჟო გაფორმების გარეშე შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად იმოძრაოს:

- ტრანზიტისას - შემოტანის დღიდან 10 დღის განმავლობაში. ამ ვადაში მან უნდა დატოვოს საქართველო;

- დროებით შემოტანისა და/ან დროებით გატანისას - 45 დღე შემოტანის და/ან გატანის დღიდან;

- მუდმივად ან დროებით, ხანგრძლივი (45 დღეზე მეტი) ვადით, შემოტანისას - შემოტანის დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

- ამ ვადების დარღვევა იწვევს მფლობელის დაჯარიმებას: ფიზიკური პირის - ასიდან ასორმოცდაათ, ხოლო იურიდიული პირის - სამასიდან ხუთას ლარამდე.

ხანგრძლივი დროით დროებით შემოტანა და/ან გატანა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ამ ვადის გაგრძელება შეუძლია საბაჟო დეპარტამენტს.

ფარმაცევტული საქონლის იმპორტის ნაწილი, საქართველოს ფინანსთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ დამტკიცებული სიით (16 დასახელება) თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან (თითოეული დასახელების წინ ნაჩვენებია ამ საქონლის კოდი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით):

1. 3002 20 000 ვაქცინები;
2. 3004 31 100 ინსულინი;
3. 3004 40 900 მორფინი;
4. 3004 20 100 რიფამპიცინი;
5. 3004 20 100 ცეტოფაქსიმი
6. 3004 10 900 პირაზინამიდი;
7. 3004 39 900 პეტიდინი;
8. 3004 50 100 პოლივიტამინი;
9. 3001 90 910 ამპიცილინი;
10. 3001 90 910 ჰეპარინი;
11. 3005 90 110 ბამბა და მისი ნაწარმი;
12. 3005 90 310 დოლბანდი და მისი ნაწარმი;
13. 3002 31 000 თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინები;
14. 3002 39 000 და სხვა ვეტერინარული ვაქცინები;
15. 3002 90 900 მიკროორგანიზმების კულტურები;
16. 3002 90 500 მაკროორგანიზმების კულტურები.

თავი VII

ექსპორტ-იმპორტის არასატარიფო რეგულირება

1. არასატარიფო შეზღუდვების არსი

მსოფლიოს ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგიერთი საქონლის მიმართ ექსპორტ-იმპორტის რეგულირების არასატარიფო ეკონომიკურ ღონისძიებებს.

არასატარიფო ღონისძიებებს განეკუთვნება:

- ლიცენზირება;
- კვოტირება;
- სერტიფიცირება.

ლიცენზირება საქონლის ქვეყანაში შემოტანასა ან ქვეყნიდან გატანაზე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაა.

კვოტირება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საქონლის წარმოების, ექსპორტის და იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვას (ფიზიკური მოცულობით ან ღირებულებით) შიგა ვაჭრობის, გადასახდელების დაბალანსების ან სხვა (მაგალითად, ეკოლოგიური) მიზეზით.

სერტიფიკაცია წარმოადგენს საქონლის მიმართ გარკვეულ მოთხოვნებს, კერძოდ, ამ საქონლის კონკრეტული სტანდარტების ან ტექნიკური პირობებისადმი შესაბამისობის დოკუმენტურ დადასტურებას.

საქართველოში ლიცენზირება ხორციელდება საქართველოს 1999 წლის 14 მაისის კანონის "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" შესაბამისად. აღნიშნული კანონის მე-4.ბ პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ მისი მოქმედება ვრცელდება "საქონლის (პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების) საექსპორტო-საიმპორტო ურთიერთობებზე".

ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლით, "ლიცენზირების წესი ვრცელდება ლიცენზირებადი საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე ნებისმიერ სახელმწიფოში, სამეურნეო საქმიანობის ყველა სუბიექტზე მათი საკუთრების ფორმისა და რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად".

2. საქონლის ექსპორტის, იმპორტის და რეექსპორტის ლიცენზირების წესი

1998 წლის 10 ივლისს N31 ბრძანებით საქართველოს ვაჭრობის და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ დაამტკიცა დებულება ,,საქონლის ექსპორტის, იმპორტის და რეექსპორტის ლიცენზირების წესის შესახებ".

ამ დებულების მიხედვით ლიცენზიები გაიცემა მხოლოდ საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მათი განცხადების საფუძველზე.

საქონლის ექსპორტის, იმპორტის და რეექსპორტის ლიცენზირებისას განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- საექსპორტო ან საბარტერო კონტრაქტი (მხოლოდ ექსპორტის და რეექსპორტის ლიცენზირების შემთხვევაში);

- საიმპორტო კონტრაქტი ან ცნობა საიმპორტო საქონლის კუთვნილების შესახებ. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს: სატრანსპორტო ზედდებული, ან სასაქონლო ზედდებული, ან კონოსამენტი, ან საბაჟო დეკლარაცია (მხოლოდ იმპორტის ლიცენზირების შემთხვევაში);

- მომსახურე ბანკის ცნობა საბანკო ანგარიშის არსებობის შესახებ;

- ქვითარი სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ;

- საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ (მხოლოდ ექსპორტის და რეექსპორტის ლიცენზირების შემთხვევაში);

- იმ სამინისტროთა და უწყებათა თანხმობა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აპრილის N270 ბრძანებულებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 23 იანვრის N35 და 1995 წლის 30 ნოემბრის N744 დადგენილებებით.

განცხადების რეგისტრაცია წარმოებს სპეციალურ ზონარგაყრილ, ბეჭდით დამოწმებულ რეესტრის წიგნში, რომლის ყოველი გვერდი დანომრილი უნდა იყოს. იგივე წიგნში წარმოებს გაცემული ლიცენზიების რეგისტრაცია სათანადო ჩანაწერით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- ლიცენზიის მიმღების დასახელება;
- პროდუქციის დასახელება;
- პროდუქციის საერთო ღირებულება;
- ლიცენზიის ნომერი.

ლიცენზიის გაცემა ხორციელდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ცხრანიშნა კოდების მიხედვით, საქონლის შესაბამის განზომილებაში.

ლიცენზია გაიცემა საქონლის ერთ სახეობაზე, კონტრაქტში მითითებული სასაქონლო პოზიციების რაოდენობის მიუხედავად.

ლიცენზია გაიცემა კონტრაქტში დაფიქსირებული ვადების ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს 1 კალენდარული წლისა. იგი ძალაშია მასში მითითებული ვადის განმავლობაში.

საექსპორტო-საიმპორტო (მათ შორის, რეექსპორტის) ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს ლიცენზიაში დაფიქსირებული რაოდენობის და ვადების ფარგლებში რამდენიმე ეტაპად.

ლიცენზიის გაცემაზე გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა განცხადების რეგისტრაციიდან.

უარი ლიცენზიის გაცემაზე უნდა იყოს მოტივირებული (განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში უარის მოტივაცია მას ეცნობება წერილობით). ამ შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სალიცენზიო გადასახადის ქვითარში აღნიშნული თანხა.

ყველა გაცემული ლიცენზიის ასლი და მათ საფუძველზე ჩატარებული ანალიზი ყოველკვირეულად უნდა მიეწოდოს ვაჭრობის და საგარეო-

ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრს. მათ ბაზაზე იწარმოებს ლიცენზირების ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირება.

ლიცენზიის გაცემისათვის საჭირო წარმოდგენილი ყველა საბუთი ინახება ლიცენზიის გამცემ სტრუქტურაში 3 წლის განმავლობაში.

საქონლის ნუსხა, რომლის ექსპორტი ხორციელდება ლიცენზიებით

საქონლის დასახელება	სასაქონლო ნომენკლატურის კოდი	შენიშვნა
ბიოლოგიის, მინერალოგიის, არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის, ეთნოგრაფიის და ნუმიზმატიკის საკოლექციო მასალები	970500000	ლიცენზიები გაიცემა შესაბამისად ფინანსთა, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის, კულტურის სამინისტროების და გეოლოგიის დეპარტამენტთან შეთანხმებებით
ხე-ტყე, შეშა	4401; 4403; 4404; 4406; 4407	საექსპორტო ლიცენზიები გაიცემა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მიერ გაცემული ხე-ტყის ნედლეულის მოპოვების დამადასტურებელი საბუთის (ცნობის) წარდგენის შემთხვევაში
კავკასიური სოჭის თესლი	120999100	საექსპორტო ლიცენზიები გაიცემა საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დამზადების ლიცენზიების საფუძველზე

საქონლის ნუსხა, რომლის იმპორტი და რეექსპორტი ხორციელდება ლიცენზიებით

საქონლის დასახელება	სასაქონლო ნომენკლა-ტურის კოდი	შენიშვნა
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები	3808/მხოლოდ მცენარეთა დაცვის პრეპარატები	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის და სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროებთან შეთანხმებით
გარეული ცხოველები და ფრინველები, თევზი, გადაშენებული ცხოველების ძვლები, ჩლიქები, ველური მცენარეები, ტყის მერქნიან სახეობათა თესლები და ანალოგიური ნედლეული	010119; 010290900; 010391900; 010392900; 010410900; 010420900; 010599; 010600910; 010600990; 0301-0303; 40700; 0507; 050800000; 0604; 082210000; 080222000; 120999100; 1211; 121220000; 1401-1404; 9601	შესაბამისად გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტთან, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროსთან შეთანხმებით
თამბაქოს ნაწარმი	2402; 2403	

სამრეწველო ნარჩენები		გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ნებადართულია მხოლოდ არატოქსიკური სამრეწველო ნარჩენების იმპორტი მათი სამრეწველო გადამუშავების მიზნით. ტოქსიკური და რადიოაქტიური სამრეწველო ნარჩენების იმპორტი, მათი უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან სხვა მიზნით აკრძალულია.

3. საქონლის საექსპორტო კვოტები

საქონლის ექსპორტის კვოტებს ჩვეულებრივ ადგენს ქვეყნის ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, კვოტირებადი საქონლის წარმოების და მოხმარების საპროგნოზო ბალანსებიდან გამომდინარე.

კვოტების საერთო მოცულობები ეცნობება დარგობრივ სამინისტროებს და უწყებებს. დარგობრივი სამინისტროები და უწყებები ახდენენ მათ განაწილებას მწარმოებლების და დამამზადებლების მიხედვით. მონაცემები კვოტების განაწილების შესახებ წარედგინება საბაჟო დეპარტამენტს.

კვოტირებადი პროდუქციის შესყიდვა სახელმწიფოს მიერ ხორციელდება თავისუფალი საბაზრო ფასებით.

ამ წიგნის დაწერის მომენტისათვის საქართველოდან საქონლის ექსპორტი არც ერთი სახის საქონელზე კვოტირებული არ არის.

4. ხე-ტყის ნედლეულის და ლითონჭრელი ჩარხების საქართველოდან ექსპორტის თავისებურებანი

1998 წლის 25 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ,,საქართველოს ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ".

კანონის მიზანი არის ტყით სარგებლობის მოწესრიგების გზით საქართველოს ტყეების დაცვითი (ეკოლოგიური) ფუნქციების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ამ კანონის მე-4 მუხლით განისაზღვრა ხე-ტყის ნედლეულის ექსპორტის რეგულირება ლიცენზირების გზით.

კერძოდ, ამ კანონით განისაზღვრა, რომ ექსპორტის ლიცენზირებას ექვემდებარება ხე-ტყის ნედლეულის შემდეგი სახეები:

ა) სათბობი (საშეშე) მერქანი ხის ღეროს გადანაჭრების (კოტრების), ნაპობის, ტოტების, ფიჩხის კონების ან მსგავსი სახით - საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფი (სასაქონლო პოზიციის კოდი 4401);

.ბ) ხე-ტყის დაუმუშავებელი, გაქერქილი ან გაუქერქავი, უხეშად დაძელილი ან დაუძელავი მასალა - საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფი (სასაქონლო პოზიციის კოდი 4403);

გ) საკასრე მერქანი; დაპობილი ბალანსები; წამახვილებული, გრძივად გაუხერხავი სარები და ხიმინჯები; თლილი, მაგრამ გაუჩარხავი, გაულუნავი ან სხვა მეთოდით დაუმუშავებელი ხე-ტყის მასალა, რომელიც გამოიყენება ხელჯოხების, შოლტების, ინსტრუმენტების სახელურების და სხვა მსგავსი ნაკეთობების დასამზადებლად; ახდილი და სხვა მსგავსი მერქანი - საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფი (სასაქონლო პოზიციის კოდი 4404);

დ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფის 4406 სასაქონლო პოზიციით აღწერილი და კოდირებული ხე-ტყის ნედლეული;

ე) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 44-ე ჯგუფის 4407 სასაქონლო პოზიციით აღწერილი და კოდირებული ხე-ტყის ნედლეული.

5. სამხედრო დანიშნულების საქონლის, სამუშაოების და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი

საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან სამხედრო-ტექნიკური ხასიათის ფართო თანამშრომლობა აქვს. ეს თანამშრომლობა ხშირად ითვალისწინებს სამხედრო დანიშნულების საქონლის და მომსახურების, საშტატო იარაღის, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოების, მომსახურების, იარაღით ვაჭრობის, იარაღის ექსპორტის, ტრანზიტის, რეექსპორტის და იმპორტის განხორციელებას.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 13 მარტის N103 ბრძანებულებით თავდაცვითი დანიშნულების საქონლის, სამუშაოების და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი ექვემდებარება ლიცენზირებას.

ზემოაღნიშნული საქონლის, სამუშაოების და მომსახურების ექსპორტის, ტრანზიტის, რეექსპორტისა და იმპორტის ნებართვებს გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

იმავე ბრძანებულებით პრეზიდენტმა დაამტკიცა დებულება "სამხედრო დანიშნულებისა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოების, მომსახურების, იარაღით ვაჭრობის, იარაღის ექსპორტის, ტრანზიტის, რეექსპორტის და იმპორტის ლიცენზირების წესის შესახებ".

ამ დებულებით განსაზღვრული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის წესის შესახებ დებულების შესაბამისად.

დებულების მიხედვით, ლიცენზიები მიეცემათ როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს, ყოველი ცალკეული საგარეო-ეკონომიკური გარიგებისათვის.

ლიცენზიის გაცემის საფუძველია:

ა) ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის რეკომენდაცია;

ბ) იურიდიული ან ფიზიკური პირის განცხადება;

გ) ხელმოწერილი კონტრაქტი ან გაფორმებული განზრახულობათა ოქმი;

დ) სამხედრო დანიშნულების ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოების, მომსახურების, იარაღის ექსპორტის, ტრანზიტის, რეექსპორტის და ექსპორტის განხორციელების ნებართვა, რომელიც გაცემულია იმ ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლის ტერიტორიაზეც არის რეგისტრირებული კონტრაქტის ან გაფორმებული განზრახულობათა ოქმის მონაწილე მხარე;

ე) საჭიროების შემთხვევაში, საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი, თუ ლიცენზიის ამღები პირი თვითონ არ წარმოადგენს მომხმარებელს;

ვ) საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის ორიგინალი, გაცემული იმპორტით დაინტერესებული უწყების მიერ.

იარაღით ვაჭრობის ლიცენზიის გაცემის საფუძველია:

ა) იურიდიული ან ფიზიკური პირის განცხადება;

ბ) ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის დამადასტურებელი მონაცემები;

გ) პირის სასამართლოში რეგისტრაციის მოწმობა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის რეკომენდაციის გარეშე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სამუშაოების და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის ლიცენზიები გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

ა) სამხედრო დანიშნულების პროდუქციის მაკომპლექტებელი ნაკეთობების ექსპორტი და იმპორტი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს საწარმოთა მიერ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების და რემონტის უზრუნველსაყოფად;

ბ) იმ ნაკეთობების ექსპორტი, რომლებიც საჭიროა საქართველოს ლიცენზიებით საზღვარგარეთის ქვეყნებში სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებისათვის;

გ) საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ადრე გადაცემული სამხედრო ტექნიკის, სასწავლო და დამხმარე აღჭურვილობის, სათადარიგო ნაწილების ექსპორტი, აგრეთვე მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი;

დ) საქართველოს სამხედრო ძალების აღჭურვილობაში არსებული შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო დანიშნულების სასწავლო და

დამხმარე მოწყობილობების ექსპლუატაციის და რემონტის უზრუნველსაყოფად სათადარიგო ნაწილების იმპორტი.

ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი მასალების უტყუარობისათვის პასუხისმგებელია პირი, რომელმაც წარადგინა განცხადება ლიცენზიის მიღების შესახებ.

ლიცენზია ფორმდება სპეციალური დამცავი ნიშნების მქონე ქაღალდისაგან დამზადებულ ბლანკზე.

ლიცენზიების აღრიცხვის და სალიცენზიოდ შემოსული მასალების აღრიცხვის და შენახვის წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ლიცენზია არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს.

ლიცენზია გაიცემა ან დასაბუთებული უარი ეცნობება განმცხადებელს განცხადების შეტანიდან 10 დღეში.

ლიცენზიის გამცემი ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს ან შეაჩეროს ლიცენზიის მოქმედება. განმცხადებლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიის გაუქმების ან შეჩერების წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ლიცენზიის მიღების შესახებ განცხადების განხილვა, ლიცენზიის გაფორმება და გაცემა ფასიანია. ანაზღაურების მოცულობასა და შემოსული თანხების განაწილების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი "ფასების და ფასწარმოქმნის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. საქონლის სერტიფიკაცია

6.1. სერტიფიკაციის არსი

სტანდარტიზაცია არის საინჟინრო, საგარეო-ეკონომიკური და მრავალი სხვა პროცესის ნორმატიული მართვის მეთოდი და რაციონალიზაციის საშუალება.

სტანდარტიზაციის მთავარი ინსტრუმენტი თავად სტანდარტია, რომელიც წარმოადგენს ოფიციალურად აღიარებულ დოკუმენტს და ასახავს

ოპტიმალურ შედეგს ან პრაქტიკულ გამოცდილებას და შეიცავს ნორმებისა და მოთხოვნების კომპლექსს ცალკეული ობიექტების ან მრავალჯერ განმეორებადი ქმედებების მიმართ. პრაქტიკული საქმიანობის ინსტრუმენტებად სტანდარტები ხდებიან იმის გამო, რომ:

- სტანდარტები იმ საგნის ან მოვლენის ზუსტი ეტალონებია, რომლებიც შემდგომში იწარმოება მის საფუძველზე;

- სტანდარტები შეიცავენ ნაწარმის ან პროცესის ოპტიმალურ გადაწყვეტას;

- სტანდარტები გარკვეული, ეკონომიკურად ეფექტიანი ვადის განმავლობაში რჩებიან უცვლელნი.

სტანდარტიზაციის ძირითადი მეთოდებია:

უნიფიცირება - ნაწარმის ტიპების, სახეობების და ზომების, დეტალების და კვანძების ერთნაირი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით დაჯგუფება.

ტიპიზაცია - საკონსტრუქტორი, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული თუ სხვა ამოცანების ტიპიური გადაწყვეტა.

აგრეგირება - მანქანების, მექანიზმების და სხვა ნაწარმის შექმნა შეზღუდული რაოდენობის სტანდარტული, უნიფიცირებული, გეომეტრიულად შეთანაწყობადი და ურთიერთშემცვლელი დეტალების და კვანძების მორგება-აწყობის გზით.

ურთიერთშეცვლადობა - ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი დეტალების და კონსტრუქციული ელემენტების თვისება, დაიკავონ ნაწარმში ადგილი აწყობისას ისეთნაირად, რომ უზრუნველყონ ნაწარმის ნორმალური მუშაობა.

სერტიფიკაცია - არის იმ მოქმედებების და პროცედურების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების ნორმებისადმი შესაბამისობის აღიარებისაკენ.

სერტიფიკაცია საშუალებას იძლევა ერთნაირად მივუდგეთ სხვადასხვა ობიექტის ხარისხს, უზრუნველვყოთ პროდუქციის წარმოების ხარისხობრივი სტაბილურობის გარანტია იმდენად, რამდენადაც სერტიფიკაცია ვრცელდება წარმოების ორგანიზაციაზეც.

სერტიფიკატი პროდუქციაზე ან ხარისხის სისტემაზე მომხმარებლისათვის წარმოადგენს კონკურენტულ ბაზარზე ერთგვარ მეგზურს, ვინაიდან დოკუმენტურად ასაბუთებს გარკვეული საქონლის კონკურენტუნარიანობას.

სერტიფიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სტანდარტიზაციასთან. სერტიფიკაციას არ შეუძლია წარმატებით შეასრულოს თავისი ამოცანა - აამაღლოს სამამულო ნაწარმის კონკურენტუნარიანობა, თუ ის არ ემყარება სტანდარტიზაციის მოქნილ ეროვნულ სისტემას.

ქართველი მეწარმეებისათვის და კომერსანტებისათვის მათ საქმიანობაში (უპირველესად, საგარეო ვაჭრობაში) სტანდარტების აქტიური და რაციონალური გამოყენება უაღრესად მომგებიანია. ეს საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს პროდუქციის სათანადო ხარისხი, დაინერგოს აწყობილი და შეუფერხებელი ტექნოლოგიური პროცესი, მიღწეული იქნეს მაკომპლექტებელი დეტალების შეთანაწყობა, მათ შორის, საზღვარგარეთიდან მილებულის, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო საწარმოო კოოპერირებას და, საბოლოო ჯამში, იძლევა საგარეო ბაზარზე ტექნოლოგიური ბარიერების დაძლევის, უცხოელ პარტნიორებთან საწარმოო თანამშრომლობის, საექსპორტო ფასების უფრო მაღალი განაკვეთების დაწესების და მთლიანად ჩვენი მეწარმე-ექსპორტიორის და ქართული ნაწარმის საერთაშორისო ბაზარზე იმიჯის ამაღლების საშუალებას.

თქმულიდან გამომდინარე, უნდა გვეფიქრა, რომ საერთოდ დასავლეთის მთელი პროდუქცია სერტიფიცირებულია და რაც უფრო ცნობილია ფირმა, მით უფრო მეტად სარგებლობს ის სერტიფიკატით. სინამდვილეში სახელიანი ფირმები "რენო", "ფიატი", "სიმენსი", "ფილიპსი" და ა.შ. საერთოდ არ სარგებლობენ სერტიფიკატით. ითვლება, რომ საქონელი, რომელიც მათ სახელს ატარებს, უკვე ამით არის სერტიფიცირებული მაღალ დონეზე. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს საბაჟომ და საზღვარზე სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელმა ორგანოებმა, რათა არ შექმნან ასეთი ფირმების საქონლის საზღვარზე გაჩერების ან ბაზარზე დაშვების აკრძალვის პრეცედენტი.

ამავე ორგანოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ დასავლეთში საქონლის სერტიფიკაცია არ არის სავალდებულო და ამიტომ არ უნდა

დააკავონ საქონელი იმ საბაბით, რომ მას არ ახლავს სერტიფიკატი. თუ საბაჟო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს ეჭვი ეპარებათ უცხოური საქონლის ხარისხში, მათ შეუძლიათ თვითონ ჩაუტარონ ამ საქონელს სერტიფიკაცია.

რაც შეეხება უცხოური საქონლის ქართველ იმპორტიორს, უმჯობესია მან თავიდანვე, კონტრაქტში, განსაზღვროს, რომ უცხოელი პარტნიორი საქონელს მოაყოლებს საერთაშორისო ფორმის სერტიფიკატს, რითაც თავიდანვე იქნება აცილებული გართულებები და შეფერხებები საზღვარზე და მიეცემა საქონელზე უფრო მაღალი ფასის დაწესების და მოკლე დროში გასაღების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად საქონლის სერტიფიკაცია სავალდებულო არ არის, ამ ბოლო დროს უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის საზოგადოებების ზემოქმედების შედეგად, მთელ რიგ ქვეყნებში კანონით შემოღებულია ზოგიერთი საქონლის აუცილებელი სერტიფიკაცია. ყველაზე ხშირად აუცილებელ სერტიფიკაციას ექვემდებარებიან წამლები, სამედიცინო ტექნიკა, ელექტრო-აპარატურა, სამოქალაქო ტრანსპორტის ყველა სახეობა. მაგალითად, აშშ-ში შემოიღეს ბავშვთა კვების პროდუქტების, სასმელი წყლის, სიგარეტის, კონსერვირებული პროდუქტების სავალდებულო სერტიფიკაცია.

არასერტიფიცირებულთან შედარებით, სერტიფიცირებული საქონელი 20 და რამდენიმე ათეული პროცენტით მაღალ ფასად იყიდება. ასე მაგალითად, უზბეკური ყოვლად ხარისხიანი გველის შხამი, იმის გამო, რომ მას არ ახლდა საერთაშორისო ნიმუშის ხარისხის სერტიფიკატი, იყიდებოდა მსოფლიო ფასებზე 50-ჯერ უფრო იაფად. ამ შხამს ყიდულობდნენ დასავლური ფირმები, უტარებდნენ გამოკვლევას და აძლევდნენ საერთაშორისო სერტიფიკატს. თუმცა, რა შორს წავიდეთ, ქართული შამპანური მსოფლიო ბაზარზე ხშირად სამჯერ ნაკლებ ფასად იყიდება, ვიდრე ფრანგული, საერთაშორისო სერტიფიკატის უქონლობის გამო.

რამდენადაც სერტიფიკაციას აქვს უშუალო ეკონომიკური ღირებულება, მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ გასცა თავად სერტიფიკატი. ძვირად ფასობს (50 ათასიდან 1 მილიონ დოლარამდე) ბრიტანეთის

სტანდარტიზაციის ინსტიტუტის ისეთი ცნობილი ფირმების სერტიფიკატები, როგორიცაა "ლოიდ რეგისტრი" (ძირითადად, მცურავ საშუალებებზე) და "ნორკეს ვერიტასი" გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტში ერთი სერტიფიკატის მიღება 100 ათას მარკამდე ღირს.

მიუხედავად ასეთი სიძვირისა, მაღალი სახელის მქონე კვლევითი და სტანდარტიზაციის დაწესებულების სერტიფიკატი ყოველთვის ამართლებს და გაწეული ხარჯების რამდენიმეჯერ ამოღებას უზრუნველყოფს.

6.2. უცხოური კანონმდებლობა სერტიფიკაციის თაობაზე

განაზოგადა რა ამ საქმეში საერთაშორისო გამოცდილება, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1985 წელს მიიღო რეზოლუცია "მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები". ამ დოკუმენტში ხაზგასმულია ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ხელყოფისაგან მომხმარებლების დაცვის აუცილებლობა, აგრეთვე იმის საჭიროება, რომ მომხმარებელი უნდა იყოს წინასწარ ინფორმირებული საქონლის გამოყენების წესების და იმ შესაძლო რისკის შესახებ, რომელიც დაკავშირებული იქნება მის მიერ შეძენილი საქონლის დეფექტთან. ყველა ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს სამართლებრივი და ადმინისტრაციული მეთოდები, რომლებითაც მომხმარებელს ენიჭება საშუალება მიიღოს მისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია. აქ დიდი მნიშვნელობა ეძლევა მომხმარებლის გათვითცნობიერებას კვების პროდუქტების უსაფრთხოების და მათი მარკირების საკითხებში.

რეზოლუციაში მოცემულია მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრინციპები. იგულისხმება ხელისუფლების მიერ მოქმედი კანონების და სხვა აუცილებელი ნორმების დაცვა, მწარმოებელთა პასუხისმგებლობის გაზრდა პროდუქციის, მომსახურების (სერვისის) ხარისხისადმი, კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობა და სხვა.

რეზოლუცია ურჩევს სახელმწიფოთა მთავრობებს, რათა შექმნან მომხმარებელთა საზოგადოებები და მათ მისცენ იმის გარანტია, რომ საშუალება ექნებათ მიიღონ მონაწილეობა მომხმარებელთა ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

რეზოლუციის პრინციპები უკვე აისახა მთელი რიგი სახელმწიფოების კანონმდებლობაში, ასევე საერთაშორისო რეგიონული გაერთიანებების და სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების ფუძემდებლურ დოკუმენტებში.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ხარისხის, სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის თაობაზე შეიძლება გამოვყოთ სამართლებრივი აქტების ორი ძირითადი ტიპი:

სამოქალაქო სავაჭრო კოდექსები და სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის სხვა აქტები, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობებში არეგულირებენ ხარისხის საკითხებს;

სპეციალური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიმართულია ადამიანების უსაფრთხოების, სიცოცხლის და ჯანმრთელობის, ეკონომიკური ინტერესების, გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

პირველი ტიპის საკანონმდებლო აქტებს მიეკუთვნება: ავსტრიის, ესპანეთის, იტალიის, პორტუგალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, იაპონიის სამოქალაქო კოდექსები; საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი; შვეიცარიის მავალდებულებელი კოდექსი; იაპონიის სავაჭრო დებულებანი; გერმანიის სავაჭრო დებულებანი და გერმანიის სამოქალაქო დებულებანი; გერმანიის კანონები ხელშეკრულებების ზოგადი პირობების და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თაობაზე; აშშ-ს ერთიანი სავაჭრო კოდექსი; ბრიტანეთის კანონები საქონლით ვაჭრობის თაობაზე, ქონების გადაცემაზე და მომსახურებაზე, ხელშეკრულებათა უსამართლო პირობების შესახებ.

მიუხედავად პრინციპული მსგავსებისა, ქვეყნებში მოქმედ კანონებს ახასიათებთ განსხვავებები, გამომდინარე მათი ისტორიული წარსულის, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის და სახელმწიფო წყობიდან. უმეტესად, ისინი შინაარსით საერთაშორისო და ფორმით ეროვნულნი არიან.

სპეციალურ კანონმდებლობას შორის გამორჩეული და საგარეო ვაჭრობისას მხედველობაში მისაღებნი არიან: ამერიკის შეერთებული შტატების კანონი, სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების შესახებ, (1972 წ., 1976 წ. ცვლილებებით); კანონი ,,მოწყობილობის (მანქანა-დანადგარების) უსაფრთხოების შესახებ" (1968 წ., 1979 წ. და 1980 წ. შესწორე-

ბებით); იაპონიის კანონი საქონლის უსაფრთხოების შესახებ და იაპონიის მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ძირითადი კანონი (1968 წ.); საფრანგეთის კანონი ,,საქონლის და მომსახურების შესახებ" მომხმარებელთა ინფორმაციის დაცვის შესახებ" (1978 წ.); კანადის კანონი ,,მომხმარებელთა დაცვის შესახებ" (1978 წ.); ავსტრიის კანონი მომხმარებლების უფლებების შესახებ (1979 წ.) და ავსტრიის კანონი პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ. ფინეთში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საკითხებში 1978 წლიდან მიღებულია კანონების მთელი სერია.

გარდა ამისა, ხარისხის და უსაფრთხოების საკითხებში გამოდის მთელი რიგი დარგობრივი საკანონმდებლო აქტები. ასე მაგალითად, აშშ-ში 150 ასეთი კანონი მოქმედებს: კანონი ხორცის პროდუქტების კონტროლის შესახებ (1957 წ.); საფეიქრო ნაწარმის იდენტიფიკაციის კანონი (1958 წ.); ეტიკეტებზე საშიში ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის განთავსების აუცილებლობის კანონი; კანონი კვების პროდუქტებსა და მედიკამენტებზე ზედამხედველობის შესახებ (1960 წ.); კანონი სარეკლამო საშუალებების და საინფორმაციო ეტიკეტების უტყუარობის შესახებ (1966წ.); კანონი საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის შესახებ (1966 წ.); კანონი მალფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესახებ (1974 წ.) და ა.შ.

გერმანიაში მიღებულია კანონები წამლების, კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის და ყოველდღიური მოთხოვნილების სხვა საქონლის თაობაზე.

იაპონიაში მოქმედებს კანონი ,,საოჯახო მოხმარების საქონელში მავნე ნივთიერებების შემცველობის შესახებ" (1973 წ.).

განსაკუთრებით ყურადსაღებია დასავლეთ ევროპაში ევროკავშირის 1985 წლის 25 ივლისის დირექტივის შესაბამისად მიღებული საკანონმდებლო აქტები. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მიღებულია კანონი ,,მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ" (1987 წ.), გერმანიაში - ,,დეფექტური პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" (1989 წ.); ავსტრიაში ,,კანონი უხარისხო პროდუქციის შესახებ" (1988 წ.). ამავე დროს ევროპაში და კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებს შორის მუსირებს აზრი, რომელიც, როგორც ჩანს, ახლო მომავალში რეალიზებული იქნება - ყველა ჩამოთვლილი კანონების ნაცვლად ამ საკითხებზე ერთიანი კანონის მიღების თაობაზე.

ასეთი მოცულობისა და მრავალფეროვნების მიუხედავად ჩვენ მაინც ვურჩევდით ქართველ მეწარმეებს და კომერსანტებს წინასწარ, სანამ გააფორმებდნენ ხელშეკრულებას საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე, ღრმად შეისწავლონ მოვაჭრე პარტნიორი ქვეყნის კანონმდებლობა საქონლის უსაფრთხოების, ხარისხის, მომხმარებელთა ინტერესების და გარემოს დაცვის საკითხებში.

ასეთი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება ინტერნეტის ქსელის მეშვეობით, სპეციალური საკონსულტაციო ფირმების, მოვაჭრე ქვეყნების საქართველოში საელჩოების, საკონსულოების და სავაჭრო წარმომადგენლობების მეშვეობით და უშუალოდ პოტენციური პარტნიორისათვის ინფორმაციის მოთხოვნით.

ქართველმა მეწარმემ არ უნდა დაიშუროს ასეთი ინფორმაციის მოსაპოვებლად არც დრო და არც სახსრები, რადგან სხვაგვარად საერთაშორისო ბაზარზე გასვლა მეტად სარისკოა.

6.3. სერტიფიკაციის საიდენტიფიკაციო ნიშნები

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სერტიფიკაცია და სტანდარტიზაცია შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და სავალდებულო. ერთსა და იმავე საქონელზე ის შეიძლება იყოს ერთ ქვეყანაში ნებაყოფლობითი, ხოლო მეორეში - სავალდებულო.

იმის გარკვევა, თუ პოტენციურად მოვაჭრე ქვეყანაში ამის თაობაზე როგორი წესია, შეიძლება ისევე, როგორც ინფორმაციის მოპოვება მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კანონებზე, რომლებიც წინა პარაგრაფში იყო მოყვანილი.

მანამდე კი, ზოგადად, უნდა ვივარუადოთ, რომ თუ სერტიფიკაცია ძირითადად ემსახურება მარკეტინგის და რეკლამის მიზნებს, ის ნებაყოფლობითია, ხოლო თუ ის ეხება უსაფრთხოების საკითხებს და დაფიქსირებულია კანონებში - სავალდებულო.

მთელ რიგ ქვეყნებში სერტიფიკაციის საკითხები ფიქსირებულია უშუალოდ სტანდარტებში, მაგალითად: იაპონიის სამრეწველო სტანდარტი-

ზაციის კანონში (1949 წ., 1980 წ. შესწორებით); ტაილანდის კანონში სამრეწველო ნაწარმის სტანდარტიზაციის შესახებ (1968 წ.); ყოფილი იუგოსლავიის სტანდარტიზაციის კანონში (1989 წ.); ჩინეთის სტანდარტიზაციის კანონში (1968 წ.); ინდოეთის სტანდარტების ბიუროს წესდებაში (1986 წ.) და სხვა. ამერიკის შეერთებული შტატების კანონები მოითხოვენ, რომ სერტიფიკატმა არა უბრალოდ დააფიქსიროს საქონლის სტანდარტებთან შესაბამისობა, არამედ ჩამოთვალოს ყველა ეს სტანდარტი, რადგან ზოგ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ სიტუაციას, როცა მეწარმეს ჰგონია, რომ აქვს საჭიროდ სერტიფიკატი და იწყებს ოპერაციის განხორციელებას, ხოლო შემდეგ აღმოჩნდება, რომ გაცემულ სერტიფიკატში არ იყო გათვალისწინებული რომელიმე სტანდარტთან შესაბამისობა.

სერტიფიკატი ან უნდა იყოს საქონლის თანმხლები დოკუმენტი, ან უნდა გადაეცეს ბითუმად მოვაჭრეს ან საცალო გამყიდველს მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე „გამოსაჩენად". ასეთ დროს გამორიცხული არ არის საქონლის და სერტიფიკატის დაშორების (გაბნევის) ან საქონლის წვრილ პარტიებად ბითუმად ან სავაჭრო საცალო ქსელში დანაწილებისას სერტიფიკატის დაყოფა-დანაწევრების პრობლემა. ასევე გამორიცხული არ არის ერთი საქონლის სერტიფიკატის მეორე იდენტური საქონლის მიმართ გამოყენება.

ელემენტალურ ლოგიკას მივყავართ იმ დასკვამდე, რომ გაცილებით უფრო რაციონალურია სერტიფიკატის თავად საქონელზე დასმა რაიმე სპეციფიური საიდენტიფიკაციო ნიშნის ფორმით.

მართლაც, 1939 წელს საფრანგეთში გამოვიდა დეკრეტი საქონლის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნის NF-ის შესახებ. ეს კანონი მცირედი ცვლილებებით მოქმედებს დღემდე. 1993 წლის 10 იანვრის დეკრეტით NF ნიშნის ფუნქციონირების უზრუნველყოფა დაევალა საფრანგეთის სტანდარტიზაციის ასოციაციას (AFNOR). 1976 წლის დეკემბერში საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა დებულება ნიშნის შესახებ და ამ დებულებიდან გამომდინარე, მომზადდა დარგობრივი დებულებანი.

1979 წელს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მიიღო ანალოგიური დანიშნულების ნიშანი GS, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი

შეესაბამება გერმანიაში ყველაზე მიღებულ სტანდარტს DIN. გერმანიაში მოქმედებენ სხვა სპეციფიკური სერტიფიკატ-ნიშნებიც. მაგალითად, ABE - არის საერთო სერტიფიკატი ავტომობილის უსაფრთხოების თაობაზე, რომელიც მიენიჭება მრავალჯერადი სერიოზული და მკაცრი გამოცდების შედეგად. ეს ნიშანი ნებაყოფლობითია. ასევე ნებაყოფლობითია ნიშანი "ცისფერი ანგელოზი". ამ ნიშნის მატარებელი პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს ხმაურის და გამოყოფილი ნივთიერებების სტანდარტულზე უფრო დაბალ მაჩვენებლებს.

ასეთი მარკირების შესახებ კანონები მოქმედებენ ავსტრიაში (1971 წ.), ბელგიაში (1969 წ.), ნორვეგიაში (1961 წ.).

ყველა ასეთი სასერტიფიკაციო ნიშნის იურიდიული დაცვა გამოიხატება მათ ეროვნულ და საერთაშორისო რეგისტრაციაში. რეგისტრაციისას ფიქსირდება მისი გამოსახულება, მოთხოვნები შესაბამისობის თაობაზე, მიწოდების პროცედურა, საქონლის დადაღვის (მარკირების) წესი და ა.შ.

სასერტიფიკაციო ნიშნები ისევე, როგორც საფირმო ნიშნები, დაცულია 1981 წლის მადრიდის კონვენციით.

სასერტიფიკაციო ნიშნების ხელყოფისაგან დაცვას სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებენ სხვადასხვა უწყებები, დაწყებული თავად სერტიფიკაციის ორგანოებიდან და დამთავრებული სამართალდამცავი ორგანოებით.

რამდენადაც საქონლის სერტიფიკაციის საფუძველი ამ საქონლის გამოცდის შედეგებია, ბუნებრივია, რომ სერტიფიკატის თუ სასერტიფიკატო ნიშნის მიმნიჭებელი ორგანო აღჭურვილი უნდა იყოს მძლავრი საცდელი და ლაბორატორიული ბაზით და სპეციალისტებით და საკანონმდებლო უფლებამოსილებებით სერტიფიკატის მინიჭების, კონტროლის და ჩამორთმევის უფლებებით და, ზოგჯერ, სხვა ფირმების მიერ სასერტიფიკაციო ნიშნის უკანონო გამოყენების ალაგმვის საშუალებებით, ვინაიდან ასეთი დაწესებულებების საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავთ სამართლებრივ და საკანონმდებლო საკითხებს, ქვეყნების უმეტესობაში ეს ლაბორატორიები და უწყებები ან უშუალოდ სახელმწიფო ორგანოები ან სახელმწიფო მანდატით აღჭურვილი უწყებები არიან.

შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანაში ამ უწყებების პასუხისმგებლობის დონე განსხვავდება, მაგრამ მაინც ბევრი საერთო აქვთ.

სერტიფიკაციის ნებისმიერ სისტემაში წესების დამრღვევი მხარის კონკრეტული იურიდიული პასუხისმგებლობა აისახება სახელმწიფო კანონმდებლობაში, ხოლო, ზოგჯერ, ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია მეწარმესა და სერტიფიკატის გამცემ (გამოცდის ჩამტარებელ) ორგანიზაციას შორის. მეორე ფორმა გავრცელებულია კანადაში, ფინეთში და შვედეთში.

ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობით, სერტიფიკაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული, ქონებრივი და სისხლის სამართლის.

ასე მაგალითად, იაპონიაში პირი, რომელიც პასუხისმგებელია საქონელზე სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნის დასმაზე, სტანდარტებთან შეუსაბამო საქონელზე ნიშნის დასმისათვის ისჯება ჯარიმით 500 ათასი იენის ოდენობით.

ჩინეთის სტანდარტიზაციის კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, თუ პროდუქცია არ არის სერტიფიცირებული, ან, მიუხედავად იმის გამჟღავნებისა, რომ საქონელი არ შეესაბამება სტანდარტს, მას მაინც დაესვა შესაბამისობის ნიშანი, შეიძლება აიკრძალოს ამ პროდუქციის რეალიზაცია და საწარმოს დაედოს ჯარიმა.

ინდოეთის სტანდარტების ბიუროს დებულების 33-ე მუხლით, სერტიფიკაციის წესების დამრღვევს ელოდება ციხე ერთ წლამდე, ან ჯარიმა 50 ათას რუპიამდე, ან ბიუროს სასარგებლოდ ქონების კონფისკაცია.

სერტიფიკატის არსიდან გამომდინარე, სერტიფიკატის მოპოვება და საქონელთან ერთად წარმოდგენა ამ საქონლის მწარმოებლის ან, ზოგ შემთხვევაში, ექსპორტიორის მოვალეობაა და ამიტომ სერტიფიკატს ხშირად საექსპორტო სერტიფიკატს უწოდებენ.

არის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც საერთო დანიშნულების სერტიფიკატებს გარდა ითვალისწინებენ სპეციალურ სერტთიფიკატებს საიმპორტო საქონელზე. ასეთი ქვეყნების ერთ-ერთი წარმომადგენელია ჩვენი მეზობელი თურქეთი.

თურქული საიმპორტო სერტიფიკატის ძირითადი სახეა - **შესაბამისობის სერტიფიკატი,** რომელიც გაიცემა ერთი წლის ვადით მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება ამ შემოსატანი საქონლის შესაბამისობა თურქეთის სტანდარტებთან.

გარდა შესაბამისობის ძირითადი სერტიფიკატისა, აგრეთვე მისი უქონლობის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნეს **შესაბამისობის პირობითი სერტიფიკატი**. ეს სერტიფიკატი გაიცემა საქონლის ერთ, პირველ პარტიაზე ოთხი თვის ვადით. ასეთი დამხმარე სერტიფიკატის შემოღება განპირობებული იყო იმით, რომ შესაბამისობის ძირითადი სერტიფიკატის შემოღების შემდეგ ხშირად თურქეთის საზღვარზე გროვდებოდა იმ პირთა დიდძალი უსერტიფიკატო საქონელი, ვისთვისაც ასეთი საიმპორტო სერტიფიკატის საჭიროება ცნობილი არ იყო და არ ჰქონდათ დაჭერილი თადარიგი. პირობითი სერტიფიკატი გაიცემა იმ საქონელზე, რომელიც პირველად, წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ერთი პარტიის სახით იქნა შემოტანილი.

შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა ნიმუშების შემოწმების შემდეგ შემოსატანი საქონლის პარტიაზე (არა უმეტეს ოთხი საქონლის კომპლექტისა). ასეთი, საკუთარი, თურქული სტანდარტების შესაბამისობა მოეთხოვება საანტენო მოწყობილობებს, სატელევიზიო კაბელებს, მაღალსიხშირიან შემაერთებლებს, კოლექტიურ ანტენებს და ა.შ. იმის გამო, რომ უმეტეს შემთხვევებში თურქეთს არ გააჩნია შესაბამისი საკუთარი სტანდარტები, შემოწმება მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ბუნებრივია, რომ თუ ისეთ საქონელზე, რომელზეც თურქეთს არ აქვს საკუთარი სტანდარტი და იმპორტიორი წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატს, საიმპორტო სერტიფიკატის მოთხოვნა იხსნება.

ქვეყნების მიხედვით საიმპორტო პროდუქციის ნუსხა, რომელზეც მოითხოვენ საიმპორტო სერტიფიკატს, შეიძლება სხვადასხვა სიდიდის და ხასიათის იყოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, როცა ამ ქვეყნის კანონმდებლობით ცალკეულ საქონელზე საიმპორტო სერტიფიკატი აუცილებელია, ამ საქონლის შეტანა ასეთ სახელმწიფოში შეუძლებელია ან ძალიან გართულებულია.

საქონლის სერტიფიკაციის თაობაზე ზემოთ მოყვანილი მასალიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები და მივცეთ ქართველ მეწარმეებს და კომერსანტებს შემდეგი რეკომენდაციები:

- საზღვარგარეთული ქვეყნების კანონმდებლობაში შექმნილია მომხმარებელთა ფართო იურიდიული უფლებების დაცვის გარანტიების მე-

ქანიზმი. მათი დარღვევა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მეწარმეების და კომერსანტების მიერ იწვევს სახელმწიფოს, ფინანსურ ზარალს და "სახელის გატეხვას";

- თუმცა, იურიდიულად სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია საქონელთა უმრავლესობისათვის ნებაყოფლობითი ხასიათისაა, მათ ხშირ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება მწვავე კონკურენციას, ფაქტობრივად აქვთ აუცილებელის ძალა. ამიტომ, ქართველი მეწარმისათვის სჯობს ყურად არ იღოს ინფორმაცია სერტიფიკატის ნებაყოფლობითობის თაობაზე და, როგორც წესი, ყოველთვის იქონიოს ხარისხის სერტიფიკატი;

- მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის თაობაზე ქვეყნის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, აურაცხელია მათი ცოდნა ქართველი მებაჟისა და მეწარმისათვის აუცილებელია, განსაკუთრებით იმ ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობისა, რომლებთანაც კომერსანტი გეგმავს ან აქვს სავაჭრო ურთიერთობა. სხვაგვარად, მეწარმე განწირულია მარცხისა და დიდ ზარალისათვის. ასეთი ინფორმაციის მოპოვების იმ წყაროების გარდა, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ხელიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ნებისმიერი შემთხვევის წყალობით მიღებული ინფორმაცია, საკუთარი და სხვისი გამოცდილება, რაც უნდა შევიდეს საწარმოში შექმნილ საინფორმაციო ბანკში.

ის, რომ საჭიროა ყველანაირი ინფორმაციის შეგროვება, შეიძლება დავინახოთ შემდეგ მაგალითზე. გერმანული DIN სტანდარტით, გერმანიის გზებზე მოძრაობისას მანქანაში აუცილებლად უნდა იყოს პატარა აფთიაქი, იმავე სტანდარტით გათვალისწინებული აუცილებელი წამლებით და სამედიცინო საშუალებებით. ასეთის უქონლობის შემთხვევაში ავტომობილს არა თუ არ შეუშვებენ და არ გაატარებენ ტრანზიტად გერმანიის გავლით, არამედ პოლიციას შეუძლია ავტომობილი დააპატიმროს კიდეც. ასევე დიდი პრობლემები შეიძლება შეექმნას მეწარმეს, თუ გერმანული სტანდარტების შესაბამისად ავტომობილზე არ ექნება სახელმწიფო სარეგისტრაციო სინათლის ამრეკლი ნომრები.

6.4. საქონლის შტრიხული კოდირება

უკანასკნელი 10-15 წელია საქონლის შტრიხულმა კოდირებამ მოიცვა დასავლეთის მრეწველობა, ვაჭრობა, ფოსტა, ტრანსპორტი, საბანკო საქმე.

თავისი არსით შტრიხული კოდი სხვა არაფერია, თუ არა დიდი ინფორმაციის მოხერხებულად და კომპაქტურად კომპიუტერში შეტანის და საჭირო დროს გამოტანის საშუალება. ჩვენ შტრიხულ კოდს შევადარებთ კომპიუტერის დისკურ კასეტებს იმ მხრივ, რომ აქაც ჩაწერილია დიდი ოდენობის ინფორმაცია, ოღონდ საქონლის კოდირებისას გამოიყენება არა სპეციალური ფირფიტები, არამედ საქონლის, მისი ტარის ან შეფუთვის ფაქტურა. ასეთნაირად დატანებული კოდიდან შეიძლება საქონლის "ამოცნობა", იდენტიფიკაცია და ამ საქონლის თაობაზე ყველანაირი ინფორმაციის მოპოვება.

ასეთი კოდი გარკვეულწილად საქონლის ხარისხის სერტიფიკატიცაა, რადგან ასახავს ხარისხის ყველა საჭირო მახასიათებელს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ამ საქონლის რეალიზაციის ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა ისე, რომ არ იქნეს ჩატარებული ძვირადღირებული კვლევა და გამოცდები.

პირველად შტრიხ-კოდები გამოყენებული იქნა სამოციანი წლების ბოლოს აშშ-ში და კანადაში. მაშინ შეერთებულ შტატებში შეიქმნა ჩრდილოეთ ამერიკული შტრიხ-კოდების ასოციაცია - UCC. კოდირებამ უმალ შექმნა საშუალება საქონლის თანმხლები დოკუმენტების მინიმუმამდე დაყვანისა და შემდგომში მათი კომპიუტერული დამუშავებისა.

მოგვიანებით ევროპაში ფეხი მოიკიდა ახალმა ევროპულმა სისტემამ, რომელიც შეიქმნა 1977 წელს კოდირების ევროპული სისტემა EAN-ის სახელწოდებით. შემდგომში შეიქმნა შტრიხ-კოდების სხვა სისტემები, როგორიცაა "ორი ხუთიდან", "93", "Codabas", "Code in" და სხვა, მაგრამ, საბოლოოდ შემორჩა და ფართოდ მოიკიდა ფეხი 1973 წელს აშშ-ში შექმნილმა უნივერსალურმა სისტემამ - UPC და ევროპულმა - EAN. ამერიკული და ევროპული საქონლის კოდირება ოთხმოცდაათ პროცენტამდე ხდება ამ ორი სისტემისაგან ერთ-ერთით და უკვე ზოგიერთ ქვეყნებში საქონლის იმპორტირების და ამ ქვეყნებიდან საქონლის ექსპორტირების აუცილებელ პირობად იქცევა.

შტრიხ-კოდების საქართველოში დაუნერგაობას შეეძლო გამოედევნა ქართული საქონელი საერთაშორისო ბაზრიდან და ამიტომ 1996 წლის მაისში საქართველო გახდა შტრიხ-კოდის მფლობელთა საერთაშორისო ორგანიზაციის (EAN-International-ის) წევრი და პირველი შენატანის, ორი ათასი დოლარის საფასურად მიიღო პერსონალური სამნიშნა კოდი "486".

EAN-13 ცამეტნიშნა კოდია, რომლის პირველი სამი ნიშანი აღნიშნავს ქვეყანას (ამრიგად, ყველა საქონელი, რომლის კოდი 486-ით იწყება, საქართველოში წარმოებული საქონელია). შემდეგი ოთხი ციფრი წარმოების (ფირმის) მაჩვენებელია. მათ რიგითობას განსაზღვრავს ნაციონალური ასოციაცია. თუ ასეთი წარმოებების რაოდენობა 10 ათასს გადაცილდება, სახელმწიფო აცეთებს განაცხადს კიდევ ერთ სახელმწიფო კოდზე. დარჩენილი ხუთი ციფრით აღინიშნება საქონლის სახე. იმავე დროს, საერთო შეთანხმებით, თუ კოდის აღნიშვნა იკავებს ეტიკეტის ერთ მეოთხედზე მეტს, დასაშვებია ცამეტნიშნიანი კოდის შეცვლა რვანიშნიანი EAN-8.

მსოფლიოში აგრეთვე იყენებენ 128-ნიშნიან კოდს კონტეინერების და დაბრუნებადი ტარის მარკირებისათვის. EAN-International დღეს ასამდე ქვეყანას აერთიანებს. საქართველოდან პირველი შტრიხ-კოდის პირველი მატარებლები არიან "მარტინ ბაუერი", "საქართველოს ღვინის წარმოების კომპანია", "ლილო", "რუსთავი" და სხვები. აჭარის მცენარეული წამლების მწარმოებელ ფირმას მიღებული აქვს თავისი პროდუქციისათვის 28 ნიშნიანი კოდი. საქართველოში ასოციაციის წევრობის შესატანია 600 ლარი, მაშინ, როცა დასავლეთში შტრიხ-კოდის უფლება 2000 დოლარამდე ღირს.

ასოციაცია დამკვეთს აძლევს გარანტიას სპეციალური მოწყობილობის "ფილბ-მასტერის" (რომლის მეშვეობით იბეჭდება შტრიხ-კოდი), ასევე "წამკითხავი" მოწყობილობის მიწოდებაზე.

ამჟამად EAN-International-ს გაეროსთან ერთად შემუშავებული აქვს მონაცემების გლობალური ბაზა EAN-com, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე ყველა საქონლის მოძრაობის დაფიქსირება.

პირველად EAN-com აისახება კომპიუტერულ ქსელში "ედიფაქტი", რომელიც გაეროს ეკუთვნის. ახლო მომავალში ამ ქსელში ჩაერთვებიან მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების საბაჟო სამსახურები და შემდეგ ცალკეული

სავაჭრო ორგანიზაციებიც. ეს ყველა მეწარმეს საშუალებას მისცემს ამ ქსელიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აწარმოოს საკუთარი სამარკეტინგო კვლევა.

6.5. სავალდებულო სერტიფიკაცია საქართველოში

1996 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ". იმავე დღეს, ამასთან დაკავშირებით, ძალაში შევიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის "საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული საქონლის შემოტანის წესი".

ამ წესის შესაბამისად, უცხოური საქონელი ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაშვებას, თუ ის შეესაბამება საქართველოში დადგენილ სერტიფიკაციის მოთხოვნებს.

საქსტანდარტის მიერ დადგენილი ფორმის **შესაბამისობის სერტიფიკატი** წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს პროდუქციის შესაბამისობას საქართველოში მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან. საქართველოს სერტიფიკაციის სისტემის სერტიფიკატი ივსება ქართულ ენაზე და საქონლის თითოეულ პარტიაზე გაიცემა ერთ ეგზემპლარად.

საქართველოს შესაბამისობის სერტიფიკატი შეიძლება აგრეთვე წარმოადგენდეს საზღვარგარეთის სერტიფიკატის აღიარების დადასტურებას და მაგივრობა გაუწიოს მას საქართველოს ტერიტორიაზე.

სერტიფიკატის თუ შესაბამისობის ნიშნის (რომლებიც უნდა გაიცეს საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ), თანხლება იმპორტულ საქონელზე თავიდანვე უნდა ჩაიდოს ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებში.

სერტიფიკაციას ექვემდებარება შემდეგ საბაჟო რეჟიმებში მოსათავსებელი საქონელი:

- თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმი;
- რეიმპორტის საბაჟო რეჟიმი;

- საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების საბაჟო რეჟიმი;

- საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმი (იმ ნაწილში, რომელიც ეხება გადამუშავების პროდუქტების შემოტანას).

საბაჟო რეჟიმებისაგან დამოუკიდებლად, სერტიფიკატის წარდგენის გარეშე გაიშვება შემდეგი საქონელი:

- საქონელი, განკუთვნილი ოფიციალური გამოყენებისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლობების და საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე მათი პერსონალის მიერ;

- საქონელი, შემოტანილი ფიზიკური პირების მიერ, რომელიც არ არის განკუთვნილი საწარმოო ან სხვა კომერციული საქმიანობისათვის, ე.ი. ფიზიკური პირის ქონება შეიძლება გაშვებული იქნეს სერტიფიკატების წარმოდგენის გარეშე.

თუ ხსენებული საქონელი იქნა გასხვისებული, ის ექვემდებარება სერტიფიკაციას.

საბაჟო ორგანოებს რწმუნებული სერტიფიკაციის ორგანოს სერტიფიკატი უნდა წარედგინოს დეკლარაციასთან ერთად. ამასთან ერთად, სერტიფიკატის მონაცემები უნდა აისახოს დეკლარაციის 44-ე გრაფაში მე-6 ქვეპუნქტის სახით და შეიცავდეს: სერტიფიკატის გამცემი ორგანოს შემოკლებულ დასახელებას; სერტიფიკატის ნომერს და მისი გაცემის თარიღს და სერტიფიკატის მოქმედების ვადას. საბაჟო ფორმალობების და სხვა მიზნებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სერტიფიკატის ასლი. ასეთი ასლი დამოწმებული უნდა იყოს: ნოტარიუსის მიერ; სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ; საქართველოს საკონსულო დაწესებულების მიერ.

თავი VIII

საბაჟო კონტროლი და გაფორმება

1. საბაჟო კონტროლის ფორმები და მეთოდები

საბაჟო საქმიანობის სფეროში ანსხვავებენ საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლს.

საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი შეიძლება იყოს:

1. საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას (იმპორტირებისას);
2. საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას (ექსპორტირებისას);
3. საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გავლით საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას (ტრანზიტისას).

საქონლის მახასიათებლების მიხედვით საბაჟო კონტროლი შეიძლება დავყოთ ქვეჯგუფებად:

1. საერთაშორისო გადაზიდვების ტვირთების კონტროლი;
2. იმ ბარგის კონტროლი, რომელიც ფიზიკურ პირს ჩაბარებული აქვს სატრანსპორტო ორგანიზაციისათვის და გადაიზიდება მისი უშუალო თანხლების გარეშე;
3. ხელბარგის და მგზავრის თანხლებით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ბარგის კონტროლი;
4. ფიზიკური პირის პირადი საბაჟო კონტროლი.

სატრანსპორტო საშუალებების სახეობების მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ:

1. საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების (გემების) საბაჟო კონტროლი;

2. სარკინიგზო ტრანსპორტის საბაჟო კონტროლი;
3. საჰაერო ხომალდების საბაჟო კონტროლი;
4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი.

უცხო ქვეყნებთან საბაჟო კონტროლის საქმეში თანამშრომლობის სახეობების მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ:

1. ორმხრივი საბაჟო კონტროლი, როცა საბაჟო კონტროლს ახორციელებს ორივე ქვეყნის საბაჟო სამსახურები;
2. ცალმხრივი საბაჟო კონტროლი, როცა ორივე ქვეყნის საბაჟო ორგანოები ერთობლივად ახორციელებენ საბაჟო კონტროლს (მაგალითად, სამგზავრო მატარებლებისა და ავტობუსების საბაჟო კონტროლისას კონტროლის პროცესის დაჩქარების მიზნით).

საბაჟო კონტროლი შეიძლება იყოს ერთჯერადი და ორჯერადი. თუ საბაჟო საზღვრის გადალახვა ხდება ერთ მხარეს, საბაჟო კონტროლი ერთჯერადია. ხოლო თუ ტვირთები მოკლე დროში საზღვარს გადალახავენ საპირისპირო მიმართულებით ან სხვა საბაჟო გამშვები პუნქტით, ტარდება განმეორებითი საბაჟო კონტროლი.

ფორმების მიხედვით გამოყოფენ დოკუმენტურ და ფაქტობრივი კონტროლის ფორმებს. პირველი გულისხმობს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დოკუმენტების შემოწმებას, მეორე კი, თავის მხრივ, იყოფა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებად და საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმებად. პირველ შემთხვევაში კონტროლი ატარებს ვიზუალური დათვალიერების ხასიათს, მეორე კი გულისხმობს საფუძვლიან შემოწმებას, ზოგჯერ ტარა-შეფუთვის გახსნით, ლუქის მოხსნით, შესაძლო სამალავების მოძიებით და ა.შ.

საბაჟო კონტროლის მეთოდები წარმოადგენენ კონტროლის ხერხებისა და მათი გამოყენების ერთობლიობას. ასეთ მეთოდებს შორის შეიძლება დავასახელოთ:

ა) ჩვეულებრივი კონტროლი, რომელიც ხორციელდება საბაჟო პუნქტში შემოსულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე;
ბ) საბაჟო კონტროლი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას;
გ) სრული კონტროლი ყველა არსებული ხერხით;
დ) შერჩევითი კონტროლი და ა.შ.

საბაჟო კონტროლის სახეები, ფორმები და მეთოდები მათი პრაქტიკული გამოყენებისას მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

საბაჟო წესები ყალიბდებოდა ისტორიულად. ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი საბაჟო წესები ჰქონდა, რომლებიც ემსახურებოდა ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს. მიუხედავად ნაციონალური თავისებურებებისა, საბაჟო წესების რაციონალურობისათვის ყველა ქვეყანა მოგვიანებით იძულებული გახდა შემოეღო ისეთი საბაჟო წესები, რომლებიც ჩაეტეოდა გარკვეულ საზღვრებში: საბაჟო წესები არ უნდა ყოფილიყო იმდენად მკაცრი, რომ მოეშალა ამ ქვეყნის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და არც იმდენად ლიბერალური, რომ დაეზარალებინა ქვეყანაში სამამულო წარმოება და შიგა ბაზარი და სახელმწიფოს ხელიდან გაეშვა შესაძლო შემოსავალი საბაჟო გადასახადიდან.

ერთი და იგივე პრინციპებზე საბაჟო წესების აგებამ, დიდი ხნის განმავლობაში მათმა გამოცდამ და დაზუსტებამ, ქვეყნების ეკონომიკურმა კავშირებმა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის სურვილმა თანდათანობით დააახლოვა სხვადასხვა ქვეყნების საბაჟო წესები და დასაბამი მისცა საბაჟო სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და ჩვეულებების (ჩვევების) ჩამოყალიბებას.

საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის წესებიც, თუმცა ისინი წმინდა ნაციონალურია და ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იმავე დროს ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ ჩვეულებებს და ამიტომ არც აკვირვებს და არც პროტესტს იწვევს უცხოელი ეკონომიკური პარტნიორების და საქართველოს სხვა სტუმრებისას.

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, საგრძნობლად იმატა მგზავრთა და ტვირთების ნაკადმა. საქართველო თანდათან ყალიბდება სატრანზიტო ქვეყნად და ეს ნაკადებიც, ბუნებრივია, გაიზრდება. საბაჟო კონტროლის გამარტივება და დაჩქარება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის) და საბაჟო ორგანოების უპირველესი ამოცანაა. ეს ამოცანა არ არის ვიწრო ნაციონალური და საბაჟო კონტროლის პროცედურების რეგლამენტაცია მოცემულია მთელ რიგ საერთაშორისო, მრავალმხრივ და ორმხრივ დო-

კუმენტებში. ქვეყანათა ზოგიერთ რეგიონულ გაერთიანებებში თანდათან საერთოდ იშლება საბაჟო საზღვარი და ეს უპირველესად იწყება საბაჟო კონტროლის ლიბერალიზაციით და ქვეყნების ერთობლივი ბრძოლით ნარკოტიკების, იარაღის და სხვა აკრძალული ბიზნესის წინააღმდეგ.

საბაჟო კოდექსის 123-ე მუხლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბაჟო კონტროლს ახორციელებს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირი. აქედან გამომდინარე, სხვა არავის, არცერთ სახელმწიფო თუ სხვა უწყების თანამშრომელს თუ რაგინდ მაღალი თანამდებობის პირს, არ აქვს უფლება შეამოწმოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ გამავალი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

კოდექსის 123.1 მუხლში საკმაოდ დაწვრილებითაა მოცემული საბაჟო კონტროლის ობიექტების და ფორმების ჩამონათვალი. ჩვენის მხრივ დავუმატებდით, რომ ასეთ ჩამონათვალს შეიძლება მივაკუთვნოთ უშუალოდ კონტროლის ობიექტთან „უკონტაქტო“ საბაჟო კონტროლის ისეთი ფორმები, როგორიცაა კვლევა, ანალიზი, პროგნოზირება, ღონისძიებების დაგეგმვა და ა.შ.

როგორც საბაჟო გაფორმებისას, ასევე საბაჟო კონტროლის განხორციელებისას კონტროლის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს საბაჟო დეკლარაცია.

2. საბაჟო კონტროლის განხორციელების ეტაპები

თავად საბაჟო კონტროლი შეიძლება პირობითად დავყოთ ხუთ ეტაპად.

პირველ ეტაპზე ხორციელდება დეკლარაციის მონაცემების ფორმალურ-ლოგიკური კონტროლი.

ამისათვის საბაჟოს სატვირთო თუ ოპერატიული განყოფილების თანამშრომლებმა სპეციალური კომპიუტერული პროგრამით უნდა გადაამოწმონ საბაჟო დეკლარაციის უტყუარობა. თუ ასეთი ტექნიკა არ არის, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირმა ვიზუალურად უნდა გადაათვალი-

ეროს საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის შევსების სისწორე და თანმხლები დოკუმენტების შესაბამისობა გაცხადებული რეჟიმისადმი და საქონლის ამ სახისადმი. პირველი ეტაპი მთავრდება ან დეკლარაციის მიღებით, რასაც მოწმობს შესაბამისი ჩანაწერი საბაჟო დეკლარაციის მე-8 გრაფაში, ან დეკლარაციის დაბრუნებით დეკლარანტისათვის, რათა მან გამოასწოროს დეკლარაციაში დაშვებული შეცდომები.

საბაჟო კონტროლის პირველ ეტაპზე მოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება საბაჟო დეკლარაციაში შეტანილი მონაცემები ამ საქონელზე სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების მონაცემებს, იმ მონაცემებს, რომლებიც მოყვანილია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებაში (კონტრაქტში) და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც არჩეული რეჟიმის მოთხოვნის შესაბამისად თან უნდა ახლდეს დეკლარაციას. ამის შემდეგ ყველა წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტის (კონოსამენტის, სარკინიგზო, საავიაციო და საავტომობილო ზედდებულის) ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა იქნეს დასმული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის სარეგისტრაციო ნომერი (ის, რომელიც ჩაიწერა დეკლარაციის მე-8 გრაფაში).

პირველ ეტაპზე აგრეთვე მოწმდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის არასატარიფო რეგულირების ცნობები და დოკუმენტები (ლიცენზიები, სერტიფიკატები, სახელმწიფო ორგანოების ნებართვები). ასევე პირველ ეტაპზე მოწმდება საბაჟო დეკლარაციაში საქონლის საიდენტიფიკაციო მონაცემების სისრულე.

მეორე ეტაპზე საბაჟო კონტროლის საგანია საგადასახადო ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ამ დროს ასევე მოწმდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სავალუტო კანონმდებლობის დაცვა.

მესამე ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო გადასახადების გადახდის სისწორეს, საბაჟო-სატარიფო პრეფერენციების გამოყენების მართებულობას, ახორციელებენ გადასახადების საბაჟო ანგარიშებზე შემოსვლის კონტროლს.

მეოთხე ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო დეკლარაციის იმ გრაფების სისწორეს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საბაჟო სტატისტიკა.

მეხუთე ეტაპზე საბაჟო ორგანოს სატვირთო (ოპერატიული) განყოფილების უფროსი ან სხვა უფლებამოსილი პირი ღებულობს გადაწყვეტილებას საქონლის შემოწმების შესახებ.

თუ საბაჟო ორგანოს სატვირთო (ოპერატიული) განყოფილების უფროსი ან სხვა უფლებამოსილი პირი ღებულობს გადაწყვეტილებას არ ჩაუტაროს საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებას საბაჟო შემოწმება, ის საბაჟო დეკლარაციის პირველი ფურცლის უკანა მხარეს, ციფრი „5"-ის ქვეშ აკეთებს შესაბამის ჩანაწერს, რასაც ამოწმებს საკუთარი ხელმოწერით და საკუთარი ნომრიანი ბეჭდით.

როცა მთავრდება საბაჟო კონტროლის ხუთივე ეტაპი, სატვირთო დოკუმენტში ისმება შტამპი „გაშვება ნებადართულია". ეს შტამპი, აგრეთვე საბაჟო დეკლარაციის ნომერი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, დაესმება სატვირთო დოკუმენტს ზედა მარჯვენა კუთხეში, აუცილებლად უნდა იქნეს დამოწმებული საბაჟოს სატვირთო (ოპერატიული) განყოფილების უფროსის მიერ ან მისგან რწმუნებული პირის მიერ. სხვა თანამშრომლებისათვის შტამპის გადაცემა აკრძალულია.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს ორგანოლეპტიკური (გრძნობის ორგანოებით შემოწმების) მეთოდები — მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს, შეხების საშუალებით კონტროლი. უფრო ობიექტურია სხვადასხვა საზომი ხელსაწყოსა და მოწყობილობის გამოყენება, ხოლო ზოგ შემთხვევაში საქონლის თვისებებისა და მახასიათებლების დასადგენად დასაშვებია საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება ლაბორატორიული გამოკვლევისათვის.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს სპეციალური ტექნიკური საშუალებებიც იმ პირობით, რომ ისინი არ მოუტანენ ზიანს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე ცხოველებსა და მცენარეებს, არ დააზიანებენ საქონელს და სატრანსპორტო საშუალებებს და არ დააზარალებენ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საზღვარზე გადამაადგილებელ პირებს.

სპეციალური კონტროლის ტექნიკური საშუალებანი შეიძლება განიმარტოს, როგორც საბაჟო კონტროლისათვის გამოსაყენებელი სპეციალური ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება უშუ-

ალოდ ოპერატიული საბაჟო კონტროლის განხორციელებისას და ყველა სახის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადასაადგილებელი) საქონლისათვის, რათა დადგინდეს შეესაბამება თუ არა ეს საქონელი დეკლარირებულს და აგრეთვე შემოტანისათვის (გატანისათვის) აკრძალული მასალების, საგნების და ნივთიერებების გამოსავლენად.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებანი, როგორც წესი, განკუთვნილია ცალკეული საბაჟო კონტროლის ოპერაციებისათვის:

ა) საბაჟო დოკუმენტების და საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტების უტყუარობის დასადგენად გამოიყენება გამადიდებელი შუშები და ხელსაწყოები, მათ შორის, ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით, რაც შესაძლებელს ხდის შესწორებული, გადაშლილი და სხვა ხერხით გაყალბებული დოკუმენტების დადგენას;

ბ) კონტრაბანდული და აკრძალული საქონლის, ასევე შეფუთულ, თვალს მოფარებულ სათავსში საქონლის „დასანახად", გამოიყენება კონვირული ტიპის რენტგენოსატელევიზიო აპარატები, რენტგენოაპარატები — პირდაპირი ხედვის ფლუოროსკოპები, ენდოსკოპების ნაკრებები, მავთულის საცეცები, ლითონის მაძიებლები, ლითონის დეტექტორები და სხვა;

გ) საბაჟო კონტროლის ობიექტების სწრაფი იდენტიფიკაციის ექსპრეს-ანალიზისათვის — სხვადასხვა ანალიზატორები, ექსპრეს-იდენტიფიკატორები და სხვა;

დ) საბაჟო კონტროლის ზონის ოპერატიული თვალთვალისათვის — რადიოლოკაციური ტიპის აპარატები, ტექნიკურ საშუალებებთან შერწყმული ოპტიკური და ოპტიკურ-სატელევიზიო თვალთვალის ისეთი საშუალებები, რომლებიც მუშაობენ ნებისიმერი ხილვადობის დროს; სხვა ოპტიკური აპარატურა: მონო და სტერეოდურბინდები, ინფრაწითელი სათვალთვალო ხელსაწყოები, ტელეკამერები და სხვა;

ე) აუდიო-ვიდეო ინფორმაციის მატარებელი საქონლის შესამოწმებლად — დიქტოფონები, აუდიოპლეიერები, მაგნიტოფონები, ფოტო და კინოფირების, სლაიდების, მიკროფირების და სხვა გამჟღავნებული ფირების დასათვალიერებელი მოწყობილობა; ვიდეოპლეიერები და ვიდეომაგნიტოფონები და სხვა;

ვ) ხელსაწყოების ნაკრებები, რომელთა მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ხელბარგის მცირე ზომის საგნების, ბარგის, საფოსტო გზავნილების, ასევე ყუთებისა და კონტეინერების გახსნა და შეფუთვის აღდგენა;

ზ) საბაჟო ატრიბუტებით დადაღვისა და ნიშანდებისათვის — პლომბირატორები, რულონური მწებავი ლენტები საბაჟო მარკირებით, სპეციალური ნიშანდების ნიშნები;

თ) დოზიმეტრიული კონტროლის ხელსაწყოები, სასწორები, საზომი მოწყობილობანი, დენით კვების წყაროები და სხვა.

სასურველია, რომ საბაჟო კონტროლის ცალკეული ეტაპების კონტროლი განახორციელონ სხვადასხვა პირებმა.

საბაჟო კოდექსის მიღებამდე გაუთავებელი კამათის საგანი იყო საბაჟო ორგანოების და სახელმწიფო კონტროლის სხვა სამსახურების (სამედიცინო-სანიტარული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის, ხარისხის კონტროლის) ურთიერთობა. მებაჟეები თვლიდნენ, რომ ამდენჯერი კონტროლი საზღვრის გადაკვეთისას და კიდევ გზასთან დაკავშირებული უწყებების მიერ სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი და საგზაო ფონდში გადასახადების გადახდევინება ზედმეტად ართულებდა და ახანგრძლივებდა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებით საზღვარზე გადაადგილების პროცესს. თავის მხრივ, საბაჟო საზღვარზე სხვა სახელმწიფო კონტროლის უწყებები თვლიდნენ, რომ მათი ადგილი და უფლებები სასაზღვრო კონტროლის განხორციელებაში ილახებოდა საბაჟო ორგანოების მიერ და თავისი ფუნქციების განსახორციელებლად მოითხოვდნენ საბაჟო ორგანოებთან თანაბარ უფლებებს და ადგილს საბაჟო საზღვარზე.

საქართველოს კანონმდებლებმა საბაჟო კოდექსის 134-ე მუხლი მოიყვანეს ჟენევის 1992 წლის „საზღვრებზე ტვირთების კონტროლის კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველ ნაწილთან შესაბამისობაში: „ერთ ადგილას რამდენიმე სახის კონტროლის ჩატარების საჭიროებისას, კომპეტენტური სამსახურები ღებულობენ ზომებს, რათა ასეთი შემოწმებები ჩატარდეს ერთდროულად და შესაძლო მოკლე დროში. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა კოორდინირება გაუკეთონ მათ მოთხოვნილებებს დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე“.

ასევე გათვალისწინებულია კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპი: „1. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟოები განლაგებულია ყველა საზღვარზე და მათი მუშაობის საერთო ხასიათიდან გამომდინარე, ყველა სხვა სახის კონტროლის ორგანიზაცია, შეძლებისდაგვარად უნდა იყოს კოორდინირებული საბაჟო კონტროლთან. ამ პრინციპის განხორციელებისათვის, ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია ყველა ან ზოგიერთი სახის კონტროლის ჩატარება არა საზღვარზე, არამედ ქვეყნის შიგნით, იმ პირობით, რომ ეს ხელს შეუწყობს ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების გაიოლებას".

124-ე მუხლის 1 ნაწილით მედიკო-სანიტარული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის და ხარისხის კონტროლი საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთისას უნდა მოხდეს საბაჟო კონტროლთან კოორდინაციაში.

კოდექსის 124.1 მუხლის მითითება საბაჟო და სხვა სახელმწიფო კონტროლის ურთიერთკოორდინაციის შესახებ, ჩვენის აზრით, გაგებული უნდა იქნეს ისე, რომ თითოეული ასეთი მაკონტროლებელი ორგანო დააწესებს მასზე მინდობილი სფეროს კონტროლს საბაჟო საზღვარზე სპეციალური დებულებისა თუ ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც აუცილებლად შეთანხმებული იქნება საბაჟო დეპარტამენტთან, ან ეს კონტროლი სულაც ერთობლივი ხასიათის იქნება. ასეთი ერთობლივი კანონქვემდებარე აქტის შედგენისას საბაჟო დეპარტამენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სხვა მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობა უნდა განხორციელდეს საბაჟო კონტროლთან ერთობლივად დროსა და სივრცეში, ისე, რომ სხვა სახის სახელმწიფო კონტროლმა არ გაზარდოს ან მინიმალურად გაზარდოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაყოვნება საბაჟო საზღვარზე.

უფრო მეტიც, თუ ამის შესაძლებლობა არის და მხარეები თანახმანი არიან, 123.2 მუხლის თანახმად სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებს შეუძლიათ საბაჟო საზღვარზე კონტროლის უფლებებსა და მოვალეობებს მთლიანად ან ნაწილობრივ გაუკეთონ საბაჟო ორგანოებზე დელეგირება. ასეთს, მაგალითად, შეიძლება ჰქონდეს ადგილი ისეთ საბაჟო გამშვებ

პუნქტებში, სადაც იშვიათად ხდება მაკონტროლებელ ორგანოებს დაქვემდებარებული ტვირთის გატარება და აზრი არ აქვს ამ ორგანოს მუდმივმოქმედი პოსტის დაარსებას.

საბაჟო კოდექსმა „შეუშვა“ სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები საბაჟო კონტროლის ზონაში, რითაც აღკვეთა სატრანსპორტო საშუალებების ზედმეტი საკონტროლო გაჩერებები ტრასებზე და იმავე დროს განსაზღვრა, რომ „საბაჟო კონტროლის ზონაში ამ სამსახურების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საბაჟო დეპარტამენტი“.

ამ მუხლში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ყველა სახის სახელმწიფო კონტროლის დამთავრების და გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდის შემდეგ“.

ამრიგად, კოდექსმა გაითვალისწინა საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნა, რათა სახელმწიფოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ყველა სახის სახელმწიფო კონტროლი (საბაჟო, მედიკო-სანიტარული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის და ხარისხის) განხორციელდეს და ყველანაირი გადასახადები (საბაჟო, საგზაო, ეკოლოგიური და ა.შ.) გადახდევინებული იქნეს ერთობლივად, ერთ დროსა და სივრცეში.

როგორც უკვე ითქვა, საბაჟო და სხვა ყველა სახის კონტროლი საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ (გადასაადგილებელ) საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე და ამასთან დაკავშირებული ყველანაირი გადასახდელების გადახდა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე — საბაჟო კონტროლის ზონებში.

საბაჟო კონტროლის ზონები იქმნება იქ, სადაც ხდება საბაჟო საზღვრის გადმოლახვა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, სადაც ხდება საბაჟო გაფორმება, სადაც განლაგებულია საბაჟო ორგანოები და საბაჟო დეპარტამენტის მიერ დადგენილ სხვა ადგილებში.

საბაჟო ტერიტორიისაგან (რომელიც წარმოსახვითი ცნებაა), განსხვავებით საბაჟო კონტროლის ზონა კონკრეტული მიწის ნაკვეთია, თავისი, უმეტეს შემთხვევებში შემოღობილი და დაცული ტერიტორიითა და საზ-

ღვრებით. საბაჟო კონტროლის ზონაში მოქმედებს სპეციალური რეჟიმი, რომელიც გამოირჩევა ყველა სხვა ტერიტორიისაგან იმით, რომ ამ ზონაში ტვირთების გადაადგილება მკაცრად არის რეგლამენტირებული, ხოლო საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს ენიჭებათ დამატებითი უფლებამოსილებანი. რეგლამენტირებულია საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლა და გამოსვლა როგორც ტვირთით, ისე უტვირთოდ. საბაჟო კონტროლის ზონას აქვს თავისი შინაგანაწესი, რომლის დარღვევისათვის შეიძლება დამრღვევს მიეცეს გაფრთხილება ან დაჯარიმდეს კიდეც.

საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენობა-ნაგებობების და საბაჟო საწყობების გარდა საბაჟო კონტროლის ზონაში შეიძლება იმყოფებოდეს მგზავრების, საქონლის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ინფრასტრუქტურა: ფოსტა-ტელეგრაფი, კვების ობიექტები, ავტოსამრეცხაო, ავტოშემკეთებელი და ავტოგასამართი სადგურები, მაღაზიები, სასტუმრო და ა.შ.

საბაჟო კონტროლის ზონებში ინფრასტრუქტურის ყველა ობიექტი შეიძლება აიგოს და ფუნქციონირებდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვის და მისი კონტროლის ქვეშ. ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წაეყენება საბაჟო საწყობებს და სხვა ფუნქციონალურ შენობა-ნაგებობებს, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ზონაში საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლა და გასვლა შეუძლებელი იყოს საბაჟო ორგანოების გვერდის ავლით. ასევე საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები დაცული უნდა იქნეს უცხო პირების მიერ ხელყოფისაგან.

საბაჟო კონტროლის ზონა უნდა იმყოფებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ. ეს ნიშნავს, რომ საბაჟო ორგანოს საშუალება უნდა ჰქონდეს თვალყური ადევნოს საბაჟო კონტროლის ზონის მთელ პანორამას, მიიღოს ინფორმაცია ცნობილი თუ უცნობი პირების ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ, რათა: გამოავლინოს საბაჟო კონტროლისაგან თავის არიდების მიზნით ნივთებისა და ნივთიერებების გადამალვა, სხვა პირებზე გადაცემა, თანამშრომელთა (ნავსადგურის, აეროდრომის, რკინიგზის, მტვირთავების და ა.შ.) უსაფუძვლო დაინტერესება ტვირთებით, ბარგით, კონტეინერებით, სატრანსპორტო საშუალებებით და სხვა.

საბაჟო კონტროლის ზონის ვიზუალურ თვალთვალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზღვაო ნავსადგურებში და აკვატორიულ და შიგა წყლებზე, რათა გამოირიცხოს საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ გემებთან უცხო მცურავი საშუალებების მიდგომა, გემზე რაიმეს ატანა ან გემიდან ჩამოტანა.

განსაკუთრებული დაკვირვების საგანი უნდა იყოს შიგა საბაჟო კონტროლის ზონები — საერთაშორისო აეროპორტებში მოფრენის და გაფრენის ზონები და სექტორები, საზღვაო ნავსადგურების სამგზავრო დარბაზები, რკინიგზის და საავტომობილო ვაგზლების მგზავრების კომპლექტაციის ადგილები და ზოგიერთი სატვირთო სათავსოები.

მგზავრთბრუნვის დასაჩქარებლად 1981 წლის 9 ივნისს საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ მიიღო შეთანხმება „ავიამგზავრების საბაჟო კონტროლის გამარტივების შესახებ ორარხიანი სისტემის საფუძველზე". ამ სისტემით საბაჟო კონტროლის ზონაში მგზავრები საბაჟო კონტროლის ზონას ტოვებენ ორიდან ერთი გასასვლელით, „მწვანეთი" თუ „წითლით". „მწვანე" გასასვლელით საბაჟო კონტროლის ზონიდან გადიან ისინი, ვისაც არ აქვთ თან ნივთები (საქონელი), რომელიც ექვემდებარება საბაჟო გადასახდელების გადახდას ან სპეციალურ ნებართვას. ყველა სხვა შემთხვევაში მგზავრი ირჩევს „წითელ" დერეფანს და ადგენს საბაჟო დეკლარაციას.

როგორც ერთხელ აღვნიშნეთ, „მწვანე" დერეფნის არჩევა უსიტყვო დეკლარირების ტოლფასია („არაფერი მაქვს ისეთი, რაც ექვემდებარება დეკლარირებას").

ბუნებრივია, საბაჟო ორგანო იტოვებს უფლებას ჩაუტაროს საბაჟო შემოწმება ცალკეულ პირებს. ამისათვის „მწვანე" დერეფანში გამავალნი და მათი ხელბარგი იმყოფებიან ვიზუალური კონტროლის ქვეშ და მებაჟე პერიოდულად ირჩევს კონტროლის სუბიექტს თავის გამოცდილებაზა და ალღოზე დაყრდნობით.

საბაჟო კონტროლზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ყოფნის დრო განსაზღვრულია საბაჟო კოდექსის 126-ე მუხლით. საბაჟო კონტროლის დაწყების და დამთავრების დრო არ ემთხვევა საბაჟო გაფორმების დაწყებისა და დამთავრების დროს. ეს ადვილი ასახსნელია.

საქონელი და სატრანსპორტო საშუალება საბაჟო კონტროლზე უნდა იქნეს აყვანილი იმ მომენტიდან, როცა ის გადმოლახავს საქართველოს საბაჟო საზღვარს, ხოლო საბაჟო გაფორმება როგორც აღნიშნულ, ასევე სხვა საბაჟო რეჟიმებისას იწყება მაშინ, როცა დეკლარანტი წარმოუდგენს საბაჟო ორგანოს გასაფორმებლად საქონელს, სატრანსპორტო საშუალებას და დეკლარაციას.

თუ საბაჟო გაფორმება მთავრდება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებით, ამავე მომენტში მთავრდება საბაჟო კონტროლიც. ყველა სხვა შემთხვევაში კი საბაჟო კონტროლი ვრცელდება საბაჟო რეჟიმის დამთავრებამდე.

3. დოკუმენტური კონტროლი

საბაჟო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია დოკუმენტური კონტროლი. შესაბამისად, საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლი საქონლის საბაჟო საზღვარზე გადამაადგილებელ პირებს, ან პირებს რომლებიც ენევიან გადაზიდვებს, ავალებს წარადგინონ საბაჟო ორგანოში საბაჟო კონტროლის გასახორციელებლად საჭირო დოკუმენტები.

დოკუმენტური კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები, თავისი დანიშნულების მიხედვით შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. სავაჭრო დოკუმენტები. მათ მიეკუთვნება კონტრაქტები, ანგარიშები, ფაქტურები, სპეციფიკაციები, ინვოისები, შეფუთვის ფურცლები და სხვა. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო სავაჭრო. დოკუმენტები მოითხოვება არა სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად, არამედ, პირველ რიგში, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ან საქმიანობის საინდენტიფიკაციოდ და ამიტომაც საბაჟო ორგანოები არ მოითხოვენ დოკუმენტების დედნებს და კმაყოფილდებიან მათი ასლებით, ზოგჯერ კი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული ამონარიდებითაც კი. ეს არ გამორიცხავს, რომ დაეჭვების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოებს არ შეუძლიათ მოითხოვონ

სავაჭრო დოკუმენტების, მაგალითად, კონტრაქტის დედნები. საბაჟო ორგანოებს ასევე შეუძლიათ მოითხოვონ კონტრაქტის მფლობელებისაგან წერილი განცხადებები სარეგისტრაციო და საბანკო რეკვიზიტებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერებით და ბეჭდით.

2. სატრანსპორტო დოკუმენტები. საბაჟო საზღვარს საქონელი ჩვეულებრივ კვეთს შემდეგი სატრანსპორტო დოკუმენტებით: კონოსამენტი, ზედდებული, საგზაო უწყისი, სავაგონო ფურცელი, გადასაცემი უწყისი, საბარგო კვიტანცია. ყველა ეს დოკუმენტი შეიძლება გამოყენებული იქნეს საქონლის იდენტიფიკაციისათვის, განსაკუთრებით რაოდენობის კონტროლის დროს.

3. საბაჟო დოკუმენტები. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტები, რომლებსაც გასცემენ საბაჟო ორგანოები. ამ დოკუმენტთაგან მთავარი და თითქმის ყოვლისმომცველია საბაჟო დეკლარაცია. ასევე არსებობს დანიშნულების საბაჟოზე გადასაცემი დოკუმენტები (მიწოდების კონტროლის დოკუმენტები), ცნობები სატრანსპორტო საშუალების (კონტეინერის) გამოყენებადობის შესახებ, რათა მათი საშუალებით და საბაჟო ბეჭდებითა და ლუქით გადაიზიდოს საქონელი, სხვადასხვაგვარი ლიცენზიები, საკვალიფიკაციო ატესტატები, რომლებსაც გასცემს საბაჟო ორგანო (საბაჟო ბროკერის, საბაჟო გადამზიდველის, საბაჟო გამფორმებლის საკვალიფიკაციო ატესტატი და სხვა) და სხვა დოკუმენტები.

4. სხვა საჭირო დოკუმენტები. ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს დამფუძნებელი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირი ეწევა საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას; ხარისხის სერტიფიკატები; საკარანტინო, ნებართვითი დოკუმენტები; სამხედრო საშვები და სხვა. ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი ყურადღებით შეისწავლება საბაჟო ორგანოების მიერ ძირითადად იმ მიზნით, რომ შემოწმდეს დეკლარანტის მიერ დეკლარირებული ცნობების სისწორე, სისრულე და შესაბამისობა საბაჟო წესებთან.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს ასევე შეუძლია მოითხოვოს სხვა დოკუმენტები.

საბაჟო გაფორმებისას ხშირად იხმარება ტერმინი **თანმხლები დოკუმენტები.**

ამ დოკუმენტებს თანმხლები იმიტომ ჰქვია, რომ, როგორც წესი ისინი გადაადგილდებიან საქონელთან და სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად გაგზავნის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე.

სასაქონლო დოკუმენტები შეიცავენ ინფორმაციას საქონლის ღირებულების, ხარისხობრივი და რაოდენობითი მონაცემების შესახებ. ღირებულების შესახებ საკმაო ინფორმაციას იძლევა ქვითარი, რომლითაც გამყიდველი მოითხოვს მყიდველისაგან ნაყიდის ღირებულების გადახდას. ჩვეულებრივ ანგარიში გამოიწერება მრავალ ეგზემპლარად და შეიძლება გამოყენებული იქნეს საბაჟო გაფორმების ყველა ეტაპზე. ასეთი ანგარიშების ყველაზე გავრცელებული ფორმებია ანგარიშ-ფაქტურა, ანგარიშ-სპეციფიკაცია, წინასწარი ანგარიში და პროფორმა-ანგარიში.

ანგარიშ-ფაქტურა **[(invoice, account** (ინგლ); **facture** (ფრ.); **Rechung, Faktura** (გერმ.)] გარდა თავისი ძირითადი დანიშნულებისა, დააფიქსიროს მყიდველის კუთვნილი თანხა, შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს როგორც იმავე საქონლის ზედდებული.

ანგარიშ-სპეციფიკაცია **[(invoice–specification, specified account** (ინგლ.); **facture–specification** (ფრ.); **Rechunger reichnis** (გერმ.)] აერთიანებს ანგარიშის რეკვიზიტებსა და სპეციფიკაციას. ასეთ ანგარიშს ჩვეულებრივ გამოწერენ მაშინ, როცა საქონლის პარტია შეიცავს სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელს. ანგარიშ-სპეციფიკაციაში მიუთითებენ როგორც ცალკეული სახისა და ხარისხის საქონლის ღირებულებას, ასევე მთელი პარტიის.

წინასწარი ანგარიში **[(preliminary invoice, provisional invoice** (ინგლ.); **facture provisoire** (ფრ.); **provisorische Rechung** (გერმ.)] შეიცავს მონაცემებს საქონლის პარტიის რაოდენობის და ღირებულების შესახებ და გამოიწერება მაშინ, როცა საქონლის მიღება ხდება მხოლოდ საქონლის დანიშნულების ქვეყანაში მიწოდების შემდეგ ან როცა მიწოდება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ.

პროფორმა-ანგარიში **[(proforma invoice, proforma account** (ინგლ.); **facture simulee** (ფრ.); **proforma–Rechung** (გერმ.)] — ასევე

შეიცავს მონაცემებს საქონლის პარტიის ფასისა და ღირებულების შესახებ, მაგრამ დანარჩენებისაგან განსხვავდება იმით, რომ არ შეიცავს ამ თანხის გადახდის მოთხოვნას. ასეთი დოკუმენტი ჩვეულებრივ გამოიწერება, როცა საქონლის მიწოდება ხდება კონსიგნაციის წესით ან მიეწოდება კამოფენებს, ბაზრობებს, აუქციონებს.

ინფორმაცია საქონლისა თუ პარტიის რაოდენობრივი მახასიათებლების შესახებ ასევე მოიპოვება ტექნიკურ დოკუმენტაციაში, სპეციფიკაციაში, შეფუთვის ფურცელში და სატრანსპორტო დოკუმენტებში.

ტექნიკური დოკუმენტაცია თან ახლავს მანქანა-მოწყობილობებს და ტექნიკური მოხმარების საქონელს, რომელიც საჭიროა ტენიკური ნაგებობების დასამონტაჟებლად და ექსპლოატაციისათვის. ტექნიკურ დოკუმენტაციას მიეკუთვნება პასპორტები, ნაწარმის ფორმულარები და აღწერილობანი, მონტაჟისა და ექსპლოატაციის ინსტრუქციები, ტექნიკური სქემები და სხვა.

სპეციფიკაცია **[(shipping specification** (ინგლ.); **specification** (ფრ.); **Spezifikation** (გერმ.)] შეიცავს ამ პარტიაში შემავალ ყველა სახისა და ხარისხის საქონლის ჩამონათვალს.

შეფუთვის ფურცელი **[(packing list, case contents note, comtent list** (ინგლ.); **specification de colis** (ფრ.); **Packzettel** (გერმ.)] შეიცავს თითოეულ სასაქონლო ადგილში (ყუთში, კონტეინერში და ა.შ.) მოთავსებული საქონლის სახეებისა და ხარისხების ჩამონათვალს.

სატრანსპორტო დოკუმენტები გამოიწერება საქონლის გადამზიდველის მიერ იმის დამადასტურებლად, რომ საქონელი მიღებულია გადასაზიდად სატრანსპორტო დოკუმენტებით:

ზღვით გადაზიდვისას — კონოსამენტი **[bill of lading** (ინგლ.); **connaissement** (ფრ.); **konnossement** (გერმ.)], შტურმანის ხელწერილი, დოკის ხელწერილი;

სარკინიგზო გადაზიდვებისას — სარკინიგზო ზედდებული და მისი დუბლიკატი;

ავიაგადაზიდვებისას — ავიაზედდებული;

საავტომობილო გადაზიდვებისას — ავტოსაგზაო ზედდებული.

მოკლე დეკლარაციის სანაცვლოდ ასეთი დოკუმენტების გამოყენება

შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტების ენას ფლობენ საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები.

საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტების განსაკუთრებულ სფეროს მიეკუთვნება დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა მილსადენებით ნავთობის, ნავთობპროდუქტების და საწვავი აირის გადაზიდვისას და ელექტროგადამცემი ხაზებით ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის კონტროლისათვის.

ასევე საბაჟო კონტროლისათვის საჭირო განსაკუთრებულ დოკუმენტებს მიეკუთვნება დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა საზღვაო გემების საბაჟო კონტროლისათვის. პირველი დოკუმენტი, რომელსაც წარუდგენს ნავსადგურში შემოსული გემის კაპიტანი საბაჟო ორგანოს, არის ე.წ. „კაპიტანის წერილობითი ჩვენება". ამ დოკუმენტებში მიეთითება:

1. გემის სახელწოდება;
2. მისი დროშა (ქვეყანა);
3. ნავსადგურში შემოსვლის თარიღი;
4. ნავსადგურიდან გასვლის თარიღი;
5. კაპიტანის გვარი;
6. ეკიპაჟის წევრების რაოდენობა;
7. მგზავრების და მათი საბარგო ადგილების რაოდენობა;
8. გამოსვლის ნავსადგური;
9. გემზე არსებული ვალუტა;
10. ტვირთის დასახელება და რაოდენობა;
11. კონოსამენტები და მანიფესტები.

გარდა „კაპიტნის წერილობით ჩვენებაში" მოცემული მონაცემებისა, გემის კაპიტანი საბაჟო ორგანოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს: გემის მოწმობას, ეკიპაჟის სიას, გემბანზე მყოფ მგზავრების სიას (გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდება და ნომერი, მოქალაქეობრიობა, საიდან მოდის, სად მიდის, მისი ხელბარგის რაოდენობა), გემის პროვიზიის სიას და გადასაზიდი ტვირთების თანმხლებ დოკუმენტებს.

საჰაერო ხომალდების საბაჟო კონტროლის ფუძემდებლური დოკუმენტია 1944 წლის ჩიკაგოს კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ.

ამ კონვენციის 16-ე მუხლი ადასტურებს ნებისმიერი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების უფლებას, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, განახორციელონ საჰაერო ხომალდების შემოწმება როგორც ამ ქვეყანაში მათი ჩამოფრენისას, ასევე გაფრენის წინ, შეამოწმონ ამ ხომალდის დოკუმენტაცია. ამავე კონვენციის 20-ე მუხლი ასეთ დოკუმენტებს მიაკუთვნებს თითოეული ეკიპაჟის წევრის პირადობის მოწმობას, მგზავრების სიას გამგზავრებისა და დანიშნულების პუნქტის ჩვენებით, მანიფესტს და მსგავს დეკლარაციებს ტვირთის თაობაზე, ხომალდის ჟურნალს, ნებართვას რადიოსადგურზე.

ჩიკაგოს კონვენცია მოითხოვს ქვეყნებისაგან შესაძლებლობის ფარგლებში, საბაჟო კონტროლის განხორციელებისას იმოქმედონ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებით და პრაქტიკით ნაკარნახევი წესებით.

უპირველეს ყოვლისა, ეს წესები რეკომენდაციას იძლევიან, რომ შიგა სახელმწიფოებრივი წესები საჰაერო ტრანსპორტისათვის არ იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ამავე ქვეყანაში სხვა სახის ტრანსპორტისათვის. მეორე მოთხოვნაა, საბაჟო კონტროლის და სხვა მსგავსმა პროცედურებმა არ შექმნან მგზავრთა ისეთი დაყოვნება, რომლის შედეგადაც საჰაერო ტრანსპორტი დაკარგავს თავის უპირატესობას მგზავრთა გადაყვანის სიჩქარეში.

მესამე თავისებურებაა ერთიანი ფორმები:

ა) გენერალური დეკლარაცია, სადაც მითითებულია საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, მისი ნაციონალური კუთვნილება, სარეგისტრაციო ნომერი, რეისის ნომერი, თარიღი, გამოფრენის პუნქტი, ფრენის ამ ეტაპზე მგზავრების რაოდენობა;

ბ) სატვირთო უწყისი, რომელშიც მიუთითებენ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტს, ეროვნული კუთვნილების და სარეგისტრაციო ნიშნებს, რეისის ნომერს, თარიღს, გამოფრენის პუნქტს, ტვირთის დაცლის პუნქტს, ზედდებულის ნომერს, ადგილების რაოდენობასა და ტვირთის სახეს;

გ) მგზავრების ჩასხდომის (გადმოსხმის) წიგნაკი;

დ) ეკიპაჟის წევრის მოწმობა.

ჩამოფრენისას საჰაერო ხომალდმა უნდა წარმოადგინოს იმდენი დოკუმენტი, რამდენსაც მოითხოვს დაფრენის ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები, მაგრამ არა უმეტეს სამი ეგზემპლარი გენერალური დეკლარაციის და სატვირთო უწყისისა და არა უმეტეს ორი ეგზემპლარი საგემბანო სანოვაგის სიისა.

გაფრენისას ეკიპაჟს არ უნდა მოსთხოვონ იმავე დოკუმენტების ორ-ორ ეგზემპლარზე მეტი.

განსაკუთრებული წესით და საბაჟო დეკლარაციით ხდება საბორტო მარაგების შევსება. პროცესი უტოლდება ექსპორტის გაფორმებას და კონვენცია მოითხოვს მის ჩატარებას უმოკლეს ვადაში.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვების საბაჟო კონტროლისას, როცა ავტომობილებით გადაჰყავთ მგზავრები, ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლებმა უნდა წარუდგინონ საბაჟო ორგანოს გადაზიდვის ნებართვა. ნებართვა უნდა შეიცავდეს: გადამზიდველის სახელწოდებას და ადგილსამყოფელს; საავტობუსო მარშრუტის სახელწოდებას; მგზავრების ასაყვანი და ჩამოსავალი გაჩერებების დასახელებას იმ ქვეყანაში, რომელმაც მისცა ნებართვა; ვადებს და ავტობუსების მოძრაობის განრიგს; სატარიფო გადასახადებს მგზავრზე და ტვირთზე; ნებართვის მოქმედების ვადას. სამგზავრო საერთაშორისო გადაზიდვებისას მძღოლს უნდა ჰქონდეს მგზავრების სია.

სატვირთო გადაზიდვებისას მძღოლმა საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს ზედდებული, რომელშიც მინიშნებულია: შედგენის ადგილი და თარიღი; გამგზავნის სახელწოდება და მისამართი; გადამზიდველის სახელწოდება და მისამართი; თარიღი და ადგილი, სადაც მიღებული იქნა ტვირთი გადასაზიდად და ადგილი, სადაც გათვალისწინებულია ტვირთის მიტანა; მიმღების დასახელება და მისამართი; ტვირთის დასახელება და შეფუთვის ხერხი; საქონლის ბრუტო წონა (ან სხვა რაოდენობრივი მაჩვენებელი); გადაზიდვის ხარჯები.

საჭიროების შემთხვევაში ზედდებულში შეიტანება: მითითება გადატვირთვის აკრძალვის შესახებ; ხარჯები, რომელსაც აიღებს ტვირთის მიმღები; ზედნადები ხარჯები, რომლებიც უნდა იქნეს ანაზღაურებული ტვირთის ჩაბარებისას; ტვირთის გაცხადებული ღირებულება; ხელშეკრუ-

ლებით განსაზღვრული გადაზიდვის ვადა; იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც გადაეცა გადამზიდველს; სასაზღვრო პუნქტების დასახელება.

ამას გარდა მძღოლს უნდა ჰქონდეს შევსებული საგზაო ფურცელი.

თუ გადაზიდვა წარმოებს TIR წიგნაკებით, საბაჟო ორგანოებს უნდა წარმოედგინოს TIR კორნეტის წიგნაკი.

გარდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტისა, „საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სამართლდამცავი, საგადასახადო და მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმაცია".

საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა ცოდნა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ვერ გაწვდება საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უსასრულოდ დიდ ნაირსახეობას, ამიტომ საქართველოს საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს სპეციალისტთა და ექსპერტთა მონაწილეობას საბაჟო კონტროლში: „საბაჟო ორგანოებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად მოიწვიონ სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ექსპერტები (მუხლი 129.1).

საბაჟო კოდექსის ეს დებულება შეუსრულებადი დარჩებოდა,თუკი „უფლება აქვთ" არ იგულისხმებდა, რომ საბაჟო ორგანოს განაცხადი საჭირო სპეციალისტზე თუ ექსპერტზე უნდა კმაყოფილდებოდეს იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, სადაც მუშაობს ეს სპეციალისტი თუ ექსპერტი.

თუ საბაჟო ორგანოს სპეციალისტის ან ექსპერტის სამსახურებრივი მოვალეობა უსასყიდლოდ მომსახურებაა, ყველა დანარჩენ შემთხვევაში საბაჟო ორგანოებმა უნდა აუნაზღაურონ სპეციალისტებსა და ექსპერტებს მგზავრობის, ბინის, მივლინების და ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები და მისცენ გარკვეული გასამრჯელო. მუშაობის მთელ პერიოდში სპეციალისტს, რომელიც მუშაობს სახელმწიფო ორგანოში, უნარჩუნდება საშუალო ხელფასი სამუშაო ადგილას.

საბაჟო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, სათავსების და სხვა ადგილების იდენტიფიკაცია. საბაჟო კოდექსის მიხედვით, „იდენტიფიკაცია ხდება პლომბის, ბეჭდის დადებით, ციფრული, ასოებრივი ან სხვა მარკირების, საიდენტიფიკაციო ნიშნების, შტამპის დასმით, სინჯებისა და ნიმუშების მასშტაბური გამოსახულების, ფოტოსურათების ილუსტრაციების გამოყენებით, იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით“ (მუხლი 131.2). ამრიგად, იდენტიფიკაცია ზოგადად საქონლის ამოცნობაა, ხოლო საიდენტიფიკაციო საშუალებები, მისი ამოსაცნობი საშუალებანი.

საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში ტერმინ „საიდენტიფიკაციო საშუალებების“ მაგიერ ხშირად ხმარობენ ტერმინს „საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტები“. ეს ტერმინი გარკვეულ წილად ავიწროებს „საიდენტიფიკაციო საშუალებების“ ცნებას და დაჰყავს ის მხოლოდ საბაჟო მიზნების დონეზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ოპერატიულ-ტექნიკური თვალსაზრისით უფრო ზუსტია იმდენად, რადენადაც მოიცავს არა მარტო საქონლის გარკვეულ ნიშანდებას, არამედ საბაჟო, სატრანსპორტო და საქონლის თანმხლებ დოკუმენტებზე საჭირო წარწერების გაკეთებას, შტამპების და ბეჭდის დასმას, ხელმოწერებს და სხვა ატრიბუტებს, რომლებიც გამოხატავენ საბაჟო კონტროლის და გაფორმების დამთავრების, საზღვარზე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ნებართვას და სხვა.

საიდენტიფიკაციო საშუალებები — საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტები, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

ა) შეუძლებელი უნდა იყოს ანაბეჭდის გაყალბება (ბეჭდების, შტამპების, ხელმოწერების, ნიშანდების);

ბ) თვალნათლივი ნიშნების გარეშე შეუძლებელი უნდა იყოს საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტების მთლიანობის დარღვევა (ლუქის, მწებავი ლენტის, გასაღების, ბოქლომის);

გ) შტემპელების, ანაბეჭდების, წერის საშუალებების (მელნის, საღებავების, ლუქის, მწებავი ზედაპირის) მდგრადობას გარე კლიმატური ზემოქმედების მიმართ;

დ) საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტების მკაფიო წაკითხვადობა;

ე) საბაჟო ატრიბუტების ნიშანდება დოკუმენტებზე, შეფუთვასა და სატრანსპორტო საშუალებებზე არ უნდა მოითხოვდეს დიდ დროს.

ასე მაგალითად, შიგა სატრანზიტო გადაზიდვებისას ზოგადი მოთხოვნაა, რომ საქონელი იყოს საიმედოდ დალუქული, დასმული ჰქონდეს საბაჟო ბეჭდები, ჰქონდეს ლითონის მჭიდები და სხვა საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტები. საქონელი უნდა გადაიზიდებოდეს შეფუთული, ამასთან, ისეთნაირად მოწყობილ სატრანსპორტო საშუალებებითა და კონტეინერებით, რომ შეუძლებელი იყოს საქონლის ამოღება ან რაიმეს ჩამატება იმდაგვარად, რომ არ დარჩეს საბაჟო უზრუნველყოფის დაზიანების კვალი. ასეთივე მოთხოვნებია ტვირთების გამგზავნებისა და გადამზიდველების მიერ დალუქული საქონლისადმი.

ინფორმაცია საიდენტიფიკაციო საშუალებების შეცვლის, მოხსნის ან განადგურების ყოველი შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოებს.

ასევე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმ ქვეყნის საბაჟო ორგანოებს, რომელთა ტერიტორიაზეც იმყოფება სატრანსპორტო საშუალება, საიდენტიფიკაციო ნიშნების, ლუქის, ბეჭდის და სხვათა მოშლის, მოხსნის ან განადგურების შესახებ, როცა საქონელი გადააქვთ TIR კორნეტის წიგნაკის მეშვეობით. თუ უახლოესი საბაჟო საგრძნობლადაა დაცილებული შემთხვევის ადგილს, მომხდარის შესახებ უნდა ეცნობოს იმ უახლოეს სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც აქვს უფლება შეადგინოს ამის თაობაზე ოქმი (ადგილობრივ ხელისუფლებას, პოლიციას, საგზაო პოლიციას და ა.შ.)

მომხდარის შესახებ შესაბამისი ორგანო, ავტოსატრანსპორტო საშულების დათვალიერების, ხოლო საჭირო შემთხვევაში ტვირთის შემოწმების შემდეგ, ადგენს ოქმს, სადაც მიუთითებს TIR კორნეტის წიგნაკის ნომერს, დაზიანების მიზეზებს, საქონლის მდგომარეობას და მის დასაცავად მიღებულ ზომებს. ოქმს ხელს აწერენ ამ ორგანოს წარმომადგენლები და მძღოლი. მძღოლს აქვს უფლება ოქმს დაურთოს განმარტებითი ბარათი.

თავისი არსით საქონლის იდენტიფიკაციის საშუალება და საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტებია სააქციზო მარკები.

სააქციზო მარკები გამოიყენება სააქციზო საქონლის არალეგალური გზით შემოტანის საწინააღმდეგოდ და აქციზის გადასახადის სრულად ამოსაღებად.

ჩვეულებრივ, სააქციზო მარკებით მოსაკრებლის საგადასახადო ნაკვეთი სპეციფიურია (ფიქსირებული). მაგალითად, 1 ღერი ან ერთი კოლოფი სიგარეტისათვის, ერთი ლიტრი ან ერთი ბოთლი ღვინო—არაყის ნაწარმისათვის და ა.შ.

სააქციზო მარკები მიეყიდება იმპორტიორს, რაც პრაქტიკულად ნიშნავს აქციზის გადახდას. იმპორტიორი სააქციზო მარკებს გადასცემს წარმოებას, რომელიც ამ მარკებს ძლიერი წებოთი და საქარხნო წესით აწებებს ნაწარმს. სააქციზო მარკიანი ნაწარმი ითვლება აქციზის გადასახად გადახდილად და, შესაბამისად, საცალო ქსელში იკრძალება ისეთი სააქციზო საქონლის გაყიდვა, რომელსაც ასეთი საიდენტიფიკაციო ნიშანი არ გააჩნია.

საბაჟო ორგანოს წინაშე მარკების შეძენასა და გამოყენებაზე პასუხს აგებს იმპორტიორი.

საბაჟო კოდექსის 132-ე მუხლი აფიქსირებს, რომ „საბაჟო კონტროლს ექვემდებარება საბაჟო საზღვრის გავლით გადასაადგილებელი ყველა საქონელი და სატრანსპორტო საშუალება, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა".

„ყველა საქონლით" მუხლში იგულისხმება არა მარტო მატერიალური ქონება, არამედ ვალუტაც, სავალუტო ფასეულობებიც, ელექტრო, თბური და სხვა სახის ენერგია, გაზი, ნავთობპროდუქტები, რომლებიც გადაიზიდება მილსადენებით და სხვა.

როდესაც ლაპარაკია სატრანსპორტო საშუალებებზე საჭიროა მათი, როგორც კონტროლის ობიექტების ორად დაყოფა და თითოეულისადმი სხვადასხვა მიდგომა. სატრანსპორტო საშუალებანი და მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მგზავრებისა და საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებისათვის, ექვემდებარება საბაჟო კონტროლს როგორც გადაზიდვის საშუალება. ყველა სხვა მიზნით საბაჟო საზღვარზე გადაადგილე-

ბული სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს საქონლის რანგში.

მეორე მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთული სპეციფიკით ხასიათდება საზღვარზე ვალუტის და სავალუტო ფასეულობების გადაადგილება. ამ დროს საბაჟო ორგანოებთან ერთად კონტროლის პროცესში მონაწილეობენ სხვა ორგანოებიც (ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები, საგადასახადო ინსპექცია და ა.შ.)

მესამე ჯგუფის საქონლის ექსპორტის და იმპორტის თავისებურებანი გამომდინარეობს თავად საქონლის და მისი გადაზიდვის ტექნიკური თავისებურებებიდან (გადაზიდვა მილსადენებით, გადაცემა მავთულსადენებით).

მილსადენი და მავთულსადენი ტექნიკით ნავთობის, ნავთობპროდუქტების, გაზისა და ელექტროენერგიის საბაჟო კონტროლს აძნელებს გადაცემული საქონლის რაოდენობის დადგენის ტექნიკური სიძნელეები. ასეთი საქონლის საზღვარზე გადაადგილების სათანადო და საიმედო კონტროლი შესაძლებელი გახდება მაშინ, როდესაც შემუშავდება და დაიდგმება საიმედო საკონტროლო — საზომი ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურად დააფიქსირებენ საქონლის დენას.

საკმაო ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული კონტროლის ობიექტების (ნავთობი, ნავთობპროდუქტები, გაზი, თხევადი ნივთიერებები) რაოდენობის გაზომვა მათი ცისტერნებით, ტანკერებით და სხვა მოცულობით სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვისას. საქონლის მოცულობის გასაზომად გამოიყენება სპეციალური საშუალებანი (მათ შორის ულტრაბგერისა და რადიოლოკაციური ზონდირების ხელსაწყოები) რადგან ხშირად ფაქტობრივი რაოდენობის დასადგენად (მაგალითად, წყლით გაზავების გამოსარიცხად) საჭირო ხდება ნიმუშების აღება ლაბორატორიული ანალიზისათვის.

სინჯების აღებისას დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები. მაგალითად, ცისტერნიდან სინჯის ამოღებისას სინჯის ამომღებს თან უნდა ახლდეს მეთვალყურე (დუბლიორი). სინჯის ამღები სინჯის ამოღებისას ზურგით უნდა იდგეს ქარის მხარეს. ასევე ხშირად

გათვალისწინებულია სინჯის აღება აირწინაღს, სპეცტანსაცმელისა და ფეხსაცმელის გამოყენებით და სხვა.

საბაჟო კოდექსის 132-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ზოგიერთ, კოდექსით დადგენილ შემთხვევაში, საქონელი და სატრანსპორტო საშუალება არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს.

ჩვეულებრივ, ასეთ ტვირთებს მიაკუთვნებენ ქვეყნის პრეზიდენტის პირად ბარგს, ასევე მასთან ერთად მყოფ მისი ოჯახის წევრების პირად ბარგს, დიპლომატიურ ფოსტას და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში ასეთი საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება ეხება არა მთლიანად ყველა კონტროლის პროცედურას, არამედ ბარგისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებებს და შემოწმებებს. ასე საბაჟო დათვალიერებისაგან თავისუფლდება უცხოური სამხედრო ხომალდები, სამხედრო ტექნიკა. საბაჟო დათვალიერებიდან გათავისუფლება თავისთავად არ გამორიცხავს დოკუმენტაციის შემოწმებას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე საბაჟო ტერიტორიიდან გასული ხომალდების იძულებით უკან დაბრუნებას. ამასთან, სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემის მოსაზრებით არ შეიძლება უნებართვოდ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასულ საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე გამოდევნება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

სატრანსპორტო საშუალებების იძულების წესით გაჩერების ხერხები გულისხმობს როგორც ტექნიკური საშუალებების, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. ბუნებრივია, რომ ფიზიკური ძალის, სპეცსაშუალებების და იარაღის გამოყენება ნაკარნახევი უნდა იყოს შექმნილი გარემოებების — მრავალჯერადი გაფრთხილების მიუხედავად დაუმორჩილებლობით, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნით, ქონების განადგურების საშიშროებით და სხვა. იარაღის გამოყენება გამართლებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით.

საბაჟო კოდექსის 133-ე მუხლით „საბაჟო დეკლარაციის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ხდება საბაჟო ორგანოების მიერ არა უგვიანეს ხუთი დღისა საბაჟო დეკლარაციის მიღების და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტების და მონაცემების წარდგენიდან“.

ის, რომ 144-ე მუხლში შედის თავში „საბაჟო კონტროლი“ არ ნიშნავს, რომ საბაჟო დეკლარაციის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისათვის დადგენილი ხუთი დღე ასევე განსაზღვრავს საერთოდ საბაჟო კონტროლის ვადებს. საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ყოფნის ვადა დამოკიდებულია საბაჟო რეჟიმზე და ხდება დროის დიდ დიაპაზონში. მაგალითად, სამი საათიდან (მგზავრების საბაჟო კონტროლი) სამ წლამდე (საბაჟო საწყობის რეჟიმში საქონლის შენახვა).

საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისას ისინი აიყვანება საბაჟო კონტროლზე საზღვრის გადაკვეთისთანავე.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გატანისას საბაჟო კონტროლი იწყება საბაჟო ორგანოში საბაჟო დეკლარაციის წარმოდგენის მომენტიდან.

ზოგადად, საბაჟო კონტროლის ქვეშ ყოფნის ვადა უნდა იყოს იმდენი, რამდენიც საჭიროა, რათა საბაჟო ორგანოებმა შეასრულონ კანონით მათზე დაკისრებული ფუნქცია და იმავე დროს არ უნდა იყოს ისეთი, რომ შეურაცხყონ ადამიანის კანონიერი უფლებები და თავისუფლებები.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის დროს დასწრების უფლების მქონეთა შორის (მუხლი 134) უპირველეს ყოვლისა იგულისხმებიან თავად საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები. მათ სამსახურებრივი პირადობის მოწმობის საშუალებით აქვთ შესვლის უფლება ნებისმიერ ტერიტორიაზე და ნებისმიერ შენობაში, სადაც შეიძლება იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და კონტროლის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები. ასევე მათ უფლება აქვთ შევიდნენ იქ, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა.

მაგალითად, საზღვაო ხომალდის საბაჟო დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს წარმომადგენელთა მოთხოვნით გემის კაპიტანი (ან მისი შემცვლელი) ვალდებულია გაუღოს საბაჟო ორგანოს წარმომადგენლებს გემის ყველა სათავსი.

საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს უფლება აქვთ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ საბაჟო საწყობების ტერიტორიებზე დროებითი შენახვის საწყობებში, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებში და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში ისეთი საქმიანობისას, რომელიც ექვემდებარება საბაჟო კონტროლს, საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა დასწრება სავალდებულოა და გათვალისწინებულია ნორმატიული აქტებით. მაგალითად, როცა ხორციელდება საბაჟო რეჟიმი საქონლის დაჟან სატრანსპორტო საშუალებების განადგურება, ასეთი რეჟიმისათვის დამახასიათებელი ქმედება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების განადგურება ან გამოუყენებელ მდგომარეობაში მოყვანა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირების დასწრებისას.

რაც შეეხება სხვა დასწრების უფლების მქონე პირებს, მათი ვინაობა და მოვალეობანი იგივეა, რაც საბაჟო გაფორმებისას.

საბაჟო კოდექსის 135-ე მუხლი საბაჟო ორგანოებს უფლებას აძლევს ნებისმიერ დროს მოახდინონ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე იმ საქონლის ინვენტარიზაცია, რომლის საბაჟო გადასახდელები გადაუხდელია ან რომელსაც მიენიჭა საბაჟო შეღავათები საბაჟო გადასახდელების ნაწილში.

4. საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები

საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები, როგორც თავად სახელწოდებით ჩანს, საქონლისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების საბაჟო გაფორმების მოსამზადებელი ოპერაციებია. 108.2 მუხლი ითვალისწინებს, რომ „წინასწარმა ოპერაციებმა უნდა გააიოლოს და დააჩქაროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება".

წინასწარ ოპერაციებს მიეკუთვნება:

— საბაჟო ორგანოების შეტყობინება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადალახვის ან გადალახვის სურვილის შესახებ საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით;

— საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანა, მიყვანა და დაყენება საბაჟო ორგანოების მიერ მითითებულ საბაჟო კონტროლის ჩასატარებელ და გასაფორმებელ ადგილას;

— საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების წარმოდგენა საბაჟო ორგანოებისათვის;

— მოკლე დეკლარაციის წარმოდგენა.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისა თუ გადაადგილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ საბაჟო ორგანოებს უნდა ეცნობოს ორ შემთხვევაში:

ა) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას;

ბ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას თავისუფალი საბაჟო ზონებიდან და თავისუფალი საბაჟო საწყობებიდან საქართველოს დანარჩენ საბაჟო ტერიტორიაზე. შეტყობინება ევალება გადამზიდველს.

ჩვეულებრივ შეტყობინება გამოიხატება:

ა) საქონლის მიმღების (გამგზავნის) მიერ საგარანტიო ვალდებულებების წარმოდგენით;

ბ) საქონლის ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენით.

საგარანტიო ვალდებულებების და ანგარიშ-ფაქტურების წარდგენა არ მოითხოვება:

ა) საქონლის სახელმწიფო რკინიგზით გადაზიდვისას;

ბ) ისეთი საქონლის შემოტანისას, რომლის წარმოშობის ქვეყანასთან საქართველოს აქვს საბაჟო გადასახადისაგან, დღგსაგან და აქციზისაგან გათავისუფლების რეჟიმი;

გ) ისეთი საქონლის შემოტანისას, რომელიც საქართველოს კანონებით არ იბეგრება საბაჟო გადასახადით, დღგ-თი და აქციზით;

დ) იმ საქონლის გადაზიდვისას, რომელიც გადაიზიდება ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების კონვენციის (1985 წლის კონვენცია **TIR** ნიგნაკების თაობაზე) **TIR** კორნეტის წიგნაკების გამოყენებით.

საბაჟო ორგანო ვალდებულია ყველა შეტყობინება გაატაროს რეგისტრაციაში.

რეგისტრაციის დროს საბაჟო ორგანო უნიშნავს გადამზიდავს დროს და ადგილს, სადაც უნდა იქნეს მიტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალება შემდგომი საბაჟო გაფორმებისათვის.

შეტყობინებისაგან თავისუფლდებიან საზღვაო და საჰაერო ხომალდები, რომლებიც გაივლიან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტად, ამ ტერიტორიაზე არსებული საზღვაო და საჰაერო პორტებში გაჩერების გარეშე.

შეტყობინების შემდეგ გადამზიდავი ვალდებულია მიიტანოს დათქმულ ადგილას და დათქმულ დროს საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და საჭირო დოკუმენტები და დაელოდოს საბაჟო ორგანოების განკარგულებებს.

დათქმულ ადგილას საქონელი უნდა მიიტანებოდეს შეფუთვის და საქონლის მდგომარეობის შეცვლის გარეშე, გარდა ბუნებრივი ნორმალური ცვლილებებისა, რომელსაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს ნორმალურ პირობებში გადაზიდვებისა და შენახვისას.

თუ საბაჟო ორგანომ საბაჟო გაფორმების ადგილად გადამზიდავს მიუთითა ადგილი საბაჟო ტერიტორიის შიგნით, (მაგალითად, თბილისში), ეს საქონელი გაგზავნის (სასაზღვრო) საბაჟოდან გაფორმების საბაჟომდე უნდა გადაიზიდოს საბაჟო კონტროლის ქვეშ.

ასეთი გადაზიდვების აუცილებელი პირობაა საბაჟო უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა (პლომბები, ბეჭდები, დაცული შეფუთვა და სხვა). საქონელი უნდა გადაიზიდებოდეს ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, როგორიცაა კონტეინერები და ავტომანქანები, რომელთაგანაც შეუძლებელი იქნება საქონლის ან მისი ნაწილის ამოღება საბაჟო უზრუნველყოფის საშუალებათა დარღვევის გარეშე.

შიგა საბაჟო ტრანზიტის მექანიზმი საქონლის შემოტანისას და გატანისას სხვადასხვაა.

როცა საქონელი შემოაქვთ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე:

1) დგება გარკვეული ფორმის შიგასატრანზიტო დოკუმენტი;
2) მოითხოვება ანგარიშ-ფაქტურა;
3) წარმოიდგინება გადასახადების მაუზრუნველმყოფელი საგარანტიო ვალდებულებანი.

შიგა სატრანზიტო დოკუმენტი მზადდება დეკლარანტის ან გადამზიდველის მიერ საქონლის ყოველ პარტიაზე სამ ეგზემპლარად სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ბლანკზე. პირველი ფურცელი (საკონტრლო ფურცელი) რჩება გაგზავნის საბაჟოში, მეორე და მესამე მიეცემა გადამზიდველს დანიშნულების საბაჟოში მისატანად. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი გადაიზიდება უცხო ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებით შიგა საბაჟო ტრანზიტის პროცედურებით, სატვირთო საბაჟო დეკლარაციის მესამე ეგზემპლარი მიეცემა გადამზიდავს რათა სატრანსპორტო საშუალების საზღვარგარეთ დაბრუნებისას წარადგინოს იმ სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, რომლის გავლით ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას.

თუ გადაზიდვა ხდება TIR-ის წიგნაკის გამოყენებით, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას არ წარადგენენ.

უნდა იყოს დადგენილი ფორმის და ხელმოწერილი საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის და მთავარი ბუღალტრის მიერ.

საგარანტიო ვალდებულების წარმოდგენა არ არის საჭირო:

1) თუ საქონელი გადაიზიდება **TIR** წიგნაკის საშულებით;
2) თუ საქონელი გადაიზიდება სახელმწიფო რკინიგზით;
3) თუ საქონელი წარმოშობილია ქვეყნებში, რომლის საქონელი საქართველოში არ იბეგრება;
4) თუ ეს საქონელი საქართველოს კანონმდებლობით გათავისუფლებულია საბაჟო, დღგ და აქციზის გადასახადებისაგან.

შეიცავს საბაჟო კონტროლისათვის საჭირო მონაცემებს:

- ექსპორტიორისა და იმპორტიორის სახელწოდებას, მისამართებს, ხელშეკრულების (კონტრაქტის) ნომერსა და თარიღს;
- სატვირთო ადგილების სახეებსა და რაოდენობას;
- მონაცემებს ნიშანდების (მარკირების) შესახებ;
- ბრუტო წონას;
- საქონლის ღირებულებას და სხვა.

ანგარიშ-ფაქტურა შედგენილი უნდა იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე.

ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა აუცილებელი არ არის თუ ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები მოიპოვება საქონლის სხვა თანმხლებ დოკუმენტებში.

მიტანილი იქნა თუ არა შიგა საბაჟო ტრანზიტის პროცედურით გაგზავნილი საქონელი დანიშნულების ადგილას, ეს უნდა შეამოწმოს გაგზავნის საბაჟომ. ამ მიზნით პერიოდულად ხდება მონაცემების შედარება როგორც საბაჟოებს შორის ისე დეპარტამენტის სტატისტიკურ ცენტრში. თუ საქონელი არ მივიდა დანიშნულების საბაჟოში გაგზავნის საბაჟო უფლებამოსილია გადაახდევინოს ყველა საბაჟო გადასახდელები საქონლის მიმღებს და აღძრას საქმე გადამზიდველის მიერ საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებით.

გატანისას შიგა საბაჟო ტრანზიტის პროცედურებით გამსვლელი საბაჟო აწარმოებს გასული ტვირთების აღრიცხვას ჟურნალში და გაგზავნის და გამსვლელი პუნქტების საბაჟოები ახდენენ თავიანთი მონაცემების პერიოდულ შედარებას. თუ, მაგალითად თბილისის საბაჟოდან შიგა საბაჟო ტრანზიტის პროცედურით გასულმა საქონელმა არ გადაკვეთა საბაჟო საზღვარი დანიშნულ ადგილას (მაგალითად, სარფში), იწყება მოკვლევა გადამზიდავის მიერ საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე.

ასეთ და სხვა ამგვარ შემთხვევებში საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა თუ სატრანსპორტო საშუალების დანიშნულ ადგილზე მიუსვლელობის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც თავად გადამზიდველი, ასევე გაუთვალისწინებელი უბედური შემთხვევა. თუ მიზეზი გადამზიდველია, ის იხდის ყველა საბაჟო გადასახადებს ისევე, როგორც გადაიხდიდა ეს ტვირთი საქართველოში რომ შემოსულიყო თავისუფალი გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში და აგებს პასუხს საბაჟო წესების დარღვევისათვის.

თუ საქონელი დაიღუპა, განადგურდა და გამოუყენებელი გახდა ავარიის, სხვა უბედური შემთხვევისა და დაუძლეველი გარემოებების გამო, საქონლის გადამზიდავი თავისუფლდება როგორც საბაჟო გადასახადებისაგან ამ საქონელზე, ისე პასუხისმგებლობისაგან საბაჟო წესების დარღვევისათვის.

საქონლის გადამზიდველს ეძლევა საშუალება თავი აარიდოს გადასახადებს და საბაჟო წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას უბედური შემთხვევის გამო საქონლის დაკარგვის მომიზეზებით, საბაჟო პრაქტიკაში ყოველ ასეთ შემთხვევას განსაკუთრებული გულისყურით შეისწავლიან.

უპირველეს ყოვლისა, მტკიცება უბედური შემთხვევის გამო საქონლის დაკარგვაზე ევალება თავად გადამზიდველს და მისი მტკიცებები სარწმუნო უნდა იყოს. ასე მაგალითად წარმოდგენილი უნდა იქნეს საგზაო პოლიციის მიერ საგზაო ავარიის ფაქტის დამადასტურებელი ცნობები, ბუნებრივი, სტიქიური მოვლენის შესახებ შესაბამისი ორგანოებიდან ცნობები და სხვა.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია წესი, რომ გაუთვალისწინებელ და დაუძლეველ გარემოებათა გამო განადგურებულ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის საბაჟო გადასახადებიდან გათავისუფლება საბაჟო ორგანოების უფლებაა და არა ვალდებულება. ამიტომ ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ დასტურდება საქონლის განადგურების ფაქტი გადაულახავი და გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს წაუყენოს გადამზიდველს პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მან არ შეასრულა წესი, რომლითაც სასწრაფოდ უნდა ეცნობებინა მომხდარის შესახებ უახლოეს საბაჟო ორგანოსათვის, მოეწვია საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ავარიისა და საქონლის მდებარეობის და მდგომარეობის დასათვალიერებლად, მიეტანა თავისი ხარჯით საქონელი უახლოეს საბაჟო პუნქტამდე და სხვა.

საგარეო სავაჭრო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, სანიტარულ-ჰიგიენური თუ სხვა მოსაზრებებით საჭირო ხდება საქონლის განადგურება (მაგალითად ხილის, ბოსტნეულის, კონსერვების, ხორცის და ა.შ.) საქონლის გადამზიდველი დაინტერესებულია მოიპოვოს საკმარისი მტკიცებები, რომ, ჯერ ერთი, მართლაც ჰქონდა ადგილი ფორს-მაჟორულ მოვლენას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, თუ საქონლის პატრონი აღძრავს სარჩელს გადამზიდავის წინააღმდეგ), მეორეც - რათა თავი დააღწიოს ამ საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებასთან დაკავშირებულ საბაჟო გადასახდელებს. ასეთ სიტუაციაში შეიძლება სახელმწიფო ან კერძო ნოტარიუსის დამოწმება ფაქტის დასადასტურებლად.

მტკიცებულებების უზრუნველყოფისათვის ნოტარიუსმა შეიძლება გამოიყენოს შემდეგი ფორმები:

1) მოწმეთა დაკითხვა;
2) წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერება;
3) ექსპერტიზის დანიშვნა.

თავის ყველა მოქმედებაში ნოტარიუსი უნდა ეყრდნობოდეს მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობის ნორმებს. ნოტარიუსი ვალდებულები შეატყობინოს მომავალ მოსარჩლეს ან სავარაუდო მოპასუხეს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებს მტკიცებულებების უზრუნველსაყოფი ქმედებების განხორციელების ადგილი და დრო. ამ პირთა გარეშე მტკიცებულებების მოპოვება დასაშვებია, თუ:

1) შეუძლებელია განხილვის მხარეთა დადგენა (მაგალითად, გადამზიდავმა არ იცის გადასაზიდი ტვირთის მესაკუთრის ვინაობა);
2) გარემოებანი მოითხოვენ მტკიცებულებების დაუყოვნებლივ უზრუნველყოფას (მაგალითად, წერილობითი ან ნივთიერი სამტკიცი შეიძლება ან უნდა განადგურდეს; მოწმე მძიმედაა ავად ან აპირებს ქვეყნის დატოვებას და ა.შ.);
3) მიუხედავად შეტყობინებისა, დაინტერესებული პირი არ გამოცხადდა მტკიცებულების უზრუნველყოფისათვის ქმედების ადგილას და დათქმულ დროში.

მოწმეების დაკითხვისას ნოტარიუსი ადგენს ოქმს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1) დაკითხვის ადგილი და თარიღი;
2) ნოტარიუსის გვარი და ინიციალები;
3) მოწმეების გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და მისამართი;
4) გაფრთხილებას პასუხისმგებლობის შესახებ განზრახ ყალბი ჩვენებისათვის და ჩვენებაზე უარის თქმისათვის;
5) მოწმის ჩვენების შინაარსს.

ოქმს ხელს უნდა აწერდნენ მოწმეები, დაკითხვის მონაწილე პირები და ნოტარიუსი.

ოქმი ასევე უნდა შედგეს ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერებაზე და უნდა შეიცავდეს გამოვლენილ გარემოებებს (მაგალითად იმას, რომ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფმა ტვირთმა ავარიის შედეგად დაკარ-

გა სასაქონლო სახე, არ შეიძლება იქნეს რეალიზებული და ექვემდებარება განადგურებას). ოქმს ხელს აწერენ დათვალიერების მონაწილენი და ნოტარიუსი.

თუ საქმემ მოითხოვა ექსპერტის მოწვევა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას ღებულობს ნოტარიუსი, დგება ექსპერტიზის დასკვნა.

წინასწარი ოპერაციების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს **საზღვაო პროტესტი.** როგორც სახელწოდებით ჩანს, ეს განსაკუთრებული პროცედურა დაკავშირებულია ზღვაში ტვირთის დაღუპვასთან და ამის მტკიცებულების უზრუნველყოფით დაინტერესებულია გემთმფლობელი. მიუხედავად იმისა, ღია ზღვაში მოხდა უბედური შემთხვევა თუ ნავმისადგომთან, თუ კი ასეთი შემთხვევის შედეგად წარმოიშობა (შეიძლება წარმოიშვას) კაპიტანისა თუ გემთმფლობელის მიმართ ქონებრივი პრეტენზიები საქონლის მესაკუთრის, დამზღვევი კომპანიის და სხვათა, მათ შორის საბაჟო ორგანოების მიერ ამ ტვირთზე საბაჟო გადასახადების და მოსაკრებლების მხრივ, ნოტარიუსი, კაპიტნის განცხადების საფუძველზე, ნოტარიატის შესახებ კანონის და საზღვაო კოდექსის შესაბამისად ადგენს საზღვაო პროტესტს. იგივე შეუძლია შეასრულოს საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირმა.

გემის ნავსადგურში შემოსვლიდან 24 საათის განმავლობაში კაპიტნის ან გემთმფლობელის საზღვაო პროტესტი უნდა იქნეს დადასტურებული ორი არსებითი მიმართულებით. პირველი — რომ საზღვაო სტიქიის ზემოქმედებით ტვირთის დაღუპვას, განადგურებას ან გაფუჭებას მართლაც ჰქონდა ადგილი (ფაქტის დადასტურება) და მეორე — რომ გემის ეკიპაჟმა გააკეთა ყველაფერი, რათა შეენარჩუნებინა ტვირთი.

ასეთ დროს საბაჟო გადასახადებისაგან გასათავისუფლებლად საჭიროა დაწვრილებით აღიწეროს ეკიპაჟის მოქმედება ტვირთის გადასარჩენად. მაგალითად, იყო თუ არა ტრიუმები დახურული წესისამებრ; გემის სიჩქარე და კურსი შეესაბამებოდა თუ არა ისეთს, რომლის შედეგადაც თავიდან აცილებული იქნებოდა ტრიუმებში ზღვის წყლის მოხვედრა და ამით საქონლის გაფუჭება; შემოწმებული იქნა თუ არა შტორმის წინ სახურავების ჰერმეტულობა და ა.შ.

ნოტარიუსი დაწვრილებით იხილავს კაპიტანის განცხადებას, დაკითხავს არა ნაკლებ ეკიპაჟის ოთხ წევრს (ორს გემის კომანდიდან, ორს გემის მეთაურთა შემადგენლობიდან) და ადგენს საზღვაო პროტესტის აქტს, რომელიც შეიძლება გახდეს იურიდიული საფუძველი საბაჟო გადასახადებისაგან გასათავისუფლებლად.

საქართველოს ნოტარიუსის აქტები, თუ ის უნდა იქნეს გამოყენებული საზღვარგარეთ, მოითხოვს ლეგალიზებას (იხილეთ თავი10, მუხლი 88-ის კომენტარები).

განსახილველი 22 თავის 109-ე მუხლი რეგლამენტაციას უკეთებს საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების და მათი დოკუმენტაციის მიტანას საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილას.

ჩვეულებრივ, საქონლის წარმოდგენა და დეკლარირება ერთდროული პროცესია. დეკლარირებული შეიძლება იყოს მხოლოდ ფაქტობრივად საბაჟო ზონაში შემოსული საქონელი. თანაც საქონელი უნდა იყოს შემოსული სრულად და არ შეიძლება მისი იმ ნაწილის დეკლარირება, რომელიც ჯერ კიდევ გზაშია, თუნდაც ის გამოგზავნილი (გაგზავნილი) იყოს ერთსა და იმავე დროს და ერთი და იგივე კონტრაქტით, როგორითაც გამოიგზავნა უკვე მოსული ტვირთი.

წინასწარი ოპერაცია, რომელსაც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას მიტანა ჰქვია, ტარდება სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს წარმოდგენის გარეშე საქონლის დეკლარირება.

საქონლის და სატრანსპორტო საშუალების მითითებულ ადგილას დაყენების წინასწარი პროცესი მთავრდება საბაჟო ორგანოების შეტყობინებით, რომ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი მიყვანილია, არის, დგას მითითებულ ადგილას. შეტყობინება უნდა მოხდეს საქონლის მითითებულ ადგილას მიტანის დამთავრებიდან არა უგვიანეს 30 წუთისა, ხოლო თუ მიტანა (მიყვანა) მოხდა საბაჟოსათვის არასამუშაო საათებში, საბაჟოს გახსნის მომენტიდან არა უგვიანეს 30 წუთში. საბაჟოსათვის არასამუშაო საათებში შემოსული ტვირთი უნდა განლაგდეს საბაჟო კონტროლის ზონაში.

საბაჟო ორგანოების მიერ მითითებულ ადგილას საბაჟო ორგანოებისადმი წარმოდგენილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები

გაშვებამდე ან რომელიმე რეჟიმის შესაბამისად პირისთვის გადაცემამდე იმყოფება დროებით შენახვაში საბაჟო კონტროლის ქვეშ.

დროებით შენახვისას საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უყურადღებოდ მიტოვება, დგომის ადგილის შეცვლა, საქონლის გადაადგილება-გადმოადგილების და გადაწყობის ოპერაციები, მგზავრების ჩამოსვლა, საიდენტიფიკაციო ნიშნების მოშორება და შეცვლა და სხვა ნებადართულია მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა რაიმე რეალური მიზეზით საფრთხე ემუქრება მგზავრებისა და ეკიპაჟის ჯანმრთელობას, აგრეთვე განადგურების, დაკარგვის ან გაფუჭების საშიშროება ტვირთებსა და სატრანსპორტო საშუალებებს.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რომელიმე საბაჟო რეჟიმში მოსათავსებლად საჭიროა ამ საქონელს სრული დეკლარაცია მიღებული უნიფიცირებული ფორმით, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, საბაჟო ორგანოების ნებართვით, შეიძლება სრული დეკლარაციის ნაცვლად მოკლე დეკლარაციის წარდგენა.

მოკლე დეკლარაციის წარდგენა სრულის მაგიერ დაიშვება იმ პირობით, რომ შემდგომში მოკლე დეკლარაცია შეიცვალოს სრულით. სწორედ ამ პირობის გამო, მოკლე დეკლარაციის წარდგენაც მიკუთვნებულია გაფორმების წინასწარი ოპერაციებისადმი. აქედანვე ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თუ საქონელი წარმოდგენისთანავე ან გარკვეული დროის შემდეგ მოთავსებული იქნა რომელიმე საბაჟო რეჟიმში, მოკლე დეკლარაცია კარგავს აზრს და აღარ გადაეცემა საბაჟო ორგანოს.

მოკლე დეკლარაციას აქვს კიდევ ერთი თავისებურება. თუ სრულ დეკლარაციას ადგენს საქონლის საბაჟო საზღვარზე გადამაადგილებელი პირი ან მისი რწმუნებით აღჭურვილი პირი, მოკლე დეკლარაციის წარმოდგენა შეუძლია გემის კაპიტანს, ავტომანქანის მძღოლს თუ სხვა ფიზიკურ პირს, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას.

მოკლე დეკლარაცია შეიცავს ისეთივე ინფორმაციას, როგორიც საჭიროა საქონლის დროებითი შენახვისათვის:

1) საქონლის გამომგზავნი პირი და ქვეყანა;
2) საქონლის მიმღები და დანიშნულების ქვეყანა;

3) გადამზიდავი;
4) სატრანსპორტო საშუალების მონაცემები;
5) სატრანსპორტო დოკუმენტების ნომრები;
6) საქონლის დასახელება;
7) სატვირთო ადგილების რაოდენობა;
8) ბრუტო წონა;
9) იდენტიფიკაციის საშუალებანი (პლომბები და სხვა);
10) დამატებითი მონაცემები.

თუ ყველა ეს მონაცემი არის სატრანსპორტო, კომერციულ თუ სხვა დოკუმენტებში, საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ ეს დოკუმენტები მიიღონ მოკლე დეკლარაციის მაგიერ.

5. ინვენტარიზაცია და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება

ინვენტარიზაცია ზოგადად წარმოადგენს სასაქონლო—მატერიალური ფასეულობების, ფულადი სახსრების, ძირითადი საშუალებების და სხვა ქონების, ასევე კრედიტორებთან და დებიტორებთან ანგარიშსწორების ფაქტიურ შემოწმებას, რომლის მიზანია საწარმოს საბუღალტრო და სხვა ანგარიშებში შეტანილი ფასეულობებისნატურალური შესაბამისობის დადგენა.

საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ ჩაუტარონ ინვენტარიზაცია პირებს მხოლოდ მათი კონტროლის ქვეშ არსებულ ფასეულობებზე — საქონელსა და სატრანსპრორტო საშუალებებზე, რომელნიც:

ა) იმყოფებიან საბაჟო კონტროლის ქვეშ;
ბ) რომელთა მიმართ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა საბაჟო ანგარიშსწორება (არ გადახდილა საბაჟო გადასახდელები);
გ) რომელთა მიმართ, გატარებულია საბაჟო საგადასახადო შეღავათები.

საბაჟო ორგანოების მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით ხდება დროის გარკვეულ მომენტში ფაქტობრივად არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შედარება საბაჟო სააღრიცხვო მასალებთან.

საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ ინვენტარიზაცია ჩაატარონ:

ა) თუ ადგილი ჰქონდა დატაცებას და უკანონო ქმედებას;

ბ) მომხდარი ხანძრისა თუ სტიქიური უბედურების შემდეგ;

გ) ავტოსატრანსპორტო და სხვა ავარიების შემთხვევაში;

დ) საბაჟო საწყობის (დროებითი შენახვის, თავისუფალი და ა.შ.) გაუქმებისას;

ე) უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის გაუქმებისას;

ვ) ისეთი შემთხვევებისას, როცა საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, ხდება მისი წონის შემცირება ან, პირიქით, გაზრდა, გამოშრობის თუ, პირიქით, ტენის „შესრუტვის“ გამო და სხვა.

ინვენტარიზაცია შეიძლება იყოს სრული და შერჩევითი (ნაწილობრივი).

სრული ინვენტარიზაცია გულისხმობს საბაჟო საწყობში, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიაში და ა.შ. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტში ყველა სახის ფასეულობის სრულ აღწერას. ასეთი ინვენტარიზაცია უმეტესად ხდება საბაჟო კონტროლის ობიექტის სრული ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისას. მაგალითად, საბაჟო საწყობის დებულებით მისი ლიკვიდაციისას, 3 დღის ვადაში საწყობის მფლობელმა უნდა წარუდგინოს საბაჟო ორგანოს საწყობში დარჩენილი საქონლისა. სრული აღწერა ანალოგიური მოთხოვნაა უბაჟო ვაჭრობის ობიექტის ლიკვდაციისადმი.

შერჩევითი (ნაწილობრივი) ინვენტარიზაცია ხორციელდება საქონლის რომელიმე ჯგუფისა თუ სახისა, ერთ-ერთი ნაკეთურისა თუ შენობისა, მრავალთაგან ერთი ან რამდენიმე ობიექტისა და ა.შ.

ინვენტარიზაციის ვადას და პროგრამას განსაზღვრავს საბაჟო ორგანო, რომელიც არ არის ვალდებული ეს ვადა შეათანხმოს ობიექტის მფლობელთან ან ხელმძღვანელობასთან.

ინვენტარიზაცია შეიძლება იყოს გეგმური, მაგალითად, დაკავშირებული საბუღალტრო ბალანსების და ანგარიშების შედგენასთან და მოუ-

ლოდნელი, მაგალითად, როცა ადგილი აქვს სამართალდარღვევის ნიშნებს და ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთათვის მოულოდნელად.

ინვენტარიზაცია ფორმდება სპეციალური დოკუმენტებით (მატერიალური ნაშთების უწყისებით, სასაქონლო ნაშთების აღწერის დოკუმენტები, საკასო ნაშთების შემოწმების აქტები და ა.შ.), რომელთაც ხელს ანერს ინვენტარიზაციაში მონაწილე ყველა პირი.

ინვენტარიზაციის პროცესში შედგენილ დოკუმენტებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი ძირითადი რეკვიზიტები:

ა) დოკუმენტის დასახელება;

ბ) იმ ობიექტის ზუსტი დასახელება და მისამართი, რომელშიც ტარდება ინვენტარიზაცია;

გ) იმ პირთა თანამდებობა, გვარი და სახელი, რომლებიც უფლებამოსილნი იყვნენ და მონაწილეობდნენ ინვენტარიზაციის ჩატარებაში, ობიექტის მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ჩათვლით;

დ) ინვენტარიზაციის ჩატარების თარიღი დაწყებისა და დამთავრების (წუთებამდე სიზუსტით) ჩვენებით;

ე) გამოყენებული საზომი ერთეულები;

ვ) შემოწმებული ფასეულობების დასახელება, ფასი და სხვა ღირებულებითი მაჩვენებლები;

ზ) იმ პირთა ხელმოწერა, რომლებმაც ჩაატარეს ინვენტარიზაცია.

ინვენტარიზაციის შედეგად შედგენილ დოკუმენტს, თუ მას გააჩნია ყველა აქ მოყვანილი რეკვიზიტი, აქვს მტკიცებულების იურიდიულიძალა.

საბაჟო ორგანოებს აგრეთვე აქვთ უფლება შეამოწმონ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირთა, საბაჟო ბროკერების, აგრეთვე იმ პირთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა, რომელთა კონტროლი ევალება საბაჟო ორგანოებს. ასეთ შემთხვევაში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება (მუხლი 136) განიხილება როგორც საბაჟო კონტროლის ერთ-ერთი ფორმა — საბაჟო მიზნებისათვის არსებული დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმება.

პირის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას საბაჟო ორგანო ახორციელებს მაშინ, როცა არის საკმარისი საფუძველი ვარაუდისა,

რომ ეს პირი არღვევს საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეა საქართველო.

პირის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებისათვის საბაჟო ორგანოს მოსამსახურე, რომელსაც დაევალა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი (საბანკოს ჩათვლით) და ნებისმიერი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია მის საგარეო-ეკონომიკურ თუ სხვა სამეურნეო საქმიანობასთან, რომელსაც აქვს შეხება საბაჟო სფეროსთან და საბაჟო ორგანოების ფუნქციებთან;

ბ) მოითხოვოს შემოწმების ობიექტის მფლობელების, ხელმძღვანელი მუშაკებისა და თანამშრომლებისაგან ცნობები, წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები;

გ) დალუქოს შენობები და სათავსოები;

დ) ამოიღოს აქტით დოკუმენტები ან სატრანსპორტო საშუალებანი შესამოწმებლად და შემოწმების შედეგების მიხედვით, საკმარისი საფუძვლის შემთხვევაში, აღძრას საქმე საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე ან დააყენოს საკითხი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

ამოღებული დოკუმენტები უნდა იქნეს დაბრუნებული მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში.

თავად საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების პროცესმა არ უნდა მიაყენოს გაუმართლებელი ზიანი შემოწმების ობიექტს.

შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის კონფიდენციურობა დაცული უნდა იყოს საბაჟო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

6. სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის საბაჟო კონტროლის თავისებურებანი

საზღვაო ტრანსპორტით საბაჟო ხაზღვრის გადაკვეთა საბაჟო კონტროლის თვალსაზრისით განიხილება საქონლის გატანისა და შემოტანის ასპექტში.

შემოტანისას საბაჟო კონტროლის დაწყების მომენტად ითვლება მცურავი საშუალებით საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სამამულო თუ უცხოური სატრანსპორტო საშუალების შემოსვლა, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს შეტყობინება შემოტანის განზრახვის შესახებ. შემოტანისას საბაჟო კონტროლის დამთავრების მომენტად მიჩნეულია საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელი პირისათვის საბაჟო წესით გაფორმებული დოკუმენტების გადაცემა, რომლებითაც ნებადართულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაშვება.

გატანისას საბაჟო კონტროლის დაწყების მომენტად ითვლება შეტყობინების მიღება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გაყვანის განზრახვის შესახებ, ხოლო დამთავრებად - საქონლის გადამაადგილებელი პირისათვის საბაჟო წესით გაფორმებული დოკუმენტების გადაცემა, რომლებითაც ნებადართულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიული წყლებიდან გაყვანა.

საბაჟო ორგანოები ამ დროს სამსახურებრივ მოვალეობას უნდა ასრულებდნენ ნავსადგურის უფროსების, კაპიტნების, მათი სამსახურების, მესაზღვრეთა ნაწილების, შინაგან საქმეთა ორგანოების ტერიტორიული სამმართველოების, სამედიცინო-სანიტარული, ფიტოსანიტარული, ვეტერინარული, ეკოლოგიური სამსახურების ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის პირობებში, ხოლო როცა საკითხი ეხება კულტურულ ფასეულობათა გატანას - კულტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან კავშირში.

როცა საბაჟო ორგანოს საქმე აქვს კონტეინერულ, თხევად, ბნევად და სხვა არაორდინარული საქონლის იმპორტსა და ექსპორტთან, მან ნავსადგურის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა შეიმუშაოს საქონლის ექს-

პორტ-იმპორტის გაფორმების სპეციალური სქემები და საბაჟო კონტროლი განახორციელოს ამ სქემების შესაბამისად.

საბაჟო კონტროლს ექვემდებარება ყველა შორეული (საზღვარგარეთ) მცურავი საშუალება, გარდა სამხედრო საზღვაო ფლოტის და მესაზღვრეთა მცურავი საშუალებებისა.

გემების დათვალიერება და საბაჟო გაფორმება შეიძლება განხორციელდეს როგორც ზღვაში, ისე ნავსადგომთან. სხვადასხვა დაინტერესებული ორგანიზაციები მებაჟეებთან ერთად კონტროლს ახორციელებენ შერეული სასაზღვრო კომისიის შემადგენლობაში.

გემების შემოსვლის (გასვლის) კონტროლი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით.

საქართველოს ან უცხოური გემის კაპიტანი გემის შემოსვლის შესახებ ინფორმაციას გადასცემს დანიშნულების ნავსადგურის დისპეტჩერს არა უგვიანეს 48 საათისა (ტანკერებისათვის 36 საათისა) ნავსადგურში შემოსვლამდე.

მეორედ გემის კაპიტანი იგივე ინფორმაციას გადასცემს შემოსვლამდე 24 საათით ადრე.

თუ რეისის დრო არ აღემატება 48 საათს, ინფორმაცია უნდა გადმოიცეს გემის გამოსვლიდან ერთი საათის განმავლობაში.

საბაჟო საზღვრის დაცვის უმნიშვნელოვანესი მომენტია გარკვეული საბაჟო წესების დაცვა თავად ნავსადგურის ტერიტორიაზე. ამიტომ საბაჟო აკონტროლებს ნავსადგურის მთელ ტერიტორიას.

ნავსადგურის ტერიტორიაზე ტვირთის შეტანა დასაშვებია მხოლოდ დატვირთვის ორდერის ან ზედდებულის წარმოდგენის შემთხვევაში.

ნავსადგურის ტერიტორიიდან ტვირთის უკან გამოტანა შეიძლება მხოლოდ გამოტანის დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელშიც თანამდებობის პირს მითითებული უნდა ჰქონდეს შეტანილი ტვირთის უკან გამოტანის მიზეზი.

ნავსადგურის ტერიტორიიდან მცენარეული წარმოშობის იმპორტული საქონლის გამოტანა დასაშვებია საკარანტინო ინსპექციის მიერ გაცემული საკარანტინო სერტიფიკატის საფუძველზე.

მგზავრების ბარგის გამოტანა ნავსადგურის ტერიტორიიდან დასაშვებია მხოლოდ საბაჟოს ნებართვით.

სარკინიგზო შემადგენლობების ნავსადგურში შესვლა და გამოსვლა უნდა კონტროლდებოდეს საბაჟოს მიერ.

ტურისტული კრუიზის სამგზავრო გემების გემბანი და სათავსოები არ ექვემდებარება საბაჟო დათვალიერებას. საბაჟო ორგანო ახორციელებს მხოლოდ გემზე ბარგით ასვლა-ჩამოსვლის კონტროლს.

საბაჟო ორგანოები შორეული ნაოსნობის გემებს და ტვირთებს აკონტროლებენ:

- გემის დოკუმენტების შემოწმების;
- საქონლის დოკუმენტების შემოწმების;
- გემის საცხოვრებელი და სხვა სათავსოების და ტვირთის დათვალიერების;
- გემის ეკიპაჟის პირადი ნივთების დათვალიერების;
- გემის ქონების, საწვავის და სურსათის მარაგის და სხვათა შემოწმების გზით.

სამგზავრო გემების საბაჟო კონტროლი ხორციელდება რიგგარეშე.

საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, გემების, ეკიპაჟის, მგზავრების და საქონლის საბაჟო კონტროლისათვის საბაჟო ორგანოებს უნდა წარედგინოს:

1. საერთო (გენერალური) დეკლარაცია (General Declaration) **დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს გემის შესახებ;**
2. სატვირთო დეკლარაცია (Cargo Declaration) - **ძირითადი დოკუმენტი გადასაზიდი ტვირთის თაობაზე;**
3. დეკლარაცია გემის სანოვაგის, საწვავის და სხვა მოხმარების საგნების შესახებ;
4. ეკიპაჟის სია (Crew List);
5. მგზავრების სია (Passanger List);
6. გემზე არსებული იარაღის სია;
7. ნარკოტიკების და ნარკოტიკშემცველი სამედიცინო პრეპარატების სია;
8. ცნობა ვალუტის და სავალუტო ფასეულობათა შესახებ;

9. კონოსამენტი - ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ასახავს ურთიერთობას საქონლის გადამზიდავს და მიმღებს შორის. კონოსამენტი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი დოკუმენტია საბაჟო გაფორმების განსახორციელებლად.

10. სატვირთო მანიფესტი (Cargo Manifest) - გემზე მოთავსებული ტვირთების კონოსამენტების ჩამონათვალი.

ყველა ჩამოთვლილ დოკუმენტს ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილია გემის კაპიტნის ან მისი რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ და დადასტურებულია გემის ბეჭდით.

კომისიის მიერ საბაჟო კონტროლის პროცედურის დამთავრების შემდეგ კომისიის ხელმძღვანელი მოახსენებს კაპიტანს საბაჟო ფორმალობების დამთავრების შესახებ და კომისია ტოვებს გემს.

სარკინიგზო გადაზიდვების საბაჟო კონტროლი ხორციელდება:

- რკინიგზის სასაზღვრო სადგურებში;
- საზღვრის ახლოს მოწყობილ საბაჟო საგუშაგოებში;
- უშუალოდ სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობისას სახელმწიფო საზღვრიდან სასაზღვრო სადგურამდე;
- სარკინიგზო ჩიხებში, რომლებსაც აქვთ საბაჟო საწყობების და დროებითი საბაჟო საწყობების სტატუსი.

ფიზიკური პირების საბაჟო გაფორმება ხორციელდება:

- სამგზავრო ვაგონებში;
- რკინიგზის სასაზღვრო სადგურებში.

სასაზღვრო სადგურში საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად გამოიყოფა სპეციალური ჩიხი რამდენიმე წყვილი ლიანდაგით, რომლებშიც ეტევა სატვირთო ეშელონი. აქ კეთდება ამაღლებული დასათვალიერებელი მოედანი, რომელიც იძლევა ეშელონის ზემოდან დათვალიერების საშუალებას. დათვალიერების ასეთი ზონა უნდა იყოს შემოკავებული და დაცული მესაზღვრეებისა და მებაჟეების გუშაგების მიერ. ვაგონების იდენტიფიკაციის, ლუქების შემოწმების, ზემოდან, ქვემოდან და გვერდებიდან დათვალიერების შემდეგ, თუ წარმოიშვა რაიმე ეჭვი, ვაგონი შეიძლება გაიხსნას, რაზეც უნდა შედგეს ვაგონის გახსნის ოქმი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ რკინიგზის სადგურის, საბაჟოს და სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო ავიაგადაზიდვების საბაჟო კონტროლი ხორციელდება აეროპორტებში და მოიცავს:

- საქონლის კონტროლს მგზავრების საერთაშორისო გადაზიდვებისას;
- საქონლის კონტროლს ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისას;
- საჰაერო ხომალდების საბაჟო კონტროლს;
- აეროპორტების ტერიტორიის საბაჟო კონტროლს.

აეროპორტებში საბაჟო კონტროლის პოსტები, როგორც წესი, განლაგდება ავიაკომპანიების რეგისტრაციის ჯიხურების წინ. ამ შემთხვევაში მგზავრი ჯერ გაივლის საბაჟო გაფორმებას და შემდეგ ახდენს თავისი გაფრენის და ბარგის რეგისტრაციას, რომლის შემდეგ გადის მესაზღვრეთა საპასპორტო კონტროლს. ამის შემდეგ მგზავრი გადის სპეცკონტროლს - მოწმდება ხელბარგში, მგზავრის ტანსაცმელში ან ტანზე იარაღის, საბრძოლო მასალების, ნარკოტიკების და სხვა აკრძალული ნივთების არსებობა.

მოფრენის დარბაზში საბაჟო საგუშაგო უკანასკნელი საკონტროლო უბანია აეროპორტიდან გამოსვლამდე.

აეროპორტებში საბაჟო გაფორმების წესები პრაქტიკულად არ განსხვავდება სხვა საერთო წესებისაგან. იგივეა დეკლარირების და შიგა ტრანზიტის ტექნოლოგიაც.

ამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როგორიცაა:

- თავისუფალ ბრუნვაში გაშვების საბაჟო რეჟიმის დეკლარირება;
- სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმი;
- იმ შემთხვევისა, როცა საქონლის გადამაადგილებელი პირი რეგისტრირებულია როგორც მეურნე პირი იმავე საბაჟოში, რომელიც ახორციელებს აეროპორტის კონტროლს.

საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო ახორციელებს საბაჟო გაფორმების მხოლოდ წინასწარ ოპერაციებს. საბოლოო საბაჟო გაფორმება ხდება იმ საბაჟოში, სადაც რეგისტრირებულია საქონლის გადამზიდველი პირი, ანუ აეროპორტში აფორმებენ მოკლე დეკლარაციას, ხოლო საქონელს აბარებენ დროებითი შენახვის საწყობს.

საჰაერო ხომალდების, როგორც სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება ხორციელდება ჩიკაგოს კონვენციის (1944 წ.) მიხედვით ერთიანი

საერთაშორისო დოკუმენტის **საჰაერო ხომალდის გენერალური დეკლარაციის** მეშვეობით.

ამ დეკლარაციაში მოცემულია ინფორმაცია საწვავის, მატერიალურ-ტექნიკური ალჭურვილობის, ინსტრუმენტების, ხელსაწყოების და სხვა საგნების შესახებ, რომლებიც საჭიროა ხომალდის ნორმალური ექსპლუატაციისათვის.

საავტომობილო გადაზიდვების საბაჟო კონტროლი შეიძლება დაიყოს ორ სახედ:

1. იმ სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო კონტროლი, რომლებსაც გადაქვთ საქონელი და მიემართებიან დასატვირთად ან ბრუნდებიან საქონლის ჩამოტვირთვის შემდეგ;

2. ამ სატრანსპორტო საშუალებებით გადასაზიდი (გადაზიდული) საქონლის კონტროლი.

საავტომობილო გადაზიდვების საბაჟო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს საბაჟო გამშვებ პუნქტებში, გზაში ან დანიშნულების ადგილას.

სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ამოცანებია:

- საქონლის საბაჟო კონტროლისაგან თავის არიდების მიზნით სატრანსპორტო საშუალებებში მოწყობილი სამალავების გამომჟღავნება და მათი აღკვეთა;

- სატრანსპორტო საშუალებების საზღვარზე გადაადგილების აღკვეთა, თუ ეს გადაადგილება არ არის დაკავშირებული მგზავრების და ოფიციალური ტვირთების გადაზიდვასთან;

- სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობის შესატყვისობის შემოწმება საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის უსაფრთხო და დროული გადაზიდვის შესაძლებლობასთან.

ავტომობილების მძღოლები ექვემდებარებიან ისეთივე შემოწმებას, როგორც ფიზიკური პირები.

ავტოტრანსპორტის საბაჟო გაფორმება ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის ზონაში შესვლისას საბაჟო და სასაზღვრო ორგანოებისათვის შეტყობინება სატრანსპორტო საშუალებასა და საქონელზე დოკუმენტების წარმოდგენის ფორმით;

- თანამდებობის პირის მიერ დოკუმენტების შემოწმება და გადაწყვეტილების მიღება საბაჟო გაფორმების ფორმის და ადგილის თაობაზე;

- გადაწყვეტილების მიღება საბაჟო კონტროლის ფორმის თაობაზე;

- სატრანსპორტო საშუალების და საქონლის გაფორმება;

- გადამზიდავისათვის დოკუმენტების ჩაბარება;

- სატრანსპორტო საშუალების გაშვება საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით.

სასაზღვრო საბაჟო საგუშაგოზე უნდა იყოს საბაჟო კონტროლის განხორციელების ტექნიკური საშუალებები: საბაჟო კონტროლის საწყობები შეიარაღებულნი უნდა იყვნენ დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებებით, ტარის გახსნა-აღდგენის ინსტრუმენტებით, ხელსაწყოებით და სხვა. აქვე ასევე უნდა იყოს ესტაკადები და ორმოები სატრანსპორტო საშუალების ზემოდან და ქვემოდან დასათვალიერებლად.

საბაჟო ტერიტორიიდან გასვლისას ავტომობილის და საქონლის გადამზიდავმა პირმა უნდა წარმოადგინოს იგივე დოკუმენტები, რაც შემოსვლისას და შემოტანისას, აგრეთვე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ორი ეგზემპლარი, გაფორმებული შიგა საბაჟოში.

თავი IX

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებები და საბაჟო ექსპერტიზა

1. საბაჟო ტექნიკა

საბაჟო ტექნიკა არის იმ ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელსაც იყენებენ სპეციალიზებული საბაჟო ორგანოების ქვედანაყოფები მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

საბაჟო ტექნიკის სახეებია:

- საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ფაქტობრივი საბაჟო კონტროლის დროს, უპირველეს ყოვლისა საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების და საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელი პირების შესამოწმებლად;

- კრიმინალისტური ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება დანაშაულის გახსნისას;

- საბაჟო ექსპერტიზის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც იძლევიან საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას;

- კავშირგაბმულობის და მონაცემების გადაცემის საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მმართველობითი, ტექნოლოგიური და სხვა ამოცანების გადაწყვეტას;

- საინფორმაციო უზრუნველყოფის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო ხასიათის ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას, შენახვას, მოძიებას, გაცემას და გამოქვეყნებას;

- საბაჟო ორგანოების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებანი;

- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში გამოსაყენებელი ტექნიკა - სპეცტექნიკა;

- საბაჟო ორგანოების საქმის წარმოების ტექნიკა - ორგტექნიკა.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებების ქვეშ იგულისხმება იმ სპეციალური ხელსაწყოების და ინსტრუმენტების კომპლექსი, რომელიც

საბაჟო ორგანოების მიერ გამოიყენება საბაჟო საზღვრებზე გადაადგილებული (გადასაადგილებელი) ობიექტების კონტროლისათვის, მათი დეკლარირებული დოკუმენტების უტყუარობის, გასაკონტროლებელი ობიექტების მათ შესახებ წარმოდგენილ მონაცემებთან შესატყვისობის დასადგენად და ამ ობიექტებში საბაჟო კანონმდებლობის დარღვევით არსებული საგნების აღმოსაჩენად.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგები განსაზღვრავენ საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი ობიექტების კონტროლის მთელი შემდგომი პროცესის მსვლელობას.

ეს ტექნიკა საშუალებას იძლევა:

- აღმოჩენილი იქნეს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი ობიექტების თანმხლები დოკუმენტების გაყალბება;

- გამოვლინდეს საბაჟო ორგანოებში წარმოდგენილი გადასაადგილებელი საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში სასაქონლო ნომენკლატურის არასწორი კოდის მინიჭების ფაქტი და აღიკვეთოს ასეთი გზით გადასახდელებისაგან თავის არიდების მცდელობა;

- აღმოჩენილი იქნეს სამალავებში და საკონტროლო ობიექტებში მალულად ჩამატებული ნივთები, რაც კრიმინალისტურ საშუალებებთან ერთად უზრუნველყოფს სამართალდარღვევის დროულ გამოვლენას და აღმოფხვრას.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებების შერჩევისა და ეფექტური გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ტექნიკის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა დანიშნულება, სახეობა, გაბარიტები, წონა, საკონსტრუქციო თავისებურებანი და სხვა, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ მათ ეფექტურობას ოპერატიულ-ტექნიკური კონტროლის განხორციელებისას.

ტექნიკური საშუალებებით საბაჟო კონტროლის ობიექტებს მიეკუთვნება:

- გარკვეული კატეგორიის საქონელი;

- ხელბარგი, მგზავრების თანმხლები ბარგი და სატრანსპორტო მოსამსახურეების ბარგი;

- მგზავრთა ის ბარგი, რომელიც გაფორმებულია სატვირთო ზედდებულით, მიბარებულია სატრანსპორტო ორგანიზაციაზე და გადაიტანება ცალკე, მგზავრის თანხლების გარეშე;

- საშუალოგაბარიტიანი შეფუთვის ტვირთები;

- დიდგაბარიტიანი შეფუთვის ტვირთები (კონტეინერები, სატვირთო პლატფორმები, ბუნკერები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძარები და მისაბმელები და სხვა);

- სატრანსპორტო საშუალებების ყველა სახეობა;

- საერთაშორისო საფოსტო გზავნილები;

- კონკრეტული პირები, თუ არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ თან აქვთ ნივთები, რომელთა საბაჟო საზღვარზე გადატანა მიეკუთვნება საბაჟო სამართალდარღვევას და რომელსაც ისინი არ აბარებენ საბაჟო ორგანოებს ნებაყოფლობით;

- დოკუმენტები საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებებზე, როგორც საქონლის თანმხლები და მასთან ერთად გადასაადგილებელი, ასევე, რომლებიც არ გადაადგილდებიან საზღვარზე საქონელთან ერთად;

- საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტები (იდენტიფიკაციის საშუალებანი), რომლებიც დაფიქსირებულია დოკუმენტებში, საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე.

ტექნიკური საშუალებებით საბაჟო კონტროლის განხორციელებისას შემოწმებას ექვემდებარება არა მარტო საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების შიგთავსი, არამედ თავად ობიექტებიც. მაგალითად, მგზავრის ბარგში მყოფი პირადი ნივთები და, შესაბამისად, ჩემოდნები, ჩანთები, კოლოფები და სხვა; როგორც კონტეინერებში მოთავსებული ტვირთი, ისე თავად კონტეინერებიც; როგორც ტვირთი, ასევე სატრანსპორტო საშუალებების სათავსოები და მთლიანი მოცულობა.

საბაჟო კონტროლის ოპერატიულ-ტექნიკური სისტემა წარმოადგენს საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა ოპერატიულ-ტექნიკური მოქმედებების კომპლექსს, რომელიც საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფს საბაჟო სამართალდარღვევებთან ბრძოლის მაღალ ხარისხს და ეფექტურობას. ასეთი სისტემა უნდა ემყარებოდეს

ქვეყანაში შექმნილ საბაჟო ოპერატიული ვითარების ანალიზს, არსებულ და შესაძენად საჭირო საბაჟო ტექნიკას, ასეთი ანალიზის და ტექნიკური ბაზის საფუძველზე საბაჟო ორგანოების ოპერატიული ამოცანების განსაზღვრას და მათი მიღწევის გეგმის შედგენას და მისი შესრულებისათვის საჭირო თანამედროვე ორგანიზებას (რეორგანიზაციას, რეფორმების გატარებას, კადრების მომზადებას, გადამზადებას და გადახალისებას).

საბაჟო კონტროლის ოპერატიულ-ტექნიკური სისტემა შეიცავს საბაჟო ოპერატიულ-ტექნიკური მოქმედებების შემდეგ ძირითად შემადგენელ ნაწილებს:

- საბაჟო დოკუმენტების დიაგნოსტიკა;
  საბაჟო კონტროლის ობიექტების ინსპექცია;
- საბაჟო კონტროლის ობიექტების და მათი შიგთავსის შემოწმება;
- საბაჟო კონტროლის ობიექტების შიგთავსის დიაგნოსტიკა;
- საბაჟო კონტროლის ობიექტის გაფორმება;
- საბაჟო კონტროლის ზონაში ოპერატიული ვითარების თვალთვალი.

საბაჟო დოკუმენტების დიაგნოსტიკა გამოიხატება საბაჟო კონტროლის ობიექტის მთელი დოკუმენტაციის კრიმინალისტიკურ შემოწმებაში. ასეთი დიაგნოსტიკის დროს ხდება მატერიალური გაყალბების აღმოჩენა დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერების გზით. კერძოდ: გადასწორებები, ამოშლები, მინაბეჭდები, ტექსტების ქიმიური საშუალებებით ამოშლა, სხვა ელემენტების ჩაწებება, მრავალგვერდიან დოკუმენტებში ცალკეული ფურცლების შეცვლა, ბეჭდების, შტამპების, რეკვიზიტების, თანამდებობის პირთა ხელმოწერების ანაბეჭდების და გამოსახულებების გაყალბება.

თუ საბაჟო დოკუმენტების დიაგნოსტიკის შედეგად აღმოჩენილი იქნა დოკუმენტების გაყალბების ნიშნები ან წარმოიშვა ეჭვები მათი უტყუარობის თაობაზე, დადგენილი წესით ხდება დოკუმენტების გადაცემა კრიმინალური ექსპერტიზისათვის, იმავდროულად (პასუხის მიღებამდე) კონტროლირებადი ობიექტის დაკავებით.

თუ დოკუმენტების დიაგნოსტიკამ არ გამოავლინა რაიმე დარღვევები, ხდება მათი შესაბამისი მიღება-გაფორმება და გადასვლა ოპერატიულ-ტექნიკური მოქმედების შემდეგ სახეობაზე - **საბაჟო კონტროლის ობიექტების ინსპექტირებაზე**.

საბაჟო კონტროლის პოზიციებიდან ტერმინ "ინსპექციის" ქვეშ იგულისხმება საბაჟო ორგანოების ოპერატიული შემადგენლობის მიერ ისეთი ტექნოლოგიური ქმედებების კომპლექსის გატარება, რომლებიც, როგორც წესი, ხასიათდება საბაჟო ობიექტის დისტანციური გამოკვლევით, მისი მახასიათებლების დადგენით, შიგთავსის დიაგნოსტიკით, რაც, საბოლოო ჯამში იძლევა საშუალებას ობიექტის შიგთავსთან უშუალო კონტაქტის გარეშე დადგენილი იქნეს ამ საქონლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის გაცხადებული კოდის შესატყვისობა საქონლის რეალურ მახასიათებლებთან. ინსპექციისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქონლის თუ პირადი ნივთების კონტრაბანდული შემოტანის და საბაჟო წესების დარღვევის აღკვეთას.

ასეთი ოპერატიულ-ტექნიკური შემოწმებისას გამოყენებული საბაჟო კონტროლის სამძებრო-დიაგნოსტიკურ ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება:

- ინტროსკოპიის საშუალებები (სათვალთვალო რენტგენული აპარატურა და საინსპექციო-სამეთვალყურეო კომპლექსები);

- კონტრაბანდის ცალკეული სახეების (იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილობები და მასალები, ნარკოტიკები, რადიოაქტიური ნივთიერებები და სხვა) გამოსავლენი მოწყობილობები;

- ცალკეული, სტრატეგიული მნიშვნელობის სანედლეულო საქონლის მოცულობის (რაოდენობის) დისტანციური კონტროლის ტექნიკური საშუალებანი;

- საქონლის შემცველობის (კლასიფიკაციის) დიაგნოსტიკური ტექნიკა.

ამრიგად, საბაჟო კონტროლის ამ ეტაპზე შეთავსებულია ორი მიმართულება - სამართალდამცავი (კონტრაბანდა და საბაჟო წესების დარღვევა) და ეკონომიკური (გადასახადებისაგან თავის არიდება არასწორი და არასრული სასაქონლო კლასიფიკაციის მიყენების გზით).

საბაჟო კონტროლის ინსპექტირების ეტაპზე საჭიროა საკმაოდ რთული ტექნიკა, ვინაიდან ინსპექტირება ხდება დისტანციურად და ოპერატიულად (მოკლე დროში).

ამავე დროს ეს ეტაპი განსაზღვრავს, დასაბამს აძლევს კონტროლის სხვა, უფრო გაღრმავებულ შემოწმებას. ვინაიდან ამ ეტაპზე საჭიროა დიდი რაოდენობის საბაჟო ობიექტების მოკლე დროში, ოპერატიულად

გატარება, კონტროლი მეტწილად ატარებს შერჩევით, ვიზუალური დათვალიერების ხასიათს.

ინსპექტირების ეტაპისაგან განსხვავებით კონკრეტული და მიზანდასახული ხასიათი აქვს **საბაჟო კონტროლის ობიექტების შემოწმების ეტაპს.**

ამ ეტაპის მიზანია ორი ფუნქციის შესრულება: საქონელში, სასაქონლო და სატრანსპორტო შეფუთვაში, სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციებში დამალული შემცველების აღმოჩენა და საბაჟო წესების პოტენციური დარღვევით გადაადგილებული ობიექტების ნიმუშების და სინჯების აღება შემდგომი ეტაპის მოქმედებებისათვის.

თუმცა, ამ ეტაპზე ოპერატიულ-ტექნიკური შემოწმება დაკავშირებულია საბაჟო კონტროლის ობიექტის "გახსნასთან, შიგ ჩახედვასთან და გემოს გასინჯვასთან", ანუ ობიექტთან უშუალო კონტაქტთან, ამ ეტაპზეც გამოიყენება მარტივი საზომი ტექნიკური საშუალებები: საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტიკის დიაგნოსტიკის, სამალავების და დამალულის აღმოჩენის, ლოკაციის და სხვა.

ეს ტექნოლოგიური მოქმედება უშუალოდ დაკავშირებულია შესაძლო შემდგომ პროცესუალურ ეტაპთან - საქმის აღძვრასთან კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებით და ამიტომ ამ ეტაპის ამოცანაა ასეთ საქმეებთან დაკავშირებული ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა, დაფიქსირება, ამოღება და შენახვა. ამ ამოცანის სკრუპულოზური შესრულება საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისაგან მოითხოვს მაღალ კრიმინალისტურ კვალიფიკაციას, საბაჟო ტექნიკის ტაქტიკურ-ტექნიკური შესაძლებლობების ღრმა ცოდნას, ასეთი ოპერაციების ჩატარებისას საქართველოს საბაჟო კოდექსის მოთხოვნების დაცვას და შესრულებას.

საბაჟო ოპერატიულ-ტექნიკური მოქმედებების შემდეგი ეტაპია საბაჟო კონტროლის ობიექტის შემცველობის კონტაქტური დიაგნოსტიკა. ამ ეტაპზე გამოიყენება ის საბაჟო ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა დადგენილი იქნეს საქონლის კლასი, მოხდეს აღმოჩენილი ნივთიერებების, მასალების და საქონლის ამოცნობა, მათი სამართლებრივი (საბაჟო თვალსაზრისით) კლასიფიკაცია.

ასეთი სამუშაოს შესრულება საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისაგან მოითხოვს მაღალ ცოდნას, პრაქტიკულ მომზადებას და გათვითცნობიერებას დარგში; რომელსაც **საბაჟო საქონელმცოდნეობა** შეიძლება ეწოდოს.

საბაჟო საქონელმცოდნეობის შესწავლის ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ საექსპორტოდ და საიმპორტოდ აკრძალული და სავაჭრო ბრუნვიდან ამოღებული საქონელი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონელი, ორმაგი გამოყენების საქონელი, აქციზური საქონელი, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, მომწამლავი, რადიოაქტიური და სხვა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოსათვის საშიში ნივთიერებანი, იარაღი, ტყვია-წამალი და ბევრი სხვა. ასეთი სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბებისას ძირითადი მნიშვნელობა უნდა მიექცეს საბაჟო მნიშვნელობის საქონლის კლასიფიკატორის შექმნას, საიდენტიფიკაციო (გამოსაცნობი) ნიშნების სისტემატიზირებას და ექსპერს ექსპერტიზას, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს საქონლის საიდენტიფიკაციოდ საბაჟო ლაბორატორიების დატვირთვა.

საბაჟო ოპერატიულ-ტექნიკური მოქმედებების უკანასკნელი ეტაპია საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმება. ამ პროცედურების ტექნიკური უზრუნველყოფა გამოიყენება საბაჟო ატრიბუტიკის დამაგრების, დადალვის, დაშიფვრის და დაშიფრულის ამოსაცნობად. ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროა საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ სატრანსპორტო საშუალებებზე ელექტრონული თვალთვალის საშუალებების დაყენება.

საბაჟო გაფორმების პროცედურების დაჩქარებას და სრულყოფას ემსახურება თანამედროვე ორგტექნიკის დანერგვა.

ოპერატიულ-ტექნიკური სისტემის განსაკუთრებული ფორმაა საბაჟო კონტროლის ზონის ვიზუალური თვალთვალის სატელევიზიო და საზღვრის დამცავი ტექნიკა.

2. საბაჟო კონტროლის ტექნიკურ საშუალებათა კლასიფიკაცია

საბაჟო კონტროლის ტექნიკურ საშუალებებს ყოფენ 7 დამოუკიდებელ და ამავე დროს ურთიერთდაკავშირებულ კლასად.

პირველ კლასს მიეკუთვნება დოკუმენტების ოპერატიული დიაგნოსტიკის ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა საქონლის საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებლად წარმოდგენილ დოკუმენტებში გამომჟღავნდეს სრული ან ნაწილობრივი მატერიალური გაყალბება - ამოფხეკა, ქიმიური

გაუფერულება, მიწერა, ტექსტის მიბეჭდვა, მრავალგვერდიან დოკუმენტებში ფურცლების და ფოტოების შეცვლა, სხვა დოკუმენტების ელემენტების და ფრაგმენტების ჩაწებება, ბეჭდების, შტამპების, ანაბეჭდების, რეკვიზიტების და ხელმოწერების და ა.შ. გაყალბება.

დოკუმენტების დიაგნოსტიკის ოპერატიულობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ასეთი დიაგნოსტიკა ხორციელდება შეუფერხებლად საბაჟო გაფორმების პროცესში და ითვალისწინებს **ინტელექტუალური სიყალბის** (იგულისხმება შინაარსობრივი სიყალბე, მაგალითად, არარსებული ან ამაზე არაუფლებამოსილი და ა.შ. ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტების წარმოდგენა) და **მატერიალური სიყალბის** (ჩანაწერების გაყალბება, გვერდების და ფოტოსურათების შეცვლა, ანაბეჭდების და ხელმოწერების გაყალბება, მოგონილი ნომრების, ინდექსების, სერიების მითითება და ა.შ.) ნიშნების გამოვლენას.

რადგან დოკუმენტების ოპერატიული დიაგნოსტიკა ხორციელდება უშუალოდ საბაჟო პროცედურების გავლის პროცესში და შეზღუდულია დროში (ამიტომაც ეწოდება - ოპერატიული), აგრეთვე დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, საჭიროებს სპეციალურ ტექნიკას და ჩვევებს, იგი არ ისახავს მიზნად დოკუმენტების კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებას. მისი ამოცანაა მხოლოდ აღმოაჩინოს ან ეჭვი შეიტანოს დოკუმენტების უტყუარობაში და, თუ ამის ნიშნებს აღმოაჩენს, შეაჩეროს საბაჟო პროცედურები, გადააგზავნოს საეჭვო დოკუმენტები ექსპერტიზაზე და შედეგების მიღებამდე დააკავოს ტვირთი.

მეორე კლასს მიეკუთვნება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების სხვადასხვა სახეების **დისტანციური ოპერატიულ-ტექნიკური ინსპექციის** ტექნიკური საშუალებები. ამ საშუალებათაგან თავისი ოპერატიულობით და ეფექტურობით განსაკუთრებით გამოირჩევა **ინტროსკოპული** ტექნიკა, ანუ მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა "ხილული" იქნეს გაუმჭვირვალე სხეულებში ან გარემოში მყოფი საგნები და პროცესები.

ინტროსკოპული ტექნიკა, დიდი ზომის საინსპექციო-საკონტროლო კომპლექსების სახით, გამოიყენება დიდგაბარიტიანი ნივთების და სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირებისათვის.

ამავე კლასს მიეკუთვნება მოცულობის (რაოდენობის) მაკონტროლებელი დისტანციური მონყობილობები და მათ შორის საბაჟო მართლწესრიგის შესაძლო დარღვევით დამალული ნივთების აღმომჩენი დანადგარები.

მეორე კლასის პირველ ქვეკლასს მიეკუთვნება **საბაჟო კონტროლის რენტგენული ტექნიკა.** ამ სპეციალური ტექნიკის დანიშნულებაა ვიზუალური ინფორმაციის მიღება საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი ობიექტის შიგა მონყობილობის და შემცველობის შესახებ.

საბაჟო ინტროსკოპიის ამოცანაა საბაჟო დაკვირვების ობიექტში არსებული საგნების მიკუთვნება გარკვეული ჯგუფის, სახის, კლასის და ტიპისადმი, საკონტროლო ობიექტში მყოფი საგნების კონსტრუქციული ნიშნების მიხედვით სამალავების და მალული ჩასადებების აღმოჩენა ან გარკვეულ ნივთზე, როგორც საბაჟო მართლწესრიგის დარღვევის შესაძლო ობიექტზე, ეჭვის მიტანა. საბაჟო ორგანოს ოპერატიული მუშაკი, უკეთებს რა ანალიზს ინტროსკოპული აპარატურის ეკრანზე კონტროლირებადი ობიექტის შიგა გამოსახულებას, დამახასიათებელი ნიშნებისა და წარმოსახვის მეშვეობით "ამოიცნობს" საგნების დანიშნულებას. ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია მრავალ ნივთებს შორის სამალავების და დამალული საგნების გამოცნობის უნარი.

მეორე კლასის მეორე ქვეკლასს შეადგენენ **საბაჟო საინსპექციო-საკონტროლო კომპლექსები,** რომელთა დანიშნულებაა დიდგაბარიტიანი, დიდი ზომის, წონის, ჩატვირთვის სიმჭიდროვით კონსტრუქციული მასალების და ჩატვირთული საქონლის მრავალფეროვნებით გამორჩეული ობიექტების შემონმება.

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ საინსპექციო-საკონტროლო კომპლექსების ორ სახეობას:

- მსუბუქი ავტომანქანების (მიკროავტობუსების, მისაბმელების, მოძრავი აგარაკების, ცალკეული სატვირთო ფუთების, რომელთა წონა არ აღემატება 3 ტონას და ზომები მსუბუქი მანქანის ზომებს) ინტროსკოპიის კომპლექსები;

- დიდგაბარიტიანი ტვირთების გადასაზიდად განკუთვნილი ობიექტების (კონტეინერები, ტრაილერები, რეფრეჟერატორები, რკინიგზის ვაგონები) ინტროსკოპიის კომპლექსები.

ინტროსკოპული კომპლექსების ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები უნდა უზრუნველყოფდნენ: ობიექტებში მყოფი საგნების ისეთ ვიზუალურ დათვალიერებას, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ამოცნობილი იქნეს სხვადასხვა მოწყობილობები, ცალკეული საგნები და ნივთიერებები; კონტეინერის დატვირთულობის და შიგ მყოფი ნივთების სივრცეში განლაგების დადგენას; სხვადასხვა ნაწარმის მასალის მიხედვით (ლითონის, ორგანული ნივთიერების) ამოცნობას; კონსტრუქციული სიცარიელეების და კედლების, ჭერს და იატაკს შორის სივრცის "დანახვას"; ავტომანქანების და სარკინიგზო ვაგონების სხვადასხვა კვანძების ამოცნობას.

კომპლექსის აპარატურა საშუალებას იძლევა ეკრანზე გამოყოფილი იქნეს კონტეინერის ან მანქანის ცალკეული ფრაგმენტი და მრავალჯერ იქნეს გადიდებული უკეთ დასათვალიერებლად.

ერთი მსხვილგაბარიტიანი ობიექტის ინტროსკოპირება მოითხოვს 15-20 წუთს.

მეორე კლასის მესამე ქვეკლასი მოიცავს **ცალკეული, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სანედლეულო საქონლის მოცულობის (რაოდენობის) დისტანციური კონტროლის ტექნიკურ საშუალებებს.** ამ სახის ტექნიკური კონტროლი მოწოდებულია უზრუნველყოს ისეთი ობიექტების და საქონლის მოცულობის (რაოდენობის) კონტროლირება, როგორიცაა: ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით), ნავთობის გადამუშავების პროდუქტები, საწვავი გაზი და სხვა ნახშირწყალბადები; ნახშირწყალბადური ნედლეული (ბენზოლი, სტიროლი, ფენოლი, ანილინი, სპიროიდული ფისი); ბუნებრივი გაზი; ელექტროენერგია; ფერადი, ტუტე, ტუტემიწისეული და იშვიათი ლითონები, ნედლეული მათ საწარმოებლად, მათი შენადნობები, ფხვნილები, ნახევარფაბრიკატები; ფერადი ლითონის სხმულები. ამის გარდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სანედლეულო ობიექტების სიაში შედის: ხე-ტყე, დახერხილი ხე-ტყე, ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ნედლეული; თევზი და თევზპროდუქტები; დაუმუშავებელი ალმასები.

როგორც მოყვანილი ჩამონათვალიდან ჩანს, გასაკონტროლირებად ობიექტებს ცოტა რამ გააჩნიათ საერთო, გარდა იმისა, რომ საბაჟო კონტროლის საგანი მათ ერთნაირი აქვთ - **წონა ან მოცულობა.** მოყვანილ ობიექტებს განსხვავებული აქვთ საზღვრის გადალახვის სატრანსპორტო

საშუალებანიც: ცისტერნები, გემების ტანკები და ტრიუმები, მილსადენები, ელექტროსადენები და სხვა.

ასე მაგალითად, ტრანსკავკასიური დერეფნის პროგრამით საქართველოზე გამავალი მილსადენებით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატუმბვა რომ დაექვემდებაროს საქართველოს საბაჟო კონტროლს, აუცილებლად უნდა დამონტაჟდეს გამავალი ნავთობპროდუქტების რაოდენობის დამაფიქსირებელი (მაკონტროლებელი) მოწყობილობა.

მაგრამ, იმის გამო, რომ საქართველოში ასეთი სახის მაკონტროლებელი მოწყობილობა არ დგას, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ ნავთობპროდუქტების და გაზის შემოტანა და გატანა შეფასდება არა მათი რეალური რაოდენობის მიხედვით, არამედ დოკუმენტურად, რაც გამხდარა და მომავალშიც შეიძლება გახდეს სამართალდარღვევის საფუძველი.

ტექნიკურად შედარებით ადვილი მოსაწესრიგებელია ელექტროენერგიის ექსპორტის და იმპორტის კონტროლი, ვინაიდან არსებობს მისი აღრიცხვის დისტანციური კონტროლის საშუალებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკულად არც ამის კონტროლი ხორციელდება, ერთის მხრივ, სპეციალიზებული ენერგეტიკული საბაჟო საგუშაგოების ორგანიზაციული მოუწყობლობის გამო და მეორეს მხრივ, სანამ ელექტროენერგიის იმპორტი არ იბეგრება, ასეთი კონტროლით დაუინტერესებლობის გამო.

რაც შეეხება დანარჩენ საქონელს, მათი კონტროლის ყველაზე ადვილი საშუალებანი - სასაქონლო, საავტომობილო, სარკინიგზო სასწორები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის შესყიდული და დამონტაჟებული საბაჟო გამშვებ პუნქტებში.

მესამე კლასი - საბაჟო მოძიებისა და შემოწმების ტექნიკური საშუალებანი გამოიყენება ძნელადმისადგომი ადგილების ოპტიკურ-მექანიკური და ლოკაციური მოკვლევისათვის, სამალავებისა და გადამალული საგნების აღმოსაჩენად. ასეთი ადგილები შეიძლება იყოს: მსუბუქი და სატვირთო მანქანების, ავტობუსების კაბინები, სალონები, ფუნქციონალური და კონსტრუქციული ნაკვეთურები; სარკინიგზო ტრანსპორტის საცხოვრებელი, სამსახურებრივი და სამგზავრო ნაკვეთურები; გემების და თვითმფრინავების სათავსოები, რომლებშიც მრავლადაა თვალს მიფარებული, გაუნათებელი და ძნელად მისადგომი ადგილები, ვიწრო და მცირე ზომის

სივრცეები კედლებში, ჭერში, იატაკქვეშ, რომელთა პირდაპირი ვიზუალური დათვალიერება შეუძლებელია.

ასეთი ადგილების გასაკონტროლებლად გამოსაყენებელი ტექნიკა იყოფა საერთოდ სამალავების და დამალულის აღმოსაჩენ და საბაჟო სამართალდარღვევათა კონკრეტული სახეების მოსაძიებელ ტექნიკად.

სამალავების და დამალულის აღმომჩენი ტექნიკური საშუალებები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. ძნელადმისადგომი ადგილების მოსაკვლევი ტექნიკური საშუალებანი:

ავტომობილების ქვედა ნაწილის დაუხრელად დათვალიერების "სარკე";

ენდოსკოპი "დეკა";

გამნათებელი "ნორდი";

ინსტრუმენტი "მომენტი";

საცეცი "ტროსტი".

2. სამალავების და დამალულის ლოკაციის საშუალებანი:

- შუქგამტარი ზონდები;

მინიატურული ტელეგადამცემები.

3. ელექტრონული თვალთვალის სპეციალური საშუალებანი:

სპეცსამაგრი "მარკა";

ინფრაწითელი ფანარი "პოისკი".

კონკრეტული საგნების მოსაძებნი ტექნიკა:

1. იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის მოსაძებნი:

"შახტა-რ";

"შტორმი".

2. ძვირფასი ლითონების მოსაძებნი:

სრპს-2;

"პურგა";

"იანტარი".

მეოთხე კლასი საბაჟო კონტროლის ობიექტში საგნების ოპერატიული დიაგნოსტიკისა და კლასიფიკაციის ტექნიკური საშუალებები. მათი დაყოფა შეიძლება ორ ჯგუფად:

- საბაჟო სამართალდაცვის თვალსაზრისით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისათვის აკრძალული საგნების ოპერატიული დიაგნოსტიკის ტექნიკური საშუალებები;

- სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ცალკეული საქონლის ოპერატიული კლასიფიკაციის საშუალებანი.

ოპერატიული საბაჟო დიაგნოსტიკა არის საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა მოქმედებების კომპლექსი, რომლის დროსაც, საქონლის შესახედაობის, კლასიფიკაციური კუთვნილების, მდგომარეობისა და შიგ მყოფი საგნების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, მთელი რიგი დიაგნოსტიკური და საკლასიფიკაციო ნიშნების შედარების შედეგად დგინდება დოკუმენტებში დეკლარირებულ მონაცემებთან ობიექტების შესაბამისობა ან განსხვავებულობა.

საბაჟო სამართალდაცვის თვალსაზრისით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისათვის აკრძალული საგნების ოპერატიული დიაგნოსტიკის საშუალებების დანიშნულებაა საჭირო და საკმარისი დიაგნოსტიკური ნიშნების (ერთობლიობაში) მიღება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საქონლის წინასწარი მიკუთვნება საგნების, მასალების და ნივთიერებების ისეთ კლასს, რომლის გადაადგილება საზღვარზე აკრძალულია. იგივე ტექნიკა საშუალებას იძლევა დადასტურდეს ისეთი ობიექტების უტყუარობა და დაუზიანებლობა, როგორიცაა ვალუტის კუპიურები, სააქციზო და სხვა სპეციალური მარკები და საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტიკა.

საქონლის ოპერატიული კლასიფიკაციის ტექნიკურ საშუალებებს ამ მიზნით შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს პრაქტიკულად ყველა ის ტექნიკური საშუალება, რომელთა მეშვეობით ხდება პროდუქციის ხარისხის დადგენა.

თუ ოპერატიული დიაგნოსტიკისა და კლასიფიკაციისას წარმოიშვა დეკლარირებული საქონლის მონაცემებთან, კლასიფიკაციურ მიკუთვნებასთან და ხარისხთან შეუსაბამობა, საბაჟო ორგანოს თანამშრომლები ახდენენ ნიმუშის ან სინჯის აღებას ექსპერტიზის ჩასატარებლად და დროებით აკავებენ საბაჟო კონტროლის ობიექტს.

მეხუთე კლასი - საბაჟო კონტროლის ობიექტების საბაჟო გაფორმების ტექნიკა. საბაჟო გაფორმების თანამედროვე პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული საბაჟო მონიშვნის სახით ბეჭდების, შტამპების საბაჟო

დოკუმენტებზე და საქონლის თანმხლებ სხვა დოკუმენტებზე დასმა, ლუქისა და ჩამკეტ-დამლუქავი მოწყობილობის გამოყენება. ამის გარდა საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებების ცალკეულ ნაკვეთურებზე აწებებენ ფურცლებს საბაჟო სიმბოლიკით იმის დასტურად, რომ ობიექტმა გაიარა საბაჟო კონტროლი, ან, პირიქით, რომ მას საბაჟო კონტროლი არ გაუვლია.

საბაჟო ნიშნებით დოკუმენტების მონიშვნა ადასტურებს კონკრეტული საქონლისა თუ სატრანსპორტო საშუალების მიერ კონტროლის გავლას.

საბაჟო გაფორმების ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება:

- დოკუმენტების საბაჟო გაფორმების ტექნიკური საშუალებები;
- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმების ტექნიკური საშუალებები.

ამ კლასს მიეკუთვნება როგორც დოკუმენტებზე დასმული ან დაკრული საკუთარი საბაჟო უზრუნველყოფის საშუალებანი (ატრიბუტები), ასევე სხვადასხვა საკონტროლო საბაჟო მოწყობილობანი და მარკები, მათი დაკვრის ან დასმის ტექნიკური საშუალებანი.

საბაჟოში გამოიყენება 20-მდე სხვადასხვა კლიშე, რომლებიც მიანიშნებენ რაიმე მომენტის ან რაიმე პროცედურის დამთავრებას. მაგალითად, კლიშე "გაშვება ნებადართულია" ყველა საბაჟო პროცედურის დამთავრების მაუწყებელია. ასეთი კლიშეების მელანი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი (საკანცელარიო), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მღებავი ნივთიერებები შეიძლება შეიცავდნენ სპეციალურ შემადგენლობას შემდგომში გაყალბების თავიდან ასაცილებლად. ამ ჯგუფს ასევე მიეკუთვნება საბაჟო ინსპექტორების **პირადი ბეჭდები**. ასეთი ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში ამის შესახებ ეცნობება ყველა იმ ქვეყნის საბაჟო უწყებებს, რომელთანაც ვაჭრობს ქვეყანა და ეგზავნება დაკარგული ბეჭდის ანაბეჭდი.

მეექვსე კლასს მიეკუთვნება **ვიზუალური თვალთვალის საშუალებანი**. ასეთი ტექნიკური საშუალებების დანიშნულებაა უშუალოდ საბაჟო ზონაში, კონკრეტული ფიზიკური პირების მიერ საბაჟო წესების დარღვევის ფაქტების ან დარღვევის მცდელობების ვიზუალურად გამოვლენა, დადგენა და დაფიქსირება.

საბაჟო ვიზუალურ დაკვირვებას ჩვეულებრივ, იყენებენ შემდეგ ადგილებში:

მგზავრების მოსაცდელი დარბაზები ("დამაგროვებლები" და სატრანზიტო დარბაზები);

მგზავრთა საბაჟო კონტროლის და გაფორმების დარბაზები;

მგზავრთა ბარგის კომპლექტაციის ადგილები;

- გასასვლელს საბაჟო ზონაში;

სატრანსპორტო საშუალებათა და ტვირთების საბაჟო კონტროლის მოედნები;

სატრანსპორტო საშუალებათა მოსაცდელი ადგილები;

დაკავებული ობიექტების (ტვირთების, მანქანების) შენახვის ადგილები;

სხვა ადგილები, გამომდინარე კონკრეტული ვითარებიდან.

ვიზუალური თვალთვალის ამოცანა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც მეთვალყურეობა საბაჟო კონტროლის შიგა ზონებზე და მთელ საბაჟო ზონაზე.

მეშვიდე კლასი - აუდიო და ვიდეოინფორმაციის მატარებლების კონტროლის ტექნიკური საშუალებანი. ასეთი ტექნიკური საშუალებების ამოცანაა მრავალ ინფორმაციის მატარებელ ტექნიკურ საშუალებებს შორის, რომელთა გადაადგილება ხდება საბაჟო საზღვარზე, ისეთების გამოვლენა, რომლებიც შეიცავენ აკრძალულ მასალას. ანსხვავებენ აუდიომასალის, ვიდეომასალისა და კომპიუტერული მასალის კონტროლის ტექნიკურ საშუალებებს.

აუდიოინფორმაციის მატარებლების კონტროლისათვის გამოიყენება დიქტოფონები, მაგნიტოფონები, აუდიოპლეერები და სხვა ტექნიკა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ და რაზე არის დაფიქსირებული ინფორმაცია.

ვიდეოინფორმაციის კონტროლი გამოიხატება ვიდეოკასეტებზე ჩანაწერის გაანალიზებაში.

გარდა აუდიო და ვიდეოინფორმაციის კონტროლის ტექნიკური საშუალებებისა, საბაჟო ორგანოები აღჭურვილნი უნდა იყვნენ ფოტოფირების და სლაიდების დასათვალიერებელი მოწყობილობებით.

3. ექსპერტიზა: არსი და კლასიფიკაცია

ექსპერტიზის არსის, დანიშნულების და მეთოდიკის უკეთ გასარკვევად მიზანშეწონილია განხილული იქნეს ამ სახის საქმიანობის ზოგიერთი თეორიული დებულება.

ექსპერტიზა არის სამეცნიერო-პრაქტიკული გამოკვლევების განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც ახორციელებენ ექსპერტები, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წამოჭრილი პრობლემების და სადაო საკითხების უტყუარი, კვალიფიციური, ობიექტური და დამოუკიდებელი შეფასებისათვის.

ექსპერტს (ლათ. expertus - გარკვეული, მცოდნე, გამოცდილი) უწოდებენ უნივერსალურად განათლებულ ადამიანებს, რომელთაც აქვთ როგორც ენციკლოპედიური ზოგადი ცოდნა, ასევე სპეციალური ცოდნა, პროფესიონალური ჩვევები და გამოცდილება.

მსოფლიოში არსებობს ექსპერტიზის უამრავი ნაირსახეობა, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა დანიშნულება, კვლევის ობიექტი და კვლევის ჩატარების მეთოდი. ექპერტიზის სახეობათა ასეთ სიმრავლეს, საბოლოო ჯამში, ერთი მიზანი აქვს - **ჭეშმარიტების დადგენა.**

ექსპერტიზის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნით.

მიზნიდან გამომდინარე, არსებობს ექსპერტიზის ორი ტიპი - **სასამართლო ექსპერტიზა**, რომელიც პროცესუალური ხასიათისაა და **არასასამართლო** (უწყებრივი) **ექსპერტიზა.**

ჩვეულებრივ, ექსპერტიზის სისტემატიზაციას ახდენენ მეცნიერების დარგებზე ან საზოგადოებრივ პრაქტიკაზე დაყრდნობით. შესაბამისად, ასეთი კრიტერიუმის მიხედვით განასხვავებენ ექსპერტიზის შემდეგ კლასებს: **სამხედრო, პოლიტიკური, სოციოლოგიური, ტექნიკური, ეკონომიკური, კრიმინალისტური, სამედიცინო, სახელოვნებათმცოდნეო, საქონელმცოდნეო, ეკოლოგიური** და ა.შ. მეცნიერების ყველა დარგს გააჩნია საკუთარი თეორიული ბაზა და სპეციფიკური მეთოდოლოგიური, ტექნიკური და სამეცნიერო-სამართლებრივი კვლევის ხერხები.

ექსპერტიზის თითოეულ კლასში შეიძლება შედიოდნენ **სხვადასხვაგვარი** ექსპერტიზები, რომლებიც ხასიათდებიან საერთო მახასიათებლებით, საექსპერტო გამოკვლევების საგნებით, ობიექტებით, მეთოდებით და ამოცანებით.

თავის მხრივ, როცა იცვლება რომელიმე მახასიათებელი, ექსპერტიზა კიდევ იყოფა **სახეობებად და ქვესახეობებად**. მაგალითად, თუ დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზისას გამოიკვლევა სხვადასხვა ობიექტი, საგანი, ისმება სხვადასხვა ამოცანები ან გამოიყენება სხვადასხვა მეთოდიკა, მაშინ ადგილი აქვს დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის სხვადასხვა სახეობებსა და ქვესახეობებს.

ექსპერტიზა ასევე კლასიფიცირდება:

- ექსპერტიზის ჩატარების მიმდევრობის მიხედვით - **პირველადი** და **განმეორებითი**;
- ამოცანის მასშტაბურობის მიხედვით - **ძირითადი** და **დამატებითი**;
- გამოსაკვლევი ობიექტების რაოდენობის მიხედვით - **მცირეობიექტიანი** და **მრავალობიექტიანი**;
- ექსპერტების რაოდენობისა და მუშაობის წესის მიხედვით - **ერთპიროვნული** და **კოლექტიური** (საკომისიო).

ობიექტური მიზეზებისა და მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ამჟამად ყველაზე განვითარებული, დახვეწილი და წინ წასულია **კრიმინალისტური ექსპერტიზა.** ნაწილობრივ ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ კრიმინალისტური ექსპერტიზის ობიექტი, ძირითადად, არის ნივთმტკიცებები, ხოლო საგანი - გარემოებები, ფაქტები და საიდენტიფიკაციო ხასიათის ამოცანები. **ექსპერტის დასკვნას (ექსპერტიზის აქტს)** აქვს მტკიცებულების მნიშვნელობა და გამოიყენება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა გამოძიებისა და განხილვის პროცესში.

ვინაიდან ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ორგანიზებულია, ფუნქციონირებენ და სარგებლობენ საჭირო მხარდაჭერით სპეციალიზებული კრიმინალისტური საექსპერტო დაწესებულებები, ბუნებრივია, რომ ახალი საექსპერტო დაწესებულებების (მაგალითად, საბაჟო ექსპერტიზის) ჩამოყალიბებისას მართებულია კრიმინალისტური ექსპერტიზის მიერ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების, სამეცნიერო-სამართლებრივი არსენალის და კადრების გამოყენება.

ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება ხორციელდებოდეს საზოგადოებრივ საწყისებზე, კომერციულ საწყისებზე და როგორც სამსახურებრივი მოვალეობა. საბაზრო ურთიერთობების პირობებში კომერციულ საწყისებზე ექსპერტიზის ჩატარების უპირატესი განვითარება სავსებით გასაგებია. ასეთი სახის ექსპერტიზის მიერ ავტორიტეტის შენარჩუნების მთავარი პირობაა, რომ მისმა კომერციულმა ხასიათმა არ იქონიოს გავლენა ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე და დამოუკიდებლობაზე.

ამრიგად, **განასხვავებენ ექსპერტიზის განხორციელების შემდეგ ორგანიზაციულ ფორმებს**: საზოგადოებრივი, კერძო-კოოპერატიული, უწყებრივი, სახელმწიფო, საერთაშორისო, მუდმივი და დროებითი.

საექსპერტო ორგანიზაცია, საკუთრების ფორმის მიუხედავად, უნდა იყოს იურიდიული პირი. ექსპერტიზა აუცილებლად უნდა იყოს დამოუკიდებელი იმდენად, რომ მისმა ადმინისტრაციულმა დაქვემდებარებამ და საფინანსო მდგომარეობამ გამორიცხოს რაიმე ზეგავლენა ექსპერტიზის შედეგებზე ადმინისტრაციის, კომერციული თუ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

ექსპერტიზის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- გამორიცხოს გამოსაკვლევი პროდუქციის მიმწოდებლებთან თუ მომხმარებლებთან რაიმე ერთობლივი კომერციული ინტერესი;

- ექსპერტები არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი სამეურნეო საქმიანობით გამოსაკვლევი პროდუქციის შექმნასთან და წარმოებასთან;

- ექსპერტები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ თავისი ადმინისტრაციისაგან იმდენად, რომ გამორიცხოს მათზე ზეწოლა.

საექსპერტო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს თითოეული კატეგორიის ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის შესაბამისი სამსახურებრივი ინსტრუქციები, რომლებითაც უნდა განისაზღვროს მათი ფუნქციონალური მოვალეობები და პასუხისმგებლობა, განათლების, პროფესიონალური მომზადების, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის და გამოცდილების საჭირო დონე.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ექსპერტის პროფესიის დაუფლება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ დაწესებულებებში - უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, მუზეუმებში, უცხოეთის საბაჟო ლაბორატორიებში.

4. საბაჟო ექსპერტიზა

საბაჟო ექსპერტიზა არის სპეციალური სამეცნიერო-პრაქტიკული გამოკვლევა, რომელსაც ახორციელებენ ექსპერტები საბაჟო მიზნებისათვის, კერძოდ, ფიზიკალური, საკონტროლო, ეკონომიკური, სამართალდამცავი, სტატისტიკური, ადამიანის და გარემოს დაცვის ფუნქციების შესასრულებლად.

საბაჟო ექსპერტიზა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ექსპერტთა საქმიანობით. საბაჟო ორგანოს ყველა თანამშრომელმა აუცილებლად უნდა იცოდეს საბაჟო ექსპერტიზის ჩატარების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები (საგანი, ობიექტი, მეთოდები, შესაძლებლობები და ა.შ.), რათა თავად გამოდიოდეს საბაჟო ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორად და შესძლოს სწორად ჩამოაყალიბოს ექსპერტიზის ამოცანები.

საბაჟო ექსპერტიზის ობიექტებია: ინფორმაციის მატერიალიზებული წყაროები - საქონელი და ნივთები, რომლებსაც გადააადგილებენ საბაჟო საზღვარზე, ასევე გამოსაკვლევად აღებული მათი სინჯები; საბაჟო წესების დარღვევის ობიექტები; სხვადასხვა საქონლის თანმხლები დოკუმენტები (საბაჟო, ნორმატიულ-სამართლებრივი, საფინანსო და სხვა), რომლებიც გამოიყენება საბაჟო კონტროლისა და გაფორმებისას.

საბაჟო ექსპერტიზის საგანს მიაკუთვნებენ როგორც საბაჟო საქმის საერთო პრობლემებს, ასევე საბაჟო კონტროლის პროცედურების კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს.

მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

საბაჟო კონტროლის ობიექტის სახეობის, მდგომარეობისა და დანიშნულების დადგენა;

საქონლის კლასიფიკაცია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საქონლო ნომენკლატურის შესაბამისად;

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;

საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების (მარკა, სახე, ბუნებრიობა, სიახლე და ა.შ.) მიხედვით საბაზრო ფასის დადგენა;

საბაჟო ბეჭდების, შტამპების, საქონლისა და დოკუმენტების საბაჟო უზრუნველყოფის სხვა ნიშნების უტყუარობის დადგენა;

საქონლის ეკოლოგიური და საექსპლუატაციო უსაფრთხოების დადგენა;

საქონლის (ნივთიერების) ქიმიური შემადგენლობის და ფიზიკური სტრუქტურის დადგენა;

საქონლის ხასიათის (სალიცენზიო, აქციზური, ორმაგი დანიშნულების) დადგენა;

- ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების იდენტიფიკაცია;

საბაჟო საკუთრებაში გადაცემული საქონლის რეალიზაციის შესაძლებლობის და მისი სამომხმარებლო ღირებულების დადგენა;

საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა;

პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმის დადგენა და მისი იდენტიფიკაცია (საბაჟო ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ქვეშ და საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმებისათვის);

- ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების იდენტიფიკაცია;

ძვირფასეულობის, ანტიკვარიატის, სამუზეუმო ფასეულობათა და სხვათა დიაგნოსტიკა.

გარდა ჩამოთვლილისა, საბაჟო ორგანოების მიერ შეიძლება მოთხოვნილი იქნეს საბაჟო წესების დარღვევის საქმეებთან დაკავშირებული სხვა კლასის ექსპერტიზა, როგორიცაა კრიმინალისტური, ეკონომიკური, სასაქონელმცოდნეო, გემოლოგიური და სხვა.

საბაჟო ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოიყენება შემდეგი ტექნიკური საშუალებები, მეთოდები და ტექნოლოგიები:

ორგანოლეპტური მეთოდი ემყარება ადამიანის მიერ საბაჟო კონტროლის ობიექტისათვის დამახასიათებელი დიაგნოსტიკური ნიშნების და მაჩვენებლების აღქმას გრძნობის ორგანოების საშუალებით. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება კვების პროდუქტების, არომატული ნივთიერებების, ძვირფასი ქვების, ზოგიერთი სამომხმარებლო საქონლის და სხვა ნივთებისა და საქონლის შეფასებაში.

გრძნობის ორგანოებით საქონლის აღქმის გასაძლიერებლად გამოიყენება სპეციალური ტექნიკური საშუალებები: სათვალეები, ლუპები, მიკროსკოპები და სხვა ოპტიკური ხელსაწყოები. ასეთ შემთხვევაში მეთოდს ვიზუ-

ალურ-ოპტიკური ეწოდება. ორგანოლეპტური მეთოდები თავისი სუბიექტურობის გამო ვერ მიეკუთვნება ზუსტ მეთოდებს, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე სწრაფი და იაფია.

გამოთვლითი მეთოდი ემყარება დიაგნოსტიკური ან ხარისხობრივი ნიშნებისა და საქონლის ზოგიერთ სხვა პარამეტრებს შორის თეორიული და ემპირიული ურთიერთდამოკიდებულების პოვნას. მაგალითად, დადგენილია დამოკიდებულება (კავშირი) ძვირფასი ქვისა და ოქროს კუთრ წონებს შორის, რაც საშუალებას იძლევა გაზომვებითა და გამოანგარიშებით ოპერატიულად შეფასდეს ძვირფასი ქვის წონა ნაკეთობიდან ამოუღებლად.

ინსტრუმენტული მეთოდი ემყარება ტექნიკური საშუალებების მაჩვენებლებს, რის მიხედვითაც დგინდება საბაჟო კონტროლის ობიექტის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები და სხვადასხვა მაჩვენებლები (დიაგნოსტიკური, საიდენტიფიკაციო და სხვა). დასადგენი მაჩვენებლის მიხედვით შეირჩევა შესაბამისი მეთოდიკა და აპარატურა. ინსტრუმენტული მეთოდი თავისი მგრძნობიარობით, სიზუსტით და საიმედოობით ბევრად უტყუარია, ვიდრე ორგანოლეპტური და გამოთვლითი მეთოდები. ამჟამად, საბაჟო ექსპერტიზის პრაქტიკაში ინსტრუმენტული მეთოდებიდან ყველაზე უფრო გამოიყენება:

- პოლარიზაციულ-ოპტიკური;
  ქიმიური;
  სპექტრული (სპექტროსკოპიის ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და ხილული სპექტრები);
  ინდუცირებული გამოსხივება (ლუმინესცენცია, ფლუორესცენცია და სხვა);
  მახასიათებლური გამოსხივების მეთოდები (რენტგენოსკოპური ფლუორესცენტული ანალიზი, რენტგენოსპექტრული ენერგოდისპერსიული ანალიზი, რენტგენოსპექტრული ანალიზი);
  ქრომატოგრაფული;
  ელექტრონულ-მიკროსკოპული;
  რენტგენოფაზური;
  ქრომატომას-სპექტრომეტრული;
  ატომურ-აბსორბციული და სხვა.

საბაჟო გამოკვლევების ტექნოლოგია, ზოგადი სახით, შედგება თანმიმდევრული სტადიებისაგან (ეტაპებისაგან): მოსამზადებელი (საექსპერტო დათვალიერება, სინჯების აღება), ანალიტიკური (ექსპერტიზის ობიექტის გამოკვლევა), სინთეზური (შედარებითი გამოკვლევები), შედეგების შეფასება და გადაწყვეტილების (დასკვნების) ფორმულირება.

საბაჟო გამოკვლევების ტექნოლოგია (პროცესების თანმიმდევრობა) შეიძლება განვიხილოთ ძვირფასი ქვების (გემოლოგიური საქონლის) გამოკვლევის მაგალითზე.

პირველი სტადია: სინჯების და ნიმუშების აღება.

მეორე სტადია: ფასეულობის მიღება და გაფორმება.

მესამე სტადია: ფასეულობის ატესტაცია (დიაგნოსტიკა, კლასიფიკაცია, სერტიფიკაცია).

მეოთხე სტადია: ფასეულობის შეფასება (ტექნიკური, სასაქონელმცოდნეო, სახელოვნებათმცოდნეო, ღირებულებითი).

მეხუთე სტადია: ფასეულობის იდენტიფიკაცია (სერტიფიკაცია, ატრიბუტაცია, პასპორტიზაცია).

მეექვსე სტადია: შედეგების გაფორმება.

ზოგ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ყველა სტადიის ჩატარება. ამასთან, ზოგიერთი ოპერაცია (მაგალითად: დიაგნოსტიკა, სერტიფიკაცია და სხვა) თავად წარმოადგენს ექსპერტიზის სახეობას და თავად შედგება რამდენიმე ტექნოლოგიური ხერხისაგან (მომზადება, გაწმენდა, აწონვა და ა.შ.).

ექსპერტიზის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ ექსპერტს, რომელიც მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში და აქვს ასეთი საქმიანობის ნებართვა (ლიზენცია). ექსპერტის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა შესაბამისი საბაზო განათლება (საბაჟო, იურიდიული, საქონელმცოდნეობითი, მასალათმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი და სხვა), საბაჟო საქმის საფუძვლების, გამოსაკვლევი მასალებისა და ნაკეთობების საბაზრო კონიუნქტურის ცოდნა, ასევე მაღალი კვალიფიკაცია, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ინფორმაციულ აქტიურობაზე და ინფორმირებულობაზე. ექსპერტის სპეციალობას არ სწავლობენ. ექსპერტებად ყალიბდებიან ცოდნის შესაბამისი სფეროს ყველაზე მაღალპროფესიონალი სპეციალისტები.

ინფორმაციული აქტიურობის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ლტოლვა ინფორმაციის მოპოვებისაკენ და მისი დამუშავების საფუძვლების დაუფლებისაკენ. ის დამოკიდებულია ექსპერტობის მსურველის მონდომებაზე, უნარზე და შესაძლებლობებზე.

პროფესიონალური ინფორმირებულობა შეიცავს საბაჟო ორგანოების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის, ექსპერტიზის გარკვეული კლასის თითოეული ობიექტის ცოდნას და ექსპერტიზის კონკრეტული სახეობის საკითხებში გარკვევას.

საბაჟო ექსპერტი უნდა იყოს პროფესიონალურად ინფორმირებული:

- საქართველოს იმ ეროვნული სტანდარტებისა და რეგლამენტების არსში, რომელთა შესაბამისობაშიც ტარდება ექსპერტიზა;

- უცხო ქვეყნებში საბაჟო საექსპერტო საქმიანობის მეთოდოლოგიურ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და უფლებრივ საკითხებში (დებულებებში).

კვალიმეტრიული ინფორმირებულობა გულისხმობს ექსპერტის მიერ კვალიმეტრიის - პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების რაოდენობრივი მეთოდებით შეფასების მეცნიერების, საფუძვლების ცოდნას. ექსპერტი, რომელიც ფლობს კვალიმეტრიის საფუძვლებს გაცილებით უფრო ობიექტურ შეფასებებს აძლევს კვლევის საგანს, რადგან ეყრდნობა უფრო ობიექტურ, მათემატიკურ მონაცემებს. თავის მხრივ, ექსპერტიზის ობიექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად შეირჩევს ის მაჩვენებლების ნომენკლატურას და საზრიანად ააგებს შეფასებით ცხრილებს.

კულტურული ინფორმირებულობა ეყრდნობა ექსპერტის ფართო ერუდიციას და ენციკლოპედიურ ცოდნას. ექსპერტი უნდა ფლობდეს საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ ცოდნას, უცხოური ინფორმაციის მოსაპოვებლად ფლობდეს უცხო ენას და შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა.

ექსპერტის პირადი თვისებები განპირობებულია მისი უნარით, კვალიფიკაციით, ჩვევებით, შრომისადმი დამოკიდებულებით (მათ შორის, სამუშაოს მაღალხარისხიანად შესრულებისადმი ლტოლვით), კონტაქტურობით. ექსპერტი არ უნდა იყოს წინასწარ განწყობილი ადამიანი. მას უნდა ჰქონდეს კარგი ანალიზის უნარი და სადაო და კონფლიქტურ სიტუაციებში უნდა გამოირჩეოდეს ხასიათის სიმტკიცით, ჰქონდეს ფერების ნორმალური

ალმა, კარგი მხედველობა, ყნოსვა, მობილიზებულობა, ელასტიური ყურადღება და სხვა.

ექსპერტს ექსპერტიზის ჩატარებისას აქვს უფლება:

გაეცნოს საქმის იმ მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია კვლევის ობიექტთან, საექსპერტო დასკვნის გასაკეთებლად აღძრას შუამდგომლობა დამატებითი მასალების მოთხოვნით;

ეთათბიროს საექსპერტო კომისიის წევრებს, მიმართოს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს კონსულტაციისათვის;

მოითხოვოს კვლევისათვის საჭირო პირობები, მოწყობილობა, ხელსაწყოები, რეაქტივები, ჟურნალები და დასვენების რეჟიმი;

საექსპერტო დასკვნაში დააფიქსიროს თავისი განსაკუთრებული მოსაზრება, თუ კი ის არ ემთხვევა სხვა მონაწილე ექსპერტთა მოსაზრებებს;

კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს იმ პირთა მოქმედება და გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს უშლიან მას ექსპერტიზის ჩატარებაში;

უარი თქვას ექსპერტიზის ჩატარებაზე, თუ მის წინაშე დასმული ამოცანა სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს;

იყოს ნონკონფორმისტი, ანუ ჰქონდეს უფლება შეეწინააღმდეგოს გარედან გავლენას, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის და არ დაემორჩილოს უმრავლესობის ნებას;

- იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ ჰქონდეს შეცდომების აღიარების უნარი.

ექსპერტის პროცესუალური უფლებები განსაზღვრულია კანონით. საბაჟო ორგანოების კურირების ქვეშ მყოფი სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების გარჩევისას, ისევე როგორც სხვა სასამართლო განხილვისას, ექსპერტს აფრთხილებენ დასკვნის თაობაზე ჩვენებაზე უარის თქმის, თავის არიდების ან განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

ექსპერტს უფლება არ აქვს:

მიიღოს ექსპერტიზაზე ობიექტები საბაჟო ლაბორატორიის ხელმძღვანელობის წერილობითი მითითების გარეშე;

გამოიკვლიოს ისეთი ნიმუშები და საქმის მასალები, რომლებიც არ

დავალებია მას ექსპერტიზის დანიშვნისას და არ წარმოადგენს ექსპერტიზის საგანს;
თავად მოიძიოს და გამოიკვლიოს მონაცემები, რომლებიც არ წარედგინა მას კანონით გათვალისწინებული წესით;
არ ივალდებულოს საქმეში მონაწილე პირთა ქმედებების სამართლებრივი შეფასება და სხვა ის საკითხები, რაც სცილდება მის კომპეტენციას;
მონაწილეობა მიიღოს საბაჟო წესების დარღვევის საქმეებში, როგორც სპეციალისტმა, ჩაატაროს რევიზია, მონაწილეობა მიიღოს სინჯების და ნიმუშების აღებაში ან ინვენტარიზაციაში, ჩაატაროს ექსპერტიზა, რომელიც დაკავშირებულია იმ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის დოკუმენტების გამოკვლევასთან, რომელშიც ის მუშაობდა (მუშაობს);
ექსპერტიზის დროს ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს სხვა პირები, რომელთაც არ აქვთ უშუალო კავშირი ექსპერტიზასთან;
შეინახოს სინჯების ნიმუშები და ექსპერტიზასთან დაკავშირებული მასალები სამსახურებრივი შენობის გარეთ.
ექსპერტი ვალდებულია:
თავის საქმიანობაში ისარგებლოს დებულებით საექსპერტო საქმიანობის შესახებ და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით;
შეესაბამებოდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებების შედეგად იძლეოდეს ობიექტურ და უტყუარ დასკვნას;
აიმაღლოს კომპეტენტურობა და საქმიანი თვისებები;
უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა;
უზრუნველყოს გამოსაკვლევად მიღებული მასალების დაცულობა;
დაიცვას უშიშროების ტექნიკის და შრომის დაცვის წესები;
კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განაცხადოს აცილება.

ექსპერტი პირადად აგებს პასუხს თავის გადაწყვეტილებებზე და საექსპერტო დასკვნებზე.

თავი X

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა

1. სასაქონლო ნომენკლატურის არსი

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების საბაჟო-სატარიფო რეგულირების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა.

საქონლის სწორ კლასიფიკაციაზე დამოკიდებულია ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე მისი ღირებულების დადგენა, საბაჟო გადასახდელების სწორი დარიცხვა და გადახდევინება. საქონლის სწორად კლასიფიცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მეტი ობიექტურობისათვის, რომელიც გამოიყენება ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის განსაზღვრისას და მისი რეალიზაციისათვის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის პროცესში. ამიტომ საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს მოეთხოვებათ საქონლის კლასიფიკაციის თეორიის, ძირითადი საკლასიფიკაციო სისტემების ცოდნა და ამ სისტემების საშუალებით მის წინაშე მდგომი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის უნარი.

ნომენკლატურა (ლათ. **nomenclatura** ჩამონათვალი, სახელთა სია) - **არის მეცნიერების, ტექნიკის, პრაქტიკული საქმიანობისას გამოსაყენებელი სახელწოდებების და ტერმინების სისტემა (ერთობლიობა).**

"საბაჟო ნომენკლატურა" მჭიდროდაა დაკავშირებული თეორიის და საზოგადოებრივი პრაქტიკის ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა "საქონელმცოდნეობა", "საბაჟო საქმე", "წარმოება", "მოხმარება", "საგარეო ეკონომიკური საქმიანობა", "საგარეო ვაჭრობა", "სტატისტიკა" და სხვა, სადაც და როცა ხდება ოპერირება ასეულობით ათასი სხვადასხვა დასახელების საქონლით.

აქედან, საბაჟო თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა:

საბაჟო ნომენკლატურა ეს არის იმ საქონელთა ერთობლიობა, რომელთანაც თავის პროფესიონალურ საქმიანობაში შეხება აქვთ საბაჟო ორგანოების თანამშრომლებსა და დეკლარანტებს.

მეორეს მხრივ:

საბაჟო ნომენკლატურა - ეს არის აბსტრაქტული და პირობითი სიმბოლოების სისტემა, რომელთა საშუალებითაც პრაქტიკული თვალსაზრისით მოსახერხებელი კოდის ფორმით ინიშნება საქონელი.

რამდენადაც საბაჟო ორგანოების მიერ ფიქსირდება ნებისმიერი საქონლის საბაჟო საზღვარზე გადატანა კომერციული მიზნით, ბუნებრივია, რომ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ყოველი საქონლისა და ოპერაციისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის კოდი.

საბაჟო თვალსაზრისით "საქონლის" ქვეშ იგულისხმება არა ყველანაირი ყიდვა-გაყიდვის საგანი, არამედ მხოლოდ ის, რომელსაც, ერთის მხრივ, აქვს მატერიალურ-ნივთობრივი ფორმა და, მეორეს მხრივ, ახასიათებს ტრანსპორტაბელურობა, ანუ შესაძლებელია საბაჟო საზღვარზე მისი ფიზიკურად გადატანა.

საქონლის მრავალსახეობა, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, შეიძლება მოექცეს გარკვეულ **კლასიფიკაციაში (საკლასიფიკაციო სისტემაში)**, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მსგავსი მახასიათებლების მქონე საქონელთა ჯგუფებს, საკლასიფიკაციო სისტემის არჩეული ნიშნების (წარმოების დარგების, მასალის, რომლისგანაც დამზადებულია საქონელი, გადამუშავების დონის, საქონლის ფუნქციონალური დანიშნულების და ა.შ.) მიხედვით შედგენილი სასაქონლო განყოფილებების, ჯგუფების, ქვეჯგუფების და ა.შ. ერთობლიობას, სადაც ყველა ამ ელემენტს მიენიჭება სპეციალური შიფრი (კოდი).

კლასიფიკატორი არის საკლასიფიკაციო ობიექტების სისტემატიზებული ჩამონათვალი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივაგნოთ თითოეული დასახელების საქონლის ადგილს და კოდს.

ამრიგად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურა სხვა არაფერია, თუ არა იმ საქონლის კლასიფიკატორი, რომლითაც ეწევიან ქვეყნებს შორის ვაჭრობას.

საქონლის კოდირება არის ტექნიკური ხერხი, საქონლის სახელწოდების გამოხატვა ციფრობრივი ნიშნებით ამა თუ იმ საკლასიფიკაციო სისტემისათვის მიღებული წესით.

საქონლის კლასიფიკატორის (სასაქონლო ნომენკლატურის) კოდირებული სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ საბაჟო ორგანოში წარმოდგენილ ინფორმაციას ჰქონდეს მოძიების, შემოწმების, გადაცემის, გადამუშავების, გაცემის და შემდგომი ეკონომიკური ანალიზისათვის მოხერხებული ფორმა. ასეთი ფორმა მოსახერხებელია აგრეთვე ინფორმაციის ელექტრონული დამუშავებისათვის.

ამრიგად, სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენებით საქონლის კლასიფიკაცია ერთიანი, უნიფიცირებული ფორმით უზრუნველყოფს:

ა) ყველასათვის მისაღებ, საერთაშორისო ბრუნვაში მყოფი ყველა საქონლის ერთგვაროვან კლასიფიკაციას;

ბ) ერთიანი გასაგები მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც გაუადვილებდნენ საქმიანობას საბაჟო ორგანოებს, ექსპერტებს, საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეებს, აგრეთვე მეწარმეებს, ექსპორტიორებს, იმპორტიორებს, საქონლის გადამზიდველებს;

გ) საგარეო ვაჭრობის ეროვნული სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისო შესადარისობას, ანალიზს და შეფასებას მსოფლიო ვაჭრობასთან მიმართებაში.

ამ მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი სასაქონლო ნომენკლატურის შექმნას თავისი ისტორია აქვს.

მე-19 საუკუნის შუა წლებში ევროპაში მიმდინარე სამრეწველო რევოლუციამ და საგარეო ვაჭრობის სწრაფმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ობიექტური მოთხოვნილება იმისა, რომ საბაჟო მიზნებისათვის, შემუშავებულიყო საქონლის უნიფიცირებული კლასიფიკაცია.

პირველად ეს საკითხი წამოიჭრა 1853 წელს ბრიუსელში მიმდინარე საერთაშორისო სტატისტიკურ კონგრესზე. კონგრესმა მიიღო რეკომენდაციები საბაჟო რეგულირებისა და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საჭიროებისათვის უნიფიცირებული სასაქონლო ნომენკლატურის შექმნის თაობაზე.

ასეთი სასაქონლო ნომენკლატურის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა პარიზში 1890 წელს ჩატარებულმა საბაჟო წესებისადმი მიძღვნილმა კონგრესმა.

1900 წლამდე პრაქტიკულად ყველა ქვეყანა საგარეო ვაჭრობისადმი მიძღვნილ ცნობარებსა და ინფორმაციებში, ამ ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქონლით ვაჭრობის თაობაზე ინფორმაციას იძლეოდა ან საქონლის ანბანური ჩამოთვლით ან დარგების (სამრეწველო ნაწარმი, სოფლის მეურნეობის ნაწარმი და ა.შ.) მიხედვით.

1913 წელს ბრიუსელში 29 ქვეყანამ ხელი მოაწერა კონვენციას, რომლის მიხედვითაც ყველა ქვეყანა ინარჩუნებდა საქონლის ექსპორტ-იმპორტის ჩვეული, ტრადიციული აღრიცხვის ფორმებს, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო ბიუროში უნდა გამოეგზავნა დამტკიცებული ერთიანი კლასიფიკაციისა და სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით.

ბრიუსელის სასაქონლო ნომენკლატურა შედგებოდა ხუთი განყოფილებისაგან და 168 საბაზისო პოზიციისაგან:

I. ცოცხალი ცხოველები - 7 სასაქონლო პოზიცია;
II. სასურსათო საქონელი და სასმელები - 42 პოზიცია;
III. ნედლეული და ნახევარფაბრიკატები - 49 პოზიცია;
IV. მზა ნაწარმი - 84 პოზიცია;
V. ოქრო-ვერცხლი; ოქროსა და ვერცხლის დაუმუშავებელი მონეტები - 4 პოზიცია.

მალე იჩინა თავი ბრიუსელის ნომენკლატურის არასაკმარისმა დეტალიზაციამ და მეორე მსოფლიო ომის წინ შემუშავებული იქნა ახალი სასაქონლო ნომენკლატურა საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის მინიმალური სია.

ამ პრინციპის იდეოლოგიური საფუძველი იყო ის, რომ საქონლის კლასიფიცირებას (იშვიათი გამონაკლისის გარდა) საფუძვლად დაედო მასალა, რომლისგანაც დამზადებული იყო საქონელი. საბოლოოდ ასეთი სისტემა ჩამოყალიბდა 1938 წლისათვის და მიიღო კლასიფიკაციის ვერტიკალური, პირამიდის მაგვარი სამდონიანი ფორმა (17 განყოფილება, 50 ჯგუფი და 456 საბაზისო სასაქონლო პოზიცია):

I. სურსათი, სასმელები, თამბაქო - 13 ჯგუფი;
II. ცხიმები და ზეთები, ცვილი ცხოველური და მცენარეული წარმოშობის - 2 ჯგუფი;
III. ქიმიური და მსგავსი პროდუქტი - 4 ჯგუფი;
IV. კაუჩუკი - 1 ჯგუფი;
V. ხე-ტყის მასალა, კოპრი - 1 ჯგუფი;
VI. ქაღალდი - 1 ჯგუფი;
VII. ტყავი, ტყავეული, ბეწვეული - 3 ჯგუფი;
VIII. საფეიქრო ნაწარმი - 4 ჯგუფი;
IX. ტანსაცმელი და თეთრეული - 4 ჯგუფი;
X. საწვავი, საცხებ-საპოხი საქონელი - 1 ჯგუფი;
XI. არამეტალიზებული მინერალები და მათი ნაწარმი - 4 ჯგუფი;
XII. ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ქვები, მარგალიტი და მათი ნაწარმი - 1 ჯგუფი;
XIII. შავი და ფერადი ლითონები და მათი ნაწარმი - 4 ჯგუფი;
XIV. მანქანები, აპარატები და თანმხლები საქონელი - 3 ჯგუფი;
XV. დანარჩენი საქონელი - 2 ჯგუფი;
XVI. რეიმპორტის და სპეციალური ოპერაციების საქონელი - 1 ჯგუფი;
XVII. ოქრო დაუმუშავებელი და ოქროს მონეტები - 1 ჯგუფი.

შემდგომში მინიმალური სია მრავალგზის იქნა გადამუშავებული და 90-იანი წლებისათვის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობაში ფეხი მოიკიდა სასაქონლო ნომენკლატურის სამმა სისტემამ:

- საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურა (ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურა);

- ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ერთიანი საბაჟო ნომენკლატურა;

- გაერო-ს ქვეყნების საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაცია.

ამ ნომენკლატურების პარალელურად 1962-1991 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს (სოციალისტური ბანაკის) ქვეყნებში მოქმედებდა შესაბამისი სახელწოდების სასაქონლო ნომენკლატურა. ამ უკანასკნელის მთავარი საკლასიფიკაციო კრიტერიუმები იყო: საქონლის დანიშნულება სახალხო მეურნეობაში, საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საქონლის

დამუშავების დონე. ეს სასაქონლო ნომენკლატურა მოქმედებდა საქართველოშიც, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყანაში და შედგებოდა 9 განყოფილებისაგან, 57 სასაქონლო ჯგუფისაგან, 325 ქვეჯგუფისაგან, 4200 სასაქონლო პოზიციისაგან და 10 ათასი სუბპოზიციისაგან (ქვეპოზიციისაგან). საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში ეს ნომენკლატურა გამოიყენებოდა როგორც სტატისტიკური ნომენკლატურა და როგორც საფუძველი საბჭოთა კავშირის საბაჟო ტარიფების ნუსხისათვის. სპეციალისტები ამ ნომენკლატურას მუდამ აფასებდნენ როგორც სამამულო საქონლისა და ბაზრის დამცავ-პროტექციონისტული მიზნებისათვის შეუსაბამოს.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის ერთიანი ნომენკლატურა საშუალებას იძლეოდა შეედარებინათ საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები გეგმის შესრულების მაჩვენებლებთან როგორც სოციალისტური ბანაკის ცალკეულ ქვეყნებში, ასევე საერთოდ ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის.

"CEB"-ის სასაქონლო ნომენკლატურის დაკავშირება საერთაშორისო კლასიფიკაციასთან ხორციელდებოდა ე.წ. **გადასაყვანი ტაბულების** მეშვეობით.

"CEB"-ის ერთიანი ნომენკლატურისათვის არჩეული იქნა შვიდნიშნა კოდი. პირველი ალნიშნავდა განყოფილებას, პირველი ორი ერთად ჯგუფს, სამი პირველი ერთად - ქვეჯგუფს, ხუთი პირველი ნიშანი დაეთმო სასაქონლო პოზიციას და შვიდი ნიშანი - სასაქონლო სუბპოზიციას. რადგან ასეთი ნუმერაცია შეიცავდა ბევრ თავისუფალ ნომერს ქვეჯგუფებსა და სასაქონლო პოზიციებში, საშუალებას იძლეოდა არა მარტო სოციალისტური ბანაკის ერთმანეთში და დანარჩენ სამყაროსთან ვაჭრობის აღრიცხვას, არამედ საჭირო შემთხვევაში გამოეყოთ საქონლის ცალკეული სახეობა, ხარისხი და მარკა.

ყველა აქ ჩამოთვლილ და კიდევ სხვა 13 სახეობის სასაქონლო ნომენკლატურას ჰქონდა თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ნებისმიერი საკლასიფიკაციო კრიტერიუმის შერჩევა (საქონლის დანიშნულების მიხედვით, მასალის მიხედვით, გადამუშავების თანმიმდევრობისა და დონის მიხედვით, სამეურნეო დარგის

მიხედვით და სხვა) იმავე წუთს გამოაჩენდა დანარჩენი კრიტერიუმების გაუთვალისწინებლობით გამოწვეულ ნაკლოვანებებს.

ამ გარემოებამ აიძულა ევროგაერთიანების ქვეყნები შეეშუშავებინათ **ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კომბინირებული ნომენკლატურა,** რომელიც შემოღებული იქნა 1988 წლიდან და რომელსაც ახასიათებდა წინამორბედი სისტემების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები.

ამრიგად, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისათვის კვლავაც წამოიჭრა ამოცანა - მიღწეული ყოფილიყო სავაჭრო დოკუმენტაციის მონაცემების რაციონალიზაცია და ჰარმონიზაცია (კერძოდ, მაქსიმალურად უნიფიცირებული კოდირების სისტემა ქვეყნების, ზომა-წონის ერთეულების, ტრანსპორტის სახეების და, რაც მთავარია, თავად საქონლის მიხედვით). **გაერო-ს ევროპის ეკონომიკურ საბჭოს** მიეცა დავალება შეექმნა ერთიანი საერთაშორისო სასაქონლო კლასიფიკაციის სისტემა, რომელსაც შემდგომში ეწოდა **საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა.**

2. სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემა

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურას საფუძვლად დაედო საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურის ბოლო რედაქცია, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია, როგორც ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საერთაშორისო და ნაციონალური საკლასიფიკაციო სისტემები, მათ შორის გაეროს სტანდარტული საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაცია.

იმისათვის, რომ შეექმნათ საქონლის საბაჟო-სატარიფო ნომენკლატურა, ქვეყნებს უნდა ეთანამშრომლათ ამ სფეროში და, უპირველეს ყოვლისა, ჩამოეყალიბებინათ მოთხოვნები ნომენკლატურის მიმართ. ნომენკლატურის უნიფიცირების ასეთი მოთხოვნებია:

ა) საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაში არსებული ყველა საქონლის მოცვა ნომენკლატურაში კლასიფიკაციის ყველა ქვეყნისათვის მისაღები ხერხით;

ბ) გამოყენებული სისტემა უნდა იძლეოდეს ერთიან, ყველასათვის გასაგებ მექანიზმს, რათა გაუადვილოს საქმიანობა საბაჟო ორგანოებს, ექსპერტებს, საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებს, ასევე მეწარმეებს, ექსპორტიორებს, იმპორტიორებს და საქონლის გადამზიდველებს;

გ) ნომენკლატურის ისეთნაირად აგება, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იყოს საგარეო ვაჭრობის ეროვნული სტატისტიკური მაჩვენებლების შედარება-შეპირისპირება, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ვაჭრობის მონაცემების შედარებისა და ანალიზის მიზნით.

იზრდება რა საერთაშორისო ვაჭრობის საქონელბრუნვა, შესაბამისად იზრდება საერთაშორისო ვაჭრობის დოკუმენტაციის უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის, სტატისტიკური მონაცემების გაცვლის, საქონლის კლასიფიკაციის ზუსტი და დეტალიზებული წესების არსებობის ობიექტური მოთხოვნა. გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა ვერც გაეროს სტანდარტული საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაცია და ვერც საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ადრინდელი ბრიუსელის სატარიფო ნომენკლატურა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ უმეტეს საკითხებში ეს ორი სისტემა შეუთავსებელი იყო. კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას სხვა ათზე მეტი, მათ შორის საბაჟო საერთაშორისო და ეროვნული საკლასიფიკაციო სისტემები.

ჰარმონიზებული სისტემის მომზადება დამთავრდა 1981 წელს, ე.ი. მის მომზადებას დასჭირდა დაახლოებით 10 წელი. იმისათვის, რომ ჰარმონიზებული სისტემის პრაქტიკული გამოყენება განხორციელებულიყო რაც შეიძლება ბევრი ქვეყნის მიერ, შემუშავდა საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ და მისი ხელმოწერა დაიწყო 1983 წლის ივნისიდან. 1987 წლის ბოლოსათვის მას ხელი მოაწერა და დაამტკიცა 53 ქვეყანამ და ევროკავშირმა, რამაც საშუალება მისცა საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს გამოეცხადებინა იგი ძალაში შესულად 1988 წლის დასაწყისიდან.

კონვენციაში გადმოცემულია ჰარმონიზებული სისტემის შექმნის მიზანი, მისი მოქმედების სფერო, განმტკიცებულია სისტემის გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი, მისი შემდგომი სრულყოფისათვის განსაზღვრულია კონვენციის მონაწილე ქვეყნების მუშაობის წესი, მათი ვალდებულებები.

კონვენციის ტექსტის თანახმად ჰარმონიზებული სისტემა არის მისი განუყოფელი ნაწილი.

კლასიფიკაციის სისტემა ეს არის საქონლის განაწილება, მათი დაჯგუფება რაიმე ნიშნის მიხედვით, დადგენილი წესების და პრინციპების შესაბამისად. ჰარმონიზებულ სისტემაში კლასიფიკაციის ექვსი დონეა: განყოფილებები, ჯგუფები, ქვეჯგუფები, სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები და ქვესუბპოზიციები.

კლასიფიკაციის უმაღლესი დონეა (სულ 21) განყოფილება. საქონლის კლასიფიკაციას 21 განყოფილების მიხედვით საფუძვლად უდევს საქონლის სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთთან კავშირში არმყოფი ნიშნების ერთობლიობა, რომელთაგან ძირითადია: საქონლის წარმოშობა (განაყოფები I, II, V), დანიშნულება (განყოფილებები IV, XI, XII, XVII, XVIII, XIX, XX, XXI), ქიმიური შემადგენლობა (განყოფილებები III, VI, VII), მასალის სახეობა, რომლისგანაც დამზადებულია საქონელი (განყოფილებები VIII, IX, XIII, XIV, XV).

ჯგუფების განსაზღვრისას (ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა 96 ჯგუფს შეიცავს) გამოყენებულია საქონლის დამუშავების პრინციპი ნედლეულიდან და ნახევარფაბრიკატებიდან მზა ნაწარმამდე და საქონლის შემდეგი ძირითადი ოთხი ნიშანი: დამუშავების ხარისხი, დანიშნულება, მასალების სახეობა, რომლისგანაც იგი დამზადებულია და საქონლის დანიშნულება მსოფლიო ვაჭრობაში.

ანალოგიური ნიშნებით ხდება საქონლის შემდგომი კლასიფიკაცია ქვეჯგუფების, სასაქონლო პოზიციების, სუბპოზიციების და ქვესუბპოზიციების მიხედვით.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურით განსაზღვრული საქონლის კლასიფიკაციის მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა დაცული იქნეს ამ სისტემის ძირითადი პრინციპი საქონლის ერთნიშნა მიკუთვნება ერთ საკლასიფიკაციო ჯგუფზე.

საქონლის კოდირება ეს არის ტექნიკური ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა საკლასიფიკაციო საქონელი წარმოვადგინოთ ნიშნის ან ნიშანთა ჯგუფის სახით. კლასიფიკაციის კოდური სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოხერხებული იყოს ინფორმაციის შეკრება და მისი ავტომატიზებული დამუშავება.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში გამოყენებულია ციფრული აღნიშვნები. ამასთან, განაყოფებისა და ქვეჯგუფებისათვის გამოყენებულია რომაული ციფრები, ხოლო საქონელთა ჯგუფების, სასაქონლო პოზიციების და სუბპოზიციებისათვის - არაბული. სასაქონლო ქვესუბპოზიციებს ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში ციფრული კოდები არ გააჩნიათ, ისინი აღნიშნულია ტირეთი ("-"), რომელიც დასმულია მათი დასახელების წინ.

შეიძლება ითქვას, რომ ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში გამოყენებული კოდირების სისტემა უზრუნველყოფს საქონლის ნომენკლატურის დეტალიზაციის მაღალ ხარისხს. ამას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი გამოყენებისას ნაციონალურ სასაქონლო ნომენკლატურებში. სახელმწიფოებს, რომლებსაც არა აქვთ უფლება დაარღვიონ კოდირების სისტემის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, შესაძლებლობა ეძლევათ გარკვეულ ჩარჩოებში შეცვალონ დეტალიზაციის დონე ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ, გააფართოვონ ნომენკლატურა კლასიფიკაციის სისტემის დაურღვევლად. ნომენკლატურაში არის რეზერვი ახალი ნაწარმის ან ცალკეული ქვეყნების სპეციფიკური საქონლის შესატანად.

ჰარმონიზებული სისტემის შესახებ საერთაშორისო კონვენციით დადგენილია, რომ მის მონაწილე ქვეყნებს არ შეუძლიათ შეცვალონ საქონლის კლასიფიკაცია და მათი კოდები პირველი ექვსი ნიშნის ფარგლებში. ამ პრინციპის უსიტყვო შესრულება შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს შეცდომები საგარეო ვაჭრობის სფეროში მოქმედი დოკუმენტების შედგენისას, აგრეთვე სრულყოფილად დამუშავდეს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკური ინფორმაცია.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა და ევროკავშირის კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა გამოყენებულ იქნა როგორც საფუძველი ყოფილ საბჭოთა კავშირში შემუშავებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ნომენკლატურისათვის, რომელიც გამოქვეყნდა 1990 წელს სახელწოდებით „სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა" და სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1991 წლის 1 იანვრიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის მიერ, რიგი სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით შემუშავდა და 1992 წლის 1 მაისიდან რუსეთის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა აღნიშნული ნომენკლატურის ახალი რედაქცია (მე-2 გამოცემა).

იმ პერიოდში, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხსენებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა გამოყენებულიყო საქართველოშიც.

1995 წლის 3 ნოემბერს დსთ-ს ქვეყნების მიერ ხელმოწერილ შეთანხმებაში „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ“ ხელი მოაწერეს იმას, რომ „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების, სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესების მიზნით შეთანხმების მონაწილე მხარეები ღებულობენ დსთ-ს ქვეყნების ერთიან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას (**ТН ВЭД**), რომელიც ამ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია და ემყარება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას“.

ამრიგად, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა წარმოადგენს საბაჟო-სატარიფო მიზნებით საქონლის სისტემატიზებულ ჩამონათვალს. ის, რომ ტარიფები სასაქონლო ნომენკლატურასთანაა დაკავშირებული იქედანაც ჩანს, რომ თავად არაბული წარმოშობის სიტყვა „ტარიფი“ დედანში „სიას, ჩამონათვალს, ნუსხას, რეესტრს“ ნიშნავს.

დსთ-ს ქვეყნების 1995 წლის შეთანხმებაში ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ სასაქონლო ნომენკლატურა ემყარება საქონლის აღწერისა და კოდირების მსოფლიო ჰარმონიზებულ სისტემას, ე.ი. გამოყენებადია დსთ-ს ფარგლებს გარეთაც.

დსთ-ს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის წარმოება ეკისრება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბაჟო სამსახურს, რომელიც:

- თვალყურს ადევნებს ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებს, დამატებებს, განმარტებებს და მისი გამოყენების თაობაზე სხვა გადაწყვეტილებებს;
  დსთ-ს ТН ВЭД მოჰყავს შესაბამისობაში მის საერთაშორისო საფუძვლებთან;
  აწარმოებს და ინახავს მის ეტალონურ ეგზემპლარს;
  დსთ-ს წევრი ქვეყნების საბაჟო სამსახურების მონაწილეობით შეიმუშავებს განმარტებებს და საკლასიფიკაციო გადაწყვეტილებებს დსთ-ს ნომენკლატურის გამოყენების თაობაზე;
  უზრუნველყოფს დსთ-ს ნომენკლატურის გამოქვეყნებას;
  ასრულებს დსთ-ს ნომენკლატურის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და მისი რეგიონული ორგანოები სახელმძღვანელოდ იღებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებსა და დამატებებს. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეაქვთ დამატებები სასაქონლო ნომენკლატურაში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან და საქსტანდარტის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

ამრიგად, სასაქონლო ნომენკლატურა წარმოადგენს ყველა არსებული საქონლის გარკვეული წესით აგებულ ჩამონათვალს, ანუ ყველა საქონელს, რომელიც გადაადგილდება ქვეყნის საბაჟო საზღვარზე, აუცილებლად მოენახება ადგილი სასაქონლო ნომენკლატურაში, დათმობილი აქვს თავისი პწკარი და მიკუთვნებული აქვს კოდური ნომერი.

თითოეული საქონლის ადგილის მიგნებას საბაჟო ტარიფების სასაქონლო ნომენკლატურაში (როგორც ამბობენ - საქონლის კლასიფიკაციას) აქვს დიდი ეკონომიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა.

უპირველეს ყოვლისა, საქონლის ადგილზე სასაქონლო ნომენკლატურაში (საკლასიფიკაციო კოდზე) დამოკიდებულია საბაჟო დაბეგვრის განაკვეთი, საბაჟო შეღავათები ან, თუნდაც, დაბეგვრისაგან მთლიანი გათავისუფლება.

მეორეს მხრივ, ვინაიდან სატარიფო კლასიფიკაციას აქვს უფრო ფართო გამოყენება, საქონლის საკლასიფიკაციო კოდზე შეიძლება იყოს „მიბმული“ არასატარიფო რეგულირების საკითხები, მაგალითად, ამ საქონლის ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა, ლიცენზირება, კვოტირება და სხვა.

მესამეც, საქონლის საბაჟო ნომენკლატურა ფართოდ გამოიყენება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისათვის, რაც თავის მხრივ იძლევა საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ანალიზისა და მის საფუძველზე საბაჟო პოლიტიკის კორექტირების საშუალებას.

სასაქონლო ნომენკლატურა საშუალებას იძლევა ასევე გამოიყოს ცალკეული საქონელი ან საქონლის ჯგუფი და მოხდეს მათი უფრო ეფექტური რეგულირება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისას.

სასაქონლო ნომენკლატურით საქონლის დეტალიზაცია გარკვეული უპირატესობაა სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოებისას, რადგანაც შესაძლებელი ხდება სატარიფო დათმობებისა და შეღავათებისას არჩევა და მანევრირება, აგრეთვე, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ეროვნული ეკონომიკისათვის არასასურველი დათმობები და ბიუჯეტს არ შეუმცირდეს საბაჟო გადასახადებიდან შემოსავალი.

ამრიგად, ჰარმონიზებული ნომენკლატურის ქვეშ იგულისხმება სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები და მათ მიკუთვნებული ციფრობრივი კოდები, შენიშვნები განყოფილებების (თავების), ჯგუფებისა და სუბპოზიციების მიმართ, ჰარმონიზებული სისტემით კლასიფიკაციის წესები და განმარტებანი.

ჰარმონიზებული სისტემა გამოიყენება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის (მათ შორის, საქართველოს) მიერ როგორც საქონლის ერთიანი კლასიფიკატორი, რომელიც სრულად პასუხობს საბაჟო ორგანოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების და კომერციული სტრუქტურების თანამედროვე მოთხოვნებს.

ჰარმონიზებული სისტემის საერთაშორისო მასშტაბით დანერგვა მიჩნეულია საერთაშორისო სტანდარტიზაციისა და კლასიფიკაციის ისტორიულ მოვლენად.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს გააჩნია უფლებამოსილება საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებებში, რომლებიც შეეხება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატუ-

რის საერთაშორისო საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, განმარტებების მომზადებას. ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე მას უნდა გააჩნდეს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან და საქსტანდარტის დეპარტამენტთან შეთანხმებული პოზიცია.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი 1994 წლიდან მსოფლიო საბაჟო საბჭოს წევრია. ამ წიგნის ავტორს პატივი ხვდა უშუალოდ მიეღო მონაწილეობა საქართველოს საბაჟოს მსოფლიო საბაჟო საბჭოში გაწევრიანებაში და ყოფილიყო ამ საბჭოს პირველი წევრი საქართველოდან.

სასაქონლო ნომენკლატურის სისტემა შედგება 21 განყოფილებისა და 99 ჯგუფისაგან, საიდანაც სამი (77, 98 და 99) სარეზერვოა.

ჰარმონიზებული სისტემის საკლასიფიკაციო თავისებურებაა ის, რომ განყოფილებები, ერთის მხრივ, აერთიანებენ საქონელს მათი მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობაზე დაყრდნობით, მაგრამ, იმავე დროს, სხვადასხვა განყოფილებებისათვის აღებულია სხვადასხვა ძირითადი საკლასიფიკაციო კრიტერიუმები:

- **წარმოშობა (განყოფილებები: I, II, V);**
  ფუნქციონალური დანიშნულება (განყოფილებები: IV, XI, XII, XVII, XVIII, XIX, XXI);
- **ქიმიური შემადგენლობა (განყოფილებები: III, VI, VII);**
  იმ მასალის სახეობა, რომლისგანაც დამზადებულია საქონელი (განყოფილებები: VIII, IX, X, XIII, XIV, XV).

ჰარმონიზებულ სისტემაში გამოიყენება საქონლის წარმოების თანმიმდევრობის პრინციპი: ნედლეული, ნახევარფაბრიკატი, მზა ნაწარმი.

ჰარმონიზებული სისტემის კიდევ ერთი თავისებურებაა ის, რომ საქონლის დაჯგუფება ხორციელდება პოზიციებისა და სუბპოზიციების დონეზე და კოდში არ შეიტანება განყოფილების ნომერი. ამიტომაც განყოფილებები გამოსახულია რომაული და არა არაბული ციფრებით.

საბოლოო ჯამში ყოველ ჯგუფში ქვეჯგუფების, პოზიციების და სუბპოზიციების აგებისას გამოიყენება არა ერთი რომელიმე კრიტერიუმი, არამედ კრიტერიუმთაგან მთავარი: საქონლის დანიშნულება; მისი დამუშა-

ვების დონე; მასალის სახეობა, ორმლისგანაც დამზადდა საქონელი; ამ საქონლის წილი მსოფლიო ვაჭრობაში.

ერთობლიობაში ჰარმონიზებული სისტემა შეიცავს 21 განყოფილებას, 99 ჯგუფს (3 სარეზერვო), 33 ქვეჯგუფს, 1241 სასაქონლო პოზიციას და 5019 სუბპოზიციას.

ბუნებრივია, რომ საკლასიფიკაციო კრიტერიუმების ნაირსახეობა, საკლასიფიკაციო პირამიდის 5 დონე და 6413 შემადგენელი ელემენტი საკმაოდ ართულებს ჰარმონიზებულ სისტემაში საქონლის რომელიმე სახეობისათვის ადგილის მოძიებას და კოდის მინიჭებას ან, პირიქით, დასახელებული კოდის მიხედვით საქონლის პოვნას, მაგრამ ჰარმონიზებული სისტემის აგებულების ცოდნა და სასაქონლო კოდებით ოპერირების ჩვევების გამომუშავება საბაჟო ორგანოების თანამშრომელთათვის, როგორც ამ დარგის პროფესიონალებისათვის, სავალდებულოა.

საქონლის აღწერისა და კოდირების ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

განყოფილება		ჯგუფი	ქვეჯგუფი	საქონლის	
კოდი	დასახელება			პოზიციის	სუბპოზიციის
1	2	3	4	5	6
I	ცოცხალი ცხოველები და მეცხოველეობის პროდუქცია	35	-	44	194
II	მცენარეული წარმოშობის პროდუქცია	9	-	79	270
III	ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცხიმეული; მათი დაშლის პროდუქტები; დამზადებული საკვები ცხიმები; ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცვილი	1	-	22	53
IV	კვების მრეწველობის პროდუქცია; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცვლელები	9	-	56	181
V	მინერალური პროდუქტები	3	-	67	151
VI	ქიმიური და მასთან დაკავშირებული დარგების პროდუქცია	11	19	176	759
VII	პლასტმასა და მისი ნაწარმი; კაუჩუკი და რეზინის ნაწარმი	2	2	43	189

1	2	3	4	5	6
VIII	ტყავნეულეული, ტყავი, ბეწვეული, ბეწვეულის ნედლეული და მისი ნაწარმი; ლაგამ-უნაგირი და სხვა მოსაკაზმი; საგზაო ნივთები, ჩანთები და მსგავსი საქონელი, ნაწლავებისაგან დამზადებული ნაწარმი (კატგუტის გამოკლებით)	3	-	21	74
IX	ხე-ტყე და მისგან ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ლურწმის, ალფის და სხვა დასაწნავი მასალების ნაწარმი; კალათები და სხვა ნაწნავი	3	-	87	79
X	ქაღალდის მასა წარმოებული მერქნისა ან სხვა მცენარეული მასალისაგან; ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენები და მაკულატურა, ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი	3	--	41	149
XI	ქსოვილი და ქსოვილის ნაწარმი	14	3	149	809
XII	ფეხსაცმელი, თავსაბური, ქოლგები, ჯაჯარუნები, ჯაჯარუნ-ხამები, წკეპლა, მათრახი და მათი ნაწილები; გადამუშავებული ბუმბული და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; თმისაგან ნაწარმი	4	-	20	55
XIII	ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის და მსგავსი მასალის ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; შუშა და შუშის ნაწარმი	3	2	49	138
XIV	მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონები, არაკეთილშობილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები	1	3	18	52
XV	შავი და ფერადი ლითონები და მათგან ნაკეთობანი	11	4	157	587
XVI	მანქანები, მოწყობილობა და მექანიზმები; ელექტრომოწყობილობა; მათი ნაწილები; ხმის ჩამწერი და გადამცემი აპარატურა, აპარატურა სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის ჩასაწერად და გადასაცემად; მათი ნაწილები და ხელსაწყოები	2	-	133	762
XVII	მანქანისებრი, საავტომობილო და საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებანი და მათი ნაწილები და ხელსაწყოები	4	-	38	132
XVIII	ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საკონტროლო, პრეციზიონური, სამედიცინო და ქირურგიული ხელსაწყოები და აპარატები; საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და ხელსაწყოები	3		56	230
XIX	იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და ხელსაწყოები	1	-	7	17
XX	სხვადასხვა სამრეწველო საქონელი	3	-	32	131

1	2	3	4	5	6
XXI	ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი	1	-	6	7
	სულ	96	33	1241	5019

თავად საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემაში საქონელი აღინიშნება ექვსნიშნა კოდით. პირველი ორი ციფრი აღნიშნავს სასაქონლო ჯგუფს, პირველი ოთხი ციფრი - სასაქონლო პოზიციას, ხოლო მეხუთე და მეექვსე ციფრები - სუბპოზიციას.

ეს კარგად ჩანს კოდირების ჰარმონიზებული სისტემის სქემაზე:

ექვსნიშნა კოდის ციფრული ნიშნები					
პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე	მეექვსე
ჯგუფი					
სასაქონლო პოზიცია				სასაქონლო სუბპოზიცია	

მაგალითად: წარმოვიდგინოთ, რომ სისტემაში მოსანახია ქართული „ბორჯომის“ ადგილი. „ბორჯომი“ განეკუთვნება IV განყოფილებას „მზა კვების პროდუქტები; ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცვლელები“.

შემდეგ „ბორჯომი“ აღმოჩნდება 22-ე ჯგუფში - „ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი“, რაც განაპირობებს „ბორჯომის“ სასაქონლო კოდის პირველ ორ ციფრს „22“

სასაქონლო პოზიციით, „ბორჯომი“ განეკუთვნება 22-ე ჯგუფის პირველ პოზიციას: „წყლები, ნატურალურის ჩათვლით ან ხელოვნური მინერალური, გაზირებული, შაქრისა და სხვა სიტკბოსა და არომატის მიმცემი ნივთიერებების დაუმატებლად; ყინული და თოვლი“. ამრიგად, „ბორჯომის“ კოდის პირველი ოთხი ციფრი ჩამოყალიბდა - 2201.

სუბპოზიციით „ბორჯომს“ მოენახა ადგილი ნაწილში „წყლები მინერალური და გაზირებული“ და შესაბამისად კოდმა „დაიმატა“ კიდევ ორი ციფრი „1“ და „0“ და ექვსნიშნა კოდით (ანუ ჰარმონიზებული სისტემით) მისი კოდი გახდა „220110“.

ჰარმონიზებული სისტემის პრაქტიკული გამოყენების უზრუნველსაყოფად 1983 წლის 14 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი იქნა საერთაშორი-

სო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ. კონვენციაში გადმოცემულია ჰარმონიზებული სისტემის ამოცანები, კონვენციის მონაწილეთა მიერ მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, მათი ვალდებულებანი სისტემის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

კონვენციის პრეამბულაში ჩამოყალიბებულია ძირითადი ამოცანები: საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა; საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების მოძიების, შედარების და ანალიზის გაადვილება; საგარეო ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტების სტანდარტიზაცია და უნიფიკაცია და ა.შ.

ამ კონვენციის თანახმად, ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურის ქვეშ მოისაზრება არა მარტო სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები და მათი ციფრობრივი კოდები, არამედ მათთან ერთად **განყოფილებებზე, ჯგუფებზე, პოზიციებზე და სუბპოზიციებზე თანდართული შენიშვნები და ჰარმონიზებული სისტემის ინტერპრეტაციის წესები.** უფრო მეტიც, ეს შენიშვნები და ინტერპრეტაციის წესები, სარგებლობენ ისეთივე იურიდიული ძალით, როგორც თავად ნომენკლატურული ნაწილი, რადგან წარმოადგენენ ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურის განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნები თანდართულია პრაქტიკულად ყველა განყოფილებასა და ჯგუფზე, აგრეთვე ზოგიერთ სუბპოზიციაზე და იძლევიან ამ საკლასიფიკაციო ბლოკების ზუსტ ჩარჩოებს. ვინაიდან შენიშვნებში დიდი ადგილი უჭირავს საქონლის დამზადების ტექნოლოგიის და ტექნიკური მახასიათებლების აღწერას, ფაქტობრივად ეს შენიშვნები გარკვეულწილად წარმოადგენენ საქონლის საკლასიფიკაციო საერთაშორისო სტანდარტების კრებულს.

სასაქონლო ნომენკლატურის ინტერპრეტაციის წესები მოცემულია ამავე თავში ქვემოთ.

ჰარმონიზებული სისტემის ზემოთ ჩამოთვლილი სამი ნაწილის გარდა კონვენციაში შედის ე.წ. **დამხმარე პუბლიკაციები:** ჰარმონიზებული სისტემის განმარტებანი; ჰარმონიზებული სისტემის ანბანური სარჩევი და მითითებანი; ჰარმონიზებული სისტემის თაობაზე გამოსული საკლასიფიკაციო გადაწყვეტილებების კრებული და ჰარმონიზებული სისტემიდან საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურაზე და უკან გადასვლის გასაღები.

ჰარმონიზებული სისტემის განმარტებები შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ სისტემის ოფიციალური კომენტარები საერთაშორისო დონეზე. ფაქტობრივად ეს განმარტებები წარმოადგენენ **საქონლის იდენტიფიკაციის სახელმძღვანელოს.**

ანბანური სარჩევი და მითითებანი გამოიყენება ჰარმონიზებულ სისტემაში საჭირო ინფორმაციის მოძიების გასაადვილებლად. სარჩევი შედგება სამი სვეტისაგან. პირველ სვეტში ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია ნომენკლატურაში შეტანილი ყველა საქონელი. მეორე სვეტში - სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე განყოფილებისა და ჯგუფების განმარტებანი ან ამ საქონლის სასაქონლო პოზიცია ან სუბპოზიცია. მესამე სვეტში - ის გვერდი (გვერდები), რომელზეც განიხილება ჰარმონიზებული სისტემის ამ საქონლისათვის საჭირო განმარტებები.

ჰარმონიზებული სისტემის საკლასიფიკაციო გადაწყვეტილებების კრებული ეხება კოდირების სადავო ან არასტანდარტულ შემთხვევებს.

ერთი ნომენკლატურიდან მეორეზე გადასაყვანი "გასაღები" საჭირო გახდა იმ 150 ქვეყნისა და ტერიტორიისათვის, რომლებიც 1987 წლამდე სარგებლობდნენ სხვა საკლასიფიკაციო სისტემებით. ვინაიდან საქართველო უფრო გვიან ჩამოყალიბდა სუვერენულ სახელმწიფოდ, ასეთი "გასაღებით" სარგებლობის მოთხოვნილება არ გასჩენია და უშუალოდ გადავიდა ჰარმონიზებულ სისტემაზე.

1991 წლის 1 იანვრიდან საბჭოთა კავშირში ძალაში შევიდა **საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა**, რომელიც შემდგომში გახდა როგორც დსთ-ს ქვეყნების სასაქონლო ნომენკლატურის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სასაქონლო ნომენკლატურის საფუძველი.

ჰარმონიზებული სისტემისაგან განსხვავებით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა 9 ნიშნიანია, სადაც პირველი ექვსი ნიშანი წარმოადგენს ჰარმონიზებული სისტემის კოდს, მომდევნო ორი (მე-7 და მე-8) ევროგაერთიანების დამატებით დეტალიზაციას, რომელიც ჰარმონიზებულ სისტემასთან ერთად ქმნის რვანიშნა ევროგაერთიანების კომბინირებულ სისტემას და ბოლო, მე-9 ნიშანი, გათვალისწინებულია ტრადიციული ეროვნული საქონლის გამოსაყოფად. ყველაფერი ეს კარგად ჩანს მოყვანილ სქემაზე:

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (9 ნიშანი)								
პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე	მეექვსე	მეშვიდე	მერვე	მეცხრე
საქონლის კოდი ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით						ევროგაერთიანების დამატებითი დეტალიზაცია		
საქონლის კოდი ევროგაერთიანების კომბინირებული სისტემის მიხედვით								0

განვიხილოთ კოდირება იგივე ზემოთ მოყვანილი "ბორჯომის" კოდირების მაგალითზე. ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით (ექვსნიშნა კოდით) ჩვენ "ბორჯომს" მივაკუთვნეთ კოდი 2201 10, სადაც "2201" "ბორჯომს" მიაკუთვნებდა 22-ე ჯგუფის პირველ პოზიციას - "წყლები, ნატურალური ჩათვლით ან ხელოვნური მინერალური, გაზირებული, შაქრისა და სხვა სიტკბოსა და არომატის მიმცემი ნივთიერებების დაუმატებლად; ყინული და თოვლი".

შემდეგი დეტალიზაციით ზემოთ მოყვანილ საქონელთა ერთობლიობიდან "ბორჯომი" მიკუთვნებულ იქნა "მინერალურ და გაზირებულ წყლებს", რაც აისახა მე-5 და მე-6 ნიშანში. ამით ჰარმონიზებულმა სისტემამ ამოწურა თავისი საკლასიფიკაციო შესაძლებლობანი, ისე რომ არ გასცა პასუხი შეკითხვას: როგორი მინერალური წყალია "ბორჯომი" ბუნებრივი თუ ხელოვნური?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ევროგაერთიანების დამატებითი დეტალიზაციის ნიშნები მე-7 და მე-8. კერძოდ, მე-7 კოდური ციფრი "1" მიუთითებს, რომ "ბორჯომი" არის ბუნებრივი მინერალური წყალი.

შემდეგ კითხვაზე (არაგაზირებული თუ გაზირებული) პასუხს იძლევა მე-8 ნიშანი, რომლის მიხედვითაც არაგაზირებული მინერალური წყლის კოდია "1", ხოლო გაზირებულის - "9"

მე-9 ციფრის ამოცანაა ტრადიციული ეროვნული პროდუქციის შემდგომი დეტალიზაცია. საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო სტატისტიკური მიზნით ან სხვადასხვანაირი დაბეგვრისათვის ცალ-ცალკე მიენიჭებინა კოდები. მაგალითად, "ბორჯომი" - 1, "საირმე" - 2, "ნაბეღლავი" - 3, დანარჩენი - 9; ეროვნული ქუდები - ბოხოხი - 1, კახური - 2, სვანური - 3, დანარჩენი - 9; ჩოხა - 1, ახალუხი - 2, ქულაჯა - 3, ნაბადი - 4 და ა.შ. მაგრამ ჯერ-ჯერობით დსთ-ს არც ერთ ქვეყანას ასეთი უფლებით არ უსარგებლია და ამიტომ მე-9 ნიშანი აღინიშნება "0"-ით.

ამრიგად, არაგაზირებული "ბორჯომის" სასაქონლო კოდი ყოფილა 2201 10 110, ხოლო გაზირებულის - 2201 10 190. იგივე სასაქონლო კოდი აქვთ (სანამ არ შეივსება ბოლო მე-9 ნიშანი) "საირმეს", "ნაბეღლავს", "ესენდუკს" და სხვა ბუნებრივ მინერალურ წყლებს.

რადგან არც რუსეთის, არც საქართველოს, არც დსთ-ს სხვა სახელმწიფოს საკუთარი ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სისტემა არ შეუმუშავებიათ, ყველა ეს ქვეყანა 1997 წლის 1 იანვრიდან სარგებლობს **დსთ-ს ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის მე-2 გამოცემით.** ამ დოკუმენტის საერთაშორისო (და არა მარტო დსთ ქვეყნებისათვის) ხასიათს განსაზღვრავს ის, რომ იგი ემყარება **მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის** (ყოფილი საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს) **საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას.**

საქონლის კოდის დასადგენად ან მოსაძიებლად კომპლექსურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ინტერპრეტაციის ძირითადი წესები (6 წესი).

3. სასაქონლო ნომენკლატურის ინტერპრეტაციის წესები

„დსთ-ს ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის" მე-2 გამოცემის თითქმის 1000 გვერდიანი წიგნის განუყოფელი ნაწილია დსთ-ს ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის ინტერპრეტაციის ძირითადი წესები (გვერდები 28-30).

წესი I. „განყოფილებების, ჯგუფების და ქვეჯგუფების სახელწოდებები აღებულია მხოლოდ მოხერხებულობის თვალსაზრისით. რაც შეეხება იურიდიულ მიზნებს, ამ შემთხვევაში დასახელება აისახება სასაქონლო პოზიციის სახელწოდებაში ან განყოფილებებსა და ჯგუფებზე თანდართულ განმარტებებში, რაც განმარტებულია შემდეგ წესებში".

მაგალითი 1: პოზიცია 0102 „ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი" ნიშნავს, რომ ამაში არ შედის: ა) დაკლული საქონელი; ბ) წვრილფეხა საქონელი.

მაგალითი 2: პოზიცია 0102 10 „საჯიშე (წმინდა წყლის) ცხოველები" არ მოიცავს არც არასაჯიშე ცხოველებს და არც სხვა საჯიშე ცხოველებს გარდა მსხვილფეხასი.

მაგალითი 3: პოზიცია 9001 „ნებისმიერი მასალისაგან დამზადებული ლინზები სათვალეებისათვის" იქნებოდა პოზიცია ყველა სათვალეებისათვის, თუ არ ექნება მინიშნება, რომ ამაში არ შედის პოზიცია 7015 „ოპტიკურად დამუშავებული ლინზები".

წესი 2. ხშირია შემთხვევა, როცა საბაჟოს წარუდგენენ საქონელს: ა) ნაწილებად დაშლილი სახით; ბ) დაშლილი სახით წარმოდგენილ საქონელს აკლია რაიმე ნაწილი, რომელიც ამ საქონლის შემადგენელი ნაწილია; გ) წარმოდგენილი საქონელი ჯერ კიდევ გამოუსადეგარია მოხმარებისათვის (ექსპლუატაციისათვის) და მოითხოვს დამატებითი ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარებას.

ყველა ასეთ შემთხვევაში რთულდება კოდის მინიჭება.

ა) "სასაქონლო პოზიციაზე ნებისმიერი მინიშნება უნდა გაიგებოდეს, როგორც ამ საქონელზე მინიშნება მაშინაც, როცა ეს საქონელი არაკომპლექტური ან დაუმთავრებელია, თუ ასეთი სახით ეს საქონელი ატარებს კომპლექტური ან დამთავრებული საქონლის ძირითად ნიშნებს".

მაგალითად: პოზიცია 8712 00 წარმოადგენს „ორბორბლიანი და სხვა სახის ველოსიპედები (სამბორბლიანი ტრანსპორტის ჩათვლით) ძრავის გარეშე". თუ ხდება უსაჯდომო და საბურავების გარეშე ველოსიპედების იმპორტირება, ისინიც მიეკუთვნებიან 8712 00 ჯგუფს იმის გამო, რომ აშკარად გამოხატული აქვთ ამ პოზიციის სახელწოდებაში მინიშნებული - „ველოსიპედის" ძირითადი ნიშნები.

ამავე მიზნებისათვის ველოსიპედისათვის შეიძლება გადაიტანებოდეს ნახევარფაბრიკატები, რომელთაც არ აქვთ პოზიციის სახელწოდების გამოხატული ნიშნები (მაგალითად: მავთულის ნაჭრები, დისკები, მილები და ა.შ.), მაშინ ისინი არ მიეკუთვნებიან ველოსიპედის 8712 00 პოზიციას.

არის შემთხვევა, როცა ტრანსპორტირების მოხერხებულობის მიზნით მანქანა-დანადგარების იმპორტირებას (ექსპორტირებას) ახდენენ რამდენიმე პარტიად გარკვეული დროის განმავლობაში. თითოეულ სატრანსპორტო პარტიას ცალკე არავითარი ნიშანი არ აქვს იმისა, რომ აღქმული იქნეს როგორც იმ საქონლის პოზიცია, რომელიც საბოლოოდ მთლიანობაში იქნება გადაგზავნილი. იმისათვის, რომ საბაჟომ ჩათვალოს კოდირება სამართლიანად, გამგზავნმა, ჯერ კიდევ პირველ გაგზავნამდე უნდა წარუდგინოს საბაჟოს დანადგარის სქემა და მისი ძირითადი ნაწილების რიგითი ნომრები. იმისათვის, რომ დანადგარი აისახოს როგორც ერთიანი საქონელი, ნაწილებმა უნდა გადაკვეთოს საბაჟო საზღვარი ერთსა და იმავე ადგილას და მთლიანად ტრანსპორტირება უნდა დამთავრდეს საბაჟოსთან შეთანხმებულ ვადაში. ასეთ შემთხვევაში თითოეული გზავნილის საბაჟო დეკლარაციაში უნდა აისახოს არა მარტო კონკრეტულად ეს ტვირთი, არამედ დანადგარი კომპლექტში.

მაგალითად, სუფსის ნავთობის ტერმინალისათვის მილები, ფურცლოვანი რკინა, დგუშები, ელექტროხელსაწყოები და ა.შ. უნდა აისახოს სასაქონლო ნომენკლატურაში არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად.

ბ) "ნებისმიერი მინიშნება სასაქონლო პოზიციის დასახელებაში უნდა განიხილებოდეს როგორც მინიშნება ამ მასალის შენარევზე ან შენაერთზე სხვა მასალებთან და ნივთიერებებთან".

მაგალითად, პოზიცია 8211 „დანები მჭრელი პირით, ხერხისმაგვარი ან უიმისოდ (ხეების გასაფორმებელი დანების ჩათვლით), გარდა დანებისა სასაქონლო პოზიციიდან 8208 და მათი მჭრელი პირები" განიხილება როგორც „ინსტრუმენტები, დანის ნაწარმი, კოვზები და ჩანგლები არაძვირფასი ლითონებისაგან; მათი ნაწილები არაძვირფასი ლითონებისაგან", მიუხედავად იმისა, ხის მასალისაგან, პლასტმასისაგან თუ სხვა მასალისაგან არის დამზადებული სახელური.

წესი 3. „როცა მე-2(ბ) წესის გამოყენებისას ან სხვა რაიმე მიზეზთა გამო საქონელი შეიძლება მიკუთვნებული იქნეს ორ ან მეტ სასაქონლო პოზიციას, კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

ა) უპირატესობა ეძლევა იმ სასაქონლო პოზიციას, რომელიც შეიცავს საქონლის ყველაზე კონკრეტულ აღწერას, ვიდრე საქონლის სხვა

უფრო ზოგადად ალმწერ პოზიციებს. მაგრამ, როცა თითოეული ამ ორი ან მეტი სასაქონლო პოზიციიდან იყენებს მინიშნებას მხოლოდ მასალებისა და ნივთიერებების ნაწილზე, რომელიც არის შერეულ ან რთულ საქონელში, ან წარმოადგენს ნაწარმის ნაწილს ნაკრებში, ერთად შეფუთულ საცალოდ გასაყიდად, მაშინ ასეთი სასაქონლო პოზიციები უნდა იქნეს განხილული, როგორც თანაბრად სპეციფიური ასეთი საქონლისათვის, იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი იძლევა საქონლის უფრო ზუსტ აღწერას;

ბ) შენარევები, მრავალკომპონენტიანი ნაწარმი შედგენილი სხვადასხვაგვარი მასალისაგან ან ნაწარმოები სხვადასხვა კომპონენტებისაგან, და საქონელი წარმოდგენილი საცალოდ გასაყიდად ნაკრების სახით, რომლის კლასიფიცირება 3(ა) წესით შეუძლებელია, კლასიფიცირდება იმ მასალისა და შემადგენელი ნაწილების მიხედვით, რომლებიც აძლევენ საქონელს ძირითად ნიშნებს, თუ ასეთი პრინციპი გამოუყენებადია.

გ) საქონელი, რომლის კლასიფიცირება შეუძლებელია 3(ა) და 3(ბ) წესით, კვალიფიცირდება განსახილველი პოზიციებიდან უკანასკნელის (ანუ რომელსაც აქვს უფრო დიდი რიგითი ნომერი) სასაქონლო პოზიციით".

მესამე წესში მოყვანილი საქონლის სასაქონლო პოზიციისადმი მიკუთვნების სამი ხერხი მოსინჯული უნდა იქნეს ისეთი თანმიმდევრობით, როგორც თავად წესშია მოცემული, ანუ წესი 3(გ) გამოყენებული შეიძლება იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც 3(ა) და 3(ბ) გამოუყენებადი აღმოჩნდა.

თუ კარგად დავაკვირდებით მესამე წესს, აღმოვაჩენთ, რომ საქონლის კლასიფიკაციისას მისი მახასიათებლები განლაგებულია შემდეგი პრიორიტეტული რიგით:

1. **საქონლის კონკრეტული აღწერა 3(ა);**
2. **ძირითადი მახასიათებელი 3(ბ);**
3. **სავარაუდო სასაქონლო პოზიციებიდან რიგით უკანასკნელი 3(გ).**

აქვე ყურადღება მისაქცევია, რომ, საერთოდ, მესამე წესი გამოიყენება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასაქონლო პოზიციების სახელწოდებები და განყოფილებებსა და ჯგუფებზე თანდართული განმარტებანი არ მოითხოვენ სხვა ინტერპრეტაციას.

ამრიგად, კლასიფიკაციის წესი 3(ა) უპირატესობას აძლევს იმ სასაქონლო პოზიციას, რომელიც იძლევა ამ საქონლის ყველაზე დაწვრილებით

აღწერას. პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე ზუსტი დებულების ნახვა, რომლითაც შეიძლება ერთმანეთისაგან უფრო ზუსტი და ნაკლებად ზუსტი აღწერის განსხვავება, მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება ითქვას, რომ:

ა) საქონლის დასახელების აღწერა უფრო კონკრეტულია, ვიდრე ჯგუფობრივი;

ბ) საქონელი უნდა იქნეს იდენტიფიცირებული ისეთი აღწერით, რომელიც უფრო ზუსტია.

მაგალითი: 1. რომელ პოზიციას უნდა მივაკუთვნოთ მსუბუქ ავტომობილში ჩასაფენი ქსოვილის ნოხები - 8708-ს, როგორც ავტომობილის მოწყობილობის ნაწილს, თუ 5703-ს, რომელსაც მიეკუთვნება ნოხები. პასუხი: უნდა მიეკუთვნოს 5703 პოზიციას, რადგან აქ ის უფრო კონკრეტულადაა აღწერილი, როგორც ნოხები. 2. დარტყმის გამძლე მინა, გამომწვარი და მრავალშრიანი, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავებში უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც საფრენი აპარატების (პოზიციები 8801 ან 8802) ნაწილები (8803), არამედ სასაქონლო პოზიციით (7007), სადაც უფრო კონკრეტულადაა აღწერილი ეს მინა, როგორც ნამსხვრევებად არამსხვრევადი.

წესი 3(ბ) გამოიყენება მხოლოდ:

ა) შენარევებისათვის;

ბ) სხვადასხვა მასალებისაგან შემდგარი, კომბინირებული საქონლისათვის;

გ) სხვადასხვა კომპონენტებისაგან შემდგარი, კომბინირებული საქონლისათვის;

დ) საქონლისთვის, რომელიც შედის საცალო ვაჭრობისათვის ნაკრებში.

ის გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა წესი 3(ა) არ იძლევა შედეგს.

მაგალითი 1: უნდა განისაზღვროს სამზარეულოს სპეციალური ხის თაროს სასაქონლო პოზიცია, როცა ის იყიდება კომპლექტში სანელებლებისთვის სპეციალურ ცარიელ ფაიფურის, კერამიკის ან ლითონის სათავსოებთან ერთად. უდავოა, რომ ეს არის ნაკრები საცალო რეალიზაციისათვის, იმიტომ რომ:

ა) შედგება ორი სხვადასხვა სახის ნაწარმისაგან (თარო და სათავსი ჭურჭლები) და ერთი შეხედვით კვალიფიცირდება სხვადასხვა სასაქონლო პოზიციით;

ბ) წარმოადგენს ნაკრებს კონკრეტული მიზნისათვის გარკვეული მოთხოვნის ან სამუშაოს შესასრულებლად;

გ) ჩანყობილია შეფუთვაში (მაგალითად, ყუთში) და ერთად, ერთიანი ფასით მიეყიდება მყიდველს.

ამრიგად, ხის თარო სანელებლების შესანახი სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ქილებით, სათავსოებით, ჭურჭლით მიეკუთვნება სასაქონლო პოზიციას „4419 00 სასადილოსა და სამზარეულოს ხის მოწყობილობა".

მაგალითი 2: ერთ პაკეტში იყიდება სპაგეტი (სასაქონლო პოზიცია 1902), გახეხილი ყველი (0406) და პატარა ქილაში ტომატის საწებელი (2103), რაც წარმოადგენს ნაკრებს მზა კერძის - სპაგეტის მოსამზადებლად. ასეთი ნაკრები უნდა მიეკუთვნოს 1902 სასაქონლო პოზიციას ძირითადი კომპონენტის მიხედვით.

მაგალითი 3: ერთ პაკეტში მოთავსებულია ერთი ბოთლი სპირტი (2208) და ერთი ბოთლი ღვინო (2204). ასეთი პაკეტი არ განიხილება როგორც ნაკრები, რადგანაც არ გამოიყენება მთლიანობაში და ამიტომ კლასიფიცირება უნდა მიეცეს ცალკე სპირტსა და ცალკე ღვინოს.

მაგალითი 4: სახაზავი ნაკრები, რომელიც შედგება თავად სახაზავისაგან (9017), დისკური კალკულატორისაგან (9017), ტრანსპორტირისაგან (9017), ფანქრისაგან (9609) და ფანქრის სათლელისაგან (8214), რაც ჩადებულია ერთ პლასტმასის პენალში (4202) კლასიფიცირდება სასაქონლო პოზიციით 9017.

მაგალითი 5: საკერავი ნაკრები - მაკრატელი, სანტიმეტრი, ნემსები და ძაფები, საბნევები და სათითური მიეკუთვნება სასაქონლო პოზიცია 9605 "სამოგზაურო ნაკრები, რომელიც გამოიყენება პირადი ჰიგიენის, კერვის, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის გაწმენდისათვის".

ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითებში კლასიფიკაცია განხორციელებულია იმ კომპონენტის მიხედვით, რომელიც აძლევს ასეთ ნაკრებს სპეციფიკურ ხასიათს, გამოხატავს ერთად შეკრების მიზანს.

იგივე წესი არ მოქმედებს, თუ ნაკრების კომპონენტები შემოიტანება (გაიტანება) ცალ-ცალკე შეფუთულ კომპონენტად. მაგალითად, მეორე მაგალითისათვის ცალ-ცალკე იქნება შეფუთული სპაგეტი, გახეხილი ყველი და ტომატის საწებელი.

როგორც ზემოთ ითქვა, თუ საქონლის სასაქონლო პოზიცია ვერ გაირკვა 3(ა) და 3(ბ) ხერხებით, მივმართავთ 3(გ) ხერხს.

მაგალითად: ოფისისათვის შემოსატანია რკინის ფეხებიანი ხის საფარიანი მაგიდები. სასაქონლო ნომენკლატურაში არის ორი სასაქონლო პოზიცია, რომელიც შეეფერება ამ სიტუაციას:

9403 10 - რკინის ავეჯი, დაწესებულებაში გამოყენებულის ანალოგიური;

9403 30 - ხის ავეჯი, დაწესებულებაში გამოყენებულის ანალოგიური.

ვინაიდან სხვა ვერაფერი ხერხით ვერ აირჩევა სასაქონლო პოზიცია, ვირჩევთ 9403 30-ს იმიტომ, რომ ის რიგით შემდეგია.

წესი 4: „საქონელი, რომლის კლასიფიკაცია შეუძლებელია ზემოთ მოყვანილი ხერხებით, სასაქონლო პოზიციებში კვალიფიცირებული უნდა იქნეს გასარკვევთან ყველაზე ახლო მდგომი საქონლით".

პრაქტიკულად მეოთხე წესი გამოიყენება იშვიათად, რადგან „ახლო მდგომი" საქონლის მიგნებაც თავის წესს მოითხოვს და, მეორეც, ჯგუფების უმრავლესობას აქვს სასაქონლო პოზიცია - „დანარჩენი", რასაც უფრო ადვილად მივაკუთვნებთ განსაზღვრას დაქვემდებარებულ პროდუქციას ყოველგვარი მსგავსი საქონლის მოძებნის გარეშე.

წესი 5: „ზემოთ ჩამოთვლილ წესებთან ერთად ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლისათვის, უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგი წესები:

ა) ფოტოაპარატების და მუსიკალური ინსტრუმენტების, თოფების, სახაზავი მოწყობილობების, ჰალსტუხების ფუტლარები, შალითები და მსგავსი ტარა (შეფუთვა), რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული ფორმა და გამოიყენება სპეციფიკური საგნებისათვის უნდა იქნეს კვალიფიცირებული იმ საქონელთან ერთად, რომელთანაც იყიდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავად შეფუთვა აძლევს მას არსებით ნიშანს;

ბ) წესის 5(ა) თანახმად შესაფუთი მასალა და შესაფუთი კონტეინერები, რომლებიც მიეწოდებიან საქონელთან ერთად კლასიფიცირებულნი უნდა იქნენ საქონელთან ერთად, თუ ისინი ისეთი სახისაა, რომელიც, ჩვეულებრივ გამოიყენება ამ საქონლისათვის. მაგრამ ეს წესი არ არის

სავალდებულო, თუ შესაფუთი კონტეინერები ისეთია, რომ აშკარად შეიძლება მათი ხელახალი გამოყენება".

ეს წესი გამოიყენება მხოლოდ ისეთი კონტეინერებისათვის, რომლებიც:

ა) ხასიათდებიან ისეთი ფორმით (რომელიც, მაგალითად, იმეორებს შესაფუთი საქონლის ფორმას) და კონსტრუქციით, რომელიც მოწმობს, რომ ისინი განკუთვნილია მხოლოდ ამ მიზნისათვის;

ბ) გამძლეა და გამოიყენება ხანგრძლივი სარგებლობისათვის;

გ) მიეწოდება ნაწარმთან ერთად, თუნდაც უშუალოდ ტრანსპორტირებისას ცალ-ცალკე იყოს შეფუთული;

დ) ჩვეულებრივ, იყიდებიან საქონელთან ერთად;

ე) თავად არ წარმოადგენენ საქონლის მახასიათებელს.

მაგალითად:

1. კოლოფები საიუველირო ნაწარმისათვის (7113);
2. ფუტლარები ელექტროსაპარსებისათვის (8510);
3. ფუტლარები ჭოგრიტებისა და ტელესკოპებისათვის (9005);
4. ფუტლარები მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის (9202);
5. „შალითები" იარაღისათვის (9003);
6. ტომრები ფხვიერი პროდუქტებისათვის (ბრინჯი, ფქვილი).

წესი 5(ბ) არეგულირებს შესაფუთი მასალების და შესაფუთი კონტეინერების კლასიფიკაციას იმ საქონლისათვის, რომლებსაც მიეკუთვნებიან, მაგრამ არ გამოიყენება ისეთი მასალებისა და კონტეინერების მიმართ, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა, როგორც, მაგალითად, თხევადი გაზის ბალონები.

წესი 6. „იურიდიული მიზნებისათვის საქონლის კლასიფიკაცია ნებისმიერი საქონლის პოზიციის სუბპოზიციაში უნდა განისაზღვროს ამ სუბპოზიციის სახელწოდებებში და ნებისმიერ მათთან დაკავშირებულ განმარტებებში, აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილი წესებით იმ პირობით, რომ ერთი დონის სუბპოზიციები შესადარნი იყვნენ. ამ წესისათვის ასევე გამოიყენება განყოფილებების და ჯგუფების განმარტებები, თუ კონტექსტში სხვა რამ არ არის ნათქვამი".

მაგალითად, 7110-ე ჯგუფს ახლავს განმარტება: „პლატინის ქვეშ იგულისხმება პლატინა, ოსმიუმი, ირიდიუმი, პალადიუმი, რადიუმი და

რუტენიუმი". სუბპოზიცია 7110 11 და 7110 19 უკვე არ გულისხმობს ტერმინ პლატინაში ირიდიუმს, ოსმიუმს, პალადიუმს, რადიუმს და რუტენიუმს. ე.ი. კოდი 7110 11 000 - იტევს გადამუშავებულ, ნახევრადგადამუშავებულ ან ფხვნილისმაგვარ პლატინას და არა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ქიმიურ ელემენტებს.

საბაჟო საქმის პრაქტიკამ აჩვენა, რომ საქონლის კოდირებისას ინტერპრეტაციის ძირითადი წესები, გარდა მათი ოფიციალური მიზნებისა, გარკვეულწილად ქმნიან წინაპირობას ამ საქონლის სტანდარტის განსაზღვრისა, იმდენად, რამდენადაც პასუხობენ კითხვებს:

1. **რა არის ეს?**
2. **რისგანაა დამზადებული?**
3. **რისთვის გამოიყენება?**
4. **რა სახით გამოიყენება?**
5. **ერთადერთია თუ არა მისი ადგილი სისტემაში?**

ღრმა დიფერენციაცია არა მარტო იძლევა საშუალებას ისეთი საბაჟო პოლიტიკის გატარებისა, რომელიც შექმნიდა სამამულო წარმოების ცალკეული საქონლის სატარიფო დაცვას, არამედ, რამდენად საკვირველი არ უნდა იყოს, "ეხმარება" ქართულ ენას დროის მიერ მოტანილი მრავალი არსებითი სახელის სწორად გაგებაში.

დროა ქართული ტრადიციული საქონლის სტატისტიკური აღრიცხვისათვის გამოყენებული იქნეს სასაქონლო ნომენკლატურის მე-9 ნიშანი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს აღრიცხვას დავუქვემდებაროთ, მაგალითად, არა მარტო მთლიანად მინერალური წყლების, არამედ ექსპორტი მათი სახეების მიხედვით, არა მარტო ღვინის, არამედ ღვინის სახეობების, არა მარტო ციტრუსების, არამედ ცალ-ცალკე მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის, გრეიფრუტის ექსპორტი და ა.შ.

ასევე მე-9 ნიშანი შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა საქონლის მახასიათებლებში, მხოლოდ ამ საქონლისათვის დამახასიათებელი თავისებურების დასაფიქსირებლად (კვოტირებადი, ლიცენზირებადი, სასერტიფიკაციო, ინდივიდუალური მიდგომის ბაჟით, აქციზით და დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის მხრივ და ა.შ.).

მაგალითად, სამედიცინო პრეპარატის კოდის მე-9 ნიშანი შეიძლება გაიშიფროს ექვემდებარება ეს პრეპარატი დაბეგვრას თუ არა და, ამრიგად, შემოსული დასაბეგრი და დაბეგვრისაგან გათავისუფლებული ფარმაცევტული საქონლის რაოდენობა (ღირებულება) ალირიცხოს ცალ-ცალკე.

ასეთი და მსგავსი სტატისტიკური მასალის მოპოვება და მისი ანალიზი სწორი საბაჟო პოლიტიკის წარმართვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სასაქონლო ნომენკლატურას აქვს დიდი პერსპექტივა ქვეყნის შიგა სასაქონლო წარმოების სტატისტიკური აღრიცხვისათვის მაშინ, როცა გაერო-ს სტატისტიკური კომისია უფრო შორს წავიდა და სასაქონლო ნომენკლატურის პარალელურად და მის საფუძველზე შეიმუშავა **საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მომსახურების მსოფლიო კლასიფიკატორი.**

საერთაშორისო დონის კლასიფიკატორების გამოყენება არ არის უბრალოდ საქონლის სახელწოდებების მექანიკური შეცვლა შესაბამისი კოდური ნიშნებით (კოდირება), არამედ კლასიფიკაციისა და კოდირების პრინციპულად ახალ სქემაზე გადასვლაა, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს მწარმოებლებს და კომერსანტებს მათთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკონ ერთმანეთს, ხოლო სახელმწიფოს - მოახდინოს ექსპორტ-იმპორტის რეგულირებისა და აღრიცხვის საერთაშორისო და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისას სტატისტიკური მონაცემების შესადარისობა.

1997 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა დსთ-ს ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის მე-2 გამოცემა, რომელშიც საერთაშორისო წესებში მომხდარ ცვლილებებთან ერთად ასახა საბაჟო-სატარიფო ურთიერთობების ზოგიერთი, წმინდა რუსული, დსთ-ს, მათ შორის საქართველოსაგან განსხვავებული თავისებურებანი.

მაგალითად, მაშინ როდესაც სატელევიზიო ელექტრონულ-სხივურ მილებს დსთ-ს ქვეყნებში განიხილავენ როგორც ერთი სუბპოზიციის და ერთნაირად კოდირებულ საქონელს, რუსეთში იგივე საქონელი გამიჯნულია მე-7 ნიშნის დონეზე: დიაგონალში 52 სმ-დე ზომის ეკრანის მქონე მილებს მიეკუთვნა კოდი 8540 11 100, ხოლო იგივე კინესკოპებს, რომელთა

ეკრანის ზომა 52 სმ-ზე მეტია - 8540 11 500. ეს განსხვავება არ არის ნაკარნახევი კინესკოპების ტექნიკური თავისებურებებით, არამედ იმით, რომ რუსეთის კანონმდებლობით 8510 11 100 კოდის მატარებელი მილები იბეგრებიან 20-პროცენტიანი საბაჟო განაკვეთით, ხოლო 8540 11 500 კოდის მატარებელი - 5-პროცენტიანი განაკვეთით.

ის, რომ მე-2 გამოცემა მომზადდა რუსეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტში, რომ ის დამტკიცებულია როგორც რუსეთის ოფიციალური კანონქვემდებარე აქტი და მასში გათვალისწინებულია რუსული საბაჟო კანონმდებლობის ნიუანსები, ეჭვ ქვეშ აყენებს მე-2 გამოცემის, ისევე როგორც პირველი გამოცემის საყოველთაო (დსთ-ს ქვეყნებისათვის) ხასიათს. თუ პირველი გამოცემის თაობაზე არსებობდა დსთ-ს ქვეყნების შეთანხმება, მეორე გამოცემა არ შეთანხმებულ.

მიუხედავად იმისა, სცნობენ თუ არა სასაქონლო ნომენკლატურის მე-2 გამოცემის ვარიანტს დსთ-ს ქვეყნები საყოველთაო და ერთობლივი გამოყენების დოკუმენტად და რა მოუვა შემდგომ (მაგალითად, მე-5, მე-10 და ა.შ.) გამოცემებს ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის ჰარმონიზებული სისტემის საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს შეუძლია და უნდა ჰქონდეს საკუთარი, ეროვნული **საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა.** რადგანაც ქართულ სასაქონლო ნომენკლატურას საფუძვლად დაედება ჰარმონიზებული სისტემა (პირველი ექვსი ნიშანი), ევროგაერთიანების მომდევნო ორი კოდური ნიშანი და შეიქმნება დსთ-ს ქვეყნების სასაქონლო კოდით გათვალისწინებული მე-9 ნიშნის გამოყენების საშუალება, საქართველოს ნომენკლატურა არ შევა დსთ-ს ნომენკლატურასთან წინააღმდეგობაში და შესაძლებელი იქნება მისი პარალელური გამოყენებაც.

ამასთან, შესაძლებელი გახდება ეროვნული სტრატეგიული საქონლის მეტი დეტალიზაცია მე-9 ნიშნის გამოყენებით: ბუნებრივი მინერალური გაზირებული წყლის - "ბორჯომად", "საირმედ", "ნაბეღლავად" და ა.შ., ღვინოების - მათი ქართული საკლასიფიკაციო სახეობების მიხედვით (თეთრი, წითელი, ტკბილი, შუშხუნა, საკოლექციო და ა.შ.); ციტრუსების - მანდარინად, ფორთოხლად, ლიმონად და ა.შ.

ქართული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა ხელს შეუწყობს ეროვნული სტატისტიკის ჩართვას საერთაშორისო ერთიან სტატისტიკურ ქსელში.

ქართული სასაქონლო ნომენკლატურა ეკონომიკურ ურთიერთობებში და სტატისტიკაში, კომერციულ და საბაჟო ტერმინოლოგიაში აგრეთვე შეასრულებს ქართული ენის ნორმების დამცველის როლს.

საბოლოო ჯამში, საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა იქნება ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის და მსოფლიოს ქვეყნებთან თანასწორუფლებიანობის კიდევ ერთი ახალი ატრიბუტი.

თავი XI

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

1. საბაჟო ღირებულების არსი

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების და ექსპორტ-იმპორტის საბაჟო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია საბაჟო ღირებულება.

საბაჟო ღირებულება წარმოადგენს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების (ექსპორტ-იმპორტის) აღრიცხვის ღირებულებით საფუძველს (სტატისტიკურ ღირებულებას) და იმავე დროს საბაჟო გადასახდელების გაანგარიშების ეკონომიკურ ბაზას.

საბაჟო ღირებულება არის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადასაადგილებელი) საქონლის ფასი საბაჟო საზღვრის გადალახვის მომენტისათვის.

თავისთავად საბაჟო ღირებულება არ წარმოადგენს მხარეთა სავაჭრო გარიგების ობიექტს და ამიტომ არ არის დაფიქსირებული სავაჭრო დოკუმენტებში.

საბაჟო ღირებულება გამოიანგარიშება:

ა) **საქონლის შემოტანისას** - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

ბ) **საქონლის გატანისას:**

- თუ გატანა ხდება ყიდვა-გაყიდვის ან გაცვლის წესით - ამ საქონელში გადახდილი ან გადასახდელი იმ ფასის მიხედვით, რომელიც მითითებულია ფაქტურაში (ანგარიშ-ფაქტურაში) პლუს საქართველოს საბაჟო საზღვრამდე მიტანის ხარჯები (ტრანსპორტირება, დატვირთვა, ჩამოცლა, დაზღვევა);

- თუ გატანა ხდება სხვა წესით - შესაფასებელი ან მისი იდენტური საქონლის იმ ფასის მიხედვით, რომელიც დაფიქსირებულია კომერციული,

სატრანსპორტო, საბანკო, საბუღალტრო ან სხვა დოკუმენტებში პლუს საბაჟო საზღვრამდე მიტანის ხარჯები.

რადგან საბაჟო ღირებულება წარმოადგენს საბაჟო გადასახდელების გამოთვლის ბაზას და საბაჟო გადასახდელების უდიდესი ნაწილი მოდის საქონლის შემოტანაზე, საბაჟო ღირებულების დადგენისას ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმპორტული საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენაზე. 1999 წელს საქართველოში საბაჟო კონტროლის სრულყოფაში დასახმარებლად მოწვეულ ინგლისურ ფირმას სწორედ იმპორტულ საქონელზე საბაჟო ღირებულების დადგენის მეთოდების დანერგვა დაესახა მიზნად.

საბაჟო ღირებულების დადგენისას მნიშვნელოვანი მომენტია ის, **რომ საბაჟო ღირებულებას საბაჟო ორგანოს წინაშე აცხადებს (დეკლარირებას უკეთებს) დეკლარანტი (საქონლის საბაჟო საზღვრამდე გადამაადგილებელი პირი) საბაჟო საზღვრის გადალახვისას.**

საბაჟო ღირებულების დეკლარირება გამოიხატება საბაჟო დეკლარაციის 45-ე გრაფაში შესაბამისი ჩანაწერით (ციფრით). გრაფაში აღინიშნება იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც ნაჩვენებია დეკლარაციის 31-ე გრაფაში, ხოლო 22-ე გრაფაში აღინიშნება, თუ რომელ ვალუტაშია გამოხატული საბაჟო ღირებულება.

საქართველოში შემოსატან საქონელზე საბაჟო ღირებულებას დეკლარანტი ადგენს შემდეგი მეთოდებით:

- შემოსატან საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით;
- იდენტურ საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით;
- ერთგვაროვან საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით;
- ღირებულების გამორიცხვის მეთოდით;
- ღირებულების დარიცხვის მეთოდით;
- სარეზერვო მეთოდით.

იმისათვის, რომ საბაჟო ორგანოს თანამშრომელი დარწმუნდეს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეში, მას, მისი მოთხოვნით, უნდა წარედგინოს მონაცემები, რომლებიც ეხება საბაჟო ღირებულების განსაზღვრას. წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და ადასტურებდეს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეს.

2. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა შემოსატან საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით

როგორც უკვე აღინიშნა, საბაჟო ღირებულება შემოსატან საქონელზე წარმოადგენს მყიდველის მიერ გამყიდველისათვის გადახდილ ან გადასახდელ გარიგების ფასს პლუს ხარჯები, რომელიც საჭიროა საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ადგილამდე (ნავსადგური ან შემოშვების სხვა ადგილი) მისატანად.

ასეთ ხარჯებს შეიძლება მივაკუთნოთ შემდეგი ხარჯები:

- საქონლის შეფუთვის;
- სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის;
- ძირითად გადამზიდავამდე მიტანის;
- საექსპორტო ფორმალობების;
- ძირითადი გადაზიდვის დაზღვევის;
- ძირითად გადასაზიდ საშუალებაზე დატვირთვის;
- ძირითადი გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ღირებულების;
- გადმოტვირთვის;
- საიმპორტო ფორმალობების;
- მიმღებამდე საქონლის მიტანის;
- ჩამოტვირთვის და სხვა.

გარიგების ფასის დადგენისას, გამყიდველმა და მყიდველმა შეიძლება აირჩიონ გამგზავნის მიერ მიმღებისათვის საქონლის მიწოდების ისეთი პირობები, როდესაც ჩამოთვლილი ხარჯების და რისკის ნაწილს (ან მთლიან რისკს) თავის თავზე აიღებს ექსპორტიორი. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში გამყიდველი ყველა ამ ხარჯს შეიტანს გარიგების ფასში.

თუ გარიგების ფასში შევა საბაჟო საზღვრამდე საქონლის მიტანის ყველა ხარჯი, საბაჟო ღირებულება ტოლი იქნება გარიგების ფასისა და გარიგების ფასი, როგორც საბაჟო ღირებულება, შეიტანება დეკლარაციის 45-ე გრაფაში და იგი იქნება ბაზა საბაჟო გადასახდელების გამოსაანგარიშებლად.

თუ მხარეები შეთანხმდებიან მიწოდების სხვა პირობებზე, საბაჟო ღირებულების დასადგენად საჭირო იქნება გარიგების ფასის შესაბამისი კორექტირება.

მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებისათვის მიწოდების პირობები სისტემატიზებულია მიწოდების 13 ბაზისურ პირობად, ("ინკოტერმს-90"), რაზეც დაწვრილებით გვექნება საუბარი მომდევნო თავში.

შემოსატან საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით საბაჟო ღირებულების განსაზღვრა არ იქნება მიზანშეწონილი და უტყუარი, თუ:

ა) დეკლარანტის მიერ საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული მონაცემები საეჭვოა, არ არის დადასტურებული დოკუმენტურად ან არ არის რაოდენობრივად გარკვეული და ჭეშმარიტი;

ბ) გარიგების მხარეებს შორის ისეთი ურთიერთობაა (სამსახურებრივი, საქმიანი, ნათესაობრივი და სხვა), რომ შესაძლებელია მხარეთა შეთანხმება გარიგების ფასის მონაცემის ხელოვნურად შემცირების თაობაზე.

ასეთ შემთხვევაში მიმართავენ საბაჟო ღირებულების დადგენის შემდეგ მეთოდს.

3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტურ საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით

იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით შეფასების მეთოდის გამოყენებისას საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრას საფუძვლად უდევს იდენტური საქონლის გარიგების ფასი, ქვემოთ მითითებული პირობების დაცვით. ამასთან, იდენტური ეწოდება საქონელს, რომელიც ყოველმხრივ მსგავსია შესაფასებელი საქონლისა, მათ შორის, შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- ფიზიკური მახასიათებლები;
- ხარისხი და რეპუტაცია ბაზარზე;
- წარმოშობის ქვეყანა;
- მწარმოებელი.

გარეგნული უმნიშვნელო განსხვავებები არ შეიძლება იყოს საფუძველი საქონლის იდენტურად განხილვის უარყოფისათვის, თუ სხვა მხრივ ასეთი საქონელი შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს.

იდენტური საქონლის გარიგების ფასი მიიღება საფუძვლად საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, თუ ეს საქონელი:

ა) გაყიდულია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანად;

ბ) შემოტანილია იმავდროულად შესაფასებელ საქონელთან ერთად ან არა უმეტეს 90 დღით ადრე შესაფასებელი საქონლის შემოტანამდე;

გ) შემოტანილია დაახლოებით იგივე რაოდენობის და (ან) იგივე კომერციული პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ იდენტური საქონელი შემოტანილია სხვა რაოდენობით და (ან) სხვა კომერციული პირობებით, დეკლარანტმა უნდა მოახდინოს მათი ფასების შესაბამისი კორექტირება ამ განსხვავების გათვალისწინებით და დოკუმენტურად დაუსაბუთოს საქართველოს საბაჟო ორგანოს მათი მართებულობა.

იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით განსაზღვრული საბაჟო ღირებულება კორექტირებულ უნდა იქნეს წინა ქვეთავში მითითებული ხარჯების გათვალისწინებით.

დეკლარანტმა კორექტირება უნდა მოახდინოს უტყუარი და დოკუმენტურად დადასტურებული მონაცემების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას გამოვლინდა იდენტური საქონლის გარიგების ერთზე მეტი ფასი, მაშინ შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება მათ შორის ყველაზე დაბალი.

4. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ერთგვაროვან საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის ერთგვაროვანი საქონლის გარიგების ფასით შეფასების მეთოდის გამოყენებას საფუძვლად უდევს იმ საქონლის გარიგების ფასი, რომელიც შემოტანილი საქონლის ერთგვაროვანია მოცემულ თავში მითითებული პირობების დაცვით. ამასთან, ერთგვაროვანები ეწოდებათ საქონლებს, რომლებიც თუმცა არ არიან ყოველმხრივ ერთნაირი, მაგრამ აქვთ მსგავსი მახასიათებლები და შედგებიან მსგავსი კომპონენტებისაგან, რაც საშუალებას აძლევს მათ შეასრულონ

ერთნაირი ფუნქციები, რაც შესაფასებელმა საქონელმა და იყვნენ კომერციულად ურთიერთშემცვლელნი.

საქონლის ერთგვაროვნების განსაზღვრისათვის გამოიყენება შემდეგი ნიშნები:

- ხარისხი, სასაქონლო ნიშნის არსებობა და რეპუტაცია ბაზარზე;
- წარმოშობის ქვეყანა;
- მწარმოებელი.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის ერთგვაროვანი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით შეფასების მეთოდით სარგებლობისას გამოიყენება იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის დებულებანი და:

ა) საქონელი არ ითვლება შესაფასებლის იდენტურად ან ერთგვაროვნად, თუ ის არ არის დამზადებული იმავე ქვეყანაში, რომელშიც დამზადებულია შესაფასებელი საქონელი;

ბ) სხვა პირის მიერ დამზადებული საქონელი მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაფასებელი საქონლის მწარმოებელი არ ამზადებს არც იდენტურ და არც ერთგვაროვან საქონელს;

გ) საქონელი არ ითვლება იდენტურად ან ერთგვაროვნად, თუ მათი დაპროექტება, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, მათი მხატვრული გაფორმება, დიზაინი, ესკიზები, ნახაზები და სხვა მსგავსი სამუშაოები შესრულებულია საქართველოში.

5. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ღირებულების გამორიცხვის მეთოდით

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ღირებულების გამორიცხვის მეთოდის საფუძველზე წარმოებს იმ შემთხვევაში, როცა შესაფასებელი იდენტური ან ერთგვაროვანი საქონელი გაიყიდება საქართველოს ტერიტორიაზე თავისი პირვანდელი მდგომარეობის შეუცვლელად.

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის ღირებულების გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას საფუძვლად უდევს საქონლის ერთეუ-

ლის ფასი, რომლის მიხედვითაც შესაფასებელი იდენტური ან ერთგვაროვანი საქონელი მისი შემოტანის დღიდან არა უგვიანეს 90 დღისა საქართველოს ტერიტორიაზე დიდ პარტიებად მიეყიდება გარიგების მონაწილეს, რომელიც არ არის გამყიდველზე დამოკიდებული პირი.

საქონლის ერთეულის ფასს აცლდება შემდეგი კომპონენტები:

ა) საკომისიო ანაზღაურების ხარჯები, მოგებაზე ჩვეულებრივი დანამატები და საქართველოში იგივე კლასისა და სახეობის შემოტანილი საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული საერთო ხარჯები;

ბ) საქონლის შემოტანასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული საბაჟო გადასახდელების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების თანხები, რომლებიც ექვემდებარება გადახდას საქართველოში;

გ) ჩვეულებრივი ხარჯები, გაწეული საქართველოში საქონლის ტრანსპორტირებისთვის, დაზღვევისთვის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისთვის.

როცა არ არსებობს იდენტური ან ერთგვაროვანი საქონლის იმ მდგომარეობაში გაყიდვის შესაფასებელი შემთხვევა, როგორიც მას ჰქონდა შემოტანის მომენტში, დეკლარანტის თხოვნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავებული ერთეული საქონლის ფასი შესწორებული დამატებული ღირებულებით.

6. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ღირებულების დარიცხვის მეთოდით

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ღირებულების დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას ხდება საქონლის ფასით, რომელიც მიღებულია შემდეგი კომპონენტების შეკრებით:

ა) შესაფასებელი საქონლის დამზადებისთვის დახარჯული მასალებისა და სხვა დანახარჯების ღირებულება;

ბ) საქართველოში საქონლის შემომტანი ქვეყნიდან ამავე სახეობის საქონლის გაყიდვისათვის დამახასიათებელი საერთო ხარჯები, მათ შორის: ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, საქარ-

თველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთის ადგილამდე დაზღვევის და სხვა ხარჯები;

გ) მოგება, რომელსაც ჩვეულებრივ იღებს ექსპორტიორი, საქართველოში ასეთი საქონლის შემოტანის შედეგად.

7. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდით

იმ შემთხვევაში, როცა საქონლის საბაჟო ღირებულება არ შეიძლება განისაზღვროს დეკლარანტის მიერ თანმიმდევრულად გამოყენებული საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდებით ან საბაჟო ორგანო არგუმენტირებულად თვლის, რომ ეს მეთოდები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაშინ საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით.

სარეზერვო მეთოდის გამოყენებისას საქართველოს საბაჟო ორგანო აძლევს დეკლარანტს მათ განკარგულებაში არსებულ ინფორმაციას ფასების შესახებ.

საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრისათვის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) საქონლის ფასი საქართველოს შიგა ბაზარზე;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში მოწოდებული საქონლის ფასი;

გ) საქართველოს შიგა ბაზარზე ქართული წარმოშობის საქონლის ფასი;

დ) თვითნებურად დადგენილი ან არასაფუძვლიანად დასაბუთებული საქონლის ფასი.

თავი XII

მიწოდების პირობები („ინკოტერმს-90")

1. „ინკოტერმს-90"

საბაჟო დეკლარაციის შევსებისას, მის მე-20 გრაფაში ვხვდებით ტერმინს "მიწოდების პირობები". ეს და საგარეო ვაჭრობაში გავრცელებული სხვა ტერმინები, რომლებიც განაპირობებენ სავაჭრო ოპერაციების პირობებს, დაფიქსირებულია მსოფლიო სავაჭრო პალატის მიერ გამოცემულ კრებულში "ინკოტერმს". ეს იძლევა საშუალებას გამოირიცხოს ერთი და იგივე სავაჭრო ტერმინების სხვადასხვანაირი გაგება სხვადასხვა ქვეყნებში.

პირველი ასეთი კრებული მსოფლიო სავაჭრო პალატამ გამოსცა 1936 წელს და მას დაერქვა "ინკოტერმს-1936". შემდგომში კრებული ივსებოდა, იხვეწებოდა და ახალი რედაქციით გამოდიოდა 1953, 1967 და 1976 წლებში.

უკანასკნელი, დღეს მოქმედი რედაქციაა 1990 წელს გამოცემული "ინკოტერმს-90".

ამ კრებულში მიწოდების პირობები გაერთიანებულია ოთხ კატეგორიად:

1. **ჯგუფი E** გამყიდველი გადასცემს საქონელს მყიდველის განკარგულებაში თავის შენობაში (EXW-ფრანკო-ქარხანა);
2. **ჯგუფი F** - გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი მყიდველის მიერ დასახელებულ გადამზიდველს დასახელებულ ადგილას (FCA-ფრანკო-გადამზიდველი; FAS-თავისუფლად გემბანის გასწვრივ და FOB-ფრანკო-გემბანზე);
3. **ჯგუფი C** - გამყიდველი ხელშეკრულებას უდებს მყიდველს საქონლის მიწოდებაზე მის მიერ დანიშნულ ადგილას, გამყიდველის ხარჯით, მაგრამ არ იღებს თავის თავზე რისკს იმ შემთხვევისათვის, თუ დაიღუპა ან დაზიანდა საქონელი ან წარმოიშვა რალაც დამატებითი

ხარჯები იმ გარემოებების გამო, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქონლის გაგზავნის შემდეგ (CFR - ღირებულება და ფრახტი; CIF - ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი; CPT - გადაზიდვა გადახდილია ...-მდე; CIP - გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია ...-მდე).

4. ჯგუფი **D** - გამყიდველი ეწევა ყველა ხარჯებს და რისკს, რომელიც საჭიროა საქონლის დანიშნულების ქვეყანაში (ადგილას) მისაწოდებლად (DAF - მიწოდება საზღვრამდე ...-მდე; DES მიწოდება გემბანიდან ...-ში; DEQ - მიწოდება ნავმისადგომიდან ...-ში; DDU მიწოდება გემბანიდან საბაჟო გადასახადების გადაუხდელად; DDP - მიწოდება მყიდველის მიერ დანიშნულ ადგილას საბაჟო გადასახადების გადახდით).

აქ მრავალწერტილი „...“ აღნიშნავს მიწოდების პუნქტს. მაგალითად, ერთ-ერთი მიწოდების პირობა შეიძლება დაიწეროს ასე - „DES-ფოთი“, რაც ნიშნავს, რომ გამყიდველმა უნდა მიაწოდოს მყიდველს საქონელი ჩატანილი ფოთში და მყოფი გემბანზე.

მიწოდების ზოგიერთი პირობა უნივერსალურია და გამოდგება ყველანაირი ტრანსპორტისათვის, მულტიმოდალურის (მილსადენები, ბორნები და სხვა) ჩათვლით. ზოგიც გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

ყველანაირი ტრანსპორტისათვის გამოიყენება მიწოდების პირობები:

ა) **EXW - ფრანკო-ქარხანა (მითითებულ ადგილას);**

ბ) **FCA - ფრანკო-გადამზიდველი (მითითებულ ადგილას);**

გ) **CPT - ფრახტი გადახდილია (მითითებულ ადგილამდე);**

დ) **CIP - ფრახტი და დაზღვევა გადახდილია (მითითებულ ადგილამდე);**

ე) **DAF - მიწოდება საზღვრამდე (მითითებულ ადგილას);**

ვ) **DDU - მიწოდება მითითებულ ადგილას საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად;**

ზ) **DDP - მიწოდება მითითებულ ადგილას გადასახადების გადახდით.**

საჰაერო ტრანსპორტისათვის გამოიყენება მხოლოდ FCA-ფრანკო-გადამზიდავი (მითითებულ ადგილას).

რკინიგზით ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება მხოლოდ: FCA - ფრანკო-გადამზიდავი (მითითებულ ადგილას).

ზღვით ტრანსპორტირებისათვის:

ა) **FAS** - ფრანკო-გემბანის გასწვრივ ნაპირზე (მითითებულ დატვირთვის ნავსადგურში);

ბ) **FOB** - ფრანკო-გემბანზე (მითითებულ ნავსადგურში);

გ) **CFR** - ღირებულება და ფრახტი (დანიშნულების ნავსადგურამდე);

დ) **CIF**-ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (დანიშნულების ნავსადგურამდე);

ე) **DES**-მიწოდება გემბანიდან (დანიშნულების ნავსადგურში);

ვ) **DEQ**-მიწოდება გემმისადგომიდან (საბაჟო გადასახადების გადახდით, დანიშნულების ნავსადგურში).

"ინკოტერმს"-ის ზოგიერთმა ტერმინმა პრაქტიკაში დაიმკვიდრა სახელი და წარმოითქმება შემდეგნაირად:

FAS - „ფას";
FOB - „ფობ";
CFR - „კაფ";
CIF - „სიფ".

თითოეული მიწოდების პირობისათვის გამყიდველის და მყიდველის უფლებები, მოვალეობანი და საჭირო ქმედებები ერთიანდება ათ-ათი დასათაურებული მუხლის ქვეშ, რომლებიც წარმოადგენენ ერთმანეთის სარკისებრ ანარეკლს. ერთ მხარეს, „A" ასოს ეგიდით, იწერება გამყიდველის პოზიცია რომელიმე საკითხში, ხოლო მეორე მხარეს, „B" ინდექსის ქვეშ, ფიქსირდება მყიდველის მოვალეობანი იმავე საკითხში.

მაგალითად, თუ მყიდველმა და გამყიდველმა აირჩიეს გადაზიდვის პირობა DAF მესამე პოზიციაში, რომელიც გადაზიდვების და დაზღვევის ხელშეკრულებას ეხება, გამყიდველს ევალება:

"A3. ხელშეკრულება გადაზიდვაზე და დაზღვევაზე

ა. ხელშეკრულება გადაზიდვაზე:

დადოს თავის ხარჯზე ხელშეკრულება საქონლის მიღებული მარშრუტით გადაზიდვაზე, ჩვეული ხერხით, მიწოდების მითითებულ პუნქტამდე საზღვარზე (თუ ამის საჭიროებაა, მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე გატარების ჩათვლით).

თუ საზღვარზე მიწოდების პუნქტი არ არის დათქმული ან, სავაჭრო პრაქტიკიდან გამომდინარე, თავისთავად ცნობილია, გამყიდველს შეუძლია შეარჩიოს მისთვის ხელსაყრელი პუნქტი საზღვარზე დანიშნულების ადგილას;

ბ. ხელშეკრულება დაზღვევაზე:

ვალდებულება არ ეკისრება."

იმავე პოზიციისათვის (ხელშეკრულება გადაზიდვაზე) მყიდველს ევალება:

"B3. ხელშეკრულება გადაზიდვაზე:

ვალდებულება არ ეკისრება."

ხელშეკრულება დაზღვევაზე:

როგორც ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, გადაზიდვის „ინკოტერმს"-ის პირობები არა მარტო გამიჯნავენ, არამედ ზუსტად აფიქსირებენ ყველა საკითხში გამყიდველის და მყიდველის მოვალეობებს. ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ DAF გადაზიდვის პირობებისათვის გადაზიდვის ხელშეკრულებასთან მყიდველს არაფერი არ აქვს საერთო - „ვალდებულება არ ეკისრება", არ ნიშნავს, რომ მას არ აქვს უფლება, რაიმე გარემოებიდან გამომდინარე, იკისროს რაიმე გადაზიდვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ამ მომენტისათვის ან მომავალი შესაძლო პრეტენზიების შემთხვევაში მას „ინკოტერმსის" ძალით ეს არ ეკისრებოდა.

ამრიგად, „ინკოტერმსის" პირობები არეგულირებს ურთიერთობას გამყიდველს და მყიდველს შორის, სუბიექტური მიდგომის სფეროდან გადაყავს ობიექტურ გარემოში.

2. მიწოდების ცალკეული პირობები

2.1. EXW
ფრანკო-ქარხანა (მითითებულ ადგილას)

მიწოდების პირობა „ფრანკო-ქარხანა" ნიშნავს, რომ გამყიდველს მიწოდების პირობები შესრულებულად ეთვლება, როცა ის საქონელს წარუდგენს და ხელმისაწვდომს გახდის მყიდველისათვის თავის ტერიტო-

რიაზე (ქარხანაში, ფაბრიკაში, საწყობში და ა.შ.). თუ სხვა რამ არ ყოფილა ცალკე დათქმული, ის არ აგებს პასუხს საქონლის იმ სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვაზე, რომელსაც გამოყოფს მყიდველი ან ექსპორტისათვის საქონლის განმენდაზე. გამყიდველის ტერიტორიიდან დანიშნულების ადგილამდე ყველა ხარჯს და რისკს ეწევა მყიდველი. ამრიგად, გადაზიდვის ეს პირობა გამყიდველისათვის ანესებს მინიმალურ პასუხისმგებლობას. თუ მყიდველს არ აქვს საშუალება პირდაპირ ან ვინმეს დახმარებით შეასრულოს საჭირო საექსპორტო ფორმალობანი, სჯობს შერჩეული იქნეს გადაზიდვის სხვა პირობა, მაგალითად, FCA - ფრანკო-გადამზიდველი.

2.2. FCA
ფრანკო-გადამზიდველი (მეფრახტე)
(დანიშნულების ადგილი)

გადაზიდვის პირობა „ფრანკო-გადამზიდველი" ნიშნავს, რომ საქონლის მიწოდების საქმეში გამყიდველი ჩათვლის თავის ვალდებულებებს შესრულებულად, როცა საბაჟო თვალსაზრისით საექსპორტოდ გაწმენდილ საქონელს გადასცემს მყიდველის მიერ მითითებულ გადამზიდველს მითითებულ ადგილას ან პუნქტში. თუ მყიდველმა არ უჩვენა გადამზიდველისათვის საქონლის გადაცემის ზუსტი ადგილი, მაშინ ასეთი გადაცემის ადგილს, დადგენილი რეგიონის ფარგლებში, ირჩევს თავად გამყიდველი. თუ გადამზიდველთან ხელშეკრულების დასადებად, არსებული სავაჭრო პრაქტიკიდან გამომდინარე, საჭიროა გამყიდველის დახმარება, ასეთი დახმარება გამყიდველმა უნდა ალმოუჩინოს მყიდველს უკანასკნელის ხარჯით და რისკით.

გადაზიდვის ეს პირობა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი სახის გადაზიდვებისათვის, მულტიმოდალური გადაზიდვების ჩათვლით.

„გადამზიდველის" ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც გადაზიდვის ხელშეკრულებაში თავის თავზე იღებს საქონლის გადაზიდვას ან გადაზიდვის უზრუნველყოფას სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტით, შიგა სამდინარო და კომბინირებული საშუალებებით. თუ მყიდველი აძლევს გამყიდველს მითითებას, რომ მან მიაწოდოს

საქონელი პირს, რომელიც არ არის გადამზიდველი, მაგალითად, ექსპედიტორს, მაშინ გამყიდველი ითვლება მოვალეობებისაგან გათავისუფლებულად იმ მომენტიდან, როდესაც იგი გადასცემს საქონელს ხსენებულ პირს.

„სატრანსპორტო ტერმინალის" ქვეშ იგულისხმება სატვირთო სადგური, საფრახტო სადგური, საკონტეინერო ტერმინალი ან მოედანი (ეზო), მრავალმიზნობრივი საკონტეინერო ტერმინალი ან ანალოგიური პუნქტი.

„კონტეინერის" ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი მოწყობილობა - სათავსო, რომელიც ქმნის სატვირთო ერთეულს, ე.ი. ყველა სახის კონტეინერი და/ან ვაგონი-პლატფორმები, იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი ნორმირებულნი ISO სტანდარტით, აგრეთვე მისაბმელები, ცვლადი ძარები, **„რო-რო"** და „igioo"-ს ტიპის სწრაფი გადატვირთვის სისტემები, და გამოიყენებიან ნებისმიერი სახის გადაზიდვებისას.

2.3. FAS
ფრანკო-გემბანის გასწვრივ ნაპირზე (დატვირთვის მითითებულ ნავსადგურში)

მიწოდების პირობა **„თავისუფლად გემბანის გასწვრივ ნაპირზე"** (ფას) ნიშნავს, რომ გამყიდველის ვალდებულებანი საქონლის მიწოდებაზე ითვლება შესრულებულად, თუ საქონელი განლაგებული იქნა გემბანის გასწვრივ ნაპირზე ან ჩალაგებული იქნა ლიხტერებში დატვირთვის მითითებულ ნავსადგურში. ეს ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან საქონლის დაკარგვის ან დაზიანების ყველა ხარჯი და რისკი გადადის მყიდველზე.

მიწოდების პირობა FAS ასევე ავალებს მყიდველს საქონლის საექსპორტო საბაჟო განბმენდას. თუ ამის გაკეთება მყიდველისათვის უშუალოდ ან სხვისი დახმარებით გართულებულია, სჯობს მიწოდების სხვა პირობის შერჩევა.

მიწოდების პირობა FAS გამოიყენება მხოლოდ საზღვაო და შიგა სამდინარო გადაზიდვებისათვის.

2.4. FOB
ფრანკო-გემბანზე
(დატვირთვის მითითებულ ნავსადგურში)

გადაზიდვის პირობა „ფრანკო-გემბანზე" (ფობ) ნიშნავს, რომ გამყიდველის ვალდებულებანი საქონლის მიწოდებაზე ითვლება შესრულებულად იმ მომენტში, როცა საქონელი გადაცვეთს გემბანის მოაჯირს დატვირთვის მითითებულ ნავსადგურში. ეს ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან საქონლის დაკარგვის ან დაზიანების ხარჯებს და რისკს ეწევა მყიდველი. გადაზიდვის პირობა FOB ავალდებულებს გამყიდველს განახორციელოს საქონლის საბაჟო გაწმენდა.

გადაზიდვის ეს პირობა გამოიყენება მხოლოდ საზღვაო გადაზიდვებისას ან შიგა საწყლოსნო გზებით გადაზიდვებისას. თუ საქონლის მიერ გემბანის მოაჯირის გადაცვეთას არ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, სჯობს გამოყენებული იქნეს გადაზიდვის FCA პირობები.

2.5. CFR
ღირებულება და ფრახტი
(დანიშნულების ნავსადგური)

მიწოდების პირობა „ღირებულება და ფრახტი" (კაფ) ნიშნავს, რომ გამყიდველმა უნდა გადაიხადოს ფრახტის ღირებულება და ხარჯები, რომლებიც საჭიროა საქონლის ტრანსპორტირებისათვის დანიშნულ ნავსადგურამდე. ამასთან, პასუხისმგებლობა საქონლის დაკარგვის ან დაზიანებისათვის, აგრეთვე დამატებითი ხარჯებისათვის, რომლებიც წარმოიშვება საქონლის გემბანზე მიწოდების შემდეგ გაუთვალისწინებელ მოვლენებთან დაკავშირებით, გადადის გამყიდველისაგან მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა დატვირთვის ნავსადგურში საქონელი გადაცვეთს გემბანის მოაჯირს.

მიწოდების პირობა CFR ავალდებულებს გამყიდველს თავის ხარჯით და რისკით განახორციელოს საქონლის საექსპორტო საბაჟო გაწმენდა.

ეს პირობა გამოიყენება მხოლოდ საქონლის ზღვით ან შიგა წყლებით გადაზიდვისას. თუ საქონლის მიერ გემბანის მოაჯირის გადაცვეთას პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, როგორც, მაგალითად, როლკელური ან კონტეინერული გადაზიდვებისას, სჯობს გამოყენებული იქნეს გადაზიდვის პირობა CPT.

2.6. CIF
ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი
(დანიშნულების ნავსადგური)

გამყიდველის ვალდებულებანი მიწოდების პირობის „ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი" (სიფ) დროს გადაზიდვის CFR (კაფ) პირობის ანალოგიურია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გამყიდველის გადასახდელია საზღვაო დაზღვევის ხარჯებიც. ამასთან, საქონლის გადაზიდვისას მისი დაკარგვის ან დაზიანების რისკი კვლავაც მყიდველზე რჩება.

გამყიდველი დებს დაზღვევის ხელშეკრულებას და იხდის სადაზღვევო შენატანს.

მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ CIF მიწოდების პირობით გამყიდველი ვალდებულია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება მხოლოდ სადაზღვევო ვალდებულების მინიმალურ მოცულობაზე.

სიფ მიწოდების პირობა გამყიდველს ავალდებულებს საქონლის საბაჟო საექსპორტო გაწმენდას.

ეს მიწოდების პირობა გამოიყენება მხოლოდ საზღვაო და შიგა საწყლოსნო გადაზიდვებისას.

თუ გემბანის მოაჯირის გადაცვეთას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, როგორც, მაგალითად, როლკერული ან საკონტეინერო გადაზიდვებისას, უკეთესია CIP გადაზიდვის პირობების გამოყენება.

2.7. CPT
ფრახტი (გადაზიდვა) გადახდილია (მითითებულ დანიშნულების ადგილამდე)

მიწოდების პირობა „გადაზიდვა გადახდილია ...-მდე“ ნიშნავს, რომ მყიდველი იხდის გადაზიდვის ღირებულებას ადგილამდე, რომელიც იწერება „...“ ნიშნის ადგილას. მაგალითად, მიწოდების პირობა „CPT-ფოთი“ ნიშნავს, რომ გადაზიდვა ხორციელდება მიწოდების პირობა CPT-ის თანახმად, ე.ი. როცა გამყიდველს გადახდილი აქვს საქონლის გადაზიდვის ღირებულება ფოთამდე.

CPT გადაზიდვის პირობით საქონლის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა საქონელი გადაეცა მეფრახტეს (გადამზიდველს).

ამ შემთხვევაში ტერმინი „მეფრახტე“ მიესადაგება ნებისმიერ პირს, რომელიც გადაზიდვის ხელშეკრულებით თავის თავზე იღებს საქონლის ტრანსპორტირებას სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო, შიგა საწყლოსნო თუ კომბინირებული საშუალებებით.

თუ საქონლის მიწოდების პროცესში ერთმანეთის მიყოლებით მონაწილეობს რამდენიმე მეფრახტე, რისკი გამყიდველიდან მყიდველზე გადადის იმ მომენტიდან, როცა გამყიდველი საქონელს ჩააბარებს პირველ გადამზიდველს.

მიწოდების CPT პირობით საქონლის ქვეყნიდან გასატანად საბაჟო გაწმენდა ეკისრება გამყიდველს.

მიწოდების პირობა CPT შეიძლება გამოყენებული იქნეს გადაზიდვის ნებისმიერი ხერხისათვის, მულტიმოდალურის ჩათვლით.

2.8. CIP
ფრახტი (გადაზიდვა) და დაზღვევა გადახდილია (მითითებულ დანიშნულების ადგილამდე)

მიწოდების პირობა **„გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია მდე“** ნიშნავს, რომ მყიდველი იხდის გადაზიდვის და დაზღვევის ღირებულებას ადგილამდე, რომელიც იწერება „...“ ნიშნის ადგილას. მაგალითად, მიწოდების პირობა „CIP-ფოთი“ ნიშნავს, რომ გადაზიდვა ხორციელდება მიწოდების პირობა CIP-ის თანახმად, ე.ი. როცა გამყიდველს გადახდილი აქვს საქონლის გადაზიდვის და დაზღვევის ღირებულება ფოთში ჩატანამდე.

მყიდველი უნდა ითვალისწინებდეს, რომ გამყიდველს მართალია გადახდილი აქვს სადაზღვევო შენატანი, მაგრამ, ჯერ ერთი, მას აქვს შეტანილი პასუხისმგებლობის მინიმალურ სადაზღვევო ოდენობა და, მეორე, რომ გამყიდველს განხორციელებული აქვს საცმარისი დაზღვევა მყიდველზე დაკარგვის თუ დაზიანების რისკის გადატანით.

გადაზიდვის პირობა CIP საქონლის საექსპორტო საბაჟო გაწმენდას ავალებს გამყიდველს. მიწოდების პირობა CIP (სიპ) შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი მეთოდით ტრანსპორტირებისას, მულტიმოდალურის ჩათვლით.

2.9. DAF
მიწოდება საზღვრამდე (დანიშნულების ადგილას)

მიწოდების პირობა **„მიწოდება საზღვრამდე“** ნიშნავს, რომ გამყიდველი თავის ვალდებულებას საქონლის მიწოდებაზე ჩათვლის .შესრულებულად იმ მომენტში, როცა საბაჟო გაწმენდაგავლილ საექსპორტო საქონელს მიაწოდებს დადგენილ ადგილას, მითითებულ სასაზღვრო პუნქტში საბაჟო საზღვრამდე.

ტერმინ **„საზღვრის“** ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი საზღვარი, იმ ქვეყნის საზღვრის ჩათვლით, საიდანაც გაიტანება საქონელი. ამიტომ დიდი

მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მიწოდების პირობით, ტერმინის შემდეგ, ყოველთვის და საკმაოდ ზუსტად იქნეს დასახელებული თუ რომელ საზღვარზეა საუბარი და მიწოდების რომელ პუნქტსა და ადგილზე.

მიწოდების პირობა DAF ძირითადად გამოიყენება საქონლის სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვებისას, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქონლის სხვა საშუალებებით ტრანსპორტირების დროსაც.

2.10. DES
მიწოდება გემიდან (გემბანიდან)
(მითითებულ დანიშნულების ნავსადგურში)

მიწოდების პირობა „მიწოდება გემიდან ...“ ნიშნავს, რომ გამყიდველის მოვალეობანი საქონლის მიწოდებაზე ითვლება შესრულებულად, როცა ის, იმპორტის საბაჟო გაწმენდის გარეშე, გადასცემს მყიდველის განკარგულებაში საქონელს გემის გემბანზე. მითითებულ დანიშნულების ნავსადგურში, რომელიც უნდა იყოს ჩაწერილი ნიშანი „...“-ის მაგივრად. მაგალითად, DES - ფოთი.

გამყიდველი ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯები დასახელებულ დანიშნულების ნავსადგურამდე.

გადაზიდვის პირობა DES (დეს) გამოიყენება მხოლოდ საზღვაო ან შიგა წყლებით გადაზიდვებისათვის.

2.11. DEQ
მიწოდება ნავმისადგომიდან
(საბაჟო გადასახდელების გადახდით)
(მითითებულ დანიშნულების ნავსადგურში)

მიწოდების პირობა „მიწოდება ნავმისადგომიდან ... (საბაჟო გადასახადების გადახდით)“ ნიშნავს, რომ გამყიდველის ვალდებულებანი ითვლება

შესრულებულად, როდესაც ის საიმპორტოდ განშენდილ საქონელს გადასცემს მყიდველს ნავმისადგომზე (ნაპირზე ჩამოცლილი სახით) დანიშნულების ნავსადგურში.

გამყიდველი ვალდებულია გასწიოს ყველა რისკი და ხარჯი, საბაჟო გადასახადების და სხვა ხარჯების ჩათვლით, რომელსაც ადგილი ექნება საქონლის ამ ადგილამდე მიტანისას.

ეს მიწოდების პირობა არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუ გამყიდველს არ აქვს საშუალება უშუალოდ ან სხვაგვარად მიიღოს საიმპორტო ლიცენზია.

თუ მხარეებს სურთ, რომ საქონლის საიმპორტო განშენდა აწარმოოს მყიდველმა, სიტყვები **„საბაჟო გადასახადების გადახდით“** უნდა შეიცვალოს სიტყვებით **„საბაჟო გადასახადების გადაუხდელად“**.

თუ მხარეებს სურთ, რომ გამყიდველის მოვალეობიდან ამოღებული იქნეს რომელიმე გადასახადი (მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადის), ამის შესახებ უნდა გაკეთდეს დამატებითი ჩანაწერი, მაგალითად **„მიწოდება ნავმისადგომიდან დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე (მითითებულ დანიშნულების ნავსადგურში)“**.

მიწოდების პირობა DEQ გამოიყენება მხოლოდ საზღვაო და შიგა წყლებით გადაზიდვებისას.

2.12. DDU
მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად (მითითებულ დანიშნულების ადგილას)

მიწოდების პირობა **„მიწოდება საბაჟო გადასახადების გადაუხდელად“** ნიშნავს, რომ გამყიდველის მოვალეობანი მიწოდებაზე ითვლება შესრულებულად, როცა საქონელი მიეწოდება მყიდველის განკარგულებაში იმპორტიორი ქვეყნის დანიშნულ ადგილას.

გამყიდველი ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი და რისკი საქონლის დანიშნულების ადგილას მიწოდებისათვის, გარდა საბაჟო გადასახადების,

ოფიციალური მოსაკრებლების და საბაჟო გაფორმებებისა, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ქვეყანაში შეტანასთან.

მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ყველა დამატებითი ხარჯი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საქონლის არადროული საბაჟო გაწმენდის გამო.

თუ მხარეები თვლიან, რომ საბაჟო ფორმალობები და მათთან დაკავშირებული ხარჯი და რისკი უნდა გაწიოს გამყიდველმა, ამის შესახებ მიწოდების პირობის აღნიშვნის შემდეგ უნდა გაკეთდეს საჭირო არაორაზროვანი ჩანაწერი. თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველის მოვალეობანი უნდა შეივსოს დამატებითი ვალდებულებებით, ამის შესახებ უნდა გაკეთდეს დამატებითი ჩანაწერი. მაგალითად, **„მიწოდება საბაჟო გადასახადების გარეშე, დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდით“**. გადაზიდვის DDU პირობა გამოიყენება გადაზიდვის ნებისმიერი მეთოდისათვის.

2.13. DDP
მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადახდით (დანიშნულების მითითებულ ადგილას)

მიწოდების პირობა **„მიწოდება საბაჟო გადასახადების გადახდით“** გულისხმობს, რომ გამყიდველის მოვალეობანი საქონლის მიწოდებაზე ითვლება შესრულებულად, როცა საქონელი გადაიცემა მყიდველის განკარგულებაში მითითებულ ადგილას მისი იმპორტის ქვეყანაში. გამყიდველი ვალდებულია გასწიოს ყველა რისკი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია გაწმენდილი საქონლის დანიშნულების ადგილას მიწოდებასთან საბაჟო გადასახადების და სხვა მოსაკრებლების ჩათვლით. მაშინ, როდესაც EXW მიწოდების პირობა შეიცავს გამყიდველისათვის მინიმალურ ვალდებულებებს, მიწოდების პირობა DDP შეიცავს გამყიდველის მაქსიმალურ ვალდებულებებს.

ეს მიწოდების პირობა არ უნდა გამოიყენებოდეს, თუ მყიდველს არ აქვს საშუალება უშუალოდ ან ვისიმე დახმარებით მიიღოს საიმპორტო ლიცენზია.

თუ მხარეები თვლიან, რომ სჯობს საქონლის საიმპორტო გაწმენდა და საბაჟო გადასახადების და მოსაკრებლების გასტუმრება აწარმოოს მყიდველმა, სჯობს DDP მიწოდების პირობის ნაცვლად გამოყენებული იქნეს DDU მიწოდების პირობა.

თუ მხარეები თვლიან საჭიროდ, რომ გამყიდველის მოვალეობებიდან უნდა გამოირიცხოს რომელიმე გადასახადი (მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადის), ამისათვის საჭიროა მიწოდების პირობებზე სათანადო მინაწერის გაკეთება, მაგალითად: **„მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადახდით, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე (დანიშნულების მითითებულ ადგილას)“.**

მიწოდების პირობა DDP გამოიყენება გადაზიდვის ნებისმიერი სახეობისათვის.

3. “ინკოტერმს”-ის პირობები და საბაჟო პროცედურები

“ინკოტერმს”-ის სტანდარტული პირობები ასევე სტანდარტულ პასუხს იძლევა შეკითხვაზე, თუ ხელშეკრულების მხარეებს (გამყიდველსა და მყიდველს) შორის რომელი მიწოდების პირობების დროს ვის ევალება საქონლის საბაჟო „გაწმენდა“ მისი ქვეყნიდან გატანისას და ქვეყანაში შემოტანისას.

„გაწმენდის“ ქვეშ იგულისხმება საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმების და საბაჟო კონტროლის პროცედურები:

- საქონლის და სატრანსპორტო საშუალების წარმოდგენა;
- დეკლარაციის წარმოდგენა;

საქონლის თანმხლები დოკუმენტების, საჭირო ნებართვების და სერტიფიკატების, ლიცენზიების და კვოტების წარმოდგენა;

- მოსაკრებლის გადახდა;
- საბაჟო გადასახადების გადახდა.

ამით გადაზიდვის სტანდარტული პირობების მნიშვნელობა საბაჟო გაფორმებისათვის არ ამოიწურება. მიწოდების სტანდარტული პირობები გამოიყენება საქონლის საბაჟო ღირებულების დასადგენად საბაჟო ღირებულების პირველი მეთოდით, საკონტრაქტო ღირებულების საშუალებით დადგენის დროს.

ამ მეთოდის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლის საბაჟო ღირებულება წარმოადგენს მყიდველის მიერ გამყიდველისათვის გადასახდელი ან გადახდილი გარიგების ფასს ამ საქონლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის (შემოტანის ნავსადგურის თუ სხვა შემოტანის ადგილამდე).

თუ გარიგების ფასში (საკონტრაქტო ღირებულებაში, ფაქტურულ ღირებულებაში) შეტანილია ყველა ფასი და ხარჯი საზღვრის გადაკვეთამდე (საქონლის ფასი ადგილზე, შეფუთვა, სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთვა, ჩამოტვირთვა, გადატვირთვა, გადაზიდვა საბაჟო საზღვრამდე, დაზღვევა და სხვა), მაშინ საკონტრაქტო ღირებულება საბაჟო ღირებულების ტოლი ან თანაბარია.

თუ გარიგების ფასში არ არის გათვალისწინებული ხარჯების ცალკეული კომპონენტები, მაშინ საბაჟო ღირებულების დასადგენად საჭიროა გარიგების ფასს (საკონტრაქტო ღირებულებას, ფაქტურულ ღირებულებას) დაემატოს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე გაწეული ხარჯების დარჩენილი კომპონენტები.

თუ გარიგების ფასში, მიწოდების პირობების შესაბამისად, ჩადებულია საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შემდეგ გასაწევი ხარჯები, მაშინ საბაჟო ღირებულების მისაღებად საჭიროა ამ დამატებული ხარჯების გამოკლება.

ზემოალნიშნულის ილუსტრირებისათვის მოგვყავს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის მიწოდების ხარჯების ჩამონათვალი, სადაც თეთრი ფერის წრეებით აღვნიშნეთ ის ხარჯები, რომლებსაც გადაზიდვის პირობების თანახმად, ეწევა გამყიდველი, ხოლო შავი ფერის წრეებით - მყიდველი.

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ხარჯების გამყოფი ხაზი მე-7 და მე-8 პოზიციებს შორისაა. ცხადია, რომ CIP და DES მიწოდების პირობებისათვის საკონტრაქტო და საბაჟო ღირებულებები ტოლია. ისინი ტოლია იმ შემთხვევაშიც, თუ მიწოდების პირობა DAF-ში მინიშნებულია, რომ ძირითადი სატრანსპორტო საშუალების ღირებულებას (ფრახტს) და დაზღვევის ხარჯებს იღებს გამყიდველი. სხვა შემთხვევებში, მებაჟემ საკონტრაქტო ღირებულებას უნდა დაარიცხოს შავი რგოლებით აღნიშნული ხარჯები ან, მიწოდების პირობების DDQ და DDU შემთხვევაში, პირიქით, გამოაკლოს თეთრი წრეებით აღნიშნული საბაჟო საზღვრიდან მყიდველამდე მიტანის და იქ ჩამოცლის ხარჯები.

"ინტერკომს"-ის გადაზიდვის პირობები

მიწოდების ოპერაციები	EXW	FCA	FAS	FOB	CFR	CIF	CPT	CIP	DAF	DES	DEQ	DDU	DDP
1. შეფუთვა	○	○	○	○	○	○	○	○	○	○	○	○	○
2. სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა	●	○	○	○	○	○	○	○	○	○	○	○	○
3. ძირითად გადაზიდვამდე მიტანა	●	○	○	○	○	○	○	○	○	○	○	○	○
4. საექსპორტო ფორმალობები და გადასახადები	●	○	●	○	○	○	○	○	○	○	○	○	○
5. ძირითადი გადაზიდვა დაზღვევა	●	●	●	●	●	●	●	○	◕	○	○	○	○
6.ძირითად სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა	●	●	●	◕	○	○	○	○	○	○	○	○	○
7.ძირითადი სატრანსპორტო საშუალების ღირებულება ან ფასი (ფრახტი)	●	●	●	●	○	○	○	○	◕	○	○	○	○
8.გადმოტვირთვა ძირითადი სატრანსპორტო საშუალებიდან	●	●	●	●	●	●	●	●	●	●	○	○	○
9. საიმპორტო ფორმალობები	●	●	●	●	●	●	●	●	●	●	○	●	○
10. მიტანა მიმღებამდე	●	●	●	●	●	●	●	●	●	●	●	○	○
11. ჩამოცლა მიმღების ხარჯზე	●	●	●	●	●	●	●	●	●	●	●	●	○

○ _ იხდის გამყიდველი (ექსპორტიორი, გამგზავნი)

● _ იხდის მყიდველი (იმპორტიორი, მიმღები)

◕ _ იხდის ერთი ან მეორე, კონტრაქტის შესაბამისად

თავი XIII

საბაჟო დეკლარირება

1. საბაჟო დეკლარირების არსი

საქართველოს და მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კანონმდებლობით საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება (გატანა თუ შემოტანა) ან მათი საბაჟო რეჟიმის შეცვლა ექვემდებარება საბაჟო ორგანოს წინაშე დეკლარირებას.

დეკლარირება საჯარო განცხადებას ნიშნავს. შესაბამისად, **საბაჟო დეკლარირება** საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების განკარგვის უფლების მქონე პირის განცხადებაა საბაჟო საზღვარზე საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების (გატანის თუ შემოტანის) სურვილის შესახებ.

"დეკლარირება ხდება დადგენილი ფორმის (წერილობითი, ზეპირი მონაცემების, ელექტრონული გადაცემების გზით) განცხადებით, რომელიც შეიცავს ზუსტ ცნობებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი საბაჟო რეჟიმის შესახებ და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო სხვა ცნობებს" (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 84.1).

საბაჟო დეკლარაციის ფორმა და დეკლარირების წესი, აგრეთვე იმ ცნობების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა საბაჟო მიზნებისათვის, განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ 1998 წლის 5 ნოემბრის № 231 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით "საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ ტვირთებზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების წესის შესახებ".

საქონლის დეკლარირება ხდება იმ საბაჟო ორგანოში, სადაც ხორციელდება საბაჟო გაფორმება.

საქონლის გადასაზიდად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების დეკლარირება ხდება იმავე საბაჟო ორგანოში, სადაც ხდება თავად საქონლის დეკლარირება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. კერძოდ, საზღვაო

და საჰაერო ხომალდების დეკლარირება ხდება ამ ხომალდების საქართველოში შემოსვლისას ან გასვლის ნავსადგურების და აეროპორტების საბაჟოებში; ცარიელი სატრანსპორტო საშუალებების და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება ხდება საზღვრის გადაკვეთის ადგილას.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 86-ე მუხლით რეგლამენტირებულია დეკლარაციის წარდგენის ვადები:

"1. ეს ვადები არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს საქონლისა და მისი გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოებისათვის წარდგენის დღიდან.

2. საბაჟო საზღვრის გავლით ფიზიკური პირების მიერ ხელბარგითა და ბარგით საქონლის გადაადგილებისას საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საქონელთან ერთად.

3. ცარიელი და მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესვლისას დეკლარირდება არა უგვიანეს სამი საათისა საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან, ხოლო გასვლისას - არა უგვიანეს სამი საათისა საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე".

პირს, რომელიც წარადგენს საბაჟო ორგანოში დეკლარაციას და ამით პასუხისმგებელი ხდება ყველა კანონდარღვევაზე, პროცესუალურ დარღვევებზე, დეკლარაციაში მოცემული ცნობების უტყუარობაზე, ანგარიშ და სხვა ვალდებულებების შესრულებაზე, ეწოდება დეკლარანტი.

აქედან, დეკლარანტი შეიძლება იყოს საქონლის გამყიდველი . ან მყიდველი, გამგზავნი ან მიმღები, შუამავალი (ბროკერი) ან სხვა, ამ საქონლის განკარგვაზე უფლებამოსილი (რწმუნებით აღჭურვილი) პირი.

შესაბამისად, დეკლარანტის უფლებამოსილებები და ვალდებულებები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე **საბაჟო გაფორმების სპეციალისტისა.**

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებისას დეკლარანტი ვალდებულია:

ა) **მოახდინოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება კოდექსით გათვალისწინებული წესის მიხედვით;**

ბ) **საბაჟო ორგანოს მოთხოვნით წარადგინოს საბაჟო საბუთები და ცნობები;**

გ) გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები;

დ) ხელი შეუწყოს საბაჟო ორგანოებს საბაჟო გაფორმებაში, მათ შორის საჭირო სატვირთო და სხვა ოპერაციების შესრულების გზით" (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 88.1).

დეკლარანტს უფლება აქვს "ნებისმიერ დროს აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი ან შეცვალოს იგი მეორით, საქონლისა ან სატრანსპორტო საშუალების ხასიათის, რაოდენობის, მწარმოებელი ან დანიშნულების ქვეყნის მიუხედავად ..." (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 9).

"... კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებების გარდა, საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე დეკლარანტს უფლება აქვს, საბაჟო კონტროლის ქვეშ დაათვალიეროს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საბაჟო ორგანოს ნებართვით აიღოს სინჯები და ნიმუშები" (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 88.2).

საბაჟო ორგანოს შეუძლია მისცეს დეკლარანტს დამატებითი ვადა ნაკლული საბუთების მოძიებისა და წარმოდგენისათვის. გამონაკლის შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოს თანამშრომლები ფლობენ ამ ენას, დასაშვებია საბუთების წარმოდგენა უცხო ენაზე.

დეკლარანტს შეუძლია წარდგენილ დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილებები ან სულაც უკან გამოითხოვოს წარდგენილი დეკლარაცია: საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დაწყებამდე; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერებამდე და/ან შემოწმებამდე; საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების უტყუარობის დადგენამდე (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 91.2).

მას შემდეგ, რაც წარდგენილი დეკლარაცია გატარდება რეგისტრაციაში და მიიღებს სარეგისტრაციო ნომერს, რომელიც ჩაიწერება საბაჟო ორგანოს ამაზე უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციის მე-7 გრაფაში, დეკლარაცია იქცევა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთად (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 90.2).

საბაჟო ორგანოს არ აქვს უფლება უარი თქვას წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციის მიღებაზე (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 90.3).

საქართველოს საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს დეკლარაციის რამდენიმე ფორმას: დროებითი ან არასრული საბაჟო დეკლარაცია (მუხლი 92), პერიოდული საბაჟო დეკლარაცია (მუხლი 93), საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირების გამარტივებული წესი (მუხლი 94), სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია (მუხლი 96), ფიზიკური პირის დეკლარაცია (მუხლი 97), საფოსტო გზავნილების დეკლარაცია (მუხლი 98), სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია (მუხლი 98[1]).

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის და ფიზიკური პირის დეკლარაციის კერძო განსაკუთრებული სახეა "სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმა № 2".

დღევანდელ საქართველოში, სადაც შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით საბაჟოს მრავალწახნაგოვან ფუნქციათაგან პრიორიტეტული მნიშვნელობა მიეცა საბაჟოს, როგორც გადასახადის ამკრეფის და ქვეყნის ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი შემავსებლის ფუნქციას, შესაბამისად ცალკე, განსაკუთრებული მნიშვნელობის ჯგუფად გამოიყო საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი ისეთი საქონელი, რომელიც იბეგრება ბაჟით, საბაჟო გადასახდელებით და რომელთა მიმართ ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებანი (ლიცენზიები, კვოტები და სხვა).

ამ კატეგორიის საქონლისათვის დამახასიათებელია სპეციალური ფორმის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის (სსდ) შედგენა და საბაჟო ორგანოში წარდგენა.

საქონელი, რომლის საბაჟო ღირებულება დასაბეგრ მინიმუმს ქვევითაა და რომლის მიმართ არ გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებანი, ანუ რომლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილება არ იბეგრება და არ წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების წყაროს, არ მოითხოვს სსდ-ს შედგენას და საქონლის დეკლარირება შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმით იმ პირობით, რომ ამ განცხადებაში მითითებული იქნება მონაცემები საქონლის გადამაადგილებელი პირის, დეკლარანტის შესახებ, საქონლის კოდი, დასახელება, მახასიათებლები, რაოდენობა და ღირებულება. საბაჟო დეკლარაციის მაგივრობა შეუძლია საქონლის თანმხლებ კომერციულ და სხვა დოკუმენტებს (მათ შორის

საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ნებართვით უცხოურ ენაზე შედგენილ დოკუმენტებსაც).

ფიზიკური პირების მიერ არაკომერციული მიზნებით შემოტანილი საქონლის (პირადი ბარგის და ხელბარგის) დეკლარირება ხორციელდება ფორმა T-6-ით ან ზეპირი განცხადებით. T-6 უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა. ბარგის მფლობელის სახელს, გვარს, მამის სახელს;
ბ. იმ ქვეყნის დასახელებას, საიდანაც ჩამოვიდა მგზავრი;
გ. მგზავრობის მიზანს;
დ. საბარგო ადგილების რაოდენობას;
ე. იმ ბარგის რაოდენობას, რომელიც მოჰყვება მგზავრს ცალკე (ჩაბარდა გადამზიდველს);
ვ. ზოგიერთი ისეთი საქონლის დასახელებას (იარაღი, ხელოვნების ნიმუშები, ნარკოტიკები და ა.შ.), რომელთა შემოტანა ან გატანა მოითხოვს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას);
ზ. მონაცემებს იმ საქონლის შესახებ, რომელიც იმყოფება მგზავრის ბარგში, მაგრამ ეკუთვნის სხვა პირს.

სატრანსპორტო საშუალებების შემოყვანისათვის გათვალისწინებულია დეკლარირების სხვა ფორმა, რომელიც შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა. დეკლარანტის გვარი, სახელი, მამის სახელი;
ბ. სატრანსპორტო საშუალებების მახასიათებლები;
გ. ავტომობილის შემოყვანის (გაყვანის) მიზანი;
დ. საბაჟო გადასახადებზე შეღავათების დასაბუთება;
ე. მიყენებული საბაჟო გადასახდელების სახეები და გადასახდელი თანხა;
ვ. სხვა თანმხლები დოკუმენტები.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დეკლარაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა. გამგზავნის სახელწოდება და მისამართი;
ბ. გზავნილის გასავლის ნომერი;
გ. მიმღების სახელწოდება და სრული მისამართი;
დ. ინფორმაცია იმის შესახებ არის გზავნილი საჩუქარი, თუ საქონლის ნიმუში;

ე. გამგზავნი ქვეყანა;
ვ. საერთო ბრუტო წონა;
ზ. გზავნილების რაოდენობა;
თ. გზავნილის შიგსართის ჩამონათვალი;
ი. სატარიფო ნომერი;
კ. ნეტო წონა.

ვინაიდან ყველა კატეგორიის დეკლარაციას შორის პრიორიტეტულია ის დეკლარაციები, რომლებიც ივსება სსდ-ს ფორმით და მათი შევსება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მოითხოვს გარკვეულ ცოდნას და ჩვევებს, ყოფიერებაში საბაჟო დეკლარირების პროცესი მთლიანად იქნა ასოცირებული სსდ ფორმის დეკლარაციის შევსებასთან და საბაჟო ორგანოებში წარდგენასთან.

პირველად სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია მაშინდელ საბჭოთა კავშირში და ე.ი. საქართველოშიც შემოღებული იქნა 1989 წლის 1 აპრილიდან და დასაბამი დაუდო საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის რღვევას. იმ ფორმით, რა ფორმითაც ამჟამად გამოიყენება საქართველოში სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, ის იდენტურია ევროკავშირის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნების ერთიანი საბაჟო ადმინისტრაციული დოკუმენტისა.

ვინაიდან თავდაპირველად მსოფლიო ბაზარზე მოვაჭრე სუბიექტის როლში გამოდიოდა საბჭოთა კავშირი, დეკლარაცია ივსებოდა რუსულად. ამჟამად სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია საქართველოში ივსება ქართულად, ინგლისურად და რუსულად, იმის მიხედვით, თუ რომელია საქონლის დანიშნულების ქვეყანა.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიღებული და დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია ივსება ორი ფორმის ბლანკებზე - ТД1 და ТД2.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ საქართველოს საბაჟო ორგანოების არც ერთ თანამშრომელს საკუთარი ინიციატივით, ვინმეს დავალებით თუ თხოვნით არ აქვს უფლება შეავსოს არავითარი ფორმის წერილობითი დეკლარაცია, მით უმეტეს შეიტანოს წარდგენილ დეკლარაციაში თავისი ხელით რაიმე შესწორებანი, გარდა იმ გრაფებისა, რომლის

შევსება ინსტრუქციით ევალება საბაჟო ორგანოს. გამონაკლისის სახით საბაჟო ორგანოს თანამშრომელს აქვს უფლება თავისი ხელით მიუწეროს დეკლარანტის მიერ ჩაწერილ მონაცემს მისი კოდური ნომერი, რათა შესაძლებელი გახდეს დეკლარაციის კომპიუტერულ ქსელში შეყვანა.

ამა თუ იმ ქვეყანასთან ან ქვეყნების ჯგუფთან განსაკუთრებით კარგი ურთიერთთანამშრომლობის შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია საქონლის დეკლარირების გამარტივება.

2. საბაჟო საზღვარზე საქონლის გატარების წესი

საქართველოში შემოსატანად და საქართველოდან გასატანად (აკრძალულის გარდა) თავისუფალი საქონელბრუნვისათვის ქვეყნის საზღვარზე საქონლის გადაადგილება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რეზიდენტები დაიცავენ შემდეგ მოთხოვნებს:

- განახორციელებენ საქონლის დეკლარირება +ს დადგენილი წესის შესაბამისად;

- მოახდენენ საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ფორმის წარდგენა, +ს რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელთა რეესტრში ჩართვას და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას;

- უზრუნველყოფენ ლიცენზიის (ნებართვის) წარმოდგენას იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გატანა ან შემოტანა ექვემდებარება ლიცენზირებას (ნებართვის აღებას);

- მოხდება საქონლის ექსპორტ-იმპორტის პირობების განმსაზღვრელი შესაბამისი კონტრაქტის (ხელშეკრულება) ან მხარეთა გადაწყვეტილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენა;

-განხორციელება სხვა სახელმწიფო ორგანოების ნებართვის წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ საქონელი ექვემდებარება ამ ორგანიზაციების კონტროლს, კერძოდ:

- სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს ორგანოების ნებართვა (ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლი) მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე;

- ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოების ნებართვა სამკურნალწამლო საშუალებებსა და იონიზირებული გამოსხივების წყაროებზე;

- ვაჭრობის და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს ნებართვა (ლიცენზია) თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ნებართვა არასამხედრო დანიშნულების იარაღისა და მათ საბრძოლო მასალებზე;

- კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოების ნებართვა რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალი სიხშირის მოწყობილობაზე;

- კულტურის სამინისტროს ორგანოების ნებართვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანაზე;

- საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული ხე-ტყის ნედლეულის მოპოვების დამადასტურებელი საბუთი - ხე-ტყის ნედლეულის ექსპორტზე;

- სათანადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელების ანგარიშსწორების, საბაჟო გაფორმების მოსაკრებლების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა საბაჟო გადასახდელების და მათი ფაქტობრივი გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დოკუმენტების ან არსებული გარანტიების წარდგენა.

საქონლის გაშვება ხდება საბაჟო გაფორმების დამთავრების შემდეგ.

საქონლის საბაჟო გაფორმება იწყება საქონლის საბაჟო გაფორმების ადგილზე მიტანის, საბაჟოში შეტყობინების, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციისა და ზემოთ მითითებული სხვა დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

საბაჟოს მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის (სსდ) მიღება დასტურდება დეკლარაციის მე-7 გრაფაში მისი სარეგისტრაციო ნომრის და საბაჟო გაფორმებისათვის მიღების თარიღის ჩვენებით.

თუ არსებობს ეჭვი წარდგენილი დოკუმენტებისა და მათში გაცხადებული მონაცემების სისწორის მიმართ. საბაჟოს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი საბუთები და მონაცემები სსდ-ში და წარდგენილ საბუთებში არსებული ინფორმაციის შემოწმების მიზნით.

საბაჟო გაფორმება მთავრდება კონტროლისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტის და მონაცემის შემოწმების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში

გაცხადებული საქონლის დათვალიერების შემდეგ. საქართველოში თავისუფალი მიმოქცევისათვის შემოსატანი ან საქართველოდან გასატანი საქონლის საბაჟო გაფორმების დამთავრება დასტურდება დამღებით "გაშვება ნებადართულია" და "საგადასახადო კონტროლი".

3. ქონების გატარების წესი

საქართველოს საზღვარზე საბაჟო ორგანოების ნებართვით გატარდება ქონება, გარდა იმ საგნებისა, რომელთა საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა აკრძალულია.

საქართველოს საზღვარზე ქონების გატარებისათვის აუცილებელია მისი გამგზავნის ან მიმღების მიერ დაცული იქნეს შემდეგი პირობები:

1. ქონების დეკლარირება ამისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.
2. სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარდგენა.
3. საქართველოში ქონების დროებით შემომტანი ან საქართველოდან ქონების დროებით გამტანი ორგანიზაცია ვალდებულია სსდ-ში ამის შესახებ გააკეთოს აღნიშვნა. ამ აღნიშვნის მქონე სსდ ამავე დროს წარმოადგენს დროებით შემოტანილი ქონების უკან გატანის და დროებით გატანილი ქონების უკან შემოტანის ვალდებულებას.

საქართველოში ქონების დროებით შემოტანის ან გატანის ვადა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს ამ ქონების მიერ საზღვრის გადაკვეთის დღიდან. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. საბაჟო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ დროებით შემოტანილი ან გატანილი ქონების გაფორმებას, აწარმოებენ მის აღრიცხვას.

თუ საქართველოში დროებით შემოტანილი ან საქართველოდან დროებით გატანილი ქონება აღმოჩნდება როგორც ნაკეთობად, ასევე მა-

სალებად გამოყენებისათვის გამოუსადეგარი, იგი იხსნება აღრიცხვიდან საქონლის განმკარგავი ორგანიზაციის იმ აქტის საფუძველზე, რომელიც შედგენილია საბაჟო დაწესებულების თანამშრომლის მონაწილეობით. თუ ასეთი მონაწილეობა შეუძლებელია, მაშინ ორგანიზაცია აქტს ადგენს დამოუკიდებლად. საბაჟო დაწესებულება უფლებამოსილია არ სცნოს შედგენილი აქტის სინამდვილე, თუ ეჭვს იწვევს მონაცემების სიზუსტე.

საქართველოდან დროებით გატანილი ან საქართველოში დროებით შემოტანილი ქონება ექვემდებარება, შესაბამისად, შემოტანას ან გატანას სსდ-ში აღნიშნულ ვადებში.

დადგენილი ვადის გასვლის დღეს დაუბრუნებელი დროებით შემოტანილი და/ან გატანილი საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში ან მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში, რომლის მფლობელიც არის საბაჟო ორგანო.

იჯარით აღებული ქონების საქართველოში დროებით შემოტანისას ან საქართველოდან დროებით გატანისას სსდ-ში კეთდება აღნიშვნა იჯარაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადის და ნომრის ჩვენებით.

საგამოფენო ღონისძიებისათვის ექსპონატების, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული ნიმუშების და ქონების (გარდა სამეცნიერო ექსპედიციების ქონებისა) გატანისას საჭიროა შესაბამისი სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საბაჟოზე წარდგენა. ამის შესახებ სსდ-ში კეთდება აღნიშვნა.

ქონება, რომელიც შემდგომში ხდება საგარეო ვაჭრობის ყიდვა-გაყიდვის ან გაცვლის ობიექტი, ექვემდებარება საბაჟო გაფორმებას დადგენილი წესებით.

4. საქონლის და ქონების დეკლარირების წესი

საქონლის და ქონების დეკლარირება ხორციელდება მათი გამგზავნის ან მიმღების მიერ დამოუკიდებლად ან სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ეძლევათ დეკლარირების უფლება საბაჟოს ნებართვით ხელშეკრულების საფუძველზე.

დეკლარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი. უცხო ქვეყნის რეზიდენტი კი - მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს საზღვარზე საქონელს გადააადგილებს არაკომერციული მიზნებისათვის.

საქონელი და ქონება დეკლარირდება და წარდგება საბაჟო გაფორმებაზე საბაჟოზე, რომლის მოქმედების ზონაშიც იმყოფება ამ საქონლის და ქონების გამგზავნი ან მიმღები, ან მათი საწარმოო ქვედანაყოფები (ფილიალები, იჯარით აღებულ ბაზებზე არსებული საწარმოო უბნები, ერთობლივი საწარმოები და ა.შ.), აგრეთვე სხვა საბაჟოებში საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული წერილობითი ნებართვის საფუძველზე. საქონლის საბაჟო გაფორმება ხდება საბაჟოს მიერ დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით დადგენილ ადგილებში და საბაჟოს მუშაობის დროს.

საქონლის და ქონების დეკლარირებისას ნებისმიერი ოპერაციების დროს დეკლარანტი თვითონ ირჩევს საბაჟო რეჟიმს. სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია შეივსება საქონლის და ქონების ყოველ ისეთ პარტიაზე, რომლისთვისაც შერჩეული იქნება ერთი და იგივე საბაჟო რეჟიმი.

ერთ სასაქონლო პარტიად დეკლარირდება:

1. საქონელი და ქონება, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით ერთი საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულებით და გატანილი ერთი და იგივე გამშვები პუნქტიდან, ერთი სახეობის ტრანსპორტით და ერთდროულად წარმოდგენილი საბაჟო გაფორმებისათვის, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებების და გადაზიდვის დამადასტურებელი თანმხლები დოკუმენტების რაოდენობისა.

2. საქონელი და ქონება, გამოგზავნილი ერთი მიმღების მისამართით ერთი გამომგზავნის მიერ ერთი საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულებით და შემოტანილი ერთი სახეობის ტრანსპორტით ერთ საბაჟოზე, რომლის მოქმედების რეგიონშიც მდებარეობენ გამშვები პუნქტები და ერთდროულად წარმოდგენილი საბაჟო გაფორმებისათვის, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებების და გადაზიდვის დამადასტურებელი თანმხლები დოკუმენტების რაოდენობისა.

3. ერთ პარტიად შეიძლება ისეთი საქონლის დეკლარირებაც, რომელიც გადაადგილდება საბაჟო საზღვარზე მილგაყვანილობით ერთი თვის განმავლობაში ან ელექტროგადამცემი ხაზებით ერთი კვარტლის განმავლობაში, მიუხედავად ასეთი "გადაზიდვის" მოცულობისა.

მითითებული საქონლის დეკლარირებისას სსდ-ის შესაბამის გრაფებში შეიტანება სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, მათი მოკლე დასახელება და კეთდება მითითება: "იხილეთ უკანა გვერდზე". სსდ-ს ყველა ფურცელზე აღინიშნება საქონლის რიგითი ნომერი (32-ე გრაფიდან), სატრანსპორტო საშუალების ნომერი (გრაფები 18, 21) და გადაზიდვის დამადასტურებელი თანმხლები დოკუმენტების ნომერი (გრაფა 44), აგრეთვე შიგა საბაჟო ტრანზიტის ფორმა №1-ს (შსტ) ნომრები (გრაფა 13).

საბაჟო ორგანოები არ განახორციელებენ იმ დეკლარანტების კუთვნილი ტვირთების საბაჟო გაფორმებას, რომელთაც ერიცხებათ ვადაგასული დავალიანება საბაჟო გადასახდელების ნაწილში.

დეკლარანტებს, რომელთა დავალიანება ვადაგასული არ არის, შეუძლიათ განახორციელონ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები მხოლოდ საბაჟო გადასახდელების წინასწარი გადახდის შემდეგ.

თუ დეკლარანტმა ვერ შეასრულა ბარტერით გათვალისწინებული პირობა, დეკლარაციაში მითითებული ვადების პერიოდში, საბაჟო ორგანოები არ განახორციელებენ ამ დეკლარანტების კუთვნილი ტვირთების საბაჟო გაფორმებას.

სსდ-ში ნაჩვენები მონაცემების სიზუსტეზე დეკლარანტი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსდ-ების ბლანკები და მათი დამატებითი ფურცლები მზადდება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ან დეკლარანტ-წარმომადგენლების მიერ.

5. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსების საერთო დებულებანი

სსდ-ების კომპლექტი შედგება 4 აკინძული ფურცლისაგან.

სსდ-1 ივსება საქონლის ყოველ პარტიაზე, რომელიც შედგება ერთი დასახელების საქონლისაგან იმ პირობით, რომ მათ მიმართ ვრცელდება ერთი და იგივე საბაჟო რეჟიმი.

იმ შემთხვევაში, თუ პარტია მოიცავს რამდენიმე დასახელების საქონელს, გამოიყენება დამატებითი ფურცლები (სსდ-2), რომელთაგანაც თი-

თოეული მათგანი იძლევა კიდევ სამი დასახელების საქონლის დეკლარირების შესაძლებლობას.

ერთ დეკლარაციაში (სსდ-1, სსდ-2) შეიძლება გაცხადებული იყოს მონაცემები 100 დასახელების საქონელზე (ერთდროულად დეკლარაციას შეიძლება თან ერთვოდეს 33 დამატებითი ფურცელი). დამატებითი ფურცლები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში მითითებული საქონლის საბაჟო რეჟიმი ემთხვევა დეკლარაციაში მითითებული საქონლის საბაჟო რეჟიმს. დამატებითი ფურცლების გრაფები ივსება ისეთივე წესით, როგორც დეკლარაციის შესაბამისი გრაფები.

სსდ-ს ფურცლები ნაწილდება შემდეგნაირად:

- პირველი ფურცელი რჩება საბაჟოში და ინახება სპეციალურ არქივში;

- მეორე ფურცელი ეგზავნება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო სტატისტიკის და ანალიზის სამმართველოს;

- მესამე ფურცელი უბრუნდება დეკლარანტს;

- მეოთხე ფურცელი მიჰყვება საქონელს და რჩება საზღვრის გადაკვეთის ადგილზე საბაჟო საგუშაგოზე ან საბაჟოზე.

დსთ-ს ქვეყნებში გაგზავნილ საქონელს სსდ-ს მეოთხე ფურცელი მიჰყვება დანიშნულების ადგილამდე.

დეკლარაციაში და დამატებით ფურცლებში არ უნდა იყოს წაშლილი და გადასწორებული ადგილები. ყოველი შესწორება უნდა მოხდეს არასწორი მონაცემების გადახაზვით და თუ საჭიროა, შესაბამისი მონაცემების იმავე ფურცელზე ჩაბეჭდვით, ჩამატებით.

ყოველი შესწორება მოწმდება დეკლარანტის მიერ.

დეკლარაციები და მათი დამატებები ივსება ქართულ ენაზე კომპიუტერის საბეჭდი მოწყობილობის გამოყენებით. გაურკვეველად შევსებული დეკლარაციები და მათი დამატებითი ფურცლები საბაჟო დაწესებულების მიერ არ მიიღება.

თუ რომელიმე გრაფაში მეორდება წინამდებარე გრაფაში მოყვანილი ტექსტობრივი მონაცემები, მაშინ ამ გრაფაში შეიძლება მხოლოდ მიეთითოს ზემოთ შევსებულ გრაფა ("იხ. გრაფა №").

ციფრული მონაცემების და კოდების მიმართ ასეთი მითითება არ გამოიყენება.

თუ საქონელი ექვემდებარება საბაჟო დაბეგვრას და მათზე დამატებითი ფურცლების მაგივრად გამოიყენება სპეციფიკაციები, შესაფუთი ფურცლები, ქონების ჩამონათვალი, მაშინ მათში აღინიშნება შესაბამისი საქონლის დასახელება, მათი კოდი, რაოდენობა და ღირებულება.

სხვა შემთხვევებში სპეციფიკაციებში, შესაფუთ ფურცლებში შემოსატან ან გასატან სიებში იწერება საქონლის ოთხნიშნა კოდი და ამ საქონლის საერთო ღირებულება.

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციაში ან დამატებით ფურცელში არ არის საჭირო მონაცემების შეტანისათვის აუცილებელი გრაფა (როგორიცაა საწარმოს დასახელება, ვაგონის ნომერი, კონტეინერის ნომერი და ა.შ.), მაშინ დასაშვებია მათი მითითება დეკლარაციის ან დამატებითი ფურცლის უკანა მხარეს. ასეთი ჩანაწერი მოწმდება დეკლარანტის მიერ და შესაბამის გრაფაში კეთდება მითითება („იხ. უკანა გვერდზე"). დასაშვებია აგრეთვე დეკლარაციების უკანა მხარის გამოყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების სპეციალური დამღებისათვის.

დაუშვებელია დეკლარანტის მიერ სსდ-ს გამოყენება იმ ინფორმაციის შესატანად, რომელიც მოცემული ინსტრუქციით არ არის გათვალისწინებული.

დეკლარაციის და დამატებითი ფურცლების საბაჟოში რეგისტრირებისას დეკლარაციის მე-7 გრაფაში და ყოველი დამატებითი ფურცლის 33-ე გრაფის თავზე იწერება ნომერი და თარიღი ქვემოთ.

6. საქართველოდან გასატან საქონელზე დეკლარაციის შევსების წესი

დეკლარანტის მიერ ივსება დეკლარაციის შემდეგი გრაფები:

ციფრული - 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 11, 14, 17, 17-ა, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 44, 46, 47, 48, 54;

ასოებრივი - A.

დანარჩენი გრაფები დეკლარანტის მიერ არ ივსება.

საბაჟოში ივსება გრაფები 7, 13, B, C და D.

დეკლარანტის მიერ გრაფების შევსების წესი:

გრაფა 1 - "დეკლარაციის ტიპი".

პირველ განყოფილებაში მითითებულია საბაჟო რეჟიმის შემოკლებული დასახელება - "ექ", მეორეში - საბაჟო რეჟიმის ორნიშნა კოდი, საბაჟო რეჟიმების კლასიფიკატორის მიხედვით (დანართი 1).

მესამე ნაწილი ექსპორტის საბაჟო რეჟიმის დროს არ ივსება.

გრაფა 2 - "გამგზავნი/ექსპორტიორი".

გამგზავნად (ექსპორტიორად) იგულისხმება მხოლოდ ორგანიზაცია, რომელსაც დადებული აქვს ხელშეკრულება (კონტრაქტი) დეკლარირებული საქონლის ექსპორტზე. იმ შემთხვევაში, თუ საგარეო-სავაჭრო გარიგება გაფორმებულია შუამავლის მეშვეობით, მაშინ გამგზავნად იგულისხმება ამ საქონლის ბოლო მფლობელი, საქონლის საექსპორტოდ მიწოდებამდე.

გრაფაში იწერება დასახელება და საფოსტო მისამართი იმ დაწესებულების ან ორგანიზაციისა, რომელიც აგზავნის საქონელს, საფოსტო ინდექსის, ტელექსის ან ტელეფაქსის ნომრის ჩვენებით ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი.

გრაფის ზედა ნაწილში "№" ნიშნის შემდეგ აღინიშნება, საქონლის გამგზავნი დაწესებულების ან ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო ცხრანიშნა კოდი, რომელსაც მას ანიჭებს საგადასახადო ინსპექცია. ფიზიკური პირის მიერ საქონლის გადაადგილებისას საწარმოებისა და ორგანიზაციების კოდის ნაცვლად აღინიშნება:

ფიზიკური პირის მიერ საწარმოო და სხვა კომერციული მიზნებისათვის გადაადგილებული საქონლისათვის - 00000001.

ფიზიკური პირების მიერ არასაწარმოო და სხვა კომერციული მიზნებისათვის გადაადგილებული საქონლისათვის - 00000002.

გრაფა 3 - "დამატებითი ფურცლები".

გრაფა ივსება დამატებითი ფურცლების გამოყენების შემთხვევაში. გრაფის პირველ განყოფილებაში აღინიშნება ფურცლის რიგითი ნომერი, მეორეში - დეკლარაციის ფურცლების საერთო რაოდენობა დამატებითი

ფურცლების ჩათვლით. მაგალითად, თუ გვაქვს ერთი დეკლარაცია ორი დამატებითი ფურცლით, მაშინ თვითონ დეკლარაციაში უნდა აღინიშნოს - 1/3, პირველ დამატებით ფურცელში - 2/3 და მეორეში - 3/3.

გრაფა 4 - "გასაგზავნი სპეციფიკაციები". ივსება საქონლის აღწერის მიზნით. აღინიშნება თანდართული ფურცლების საერთო რაოდენობა.

გრაფა 5 - "სულ საქონლის დასახელება".

გრაფაში ციფრებით აღინიშნება საქონლის დასახელების საერთო რაოდენობა, რაც ნაჩვენებია დეკლარაციისა და დამატებითი ფურცლების 31-ე გრაფაში - "სატვირთო ადგილი და საქონლის აღწერა"

საქონლის სხვადასხვა სახეობანი, თუ მათ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურაში ერთნაირი კოდი აქვთ, ითვლებიან ერთ სახეობად.

გრაფა 6 - "ადგილების რაოდენობა".

გრაფაში აღინიშნება დეკლარირებული საქონლის პარტიის ადგილების საერთო რაოდენობა ციფრებით.

თუ საზღვარზე გადის ნაყარი ან თხევადი ტვირთი, ასევე საქონელი მილსადენებით, ელექტროგადამცემი ხაზებით, გრაფაში ჩაიწერება "0".

საქონლისათვის, რომელიც გადაიტანება კონტეინერებით, ყუთებით, ქვეშით ("პოდონი"), მიეთითება კონტეინერების, ვაგონების, ქვესადგამის რაოდენობა.

გრაფა 8 - "მიმღები იმპორტიორი".

გრაფაში აღინიშნება საქონლის მიმღები დაწესებულების დასახელება და საფოსტო მისამართი ან ფიზიკური პირის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი.

გრაფა 9 -"ფინანსურ დარეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი".

გრაფაში აღინიშნება საქართველოს იმ რეზიდენტის დასახელება და საფოსტო მისამართი ან ფიზიკური პირის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსურ რეგულირებაზე საბაჟოს წინაშე.

როდესაც საბაჟოსთან ფინანსურ რეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს საქონლის ექსპორტიორს, გრაფაში კეთდება აღნიშვნა - "იხ. გრაფა 2".

გრაფის ზედა ნაწილში "№" ნიშნის შემდეგ აღინიშნება იმ საწარმოს ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსურ რეგულირებაზე საბაჟოს წინაშე.

თუ საქონლის საბაჟო საზღვარზე გადატანა ხდება არა ყიდვა-გაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებით, არამედ რაიმე სხვა მიზნით, გრაფა დაიტოვება შეუვსებელი.

გრაფა 11 - "მოვაჭრე ქვეყანა".

გრაფაში აღინიშნება პარტნიორი ქვეყნის ციფრული კოდი, რომელთანაც გაფორმებულია კონტრაქტი (ხელშეკრულება), მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის (დანართი 3) შესაბამისად.

ხელშეკრულების დამდებ ქვეყნად ითვლება ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს იურიდიული ან ფიზიკური პირი და რომელთანაც საქართველოს რეზიდენტმა გააფორმა ხელშეკრულება.

გრაფა 12 - "საერთო საბაჟო ღირებულება" - გრაფაში იწერება ძირითადი და დამატებითი ფურცლების 45-ე გრაფაში ნაჩვენები საბაჟო ღირებულების ჯამი.

რამდენადაც საქართველოს საბაჟო საქმიანობის პრაქტიკაში იშვიათად იყენებენ დამატებით ფურცლებს და ასეთ შემთხვევაში მე-12 და 45-ე გრაფების ციფრები იდენტურია, "საქართველოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთებისათვის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების შესახებ" საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ინსტრუქცია არ მოითხოვს ამ გრაფის აუცილებელი წესით შევსებას.

გრაფა 14 - "დეკლარანტი წარმომადგენელი".

გრაფაში აღინიშნება საქართველოს რეზიდენტი, იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება და მისამართი, ან დეკლარანტ-წარმომადგენლის (საბაჟო ბროკერის) დასახელება და მისამართი, რომელიც საბაჟოზე წარმოადგენს საქონელს და ახდენს მის დეკლარირებას.

გრაფის ზედა ნაწილში "№" ნიშნის შემდეგ აღინიშნება დეკლარანტის (დეკლარანტ-წარმომადგენლის) ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც მინიჭებული აქვს საგადასახადო ინსპექციის მიერ.

გრაფის ქვედა ნაწილში "№" ნიშნის შემდეგ ნაჩვენები უნდა იქნეს საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული მოწმობის (ლიცენზიის) ნომერი და

გაცემის თარიღი, რომლის საფუძველზეც ამ საწარმოს ცნობენ დეკლარანტად (საბაჟო ბროკერად).

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტი არის საქონლის გამგზავნი (ექსპორტიორი) ან ფინანსურ რეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი, მაშინ ხდება მითითება შესაბამის გრაფაზე ("იხ. გრაფა 2" ან "იხ. გრაფა 9").

გრაფა A.

გრაფაში ნაჩვენები უნდა იყოს ცნობები დეკლარანტის ანგარიშების შესახებ. ამასთან, თითოეული რეკვიზიტი იწყება ახალი სტრიქონით და ყოველი მათგანის წინ იწერება რიგითი ნომერი:

1. ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი, იმ ბანკის დასახელება და საფოსტო მისამართი, რომელშიც გახსნილია დეკლარანტის ანგარიშსწორების ანგარიში;

2. მიმდინარე სავალუტო ანგარიშის ნომერი, იმ ბანკის დასახელება და საფოსტო მისამართი, რომელშიც გახსნილია დეკლარანტის სავალუტო ანგარიში.

გრაფა 16 "წარმოშობის ქვეყანა" - გრაფაში აღინიშნება საქონლის მწარმოებელი ქვეყნის მოკლე ასოითი დასახელება "მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორის" (დანართი 3) შესაბამისად.

რამდენადაც, როგორც წესი, ექსპორტირება ძირითადში ხდება ქართული ნაწარმის, საქართველოს საბაჟო დეპარატამენტის შესაბამისი ინსტრუქცია არ მოითხოვს ამ გრაფის აუცილებელ შევსებას.

გრაფა 17 - "დანიშნულების ქვეყანა".

გრაფაში აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის მოკლე ასოებრივი დასახელება მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის (დანართი 3) შესაბამისად.

თუ კონტრაქტის შესრულების მომენტში უცნობია დანიშნულების ქვეყანა, მაშინ გრაფაში აღინიშნება მოვაჭრე ქვეყნის მოკლე დასახელება.

გრაფა 17-ა - "დანიშნულების ქვეყნის კოდი".

გრაფაში აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის (დანართი 3) შესაბამისად.

გრაფა 18 - "სატრანსპორტო საშუალება გამოგზავნისას".

გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, წილადის შემდეგ აღინიშნება სატრანსპორტო

საშუალების მონაცემები, რომელზეც წარმოებს საქონლის დატვირთვა გამშვებ საბაჟო პუნქტამდე მის გადასატანად (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომერი, რკინიგზის ვაგონის ნომერი, საგზაო სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი მონაცემები).

გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში კეთდება მითითება "იხ. უკანა გვერდზე" და სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ოთხივე ეგზემპლარის უკანა მხარეს მიეთითება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები.

მაგალითად: 01 ა/მ ABD-655

23 რკინიგზ. ვაგ. (იხ. უკანა გვერდზე)

გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის კოდი მე-3 დანართის შესაბამისად.

გრაფა 19 - "კონტეინერი".

გრაფაში აღინიშნება:

- თუ საქონელი იგზავნება კონტეინერით - 1;
- თუ საქონელი არ იგზავნება კონტეინერით - 0.

გრაფა 20 - "მიწოდების პირობები".

გრაფის პირველ განყოფილებაში აღინიშნება მიწოდების პირობების ციფრული კოდი "მიწოდების პირობების კლასიფიკატორის" (დანართი 4) შესაბამისად.

მეორე განყოფილების მარცხენა ნაწილში ასოებით აღინიშნება მიწოდების პირობების მოკლე ასოებრივი დასახელება, გეოგრაფიული პუნქტის ჩვენებით.

მეორე განყოფილების მარჯვენა ნაწილში აღინიშნება საექსპორტო ამონაგები თანხის (ვალუტის) მიღების ვადის ციფრული კოდი ან, ბარტერული ოპერაციების დროს, შემხვედრი მიწოდების ვადის ორნიშნა ციფრული კოდი მე-12 დანართის შესაბამისად.

გრაფის მესამე განყოფილებაში აღინიშნება საექსპორტო საქონლისათვის მიღებული საანგარიშსწორებო ფორმის ორნიშნა ციფრული კოდი ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობის შესაბამისად.

"10" - აკრედიტივი "40" - აკრედიტივი/ინკასო
"20" - ინკასო "50" - აკრედიტივი/გადაგზავნა
"30" - გადაგზავნა "60" - ინკასო/გადაგზავნა
"70" - აკრედიტივი/ინკასო/გადაგზავნა

ყიდვა-გაყიდვის ან ბარტერის ხელშეკრულებისაგან განსხვავებული კონტრაქტის შემთხვევაში საქონლის გაგზავნის ხელშეკრულების უქონლობისას ან მხარეთა გადაწყვეტილებით დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის არარსებობის დროს გრაფა არ ივსება.

გრაფა 21 - "სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე".

გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, წილადის შემდეგ აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც წარმოებს საქონლის გადაზიდვა გამშვებ საბაჟო პუნქტიდან მის გადასატანად (საზღვაო გემების დასახელება, რეისის ნომერი და საჰაერო ხომალდის ბორტის ნომერი, რკინიგზის ვაგონის ნომერი, საგზაო ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი ინფორმაცია).

გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში კეთდება მითითება "იხ. უკანა გვერდზე". სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ოთხივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომერი.

მაგალითად: 01 ა/მ ABD-655

23 რკინიგზ. ვაგ. (იხ. უკანა გვერდზე)

გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის კოდი მე-3 დანართის შესაბამისად.

გრაფა 22 - "ვალუტა და საქონლის საერთო ფაქტურული ღირებულება".

გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება კონტრაქტში მითითებული ვალუტის ციფრული კოდი ვალუტების კლასიფიკატორის (დანართი 7) შესაბამისად.

მარჯვენა განყოფილებაში ციფრებით აღინიშნება დეკლარირებული საქონლის მთელი პარტიის საერთო ღირებულება, კონტრაქტში მოცემული ვალუტის მიხედვით.

დეკლარირებული საქონლის პარტიის საერთო ღირებულება მიიღება დეკლარაციისა და დამატებითი ფურცლების 42-ე გრაფაში მოცემული საქონლის ღირებულების ჯამის გაყოფით 23-ე გრაფაში მოცემული ვალუტის კურსზე.

გრაფა 23 - "ვალუტის კურსი".

გრაფაში აღინიშნება კონტრაქტით გათვალისწინებული უცხოური ვალუტის კურსი (იხილეთ 22-ე გრაფის მარცხენა განყოფილება) ეროვნული ვალუტის მიმართ, რომელიც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დეკლარაციის საბაჟოში გასაფორმებლად მიღების დღისათვის, ან საბაჟო დეპარტამენტის მითითების შესაბამისად.

გრაფა 24 - "გარიგების ხასიათი".

გრაფაში აღინიშნება გარიგების ხასიათის კოდი გარიგების ხასიათის კლასიფიკატორის (დანართი 5) შესაბამისად.

გრაფა 25 - "ტრანსპორტის სახეობა საზღვარზე" და

გრაფა 26 - "ტრანსპორტის სხეობა ქვეყნის შიგნით".

გრაფებში ჩაიწერება შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების კოდი ტრანსპორტის სახეობების კლასიფიკატორის (დანართი 6) მიხედვით.

გრაფა 28 - "ფინანსური და/ან საბანკო მონაცემები".

თითოეული რეკვიზიტი იწერება ახალი სტრიქონით და ყველა მათგანის წინ იწერება რიგითი ნომერი.

1. **იმ ბანკის დასახელება და საფოსტო მისამართი, სადაც დეკლარანტს გახსნილი აქვს ანგარიშსწორების ანგარიში ეროვნულ ვალუტაში.**
2. **ეროვნული ვალუტის ანგარიშის ნომერი.**
3. **იმ ბანკის მოკლე დასახელება და საფოსტო მისამართი, სადაც დეკლარანტს გახსნილი აქვს სავალუტო ანგარიში.**
4. **სავალუტო ანგარიშის ნომერი.**

გრაფა 29 - "საბაჟო (საგუშაგო) საზღვარზე".

გრაფაში იწერება საბაჟოს ან საბაჟო საგუშაგოს კოდი და დასახელება, საიდანაც უნდა გავიდეს საქონელი საქართველოდან "საბაჟოების და საბაჟო საგუშაგოების კლასიფიკატორის" (დანართი 11) მიხედვით.

გრაფა 30 - "საქონლის შემოწმების ადგილი".

გრაფაში აღინიშნება დროებითი შენახვის საწყობის დაარსების ლიცენზიის ნომერი, სადაც იმყოფება საქონელი მათი საბაჟო გაფორმების პერიოდში.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გაფორმება წარმოებს სხვა ადგილას, გრაფაში აღინიშნება დროებითი შენახვის ან საბაჟო საწყობის დაარსების ლიცენზიის ნომერი, სადაც აღირიცხება მოცემული საქონელი.

გრაფა 31 - "სატვირთო ადგილები და საქონლის აღწერილობა".

გრაფაში აღინიშნება საქონლის დასახელება და საჭიროების შემთხვევაში საქონლის დამატებითი დახასიათება ასორტიმენტის, ზომის, მოდელის, დაკომპლექტების და სხვა მონაცემების ჩათვლით, რაც აუცილებელია საქონლის ცალსახა კლასიფიკაციისათვის ცხრანიშნა კოდით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად. დაუშვებელია დეკლარირებული საქონლის მითითება სასაქონლო პოზიციის საერთო დასახელებით, რომელიც მოცემულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში. შემდეგ აღინიშნება სატვირთო ადგილების სახეობა და რაოდენობა, მონაცემები მათი მარკირების შესახებ.

კონტეინერებით გადატანილი საქონლისათვის, გრაფის მარჯვენა ზედა ნაწილში აღინიშნება კონტეინერის ნომერი. თუ ამ გრაფაში დეკლარირებული საქონელი არ იკავებს სატვირთო ადგილის და კონტეინერის მთლიან მოცულობას, მაშინ გრაფაში აღინიშნება "კონტეინერის ნაწილი", "ყუთის ნაწილი" და ა.შ.

გრაფის მარჯვენა ქვედა კუთხეში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას აღინიშნება საქონლის რაოდენობა, მისი ზომის ერთეულის მოკლე დასახელებით (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად).

ზომის სხვა ერთეულის გამოყენების შემთხვევაში ამ განყოფილებაში აღინიშნება საქონლის რაოდენობა და შესაბამისი ზომის ერთეულის მოკლე დასახელება. ამასთან, ზომის ერთეულის კოდი იწერება 41-ე გრაფაში. მაგალითად: საქონლის დასახელება - წნეხი-ამკრეფი, საქონლის კოდი 8433401000, დამატებითი ზომის ერთეული - ცალი, რაოდენობა - 10. გრაფის მარჯვენა განყოფილებაში ჩაიწერება - 10 ცალი.

მაგალითად:
სიგარეტი "ჰოლივუდი"
დამამზადებელი ფირმა "_____"
45 ყუთი 500 კოლოფი თითოში
კონტეინერი - 3652731

450 ათასი ცალი

შენიშვნა: სსდ-ში საქონლის დასახელების აღნიშვნისას მკაცრად აუცილებელია იმ ტერმინოლოგიის და ზომის ერთეულების გამოყენება, რომლებიც მოცემულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში.

გრაფა 32 - "საქონელი №".

თუ დეკლარირდება ორი ან მეტი დასახელების საქონელი, მაშინ გრაფაში აღინიშნება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის რიგითი ნომერი. მაგალითად: დეკლარაციაში საქონლის ნომერი იქნება - 1, პირველ დამატებით ფურცელზე - 2,3,4, მეორე დამატებით ფურცელზე - 5,6,7 და ა.შ. დეკლარაციაში და დამატებით ფურცლებში დეკლარირებული საქონლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100. ამ რაოდენობის გადამეტების შემთხვევაში ივსება ახალი დეკლარაცია.

ერთი დასახელების საქონლის დეკლარირებისას გრაფაში იწერება - 1.

გრაფა 33 - "საქონლის კოდი".

გრაფის პირველ განყოფილებაში აღინიშნება საქონლის ცხრანიშნა კოდი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით.

სტრუქტურულად კოდი იწერება მიყოლებით, ყოველგვარი გამყოფი ნიშნების გარეშე, იმ ადგილზე, რომელსაც მოცემული გრაფის ორი პირველი განყოფილება უკავია.

გრაფა 34 - "წარმოშობის ქვეყნის კოდი".

გრაფაში აღინიშნება საქონლის მწარმოებელი ქვეყნის ციფრული კოდი მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის (დანართი 3) შესაბამისად.

გრაფა 35 - "ბრუტო წონა" (კგ).

გრაფაში აღინიშნება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის ბრუტო

წონა (კგ) (ბრუტო წონა არის საქონლის მთლიანი წონა შეფუთვის ჩათვლით დამრგვალებული მთელ რიცხვამდე).

გრაფა 36 - "პრეფერენციები".

გრაფაში აღინიშნება გადასახადისაგან გათავისუფლების ხუთნიშნა კოდი:

9 / 99 / 99

1 2 3

სადაც:

ელემენტი 1 აღნიშნავს საბაჟო პროცედურებისათვის მოსაკრებლებისაგან გათავისუფლების კოდს. გათავისუფლების შემთხვევაში იწერება კოდი - "1", წინააღმდეგ შემთხვევაში - "0".

ელემენტი 2 აღნიშნავს საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების კოდს. გათავისუფლების შემთხვევაში იწერება კოდი მე-9 დანართის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში - "00".

ელემენტი 3 აღნიშნავს აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლების კოდს (დანართი 13).

გრაფა 37 - "საბაჟო რეჟიმი (პროცედურა)".

გრაფაში აღინიშნება საბაჟო რეჟიმის ექვსთანრიგიანი სრული კოდი "საბაჟო რეჟიმების კლასიფიკატორის" (დანართი 1) შესაბამისად. პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ძირითად საბაჟო რეჟიმს (განყოფილება 1). მეორე ორი ციფრი აღნიშნავს წინმსწრებ საბაჟო რეჟიმს, რომელიც აღინიშნება იგივე ორნიშნა ციფრით. როცა ძირითადი საბაჟო რეჟიმი ან წინმსწრები საბაჟო რეჟიმი არ არსებობს ან უცნობია, მაშინ იწერება კოდი "00".

ექვსნიშნა კოდის ბოლო ორი ციფრი მიუთითებს საბაჟო რეჟიმის თავისებურებას (განყოფილება 2). თუ კონკრეტულ საბაჟო რეჟიმს არ გააჩნია მეორე განყოფილებით გათვალისწინებული თავისებურებები, მაშინ იწერება კოდი "00".

კოდის პირველი ოთხი ციფრი აღინიშნება დეკლარაციის 37-ე გრაფის მარცხენა განყოფილებაში, ბოლო ორი ციფრი - მარჯვენაში.

სრული სახით საბაჟო რეჟიმის ექვსნიშნა კოდს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახე (მაგალითები პირობითია):

3131 23 - ადრე დროებით შემოტანილი იჯარით აღებული საქონლის საზღვარგარეთ უკან გატანა.

7210 00 - საქონლის შემოტანა საბაჟო ვაჭრობის მაღაზიებისათვის.

1000 00 - საქონლის გატანა საზღვარგარეთ თავისუფალი მიმოქცევისათვის.

4031 20 - ადრე დროებით გატანილი საგამოფენო ექსპონატების უკან შემოტანა.

გრაფა 38 - "ნეტო წონა" (კგ).

გრაფაში აღინიშნება 31-ე გრაფაში აღნიშნული საქონლის ნეტო წონა (კგ) (ნეტო წონა არის საქონლის წონა შეფუთვის გარეშე დამრგვალებული წონის მიხედვით მთელ რიცხვამდე).

გრაფა 39 - "კვოტა".

გრაფაში აღინიშნება კვოტის ნაშთი მიღებული ლიცენზიის თანახმად.

გრაფა 40 - "საერთო დეკლარაცია/წინმსწრები საბუთი".

გრაფა ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც გაცხადებულ საბაჟო რეჟიმს წინ უსწრებდა სხვა საბაჟო რეჟიმი ან წარმოდგენილი იყო პერიოდული ან დროებითი დეკლარაცია.

გრაფაში აღინიშნება წინმსწრები დეკლარაციის ნომერი.

გრაფა 41 - "დამატებითი ზომის ერთეული".

გრაფაში აღინიშნება საქონლის დამატებითი ზომის ერთეულის კოდი ზომის ერთეულის კოდების კლასიფიკატორის (დანართი 14) მიხედვით.

მაგალითად: საქონლის დასახელება 31-ე გრაფაში - წნეხი-ამკრეფი, საქონლის კოდი - 8433401OO, დამატებითი ზომის ერთეული - ცალი, მაშინ გრაფაში ჩაიწერება დამატებითი ზომის ერთეულის კოდი - 796.

თუ საქონელი განიზომება კოლოგრამებში, იმდენად, რამდენადაც კგ საქონლის ძირითადი განზომილებაა, 41-ე გრაფა არ შეივსება.

გრაფა 42 - "საქონლის ფაქტურული ღირებულება".

გრაფაში აღინიშნება დეკლარაციის 31-ე გრაფაში მოცემული საქონლის საკონტრაქტო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში.

თუ ღირებულება გამოსახულია ათწილადებით, მაშინ იგი უნდა დამრგვალდეს მძიმის შემდეგ პირველ ციფრამდე სიზუსტით.

ყიდვა-გაყიდვის ან ბარტერის ხელშეკრულებისაგან განსხვავებული კონტრაქტის შემთხვევაში საქონლის გაგზავნისას ხელშეკრულების უქონლობისას ან მხარეთა გადაწყვეტილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის არარსებობის დროს გრაფა არ ივსება.

გრაფა 44 - "დამატებითი ინფორმაცია წარდგენილი საბუთები".

გრაფაში აღინიშნება (თითოეული რეკვიზიტი იწყება ახალი ხაზიდან და იწერება რიგითი ნომერი):

1. ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი, ასევე მისი მოქმედების ვადა;
2. სატრანსპორტო საბუთის ნომერი;
3. ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტისაგან განსხვავებული ხელშეკრულების ნომერი და თარიღი;
4. ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის ნომერი და თარიღი;
5. საბაჟოს დასახელება და კოდი, მის მიერ საქონლის გადასამუშავებლად გატანისათვის გაცემული ნებართვის ნომერი და თარიღი;
6. სარეგისტრაციო ან შესაბამისობის სერტიფიკატის ნომერი და გაცემის თარიღი;
7. საქართველოს სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის ნომერი და თარიღი (მათი დასახელების ჩვენებით) იმ შემთხვევაში, თუ საქონელი ექვემდებარება ამ ორგანოების კონტროლს;
8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებართვების ნომერი და თარიღები. აღნიშნული ციფრის გასწვრივ იწერება:

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ან ბრძანებულების გამოცემისას - "ს.პ.-№ 0000, 00.00.00"; საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების შემთხვევაში - "ს.ხ.-№ 0000, 00.00.00"; საქართველოს პარლამენტის დადგენილების ან საქართველოს კანონის შემთხვევაში - "ს.კ.-№ 0000, 00.00.00"; საბაჟო დეპარტამენტის ბრძანების, მითითების ან წერილის შემთხვევაში - "დ.ბ.-№ 0000, 00.00.00", სადაც "№ 0000" აღნიშნავს კანონის, ბრძანებულების, დადგენილების, განკარგულების, ბრძანების და ა.შ. ნომერს, ხოლო "00.00.00"- მათი გამოცემის ან მიღების თარიღს.

9. მონაცემები საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის შესახებ.

მოცემული ციფრის გასწვრივ იწერება:

"ს.რ.ტ.-№ 0000, 00.00.00, სრტ. ქკ 000",

სადაც:

"№ 0000" - აღნიშნავს სერტიფიკატის ნომერს;

"00.00.00" - აღნიშნავს სერტიფიკატის გაცემის თარიღს;

"სრტ. ქკ 000" - აღნიშნავს სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის კოდს მე-3 დანართის შესაბამისად.

გრაფა 46 - "სტატისტიკური ღირებულება".

გრაფაში აღინიშნება საქონლის საკონტრაქტო ღირებულება გადაანგარიშებული 42-ე გრაფის შესაბამისად ამერიკულ დოლარებზე.

42-ე გრაფაში აღნიშნული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება ამერიკულ დოლარებზე ხდება საბაჟოში დეკლარაციის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსით ან საბაჟო დეპარტამენტის მითითების შესაბამისად. ეროვნული ვალუტის ამერიკულ დოლარებზე გადაანგარიშების წესი მოცემულია მე-10 დანართში.

როგორც წესი, სტატისტიკური ღირებულება საბაჟო ღირებულების იდენტურია.

გრაფა 47 "საბაჟო გადასახდების და მოსაკრებლების გაანგარიშება". საქართველოში ექსპორტი არ ითვალისწინებს საბაჟო გადასახდელების გადახდას და ამიტომ 47-ე გრაფაში ფიქსირდება მოსაკრებელი საბაჟო პროცედურების ჩატარებისათვის (საბაჟო გაფორმებისათვის).

47-ე გრაფის პირველ სვეტში გადასახადის სახე, ფიქსირდება ექსპორტის კოდი საბაჟო გადასახდელების (დანართი 8) კლასიფიკატორების მიხედვით - "11";

მე-2 სვეტი - საგადასახადო ბაზა, არ შეივსება;

მე-3 სვეტში აფიქსირებენ მოსაკრებლის განაკვეთს, მაგალითად, "0,15 %";

მე-4 სვეტში ფიქსირდება გადასახდელის თანხა;

მე-5 სვეტში კი ანგარიშსწორების ფორმა: ა) ბანკის მიერ უნაღდო ანგარიშსწორების - "უ.ა"; საბაჟოს სალაროში ნაღდი ფულის შეტანის

"ს.ს."; თანხის გადახდის ნაცვლად ბანკის საგარანტიო წერილის - "ბ.გ."; გადასახდელის გადავადების გირაოს ხარჯზე - "გ.გ."

მაგალითად:

სახე	დარიცხვის საფუძველი	განაკვეთი	თანხა	ა.ფ.
11		0,15 %	82	უა
სულ			82	

გრაფა 48 - "წინასწარი გადახდის ანგარიში №...".

გრაფაში მიეთითება გადასახადის გადამხდელის სადეპოზიტო ანგარიშის ნომერი.

გრაფა 54 - "ადგილი და თარიღი".

გრაფაში აღინიშნება დეკლარაციის შევსების ადგილი და თარიღი, მე-14 გრაფაში აღნიშნული ორგანიზაციის მიერ საქონლის დეკლარირებისათვის უფლებამოსილი პირის გვარი და ინიციალები, მისი თანამდებობა, მისი ხელმოწერა, ორგანიზაცია-დეკლარანტის ბეჭედი, ტელეფონისა და ტელექსის ნომერი.

7. საბაჟოს მიერ შესავსები გრაფების შევსების წესი

გრაფა 7 - "საცნობარო ნომერი".

გრაფაში აღინიშნება დეკლარაციის ნომერი და მიღების თარიღი შემდეგი სქემით:

$$\frac{0000}{1}\ ,\ \frac{00\ /\ 00}{2\quad 3}\ ,\ \frac{\quad 00}{4}\ ,\ \frac{0}{5}\ ,\ \frac{0000}{6}$$

სადაც:

ელემენტი 1 - საბაჟოს ოთხნიშნა ციფრული კოდია;

ელემენტი 2 - საბაჟო საგუშაგოს ორნიშნა ციფრული კოდი;

ელემენტი 3 და 4 - დეკლარაციის მიღების რიცხვი და თვე;

ელემენტი 5 - მიმდინარე წლის ბოლო ციფრი;

ელემენტი 6 - დეკლარაციის რიგითი ნომერი გაფორმებული შესაბამის საბაჟოში (იხილეთ ელემენტი 1 და 2). წლის დამთავრების შემდეგ დეკლარაციის ნუმერაცია თავიდან იწყება.

დეკლარაციის რიგითი ნომერი არ უნდა მეორდებოდეს, მიუხედავად იმისა, შემოაქვთ თუ გააქვთ საქონელი. რიგითი ნომრის მინიჭება დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით.

გრაფა 13.

გრაფაში აღინიშნება შიგა საბაჟო ტრანზიტის ფორმა №1-ის (შსტ) სარეგისტრაციო ნომერი, თუ აღნიშნულ დეკლარაციაში გაფორმებული საქონელი გადაიზიდება ერთი სატრანსპორტო საშუალებით.

როდესაც დეკლარაციაში გაფორმებული საქონელი გადაიზიდება რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით, გრაფაში იწერება "იხ. უკანა გვერდი". დეკლარაციის უკანა მხარეს სატრანსპორტო საშუალებების ნომრების გასწვრივ იწერება შსტ ფორმების შესაბამისი სარეგისტრაციო ნომრები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟოს მიერ შსტ ფორმა არ ივსება, გრაფაში იწერება - "0".

გრაფა "B" - "ვრცელი გამოანგარიშება".

გრაფაში აღინიშნება:

- გადასახადის კოდი საბაჟო გადასახდელების კლასიფიკატორის (დანართი 8) შესაბამისად;

- გადასახადის საერთო თანხა მოცემული კოდის შესაბამისად. იგი შედგება დეკლარაციაში და დამატებით ფურცლებში ნაჩვენები თანხების ჯამისაგან;

- საგადასახადო რეკვიზიტები.

როდესაც გადახდა ხდება საბაჟომდე ან საბაჟო გაფორმებისას,

მაშინ აღინიშნება საგადასახადო დავალების "ს.დ." (საგადასახადო დავალება) ნომერი და თარიღი.

მაგალითად:

10 - —— ლარი - ს.დ. № 200_წ.

20 - —— ლარი - ს.დ. № 200_წ.

გრაფა "C".

ძირითადი და დამატებითი ფურცლების ამ გრაფებში საბაჟოს საგადასახადო სამსახურის თანამშრომლის მიერ უნდა დაისვას დამღა "საგადასახადო კონტროლი". დამღაში მითითებულ შესაბამის ადგილზე იგივე თანამშრომელი აწერს ხელს, მიუთითებს გაფორმების თარიღს და ამოწმებს პირადნომრიანი ბეჭდით. ბეჭდის დასმა დამღის შიგნით მებაჟის მიერ დაუშვებელია.

ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით, სრულყოფილად უნდა იკითხებოდეს ბეჭდის და დამღის ნომრები და წარწერა.

გრაფა "D".

გრაფაში უნდა დაისვას საბაჟოს სატვირთო სამსახურის დამღა "გაშვება ნებადართულია". დამღაში მითითებულ შესაბამის ადგილზე სატვირთო სამსახურის თანამშრომელი აწერს ხელს და მიუთითებს გაფორმების თარიღს.

საბაჟო კონტროლის დამადასტურებელი დამღა მოწმდება საბაჟოს სატვირთო სამსახურის თანამშრომლის პირადნომრიანი ბეჭდით, როდესაც ის მიიღებს გადაწყვეტილებას საქონლის გატარებაზე. ბეჭდის დასმა დამღის შიგნით მებაჟის მიერ დაუშვებელია. ხელმოწერა შესრულებული უნდა იქნეს გარკვევით, სრულყოფილად უნდა იკითხებოდეს ბეჭდის და დამღის ნომრები და წარწერა.

დასაშვებია დეკლარაციის ფურცლის უკანა მხარის გამოყენება საბაჟო ორგანოების მიერ სხვა აღნიშვნებისათვის.

8. საქართველოში შემოსატან საქონელზე დეკლარაციის შევსების წესი

დეკლარანტის მიერ ივსება დეკლარაციის შემდეგი გრაფები:

- ციფრული - 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 11, 12, 14, 15, 15-ა, 16, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 44, 45, 46, 47,48, 53, 54;

- ასოებრივი - "A".

დანარჩენი გრაფები დეკლარანტის მიერ არ ივსება.

გრაფები: 3, 4, 5, 6, 11, 14, 19, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 35, 37, 38, 39, 40, 41, 42, 44, 48, 54 ივსება ისევე, როგორც საქონლის საზღვარგარეთ გატანისას თავისუფალი მიმოქცევისათვის.

საბაჟოს მიერ ივსება გრაფები: 7, 13, 43, "B", "C" და "D" გრაფები: 7, 13, "B", "C" და "D" ივსება იმავე წესით, როგორც საქონლის საზღვარგარეთ გატანისას თავისუფალი მიმოქცევისათვის.

გრაფა 1 - "დეკლარაციის ტიპი".

გრაფის პირველ განყოფილებაში აღინიშნება საბაჟო რეჟიმის შემოკლებული დასახელება - "იმ" - იმპორტი, მეორეში - ძირითადი საბაჟო რეჟიმის ორნიშნა კოდი საბაჟო რეჟიმების კლასიფიკატორის (დანართი 1) შესაბამისად.

გრაფა 2 - "გამგზავნი ექსპორტიორი".

გრაფაში აღინიშნება საქონლის გამომგზავნი არარეზიდენტი საწარმოს დასახელება და საფოსტო მისამართი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი.

გრაფა 8 - "მიმღები იმპორტიორი".

გრაფაში აღინიშნება საქონლის მიმღები რეზიდენტი საწარმოს დასახელება, საფოსტო მისამართი, საფოსტო ინდექსის, ტელექსის ან ტელეფაქსის ნომრის ჩვენებით ან რეზიდენტი ფიზიკური პირის სახელი, მამის სახელი და მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი.

თუ საგარეო-სავაჭრო გარიგება გაფორმებულია შუამავლის მეშვეობით, მაშინ მიმღებად ითვლება საქონლის პირველი მფლობელი ამ გარიგების შესრულების შემდეგ.

გრაფის ზედა ნაწილში "№" ნიშნის შემდეგ აღინიშნება ამ საწარმოს ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც მინიჭებული აქვს საგადასახადო ინსპექციის მიერ.

გრაფა 9 - "ფინანსურ დარეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი".

გრაფაში აღინიშნება დაწესებულების დასახელება და მისამართი ან ფიზიკური პირის სახელი, მამის სახელი, გვარი, მისამართი და პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემები, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშსწორებაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსურ ანგარიშსწორებაზე პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს საქონლის მიმღებს, კეთდება აღნიშვნა "იხ. გრაფა 8"

გრაფის ზედა ნაწილში "№" ნიშნის შემდეგ აღინიშნება ფინანსურ ანგარიშსწორებაზე პასუხისმგებელი პირის საიდენტიფიკაციო ცხრანიშნა კოდი.

გრაფა 12 - "საქონლის მთლიანი ღირებულება".

გრაფაში აღინიშნება დეკლარირებული საქონლის მთელი პარტიის საბაჟო ღირებულება, რომელიც მიიღება დეკლარაციის ძირითადი და დამატებითი ფურცლების 45-ე გრაფების მონაცემების ჯამის გაყოფით დეკლარაციის 23-ე გრაფაში მოცემული ვალუტის კურსზე.

გრაფა 15 - "გამომგზავნი ქვეყანა".

გრაფაში აღინიშნება საქართველოში საქონლის გამომგზავნი ქვეყნის მოკლე დასახელება "მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის" (დანართი 3) შესაბამისად.

გრაფა 15-ა - "გამომგზავნი ქვეყნის კოდი".

გრაფაში აღინიშნება საქართველოში საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ციფრული კოდი "მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის" (დანართი 3) შესაბამისად.

გრაფა 16 - "წარმოშობის ქვეყანა".

გრაფაში აღინიშნება ამ საქონლის მწარმოებელი ქვეყნის მოკლე დასახელება "მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის" (დანართი 3) შესაბამისად.

თუ კონტრაქტის შესრულების დროს ამ საქონლის მწარმოებელი ქვეყანა უცნობია, მაშინ გრაფაში აღინიშნება "უცნობი".

თუ საქონელი შექმნილია სხვადასხვა ქვეყნებში, გრაფაში აღინიშნება "სხვადასხვა".

გრაფა 18 - "სატრანსპორტო საშუალება გამოგზავნისას".

გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, ნილადის შემდეგ აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებული იქნა გასაფორმებლად შესაბამის ზონაში მოქმედ საბაჟო ორგანოში (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, საგზაო სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი მონაცემები).

გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში კეთდება მითითება "იხ. უკანა გვერდზე". სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ოთხივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები.

მაგალითად: 01 ა/მ ABD-655

23 რკინიგზ. ვაგ. (იხ. უკანა გვერდზე)

გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის კოდი მე-3 დანართის შესაბამისად.

გრაფა 20 - "მიწოდების პირობები".

გრაფის პირველ განყოფილებაში აღინიშნება მიწოდების პირობების ციფრული კოდი "მიწოდების პირობების კლასიფიკატორის" (დანართი 4) შესაბამისად.

მე-2 განყოფილებაში ჩაიწერება მიწოდების პირობების მოკლე დასახელება (დანართი 4) გეოგრაფიული პუნქტის მითითებით.

გრაფა 21 - "სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე".

გრაფის მარცხენა განყოფილებაში ფიქსირებულია მონაცემები იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლითაც ხდება საქართველოში საქონლის შემოტანა (საზღვაო გემების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, საგზაო ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები).

გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მითითებულია სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი. კოდი მიეთითება "მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის" (დანართი 3) შესაბამისად.

გრაფა 34 - "წარმოშობის ქვეყნის კოდი".

გრაფაში აღინიშნება საქონლის მწარმოებელი ქვეყნის კოდი "მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორის" მიხედვით.

თუ მწარმოებელი ქვეყანა უცნობია ან საქონელი წარმოქმნილია რამდენიმე ქვეყანაში, გრაფაში აღინიშნება "000".

გრაფა 36 - "პრეფერენცია".

გრაფაში აღინიშნება გადასახდელებისგან გათავისუფლების ხუთნიშნა სამ ელემენტიანი კოდი: 9 99 99

სადაც:

ელემენტი 1 აღნიშნავს საბაჟო პროცედურებზე მოსაკრებლისაგან გათავისუფლების კოდს. გათავისუფლების შემთხვევაში იწერება კოდი - "1", წინააღმდეგ შემთხვევაში - "0".

ელემენტი 2 აღნიშნავს საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლების კოდს. გათავისუფლების შემთხვევაში იწერება კოდი მე-9 დანართის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში - "00".

ელემენტი 3 აღნიშნავს აქციზებისა და დამატებული ღირებულებისაგან გათავისუფლების კოდს. გათავისუფლების შემთხვევაში იწერება კოდი მე-13 დანართის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში - "00".

გრაფა 45 - "საბაჟო ღირებულება".

გრაფაში აღინიშნება 31-ე გრაფაში მითითებული საქონლის შესაბამისი საბაჟო ღირებულება, გამოთვლილი საბაჟო ღირებულების დეკლარაციების თანახმად (სღდ-1, სღდ-2) ეროვნულ ვალუტაში.

თუ ღირებულება გამოსახულია ათწილადებით, მაშინ იგი უნდა დამრგვალდეს მძიმის შემდეგ პირველ ორ ციფრამდე სიზუსტით.

გრაფა 46 - "სტატისტიკური ღირებულება".

გრაფაში აღინიშნება საქონლის საბაჟო ღირებულება გადაანგარიშებული 45-ე გრაფის შესაბამისად ამერიკულ დოლარებში.

45-ე გრაფაში აღნიშნული საქონლის საბაჟო ღირებულების გადაანგარიშება ამერიკულ დოლარებში ხდება საბაჟოში დეკლარაციის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსით ან საბაჟო დეპარტამენტის მითითებათა შესაბამისად. მოცემული ვალუტის ამერიკულ დოლარებში გადაანგარიშების წესი მოცემულია მე-10 დანართში.

გრაფა 47 - "საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშება".

საბაჟოში საქონლის გაფორმებისათვის მოსაკრებლის გადახდის შესახებ გრაფის შევსების წესი ისეთივეა, როგორც საქართველოდან საქონლის გატანის დროს დეკლარაციის გაფორმებისას.

გრაფის შევსების წესი საბაჟო გადასახადის ნაწილში ისეთივეა, როგორც მოსაკრებელით დაბეგვრა ექსპორტის დროს. განსხვავებულია საიმპორტო დაბეგვრის განაკვეთის სიდიდეები.

გრაფის შევსების წესი საქონელზე აქციზის და დამატებული ღირებულების გადასახადის გაანგარიშებისას შემდეგია:

ა) შემოსატან საქონელზე აქციზის გადასახადის გაანგარიშება:

47-ე გრაფის პირველ სვეტში ("სახე") აღინიშნება გადასახადის კოდი (დანართი 8).

გრაფის მეორე სვეტში ("დარიცხვის საფუძველი") აღინიშნება თანხა, რომელიც მიიღება დეკლარაციის 45-ე გრაფაში მოცემული საქონლის საბაჟო ღირებულების, საბაჟო გადასახადის და მოსაკრებლის თანხების შეჯამებით.

გრაფის მე-3 სვეტში ("განაკვეთი") აღინიშნება აქციზის განაკვეთის სიდიდე პროცენტებში საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ.

გრაფის მეოთხე სვეტში ("თანხა") იწერება საქონლის სააქციზო გადასახადი. იგი მიიღება გრაფის მეორე სვეტის მონაცემების გამრავლებით მესამე სვეტში მოცემული პროცენტული განაკვეთის სიდიდეზე.

გრაფის მე-5 სვეტში ("ა.ფ.") მიეთითება აქციზის გადახდის ფორმა:

"უ.ა." - ბანკის მიერ უნაღდო ანგარიშსწორება;

"ს.ს." - საბაჟოს სალაროში ნაღდი ფულის შეტანა;

"ბ.გ." - თანხა გადახდილი არ არის. წარმოდგენილია ბანკის საგარანტიო წერილი;

"გ.გ." - მოცემულია გადასახადის გადავადება გირაოთი.

ბ) შემოსატან საქონელზე დამატებული ღირებულების გადასახადის გაანგარიშება:

47-ე გრაფის პირველ სვეტში ("სახე") აღინიშნება დამატებული ღირებულების გადასახადის კოდი - 28 (დანართი 8).

გრაფის მეორე სვეტში ("დარიცხვის საფუძველი") აღინიშნება თანხა, რომელიც მიიღება დეკლარაციის 45-ე გრაფაში მოცემული საქონლის საბაჟო ღირებულების, საბაჟო გადასახადის და მოსაკრებლის თანხების შეჯამებით.

გრაფის მესამე სვეტში ("განაკვეთი") აღინიშნება დამატებული ღირებულების გადასახადის დადგენილი პროცენტული განაკვეთი საბაჟო ღირებულების მიმართ.

გრაფის მეოთხე სვეტში ("თანხა") იწერება საქონლის სააქციზო გადასახადი. იგი მიიღება გრაფის მეორე სვეტის მონაცემების გამრავლებით მესამე სვეტში მოცემული პროცენტული განაკვეთის სიდიდეზე.

გრაფის მეხუთე სვეტის შევსების წესი ანალოგიურია სააქციზო გადასახადის გადახდის დროს მე-5 სვეტის შევსების წესისა.

გრაფა 48 - "წინასწარი გადახდის ანგარიში №".

გრაფაში აგრეთვე აღინიშნება გადასახდელის გადავადების თარიღი.

9. დეკლარაციის შევსების წესი საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული საქონლის გატარებისას

დეკლარანტის მიერ ივსება დეკლარაციის შემდეგი გრაფები: 1, 2, 3, 5, 6, 8, 14, 15, 15-ა, 16, 17, 17-ა, 19, 21, 25, 26, 28, 29, 31, 33, 34, 35, 37, 38, 44, 47.

გრაფები 2, 3, 5, 8, 14, 17, 17-ა, 19, 25, 26, 28, 29, 33, 35, 37, 38 ივსება იმავე წესით, როგორც საქონლის საქართველოში შემოტანის დროს. დანარჩენი გრაფები საქონლის ტრანზიტის დროს არ ივსება.

საბაჟოს მიერ ივსება გრაფები 7, "C", "D" ისეთივე წესით, როგორც საქონლის საზღვარგარეთ გატანისას, ხოლო გრაფა "B" ივსება უცხოური საქონლის ტრანზიტთან მისადაგებით.

ზოგიერთი გრაფის შევსებას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

გრაფა 1 - "დეკლარაციის ტიპი".

პირველ განყოფილებაში მითითებულია ოპერაციის დასახელება ტრანზიტი, მეორეში - ძირითადი საბაჟო რეჟიმის ორნიშნა კოდი "საბაჟო რეჟიმების კლასიფიკატორის" მიხედვით (დანართი 1).

მესამე განყოფილება არ ივსება.

გრაფა 2 - "გამგზავნი ექსპორტიორი".

გრაფაში მიეთითება იმ უცხოური ორგანიზაციის რეკვიზიტები, რომელიც წარმოადგენს ტვირთის გამგზავნს.

გრაფა 8 - "მიმღები იმპორტიორი".

გრაფაში აღინიშნება ტვირთის მიმღები ორგანიზაციის რეკვიზიტები.

გრაფა 47 - "საბაჟო მოსაკრებლების გამოანგარიშება".

საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთის გაფორმებისათვის საბაჟო ორგანოები იღებენ გადასახადს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პირველ სვეტში ("სახე") იწერება პროცედურის კოდი. გრაფის მე-4 სვეტში ("თანხა") იწერება გადასახდელი თანხის სიდიდე. მე-5 სვეტი ივსება საექსპორტო ოპერაციის დროს აღნიშნული გრაფის მე-5 სვეტის შევსების ანალოგიურად.

10. დანარჩენი საბაჟო რეჟიმებისათვის დეკლარაციის შევსების თავისებურებანი

საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებისას დეკლარაციაში ივსება გრაფები: 1, 2, 3, 5, 6, 8, 9, 12, 14, 15, 15-ა, 16, 19, 21, 22, 23, 25, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 40, 44, 45, 47, 49, 54, A, B.

თუ საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონელი გამიზნულია გასატანად, ზემოთ ჩამოთვლილს გამოაკლდება (არ შეივსება) შემდეგი გრაფები: 8, 15, 15-ა, 21, 25, 29.

ამ რეჟიმში საბაჟოს თანამდებობის პირები ავსებენ დეკლარაციის გრაფებს: 7, "C" და "D".

პირველი გრაფის პირველ განყოფილებაში იწერება „თმ", თუ საბაჟო საწყობში თავსდება შემოტანილი საქონელი, ხოლო თუ გასატანი საქონელი - „EK".

მეორე განყოფილებაში იწერება საბაჟო რეჟიმის კოდი - "74".

მესამე განყოფილება რჩება შეუვსებელი.

მე-2 გრაფაში იწერება იმ პირის მონაცემები, ვინც ათავსებს საწყობში საქონელს.

22-ე გრაფის მარცხენა განყოფილებაში იწერება ხელშეკრულების თუ გარიგების მარეგლამენტირებელი ვალუტის კოდი. მარჯვენა განყოფილებას არ ავსებენ.

28-ე გრაფაში ახალი პწკარიდან ახალი რიგითი ნომრით იწერება:

1. სალარო ანგარიშის ნომერი ბანკში, ბანკის კოდი და მოკლე დასახელება იმ პირისა, რომლის მონაცემებიც მოთავსებულია მე-9 გრაფაში;

2. სავალუტო ანგარიშის ნომერი ბანკში, ბანკის კოდი და მოკლე დასახელება ბანკისა, რომელშიც ანგარიში აქვს გახსნილი მე-9 გრაფაში მითითებულ პირს.

გრაფა 44. „დამატებითი ინფორმაცია/წარმოდგენილი საბუთები".

გრაფაში ციფრი "4"-ის გასწვრივ იწერება იმ ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, რომლის საფუძველზეც საქონელი დასაწყობდა.

გრაფა 49. „საწყობის დასახელება".

გრაფაში იწერება საწყობის დამფუძნებლის ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი.

რეიმპორტის რეჟიმში დეკლარირებისას ივსება გრაფები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 12, 14, 15, 15-ა, 16, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 40, 41, 42, 44, 45, 46, 47, 50, 54, A, B.

28-ე გრაფაში საქონლის შემოტანისას იწერება (თითოეული რეკვიზიტი ახალი პწკარით და მათ წინაშე რიგითი ნომრის დასმით) ბანკის რეკვიზიტები და მიმდინარე სავალუტო ანგარიშის ნომერი ბანკში (იმ ვალუტაში, რომელშიც ხდება ანგარიშსწორება) იმ პირისა, ვინც საბაჟო საზღვარზე რეიმპორტის რეჟიმში გადააადგილებს საქონელს. სხვა შემთხვევაში გრაფა არ ივსება.

31-ე გრაფა ივსება ჩვეულებრივი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქონელმა საზღვარგარეთ განიცადა ცვლილება. ასეთ შემთხვევაში დეკლარაციაში კეთდება მინიშნება.

მე-40 გრაფაში იწერება იმ დეკლარაციის ნომერი, რომლითაც ადრე საქონელი გატანილი იქნა საზღვარგარეთ ან გატანის თარიღი ან ერთიც და მეორეც.

მე-50 გრაფაში დეკლარანტი აფიქსირებს: "ვადასტურებ, რომ საქონელი შეესაბამება რეიმპორტის რეჟიმის პირობებს, გატანის ფაქტს და მომენტს და ვიძლევი პირობას ქართული საქონელი შემოვიტანო უცვლელი სახით".

საბაჟო დეკლარაციის შევსება სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის შემთხვევაში. ამ დროს დეკლარანტი ავსებს გრაფებს: 1, 3, 4, 5, 6, 12, 14, 22, 31, 33, 35, 37, 38, 40, 41, 44, 45, 50, 54. თუ საქონლის ღირებულება უცნობია, არ შეივსება 12, 22, 45 გრაფები. თუ დეკლარანტს არ შეუძლია საქონლის კლასიფიცირება (ნომენკლატურის კოდის მინიჭება), 33 და 41 გრაფებს ავსებს საბაჟო. საბაჟო ასევე, როგორც წესი, ავსებს 7, C და D გრაფებს.

პირველი გრაფის პირველ განყოფილებაში, თუ საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უარი ითქვა, საქონლის შემოტანისას აღინიშნება "თმ", ხოლო გატანისას - "ცკ". მეორე განყოფილებაში იწერება რეჟიმის კოდი - "75". მესამე განყოფილება არ ივსება.

22-ე გრაფაში მარცხენა განყოფილებაში იწერება იმ ვალუტის კოდი, რომელშიც ნაჩვენებია 45-ე გრაფაში საქონლის საბაჟო ღირებულება.

31-ე გრაფაში შეიტანენ საქონლის და სატრანსპორტო საშუალების ინდივიდუალურ მაჩვენებლებს.

მე-40 გრაფაში, თუ მანამდე ეს საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება მოთავსებული იყო სხვა რეჟიმში, იწერება ადრე შევსებული საბაჟო დეკლარაციის ნომერი.

50-ე გრაფაში მოკლედ ჩაიწერება საქონლის თუ სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსათვის გადაცემის მიზეზი.

საბაჟო დეკლარაციის შევსებისას დროებითი შემოტანის (გატანის) საბაჟო რეჟიმებისათვის დეკლარანტი ავსებს გრაფებს: 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 12, 14, 15, 15-ა, 16, 17, 17-ა, 18, 19, 21, 22, 23, 25, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 40, 42, 44, 45, 47, 54, A და B.

პირველი გრაფის პირველ განყოფილებაში იწერება „ვკ", როცა ხდება საქონლის დროებითი გატანა, ხოლო დროებით შემოტანისას - „თმ". მეორე განყოფილებაში იწერება რეჟიმის კოდი - "31".

მე-9 გრაფაში იწერება იმ პირის მონაცემები, ვინც მიიღო საქონლის დროებითი შემოტანის (გატანის) უფლება.

მე-12 გრაფაში იწერება საქონლის საერთო საბაჟო ღირებულება აშშ-ს დოლარებში (ძირითადი და დამატებითი ფურცლების 45-ე გრაფის მაჩვენებლების ჯამი).

22-ე გრაფაში, მარცხენა განყოფილებაში იწერება იმ ვალუტის კოდი, რომელშიც მოცემულია საქონლის საბაჟო ღირებულება.

28-ე გრაფაში თავიანთი ნომრით იწერება მე-9 გრაფაში დასახელებული პირის ბანკის ნომრები, კოდები, მოკლე სახელწოდება და ანგარიშების ნომრები: 1. ეროვნულ ვალუტაში; 2. უცხოურ ვალუტაში.

36-ე გრაფაში, თუ ამ რეჟიმში საქონელი თავისუფლდება გადასახადისაგან, იწერება "0".

44-ე გრაფაში ციფრი "8"-ს გასწვრივ უნდა ჩაიწეროს დროებით შემოტანილი (გატანილი) საქონლის დაბრუნების ვადა შემდეგი ფორმით: "პირობას ვდებ საქონელი გავიტანო (შემოვიტანო) —.—.—მდე".

45-ე გრაფაში იწერება შემოტანილი (გატანილი) საქონლის საბაჟო ღირებულება აშშ დოლარებში (დამრგვალებული დოლარამდე).

47-ე გრაფა ივსება ჩვეულებრივი წესით, ოღონდ გადახდის წესის სვეტში იწერება - "პირობითი გადახდა", რაც ნიშნავს, რომ გადასახადი ერიცხება, მაგრამ არ გადაიხდევინება.

დეკლარაციის შევსება უბაჟო ვაჭრობის მაღაზიისათვის ხორციელდება შემდეგი გრაფების შევსებით: 1, 2, 3, 5, 6, 9, 12, 14, 15, 15-ა, 16, 18, 19, 21, 22, 23, 24, 25, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 38, 41, 42, 44, 45, 46, 47, 54, A და B.

პირველ გრაფაში იწერება „ცკ" თუ საქონელი სამამულოა, ხოლო თუ შემოტანილი - „თმ", მეორე განყოფილებაში იწერება საბაჟო რეჟიმის კოდი - "72"

მე-2 გრაფაში, როცა საქონელი მაღაზიაში შეაქვს საქართველოს პირს, ივსება მისი მონაცემებით. სხვა შემთხვევაში - ჩვეულებრივი წესით.

მე-9 გრაფაში იწერება მაღაზიის მფლობელის მონაცემები.

30-ე გრაფაში იწერება უბაჟო ვაჭრობის სავაჭრო ობიექტის გახსნის ლიცენზიის ნომერი.

დეკლარაციის შევსებისას რეექსპორტის საბაჟო რეჟიმისათვის შეივსება გრაფები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 12, 14, 15, 15ა, 16, 17, 17ა, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 40, 41, 42, 44, 45, 46, 47, 54, A და B.

პირველი გრაფის პირველ განყოფილებაში საქონლის რეექსპორტის რეჟიმში შემოტანისას იწერება "თმ", იმავე რეჟიმში გატანისას - "ცკ". მეორე განყოფილებაში იწერება ამ საბაჟო რეჟიმის კოდი - "11".

მე-9 გრაფაში იწერება რეექსპორტის რეჟიმში საქონლის გადამაადგილებელი პირის მონაცემები.

მე-20 გრაფის პირველ განყოფილებაში იწერება მიწოდების პირობების ორნიშნა კოდი, ხოლო მეორე განყოფილების მარცხენა ნაწილში მიწოდების პირობების ასოებრივი დასახელება გეოგრაფიული პუნქტის მინიშნებით. მესამე და მეოთხე განყოფილებები არ შეივსება.

28-ე გრაფაში (თითოეული) - ახალი პწკარიდან, იწერება მე-9 გრაფაში მითითებული პირის საბანკო რეკვიზიტები:

1. ბანკის კოდი;
2. ბანკის მოკლე სახელწოდება;
3. ბანკის მისამართი (საფოსტო ინდექსი და ქალაქი);
4. ანგარიშის ნომერი (ლარებში და უცხოურ ვალუტაში).

44-ე გრაფაში ციფრი "8"-ს გასწვრივ იწერება შემოტანილი საქონლის გატანის თარიღი შემდეგი ფორმით: "პირობას ვიძლევი საქონელი გავიტანო —.—.—მდე".

საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმისას ივსება გრაფები: 1, 2, 3, 5, 6, 8, 9, 11, 12, 14, 15, 15-ა (გადამუშავებული საქონლის შემოტანისას), 17 და 17-ა (გადასამუშავებლად საქონლის გატანისას), 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 31, 32, 33, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 54, A და B.

პირველ გრაფაში გადასამუშავებლად საქონლის გატანისას იწერება „ცკ", ხოლო გადამუშავებულის შემოტანისას - „თმ". მეორე განყოფილებაში იწერება რეჟიმის კოდი - "61".

მე-9 გრაფაში იწერება იმ პირის მონაცემები, ვინც მიიღო ლიცენზია საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავებაზე.

28-ე გრაფაში (ყოველთვის ახალი პწკარიდან) იწერება მე-9 გრაფაში აღნიშნული პირის საბანკო რეკვიზიტები:

1. **ბანკის კოდი;**
2. **ბანკის მოკლე სახელწოდება;**
3. **ბანკის მისამართი;**
4. **ანგარიშის ნომერი (ლარებში და უცხოურ ვალუტაში).**

42-ე გრაფაში მიეთითება კონტრაქტის ღირებულება, რომელიც მოყვანილია ანგარიშ-ფაქტურაში ან სხვა კომერციულ და სატრანსპორტო დოკუმენტებში.

44-ე გრაფაში ციფრი "4"-ს გასწვრივ იწერება გადამუშავებაზე ხელშეკრულების ნომერი და თარიღი; ციფრი "5"-ს გასწვრივ - ტერიტორიის გარეთ გადამუშავების ლიცენზიის ნომერი და თარიღი.

საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დეკლარაციაში უნდა შეივსოს შემდეგი გრაფები: 1, 2, 3, 5, 6, 8, 9, 11, 12, 14, 15, 15-ა, 16, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 40, 41, 42, 44, 45, 46, 47, 48, 54, A და B.

პირველი გრაფის პირველ განყოფილებაში იწერება - „თმ", მეორეში - რეჟიმის კოდი - "52".

მე-9 გრაფაში შეიტანება მონაცემები საქართველოს იმ პირის შესახებ, რომელმაც მიიღო ნებართვა (ლიცენზია) ამ რეჟიმში საქონლის გადამუშავებაზე.

დანარჩენი გრაფები შეივსება ისევე, როგორც საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმისას.

საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმისას დეკლარაციაში შეივსება გრაფები: 1, 2, 3, 5, 6, 8, 9, 11, 12, 14, 15 და 15-ა (გადასამუშავებლად საქონლის შემოტანისას), 17 და 17-ა (გადამუშავების პროდუქტის გატანისას), 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 31, 32, 33, 34 (გადასამუშავებლად საქონლის შემოტანისას), 35, 37, 38, 40, 41, 42, 44, 45, 46, 47, 48, 54, A და B.

პირველ გრაფაში საქონლის გადასამუშავებლად შემოტანისას იწერება „თმ", ხოლო გადამუშავების პროდუქტის გატანისას - „ცკ". მეორე განყოფილებაში იწერება რეჟიმის კოდი - "52". დანარჩენი რეკვიზიტები ივსება ისევე, როგორც საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმში.

როდესაც მიმდინარეობს რაიმე დიდი კომპლექსის (მაგალითად, ნავთობსადენის) მშენებლობა, საბაჟო გაფორმების გასამარტივებლად მიმართავენ დეკლარაციის გამარტივებულ ფორმას - **დეკლარაციას მშენებარე კომპლექსური ობიექტებისათვის.**

ასეთ დროს დეკლარაციაში შეივსება გრაფები: 1, 2, 8, 11, 14, 15 და 15-ა (თუ ობიექტი შენდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე), 17 და 17-ა (თუ ობიექტი შენდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ), 22, 28, 31, 44, 54.

ამ დროს დეკლარაციის შევსებას ახლავს თავისებურებანი:

პირველ გრაფაში პირველ განყოფილებაში საქონლის შემოტანისას იწერება „თმ", გატანისას „ცკ". მეორე გრაფაში ჩაიწერება კოდები: გატანისას "10", შემოტანისას "40". მესამე განყოფილებაში იწერება "კ ", რაც ნიშნავს კომპლექსურ ობიექტს.

22-ე გრაფაში ვალუტის კოდის შემდეგ იწერება კომპლექსური ობიექტის აშენების სრული საკონტრაქტო ღირებულება.

31-ე გრაფაში იწერება მშენებარე ობიექტის კომერციული სახელწოდება.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო საწყობი ეკუთვნის საბაჟოს, დეკლარაცია შეივსება ჩვეულებრივად, როგორც საერთოდ საბაჟო საწყობის რეჟიმისათვის, მაგრამ მე-9, 44-ე და 49-ე გრაფების შევსებისას გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურებანი:

მე-9 გრაფაში შეიტანება მონაცემები იმ პირისა, ვინც მოათავსა საქონელი საწყობში;

44-ე გრაფაში ციფრი "4"-ს გასწვრივ იწერება სასაწყობო ცნობის ნომერი და თარიღი;

49-ე გრაფაში იწერება იმ საბაჟოს სახელწოდება და კოდი, რომლის სტრუქტურულ ქვედანაყოფსაც წარმოადგენს საწყობი.

საბაჟო რეჟიმების კლასიფიკატორი

I. ძირითადი საბაჟო რეჟიმები

№	საბაჟო რეჟიმების დასახელება	კოდი
1.	ექსპორტი	10
2.	რეექსპორტი	11
3.	დროებითი შემოტანა და/ან გატანა	31
4.	თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი)	40
5.	რეიმპორტი	41
6.	გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე	51
7.	გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ	52
8.	გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ	61
9.	თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება	71
10.	უბაჟო ვაჭრობა	72
11.	თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება	73
12.	საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა	74
13.	უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ	75
14.	განადგურება	76
15.	ტრანზიტი	80

დანართი 1 (გაგრძელება)

საქონლის გადაადგილების თავისებურებანი

№	საქონლის გადაადგილების თავისებურების დასახელება	კოდი
1	უსასყიდლო დახმარების მიზნით და/ან სახელმწიფოს, მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების ხაზით საქველმოქმედო მიზნით საქონლის გადაადგილება	01
2	ჰუმანიტარული დახმარების სახით საქონლის გადაადგილება	02
3	ტექნიკური დახმარების სახით საქონლის გადაადგილება	03
4	საჩუქრის სახით საქონლის გადაადგილება	04
5	სტიქიური უბედურებების, კატასტროფების და ავარიების სალიკვიდაციოდ გადაადგილებული საქონელი	05
6	სახელმწიფო საჭიროებისათვის გადაადგილებული საქონელი	06
7	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და აღჭურვილობის საგნების, სათბობის, სურსათის და სხვა ქონების გადაადგილება აუცილებელი საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო საშუალებების ნორმალური ექსპლუატაციისათვის	07
8	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და აღჭურვილობის საგნების, სურსათის და სხვა ქონების გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ საზღვაო რენვის მწარმოებელი საქართველოს საწარმოების, ორგანიზაციების, ფიზიკური პირების მიერ იჯარით აღებული (დაფრახტული) საზღვაო ხომალდების უზრუნველყოფისათვის, რომლებიც აწარმოებენ საზღვაო რენვას	08
9	საქართველოს და საქართველოს ფიზიკური პირების მიერ იჯარით აღებული (დაფრახტული) საზღვაო ხომალდების საზღვაო რენვის პროდუქციის შემოტანა	09

№	საქონლის გადაადგილების თავისებურების დასახელება	კოდი
10	საქართველოს და საქართველოს ფიზიკური პირების მიერ იჯარით აღებული (დაფრახტული) საზღვაო ხომალდების ბუნკერში ჩასატვირთად სათბობის და საპოხი მასალების გატანა	10
11	კომპლექსური ობიექტებისათვის მოწყობილობის, ნედლეულის და მასალების გადაადგილება	11
12	უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობებისათვის საქონლის გატანა	12
13	საქართველოში უცხოელი ინვესტორების მიერ უცხოური ინვესტიციების მქონე საწარმოს და უცხოეთის საწარმოს საწესდებო ფონდში წილის სახით შეტანილი საქონელი	13
14	საქონლის გატანა საქართველოს ინვესტიციების სახით	14
15	საქართველოს ვალუტის, ფასიანი ქაღალდების (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებისათვის გამოყენებული) გადაადგილება	15
16	უცხოური ვალუტის, ფასიანი ქაღალდების (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებისათვის გამოყენებული) გადაადგილება	16
17	საგარანტიო მომსახურების მიზნებისათვის საქონლის გადაადგილება	17
18	შეცდომითი მიწოდება	18
19	წარმომადგენლობითი მიზნებისათვის საქონლის გადაადგილება	19
20	საგამოფენო ექსპონატები	20
21	სუვენირები და სარეკლამო მასალები	21
22	ხელშეკრულების შესაბამისად ერთ წლამდე ვადით იჯარით აღებული საქონლის გადაადგილება	22

№	საქონლის გადაადგილების თავისებურების დასახელება	კოდი
23	ხელშეკრულების შესაბამისად ერთ წელზე მეტი ვადით იჯარით აღებული საქონლის გადაადგილება	23
24	საკონსიგნაციო შეთანხმებების ფარგლებში საქონლის გადაადგილება	24
25	სანახაობითო და სპორტული ღონისძიებებისათვის გადაადგილებული საქონელი	25
26	უცხოური ინვესტიციების მქონე საწარმოს საკუთარი წარმოების პროდუქციის გატანა	26
27	მრავალბრუნვადი ტარის გადაადგილება	27
28	ფიზიკური პირების მიერ არასაწარმოო ან სხვა არაკომერციული დანიშნულების მქონე საქონლის გადაადგილება დადგენილი ღირებულებითი და რაოდენობრივი კვოტის ზემოთ	28
29	საქართველოს და საქართველოს ფიზიკური პირების მიერ იჯარით აღებული (დაფრახტული) საჰაერო ხომალდების ბუნკერებში ჩასატვირთად სათბობის და საპოხი მასალის გატანა	29
30	ნიმუშების სახით საქონლის გადაადგილება	30
31	საქონლის გადაადგილება საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს ორგანიზაციების საქმიანობის უზრუნველსაყოფად	31
32	საქონლის გადაადგილება საინვესტიციო საქმიანობისაგან მიღებული დივიდენდების ანგარიშზე	32
33	საქონლის გატანა გირაოს ანგარიშზე	33
34	საწარმოო კოოპერაციის ფარგლებში საქონლის გადაადგილება	37

დანართი 2

საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომრის ფორმირების კლასიფიკატორი

საქართველოს საზღვარზე საქონლის გადამტანი საწარმოს ან ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო ნომრის ფორმირება ხდება დამოუკიდებლად შემდეგი სქემის მიხედვით:

ციფრული კოდი	99	9999
ელემენტი №	1	2

სადაც ელემენტი №1 საქართველოს საზღვარზე საქონლის გადამტანი ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის ორნიშნა ციფრული კოდია შემდეგი კლასიფიკატორის მიხედვით:

№	საზღვარზე საქონლის გადამტანი ორგანიზაცია	ინვესტიციები		
		საქარ.	შერეული	უცხ.
1	2	3	4	5
1	სახელმწიფო საწარმო	01	31	
2	მუნიციპალური საწარმო	02	32	
3	ამხანაგობა	03	33	
4	სრული ამხანაგობა (კერძო საწარმო)	04	34	
5	სააქციო საზოგადოება	05	35	
6	საწარმო კოოპერატივი	06	36	
7	სხვა საწარმოები	07	37	
8	გლეხური (ფერმერული) მეურნეობა	08		

1	2	3	4	5
9	კოლმეურნეობა	09		
10	სახელმწიფო მეურნეობა	10		
11	სამომხმარებლო კოოპერატივი	11		
12	საზოგადოებრივი ორგანიზაცია	12		
13	რელიგიური ორგანიზაცია	13		
14	ფონდი	14		
15	დაწესებულება	15		
16	ასოციაცია (კავშირი)	16		
17	სახელმწიფო ორგანო და დაწესებულება	17		
18	სხვა არაკომერციული ორგანიზაცია	18	38	58
19	საერთაშორისო ორგანიზაცია		39	59
20	დიპლომატიური ან მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობა			60
21	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან აკრედიტებული უცხოური ფირმა			61
22	უცხოეთის იურიდიული პირი			62
23	სახელმწიფო საქმიანობით დაკავებული პირი	19		63
24	ფიზიკური პირი	20		64

მსოფლიო ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკატორი

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული კოდი
	ორნიშნა	სამნიშნა	
ავსტრალია	AU	AUS	036
ავსტრია	AT	AUT	040
ავღანეთი	AF	AFG	004
აზერბაიჯანი	AZ	AZE	031
ალბანეთი	AL	ALB	008
ალჟირი	DZ	DZA	012
ამერიკის სამოა	AS	ASM	016
ანგოლა	AO	AGO	024
ანგილია	AI	AIA	660
ანდორა	AD	AND	020
ანტარქტიდა	AQ	ATA	010
ანტიგუა და ბარბოდა	AG	ATG	028
აომინი (იხ. მაკაო)			
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	AE	ARE	784
არგენტინა	AR	ARG	032
არუბა	AW	ABW	533
აღმოსავლეთ ტიმორი	TP	TMP	626
ახალი ზელანდია	NZ	NZL	554
ახალი კალედონია	NC	NCL	540
ბანგლადეში	BD	BGD	050
ბარბადოსი	BB	BRB	052
ბაჰამის კუნძულები	BS	BHS	044

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
ბაჰრეინი	BH	BHR	048
ბელარუსი	BY	BLR	112
ბელგია	BE	BEL	056
ბელიზი	BZ	BLZ	084
ბენინი	BJ	BEN	204
ბერმუდა	BM	BMU	060
ბირმა (იხ. მიანმა)			
ბოლივია	BO	BOL	068
ბოსნია-ჰერცოგოვინა	BA	BIH	070
ბოტსვანა	BW	BWA	072
ბრაზილია	BR	BRA	076
ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში	IO	IOT	086
ბრუნეი	BN	BRN	096
ბულგარეთი	BG	BGR	100
ბუვეტის კუნძული	BU	BVT	074
ბურკინა-ფასო	BF	BFA	854
ბურუნდი	BI	BDI	108
ბუტანი	BT	BTN	064
გაბონი	GA	GAB	266
გაერთიანებული სამეფო	GB	GRB	826
გაიანა	GY	GUY	328
გამბია	GM	GMB	270
განა	GH	GHA	288
გერმანია	DE	DEU	276
გვადელუპა	GP	GLP	312

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
გვატემალა	GT	GTM	320
გვინეა	GN	GIN	324
გვინეა-ბისაუ	GW	GNB	624
გიბრალტარი	GI	GIB	292
გრენადა	GD	GRD	308
გრენლანდია	GL	GRL	304
გუამი	GU	GUM	316
დანია	DK	DNK	208
დასავლეთ საჰარა	EH	ESH	732
დომინიკა	DM	DMA	212
დომინიკის რესპუბლიკა	DO	DOM	214
ეგვიპტე	EG	EGY	818
ეთიოპია	ET	ETH	231
ეკვადორი	EC	ECU	218
ეკვატორული გვინეა	GQ	GNQ	226
ერაყი	IQ	IRQ	368
ერიტრეა	ER	ERI	232
ესპანეთი	ES	ESP	724
ესტონეთი	EE	EST	233
ვანუატუ	VU	VUT	548
ვატიკანი, (ქალაქი-სახელმწიფო)	VA	VAT	336
ვენესუელა	VE	VEN	862
ვიეტნამი	VN	VNM	704
ვირჯინიის კუნძულები (აშშ)	VI	VIR	850
ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.)	VG	VGB	092

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
ზაირი	ZR	ZAR	180
ზამბია	ZM	ZMB	894
ზიმბაბვე	ZW	ZWE	716
თურქეთი	TR	TUR	792
თურქმენეთი	TM	TKM	795
იამაიკა	JM	JAM	388
იაპონია	JP	JPN	392
იემენი	YE	YEM	887
ინდოეთი	IN	IND	356
ინდონეზია	ID	IDN	360
იორდანია	JO	JOR	400
ირანი (ისლამური რესპუბლიკა)	IR	IRN	364
ირლანდია	IE	IRL	372
ისლანდია	IS	ISL	352
ისრაელი	IL	ISR	376
იტალია	IT	ITA	380
იუგოსლავია	YU	YUG	891
კაბო-ვერდე	CV	CPV	132
კაიმანის კუნძულები	KY	CYM	136
კამბოჯა	KH	KHM	116
კამერუნი	CM	CMR	120
კამპუჩია (იხ. კამბოჯა)			
კანადა	CA	CAN	124
კატარი	QA	QAT	634
კენია	KE	KEN	404
კვიპროსი	CY	CYP	196

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
კირიბატი	KI	KIR	296
კოლუმბია	CO	COL	170
კომორის კუნძულები	KM	COM	174
კონგო	CG	COG	178
კორეის რესპუბლიკა	KR	KOR	410
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	KP	PRK	408
კოსტა-რიკა	CR	CRI	188
კოტ-დივუარი	CI	CIV	384
კუბა	CU	CUB	192
კუკის კუნძულები	CK	COK	184
ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	LA	LAO	418
ლატვია	LV	LVA	428
ლესოტო	LS	LSO	426
ლიბანი	LB	LBN	422
ლიბერია	LR	LBR	430
ლიბიის არაბთა ჯამახირია	LY	LBY	434
ლიტვა	LT	LTU	440
ლიხტენშტეინი	LI	LIE	438
ლუქსემბურგი	LU	LUX	442
მადაგასკარი	MG	MDG	450
მავრიკი	MU	MUS	480
მავრიტანია	MR	MRT	478
მაიოტა	YT	MYT	175
მაკაო (აომინი)	MO	MAC	446
მაკედონია	MK	MKD	807
მალავი	MW	MWI	454

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
მალაიზია	MY	MYS	458
მალდივი	MV	MDV	462
მალვინის კუნძულები (იხ. ფოლკლენდის კუნძულები)			
მალი	ML	MLI	466
მალტა	MT	MLT	470
მაროკო	MA	MAR	504
მარტინიკა	MQ	MTQ	474
მარშალის კუნძულები	MH	MHL	584
მექსიკა	MX	MEX	484
მიანმა	MM	MMR	104
მიკრონეზია (ფედერალური შტატები)	FM	FSM	583
მოზამბიკი	MZ	MOZ	508
მოლდოვა	MD	MDA	498
მონაკო	MC	MCO	492
მონღოლეთი	MN	MNG	496
მონტსერატი	MS	MSR	500
ნამიბია	NA	NAM	516
ნაურუ	NR	NRU	520
ნეპალი	NP	NPL	524
ნიგერი	NE	NER	562
ნიგერია	NG	NGA	566
ნიდერლანდები (ჰოლანდია)	NL	NLD	528
ანტილის კუნძულები	AN	ANT	530
ნიკარაგუა	NI	NIC	558

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
ნიუე	NU	NIU	570
ნორვეგია	NO	NOR	578
ნორფოლკის კუნძული	NF	NFK	574
ომანი	OM	OMN	512
პაკისტანი	PK	PAK	586
პალაუ	PW	PLW	585
პანამა	PA	PAN	591
პაპუა - ახალი გვინეა	PG	PNG	598
პარაგვაი	PY	PRY	600
პერუ	PE	PER	604
პიტკერნი	PN	PCN	612
პოლონეთი	PL	POL	616
პორტუგალია	PT	PRT	620
პუერტო-რიკო	PR	PRI	630
რეიუნიონი	RE	REU	638
რუანდა	RW	RWA	646
რუმინეთი	RO	ROM	642
რუსეთის ფედერაცია	RU	RUS	643
საბერძნეთი	GR	GRC	300
სალვადორი	SV	SLV	222
სამოა	WS	WSM	882
სამხრეთ აფრიკა	ZA	ZAF	710
სამხრეთ ჯორჯია და სამხრეთ სენდვიჩის კუნძულები	GS	SGS	239
სან-მარინო	SM	SMR	674
სან-ტომე და პრინსიპი	ST	STP	678
საუდის არაბეთი	SA	SAU	682

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
საფრანგეთი	FR	FRA	250
საფრანგეთი (მეტროპოლია)	FX	FXX	249
საქართველო	GE	GEO	268
სეიშელის კუნძულები	SC	SYC	690
სენეგალი	SN	SEN	686
სენტ-ვინსენტი და გრენადინები	VC	VCT	670
სენტ-კისტი და ნევისი	KN	KNA	659
სენტ-ლუსია	LC	LCA	662
სენტ-პიერი და მიქელონი	PM	SPM	666
სვაზილენდი	SZ	SWZ	748
სვალბარდი და იან-მაიენი	SJ	SJM	744
სიანგანი (იხ. ჰონკონგი)			
სიერა-ლეონე	SL	SLE	694
სინგაპური	SG	SGP	702
სირიის არაბთა რესპუბლიკა	SY	SYR	760
სლოვაკეთი	SK	SVK	703
სლოვენია	SI	SVN	705
სოლომონის კუნძულები	SB	SLB	090
სომალი	SO	SOM	706
სომხეთი	AM	ARM	051
სუდანი	SD	SDN	736
სურინამი	SR	SUR	740
ტაივანი	TW	TWN	158

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
ტაილანდი	TH	THA	764
ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა	TZ	TZA	834
ტაჯიკეთი	TJ	TJK	762
ტერკსისა და კაიკოსის კუნძულები	TC	TCA	796
ტოგო	TG	TGO	768
ტოკელაუ	TK	TKL	772
ტონგა	TO	TON	776
ტრინიდადი და ტობაგო	TT	TTO	780
ტუვალუ	TV	TUV	798
ტუნისი	TN	TUN	788
უგანდა	UG	UGA	800
უზბეკეთი	UZ	UZB	860
უკრაინა	UA	UKR	804
უნგრეთი	HU	HUN	348
უოლისის და ფუტუნას კუნძულები	WF	WLF	876
უპერ ვოლტა (იხ. ბურკინა ფასო)			
ურუგვაი	UY	URY	858
ფარერის კუნძულები	FO	FRO	234
ფილიპინები	PH	PHL	608
ფინეთი	FI	FIN	246
ფიჯი	FJ	FJI	242
ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები	FK	FLK	238

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
ფრანგული გვიანა	GF	GUF	254
ფრანგული სამხრეთ ტერიტორიები	TF	ATF	260
ფრანგული პოლინეზია	PF	PYF	258
ქოქოსის (კილინგის) კუნძულები	CC	CCK	166
ქუვეითი	KW	KWT	414
ღაზას სექტორი			274
ყაზახეთი	KZ	KAZ	398
ყირგიზეთი	KG	KGZ	417
ამერიკის შეერთებული შტატები	US	USA	840
ამერიკის შეერთებული შტატების წვრილი დაშორებული კუნძულები	UM	UMI	581
შვეიცარია	CH	CHE	756
შვედეთი	SE	SWE	752
შობის კუნძული	CX	CXR	162
შპიცბერგენი (იხ. სვალბარდი და იან-მაიენის კუნძულები)			
შრი-ლანკა	LK	LKA	144
ჩადი	TD	TCH	148
ჩეხეთის რესპუბლიკა	CZ	CZE	203
ჩილე	CL	CHL	152
ჩინეთი	CN	CHN	156
ჩრდილოეთ მარიანის კუნძულები	MP	MNP	580-P

ქვეყნის დასახელება	ასოებრივი კოდები		ციფრული
	ორნიშნა	სამნიშნა	კოდი
ცენტრალურ-აფრიკული რესპუბლიკა	CF	CAF	140
წმინდა ელენეს კუნძული	SH	SHN	654
ხორვატია	HR	HRV	191
ჯიბუტი	DJ	DJI	262
ჰაიტი	HT	HTI	332
ჰერდისა და მაკდონალდის კუნძულები	HM	HMD	334
ჰოლი სი (იხ. ვატიკანი)			
ჰონდურასი	HN	HND	340
ჰონკონგი (სიანგანი)	HK	HKG	344
ტერიტორიები, რომლებიც არ მიეკუთვნება ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებს			896
ტერიტორიები, რომლებიც არაა გამოყოფილი			898

მიწოდების პირობების კლასიფიკატორი

კოდი		მიწოდების პირობების დასახელება	მოკლე ასოებრივი აღნიშვნა*
ციფრული	ასოებრივი		
1	EXW	ქარხნიდან	EXB
2	FCA	ფრანკო გადამზიდველი	ФСА
3	FAS	თავისუფლად ხომალდის გემბანის გასწვრივ	ФАС
4	FOB	თავისუფლად ხომალდის გემბანზე	ФОБ
5	CFR	ღირებულება და ფრახტი	СФР
6	CIF	ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი	СИФ
7	CPT	გადაზიდვა გადახდილია ...-მდე	СПТ
8	CIP	გადაზიდვა და დაზღვევა	СИП
9	DAF	მიწოდება საზღვრამდე	ДАФ
10	DES	მიწოდება გემბანიდან	ДЕС
11	DEQ	მიწოდება ნავსადგურიდან	ДЕК
12	DDU	მიწოდება ბაჟის გადაუხდელად	ДДУ
13	DDP	მიწოდება ბაჟის გადახდით	ДДП

* გამოიყენება სსდ-ს შევსების დროს დსთ-ს ქვეყნებში.

გარიგების ხასიათის კლასიფიკატორი

კოდი	დასახელება
01	საქონლის გადაადგილება საქართველოს ვალუტაზე გაანგარიშებით

ანგარიშსწორება თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაზე

კოდი	დასახელება
21	საქონლის მიწოდება თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაზე (სახელმწიფო კრედიტით და სახელმწიფო კრედიტის დაფარვის გარდა)
23	საქონლის გადაადგილება სახელმწიფო კრედიტით
26	საქონლის გადაადგილება სახელმწიფო კრედიტის დასაფარავად

კლირინგებით ანგარიშსწორება

კოდი	დასახელება
31	საქონლის გადაადგილება კლირინგულ ვალუტაზე გაანგარიშებით (სახელმწიფო კრედიტისა და სახელმწიფო კრედიტის დაფარვის გარდა
32	საქონლის გადაადგილება სამთავრობათაშორისი ხელშეკრულების თანახმად
33	სახელმწიფო კრედიტით საქონლის გადაადგილება
36	საქონლის გადაადგილება სახელმწიფო კრედიტის დასაფარად

ჩაკეტილ (შეკრულ) ვალუტაზე ანგარიშსწორება

კოდი	დასახელება
41	საქონლის გადაადგილება ჩაკეტილ ვალუტაზე გაანგარიშებით (სახელმწიფო კრედიტის გარდა)
43	საქონლის გადაადგილება სახელმწიფო კრედიტით

კომერციული ოპერაციებით განხორციელებული სხვა გადაადგილებები

კოდი	დასახელება
51	საქონლის მიწოდება საქონლის პირდაპირი გაცვლის წესით (ბარტერული გარიგებები)
52	საქონლის გადაადგილება წარმოდგენილი სამუშაოებისა და მომსახურების ანგარიშზე
54	გაზის მიწოდება სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის

საქონლის გადაადგილება წარმოებისა და ობიექტების მშენებლობისათვის გაფორმებული თანამშრომლობის ვალდებულების ანგარიშზე

კოდი	დასახელება
71	საქონლის მიწოდება საკომპენსაციო

ქვეყნების ვალუტების კლასიფიკატორი

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
ავსტრალია	ავსტრალიური დოლარი	036
ავსტრია	შილინგი	040
ავღანეთი	ავღანი	004
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანული მანათი	031
ალბანეთი	ლეკი	008
ალჟირი	ალჟირული დინარი	012
ამერიკის სამოა	აშშ-ს დოლარი	840
ანგოლა	ახალი კვანზა	024
ანგილია	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
ანდორა	ანდორული პესეტა	020
	ესპანური პესეტა	724
	ფრანგული ფრანკი	250
ანტიგუა და ბარბოდა	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	დირხამი (აგს)	784
არგენტინა	არგენტინული პესო	032
არუბა	არუბული გულდენი	533
აღმოსავლეთ ტიმორი	ტიმორული ესკუდო	626
	რუპია	360

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
ახალი ზელანდია	ახალზელანდიური დოლარი	554
ახალი კალედონია	ფრანკი კფპ	954
ბაჰამის კუნძულები	ბაჰამური დოლარი	044
ბანგლადეში	ტაკა	050
ბარბადოსი	ბარბადოსული დოლარი	052
ბაჰრეინი	ბაჰრეინული დინარი	048
ბელგია	ბელგიური ფრანკი	056
ბელიზი	ბელიზური დოლარი	084
ბელარუსი	ბელორუსული რუბლი	112
ბენინი	ფრანკი კფა ვსეაო	952
ბერმუდა	ბერმუდის დოლარი	060
ბირმა (იხ. მიანმა)		
ბოლივია	ბოლივიანო	068
ბოტსვანა	პულა	072
ბრაზილია	ბრაზილიური რეალი	986
ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში	აშშ-ს დოლარი	840
ბრუნეი დარუსალამი	ბრუნეის დოლარი	096
ბულგარეთი	ლევი	100
ბუვეტის კუნძული	ნორვეგიული კრონა	578
ბურკინა-ფასო	ფრანკი კფა ვსეაო	952
ბურუნდი	ბურუნდიული ფრანკი	108
ბუტანი	ინდური რუპია	356
გაბონი	ფრანკი კფა ვეას	950
გაერთიანებული სამეფო	ფუნტი სტერლინგი	826
გაიანა	გაიანური დოლარი	328

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
გამბია	დალასი	270
განა	სედი	288
გერმანია	გერმანული მარკა	280
გვადელუპა	ფრანგული ფრანკი	250
გვატემალა	ქუეთზალი	320
გვინეა	გვიენური ფრანკი	324
გვინეა-ბისაუ	გვინეა-ბისაუს პესო	624
გიბრალტარი	გიბრალტარული ფუნტი	292
გრენადა	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
გრენლანდია	დანიური კრონა	208
გუამი	აშშ-ს დალარი	840
დანია	დანიური კრონა	208
დომინიკა	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
დომინიკის რესპუბლიკა	დომინიკანური პესო	214
ეგვიპტე	ეგვიპტური ფუნტი	818
ეთიოპია	ეთიოპური ბირი	230
ეკვადორი	სუკრე	218
ეკვატორული გვინეა	ფრანკი კფა ვეას	950
ერაყი	ერაყული დინარი	368
ესპანეთი	ესპანური პესეტა	724
ესტონეთი	კრონა	233
ვანუატუ	ვატუ	548
ვატიკანი (ქალაქი-სახელმწიფო)	იტალიური ლირა	380
ვენესუელა	ბოლივარი	862

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება.	ვალუტის ციფრული კოდი
ვიეტნამი	დონგი	704
ვირჯინიის კუნძულები (აშშ)	აშშ-ს დოლარი	840
ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.)	აშშ-ს დოლარი	840
ზაირი	ახალი ზაირი	180
ზამბია	კვაჩა (ზამბიური)	894
ზიმბაბვე	ზიმბაბვეს დოლარი	716
თურქეთი	თურქული ლირა	792
თურქმენეთი	მანათი	795
იამაიკა	იამაიკური დოლარი	388
იაპონია	იენა	392
იემენი	იემენის რეალი	886
ინდოეთი	ინდური რუპია	356
ინდონეზია	რუპია	360
იორდანია	იორდანული დინარი	400
ირანი (ისლამური რესპუბლიკა)	ირანული რეალი	364
ირლანდია	ირლანდიური ფუნტი	372
ისლანდია	ისლანდიური კრონა	352
ისრაელი	შეკელი	376
იტალია	იტალიური ლირა	380
იუგოსლავია	ახალი იუგოსლავური დინარი	
კაბო-ვერდე	კაბო-ვერდეს ესკუდო	132
კაიმანის კუნძულები	კაიმანის კუნძულების დოლარი	136
კამბოჯა	რიელი	116

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
კამერუნი	ფრანკი კფა ვეას	950
კამპუჩია (იხ. კამბოჯა)		
კანადა	კანადური დოლარი	124
კატარი	კატარის რიალი	634
კენია	კენიური შილინგი	404
კვიპროსი	კვიპროსული ფუნტი	196
კირიბატი	ავსტრალიური დოლარი	036
კოლუმბია	კოლუმბიური პესო	170
კომორის კუნძულები	კომორის კუნძულების ფრანკი	174
კონგო	ფრანკი კფა ვეას	950
კორეის რესპუბლიკა	ვონა	410
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	ჩრდილოეთ-კორეული ვონა	408
კოსტა-რიკა	კოსტარიკული კოლონი	188
კოტ-დივუარი	ფრანკი კფა ვსეაო	952
კუბა	კუბური პესო	192
კუკის კუნძულები	ახალზელანდიური დოლარი	554
ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	კიპი	418
ლატვია	ლატვიური ლატი	428
ლესოტო	რენდი	710
ლიბანი	ლიბანური ფუნტი	422
ლიბერია	ლიბერიული დოლარი	430
ლიბიის არაბთა ჯამახირია	ლიბიური დინარი	434
ლიტვა	ლიტვური ლიტი	440
ლიხტენშტეინი	შვეიცარული ფრანკი	756

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
ლუქსემბურგი	ლუქსემბურგული ფრანკი	442
მადაგასკარი	მალაგასიური ფრანკი	450
მავრიკი	მავრიკული რუპია	480
მავრიტანია	უგია	478
მაკაო (აომინი)	პატაკა	446
მაკედონია	დინარი	807
მალავი	კვაჩა (მალავიური)	454
მალაიზია	მალაიზიური რინგიტი	458
მალდივი	რუპია	462
მალვინის კუნძულები	(იხ. ფოლკლენდის კუნძულები)	
მალი	ფრანკი კფა ვსეაო	952
მალტა	მალტური ლირა	470
მაროკო	მაროკული დირჰამი	504
მარტინიკა	ფრანგული ფრანკი	250
მარშალის კუნძულები	აშშ-ს დოლარი	840
მექსიკა	მექსიკური ახალი პესო	484
მიანმა	კიატი	104
მიკრონეზია	აშშ-ს დოლარი	840
მოზამბიკი	მეტიკალი	508
მოლდოვა	მოლდოვური ლეი	498
მონაკო	ფრანგული ფრანკი	250
მონღოლეთი	ტუგრიკი	496
მონტსერატი	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
ნამიბია	რენდი	710
ნაურუ	ავსტრალიური დოლარი	036
ნეპალი	ნეპალის რუპია	524
ნიგერი	ფრანკი კფა ვსეაო	952

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
ნიგერია	ნაირა	566
ნიდერლანდები (ჰოლანდია)	ნიდერლანდური გულდენი	528
ნიდერლანდების ანტილის კუნძულები	ნიდერლანდური ანტილური გულდენი	532
ნიკარაგუა	ოქროს კორდობა	558
ნიუე	ახალზელანდიური დოლარი	554
ნორვეგია	ნორვეგიული კრონა	578
ნორფოლკის კუნძული	ავსტრალიური დოლარი	036
ომანი	ომანური რიალი	512
პაკისტანი	პაკისტანური რუპია	586
პალაუ	აშშ-ს დოლარი	840
პანამა	ბალბოა	590
	აშშ-ს დოლარი	840
პაპუა - ახალი გვინეა	კინა	598
პარაგვაი	გუარანი	600
პერუ	ახალი სოლი	604
პიტკერნი	ახალზელანდიური დოლარი	554
პოლონეთი	ზლოტი	616
პორტუგალია	პორტუგალიური ესკუდო	620
პუერტო-რიკო	აშშ-ს დოლარი	840
რეიუნიონი	ფრანგული ფრანკი	250
რუანდა	რუანდას ფრანკი	646
რუმინეთი	ლეი	642
რუსეთის ფედერაცია	რუსული რუბლი	810
საბერძნეთი	დრახმა	300

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
სალვადორი	სალვადორული კოლონი	222
სამოა	ტალა	882
სამხრეთ აფრიკა	ფრანკი კფა ვეას	950
სან-მარინო	იტალიური ლირა	380
სან-ტომე და პრინსიპი	დობრა	678
საუდის არაბეთი	საუდური რიალი	590
საფრანგეთი	ფრანგული ფრანკი	250
საქართველო	ლარი	268
სეიშელის კუნძულები	სეიშელური რუპია	690
სენეგალი	ფრანკი კფა ვსეაო	952
სენტ-ვინსენტი და გრენადინები	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
სენტ-კისტი და ნევისი	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
სენტ-ლუსია	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	951
სენტ-პიერი და მიქელონი	ფრანგული ფრანკი	250
სვაზილენდი	ლილანგენი	748
სვალბარდი და იან-მაიენი	ნორვეგიული კრონა	578
სიანგანი (ჰონ-კონგი)	ჰონკონგური დოლარი	344
სიერა-ლეონე	ლეონე	694
სინგაპური	სინგაპურის დოლარი	702
სირიის არაბთა რესპუბლიკა	სირიული ფუნტი	760
სლოვაკეთი	სლოვაკური კრონა	703
სლოვენია	ტოლარი	705
სოლომონის კუნძულები	სოლომონის კუნძულების დოლარი	090

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
სომალი	სომალური შილინგი	706
სომხეთი	სომხური დრამი	051
სუდანი	სუდანური გულდენი	736
სურინამი	სურინამული გულდენი	740
ტაივანი	ახალი ტაივანური დოლარი	901
ტაილანდი	ბატი	764
ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა	ტანზანიური შილინგი	834
ტაჯიკეთი	ტაჯიკური რუბლი	762
ტერკსისა და კაიკოსის კუნძულები	აშშ-ს დოლარი	840
ტოგო	ფრანკი კფა ვსეაო	952
ტოკელაუ	ახალზელანდიური დოლარი	554
ტონგა	პაანგა	776
ტრინიდადი და ტობაგო	ტრინიდადის და ტობაგოს დოლარი	780
ტუვალუ	ავსტრალიური დოლარი	036
ტუნისი	ტუნისური დინარი	788
უგანდა	უგანდური შილინგი	800
უზბეკეთი	უზბეკური სუმი	860
უკრაინა	გრივნა	980
უნგრეთი	ფორინტი	348
უოლისის და ფუტუნას კუნძულები	ფრანკი კფპ	953
უპერ ვოლტა	(იხ. ბურკინა ფასო)	
ურუგვაი	ურუგვაული პესო	858

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
ფარერის კუნძულები	დანიური კრონა	208
ფილიპინები	ფილიპინური პესო	608
ფინანსური თანამშრომლობის ევროპული ფონდი	ეკიუ (ევროპული ვალუტის ერთეული)	954
ფინეთი	ფინური მარკა	246
ფიჯი	ფიჯის დოლარი	242
ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები	ფოლკლენდის კუნძულების მარკა	238
ფრანგული გვიანა	ფრანგული ფრანკი	250
ფრანგული სამხრეთ ტერიტორიები	ფრანგული ფრანკი	250
ფრანგული პოლინეზია	ფრანკი კფპ	953
ქოქოსის (კილინგის) კუნძულები	ავსტრალიური დოლარი	036
ქუვეითი	ქუვეითური დინარი	414
ყაზახეთი	ტენგე	398
ყირგიზეთი	სომი	417
ამერიკის შეერთებული შტატები	აშშ-ს დოლარი	840
ამერიკის შეერთებული შტატების წვრილი დაშორებული კუნძულები	აშშ-ს დოლარი	840
შვეიცარია (ლიხტენშტეინი)	შვეიცარული ფრანკი	756
შვედეთი	შვედური კრონა	752
შობის კუნძული	ავსტრალიური დოლარი	036
შპიცბერგენი (იხ.სვალბარდი და იან-მაიენის კუნძულები)		

ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის ციფრული კოდი
შრი-ლანკა	შრი-ლანკური რუპია	144
ჩადი	ფრანკი კფა ვეას	950
ჩეხეთის რესპუბლიკა	ჩეხური კრონი	203
ჩილე	ჩილეს პესო	152
ჩინეთი	ჩინური იუანი	156
ჩრდილოეთ მარიანის კუნძულები	აშშ-ს დოლარი	840
ცენტრალურ-აფრიკული რესპუბლიკა	ფრანკი კფა ვეას	950
წმინდა ელენეს კუნძული	წმინდა ელენეს კუნძულის ფუნტი	654
ხორვატია	კუნა	191
ჯიბუტი	ჯიბუტის ფრანკი	262
ჰაიტი	გუნდი	332
	აშშ-ს დოლარი	840
ჰერდისა და მაკდონალდის კუნძულები	ავსტრალიური დოლარი	036
ჰონდურასი	ლემპირა	340

- ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების ბანკის ფულადი ერთეული
- დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ცენტრალური ბანკის ფულადი ერთეული

საბაჟო გადასახდელების კლასიფიკატორი

კოდი	დასახელება
10	საბაჟო მოსაკრებელი საბაჟო პროცედურებისათვის
20	საბაჟო გადასახადი
27	აქციზის გადასახადი
28	დამატებული ღირებულების გადასახადი
30	სპეციალური საბაჟო გადასახადი ჯართის ექსპორტზე
32	ფიქსირებული გადასახადი თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების კლასიფიკატორი

კოდი	დასახელება
01	ა) საქონლის ექსპორტი, გარდა „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა
16	ბ) საქონლის რეექსპორტი, თუ საქონელი შემოტანისას გაცხადებული იყო რეექსპორტისათვის და რომელიც ექსპორტირებული იქნა ექვსი თვის განმავლობაში. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით
02	გ) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი
11	დ) იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას. დაბეგვრა ხდება დადგენილი წესით, საქონლის საბაჟო საწყობებიდან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში ამ რეჟიმის შესაბამისად
04	ე) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
03	ვ) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტების შესახებ, საქართველოს

კოდი	დასახელება
	პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით
05	ზ) საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემულ შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც შეიცავს გრანტის ელემენტს არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით. გრანტის ელემენტს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით, კრედიტის ფარგლებში გადასახდელთა დისკონტირების გზით დისკონტის განაკვეთიდან გამომდინარე, კრედიტის პირობების შესაბამისად
10	თ) საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების და დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი, აგრეთვე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომელიც განკუთვნილია „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის
17.	ი) საქონლის დროებითი შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე
18.	კ) საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორ-

კოდი	დასახელება
	ტრირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. ამ ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ტარა-შესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან დაიტოვება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით
08	ლ) ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 300 ლარამდე ღირებულების საქონელი, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის №273-II-ს დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად
09	მ) ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის. რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტსისტემების, გლუკომეტრების იმპორტი
12	ნ) ქართველ კლასიკოსთა და საქართველოს მოქალაქეთა მიერ საზღვარგარეთ გამოცემული შემოქმედებითი და მეცნიერული ნაწარმოებების იმპორტი
14	ო) 16 დასახელების ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი საქართველოს ფინანსთა, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციუზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების მიერ დამტკიცებული ჩამონათვალის შესაბამისად
13	პ) საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე ამ საქონლის შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოები იტოვებენ

კოდი	დასახელება
	საბანკო გარანტიას, ხოლო საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია
19	ჟ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი
20	რ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი
21	ს) საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი
22	ტ) ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები
07	უ) უცხოური ინვესტიციის მიზნით შემოტანილი საქონლის იმპორტი, ინვესტიციაზე ლიცენზიის აღების შემდეგ 5 წლის განმავლობაში
15	ფ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ვალუტის გადაანგარიშების წესი აშშ დოლარებში 46-ე გრაფის (სტატისტიკური ღირებულება) შევსების დროს

სტატისტიკური (საბაჟო) ღირებულება ექსპორტის და იმპორტის ოპერაციების დროს, მათ შორის კლირინგულ ვალუტაში, გადაიანგარიშება კონტრაქტში მითითებული ფაქტურული ღირებულებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის საფუძველზე.

ამასთან, კონტრაქტის ფაქტურული ღირებულების სიდიდე ვალუტაში მრავლდება სსდ-ს გასაფორმებლად წარდგენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ამ ვალუტის შესაბამისი ეროვნული ვალუტის კურსზე და იყოფა აშშ-ს დოლარის ეროვნულ ვალუტასთან შეფარდების სიდიდეზე.

მაგალითად: თუ საქონელი გაყიდულია 120000 ფუნტ სტერლინგად, გაანგარიშება მიიღებს შემდეგ სახეს:

1 ინგლ.ფუნტ.სტერლ. - 2,1915 ლარი
1 აშშ-ს დოლარი - 1,3450 ლარი
120000x2,1915:1,3450=195524 აშშ დოლარი

თუ ვალუტის კურსის სიდიდე მოცემულია ათეულში, ასეულში და ა.შ., მაშინ ზემოთ მოყვანილი წესით მიღებული სიდიდე იყოფა შესაბამის ათეულზე, ასეულზე და ა.შ.

თუ კონტრაქტი დადებულია ეროვნულ ვალუტაში, მაშინ საქონლის ფაქტურული ღირებულება გადაიანგარიშება ამ დღისათვის შესაბამისი კურსით აშშ-ს დოლარებში.

საბაჭოების და საბაჭო საგუშაგოების კლასიფიკატორი

№	საბაჭოების (საბაჭო გამტარი პუნქტების) დასახელება	კოდი
1.	აჭარის საბაჟო სამმართველო	069600
	ა) საბაჟო საგუშაგო სარფი	069601
	ბ) საბაჟო საგუშაგო ბათუმის ნავსადგური	069602
	გ) საბაჟო საგუშაგო ბათუმის აეროპორტი	069603
2.	აფხაზეთის საბაჟო სამმართველო	069700
	ა) საბაჟო საგუშაგო ფსოუ	069701
	ბ) საბაჟო საგუშაგო გაგრა	069702
	გ) საბაჟო საგუშაგო სოხუმის ნავსადგური	069704
	დ) საბაჟო საგუშაგო სოხუმის აეროპორტი	069705
3.	თბილისის რეგიონული საბაჟო	069000
	ა) საბაჟო რკინიგზა	069016
4.	საბაჟო სადახლო	069003
	ა) საბაჟო გამტარი პუნქტი ახკერპი	069006
	ბ) საბაჟო გამტარი პუნქტი გუგუთი	069005
	გ) საბაჟო გამტარი პუნქტი სადახლო - რკინიგზა	069004
5.	საბაჟო ლაგოდეხი	069010
	ა) საბაჟო გამტარი პუნქტი ერისთმედი	069011
	ბ) საბაჟო გამტარი პუნქტი დედოფლისწყარო	069007
6.	საბაჟო ვალე	069301
	ა) საბაჟო გამტარი პუნქტი კარწახი	069304
7.	საბაჟო გარდაბანი	069009
	ა) საბაჟო გამტარი პუნქტი ჯანდარა ვახტანგისი	069008
	ბ) საბაჟო გამტარი პუნქტი საგარეჯო	069012
	გ) გაფორმების ჯგუფი „რუსთავი“	069014

№	საბაჟოების (საბაჟო გამტარი პუნქტების) დასახელება	კოდი
8.	საბაჟო ქუთაისი	069400
	ა) საბაჟო გამტარი პუნქტი მამისონი	060402
9.	საბაჟო თელავი	069017
	ა) საბაჟო გამტარი პუნქტი თელავის აეროპორტი	069018
	ბ) გაფორმების ჯგუფი „გურჯაანი“	069015
10.	საბაჟო გორი	069200
11.	საბაჟო ფოთი	069500
	ა) გაფორმების ჯგუფი „სენაკი“	069504
	ბ) გაფორმების ჯგუფი „ზუგდიდი“	069505
	გ) გაფორმების ჯგუფი „ოზურგეთი“	069503
12.	საბაჟო წითელი ხიდი	069002
13.	საბაჟო ყაზბეგი	069100
14.	საბაჟო ნინოწმინდა	069302
15.	საბაჟო ქუთაისის აეროპორტი	069401
16.	საბაჟო თბილისის აეროპორტი	069001

შემხვედრი მიწოდების და საექსპორტო ამონაგების მიღების ვადის კლასიფიკატორი

გადახდის ან შემხვედრი მიწოდების (ბარტერული გარიგების დროს) ვადა	კოდი
საავანსო გადასახადი ან შემხვედრი მიწოდება უკვე განხორციელებულია	00
30 დღის განმავლობაში	01
60 დღის განმავლობაში	02
90 დღის განმავლობაში	03
120 დღის განმავლობაში	04
150 დღის განმავლობაში	05
180 დღის განმავლობაში	06
9 თვის განმავლობაში	09
12 თვის განმავლობაში	12
18 თვის განმავლობაში	18
2 წლის განმავლობაში	22
3 წლის განმავლობაში	23
4 წლის განმავლობაში	24
5 წლის განმავლობაში	25
6 წლის განმავლობაში	26
7 წლის განმავლობაში	27
8 წლის განმავლობაში	28
9 წლის განმავლობაში	29
10 წლის განმავლობაში	30

აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლების კლასიფიკატორი

კოდი	დასახელება
22	ა) ეროვნული და უცხოური ვალუტისა (გარდა ნუმიზმატიკური მიზნების გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების იმპორტი
29	ბ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი
30	გ) საფოსტო მარკების (გარდა საკოლექციოსი) და საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი
28	დ) ჩამორთმეულ, უპატრონო ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში
24	ე) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 130120000, 150420, 151530, 1520, 170211000 კოდების, 28-ე და 29-ე თავებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე თავით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის, ვაქცინების, 391212000, 391231000, 701010000, 701090470, 960200000 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონლის იმპორტი
36	ვ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000, 8423 10, 9001 30 000, 9001 40, 9001 50, 9018-იდან 9022-ის ჩათვლით, 9025 11 910, 9402 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713, 8714 20 000 კოდებში აღნიშნული ინვალიდთა ეტლების, იოდირებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების (01.05.98. №1369, პარლამენტის უწყებანი N19-20) გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართვე-

კოდი	დასახელება
	ლოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ) იმპორტი
43	ზ) დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად
25	თ) ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი
26	ი) სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის იმპორტი
35	კ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარების და ქიმიური რეაქტივების იმპორტი
27	ლ) სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი
31	მ) პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის იმპორტი
23	ნ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარებისა და ქველმოქმედების მიზნით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისათვის გადაცემული საქონლისა და გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი; ამ პუნქტის მიზნისათვის საქონლის იმპორტის განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

კოდი	დასახელება
38	ო) სანაშენე ცხოველების, სანაშენე პროდუქტის, სათესლე მასალის, სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი შხამქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური კვოტების მიხედვით
39	პ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 84-85-ე, 88-ე და 90-ე თავებით გათვალისწინებული საქონლის (გარდა 8415, 8418, 8422, 11000, 8422, 19000, 8423 10 100, 8423 10 900, 8450, 8507, 8509-8513, 8516-8524, 8525 20 910, 8525 30, 8525 40, 8527, 8528, 8531, 8540, 8544-8546, 9003, 9004, 9006-9010, 9016 00 ჯგუფებში ჩამოთვლილი საქონლისა), აგრეთვე გამწევი ავტომობილების, მისაბმელების და ნახევარმისაბმელების (კოდი 8701 20, 8716 39 300, 8716 39 510, 8716 39 590, 8716 39 800), სამგზავრო ავტობუსების (კოდი 8702), მცურავი საშუალებების (კოდი 89 04 00, 8905), ხის განძელის (კოდი 4406 10 000, 4406 90 000), რელსების (კოდი 7302 10 310), სარადარო კავშირგაბმულობისა და სანავიგაციო აღჭურვილობის (კოდი 8525 10; 8525 20 100, 8525 20 990; 8526; 8531 10 000) იმპორტი
21	ჟ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა, დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც საქართველოა; აგრეთვე უცხოეთში

კოდი	დასახელება
	საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; აგრეთვე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის
40	რ) საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი, ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში, აღნიშნული ნედლეულისა და ნახევარ-ფაბრიკატების ტარაშესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ხდება დღგ-ის გადახდევინება ან საბანკო გარანტიის დატოვება, ხოლო საქართველოს ტერიტორიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოების მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა, ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით
41	ს) საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი, დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე
33	ტ) რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ, ანდა საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით

კოდი	დასახელება
	დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით
42	უ) ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რაც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებისათვის
46	ფ) ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის 2 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის, 10 ლიტრი ლუდის, 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის, 4 ცალი მსუბუქი ავტომობილის საბურავის იმპორტი, საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი
47	ქ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილების, მასალების, ნავთობპროდუქტების იმპორტი
32	ღ) იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას. მათი დაბეგვრა ხდება დადგენილი წესით ამ საქონლის საწყობიდან მიმოქცევაში გაშვების მომენტში, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში ამ რეჟიმის შესაბამისად
44	ყ) აქციზისგან თავისუფლდება საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავი იმპორტისას საბაჟო ორგანოებისათვის საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე
48	შ) აქციზის გადასახადისაგან გათავისუფლებულია „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი
34.	ჩ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქონლის განზომილების კლასიფიკატორი

ძირითადი ერთეული

სახელწოდება	მოკლე სახელწოდება	კოდი
კილოგრამი	კგ	166

განზომილების დამატებითი ერთეულები

სახელწოდება	მოკლე სახელწოდება	კოდი
ბრუტო რეგისტრული ტონა (2,8316მ)	ბრტ	181
გრამი	გ	163
გამყოფი იზოტოპების გრამი	გ გ/ი	306
ტვირთამწეობა ტონებში	ტ ტვირთამწეობა	185
კვადრატული მეტრი	მ^2	005
აზოტის კილოგრამი	კგ N	861
კალიუმის ჰიდროქსიდის კილოგრამი	კგ KOH	859
ნატრიუმის ჰიდროქსიდის კილოგრამი	კგ NaOH	863
კალიუმის ოქსიდის კილოგრამი	კგ K_2O	852
წყალბადის პეროქსიდის კილოგრამი	კგ H_2O	841
ფოსფორის ხუთჟანგის კილოგრამი	კგ P_2O_5	865
90%-ნი მშრალი ნივთიერების კილოგრამი	კგ 90% მშ	845
ურანის კილოგრამი	კგ U	867
კუბური მეტრი	მ^3	113
კური	კი	305

სახელწოდება	მოკლე სახელწოდება	კოდი
ლიტრი	ლ	112
სუფთა (100%)		
სპირტის ლიტრი	ლ 100% სპირტისა	831
კარატი (1 კარატი=0,2გ)	კარატი	162
წყვილი	წყვილი	715
ასი ცალი	100 ცალი	797
ათასი ცალი	1000 ცალი	798
ცალი	ცალი	796
1000 კილოვატ-საათი	1000 კვტ/სთ	246
1000 კუბური მეტრი	1000 მ³	114
1000 ლიტრი	1000 ლ	130
მეტრი		

11. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული ფორმა (ფორმა № 2)

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 25 მაისის № 87 ბრძანებით "სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმა №2-ის შესახებ", საბიუჯეტო თანხების მაქსიმალური მობილიზაციის უზრუნველყოფის მიზნით და საქართველოს საბაჟო კოდექსის 94-ე მუხლის და 95-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად დაწესდა, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი ფიზიკური პირის კუთვნილი საქონლის დეკლარირება უნდა განხორციელდეს სასაზღვრო საბაჟო ორგანოში "სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია ფორმა № 2"-ის გამოყენებით, "სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია ფორმა № 2-ის შევსების წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია
(ფორმა № 2)

2	1.საქონლის მიმღები (გამგზავნი) პირი N ___ _____ _____ _____ საგეართო საბაჟო დეკლარაცია N | იმ 40 | ექ 10	გაფორმების თარიღი "__" _____ 200 წ.
სტატისტიკის ეგზემპლარი		
2	ფორმა N 2	

2.გამგზავნი (მიმღები) ქვეყანა	3.ვალუტა	4.ვალუტის კურსი	5. საგრანსპორტო სამუალება მფლობელი _____

6. N	7.საქონლის სესხნ კოლი	8.საქონლის დასახელება	9.საქონლის-რაოდენობა, კგ	10.საქონლის რაოდენობა, სესხნ_ს შესაბამისად	11.საქონლის ღირებულება	12.საბაჟო ღირებულება	13. დაერიცხა			
							საბაჟო მოსაკრებელი	საბაჟო გადასახადი	ღდგ	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
14.	სულ									

15.საგადასახადო კონტროლი გაელილია	16. საბაჟო კონტროლი გაელილია	17. ეადასგურებ

დეკლარაციით გაფორმებას ექვემდებარება თავისუფალ მიმოქცევაში და ექსპორტის საბაჟო რეჟიმებში გაცხადებული, 700 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე, ერთი სახეობის ტრანსპორტით გადაადგილებული საქონელი (საქონლის ჯგუფი), გარდა:

ა) აქციზური საქონლისა;

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 27, 28, 29, 30, 36, 71, 8701, 8702, 8703, 8704, 8075, 8709, 8710, 8711, 8712, 8713, 8716, 88, 89, 93, 97-ე ჯგუფებით გათვალისწინებული საქონლისა;

გ) ყველა იმ საქონლის იმპორტი, რომლიბიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან, გარდა ამავე კოდექსის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის "ტ" და "უ" ქვეპუნქტებში მითითებულისა;

დ) 1998 წლის 28 აპრილის №1351 საქართველოს კანონით განსაზღვრული ორმაგი დანიშნულების პროდუქციისა;

ე) საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის №273-II-ს დადგენილებით გათვალისწინებულისა.

ერთ დეკლარაციაში შეიძლება გაცხადებული იყოს 100 დასახელების საქონელი.

დეკლარაციების კომპლექტი შედგება 4 სხვადასხვა (ცისფერი, წითელი, ყვითელი, მწვანე) ფერის ფურცლისაგან და ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) პირველი ფურცელი რჩება საბაჟოში და ინახება სპეციალურ არქივში;

ბ) მეორე ფურცელი ეგზავნება საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკის და ფინანსური მონიტორინგის სამმართველოს;

გ) მესამე ფურცელი უბრუნდება საქონლის განმცხადებელ პირს;

დ) მეოთხე ფურცელი ინახება საბაჟოს ბუღალტერიაში.

დეკლარაციაში "სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია №" - ის გასწვრივ საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის მიერ აღინიშნება დეკლარაციის ნომერი შემდეგი სქემით:

—— (საბაჟო ორგანოს ექვსნიშნა ციფრული კოდი) —— (დეკლარაციის რიგითი ნომერი, გაფორმებული შესაბამის საბაჟო ორგანოში).

წლის დამთავრების შემდეგ დეკლარაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.

დეკლარაციის რიგითი ნომერი, რიგითი ნომრის მინიჭება დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით.

დეკლარაციაში საქონლის ექსპორტის შემთხვევაში გაიხაზება "ექ. 10". საქონლის იმპორტის შემთხვევაში გაიხაზება "იმ. 40".

დეკლარაციაში "გაფორმების თარიღის" გასწვრივ საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის მიერ აღინიშნება დეკლარაციის გაფორმების თარიღი.

დეკლარაციაში არ უნდა იყოს წაშლილი და გადასწორებული ადგილები. ყოველი შესწორება უნდა მოხდეს არასწორი მონაცემების გადახაზვით და თუ საჭიროა, შესაბამისი მონაცემების იმავე ფურცელზე ჩამატებით. ყოველი შესწორება მოწმდება საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და პირადნომრიანი ბეჭდის დასმით.

დეკლარაცია ივსება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. გაურკვევლად შევსებული დეკლარაციები საბაჟო ორგანოების მიერ არ მიიღება.

დასაშვებია დეკლარაციის ფურცლის უკანა მხარის გამოყენება საბაჟოს მიერ სხვადასხვა აღნიშვნებისათვის.

დეკლარაციის შევსება ხდება შემდეგი წესით.

ფიზიკური პირის მიერ ივსება დეკლარაციის შემდეგი გრაფები: 1, 2, 5, 6, 8, 9, 11, 17.

საბაჟო ორგანოში ივსება გრაფები: 3, 4, 7, 10, 12, 13, 14, 15, 16.

ფიზიკური პირის მიერ გრაფების შევსების წესი

გრაფა 1. "საქონლის მიმღები პირი"

პირველ ხაზზე აღინიშნება ფიზიკური პირის სახელი და გვარი. დაუშვებელია ინიციალების მითითება.

მეორე ხაზზე აღინიშნება ფიზიკური პირის მისამართი.

მესამე ხაზზე აღინიშნება ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი ან მოქალაქის პირადობის მოწმობა), გაცემის თარიღის და ნომრის მითითებით.

ზედა მარჯვენა კუთხეში "N"-ის გასწვრივ აღინიშნება ფიზიკური პირის პასპორტის ნომერი.

გრაფა 2. "გამგზავნი (მიმღები) ქვეყანა"

საქონლის ექსპორტის შემთხვევაში ჩაიწერება იმ ქვეყნის დასახელება, რომელშიც გაიტანება ამ დეკლარაციაში გაცხადებული საქონელი.

საქონლის იმპორტის შემთხვევაში ჩაიწერება იმ ქვეყნის დასახელება, რომლიდანაც შემოიტანება ამ დეკლარაციაში გაცხადებული საქონელი.

გრაფა 5. "სატრანსპორტო საშუალება, მფლობელი"

პირველ ხაზზე აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალების დასახელება და სატრანსპორტო საშუალების ნომერი, რომლითაც წარმოებს ტვირთის გადაადგილება.

(საჰაერო გადაზიდვებისას საჰაერო ხომალდის რეისის ნომერი).

მეორე ხაზზე აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სახელი და გვარი, მისამართი, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემის თარიღის და ნომრის მითითებით. დაუშვებელია ინიციალების მითითება.

გრაფა 6. "N"

უჯრედში ჩაიწერება გაცხადებული საქონლის რიგითი ნომერი. ცარიელ უჯრაში კეთდება აღნიშვნა "-".

გრაფა 8. "საქონლის დასახელება"

გრაფის უჯრედში ჩაიწერება გაცხადებული საქონლის დასახელება, მე-6 გრაფაში მითითებული ნუმერაციის შესაბამისად. ცარიელ უჯრაში კეთდება აღნიშვნა "-".

გრაფა 9. "საქონლის რაოდენობა"

გრაფის უჯრედში ჩაიწერება გაცხადებული საქონლის რაოდენობა (წონა) კილოგრამებში, მთელ რიცხვამდე დამრგვალებული, მე-6 გრაფაში მითითებული ნუმერაციის შესაბამისად. ცარიელ უჯრაში კეთდება აღნიშვნა "-".

გრაფა 11. "საქონლის ღირებულება"

გრაფის უჯრედში ჩაიწერება გაცხადებული საქონლის ღირებულება მთელი რიცხვის შემდეგ პირველ ორ ციფრამდე სიზუსტით მე-6 გრაფაში მითითებული ნუმერაციის შესაბამისად. ცარიელ უჯრაში კეთდება აღნიშვნა "-".

გრაფა 17. "ვადასტურებ"

პირველ ხაზზე აღინიშნება საქონლის გაცხადების თარიღი.

მეორე ხაზზე ფიზიკური პირი აკეთებს ხელმოწერას.

საბაჟო ორგანოს მიერ გრაფების შევსების წესი

გრაფა 3. "ვალუტა"

აღინიშნება იმ ვალუტის დასახელება, რომელშიც გაცხადებულია საქონლის ღირებულება.

გრაფა 4. "ვალუტის კურსი"

აღინიშნება საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი მე-3 გრაფაში მითითებული კოდის შესაბამისი ვალუტის მიმართ, რომელიც დადგენილია ეროვნული ბანკის მიერ დეკლარაციის საბაჟო ორგანოში მიღების თარიღისათვის.

გრაფა 7. "საქონლის სეს სნ-ს კოდი"

გრაფის უჯრედში აღინიშნება მე-8 გრაფის შესაბამის უჯრედში გაცხადებული საქონლის ცხრანიშნა კოდი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად.

სტრუქტურულად კოდი იწერება მიყოლებით, ყოველგვარი გამყოფი ნიშნების გარეშე.

ცარიელ უჯრედში კეთდება აღნიშვნა

გრაფა 10. "საქონლის რაოდენობა სეს სნ-ს შესაბამისად"

გრაფის უჯრედში აღინიშნება მე-8 გრაფის შესაბამის უჯრედში გაცხადებული საქონლის რაოდენობა ზომის დამატებით ერთეულში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად.

თუ გამოიყენება ზომის ძირითადი ერთეული (კგ), მე-10 გრაფა არ ივსება.

ცარიელ უჯრედში კეთდება აღნიშვნა "-".

გრაფა 12. "საბაჟო ღირებულება"

გრაფის უჯრედში აღინიშნება მე-8 გრაფის შესაბამის უჯრედში გაცხადებული საქონლის საბაჟო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში განსაზ-

ღვრული "საქართველოში იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 1999 წლის 4 ოქტომბრის №186 ბრძანების შესაბამისად.

ცარიელ უჯრედში კეთდება აღნიშვნა "-".

გრაფა 13. "დაერიცხა"

გრაფის შესაბამის უჯრედში აღინიშნება მე-8 გრაფის შესაბამის უჯრედში გაცხადებული საქონლის საბაჟო ღირებულებაზე დარიცხული საბაჟო გადასახდელები, ხოლო სვეტში "სულ" - ამ გადასახდელების ჯამი.

ცარიელ უჯრედში კეთდება აღნიშვნა "-"

საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშება და გადახდევინება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გრაფა 14. "სულ"

გრაფის შესაბამის უჯრედში აღინიშნება მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 გრაფების შესაბამის უჯრედში გაცხადებული რაოდენობის ჯამი.

გრაფა 15. "საგადასახადო კონტროლი გავლილია"

საბაჟო ორგანოს საგადასახადო სამსახურის თანამშრომლის მიერ უნდა დაისვას დამღა "საგადასახადო კონტროლი". დამღაში მითითებულ ადგილზე იგივე თანამშრომელი აწერს ხელს, უჩვენებს გაფორმების თარიღს და ამოწმებს პირადნომრიანი ბეჭდით. ბეჭდის დასმა დამღის შიგნით დაუშვებელია. სრულყოფილად უნდა იკითხებოდეს ბეჭდის და დამღის ნომრები და წარწერა.

გრაფა 16. "საბაჟო კონტროლი გავლილია"

საბაჟო ორგანოს სატვირთო (ექსპორტ-იმპორტის) სამსახურის თანამშრომლის მიერ უნდა დაისვას დამღა "გაშვება ნებადართულია". დამღაში მითითებულ ადგილზე იგივე თანამშრომელი აწერს ხელს და მიუთითებს გაფორმების თარიღს. დამღა მოწმდება საბაჟო ორგანოს სატვირთო (ექსპორტ-იმპორტის) სამსახურის თანამშრომლის პირადნომრიანი ბეჭდით, რომელსაც ის მიიღებს გადაწყვეტილებას საქონლის გაშვების თაობაზე. ბეჭდის დასმა დამღის შიგნით დაუშვებელია. სრულყოფილად უნდა იკითხებოდეს ბეჭდის და დამღის ნომრები და წარწერა.

12. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 25 მაისის № 86 ბრძანების "ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის შესახებ" და საქართველოს საბაჟო კოდექსის 95-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის და 97-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული პირადი სარგებლობის საგნების, ვალუტის და ფასიანი ქაღალდების დეკლარირება უნდა განხორციელდეს "ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის" გამოყენებით.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმა მოცემულია გვერდზე.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა ან საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება გამოწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1. ფიზიკური პირის მონაცემები:

1.1. _____/_____/_____/სერია___N_____
გვარი სახელი მოქალაქეობა პასპორტი

1.2. _____/_____
რომელი ქვეყნიდან ჩამობრძანდით რომელ ქვეყანაში მოემგზავრებით

1.3 მგზავრობის მიზანი: საქმიანი ☐ პირადი ☐ ტურიზმი ☐ სხვა ☐

2. პირადად და პარტნიორად მაქვს:

2.1. საქართველოს ერთეული ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, უცხოური ვალუტა.

ვალუტის დასახელება	რაოდენობა	
	ციფრებით	სიტყვიერად

2.2. ძვირფასეულობა (ძვირფასი ლითონები, ქვები და ნაკეთობები), ანტიკვარული ნივთები და ხელოვნების ნიმუშები (ხატები, ნასტები, ქანდაკებები და სხვა), ყოველგვარი იარაღი, ტყვია-წამალი, ამფეთქებადსაშიში ნივთიერება, ნარკოტიკები, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი და მომწამლავი ნივთიერებები, რადიოაქტიური ნივთიერებანი, მაღალსიხშირიანი რადიოელექტრონული მოწყობილობა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ცოცხალი ცხოველები, ცოცხალი ფრინველები, მცენარეები კი ☐ არა ☐

ნივთების დასახელება, მათი მოკლე აღწერილობა, საზღვარზე გადაადგილების ნებართვა	რაოდენობა			საბაჟო ღირებულება
	რაოდენობის ერთეული	ციფრებით	სიტყვიერად	

2.3. დაუბეგრავად შემოტანილი აქციზური საქონელი ნორმაზე ზემოთ კი ☐ არა ☐

2.4. შემოსატანი ერთგვარიანი საქონელი 20 კგ-ზე მეტი წონის კი ☐ არა ☐

2.5 შემოსატანი არაერთგვარიანი საქონელი 50 კგ-ზე მეტი წონის კი არა

2.6. ჩემგან დამოუკიდებლად ოზურგეთის ჩემი ეკუთვნილი ბარგი _____ ადგილი.

3. მე გაცნობი შენიშვნას, დეკლარაცია შევსებულია ჩემს მიერ, რასზეც ხელს ვაწერ

_____ თარიღი _____

_____

4. მეპატრონის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თავი XIV

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობა

1. საბაჟოს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობის არსი და ფორმები

საბაჟო წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის სპეციალური კომპეტენციის ორგანოს, ანუ ისეთ აღმასრულებელ-განმკარგავ ორგანოს, რომელიც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით უფლებამოსილია საბაჟოსთან დაკავშირებულ საკითხებში გამოსცეს კანონქვემდებარე აქტები, რომელთა შესრულება სავალდებულოა ყველა იმ უწყების, იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიერ, რომლებსაც შეხება აქვთ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტვირთის გადაადგილებასთან.

საბაჟოს მოვალეობაა უზრუნველყოს საბაჟო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის, სახელმწიფო, საერთაშორისო, საფინანსო, სამოქალაქო და სხვა უწყებრივი ნორმებისა და უფლებების დაცვა საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა ურთიერთობისას საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეებთან საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების საკითხებში.

ურთიერთობა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა და საბაჟო ორგანოებს შორის წარმოადგენს რთულ კომპლექსს, რომელიც მოიცავს საერთაშორისო, საბაჟო, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამეურნეო, სამოქალაქო, შრომითი, საფინანსო, მიწის, სატრანსპორტო, საზღვაო, საჰაერო, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამხედრო და სხვა სამართლებრივ ნორმებს.

სამართლის ნორმები - ეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქცირებული და მის მიერ კონტროლირებადი საყოველთაოდ შესასრულებელი ქცევის წესებია, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. პირობითად ქცევის ის ნორმები, რომლებიც უნდა სრულდებოდეს საბაჟო ურთიერთობებისას, შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: მარე-

გულისხმობელ ნორმებად, რომლებიც აწესრიგებენ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნორმალურ, სამართლებრივ ურთიერთობებს საბაჟო ორგანოებთან და სამართალდაცვით ნორმებად, რომლებიც არეგულირებენ ამ პირების არასამართლებრივ მოქმედებას.

ამრიგად, სამართლის ნორმები, რომლებიც მოქმედებენ საბაჟო სისტემაში, განსაზღვრავენ და იცავენ პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებს და მიმართულნი არიან სამართლის სუბიექტებს შორის ნორმალური, რაციონალური ურთიერთობების უზრუნველყოფისაკენ.

თითოეულ სამართლებრივ ნორმას აქვს ლოგიკური და ფაქტობრივი (რეალური) სტრუქტურა.

ლოგიკურ სტრუქტურას ქმნის ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია.

ჰიპოთეზა წარმოადგენს ნორმის საწყის ნაწილს, რომელშიც მოცემულია ამ კონკრეტული ნორმის გამოყენების ფაქტობრივი პირობები.

დისპოზიციაში ჩამოყალიბებულია თავად ქცევის წესი, სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებანი.

სანქციებით მიეთითება ის ნეგატიური შედეგები და იმ პირთა პასუხისმგებლობის ზომა, რომლებიც დამნაშავენი არიან სამართლებრივი ნორმის დარღვევაში.

რეალური (ფაქტობრივი) სტრუქტურა შედგება ორი ნაწილისაგან - ჰიპოთეზის (როგორც ზემოთ ითქვა - პირველი ნაწილის) და/ან დისპოზიციის (მარეგულირებელი ნორმების მეორე ნაწილის), ან სანქციისაგან (სამართალდამცავი ნორმის მეორე ნაწილი).

ამრიგად, ხდება სახელმწიფოს მიერ რეგულაციური ხასიათის სამართლებრივი ნორმების შესრულების იძულება სამართალდამცავი ნორმების მეშვეობით. საბაჟო ორგანოები ასეთი მეთოდებით ასრულებენ "საქართველოს საბაჟო კოდექსის" და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად სახელმწიფო მართვის, შესრულების კონტროლის, აღსრულების და გამოყენების ორგანიზაციის ფუნქციას.

რამდენადაც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მონაწილე არ იცავს კეთილსინდისიერად საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების სამართლებრივ ნორმებს, შეუგნებლად თუ შეგნებულად არღვევს მათ, მთლიანად სახელმწიფო მექანიზმს და მის სამართალდამცავ ქვესისტემებს

(პროკურატურა, სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო) ევალებათ დაიცვან კანონი დარღვევისაგან და აღადგინონ მათი მოქმედება.

ამასთან, დაცვა გამოიხატება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა და საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა დადებითი, სასურველი ქცევების წახალისებაში და საბაჟო სფეროში წარმოშობილი პიროვნების, საზოგადოების თუ სახელმწიფოს მიმართ მავნე და საშიში ქმედებების გაუვნებელყოფაში.

იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიმართ სამართლის ნორმების დარღვევისათვის სახელმწიფო იძულების ფორმებია ამ პირის გარკვეული უფლებების შეზღუდვა და იძულება, რათა ამ პირმა აუნაზღაუროს სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი დაზარალებულ პირს - სახელმწიფოს, საბაჟო ორგანოებს ან ამ ორგანოების თანამდებობის პირებს.

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობა მათი სახელმწიფოებრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მომენტია, რომლითაც გამოიხატება სახელმწიფოს ფუნქცია საბაჟო სფეროს სამართალურთიერთობებში.

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობა ხორციელდება პრაქტიკულად მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების ყველა ეტაპზე, სამართლის ნორმების დადგენიდან დაწყებული მათ პრაქტიკაში რეალიზაციამდე, ამიტომ საბაჟო ორგანოები სამართლიანად მიეკუთვნებიან სამართალდამცავ ორგანოებს.

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი ფუნქცია ხორციელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-პროცესუალური, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, ოპერატიულ-სამძებრო და სხვა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ფორმებით.

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმა გამოიხატება საბაჟო და სავალუტო კონტროლის და საქონლის საბაჟო გაფორმებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნების და ფაქტების, აგრეთვე სისხლის სამართლის, საბაჟო, სავალუტო, საგადასახადო და სხვა სახის კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენაში.

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმა ვლინდება ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ქმედებებში, რომლებიც მიმართულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებისა და წესებიდან გადახრის ფაქტების შემოწმებაში, ამ დარღვევების ჩამდენ პირთა გამოვლენაში, ქმედების კვალიფიკაციაში, დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაში და ზომების მიღებაში, რათა ასეთი სამართალდარღვევით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი იყოს რაც შეიძლება მცირე, ხოლო სამართალდარღვევების გამეორების საშუალება აღკვეთილი.

კონკრეტულად ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმა ხორციელდება აღმოჩენილი სამართალდარღვევის თაობაზე ოქმის შედგენაში, საქმის აღძვრასა და წარმოებაში, მის განხილვაში და სანქციის მიყენებაში.

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის სისხლის სამართლის საპროცესო ფორმა გამოიხატება საბაჟო ორგანოების, როგორც მოქვლევი ორგანოების სტატუსში, რომლის საფუძველზე სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტებისა ან ნიშნების აღმოჩენისას იმ სფეროში, რომელიც განეკუთვნება საბაჟო ორგანოების კომპეტენციას, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, აგრეთვე წინასწარი გამოძიების ორგანოების დავალებით სამძებრო მოქმედებებში მონაწილეობაში.

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა თავად საბაჟო ორგანოების და მათი საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც ვლინდება შიგა ადმინისტრაციულ კონტროლში, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში, საბაჟო ორგანოების შემადგენლობის და მათი ოჯახის წევრების ფიზიკურ და სამხედრო მომზადებაში და საბაჟო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფაში.

სამართალდაცვითი საქმიანობის და სპეციალური საქმიანობის ერთგვარ შერწყმას წარმოადგენს საბაჟო ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო ქვეგანაყოფების საქმიანობის ელემენტები (კრიმინალის გამოვლენა, დაზვერვა, ძებნა და სხვა). სამართალდამცავი საქმიანობის ეს ფორმა გამოიხატება საბაჟო კონტროლის ეფექტურობის გაზრდაში, საბაჟო წესების დარღვევის ან დარღვევისათვის მზადების ნიშნების და ფაქტების, მასში მონაწილე პირების, მიზეზების, დანაშაულის ხელშემწყობი პირობების გამოვლენაში, დანაშაულის თავიდან აცილებაში.

2. საბაჟო წესების დარღვევების არსი და საქმის წარმოების პრინციპები

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებს მიეკუთვნება ყველა ისეთი სახის დარღვევა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან და მათზე საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით "საბაჟო წესების დარღვევა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა დარღვევები იწვევენ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კანონმდებლობის მიხედვით" (მუხლი 145).

თავად საბაჟო კოდექსი არ იძლევა საბაჟო სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების წესსა და პასუხისმგებლობის ზომას, არამედ მიუთითებს, რომ "საბაჟო წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობისა და სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით" (მუხლი 147).

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: დარღვევები, რომლებიც იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ანუ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ისეთი შემთხვევები, რომლებიც განიხილება და რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ეს გარემოება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ საბაჟო კანონმდებლობის ნებისმიერი დარღვევა განვიხილოთ როგორც სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების კერძო, საბაჟო სფეროსთან დაკავშირებული სპეციფიური ფორმა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება საბაჟო წესების დარღვევას მივცეთ შემდეგი დეფინიცია:

საბაჟო წესების დარღვევა არის პირის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მიმართულია დადგენილი წესების ხელყოფისკენ:

1) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას;

2) საბაჟო რეჟიმების გამოყენებისას;

3) მათზე საბაჟო კონტროლის განხორციელებისას;

4) ამ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას;

5) საბაჟო დაბეგვრისას და გადასახადების გადახდისას;

6) საბაჟო შეღავათების მინიჭებისას და ამ შეღავათებით სარგებლობისას;

7) ქცევის იმ წესების დარღვევისას, რომლებიც გათვალისწინებულია საბაჟო კანონმდებლობით და რომელთა დარღვევა, საქართველოს საბაჟო კოდექსით, იწვევს პასუხისმგებლობას.

აქ მოყვანილი წესების ხელყოფისას ადგილი უნდა ჰქონდეს სამართალდარღვევის ნიშნებს, ანუ სამართალდარღვევის ობიექტურ მხარეს და სამართალდარღვევის სხვა აუცილებელ ნიშნებს - სუბიექტს, ობიექტს, სუბიექტურ მხარეს, ანუ მთლიანობაში ამან უნდა შეადგინოს საბაჟო წესების დარღვევის შემადგენლობა.

საბაჟო წესების დარღვევების დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ საბაჟო წესების დარღვევის ობიექტებია:

- საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესი;

- საბაჟო რეჟიმების არჩევისა და გამოყენების წესი;

- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების გაფორმების და მათი საბაჟო კონტროლის ჩატარების წესი;

- ამ საქონლის დაბეგვრის და გადასახადების გადახდის წესი;

- საბაჟო შეღავათებისა და პრეფერენციების მიკუთვნების და გამოყენების წესი.

საბაჟო წესების დარღვევის სუბიექტებია:

- როგორც უცხოელი, ისე საქართველოს იურიდიული პირები, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილე საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, ფირმები და ა.შ., აგრეთვე მეწარმეები, რომლებიც ეწევიან კომერციულ საქმიანობას იურიდიული პირის სტატუსის გარეშე;

- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილე ფიზიკური პირები;
- სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები.

როცა საბაჟო წესების დარღვევის გამო დღის წესრიგში დგება იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, საბაჟო წესების დარღვევის სუბიექტებს მიეკუთვნება წარმოებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ის თანამდებობის პირები, რომლებიც მონაწილეობენ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სამსახურეობრივ მოვალეობაში შედიოდა საბაჟო საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესრულება ისეთ საბაჟო სფეროსთან და საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების დაცვასთან დაკავშირებით, რომელთა შესრულების კონტროლი ევალება საბაჟო ორგანოებს. თანაც, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი დგება მათი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობისაგან დამოუკიდებლად.

საბაჟო წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება მხოლოდ ის პირი, რომელიც დანამდვილებით იმყოფებოდა გადაულახავი ძალის ზემოქმედების ქვეშ და ამიტომ არ შეეძლო შეესრულებინა საბაჟო წესები.

გადაულახავი ძალის ქვეშ იგულისხმება თავისი არსით საგანგებო მოვლენა, რომლის მავნე შედეგების თავიდან აცილება პირს არ შეეძლო არავითარი, იმ დროს მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით. მაგალითად, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და ა.შ.

ასეთ გადაულახავ ძალას აგრეთვე მიაკუთვნებენ უცხო ქვეყნის თანამდებობის პირების საქართველოს კანონმდებლობის თვალსაზრისით, არასამართლებრივ ქმედებას.

იურიდიული პირის **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრისას** საჭიროა წინასწარ დადგინდეს ამ იურიდიული პირის ქმედითუნარიანობა. მაგალითად, გამოსათხოვი და შესასწავლია ამ იურიდიული პირის წესდება და სარეგისტრაციო დოკუმენტები, რათა ზუსტად იქნეს დადგენილი, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა - თავად კომპანიას, მის ფილიალს, წარმომადგენლობას, რწმუნებულს, ნდობით აღჭურვილ პირს, ბროკერს თუ სხვას.

საბაჟო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული მოვლენა - **ორსუბიექტიანი პასუხისმგებლობა**, რომლის ძალითაც ერთსა და იმავე საბაჟო წესების დარღვევის შემთხვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იურიდიულ პირს, ხოლო ასევე ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის - ფიზიკურ პირს.

საბაჟო წესების დარღვევის **სუბიექტური მხარე** შეიძლება გამოიხატოს ბრალეულობის ორი ფორმით - წინასწარ განზრახვით წესების დარღვევა და გაუფრთხილებლობით.

საბაჟო წესების დარღვევა მიეკუთვნება **წინასწარ განზრახვითს**, თუ პირს, რომელმაც დაარღვია საბაჟო წესები, შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ქმედების მავნე შედეგები და თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით სურდა ასეთი (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებულად არ შეუშალა ხელი ასეთი შედეგების დადგომას (ირიბი განზრახვა).

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას საბაჟო წესების დარღვევის ნაკლებ მნიშვნელოვნების გამო. ნაკლებ მნიშვნელოვნების საკითხს წყვეტს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირი ფაქტობრივი მასალებიდან და საქმის ვითარებიდან გამომდინარე. ამ დროს გასათვალისწინებელია ქმედების ხასიათი, გარემო და პირობები, რომლებშიც მოხდა ეს ქმედება, მიყენებული ზარალის უმნიშვნელობა, გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას და სხვა ფაქტორები.

ნაკლები მნიშვნელოვნების გამო საბაჟო წესების დარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული თავად ამ დოკუმენტში.

საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე საქმის წარმოება ხორციელდება ქვეყანაში მიღებული საქმის წარმოებისა და განხილვის კანონმდებლობის შესაბამისად.

პასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევისათვის ითვალისწინებს ადმინისტრაციული სასჯელის შემდეგ ფორმებს: გაფრთხილება, ჯარიმა, ლიცენზიის ან საკვალიფიკაციო ატესტატის გაწვევა, საბაჟო წესების დარღვევის უშუალო ობიექტი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონფისკაცია ან მათი ღირებულების გადახდევინება.

საბაჟო წესების დარღვევის საქმეების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული საქმის წარმოება და განხილვა, როგორც ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობის ფორმა, უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კონსტიტუციაში და სხვა საკანონმდებლო აქტებში დაფიქსირებული პრინციპების მიხედვით და საბაჟო სამართალდარღვევის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ასეთი პრინციპებია:

1. **კანონიერების პრინციპი.** საბაჟო წესების დარღვევის საქმეთა წარმოება საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ და ადმინისტრაციული პროცესის სხვა მონაწილეთა ქმედება უნდა შეესაბამებოდეს კანონს.

უპირველეს ყოვლისა ეს ნიშნავს, რომ საბაჟო წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება აქვთ მხოლოდ ამაზე უფლებამოსილ საბაჟო ორგანოს და მის თანამდებობის პირებს. დაუშვებელია საბაჟო წესების დარღვევებზე საქმის წარმოება საბაჟო ორგანოების იმ თანამდებობის პირთა მიერ, რომლებიც:

- ადრე ამ საქმის წარმოებისას და განხილვისას მასში მონაწილეობდნენ როგორც ადმინისტრაციული წარმოების მონაწილენი;

- თუ ისინი არიან იმ ფიზიკური თუ თანამდებობის პირის ნათესავები, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხი დგას, მათი ადვოკატები თუ რწმუნებულები, ასევე მოწმეები, ექსპერტები, რევიზორები, სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობენ საბაჟო წესების დარღვევის საქმის წარმოებაში;

- თუ არსებობს სხვა გარემოებანი, რომლებიც იძლევიან საშუალებას ჩაითვალოს, რომ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი პირადად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაინტერესებულია განსახილველი საქმის შედეგში.

კანონიერების პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს:

- ზემდგომი საბაჟო ორგანოს და თანამდებობის პირების სისტემატური უწყებრივი კონტროლი საბაჟო წესების დარღვევების საქმეთა წარმოებაზე;

- საპროკურორო ზედამხედველობა კანონიერების დაცვაზე;

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო ორგანოების თანამდებობის და სხვა, ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა ქმედებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

2. **ოპერატიულობის პრინციპი.** ეს პრინციპი გამოიხატება, საკანონმდებლო წესით, ადმინისტრაციულ-პროცესუალური მოქმედებებისათვის ვადის დადგენაში. ვადა უნდა იყოს მოკლე, მაგრამ საკმარისი, რათა სრულად ჩატარდეს ყველა პროცესი.

3. **მრავალმხრივობის, სისრულის და ობიექტურობის პრინციპი.** საბაჟო ორგანოების თავისებურებაა ის, რომ ისინი არა მარტო გამოავლენენ საბაჟო წესების დარღვევას, არამედ თავად აღძრავენ საქმეს, თავადვე გამოიძიებენ, განიხილავენ და გამოაქვთ შესაბამისი სასჯელი. ასეთი კომპლექსურობა მოითხოვს საბაჟო ორგანოებისაგან ყველა საჭირო პირობისა და გარემოების მაქსიმალურად მრავალმხრივ, სრულ და ობიექტურ შესწავლას.

4. **შეჯიბრებითობის პრინციპი.** ამ პრინციპის არსი მდგომარეობს ბრალდების, დაცვის და დავის გადამწყვეტის ფუნქციების განაწილებაში, ერთი მხრივ, საბაჟო ორგანოებსა მათ თანამდებობის პირთა და, მეორე მხრივ, საბაჟო წესების დარღვევაში დადანაშაულებულთა შორის.

შეჯიბრი გამოიხატება იმაში, რომ მხარეებს უნდა მიეცეს ფართო საშუალება, რათა გამოიყენონ თავისი პროცესუალური უფლებები, დაიცვან საკუთარი ინტერესები და გავლენა მოახდინონ საბაჟო წესების დარღვევის საქმეზე განხილვის შედეგებზე.

5. **საბაჟო წესების დარღვევის საქმის განხილვისას კანონისა და საბაჟო ორგანოების წინაშე მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.** ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი პროცესუალური უფლებებით განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნულობისა, ენისა, წარმოშობისა, ქონებრივი თუ სამსახურებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, რელიგიასთან დამოკიდებულებისა, მრწამსისა, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობისა და სხვა.

6. **საჯაროობის პრინციპი.** ამ პრინციპის არსია, რომ საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო წესების დარღვევის ფაქტების განხილვა მიმდინარეობს სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით და სახელმწიფოს სახელით. აგრეთვე იმაში, რომ საბაჟო ორგანოში საქმის განხილვა მიმდინარეობს ღიად.

7. **ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვის პრინციპი.** საბაჟო წესების დარღვევის საქმეთა განხილვისას პროცესის მონაწილეები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი მათი უფლებების და თავისუფლებების პროცესუალური გარანტიით საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

8. **ეროვნული ენის გამოყენების პრინციპი.** საბაჟო წესების დარღვევის საქმის წარმოება და განხილვა მიმდინარეობს ქართულ ენაზე. პირებს, რომლებმაც არ იციან ქართული ენა უფლება აქვთ გააცეთონ განცხადებები, მისცენ განმარტებები, აღძრან შუამდგომლობა მშობლიურ ან რომელიმე სხვა ენაზე, რომელსაც უკეთ ფლობენ ან გამოიყენონ თარჯიმანი.

9. **უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაცვის უფლება** საბაჟო წესების დარღვევის საქმის წარმოებისა და განხილვისას უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ამ პრინციპიდან გამომდინარე, პასუხისგებაში მიცემულ პირს აქვს უფლება:

- იცოდეს, თუ საბაჟო წესების რომელი ნორმის დარღვევისათვისაა დადანაშაულებული;
- გაეცნოს საქმის მასალებს წარმოების დამთავრების შემდეგ და განხილვის დროს. გააკეთოს ამ საქმიდან ამონაწერები;
- იძლეოდეს ახსნა-განმარტებას;
- წარმოადგინოს მტკიცებულებანი;
- მისცეს აცილება და აღძრას შუამდგომლობა;
- ისარგებლოს მშობლიური ენით, სხვა ენით, რომელსაც უკეთ ფლობს ან თარჯიმანით;
- გაასაჩივროს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

უდანაშაულობის პრეზუმპცია გამოიხატება იმაში, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ითვლება საბაჟო წესების დარღვევის ბრალდებაში უდანაშაულოდ მანამდე, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული კანონით გათვალისწინებული წესით.

10. ორსაფეხურიანობის პრინციპი ისაა, რომ კანონი ითვალისწინებს გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას როგორც ზემდგომ საბაჟო ორგანოში ან საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში (თანამდებობის პირთან), ასევე სასამართლოში. კერძოდ, საქართველოს საბაჟო კოდექსის მუხლი 166 "საბაჟო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებების, მოქმედების ან უმოქმედობის გასაჩივრება" იუწყება: "საბაჟო ორგანოების და მათი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით"

საბაჟო წესების დარღვევებთან დაკავშირებული საქმეების წარმოება და განხილვა გაივლის სტადიებს (ეტაპებს), რომლებიც არიან რა საქმის წარმოების დამოუკიდებელი პროცესუალური ნაწილები, ერთის მხრივ, ურთიერთკავშირში იმყოფებიან და, მეორეს მხრივ, თითოეულ მათგანს აქვს თავისი სპეციფიური პროცესუალური ფუნქციები, მიზნები და ამოცანები.

საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების წარმოების ადმინისტრაციული პროცესი შედგება შემდეგი სტადიებისაგან:

1. საქმის აღძვრა და მისი ადმინისტრაციული გამოძიება;
2. საქმის განხილვა და ამ საქმეზე დადგენილების გამოტანა;
3. საბაჟო წესების დარღვევის საქმის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება, გაპროტესტება და გადახედვა;
4. საქართველოს საბაჟო ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება.

საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებით საქმის აღძვრის საბაბი შეიძლება იყოს:

1. საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის მიერ უშუალოდ საბაჟო წესების დარღვევის ნიშნების აღმოჩენა;
2. საქართველოს და უცხო ქვეყნების მოქალაქეების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შეტყობინება;
3. სხვა სამართალდამცავი, მაკონტროლებელი და სხვა სახელმწიფო ორგანოების ან სხვა საბაჟო ორგანოების მიერ მოწოდებული მასალები;
4. უცხო ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების საბაჟო და სხვა სამართალდამცავი და უცხო ქვეყნების და სხვა საერთაშორისო

ორგანიზაციების კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე საქმის აღძვრის პროცესუალური საფუძველია **საბაჟო წესების დარღვევის ოქმი.**

საბაჟო ორგანოს თანამშრომლისათვის საბაჟო წესების დარღვევის ოქმის შედგენის ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია, ოქმის ფორმა, შინაარსი და სისრულე საბაჟო ორგანოს თანამშრომლის პროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

ოქმში აუცილებლად უნდა აისახოს მონაცემების სამი ჯგუფი:

1. მონაცემები, რომლებიც ასახავენ საბაჟო წესების დარღვევის მასალებს და გარემოებებს: **ჩადენილი სამართალდარღვევის ადგილი, დრო, არსი. ოქმში უნდა იყოს მინიშნებული კანონის კონკრეტული მუხლი, რომელსაც მიესადაგება პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევისათვის, ანუ ამ საბაჟო სამართალდარღვევას უნდა მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაცია;**
2. მონაცემები, რომლებიც ეხება საბაჟო წესების დამრღვევის პიროვნულ მახასიათებლებს: **გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, საცხოვრებელი და მუშაობის ადგილი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირადობას;**
3. მონაცემები თავად ოქმის ფორმის და მისი შემდგენლის თაობაზე. **ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი, გვარი და თანამდებობა იმ პირისა, ვინც შეადგინა ოქმი აგრეთვე მოწმეთა გვარები და მისამართები, თუ ასეთი მოწმეები არიან.**

ოქმის შედგენისას საბაჟო წესების დარღვევაში შემჩნეულ პირს უნდა განემარტოს მისი უფლებები, რის შესახებ ოქმში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

საბაჟო წესების დარღვევის ადმინისტრაციული გამოძიება ითვალისწინებს მასში შემდეგი პირების მონაწილეობას:

- პირები, რომლებსაც აქვთ საქმესთან პირადი ინტერესი, ან წარმომადგენლობითი, ან დაცვითი დამოკიდებულება (საბაჟო წესების დარღვევაში შემჩნეული პირი, მისი წარმომადგენელი, მისი ადვოკატი);

- პირები, რომლებიც ხელს უწყობენ საქმის გარემოებების გამოძიებას (ექსპერტები, სპეციალისტები, თარჯიმნები, მოწმე, დამსწრე);

- იმ ტერიტორიის სახელმწიფო წარმომადგენელი, სადაც ცხოვრობს ან იმყოფება საბაჟო წესების დარღვევაში შემჩნეული პირი.

საბაჟო წესების დარღვევის საქმის საწარმოებლად შეიძლება საჭირო გახდეს კანონით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებანი:

- საბაჟო წესების დარღვევაში შემჩნეული ფიზიკური პირის ან თანამდებობის პირის ვინაობის დადგენა;

- ამ პირის მოყვანა საბაჟო ორგანოს შენობაში;

- ამ პირის ადმინისტრაციული დაკავება.

მტკიცებულობანი საბაჟო წესების საქმეზე:

1. **საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შედგენილი ოქმები საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ამ სამართალდარღვევის ფაქტსა და გარემოებებს;**
2. **საბაჟო წესების დარღვევაში შემჩნეული პირის ახსნა-განმარტება;**
3. **მოწმის ჩვენება;**
4. **ექსპერტის დასკვნა;**
5. **ნივთიერი მტკიცებულებანი;**
6. **წერილობითი მტკიცებულებანი.**

საბაჟო წესების დარღვევის, როგორც სამართალდარღვევის ერთერთი ფორმის, სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ საქმეზე მტკიცებულებათა ბაზა ძირითადში დაკავშირებულია სხვადასხვა ოქმებსა და დოკუმენტებთან, რომლებიც ფორმდება საბაჟო კონტროლის და საბაჟო გაფორმებისას და, აგრეთვე, საბაჟო წესების დარღვევის საქმის უშუალოდ წარმოებისას და განხილვისას. ეს მტკიცებულებები წარმოადგენენ საბაჟო ორგანოების თანამშრომლებისა და თანამდებობის პირების მიერ პროცესუალური ქმედებებისას შედგენილ დოკუმენტს.

საბაჟო წესების დარღვევის ნივთმტკიცებულებებს აგრეთვე მიეკუთვნება სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ფაქტებს და გარემოებებს, რომლებსაც აქვთ სამართალდარღვევასთან შეხება. ასეთია თანამდებობის პირთა მიერ გამოთხოვილი ცნობები, ხელშეკრულებები, უწყისები, ანგარიშ-ფაქტურები და ა.შ.

საბაჟო ორგანოს იმ თანამდებობის პირს, ვისაც ეხება საბაჟო წესების დარღვევის საქმის განხილვა, შეიძლება მოუწიოს, მათ შორის პირადადაც, შემდეგი პროცესუალური ქმედებების ჩატარება:

1. ჩვენებების აღება საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე ყველა იმ პირისაგან, რომელიც რაიმე შეხება ჰქონდა ამ საქმესთან;
2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვნა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან;
3. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების დაკავება, დოკუმენტების და ნივთების ამოღება;
4. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ქონების დაყადაღება;
5. საბაჟო გამოძიების ჩატარება;
6. დათვალიერება და ჩხრეკა;
7. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, დოკუმენტების და სხვა ნივთების წარდგენა გამოცნობისათვის;
8. ინფორმაციის მიღება სახელმწიფო ორგანოებისა და პირებისაგან;
9. რევიზიების, შემოწმებების და ინვენტარიზაციის ჩატარება;
10. ექსპერტიზის დანიშვნა;
11. ექსპერტიზის ჩასატარებლად სინჯების და ნიმუშების აღება.

საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ამ სახის სამართალდარღვევის საქმის წარმოების უმნიშვნელოვანესი მომენტია იმდენად, რამდენადაც ამ დროს შეისწავლება, მოწმდება და ეძლევა შეფასება მტკიცებულებებს, რის შედეგად არსებითად განიხილება თავად სამართალდარღვევის ფაქტი. საბაჟო სამსახურის თანამდებობის იმ პირისათვის, რომელიც აწარმოებდა საქმეს, ეს ეტაპი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ დროს მოწმდება კანონიერება და საფუძვლიანობა ყველა სამძებრო დოკუმენტისა და ეძლევა შეფასება გამოძიების ხარისხს.

საბაჟო წესების დარღვევის საქმის განხილვისას დგინდება საბაჟო წესების დარღვევის ჩამდენ ფიზიკურ თუ თანამდებობის პირის ბრალეულობა (ან უდანაშაულობა) და სახელმწიფოს სახელით გამოიტანება

გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სასჯელის სახისა და ზომის თაობაზე. სასჯელის გამოტანისას მხედველობაში მიიღება როგორც საბაჟო წესების დარღვევის ხასიათი და საზოგადოებისათვის საშიშროების ხარისხი, ასევე განსასჯელის ვინაობა.

საბაჟო წესების დარღვევის საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე განიხილება შემდეგი პროცესუალური საკითხები:

1. **საქმის მოსასმენად მომზადება (საქმის განხილვის მიმართ იმ საბაჟო ორგანოს კომპეტენციის დადგენა, რომელსაც გადაეცემა საქმე განსახილველად);**
2. **საქმის მოსმენა და განხილვა;**
3. **საბაჟო წესების დარღვევის საქმეზე გადაწყვეტილების მიღება;**
4. **საბაჟო წესების დარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.**

საბაჟო წესების დარღვევის საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების მთავარი გარანტია ის, რომ სწორად შედგენილი ეს დოკუმენტი წარმოადგენს **სახელისუფლებო აქტს**, რომლის აღსრულება სავალდებულოა (შეუსრულებლობა ისჯება კანონით) როგორც საბაჟო წესების დამრღვევისათვის, ისე სახელმწიფო ორგანოებისათვის, ანუ აქვს ისეთივე ძალა, როგორც სასამართლოს განაჩენს.

რამდენადაც ადმინისტრაციული სასჯელების უმეტესობა გამოიხატება ჯარიმით, მათ ამოღებას საბაჟო ორგანო ახდენს თვითონ ნებაყოფლობით ან ძალისმიერი მეთოდებით (შეუზღუდავს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს ჯარიმის გადახდამდე), ბანკების ან სხვა საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში კი სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით.

3. საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმები

საბაჟო წესების დარღვევის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმები რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე და 194-ე მუხლებით, რომელთა უკანასკნელი რედაქცია მოყვანილი იქნა საქართველოს საბაჟო კოდექსთან შესაბამისობაში 1997 წლის 12 დეკემბერს.

2000 წლის 24 მარტისა და 2000 წლის 5 მაისის გამამკაცრებელი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ საბაჟო წესების დარღვევები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აისახა შემდეგნაირად:

"მუხლი 193. საბაჟო წესების დარღვევა

1. საბაჟო კონტროლის რეჟიმის, საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გავლის, დგომის და გაჩერების, დეკლარირების წესების და საბაჟო კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა დარღვევა:

ა) საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ფიზიკურ პირთა უნებართვოდ გადაადგილება საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე;

ბ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების უნებართვოდ განკარგვა. დაკარგვა (დაკარგვის საფრთხის ასაცილებლად ზომების მიუღებლობის გამო), საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას და დადგენილ ვადაში მიუტანლობა;

გ) არამართლზომიერი ოპერაციების ჩატარება გარკვეული საბაჟო რეჟიმით მოთავსებული საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, მათი მდგომარეობის შეცვლა. სარგებლობა ან განკარგვა საბაჟო რეჟიმის დაუცველად;

დ) საბაჟო ორგანოების მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლა, მოსპობა, დაზიანება ან მოცილება;

ე) საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე საქონლის მოთავსებისა და შენახვის წესების დარღვევა;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში ადრე შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობა, თუ გატანა სავალდებულოა. ან ადრე გატანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაუბრუნებლობა, თუ დაბრუნება სავალდებულოა და მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

ი) საქონლის განადგურების წესის დარღვევა, განადგურების შემდეგ წარმოქმნილი ნარჩენების მოთავსების დადგენილი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და პირობების დარღვევა;

კ) საბაჟო კონტროლისათვის იმ საქონლის დამალვა, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილდება, აგრეთვე სამალავებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რაც ძნელებს საქონლის მიგნებას. ან ერთი საქონლისთვის მეორე საქონლის სახის მინიჭება, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

კ) საბაჟო საზღვრის გავლისას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუჩერებლობა;

ი) ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად ზომების მიუღებლობა;

ლ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გასვლა მათი დგომის ადგილიდან საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;

მ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული გემთან ან სხვა მცურავ საშუალებებთან გემით თუ სხვა მცურავი საშუალებებით მიდგომა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;

ნ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშულებების გადაადგილება, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, შეფუთვა, ხელახალი შეფუთვა, გადასაზიდად მიღება, სათავსებისა და სხვა ადგილების გახსნა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;

ო) პირობითად გაშვებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან განკარგვა იმისგან განსხვავებული მიზნით, რის გამოც მიენიჭათ საბაჟო გადასახდელების შეღავათები, თუ არ არის საბაჟო ორგანოების ნებართვა;

ა) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარაციაში შეუტანლობა ან უზუსტო დეკლარირება, მცდარი ცნობების შეტანა, რაც გავლენას ახდენს საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებაზე საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების, საბაჟო რეჟიმით მათი მოთავსების შესახებ;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან დოკუმენტებისა და იდენტიფიკაციის საშუალებების ყალბად გამოყენების შედეგად უზუსტო დეკლარირების გზით შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა, შეძენა, გამოყენება და განკარგვა;

გ) საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა დოკუმენტში საბაჟო რეჟიმის, საბაჟო ღირებულების ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარმოშობის ქვეყნის შესახებ ან სხვა ისეთი უზუსტო ცნობების შეტანა, რაც საფუძველს იძლევა საბაჟო გადასახდელებისაგან გასათავისუფლებლად ან ოდენობის შესამცირებლად, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

დ) საბაჟო დეკლარირების განხორციელება პირის მიერ, რომელსაც არა აქვს საბაჟო ბროკერის ლიცენზია, ყალბი ლიცენზიით, აგრეთვე საბაჟო ბროკერის ან მისი წარმომადგენლის მიერ დაცული საიდუმლო, ან კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი ცნობების გამოყენება პირადი მიზნებისათვის, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

ე) საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განხორციელება ულიცენზიოდ ან გაუქმებული, შეჩერებული ან ყალბი ლიცენზიით, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე ან საბაჟო გადასახდელების სამმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათაგან ერთ-ერთის განმეორებით ჩადენა -

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე ან საბაჟო გადასახდელების ხუთმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებების კონფისკაციით ან უამისოდ.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში საბაჟო და საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან ჯარიმის გადახდამდე დაკავონ საბაჟო წესების დარღვევით შემოტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობისას დაკავებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით".

ამ მუხლის „ა" პუნქტი ეხება საქონლის სატრანსპორტო საშუალებების, ფიზიკურ პირთა უნებართვოდ გადაადგილებას საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად საბაჟო კონტროლის ზონებისათვის ადგილს განსაზღვრავს და ასეთ ზონებს ქმნის საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი საბაჟო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხდება საქონლით საბაჟო საზღვრის გადაკვეთა, აგრეთვე საბაჟო გაფორმების ადგილებში. საბაჟო ორგანოს განლაგების ადგილებში და სხვა ადგილებში, როგორიცაა საბაჟო საწყობები, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიების (სავაჭრო დარბაზების, დამხმარე სათავსოებისა და მაღაზიის საწყობის ჩათვლით), დროებით შენახვის საწყობების ტერიტორია და სხვა, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლი.

საბაჟო კონტროლის ზონა გამოირჩევა სხვა ადგილებისაგან განსხვავებული რეჟიმით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისადმი უფრო მკაცრი რეგლამენტაციით და იმით, რომ საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ჩატარებისას საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს ენიჭებათ დამატებითი უფლებამოსილებანი, კერძოდ, ასეთ ზონებში საწარმოო ან სხვა კომერციული საქმიანობა, ასევე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, ჯერეთვე ფიზიკური პირების გადაადგილება საბაჟო კონტროლის ზონაში დასაშვებია მხოლოდ საბაჟო ორგანოების ნებართვით და მათი კონტროლით.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოქმედებათა ჩასატარებლად საბაჟო კონტროლის ზონაში დაიშვებიან მოკვლევის, საგამოძიებო და სხვა სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლები. ასეთ შემთხვევებში საბაჟო კონტროლის ზონაში დაშვება ნებადართულია საბაჟო ორგანოების წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის „ბ" პუნქტით სამართალდარღვევად ითვლება საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების უნებართვოდ გასხვისება, დაკარგვა (დაკარგვის საფრთხის ასაცილებლად ზომების მიუღებლობის გამო) და საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას მიუტანლობა.

ამ სამართალდარღვევათა ობიექტური მხარე გამოიხატება ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ (როგორც დამოუკიდებლად, ასევე საბაჟო გადამზიდველის და ბროკერის მეშვეობით) საბაჟო კონტროლზე აყვანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გასხვისებაში, დაკარგვაში და განსაზღვრულ ადგილზე მიუტანლობაში საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე.

საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით დადგენილია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისას საბაჟო კონტროლი იწყება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან, ხოლო გატანისას საბაჟო კონტროლი იწყება დეკლარაციის მიღების მომენტიდან. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საბაჟო კონტროლი მთავრდება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტის დროს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმების შემთხვევაში შესაბამისი რეჟიმის სრული დამთავრებისას.

საბაჟო კოდექსის 92-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დასაშვებია იმ საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების განკარგვა და ან გამოყენება, რომელთა მიმართაც საბაჟო გაფორმება არ არის დამთავრებული.

კონტროლზე აყვანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე მიტანის პირობები რეგულირდება საბაჟო კოდექსის 11-ე მუხლით, რომლის თანახმად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი, მათი მდგომარეობის რაიმე ცვლილებების გარეშე (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთისა და ტრანსპორტირებისას ნორმალურ პირობებში კლების შედეგად) და რაიმე სხვა მიზნით გამოყენების გარეშე, დადგენილი მარშრუტით უნდა მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას და იმყოფებოდეს იქ მიტანის შემდეგ.

იქვე მითითებულია, რომ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უნდა მოხდეს საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, მიტანის ჩვეულებრივი ვადების შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალებების შესაძლებლობის, დადგენილი მარშრუტისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგრამ ეს ვადები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ვადას, რომელიც განისაზღვრება დღეში ას კილომეტრზე გაანგარიშებით.

სწორედ ასეთი ხასიათის მოქმედება ან უმოქმედება წარმოადგენენ ამ სამართალდარღვევის ობიექტურ მხარეს.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლზე აყვანისას საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელე ადგენს მესაკუთრეს ან მის უფლებამოსილ პირს, აცნობს ტვირთის და სატრანსპორტო საშუალებების გატარების მარშრუტს და შიგა საბაჟო ტრანზიტის ფორმის შესაბამის გრაფებში მიუთითებს მიტანის ადგილს და დროს.

ამავე მუხლის „გ" პუნქტით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ითვალისწინებს გარკვეულ საბაჟო რეჟიმში მოთავსებული საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით არამართლზომიერი ოპერაციების ჩატარებას, მათ მდგომარეობის შეცვლის, მათ სარგებლობას ან განკარგვას საბაჟო რეჟიმის დაუცველად.

სამართალდარღვევის უშუალო ობიექტებია საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა მიმართაც საბაჟო გაფორმება არ დამთავრებულა, ან რომელთა მიმართ არ არის საბაჟო ორგანოს განკარგუ-

ლება მათი გაშვების შესახებ თავისუფალ მიმოქცევაში ან სხვა საბაჟო რეჟიმში, აგრეთვე საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ მიიტანეს დანიშნულების საბაჟო ორგანოში შიგა საბაჟო ტრანზიტის პროცედურის მიხედვით და მათ არ გაუვლიათ ამ ორგანოში დეკლარირების პროცედურა.

ამ სამართალდარღვევის ობიექტური მხარე გამოიხატება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებზე ოპერაციების ჩატარებაში, რომელთა მიმართ საბაჟო გაფორმება არ დამთავრებულა, მათი მდგომარეობის შეცვლაში, მათ გამოყენებასა და განკარგვაში საბაჟო კოდექსით დადგენილი მოთხოვნებისა და პირობების დარღვევით.

ზემოთ დასახელებულ მოქმედებებიდან თუნდაც ერთის შეუსრულებლობა ქმნის განსახილველ სამართალდარღვევის ობიექტურ მხარეს.

მოცემული სამართალდარღვევის სუბიექტები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ახორციელებენ არამართლზომიერ ოპერაციებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა მიმართ საბაჟო გაფორმება არ დამთავრებულა, კერძოდ საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების მიმღები, მისი რწმუნებული პირი ან საბაჟო ბროკერი, ან გადამზიდავი.

მოცემული სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილი იქნეს პირის მიერ როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით საბაჟო წესების დარღვევას განეკუთვნება საბაჟო ორგანოების მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლა, მოსპობა, დაზიანება ან მოცილება (მუხლი 103, პუნქტი „დ").

ამ სამართალდამრღვევის საგანია საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებანი: ბეჭდები, პლომბები, შტამპები, საიდენტიფიკაციო ნიშნები, ციფრობრივი, ასოითი თუ სხვა ნიშანდება, საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია, ნახაზები, ფოტოები და სხვა რომლებიც გამოიყენება საბაჟო ორგანოების მიერ კონტროლის მიზნებისათვის.

ქმედება გამოიხატება საბაჟო საიდენტიფიკაციო ნიშნების შეცვლაში, განადგურებაში და დაზიანებაში. უმოქმედობის ფორმაა - ამ საშუალებების დაკარგვა.

ამ დარღვევის სუბიექტები, როგორც წესი, შეიძლება იყოს ტვირთის მფლობელი, მისი წარმომადგენელი, საბაჟო გადამზიდველი და საბაჟო ბროკერი. დარღვევის სუბიექტური მხარეა განზრახ დარღვევა და დარღვევა გაუფრთხილებლობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება პირი, რომელმაც მოახდინა იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლა, მოსპობა, დაზიანება ან მოცილება ექსტრემალურ პირობებში, როცა წარმოიშვა მგზავრების და ეკიპაჟის სიცოცხლის და ჯანმრთელობის, ასევე საქონლის და სატრანსპორტო საშუალების საფრთხე, რომლის ლიკვიდაცია საიდენტიფიკაციო საშუალებათა ხელყოფის გარეშე შეუძლებელი იყო.

ასევე საბაჟო წესების დარღვევად ითვლება საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოს მიერ შეთანხმებულ ადგილზე შესანახად საქონლის მოთავსებისა და მისი შენახვის წესების დარღვევა (მუხლი 103, პუნქტი „ე").

საბაჟო წესების ასეთი დარღვევის უშუალო ობიექტია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთავსება დროებითი შენახვის საწყობის ან თავისუფალი საწყობის საბაჟო რეჟიმების დარღვევა და საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით ოპერაციების ჩატარება მაშინ, როცა ისინი ასეთ რეჟიმში იმყოფებიან.

ასეთი სამართალდარღვევები შეიძლება იყოს: საწყობში საქონლის მოთავსების წესის დარღვევა; შენახვის ვადების დარღვევა; შენახული საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით ოპერაციების ჩატარება თუკი ეს არ არის გათვალისწინებული საბაჟო კოდექსით; საწყობში საქონლის მოთავსება დეკლარირების გარეშე; საწყობში მოთავსებული საქონლის დახარისხება და გადაადგილება საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე; გადასახდელების გადაუხდელობა და სხვა.

ასეთი დარღვევების სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საწყობში მომთავსებელი პირი, ასევე საწყობის მფლობელი.

საბაჟო წესების დარღვევის შემდეგი სახეა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში ადრე შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობა, თუ ასეთი გატანა სავალდებულოა, ან

ადრე გატანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაუბრუნებლობა, თუ ასეთი სავალდებულოა (მუხლი 103, პუნქტი „ვ").

ფაქტობრივად საბაჟო წესების ეს დარღვევა იგივე საბაჟო რეჟიმის „საქონლის დროებითი შემოტანა (გატანა)" (იხ. საბაჟო კოდექსი თავი I მუხლები 41-46) დარღვევაა. ამ სამართალდარღვევაში არ შედის დროებით გატანილი „საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთების საქართველოში დაუბრუნებლობა", რომელიც განეკუთვნება სისხლის სამართლის დანაშაულს (იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 215).

საბაჟო წესის ამგვარი დარღვევის ობიექტური მხარეა დადგენილი ვადების დარღვევა და ამიტომ საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ:

ა) დროებითი შემოტანის (გატანის) ვადებს, შემოტანის (გატანის) მიზნებიდან გამომდინარე ადგენს საბაჟო ორგანო და რომ ასეთის ზღვრული ვადაა ერთი წელი (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 44);

ბ) თუ საქონელი შემოიტანება ან გაიტანება გამოფენებზე, ბაზრობებზე, საერთაშორისო შეხვედრებზე გამოსაფენად გაყიდვის მიზნის გარეშე, ან თეატრალური (საცირკო) სპექტაკლების დასადგმელად და ა.შ., მათი შემოტანის და გატანის ვადები უნდა შეესაბამებოდეს ამ ღონისძიებების ჩატარების ვადებს;

გ) საბაჟო წესის დარღვევა ითვლება ჩადენილად (დამთავრებულად), იმ მომენტიდან, როცა საბაჟო ორგანოს დათქმულ დღემდე არ წარედგინება დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ იმ საქონლის უკან გატანას (შემოტანას), რომლებიც შემოტანილი (გატანილი) იყო დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმში, თუ ეს საქონელი დათქმული ვადის გასვლამდე არ იქნა მოთავსებული სხვა საბაჟო რეჟიმში, მაგალითად ისეთი დროებითი შენახვის საწყობში, რომლის მფლობელია საბაჟო ორგანო;

დ) პირი, რომელმაც შემოიტანა (გაიტანა) საქონელი დროებითი შემოტანის (გატანის) რეჟიმში და ვერ შეასრულა ეს პირობა გადაულახავი ძალის შედეგად განადგურების გამო, თავისუფლდება შემოტანის (გატანის) პირობის შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან. ფაქტი

საქონლის ავარიის, კატასტროფის თუ სხვა გადაულახავი ძალის ზემოქმედების შედეგად მოსპობის თუ დაკარგვის, დანაკლისის, კლების, ცუდთის თუ სხვა გარემოების გამო ან უცხო ქვეყნის ორგანოების არამართლზომიერი ქმედების გამო დამონწმებული უნდა იყოს უცხოეთში საქართველოს საკონსულო დაწესებულების მიერ.

საბაჟო წესების დარღვევის შემდეგი ფორმაა საქონლის განადგურების წესის დარღვევა, განადგურებით წარმოქმნილი ნარჩენების მოთავსების დადგენილი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და პირობების დარღვევა (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 103, პუნქტი „ზ") ფაქტობრივად ეს იგივე საბაჟო რეჟიმის „საქოლის განადგურება" (საბაჟო კოდექსის თავი 15, მუხლები 63-65) დარღვევაა.

კონკრეტულად ამ წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს: საქონლის განადგურებაში თვითნებურად, საბაჟო კონტროლის გარეშე; საბაჟო ორგანოსათვის საბაჟო რეჟიმის გასაფორმებლად დოკუმენტების წარმოუდგენლობაში; განადგურების არასწორ, არასრულყოფილ თუ ყალბ აქტის წარმოდგენაში; განადგურების აქტის დროულად წარმოუდგენლობაში; საქონლის განადგურებაში ისე, რომ ზიანი მიადგა გარემოს; განადგურების ან გამოუსადეგარ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ დარჩენილი ნაწილების და გამოსაყენებადი მასალების ახალ საბაჟო რეჟიმში მოუყვანლობაში და ა.შ.

სამართალდარღვევის სუბიექტი ასეთ შემთხვევაში არის პირი (იურიდიული თუ ფიზიკური), რომელმაც დაუშვა განადგურების საბაჟო რეჟიმის დარღვევა.

საბაჟო კონტროლისათვის იმ საქონლის დამალვა, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილდება, აგრეთვე სამალავებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რაც აძნელებს საქონლის მიგნებას, ან ერთი საქონლისათვის მეორე სახის მიკუთვნება, როცა არაა კონტრაბანდის ნიშნები (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103, პუნქტი „თ") თავისი შინაარსით ისეთივე ქმედებაა, როგორც კონტრაბანდა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის - 214 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ საქონლი ან სხვა ფასეულობები, რომელთა საბაჟო საზღვარზე გადა-

ადგილება, ხდება მალულად, არ წარმოადგენს დიდ ღირებულებას და ამით მას არ აქვს კონტრაბანდის ნიშნები. ამიტომ ასეთი სახის საბაჟო წესების კომენტირება შეიძლება იმავე არგუმენტებით, როგორც დანაშაული „კონტრაბანდის" მუხლის პირველი ნაწილით.

სამართალდარღვევის შემდეგი სახეა ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს საბაჟო ორგანოებისა და მოქალაქეების მიერ განსაზღვრულ ადგილას მისატანად მიღებული ან ტრანზიტად გადასაადგილებელი საქონლისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად ზომების მიუღებლობა (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103, პუნქტი „ი").

თავისი შინაარსით საბაჟო წესების დარღვევის ეს სახე საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-5 თავის „საქონლისა და ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის", მე-10 მუხლის „ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება ავარიის ან დაუძლეველ ძალის მოქმედების შემთხვევაში" მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, რომლის პირველი ნაწილი ავალდებულებს გადამზიდველს:

ა) მიიღოს საჭირო ზომები საქონლისა დ.ან სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად და არ დაუშვას მისი არანაირი გამოყენება;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს საქმის გარემოება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ადგილსამყოფელი;

გ) უზრუნველყოს საქოლის მიტანა უახლოეს საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა მიყვანა საქონლისა დ.ან სატრანსპორტო საშუალების განლაგების ადგილზე".

როგორც საბაჟო კოდექსის ამ მუხლის მოთხოვნებიდან ჩანს, საბაჟო წესების დარღვევის სუბიექტი არის საქონლის გადამზიდავი, რომელიც ახორციელებს საქონლის გადაზიდვას ტრანზიტის რეჟიმში საქართველოს ტერიტორიის გავლით.

საბაჟო საზღვრის გავლისას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუჩერებლობისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის „კ" პუნქტით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 69-ე მუხლის „სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა“ მეორე ნაწილის შესაბამისად: „საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც საბაჟო საზღვარს გადაკვეთენ როგორც საქონელი, განლაგდებიან საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოები ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებათა იძულებით გაჩერების ღონისძიებებს“.

სატრანსპორტო საშუალებებად იგულისხმება ნებისმიერი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისთვის, კონტეინერებისა და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის ჩათვლით.

ამ დარღვევის ობიექტური მხარეა სატრანსპორტო საშუალების გაუჩერებლობა საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა მიერ მითითებულ ადგილას.

ეს არ გულისხმობს საბაჟო საზღვრის ეგრეთ წოდებულ „გარღვევებს“, რომელიც წარმოადგენს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით ღიად გადალახვას მიუხედავად იქ მყოფი საბაჟო ორგანოს იმ თანამშრომლის პირდაპირი აკრძალვისა, რომელიც ახორციელებს საბაჟო კონტროლს. ასეთი ქმედება საბაჟო წესების დარღვევის დანაშაულის სახეა და ექვემდებარება პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 214 მუხლით.

სამართალდარღვევის სუბიექტი საბაჟო წესების ასეთი დარღვევისას არის ის ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას.

ამ დარღვევის სუბიექტური მხარე ხასიათდება მხოლოდ წინასწარგანზრახულებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემდეგი სახეა საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოების უნებართვოდ გასვლა მათი დგომის ადგილიდან (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103, პუნქტი „ლ“).

საქართველოს საბაჟო კოდექსის 69-ე მუხლის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებების გასვლა მათთვის მინიშნებული ადგილიდან ჭდა მოხდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოების ნებართვით. ასეთ ნაბართვას კი საბაჟო ორგანოები, როგორც წესი, იძლევიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადამზიდავი შეასრულებს თავის მოვალეობებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ (გადასახადების გადახდის ჩათვლით).

საბაჟო კოდექსის 133-ე მუხლის შესაბამისად, „საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ იძულების წესით გააჩერონ სატრანსპორტო საშუალებები, უკან დააბრუნონ საზღვაო და საჰაერო ხომალდები, რომლებიც საბაჟო ტერიტორიიდან გავიდნენ საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე, გარდა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მყოფი ხომალდებისა".

საბაჟო წესების ასეთი დარღვევა წარმოადგენს საბაჟო კოდექსის 69-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევას.

საბაჟო კოდექსი კრძალავს საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებულ გემთან ან სხვა მცურავ საშუალებებთან საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე გემით თუ სხვა მცურავი საშუალებებით მიდგომა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექი, მუხლი 103. პუნქტი „მ").

ეს საბაჟო წესების დარღვევა არ არის პირდაპირ კავშირში იმასთან, იქნება თუ არა გემთან თუ სხვა მცურავ საშუალებასთან საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე მიდგომა განხორციელებული საბაჟო კონტროლის განხორციელებაზე ხელის შეშლის თუ რაიმე სამართალდარღვევის ჩადენის მიზნით. დარღვევაა თავად უნებართვოდ მიდგომის ფაქტი.

სამართალდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა პირი დაწყებული იმ მცურავი საშუალების წამყვანიდან, რომელიც უნებართვოდ მიადგა საბაჟო კონტროლის ქვეშ მდგომ გემს და დამთავრებული პირით, რომელიც ამ გემზე მუშაობს თუ რაიმე სხვა პროფესიონალური ურთიერთობით არის დაკავშირებული.

ასევე საბაჟო წესების დარღვევის ნაირსახეობაა საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, შეფუთვა, ხელახალი შეფუთვა, გადასაზიდად მიღება, სათავსებისა და სხვა ადგილების

გახსნა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103 პუნქტი „ნ").

საქართველოს საბაჟო კოდექსის 80-ე მუხლის თანახმად — „საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, ამ საქონლისა დასან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციები: საქონლის ტრანსპორტირება, რაოდენობის განსაზღვრა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, საფუთავის გახსნა, შეფუთვა ან ხელახალი შეფუთვა. საწყობის მფლობელი ვალდებულია გააღოს სათავსები, საცავები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იმყოფებოდეს საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება".

ამავე კოდექსის 102 მუხლის შესაბამისად საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლიდან საბაჟო გაფორმების მიზნებისათვის შეიძლება აღებული იქნეს საქონლის სინჯები და ნიმუშები.

ამრიგად, ყველა ჩამოთვლილი ოპერაცია თავისთავად არ წარმოადგენს სამართალდარღვევის ფაქტს. მთავარია იმავე - მე-80 მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნის შესრულება, რომ „საბაჟო კონტროლს ქვეშ მყოფ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ოპერაციები (ანუ ის ოპერაციები, რომლებიც ზემოთაა მოყვანილი) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით". ეს ქმედებები, ერთად თუ ცალ-ცალკე, წარმოადგენს საბაჟო წესების დარღვევას, რომელიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქმედება ტარდება უნებართვოდ.

სამართალდარღვევის სუბიექტი საბაჟო წესების ასეთი დარღვევისა არის პირი, რომელიც უფლებამოსილია საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, ასევე სამართალდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელიც ახორციელებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას საქართველოს საბაჟო საზღვარზე, გადამზიდველი, დროებით შენახვის საწყობის მფლობელი ან საქონლის მიმღები.

საბაჟო წესების დარღვევისათვის აღნიშნული პირები არ აგებენ პასუხს, თუ დაამტკიცებენ, რომ აღნიშნული ოპერაციების უნებართვოდ ჩატარება გამოწვეული იყო მგზავრებისა და ეკიპაჟისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაკარგვის რეალური საფრთხით, ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დაზიანების, გაფუჭების ან განადგურების საფრთხით.

სამართალდარღვევას მიეკუთვნება აგრეთვე პირობით გაშვებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან განკარგვა სხვა მიზნით, ვიდრე ის მიზნებია, რომელთა გამოც მათ მიენიჭათ საბაჟო გადასახდელების შეღავათები, თუ არ არის გაცემული ნებართვა საბაჟო ორგანოების მიერ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103 პუნქტი „ო").

საბაჟო წესების ეს დარღვევა აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს ერთდროულად ოთხი ელემენტით და ქმედებით:

ა) საქონელი და სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს პირობითად (ანუ გარკვეული პირობების აუცილებლად დაცვის პირობით) გაშვებული;

ბ) ამ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების პირობითად გაშვებით ან პირობითად გაშვებასთან ერთად გატარებული იქნა რაიმე შეღავათები;

გ) საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები გამოყენებული იქნა სხვა მიზნებისათვის, ვიდრე საიმისოდ, რისთვისაც მათ მიეცათ შეღავათები;

დ) ყველაფერი ეს მოხდა საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე.

საბაჟო პრაქტიკაში ასეთი სახის სამართალდარღვევას უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ფიზიკური პირების მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ავტომობილების შემოყვანისას.

ასე მაგალითად, ფიზიკურ პირს შემოყავს ავტომობილი, რომელსაც საბაჟო ორგანოები უშვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმ პირობით, რომ მისი მესაკუთრე მოკლე დროში გადაიხდის საბაჟო გადასახდელებს და კანონის შესაბამისად გააფორმებს მანქანებს საავტომობილო ინსპექციაში. ფიზიკური პირი ამის შემდეგ არღვევს პირობებს: არ იხდის საბაჟო გადასახდელებს, ასხვისებს მანქანას ისე რომ არ ხსნის წინა

აღრიცხვიდან და არ აყენებს ახალზე, ფაქტიურად შემძენზე აფორმებს მინდობილობით ტარების უფლებას და სხვა.

მეტწილად ასეთი საბაჟო წესების დარღვევა ხდება გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით და საბაჟო წესების დარღვევა თავისი შინაარსით იგივეა, რაც დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის 218-ე მუხლით - "გადასახადებისათვის თავის არიდება". სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსებს შორის ზღვარი გადის გადასახდელი თანხის ოდენობაზე. თუ გადაუხდელი თანხა ორი ათას ლარამდეა, 193-ე მუხლის მიხედვით, ეს იწვევს **"დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე ან საბაჟო გადასახადის სამმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ"**. თუ იგივე ქმედების შედეგად არ გადახდილმა თანხამ შეადგინა "დიდი ოდენობა", ანუ ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე, ისჯება სისხლის სამართლის 218 მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. თუ თანხა შეადგენს "განსაკუთრებით დიდ რაოდენობას", ანუ გადაუხდელი თანხამ აჭარბებს ათი ათას ლარს, დამნაშავე ისჯება 218-ე მუხლის მეორე ნაწილით, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე.

ასევე საბაჟო წესების დარღვევაა საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განხორციელება ლიცენზიის გარეშე ან გაუქმებული თუ შეჩერებული ან ყალბი ლიცენზიით (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103. პუნქტი „ტ").

ძირითადად საბაჟო წესების დარღვევის ეს სახე გამოიხატება საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-118 მუხლის დარღვევაში, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ „საბაჟო გადამზიდველი არის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზია საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განსახორციელებლად".

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარაციაში შეუტანლობა ან უზუს-

ტო დეკლარირება, მცდარი ცნობების შეტანა, რომლებიც გავლენას ახდენს საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებაზე საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების, საბაჟო რეჟიმში მათი მოთავსების შესახებ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103, პუქტი „პ").

საბაჟო წესების ასეთი დარღვევა ყველაზე გავრცელებულია საბაჟო სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შორის.

„საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთისას, აგრეთვე საბაჟო რეჟიმის შეცვლისას საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებას" (საბაჟო კოდექსი, მუხლი 93).

დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანა ან შეუტანლობა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად საბაჟო წესების დარღვევად, სისხლის სამართლის კოდექსის -214 მუხლით.

აქედან გამოდის, რომ საბაჟო წესების დარღვევის ის მუხლი, რომელსაც ვიხილავთ თავისი შინაარსით იგივეა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი საბაჟო წესების დარღვევა (მუხლი 214) და მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ღირებულებაა, რომელიც არ იქნა შეტანილი დეკლარაციაში, ან უზუსტოდ, მცდარად თუ ყალბად იყო შეტანილი.

განსახილველ შემთხვევაში საბაჟო წესების დარღვევა ხასიათდება მოქმედებით (ყალბი დეკლარირება) ან უმოქმედობით (დეკლარირების განუხორციელობა). ყალბი (არასწორი) დეკლარირებით იგულისხმება განუცხადებლობა წერილობითი, ზეპირი თუ სხვა ფორმით იმ ცნობებისა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების, მათი რეჟიმის და სხვათა შესახებ, რომლებიც საჭიროა საბაჟო მიზნებისათვის.

სამართალდარღვევის სუბიექტია პირი, რომელსაც საბაჟო კოდექსით ევალება საქონლის დეკლარირება.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასჯელს დეკლარაციაში საჭირო ისეთი ცნობების შეუტანლობისა თუ უზუსტო დეკლარირებისათვის, რომლებიც ვერ მოახდენენ გავლენას საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებებზე. ასეთ დროს მართებულად ჩაითვლება დეკლა-

რანტისათვის შენიშვნის მიცემა ან მოთხოვნა, გასწორდეს ან დაზუსტდეს ასეთი ცნობები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან დოკუმენტებისა და იდენტიფიკაციის საშუალებების ყალბად გამოყენების ან უზუსტო დეკლარირების გზით შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა, შეძენა, გამოყენება და განკარგვა (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103. პუნქტი „ე") თავისი არსით ისეთივე სამართალდარღვევაა, როგორც კონტრაბანდა და ამ დანაშაულისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ სამართალდარღვევის ობიექტის ღირებულება ნაკლებია ვიდრე კონტრაბანდის დანაშაულითაა დადგენილი.

ყალბ დოკუმენტებად ითვლება მთლიანად ფალსიფიცირებული დოკუმენტები ან ნაღდი დოკუმენტები, რომლებშიც შეტანილია უზუსტო ცნობები (მაგალითად დოკუმენტის ნაწილის წაშლით და მის მაგიერ უზუსტო ცნობების შეტანით);

ძალდაკარგულ დოკუმენტებად ითვლება ის დოკუმენტები, რომლებმაც დაკარგეს იურიდიული ძალა (მაგალითად, ვადაგასული ლიცენზია);

უკანონო გზით მოპოვებული დოკუმენტები — დოკუმენტები, მიღებული მათი გამცემებისათვის არასწორი ცნობების მიცემის გზით;

დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ უზუსტო მონაცემებს, თავისთავად არ არიან ყალბი, მაგრამ შეიცავენ უზუსტო მონაცემებს;

სხვა საქონლის დოკუმენტები ანუ ისეთები, რომლებიც მომზადებული იქნა სხვა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის აღნიშნული მუხლით კვალიფიცირდება მხოლოდ ისეთი დარღვევები, როცა ასეთი დოკუმენტების გამოყენებით განხორციელდა საბაჟო წესების დარღვევა არამართლზომიერი მიზნით.

კერძოდ, ასეთის ქვეშ იგულისხმება საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა დოკუმენტში უზუსტო მონაცემების შეტანა საბაჟო რეჟიმის, საბაჟო ღირებულების ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარმოშობის ქვეყნის შესახებ ან სხვა ისეთი უზუსტო ცნობების შეტანა, რაც საფუძ-

ველს იძლევა საბაჟო გადასახდელებისაგან გასათავისუფლებლად ან ოდენობის შემცირებისათვის, თუკი ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103, პუნქტი „რ").

თავისი არსით ასეთი სამართალდარღვევა იდენტურია სისხლის სამართლის კოდექსის 218 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა — „გადასახადისათვის თავის არიდება" იმ განსხვავებით, რომ შეეხება სამართალდარღვევას, როცა გადაუხდელი თანხა ნაკლებია ორი ათას ლარზე.

როგორც წესი, ამ დარღვევის დროს გამოიყენება საბაჟო დეკლარაციაში შეგნებულად არასწორი მონაცემების შეტანა საბაჟო რეჟიმის, საბაჟო ღირებულების, წარმოშობის ქვეყნის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურის არასწორი კოდის ჩვენება და სხვა გზით.

საბაჟო სამართალდარღვევის ერთ-ერთი სახეა საბაჟო ბროკერის სახით საბაჟო დეკლარირების განხორციელება პირის მიერ, რომელსაც არ აქვს ლიცენზია, ან გააჩნია ყალბი ლიცენზია, აგრეთვე საბაჟო ბროკერის ან მისი მუშაკების მიერ პირადი მიზნებისათვის დაცული საიდუმლოს ან კონფლიდენციალური ინფორმაციის შემცველი ცნობების გამოყენება, თუკი ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 103. პუნქტი „ს").

საბაჟო წესების ასეთ დარღვევას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმები: არაბროკერის მიერ ბროკერად თავის გასაღება; სახელწოდებაში სიტყვების „საბაჟო ბროკერი" უკანონო გამოყენება, იგივე რეკლამაში და სხვა საინფორმაციო საშუალებებში მაშინ, როცა პირს არა აქვს სათანადო ლიცენზია, ან ეს ლიცენზია ანულირებულია, გაწვულია ან შეჩერებულია. საბაჟო ბროკერის საქმიანობა ყალბი ან უზუსტო ცნობებით მოპოვებული ლიცენზიით; ბროკერის მიერ საშუამავლო საქმიანობის წარმოება საბაჟო წესების დარღვევით; საბაჟო ბროკერის ან მისი თანამშრომლების მიერ მათზე განდობილი კანონით დაცული საიდუმლო (კომერციული, საბანკო) ან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, მესამე პირისათვის გადაცემა (სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით) პირადი გამორჩენის მიზ-

ნით, თუ მას არ აქვს დანაშაულის ნიშნები; სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება.

„მუხლი 104. საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა

- საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა არსებული წესების დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობების მშენებლობა დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევით, —

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას ასორმოცდაათიდან ორას ლარამდე, ხოლო იურიდიულ პირთა — სამასიდან ხუთას ლარამდე".

ამ მუხლის ახალი რედაქციით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობის განხორციელებისათვის არსებული წესების დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის დადგენილი წესების და ნორმების დარღვევით.

4. საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის სისხლისსამართლებრივი ფორმები

2000 წლის 1 ივნისს ძალაში შესული "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით" გათვალისწინებულ დანაშაულთაგან ერთი ნაწილი მიეკუთვნება საბაჟო ორგანოების უშუალო კომპეტენციას, ანუ სისხლის სამართლის მუხლებს, რომელთა მოკვლევას ახორციელებენ საბაჟო ორგანოები. მეორე ნაწილს შეიძლება მივაკუთვნოთ მთელი რიგი დანაშაულობანი, რომელთა გამოვლენა ხშირად ხდება მატერიალური ფასეულობებით და ფასიანი ქაღალდებით საზღვრის გადაკვეთისას (მაგალითად, დანაშაულებები, რომლებიც მიეკუთვნებიან მუხლებს: 196 "სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენება"; 197 "ფალსიფიკაცია"; 198 "ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის

დამზადება, შემოტანა და რეალიზაცია"; 200 - "მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკების გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა"; 212 - "ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება"; 217 "საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხების დაბრუნება"; 234 - "საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიული, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტი ან იმპორტი"; 235 - "მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი"; 236 - "ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება"; 249 - "შხამის ბრუნვის წესის დარღვევა"; 251 - "უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა"; 255 - "პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება"; 256 - "ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობას ან სისასტიკის კულტს"; 260 - "ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება"; 261 - "ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება"; 262 - "საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა"; 263 - "საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა"; 269 - "ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, ალრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა" და სხვა).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 66 საბაჟო ორგანოების, როგორც სამართალდამცავი ორგანოს, მოკვლევის სფეროს შემოსაზღვრავს სამი სახის დანაშაულით:

მუხლი 214 - "საბაჟო წესების დარღვევა";

მუხლი 215 - "საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის საქართველოში დაუბრუნებლობა";

მუხლი 218 - "გადასახადისათვის თავის არიდება".

საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი როლის ასეთი შეზღუდვა გამოძახილია იმ დროსი, როცა არ სურდათ საბაჟო ორგანოები ელიარებინათ სამართალდამცავ ორგანოებად, დაეტოვებინათ მისთვის მხოლოდ ფისკალური ფუნქციები და გადაექციათ საგადასახადო სამსახურის ნაირსახეობად.

საქართველოში მძვინვარე საბიუჯეტო კრიზისმა კიდევ უფრო გააძლიერა საბაჟო ორგანოების საქმიანობის აქცენტირება საგადასახადო საქმიანობაზე, რაც გამოიხატა თუნდაც იმით, რომ საბაჟო ორგანოები სტრუქტურულად დაუკავშირეს ფინანსური ხასიათის სტრუქტურებს - ჯერ ფინანსთა სამინისტროს, შემდეგ კი შემოსავლების სამინისტროს.

რამდენადაც არ უნდა იყოს აუცილებელი საბაჟო ორგანოების საქმიანობის აქცენტირება საბაჟო გადასახადების ამოღებაზე, იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდება და განხორციელდება კიდეც საბაჟო ორგანოების ორიენტირება ქვეყნის სუვერენიტეტის გასამტკიცებლად საბაჟო საზღვრების დაცვის სხვა ოცამდე მიმართულებით.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბაჟო ორგანოების ვალდებულებას, შეატყობინონ შესაბამის სამართლებრივ ორგანოებს ყველა ისეთი შემთხვევა, როცა ადგილი აქვს ან იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და შემდეგ ითანამშრომლონ მათთან დანაშაულის დადგენისათვის, საგანგებო ლეგიონს და საბაჟო ორგანოებს საკურატორო სფეროში რჩებათ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამი მუხლით (214, 215 და 218) კვალიფიცირებული დანაშაულის მოკვლევა.

მუხლი 214. საბაჟო წესის დარღვევა

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის

ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანით ან/და მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

2. საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიული ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან სამხედრო საჭურვლის, ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური ან სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის, იმ მასალისა და მოწყობილობის, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის, საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული, არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის, ხელოვნების ნიმუშის, ძვირფასი ლითონის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე და ჯარიმით.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) საბაჟო კონტროლის განმხორციელებლის მიმართ ძალადობით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე და ჯარიმით.

შენიშვნა: ამ მუხლის პირველ ნაწილში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ხუთი ათასი ლარის ზევით.

მუხლი 215. საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის საქართველოში დაუბრუნებლობა

საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთის დადგენილ ვადაში საქართველოში დაუბრუნებლობა,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მუხლი 218. გადასახადისათვის თავის არიდება

1. დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდება,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება გადაუხდელი თანხა ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად - გადაუხდელი თანხა ათი ათასი ლარის ზევით.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 ივნისის № 280 ბრძანებულება "საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" (მუხლი 11) და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის დებულებით (საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 14 სექტემბრის № 296 ბრძანებით "საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის დებულების დამტკიცების თაობაზე" (მუხლი 2) მიხედვით, საბაჟო სფეროში საბაჟო წესების დარღვევასთან მოკვლევას აწარმოებს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი.

დეპარტამენტის მოკვლევის სამმართველო ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც ამზადებენ, სჩადიან ან ჩაიდინეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლება დანაშაულად და მიეკუთვნება საბაჟო ორგანოების კომპეტენციას.

თუ ადგილი აქვს საბაჟო წესის დარღვევას და სხვა საგანგებო ლეგიონის კომპეტენციაში შემავალ დანაშაულობათა ნიშნებს, საგანგებო ლეგიონი აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად,

ახორციელებს გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს დანაშაულის დასადგენად, დანაშაულის ნიშნების აღმოსაჩენად და მისი ჩამდენი პირის გამოსავლენად.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას და საბაჟო გაფორმების წარმოებისას საქართველოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირმა, უშუალოდ, შეიძლება აღმოაჩინოს საბაჟო წესების ისეთი დარღვევა, რომლის მასშტაბები სცილდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კოდექსით გათვალისწინებულ ფარგლებს (მუხლები 193, 194) და შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

ასეთ შემთხვევაში ის ვალდებულია დაუყოვნებლივ გააფორმოს **საბაჟო წესების დარღვევის ოქმი** და ოქმშივე დააფიქსიროს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ასეთი დარღვევისათვის.

ოქმი გადაეცემა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონს, რომლის უფროსი ან მისი მოადგილე მოვალენი არიან, არა უგვიანეს სამი დღისა, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი არა უგვიანეს ათი დღისა, მიიღონ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა) **სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ;**

ბ) **სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;**

გ) **საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტის შესახებ შედგენილი ოქმისა და სხვა მასალების საგამომძიებლო ორგანოებზე გადაცემის შესახებ.**

საგანგებო ლეგიონი, სისხლის სამართლის საქმის მოკვლევის დასრულების შემდეგ, საქმესთან ერთად ნივთმტკიცებულებებს გადასცემს წინასწარი გამოძიების იმ ორგანოს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ევალება ასეთი სახის დანაშაულობათა წინასწარი გამოძიება.

თუ სიდიდისა ან სხვა მიზეზების გამო ნივთობრივი მტკიცებულობანი სისხლის სამართლის საქმესთან ერთად ვერ გადაეცემა წინასწარი გამოძიების ორგანოს, საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან წინასწარი გამოძიების ორგანოს აცნობონ ნივთობრივი მტკიცებულებების ადგილსამყოფელი.

განვიხილოთ საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში შემავალი სისხლის სამართლის დანაშაულის არსობრივი მხარეები.

214-ე მუხლში საბაჟო წესების დარღვევის ობიექტია მოძრავი ნივთები, რომლებიც დიდი რაოდენობით კანონების დარღვევით გადაადგილდება საბაჟო საზღვარზე. ასეთი დანაშაულის ჩადენის შედეგად ირღვევა საქართველოში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების წესი, როგორც საერთოდ ყველა საქონლისთვის, ასევე საქონლისა და ნივთების გარკვეული ჯგუფებისთვის, რომელთათვის დაწესებულია საბაჟო საზღვარზე გადაადგილების სპეციალური წესი. ასეთ შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაული აყენებს ზიანს ან ქმნის საშიშროებას:

1. **ეკონომიკური უშიშროების;**
2. **საზოგადოებრივი უშიშროების;**
3. **ეროვნული უშიშროების;**
4. **ეროვნული კულტურის ინტერესებისათვის.**

სამართლებრივი თვალსაზრისით, საბაჟო საზღვარზე უკანონოდ გადაადგილებულ საქონელსა და ნივთებს, ანუ დანაშაულის საგნებს აქვს ორი ფორმა და შესაბამისად დიფერენცირებული სასჯელიც.

პირველს განეკუთვნება თავისუფალ ბრუნვაში არსებული სამრეწველო და სასურსათო საქონელი, სამეურნეო-საოჯახო ნივთები, ვალუტა, საიუველირო ნაწარმი, ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ავტომანქანები და სხვა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საქონელი და ნივთები, რომლებიც მთლიანად ამოღებულია საქონელბრუნვიდან (ნარკოტიკული ნივთიერებები, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი შხამები, მომწავლავი ნივთიერებანი, ასაფეთქებელი მოწყობილობანი, ცეცხლსასროლი იარაღი და მისი ტყვია-წამალი, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და მასობრივი განადგურების სხვა იარაღი) ან რომელთა საბაჟო საზღვარზე გადაადგილება ხორციელდება სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ნებართვებითა და წესებით.

დანაშაულის "საბაჟო წესების დარღვევა" სუბიექტებია შერაცხადი, 16 წელს გადაცილებული ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი პირი. ამ დანაშაულს ახასიათებს განზრახ ქმედება. პირდაპირი განზრახვა არის ამ დანაშაულის **სუბიექტური მხარე.**

სპეციალურ სუბიექტებს მიეკუთვნებიან თანამდებობის პირები, რომლებმაც დანაშაულის ჩადენისას გამოიყენეს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა.

215-ე მუხლის, "საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულებების მქონე ნივთის საქართველოში დაუბრუნებლობის", **დანაშაულის ობიექტია** კულტურული ფასეულობა. ამ ობიექტისათვის დამახასიათებელია ის, რომ საერთოდ არ შეიძლება კულტურულ ფასეულობათა ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანა. გამონაკლისი კეთდება, როცა ხელისუფლება და კულტურის კომპეტენტური ორგანოები ღებულობენ გადაწყვეტილებას კულტურული ფასეულობის ქვეყნის გარეთ დროებით გატანის შესახებ.

კულტურულ ფასეულობათა დაბრუნება დათქმულ ვადებში უნდა კონტროლირდებოდეს საბაჟო ორგანოების მიერ.

დანაშაული ითვლება დასრულებულად იმ მომენტიდან, როცა გავიდა ნივთის დაბრუნების ვადა და იგი არ დაბრუნებულა.

დამნაშავის მოტივებს და მიზნებს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს და კვალიფიკაციას არ ცვლის, თუმცა შეიძლება გათვალისწინებული იყოს განაჩენის გამოტანისას.

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში გადასახადებისაგან თავის არიდების სპეციალური მუხლი საბაჟო გადასახადებისათვის (160²) აღარ ფიგურირებს და სამართლიანადაც, იმდენად, რამდენადაც თავისი არსით გადასახადებიდან თავის არიდება ერთია როგორც საბაჟო გადასახადების, ასევე სხვა გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში.

ამის შედეგად ჩამოყალიბებული მუხლი 218 "გადასახადებისათვის თავის არიდება" იდენტური იქნებოდა ძველი, 160² მუხლისა "საბაჟო გადასახადებისაგან თავის არიდება", რომ არა ის გარემოება, რომ მუხლი 160² მთლიანად შედიოდა საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში, ხოლო ახალი, 218-ე მუხლი შევა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბაჟო გადასახადებისაგან თავის არიდებას.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება იმაში, რომ ასეთი დანაშაულის ჩადენის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედის საბაჟო გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა გადასახდელები. გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების ქვეშ იგულისხმება შესაბამისი დონის ბიუჯეტში ან ბიუჯეტგარეშე ფონდში სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფულადი შენატანი, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესით და ოდენობით.

ამ დანაშაულის სუბიექტებია 16 წელს გადაცილებული კერძო თუ თანამდებობის პირები, რომლებიც თავისი სახელით ან როგორც სხვა პირთა ინტერესების წარმომადგენლები, გადააადგილებენ, დეკლარირებას უკეთებენ, წარმოადგენენ საბაჟო ორგანოებში საქონელსა და ნივთებს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების მიზნით. საბაჟო კოდექსის მიხედვით ასეთი პირებია: დეკლარანტები, ბროკერები, საბაჟო გაფორმების სპეციალისტები, საბაჟო საწყობის, დროებითი საწყობის, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის მფლობელები ან იურიდიული პირების ხელმძღვანელები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით თავს არიდებენ დაწესებული გადასახდელების გადახდას.

მოკვლევა წინასწარი გამოძიების ერთ-ერთი ფორმაა და, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მიმართ.

მოკვლევის ორგანოები, როგორც წესი, პირველნი აღმოაჩენენ ჩადენილ დანაშაულს, აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს, ახორციელებენ გადაუდებელ სამძებრო ღონისძიებებს დანაშაულის კვალის დასაფიქსირებლად, ეჭვმიტანილის დაკავებას, დანაშაულის აღკვეთას.

თუ მოკვლევა ჩატარდა იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთათვის წინასწარი გამოძიების ჩატარება სავალდებულოა, მოკვლევის ორგანოები სისხლის სამართლის საქმეს გადასცემენ გამომძიებელს, ქვემდებარეობის შესაბამისად.

თუ მოკვლევა ტარდებოდა ისეთ საქმეზე, რომლის მიმართ წინასწარი გამოძიება აუცილებელი არ არის, მოკვლევის ორგანოებს თავად მიჰყავთ ბოლომდე გამოძიება. ასეთ შემთხვევაში თავიდანვე ხდება არა მარტო გადაუდებელი სამძებრო ქმედებების ჩატარება, არამედ ყველა საგამომძიებლო ქმედებაც.

აღსანიშნავია, რომ როცა წინასწარი გამოძიება სავალდებულოა, ის ატარებს ფაკულტატურ ხასიათს, ანუ მოკვლევის ორგანო სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს და მოკვლევას ატარებს მხოლოდ იმიტომ და იმ შემთხვევაში, როცა გამომძიებელს არ ეძლევა საშუალება თავიდანვე ჩაერთოს გამოძიებაში, მაშინ, როდესაც საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ობიექტურად საჭიროა სამძებრო მოქმედებების ჩატარება "ცხელ კვალზე".

თუ გამომძიებელმა თავად აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მიიღო წარმოებაში, მომკვლევი ორგანოები აღარ ატარებენ მოკვლევას და შემოიფარგლებიან გამომძიებლის დავალებების შესრულებით. ეს დავალებები უმეტესად ოპერატიულ-სამძებრო ხასიათისაა, იშვიათად - საგამოძიებო.

მომკვლევის დადგენილება აღძრულ საქმეზე გადაეცემა გამომძიებელს. მომკვლევი პასუხისმგებელია თავისი გადაწყვეტილებების საფუძვლიანობაზე, კანონიერებაზე, ვადებზე და მოკვლევის ხარისხზე.

მომკვლევს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა გამოძიებაში შემდეგი შემთხვევების დროს:

ა) თუ თავად არის დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე ან სამოქალაქო მოპასუხე, გამომძიებელი, ან თუ ამ საქმეში მონაწილეობდა ექსპერტის სახით, სპეციალისტისა თუ თარჯიმანის როლში;

ბ) თუ ის არის დაზარალებულის ნათესავი, ან სამოქალაქო მოსარჩელის ან მოპასუხის ნათესავი, ან არის მათი წარმომადგენელი, ან ნათესავია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან მათი კანონიერი წარმომადგენლის;

გ) როცა არის სხვა გარემოებანი, რომლებიც მოწმობენ, რომ ის პირადად, პირდაპირ ან ირიბად, დაინტერესებულია გამოსაძიებელ საქმეში.

ასეთ შემთხვევაში მომკვლევმა უნდა აირიდოს საქმე და მოახსენოს ამის შესახებ თავის უფროსს.

ამავე მიზეზებით მას შეიძლება აცილება მისცენ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დაზარალებულმა ან მათმა წარმომადგენლებმა.

მომკვლევის საქმიდან აცილების საკითხს წყვეტს პროკურორი.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა - სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადიაა.

ერთმანეთისაგან ანსხვავებენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბს და საფუძველს.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი შეიძლება იყოს:

ა) მოკვლევის ორგანოს მიერ, უშუალოდ, დანაშაულის ნიშნების აღმოჩენა;

ბ) მოქალაქეთა წერილები და განცხადებები;

გ) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და თანამდებობის პირების შეტყობინება დანაშაულის თაობაზე;

დ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასეთივე შეტყობინება;

ე) მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნებული მასალა;

ვ) გამოცხადება დანაშაულის ჩადენის ნებაყოფლობითი აღიარებით.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველის ქვეშ იგულისხმება ის, რომ ასეთი საქმის აღსაძვრელად უნდა იყოს დანაშაულის ნიშნების შესახებ საკმარისი მონაცემები, რათა აღიძრას საქმე.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გადაწყვეტილებაში, რომელიც გამოაქვს მომკვლევს და რომელსაც ამტკიცებს მოკვლევის სამმართველოს უფროსი, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, დადგენილების გამომტანი პირის თანამდებობა, წოდება, გვარი, სახელი, მამის სახელი, გადაწყვეტილების გამოტანის საბაბი და საფუძველი და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლითაც აღიძრა საქმე.

მოკვლევის ორგანოს უფროსს აქვს უფლება აღძრული სისხლის სამართლის საქმე უშუალოდ აიღოს წარმოებაში ან დაავალოს მოკვლევა ერთ ან რამდენიმე მომკვლევს, რის შესახებაც უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილებაში.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილება დაუყოვნებლივ ეგზავნება პროკურორს.

მოკვლევის ორგანო ვალდებულია მიიღოს ყველა შეტყობინება და ცნობა ჩადენილი და მომზადების ფაზაში მყოფი საბაჟო სფეროს ქვემდებარე დანაშაულის შესახებ. თუ განცხადება იყო ზეპირი, ის უნდა დაფიქსირდეს ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ თავად განმცხადებელი და განცხადების მიმღები ორგანოს თანამდებობის პირი.

განმცხადებელს უნდა განემარტოს პასუხისმგებლობა წინასწარ განზრახული ცრუ განცხადებისათვის. ასეთი გზით მიღებული განცხადებები,

შეტყობინებები და ინფორმაცია ფორმდება როგორც "მასალა" სისხლის სამართლის საქმისათვის და ტარდება რეგისტრაციის ერთიან წიგნში.

უარის თქმა საქმის აღძვრაზე ასევე ფორმდება მოტივირებული დადგენილების სახით და ეცნობება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაგან შემოვიდა სისხლის სამართლის აღძვრისათვის "მასალა".

თუ განცხადებაში და შეტყობინებაში არის მონაცემები ისეთი დანაშაულის შესახებ, რომელიც არ არის საბაჟო ორგანოების მოკვლევის სამსახურის ქვემდებარე, ინფორმაცია გადაეგზავნება შესაბამის საგამოძიებო სამსახურს და მანამ ეს სამსახური დაიწყებს საგამოძიებო ქმედებებს, უნდა იქნეს მიღებული ღონისძიებანი დანაშაულის ადგილის, კვალის და ა.შ. დაცვისათვის. ეს არ ნიშნავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებას.

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ქვეშ იგულისხმება ჩამონათვალი ისეთი ქმედებებისა, რომლის სხვა დროისათვის გადადება გაუმართლებელია: დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, დაკავება, ეჭვმიტანილთა, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვა.

გადაუდებელ შემთხვევაში, როგორც ერთადერთი გამონაკლისი, საგამოძიებო მოქმედება - ადგილის დათვალიერება, შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე.

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა და ადამიანთა უფლებების სრული და სკურპულოზული დაცვით.

ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლენაა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დამცველის მოწვევა. **დამცველი** დაიშვება სისხლის სამართლის საქმეზე სამუშაოდ საქმის აღძვრის მომენტიდან, ხოლო ეჭვმიტანილი პირის დაკავების შემთხვევაში იმ მომენტიდან, როცა მას წაუკითხავენ დაკავების ოქმს ან მის მიმართ გაატარებენ აღმკვეთ ღონისძიებას დაკავების ფორმით.

დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში, თუ დაკავებული პირი არასრულწლოვანია, მუნჯია, ყრუა, ბრმაა ან აქვს სხვა ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც არ აძლევს მას საშუალებას სრულყოფილად დაიცვას თავი, დამცველი აუცილებელია.

ზოგჯერ, მაგალითად, 218-ე მუხლით "გადასახადებისათვის თავის არიდება", როცა ფაქტი ნათელია, არ არის საჭირო წინასწარი გამოძიება და გამოძიება ხორციელდება მოკვლევის ფორმით. ასეთ შემთხვევაში საბაჟო მომკვლევ ორგანოს აქვს უფლება პირი მისცეს პასუხისგებაში როგორც ბრალდებული.

სხვა შემთხვევაში, საბაჟოს მოკვლევის ორგანოს არ აქვს პროცესუალური უფლებამოსილება, მისცეს პირი პასუხისგებაში როგორც ბრალდებული. ამის უფლება აქვს მხოლოდ გამომძიებელს.

როცა მომკვლევი უფლებამოსილია წაუყენოს პირს დანაშაულის ჩადენის ბრალდება, მას შეუძლია გამოიტანოს დადგენილება კონკრეტული პირის პასუხისგებაში მიცემისა, როგორც ბრალდებულის. ამ დადგენილებას ამტკიცებს შესაბამისი საბაჟო ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე.

მოკვლევის დამთავრების შემდეგ საბაჟო ორგანოების კომპეტენციის საქმეებზე საბაჟო მომკვლევ ორგანოს გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის გამომძიებლისათვის გადაცემის შესახებ. ამ დადგენილებას ამტკიცებს საბაჟო ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე.

გამომძიებლისათვის საქმის გადაცემის შემდეგ საბაჟოებს, როგორც მომკვლევ ორგანოებს, უფლება აქვთ განახორციელონ საგამოძიებო ქმედებები მხოლოდ გამომძიებლის დავალებით. გამომძიებლის დავალებით საბაჟო ორგანოებს შეიძლება დაევალოთ სამძებრო საქმიანობა გამოძიებას თავს არიდებულ პირთა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილმდებარეობის დასადგენად.

იმ საქმეებზე, რომლებიც შედის საბაჟო ორგანოს კომპეტენციაში, მომკვლევი, მოკვლევის დამთავრების შემდეგ, მოისმენს რა ბრალდებულისა და დამცველის მოსაზრებებს, თუ მათი განხილვის შედეგად არ მოხდება საქმის შეწყვეტა, ადგენს **საბრალდებო დასკვნას** - მნიშვნელოვან საპროცესო აქტს, რომლითაც მთავრდება მოკვლევა, ყალიბდება დებულებები და მათ საფუძველზე საქმე ექვემდებარება სასამართლოსათვის გადაცემას.

საბრალდებო დასკვნას აწერს ხელს მომკვლევი და საგანგებო ლეგიონის შესაბამისი სამსახურის უფროსი ან პირი, რომელიც იმ დროს ოფიციალურად ცვლის მას. სისხლის სამართლის საქმე ეგზავნება პროკურორს.

პროკურორი ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას, ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში წყვეტს სისხლის სამართლის საქმეს, ან უბრუნებს საბაჟო მოკვლევის ორგანოს თავისი წერილობითი შენიშვნებით. პროკურორს აგრეთვე აქვს უფლება მოკვლევის მასალების საფუძველზე შეადგინოს ახალი საბრალდებო დასკვნა.

მას შემდეგ, რაც პროკურორი დაამტკიცებს საბრალდებო დასკვნას ან თავად შეადგენს მას, საქმე პროკურორის მიერ გადაეცემა სასამართლოს.

თავი XV

საბაჟო აღრიცხვა

1. ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვის ორგანიზება

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საბაჟო ორგანოების ერთ-ერთი ფუნქციაა საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება, რომელიც მიეკუთვნება ეკონომიკური სტატისტიკის სფეროს და მიზნად ისახავს ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების შესახებ მონაცემების შეკრებას, დამუშავებას და ანალიზს. მისი ამოცანებია: სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების და მმართველობის სხვა სახელმწიფო ორგანოების უზრუნველყოფა ინფორმაციით ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ; სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების, აგრეთვე ქვეყნის საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსების გაანგარიშებების ინფორმაციული უზრუნველყოფა; საგარეო ვაჭრობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელების აღრიცხვა და ანალიზი.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ, საქართველოს საბაჟო კოდექსი, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დებულება.

საქართველოში ამჟამად ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე მონაცემების შეკრება, დამუშავება და გადმოცემა წარმოებს ორრგოლიანი სისტემით - საბაჟო ორგანოების და საბაჟო დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ.

საქართველოში საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტი და იმპორტი აღირიცხება ე.წ. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის საერთო სისტემით. ამ შემთხვევაში აღრიცხვის ობიექტია ყველა საქონელი (ბრუნვაში მყოფი სავალუტო ფასეულობების გარდა), რომლის გატანა ან შემოტანა ამცირებს ან ზრდის ქვეყნის მატერიალურ რესურსებს.

კონკრეტულად, საერთო სისტემით აღრიცხული იმპორტი მოიცავს ქვეყანაში შემოტანილი (გარდა დროებითი შემოტანის რეჟიმით შემოტანილის, საბაჟო საწყობში განთავსებულისა და განადგურების რეჟიმში განცხადებული საქონლისა) უცხოური საქონლის მთლიან მოცულობას, მიუხედავად მისი შემდგომი დანიშნულებისა მოიხმარება ქვეყნის შიგნით თუ გათვალისწინებულია შემდგომი რეექსპორტისათვის.

საერთო ექსპორტს მიეკუთვნება ნებისმიერი საქონლის (გარდა დროებითი გატანის რეჟიმით გატანილი საქონლისა) საზღვარგარეთ გატანა.

საქართველოში საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების ზემოთ ხსენებული მეთოდოლოგია შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული სტატისტიკური მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც შესაძლებლობას იძლევა ვაწარმოოთ ერთგვაროვანი მონაცემების ურთიერთშედარება როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მთლიანად მსოფლიო ვაჭრობის მიხედვით.

სპეციალური საბაჟო სტატისტიკა მიზნად ისახავს საბაჟო ორგანოებზე დაკისრებული ცალკეული ამოცანების რეალიზაციის ხელშეწყობას და უზრუნველყოფას. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობა და, შესაბამისად, სამართალდარღვევების სტატისტიკის წარმოება.

ანგარიშგების ფორმაში გათვალისწინებულია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე (ორივე მიმართულებით) ტვირთების, მათ შორის ტრანზიტულის, გატარებას, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის მათი ცალკეული სახეობების და საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეების გადაადგილებას. ანგარიშგებაში ასევე აისახება ინფორმაცია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოში მსუბუქი ავტომობილების შემოყვანის შესახებ, მათი უკან გაყვანის პირობის გარეშე.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ფორმირებისათვის საწყისი მონაცემების წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს საქონლის საბაჟო გაფორმების დროს დეკლარანტის მიერ შევსებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის ფორმირებისათვის გამოიყენება დეკლარაციაში არსებული შემდეგი მაჩვენებლები:

- საანგარიშო პერიოდი;
  საქონლის ნაკადის მიმართულება (შემოტანა ან გატანა);
- წარმოშობის ქვეყანა შემოტანის დროს;
  დანიშნულების ქვეყანა გატანის დროს;
  პარტნიორი (მყიდველი, გამყიდველი) ქვეყანა;
  სტატისტიკური ღირებულება;
  საქონლის დასახელება და კოდი;
  ნეტო წონა;
  დამატებითი განზომილების ერთეულის დასახელება და კოდი;
  რაოდენობა დამატებითი განზომილების შესაბამისად;
  გარიგების ხასიათი.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარმოება არის საგარეო-სავაჭრო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მეთოდი. იგი ფართოდ გამოიყენება როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას თან ახლავს რიგი დოკუმენტები (კონტრაქტი, საერთაშორისო-სატრანსპორტო ზედდებული, ანგარიშ-ფაქტურა, საქონლის წარმოების სერტიფიკატი, საქონლის ხარისხის სერტიფიკატი), რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან განხორციელდეს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში ასახული ურთიერთშესადარი მონაცემების უტყუარობის კონტროლი.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში განსაზღვრულია საქონლის გატანის (ექსპორტი) და შემოტანის (იმპორტი) აღრიცხვის მომენტი. რადგან საბაჟო სტატისტიკური მონაცემების პირველად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, აღრიცხვის მომენტის განსაზღვრაც დაკავშირებულია ამ დოკუმენტის გაფორმებასთან. კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟო ორგანოები ამოწმებენ დეკლარაციაში ასახული სტატისტიკური მონაცემების და სხვა მაჩვენებლების სისწორეს, ამასთან, ასრულებენ სხვადასხვა პროცედურებს, რის შემდეგ დეკლარაციებზე აკეთებენ აღნიშვნას, რომ საქონლის გაშვება ნებადართულია და ასვამენ თარიღს,

რომელიც უკვე ითვლება საქონლის ექსპორტის ან იმპორტის აღრიცხვის თარიღად.

საქონლის საერთაშორისო ფოსტით გაგზავნის დროს აღრიცხვის მომენტად ითვლება საფოსტო ქვითარზე აღნიშნული თარიღი.

2. საგარეო ვაჭრობის ნატურალური (რაოდენობრივი) და ღირებულებითი სტატისტიკა

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვა წარმოებს ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებებში.

მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში მყოფი საქონლის დიდი ნაწილი იზომება წონით ერთეულებში: ტონებში, ცენტნერებში, კილოგრამებში, ინგლისურ ფუნტებში.

საქართველოში, ისევე როგორც დსთ-ს ქვეყნებში, საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვისას განზომილების ძირითადი ერთეულია კილოგრამი. ამასთან, აღრიცხვა წარმოებს ნეტო წონაში.

შიგა საფუთავი, რომელშიც უშუალოდ იმყოფება საქონელი და რომლითაც იგი მიეწოდება მომხმარებელს, შედის ნეტო წონაში.

განზომილების წონით ერთეულთან ერთად რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება საქონლის ცალკეული სახეობებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ზომის ერთეულები, მაგალითად: ლიტრი, ცალი, წყვილი, კვადრატული მეტრი, კუბური მეტრი და სხვა ერთეულები საგარეოეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის რეკომენდაციით, საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება ნეტო წონა, რადგანაც იგი უფრო მოხერხებულია ეკონომიკური ანალიზის დროს და სხვადასხვა ქვეყნების მიერ მიწოდებული ერთგვაროვანი საქონლის შედარებისას.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის ღირებულებითი შეფასება საბაჟო სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში გარიგებები ხორციელდება სხვადასხვა პირობებით და ამის მიხედვით გაყიდული (ნაყიდი) საქონლის ფასი შეიძლება იყოს სხვადასხვა. მაგალითად, ერთი და იგივე საქონელს მისი ყიდვის ადგილას ექნება სხვა ფასი, გაგზავნის ნავსადგურში სხვა (უფრო მალალი), ხოლო მიღების ნავსადგურში კიდევ უფრო მალალი ფასი, რადგან მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მოძრაობის პერიოდში საქონლის ღირებულება იზრდება ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა დამატებითი ხარჯების გამო.

აქედან გამომდინარე, ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის აღრიცხვა წარმოებს საქონლის საბაჟო ღირებულებით.

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დანიშნულების ადგილად ითვლება: ავიაგადაზიდვების დროს - დანიშნულების აეროპორტი; საზღვაო გადაზიდვების დროს დატვირთვის ან გადმოტვირთვის ნავსადგური; საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვების დროს - ქვეყნის ტერიტორიაზე შესასვლელი საზღვრის გადაკვეთის პუნქტი.

საქართველოში, მოქმედი წესის მიხედვით, საქონლის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვა ღირებულებით გამოსახულებაში წარმოებს როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე ამერიკულ დოლარებში.

პერიოდულად საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ამუშავებს და ამზადებს განზოგადოებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელ-ბრუნვის ძირითადი ტენდენციები, განისაზღვროს მისი გეოგრაფიული და დარგობრივი სტრუქტურები, გაკეთდეს ამ სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზი, საერთაშორისო ორგანიზაციების თხოვნით მომზადდეს მათთვის საჭირო ინფორმაცია.

პერიოდული სტატისტიკური ინფორმაციები მზადდება მაჩვენებელთა პროგრამით, რომელიც შეესაბამება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, იგი ითვალისწინებს საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებს დინამიკაში მთლიანად და ცალკეული ქვეყნების, მათი ჯგუფების, საქონელთა ჯგუფების, სასაქონლო პოზიციების - „ქვეყანა-საქონელი“ და „საქონელი-ქვეყანა“-ს მიხედვით, აგრეთვე მაჩვენებლებს ცალკეული საბაჟო ორგანოების ჭრილებში.

დეპარტამენტი ყოველთვიურად გამოსცემს მოკლე საინფორმაციო ბიულეტენს საანგარიშო პერიოდში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის შედეგების თაობაზე, როგორც ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან საანგარიშო თვის ჩათვლით, ასევე დინამიკაში თვეებისა და კვარტლების მიხედვით.

წელიწადში ერთხელ მზადდება და გამოიცემა წლიური სტატისტიკური კრებული, რომელიც მოიცავს საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელთა ფართო სპექტრს.

3. სპეციალური საბაჟო სტატისტიკა

გარდა ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი და ღირებულებითი სტატისტიკისა, საბაჟო სტატისტიკა შეიცავს **სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას**. ასეთ აღრიცხვას განეკუთვნება:

1. დეკლარირების სტატისტიკა - **ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვა საბაჟო რეჟიმების სახეობების მიხედვით;**
2. საბაჟო გადასახდელების სტატისტიკა - **საბაჟო გადასახდელების აღრიცხვა გადასახდელების სახეების მიხედვით (საბაჟო გაფორმების მოსაკრებელი, ბაჟი, აქციზი, დღგ, სპეც. გადასახადი);**
3. სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის მოქცევის სტატისტიკა - **საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებული ჯარიმების და კონფისკირებული საქონლის აღრიცხვა;**
4. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების სტატისტიკა;
5. საერთაშორისო გადაზიდვების სტატისტიკა - **საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული სატრანსპორტო საშუალებების სტატისტიკური აღრიცხვა.**

საბაჟო დეპარტამენტი ვალდებულია ყოველკვარტალურად გამოაქვეყნოს ანგარიში ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო ჯგუფების (სასაქონლო ნომენკლატურის პირველი ორი ციფრის) და სასაქონლო პოზიციების (პირველი ოთხი ციფრი) მიხედვით.

წლიურ ანგარიშებში კვარტალურ სტატისტიკურ მონაცემებს ემატება მეტი დეტალიზაცია (სასაქონლო ნომენკლატურის ექვსი პირველი ციფრი).

4. ბუღალტრული აღრიცხვა საბაჟო ორგანოებში

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია გაანალიზოს ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების შესახებ და მიაწოდოს იგი ხელმძღვანელობას ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად. ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტებს წარმოადგენენ: საბაჟო ორგანოების ბალანსზე რიცხული ქონება, ვალდებულებები, ფონდები და მიმდინარე სამეურნეო ოპერაციები. ბუღალტერია აღრიცხავს ისეთ პროცესებს, რომლებიც შეიძლება გაიზომოს ფულადი ერთეულებით, მისი საბოლოო ჩანაწარები გამოიხატება მხოლოდ ფულადი მაჩვენებლებით.

ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი ფუნქციებია: სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება სამეურნეო ოპერაციებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ, რომელიც აუცილებელია ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის; ორგანიზაციის ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიგა კონტროლის უზრუნველყოფა; საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროული აღკვეთა, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება.

საბაჟო ორგანოები აწარმოებენ ბუღალტრულ აღრიცხვას ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადი წესების მიხედვით: სამეურნეო ოპერაციების სრული და ზუსტი დოკუმენტირება მათი მოხდენის ან დასრულების მომენტშივე; ორმაგი ჩაწერა (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის მიხედვით); ქონების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია; წლის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდთან სწორად მიკუთვნება; კაპიტალური დაბანდების და წარმოების მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა.

ყველა სამეურნეო ოპერაცია აღრიცხული უნდა იყოს მხოლოდ მათი პირველადი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში.

პირველადი დოკუმენტი არის წერილობითი დასტური სამეურნეო ოპერაციის შესრულების შესახებ, რომელსაც გააჩნია იურიდიული სტატუსი და არ სჭირდება დამატებითი დაზუსტება. პირველად დოკუმენტს

უნდა გააჩნდეს შემდეგი აუცილებელი რეკვიზიტები: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, განზომილება (რაოდენობრივ და ღირებულებით გამოსახულებაში), სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები ოპერაციის ჩატარებისა და სწორად გაფორმებისათვის, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობენ ოპერაციის შინაარსიდან და მონაცემების ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურებებიდან. პირველადი დოკუმენტი შედგენილი უნდა იქნეს სამეურნეო ოპერაციის მოხდენის მომენტში, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია – უშუალოდ ოპერაციის დამთავრებისას. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემაში მოდის საალრიცხვო რეესტრებში, ხოლო შემდეგ თავს იყრის ანგარიშთა გეგმაში.

ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმა წარმოადგენს სამეურნეო საშუალებების, მათი წარმოშობის წყაროების და სამეურნეო ოპერაციების დაჯგუფების ხერხს, რომლებიც გამოხატულია ფულად მაჩვენებლებში.

ყოველი ერთგვაროვანი ჯგუფისათვის იხსნება ცალკე ბუღალტრული ანგარიში, რომელსაც გააჩნია ორი მხარე: მარცხენა მხარეს ეწოდება დებეტი, ხოლო მარჯვენას – კრედიტი. ბუღალტრული ანგარიშის მიზანია დააფიქსიროს ალრიცხვის ყველა ობიექტზე მომხდარი ცვლილება. ნებისმიერი სამეურნეო ოპერაცია იწვევს მინიმუმ ორი ალრიცხვის ობიექტის ცვლილებას: თუ ორგანიზაცია იძენს საქონელს, ეს ნიშნავს, რომ იზრდება ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ ან მცირდება ფულადი აქტივები. ბუღალტრულ ალრიცხვაში ასეთი ოპერაციები ხორციელდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამოყენებით, რომლის არსიც მდგომარეობს ერთი სამეურნეო ოპერაციის ორ სხვადასხვა ანგარიშზე ჩაწერით. ერთ ანგარიშზე - დებეტში, ხოლო მეორეზე – კრედიტში. ბუღალტრული ანგარიშის "დებეტი"-ს მხარეს ალრიცხება აქტივების, დანახარჯებისა და ზარალის ზრდა, ხოლო "კრედიტი"-ს მხარეს ვალდებულებების, შემოსავლისა და მოგების მატება.

ყოველი ანგარიშის ნაშთი (ბალანსი) დაჯგუფების შემდეგ თავს იყრის სპეციალურ ფორმაში, რომელსაც "ბალანსი" ეწოდება. ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან - პასივისა და აქტივისაგან, რომელთა ჯამი

ერთმანეთის ტოლია (ბალანსდება). "ბალანსი" ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდეს ტოლობას - აქტივები უდრის კაპიტალს მიმატებული ვალდებულებები.

ყველა შემოწმებული და შესასრულებლად მიღებული დოკუმენტი სისტემატიზირდება მათი შინაარსის და მოხდენის ვადის მიხედვით და ფორმდება **მემორიალური ორდერებით** – დამაგროვებელი უწყისებით. მემორიალურ ორდერებს გააჩნიათ ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული თავიანთი მუდმივი ნომრები. ყველა მემორიალური ორდერი ტარდება "ჟურნალ-მთავარ" დავთარში. პირველადი დოკუმენტები წარმოადგენენ იურიდიულ ბაზას ინფორმაციის საალრიცხვო რეესტრებში შესატანად. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებისათვის პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მანვე უნდა უზრუნველყოს ბუღალტრული პირობების შექმნა აღრიცხვის სათანადოდ წარმოებისათვის, უნდა უზრუნველყოს აგრეთვე ორგანიზაციის ქვედანაყოფებისა და თანამშრომლების მიერ მთავარი ბუღალტრის მოთხოვნების შესრულება დოკუმენტებისა და მონაცემების გაფორმებისა და მისი საალრიცხვო ორგანოებისათვის წარდგენის ნაწილში. საბაჟო ორგანოების ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტერია, რომელიც ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფია და არ შედის სხვა რომელიმე ქვედანაყოფის შემადგენლობაში. მთავარი ბუღალტერი უზრუნველყოფს საბაჟო ორგანოების მიერ განხორციელებული ყველა სამეურნეო ოპერაციის საბუღალტრო ანგარიშებზე აღრიცხვის სისრულეს და კონტროლს, ოპერატიული ინფორმაციისა და ბუღალტრული ანგარიშების დროულ შედგენასა და წარდგენას.

მთავარი ბუღალტერი წარმართავს თავის საქმიანობას არსებული კანონმდებლობით, ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტებითა და ინსტრუქციებით, პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვისთვის.

ბუღალტრული ანგარიშგება არის საალრიცხვო პროცესის დამამთავრებელი ეტაპი, მასში მზარდი ჯამით აისახება საბაჟო ორგანოების ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა და სამეურნეო წლის საქმიანობის შედეგები. საბაჟო ორგანოები წარადგენენ ბუღალტრულ ანგარიშგებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით:

- ბალანსი – ფორმა № 1;
- ხარჯთნუსხის შესრულების ანგარიში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით – ფორმა № 2;
- ანგარიში ბიუჯეტიდან დაფინანსების თანხების მოძრაობის შესახებ – ფორმა № 3;
- ანგარიში სპეციალური შემოსავლებისა და ხარჯების მოძრაობის შესახებ – ფორმა № 4;
- ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანგარიში – ფორმა № 5;
- მატერიალური ფასეულობების მოძრაობის ანგარიში-ფორმა № 6;
- მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის ანგარიში – ფორმა № 7.

საბაჟო ორგანოები წარუდგენენ ყოველთვიურ ანგარიშგებას (ფორმა № 2) ხარჯთნუსხის შესრულების შესახებ სახაზინო ორგანოებს არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. საბაჟო ორგანოები წარუდგენენ ნაერთ კვარტალურ ანგარიშგებას ხარჯთნუსხის შესრულების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტს 1 აპრილის, 1 ივლისის და 1 ოქტომბრის მდგომარეობით არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 30 რიცხვისა. წლიური ანგარიშის წარდგენა ხდება არა უგვიანეს მომდევნო წლის 10 თებერვლისა.

თავი XVI

ინფორმირება და კონსულტირება

საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეებს, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის არცოდნა არ ათავისუფლებთ საბაჟო კანონებისა და წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან.

იმავე დროს საბაჟო დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მოხელეების მიერ საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლიანი შესწავლა, ხოლო სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის საბაჟო კანონმდებლობის გაცნობის პირობების შექმნა.

როგორც წესი, „საბაჟო კანონმდებლობის აქტები მოქმედებენ მხოლოდ დადგენილი წესით მათი გამოქვეყნების შემდეგ“ (საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 156).

ბუნებრივია, რომ საკანონმდებლო აქტებს აქვეყნებს ის ორგანო, რომელიც ღებულობს მათ, მაგრამ ეს გარემოება არ ათავისუფლებს საბაჟო დეპარტამენტს მოვალეობისაგან უზუნველყოს ამ აქტების განმეორებითი გამოქვეყნება, რათა ინფორმაცია დაყვანილი იქნეს ყველა იმ პირამდე, რომლებსაც შეხება აქვთ საბაჟო კანონმდებლობასთან.

პირობითად გამოსაქვეყნებელი საკანონმდებლო მასალა შეიძლება დაიყოს:

ა) საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო აქტები საბაჟო საკითხებზე;

ბ) პრეზიდენტის და აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიული აქტები საბაჟო საკითხებზე;

გ) საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა შესრულებაზეც კონტროლი ევალება საბაჟო ორგანოებს;

დ) ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტები საბაჟო საკითხებზე;

ე) საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ნორმატიული აქტები საბაჟო საკითხებზე;

ვ) საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საერთო ხასიათის ნორმატიული აქტები;

ზ) საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის კონკრეტული ხასიათის აქტები.

ვინაიდან იურიდიული ძალა აქვთ მხოლოდ ოფიციალურ საკანონმდებლო აქტებს, მათი ოფიციალური ხასიათის ხაზგასასმელად ისინი უნდა ქვეყნდებოდნენ:

ა) ისეთ ბეჭდვით გამოცემებში, რომლებიც გამოცხადებულია საკანონმდებლო აქტის მიმღების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოდ;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ პირობით, რომ იქ იქნება მინიშნება, რომ ის არის ოფიციალური დოკუმენტი.

ბეჭდვით გამოცემებში არ ქვეყნდება ნორმატიული აქტები, რომლებიც შეიცავენ გრიფს „საიდუმლო", „სრულიად საიდუმლო", „სამსახურებრივი სარგებლობისათვის" და სხვა.

ოფიციალური კანონქვემდებარე აქტები (უწყებრივი დებულებები, წესები, ინსტრუქციები და სხვა), როგორც წესი, ექვემდებარებიან რეგისტრაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, რომლის შემდეგისინი უნდა გამოქვეყნდეს ათი დღის განმავლობაში.

თუ ახალი ნორმატიული აქტით არ არის გათვალისწინებული უფრო შეღავათიანი პირობები, ვიდრე მოქმედი ნორმატიული აქტით, მათი პირველი გამოქვეყნება უნდა მოხდეს არა უგვიანეს 30 დღისა ამ აქტის ძალაში შესვლამდე, თუ საბაჟო დეპარტამენტს არ ევალება ზემდგომი ორგანოებიდან ამის გაკეთება დაუყოვნებლივ.

თუ ახალი ნორმატიული აქტით საბაჟო მომსახურების სუბიექტებს ექმნებათ უფრო შეღავათიანი პირობები, ვიდრე მოქმედით და კანონმდებელი არ ავალებს საბაჟო დეპარტამენტს ამის გამოცემას დაუყოვნებლივ, საბაჟო დეპარტამენტმა ასეთი დოკუმენტის პირველი პუბლიკაცია უნდა მოახდინოს მისი ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ოცდაათ დღეში.

საკანონმდებლო აქტის დროული გამოქვეყნებით საბაჟო ორგანო დაინტერესებულია იმდენად, რამდენადაც თავიდან აცილებს უამრავ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, რაც დაკავშირებული იქნება საბაჟო ორგა-

ნოების სახელმწიფო მოხელეების გადაწყვეტილებების, მოქმედების და უმოქმედობის მართლზომიერებასთან. თუ ამ მოხელეთა გადაწყვეტილებები, მოქმედებები და უმოქმედობა გამომდინარეობს ახალი ნორმატიული აქტიდან, საკმარისია მომჩივანს მიეთითოს ამ აქტზე დამატებითი განმარტების გარეშე.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს ნებისმიერ საბაჟო ორგანოს მოთხოვნით მოქმედი საბაჟო სამართლებრივი აქტის შესახებ ინფორმაციის თაობაზე. საბაჟო ორგანოს დაინტერესებული პირისათვის პასუხის გაუცემლობის ან დაინტერესებული პირის სხვა ორგანოში გაგზავნის უფლება აქვს მხოლოდ ორ შემთხვევაში:

1) როცა ამ საბაჟო ორგანოს არ გააჩნია ინფორმაცია მოთხოვნილი სამართლებრივი აქტის შესახებ;

2) თუ ეს საბაჟო ინფორმაცია ეხება ქვემდგომი საბაჟო ორგანოს აქტს.

პირთა წრე, რომლებსაც მათი მოთხოვნით უნდა მიეცეს საჭირო ინფორმაცია, შეუზღუდავია, გარდა სამი შემთხვევისა:

1) არ გაიცემა ინფორმაცია იმ აქტების თაობაზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან გამოქვეყნებას;

2) არ გაიცემა ინფორმაცია, რომელიც ხელყოფს კონკრეტული პირის უფლებებს და თავისუფლებებს;

3) არ გაიცემა ინფორმაცია, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს საბაჟოს შიგა სისტემაში.

ინფორმაცია გამოქვეყნებული სამართლებრივი აქტების შესახებ გაიცემა უფასოდ. სასურველია ასეთი აქტები გამოკრული იყოს თვალსაჩინო ადგილას.

რაც შეეხება საბაჟო სამართლებრივი აქტების დაბეჭდილ ტექსტებს, ისინი შეიძლება იყოს ფასიანი.

ფასი დამოკიდებულია:

ა) ტექსტის გვერდის რაოდენობაზე;
ბ) სამართლებრივი აქტის სახეზე;
გ) ინფორმაციის გადაცემის ხარჯზე;
დ) ინფორმაციის მატარებელზე;
ე) მომზადების და გადაცემის ვადაზე.

სამართლებრივი აქტების სახეების ქვეშ იგულისხმება გამოქვეყნებული აქტები (ჩვეულებრივი ფასი) და გამოუქვეყნებელი (გაზრდილი ფასი). გადაცემის ვადაში იგულისხმება ინფორმაციის მთხოვნელის დაკმაყოფილება სასწრაფო ინფორმაციით, გაზრდილი საზღაურის ფასად.

უკანასკნელ ხანს საბაჟო ორგანოებში განვითარებას პოულობს საკონსულტაციო სამსახური.

საბაჟო საკონსულტაციო სამსახურს არ აქვს უფლება:

ა) მისცეს კონსულტაცია საკითხებზე, რომლებიც არ შეეხება საბაჟო სფეროს;

ბ) შეიტანოს რაიმე დამატებები ან შესწორებები დოკუმენტებში, რომლებიც წარმოუდგინეს საკონსულტაციოდ. კონსულტაცია უნდა იყოს ზეპირი;

გ) საბაჟო ორგანოს სახელით შეამოწმოს დეკლარაციის შედგენის სისწორე;

დ) დაინტერესებულ პირთა დოკუმენტებზე შეასრულოს რაიმე განკარგვითი წარწერა;

ე) გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია;

ვ) გასცეს კონსულტაცია პირთა სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საქმის და ისეთი საჩივრების დაწერის თაობაზე, რაც იურიდიული კონსულტაციების კომპეტენციის სფეროა.

ჩვეულებრივ, კონსულტაციის საფასურის ნიხრს ადგენს და ამტკიცებს საბაჟო დეპარტამენტი. საქართველოში კონსალტინგი საბაჟო საკითხებზე ჯერჯერობით უფასოა.

ძირითადი საბაჟო ტერმინების გლოსარიუმი

ა

აბრაგაცია - დრომოჭმული კანონის (გადაწყვეტილების, ბრძანების) გაუქმება.

აგენტი (agent) - პირი, რომელიც მოქმედებს სხვა პირის დავალებით. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ბროკერები, ფაქტორები, კონსიგნატორები და სხვა. პირი, ვისი დავალებითაც მოქმედებს აგენტი, იწოდება პრინციპალად. აგენტი მოქმედებს სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე.

აგრეგირება - სხვადასხვა მონაცემების ერთობლიობა, გაერთიანება ერთ მონაცემად.

ად ვალორემი (advalorem) - ტვირთის გადაზიდვის საზღაურის ან საბაჟო გადასახადის გადახდის წესი, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა წარმოებს საქონლის ფასიდან დადგენილ პროცენტებში.

ადვალორული გადასახადი (advalorem duties) - გადასახადი, გაანგარიშებული საქონლის ღირებულების გარკვეული პროცენტის სახით.

ავალი (aval) - სათამასუქო თავდებობა, რომელსაც კისრულობს მესამე პირი (ავალისტი) განსაკუთრებული საგარანტიო ბარათის გაცემით. ავალისტის ხელმოწერა აუცილებელია თამასუქის წინა პირზე ან დამატებით ფურცელზე - ალონჟზე. საგარეო სავაჭრო გარიგებებში ავალისტის როლში გამოდის იმპორტიორის ბანკი; გარანტი (ავალისტი) ილებს პასუხისმგებლობას მევალის (თამასუქის გამცემის), აქცეპტანტის ან ინოსანტის ვალდებულებების შესრულებაზე.

ავანსი (advance) - ნებისმიერი გადახდა, რომელსაც ახდენს მყიდველი (დამკვეთი) სასაქონლო მიწოდებამდე ან მომსახურების გაწევამდე. ავანსი (ჩვეულებრივად, საკონტრაქტო ღირებულების 10-40%), თუ კონტრაქტის პირობები შესრულდება, ჩაითვლება განაღდებულ თანხაში, ხოლო, თუ კონტრაქტის პირობები არ შესრულდა - ექვემდებარება დაბრუნებას.

ავანტაჟი (advantage) - ხელსაყრელი პირობა, მდგომარეობა, კეთილსასურველი სიტუაცია, გამორჩენა, სარგებელი.

ავარია (იტ. avaria) - საზღვაო სამართალში ტერმინი, რომელიც ნიშნავს გემისათვის, ტვირთისათვის ან ფრახტისათვის მიყენებულ განზრახ (საერთო ავარია) ან არაგანზრახ (კერძო ავარია) ზარალს.

ავერსი - მონეტის საპირე მხარე.

ავიაზედდებული (airway bill) - ავიატვირთის თანმხლები დოკუმენტები, გადაზიდვის კონტრაქტის დამადასტურებელი სავაჭრო ქვითარი, ზედდებული, რომელიც იგზავნება ფოსტით.

ავტო-კასკო სატრანსპორტო მექანიკური საშუალების დაზღვევა მასში მოთავსებული ტვირთების, მგზავრების და მძღოლების დაზღვევის გარეშე.

ავტო-კომბი - სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა მასში მოთავსებულ ტვირთთან (ქონებასთან), მძღოლთან და მგზავრებთან ერთად.

ავუარები ბანკში - მიბარებული აქტივები და სხვა სახსრები.

აკვიზიტორი (acquisiter) - სატრანსპორტო და სადაზღვევო ფირმებისა და ორგანიზაციების თანამშრომელი ან აგენტი, რომლის ამოცანაა ახალი ტვირთების თუ დაზღვევის მოზიდვა.

ა-კონტო - ექსპორტიორის ანგარიშების საფუძველზე იმპორტიორის მიერ განხორციელებული წინასწარი ანგარიშსწორება.

აკრედიტივი (letter of credit) - 1. საბანკო ანგარიშსწორების სახე, როდესაც კრედიტორი გარიგებაში მითითებული ბანკიდან საზღაურს ღებულობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეასრულებს გარიგებაში მითითებულ პირობებს მთლიანად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში; 2. საანგარიშსწორებო ან ფულადი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ერთი საკრედიტო დაწესებულების დავალებას მეორისადმი, რათა სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი თანხებიდან გადაიხადოს საქონლის საფასური წარმოდგენილი სასაქონლო სატრანსპორტო დოკუმენტების საფუძველზე. 3. სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს აკრედიტივში მითითებული პირის უფლებას, რომ ბანკში მიიღოს აკრედიტივში მითითებული თანხა.

აქცეპტი (acceptance) 1. თანხმობა მეორე მხარის ოფერტაზე, რაც იწვევს გარკვეულ სამართლებრივ ვალდებულებებს. არის ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი სტადია. ოფერტაზე უპირობო თანხმობა, თუ ის წინადადების წარმომდგენმა მხარემ მიიღო წინადადებაში დათქმულ დროში, ითვლება აქცეპტად. 2. საბანკო ოპერაციებში მყიდველის თანხმობა გადაიხადოს (გაანაღდოს) თამასუქი (სათამასუქო აცცეპტი) და სხვა. 3. წარწერა თამასუქზე, რომელიც ადასტურებს, რომ თამასუქი განაღდებული იქნება ვადაში. თუ აქცეპტი დაკავშირებულია რაღაც დამატებით პირობებთან ან შეზღუდულია, მას ეწოდება „პირობითი აქცეპტი".

აქსესი (access) საკრედიტო ბარათი, რომელიც შემოღებულია 1972 წელს, ამჟამად შედის მასტერკარდის და ევროკარდის სისტემაში.

აქციზი 1. არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც შედის საქონლის სარეალიზაციო ფასში. 2. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება და იმპორტი იბეგრება აქციზით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საქონელი გათავისუფლებულია გადასახადისაგან" („საქართველოს საგადასახადო კოდექსი", მუხლი 122).

ალტერნატი - ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თანმიმდევრობის წესი, როცა ხელმოწერა შესრულებულია ისეთ ენაზე, რომლის დამწერლობა მარჯვნიდან მარცხნივაა, მაშინ პირველ ხელმოწერად ითვლება მარჯვნივ შესრულებული ხელმოწერა.

ამანკო - დანაკლისი.

ამბალაჟი - შესაფუთი მასალა.

ამპალაცია - ფულის მიღების ხელწერილის ასლი.

ანატოციზმი - პროცენტები პროცენტებზე, ანუ პროცენტების დარიცხვა არა მარტო პირვანდელ თანხაზე, არამედ განვლილი დროის განმავლობაში დარიცხულ პროცენტებზეც.

ანგარიშ-ფაქტურა (invoice) - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის ფაქტობრივად მიწოდებას და მის ღირებულებას. ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე მყიდველის მიერ საქონლის საბოლოო მიღების შემდეგ. ანგარიშ-ფაქტურა შეიცავს საქონლის დაწვრილებით აღწერას და ფასს, გადატვირთვის დოკუმენტის

ნომერს, ანგარიშის ჯამურ მონაცემებს და სხვა რეკვიზიტებს და შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საქონლის თანმხლები ზედდებული, ხოლო თუ ანგარიშ-ფაქტურა შევსებულია სპეციალურ ბლანკზე - როგორც საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.

ანტიდემპინგური გადასახადი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოში საქონელი შეიტანება ნორმალურზე უფრო დაბალ ფასებში და ამით ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს და ხელს უშლის მსგავსი საქონლის აქტიურ წარმოებას.

ანულაცია - გაუქმება.

აპატრიდი - მოქალაქეობის არმქონე პირი.

აპოსტილის დასმა - უცხოური ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზება ჰააგის 1961 წლის კონვენციის შესაბამისად. ამ კონვენციით ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გაიცა ერთი ხელშემკვრელი მხარის ქვეყნის ტერიტორიაზე და უნდა იქნეს წარმოდგენილი მეორე ხელშემკვრელი მხარის ქვეყნის ტერიტორიაზე არ მოითხოვს ლეგალიზაციას (ნოტარიუსის თუ სახელმწიფოს მიერ ამაზე უფლებამოსილი პირის დადასტურებას ბეჭდით). აპოსტილი ისმება თავად დოკუმენტზე, წარმოადგენს კვადრატს არანაკლებ 9 სმ-ის. სიგრძის გვერდებით. აქვს სათაური „Apostille (Convention de la Haye du 5 octobre 1961)“ და ივსება ფრანგულ ენაზე.

არაპირდაპირი გადასახადი (indirect tax) - გადასახადი, რომელსაც აწესებს სახელმწიფო საქონელზე და მომსახურებაზე, ფასზე ან ტარიფზე დანამატის სახით. საგადასახადო დანარიცხი, რომელსაც საქონლის შეძენისას იხდის მყიდველი. აიკრიფება გაყიდვის ყველა აქტიდან - წარმოებიდან მომხმარებლამდე. მოიცავს დღგ-ს, აქციზს, საბაჟო გადასახადს და სხვა.

არარეზიდენტი (non-rezident) - უცხოური იურიდიული და ფიზიკური პირები, აგრეთვე მოცემული ქვეყნის პირები და პირები მოქალაქეობის გარეშე, რომლებიც ცხოვრობენ ამ ქვეყნის გარეთ და მოქმედებენ ამ ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე; ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი უცხოური დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა ოფიციალური წარმომად-

გენლობები საწარმოების, კომპანიების, ფირმებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც არ ეწევიან სამეურნეო და კომერციულ საქმიანობას.

არბიტრაჟი (arbitration) 1. სადავო საკითხების განხილვის მეთოდი, როდესაც მხარეები მიმართავენ სამედიატორო მოსამართლეს (არბიტრს). 2. სამედიატორო სასამართლო, სადაც დავას წყვეტს მოსამართლე - შუამავალი (არბიტრი).

არბიტრაჟი „ად-ჰოკი" (arbitrage ad hoc) - კერძო არბიტრაჟი კონკრეტულ საკითხზე (იხილეთ საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ"). უთანხმოებას, როგორც წესი, განიხილავს სამი არბიტრი: მოსარჩელის, მოპასუხის და მიუკერძოებელი სუპერარბიტრი. ამისათვის კონტრაქტში წინასწარ და დაწვრილებით უნდა იქნეს მითითებული არბიტრების არჩევის და დანიშვნის წესი, გადაწყვეტილებათა მიღების ვადები. საქართველო მიერთებულია კონვენციას, რომლის ძალითაც კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ვერ გასაჩივრდება საერთო სასამართლოში და ამ გადაწყვეტილებების აღსრულებას ივალდებულებს სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოები.

არმატორი - გემის მფლობელი; განმკარგავი.

ასეკურაცია (insurance of commodity, property) - საქონლის ან რაიმე სხვა ქონების დაზღვევა.

ასიგნაცია - ქაღალდის ფული.

აუდიტი (audit) - საბუღალტრო (საფინანსო) ანგარიშგების, საგადასახადო-საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, საგადასახადო დეკლარაციების და სხვა ფინანსური ვალდებულებების დამოუკიდებელი, არასაუწყებო შემოწმება და ანალიზი ამაზე უფლებამოსილი აუდიტორების მიერ მათი უტყუარობის, სისრულის და რეალურობის დასადგენად.

აუტენტური ტექსტი - დედანთან შეჯერებული და დედნის იურიდიული ძალის მქონე ნათარგმნი ტექსტი.

აუტორი რიპორტი ზოგიერთი ქვეყნის ნავსადგურებში სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც ხდება ამ ნავსადგურებში შემოტანილი საქონლის და ამ საქონლის მდგომარეობის დაფიქსირება.

აუტსაიდერი - ფირმა, რომელიც საქმიანობს მონოპოლისტურ გაერთიანებაში მონაწილეობის გარეშე.

აუქციონი (auction) - საჯარო ვაჭრობა აუქციონერის ხელმძღვანელობით, რომლის დროსაც გასაყიდ საქონელს იძენს უმაღლესი ფასის გადამხდელი პირი.

აფერა - საეჭვო გარიგება.

აფექტი - სულიერი წონასწორობიდან გამოსულ მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება.

აფიდატივი - იურიდიულად დამოწმებული დოკუმენტი.

აქტუარი - სადაზღვევო საქმის სპეციალისტი.

აქცია (stock share) - ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს მფლობელის მონაწილეობას აქციონერთა საზოგადოებაში, მის წილს მასში და დივიდენდების მიღების უფლებას.

აქციების საკონტროლო პაკეტი - აქციების პაკეტი, რომელიც აძლევს მის მფლობელს საშუალებას გააკონტროლოს კომპანია, ფირმა და ა.შ.

ა-დატო თარიღი, როდესაც გაიცა ესა თუ ის დოკუმენტი და რომლიდანაც აითვლება შესაბამისი ვალდებულების შესრულება.

ადენდუმი - ადრე დადებული ხელშეკრულების დამატება, ხელმოწერილი მხარეების მიერ.

ადმონიცია ხელწერილის წარმოდგენა სესხად აღებული ფულის დაბრუნების მოთხოვნით.

აეროდრომი - მიწის ან წყლის ზედაპირის გარკვეული ფართობი (მასზე განლაგებული შენობებით, ნაგებობებითა და მოწყობილობებით), რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ განკუთვნილია საჰაერო ხომალდების მიღების, მოძრაობისა და გაშვებისათვის.

აეროპორტი საავიაციო საწარმო, რომელიც ახორციელებს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს, საჰაერო ხომალდების მოძრაობის მომსახურებას და ამ მიზნით აქვს აეროდრომი, აეროვაგზალი, აგრეთვე სხვა მიწისზედა ნაგებობები, მოწყობილობები და ჰყავს მომსახურე პერსონალი.

ავიზო (advice) ბანკის ოფიციალური შეტყობინება მეორე ბანკისადმი ან კლიენტისადმი მის მიერ საანგარიშსწორებო ოპერაციის ჩატარების შესახებ.

ავტარკია (autarchy) ქვეყნის მსოფლიო მეურნეობისა და ვაჭრობისაგან გამოცალკევების, თვითდაკმაყოფილების, ერთი ქვეყნის ფარგლებში შეკრული ეკონომიკის პოლიტიკა.

ავტონომიური საბაჟო ტარიფი საბაჟო ტარიფი, რომელსაც დამოუკიდებლად და ცალმხრივად ადგენს სახელმწიფო საკუთარი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალმის კანონი „მფრინავი" და „მცურავი" ტერიტორიები (თვითმფრინავები, შვეულმფრენები, გემები) მიეკუთვნებიან იმ ქვეყნის ტერიტორიებს, რომლის ალმის (დროშის) ქვეშ დაფრინავენ ან დაცურავენ ისინი და ამ ტერიტორიებზე ვრცელდება იმ სახელმწიფოთა კანონები, რომლის ალამს და ნიშანს (საფრენ აპარატებზე) ატარებენ.

ამანაო დანაკლისი.

ამბალაჟი - 1) საქონლის შეფუთვის ხარჯები; 2) შესაფუთი მასალა, შეფუთვის ხარჯები.

ამპალაცია - ფულის მიღების ხელწერილის ასლი.

აპოსტილის დასმა - უცხოური ოფიციალური დოკუმენტის ლეგალიზაციის (სხვა ქვეყანაში ცნობის) ფორმა ჰააგის 1961 წლის კონვენციის შესაბამისად.

აჟიო განსხვავება სავალუტო კურსებს შორის.

არასატარიფო ბარიერი (non – tariff barriers) სხვადასხვა სახის შეზღუდვა საკრედიტო, ტექნიკური (სტანდარტი), სანიტარული და სხვა ღონისძიებების ჩათვლით.

არტიკული საქონლის ტიპი, აგრეთვე მისი ციფრობრივი თუ ასობრივი აღნიშვნა.

ასეკურაცია - საქონლის ან რაიმე სხვა ქონების დაზღვევა.

აფიდავიტი - იურიდიულად დამოწმებული დკუმენტი.

ბ

ბაზრის ტევადობა - საქონლის მოცულობის მაჩვენებელი, რომელიც პირობების (ფასის დონის, შემოსავლის, ბაზრის დატვირთვის და ა.შ.) მიხედვით განსაზღვრული დროის შუალედში შეიძლება შეისყიდოს მოსახლეობამ.

ბაზრობა (fair) საჯარო და სამრეწველო ორგანიზაციების, კომერსანტების და სხვათა მიერ პერიოდულად მოწყობილი ვაჭრობა საქონლის უპირატესად ბითუმად გაყიდვისა და შესყიდვისათვის გამოფენილი ნიმუშების მიხედვით.

„ბაი-ბეკი“ (buy back) - ტვირთების გრძელვადიანი გადაზიდვები, მაგალითად, მშენებლობისათვის.

ბალკერი - ნაყარი ტვირთის გადამზიდავი გემი.

ბანდეროლი საბანკო - ქაღალდის ლენტი, რომლითაც იკვრება ქაღალდის ფულის დასტები და რომელზეც აწერია დასტაში ფულის ნიშნების რაოდენობა და ერთობლივი თანხა.

ბანკნოტა - ფულის ნიშანი (საბანკო ბილეთი).

ბარელი - 158,98 ლიტრი ნავთობი.

ბარტერი - უვალუტო კომერციული ოპერაცია.

ბენეფიციარი (beneficiary) - 1. პირი, რომლის სასარგებლოდ ხორციელდება მინდობილობით მართვა. 2. პირი - მემკვიდრე ანდერძით. 3. პირი, რომლის სასარგებლოდ იხდიან ფულს და გადასცემენ აკრედიტივს. 4. სადაზღვევო პოლისის მიმღები პირი.

ბერბოუტრ-ჩარტერი - დიმაის ჩარტერის ნაირსახეობა, რომლის თავისებურებაა ის, რომ გემი გაიცემა იჯარით ეკიპაჟის გარეშე და ეკიპაჟის ფორმირებაში გემთმფლობელი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს.

ბერნს-ნოტი - საზღვაო გადაზიდვების კონტრაქტის სახეობა. ანალოგიურია პირობებისა „ბუკინ-ნოტ“, იმ განსხვავებით, რომ მასში აგრეთვე უჩვენებენ სატვირთო სამუშაოების ნორმას და სტალიური დროის გათვლის პირობებს.

ბიზნესი (business) - ნებისმიერი, უპირველეს ყოვლისა, სამრეწველო საქმიანობა, რომელსაც მოგება მოაქვს.

ბილონური მონეტა - მონეტა, რომლის ნომინალური ღირებულება აღემატება მონეტის დამზადების ხარჯებსა ,ია ლითონების ღირებულებას, რომლისგანაც იგი დამზადებულია.

ბირჟა (exchange) - საბითუმო ვაჭრობის, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობის, ორგანიზაციული ფორმა, როცა მასობრივად იყიდება მდგრადი და ზუსტი პარამეტრების საქონელი (სასაქონლო ბირჟა) ან ხორციელდება ფასიანი ქაღალდების, ოქროსა და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სისტემატური ოპერაციები (საფონდო ბირჟა).

ბონე ფიდე - კეთილსინდისიერი, წესიერი, კანონიერი ყიდვა-გაყიდვა.

ბროკერი (broker) - შუამავალი, რომელიც ხელს უწყობს კომერციული, საკრედიტო, სადაზღვევო, საფრახტო თუ სხვა გარიგებას დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ბროკერის კლიენტებს. მათი რწმუნებით და მათ ხარჯზე შუამავლობისათვის ბროკერი იღებს გასამრჯელოს საკომისიო თანხის სახით გამყიდველისაგან, მყიდველისაგან ან ორივესაგან.

ბრუტო-ჩარტერი - გემის დაქირავება ეკიპაჟის გარეშე.

ბუკინ-ნოტი - კონტრაქტის სახე საქონლის საზღვაო გადაზიდვისას სახაზო (რეგულარული) გადაზიდვების მარშრუტებით სახაზო კონოსამენტით. ბუკინ ნოტში უნდა იყოს მითითებული: გადაზიდვის დასახელება; ტვირთის სახეობა და რაოდენობა, მისი განლაგება გემზე, გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტები; გაგზავნის სავარაუდო დრო, ფრახტის განაკვეთი და კონოსამენტის ფორმა.

ბალასტი - არაკომერციული ტვირთი, რომელსაც იღებს გემბანზე გემი განონასწორების მიზნით.

ბანკროტი - გაკოტრებული პირი.

ბარბიტურატები ძლიერი დეპრესანტები. შემოიტანება კაფსულების, ტაბლეტების, ელექსირების, საინექციო ხსნარების და ფხვნილების სახით.

ბილონი აშშ-ში ათასი მილიონი, ინგლისში მილიონი.

ბონდი - საბაჟო თვალსაზრისით საქონელი, რომელიც იმყოფება საბაჟო საწყობში საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად და რომლის საქონელბრუნვაში გაშვება განბაჟების გარეშე აკრძალულია.

ბრაკერაჟი - ოფიციალური საქონელმცოდნეების (წუნმდებლების) მიერ საქონლის შემოწმება მისი ხარისხის, მოხმარებისათვის ვარგისიანობისა და დადგენილ სტანდარტთან და ხელშეკრულებასთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით.

ბუქირება - სახაზო ტონაჟის დაფრახტვა ტვირთის გადასაზიდად ბუკინნოტის გაცემით, რომელიც ადასტურებს ტვირთის გადასაზიდად ჩაბარებას და მიღებას.

ბუშელი ინგლისურ-ამერიკული ზომა-წონის სისტემის მოცულობის ერთეული. ერთი ბუშელი უდრის 0,03524 კუბ.მეტრს.

გ

გამოწვევითი აკრედიტივი (revocable letter of credit) - აკრედიტივი, რომლის გამოწვევის უფლება ამა თუ იმ მიზეზით აქვს მის გამხსნელ ბანკს.

გამყიდველის ბაზარი (seller's market) სასაქონლო ბაზარში ეკონომიკური სიტუაციის მახასიათებელი ტერმინი, როცა მოთხოვნა საქონელზე სჭარბობს შეთავაზებას და ფასებს აქვთ ზრდის ტენდენცია.

განვადება - ნაწილ-ნაწილ გადახდა.

განკარგულება „დენდი" - ექსპორტიორის განკარგულება; დამოწმებული საბაჟო ორგანოს მიერ, რომელიც ავალებს საბაჟო საწყობს გაუშვას ექსპორტზე მიმავალი ტვირთი.

გარანტია - თავდებობა.

გარიგება - ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ („სამოქალაქო კოდექსი", მუხლი 50).

გენერალური ტვირთები - ცალ-ცალკე შეფუთული ტვირთების ერთობლიობა.

გირაო (security) - ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება.

გრანტი ფულადი სახსრების გამოყოფა გარკვეული მიზნებისათვის დაბრუნების პირობის გარეშე.

გრძელვადიანი სესხი სესხი განაღდების დიდი (5-დან 50 წლამდე) ვადით.

გალლონი ინგლისურ-ამერიკული ზომა-წონის სისტემის მოცულობითი ერთეული. ერთი გალლონი = 3.785 X 10^{-3} კუბ.მეტრს.

„გამჭვირვალე საზღვარი" სუსტად დაცული საზღვარი.

დ

დაკვეთა - დოკუმენტი, რომელსაც უგზავნის მყიდველი (დამკვეთი) გამყიდველს, რომელშიც გამოხატულია მისი გადაწყვეტილება იყიდოს გარკვეული საქონელი. თუ გამყიდველი ადასტურებს დაკვეთის შესრულების

პირობას (აცცეპტს უკეთებს დაკვეთას), მაშინ დაკვეთა ითვლება ხელშეკრულებად და მისი შესრულება აუცილებელია ორივე მხარისათვის.

დამნიფიკაცია - დაზარალება.

დანაზოგი (saving) თანხის გამიჯვნა მოხმარების ხარჯებისაგან. კომერციული თვალსაზრისით ეს ნიშნავს არა თანხის „შენახვას", არამედ სხვა საქმეში ჩადებას.

დუაიენი - დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელი.

დაფრახტვა (freight) - საზღვაო ან საჰაერო ხომალდის დაქირავება.

დაქტილოსკოპია - თითების ანაბეჭდებით პიროვნების იდენტიფიკაცია.

დახურვა (cover) - რაიმე რისკისაგან დაზღვევა.

დებენტურა - მოწმობა საბაჟო გადასახადის დაბრუნების შესახებ.

დებიტანტი - წვრილვაჭარი, ფართალი.

დებიტორი (debitor) - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ვინმეს (კრედიტორის) ვალი.

დებურსი (noncompensation for expenses) - სავაჭრო ან სხვა რაიმე მიზნით გაწეული აუნაზღაურებელი ხარჯები.

დედვეიტი (deadweight) - გემის მთლიანი ტვირთამწეობა ცურვის ყველა საჭირო მატერიალური საგნის, ტვირთისა და ხალხის ჩათვლით.

დევალვაცია - ეროვნული ვალუტის ღირებულების შემცირების პროცესი.

დეზიგნაცია - საბაჟო კონტროლის შედეგად შედგენილი გაფუჭების სტადიაში მყოფი საქონლის სია.

დეკლარანტი - პირი, რომელიც გადაანაცვლებს საქონელს საქართველოს საზღვარზე, ან საბაჟო ბროკერი, რომელიც წარადგენს საბაჟო დეკლარაციას საქონლის საზღვარზე გადაადგილების თაობაზე თავისი სახელით. პრაქტიკაში დეკლარანტს აგრეთვე უწოდებენ საბაჟო გაფორმების სპეციალისტს.

დეკორტი (discount) - დათმობა საქონლის ფასზე ვადამდელი გადახდისათვის ან დათქმულთან შედარებით უფრო დაბალი ხარისხის საქონლის მოწოდებისათვის.

დელივერი-ორდერი (delivery order) - დოკუმენტი, რომელიც ავალდებულებს პირს დანიშნულ ნავსადგურში კონოსამენტით მიტანილი საქონლის

ნაწილი გადასცეს დელივერი - ორდერში მითითებულ პირს. გამოიყენება მაშინ, როცა ერთი კონოსამენტით გადაზიდული საქონელი ნაწილდება სხვადასხვა მიმღებზე.

დელიქტი - 1. სამართალდარღვევა, რომელიც ითვალისწინებს მიყენებული ზარალის ფულით კომპენსაციას. 2. ზიანის მიყენება.

დემერეჯი (demurrage) - საპირგასამტეხლო, რომელსაც ტვირთის მფლობელი უხდის გემის მფლობელს გემის მოცდენისათვის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დათქმულ ვადაზე ზევით.

დემიცილი (domicille) - ცხოვრების ადგილი.

დემპინგი (dumping) - საქონლის ექსპორტი ხელოვნურად დაწეული ფასით (საშუალო საბაზრო ფასებზე ბევრად იაფად) პოტენციური კონკურენტების შევიწროების და ბაზრის დაპყრობის მიზნით.

დეპონირება - რაიმე თანხის გარკვეული პირობით შესანახად მიბარება.

დეტენშანი - მეფრახტის მიერ გემთმფლობელისათვის გადასახდელი თანხა კონტრსტალიურ ვადაზე მეტად გემის მოცდენისათვის, თუ ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

დეფლაცია - ფასების დონის დაწევის პროცესი.

დივიდენდი - აქციონერის წილი მოგებიდან.

დილერი - ალებ-მიცემობის (ვაჭრობაში) შუამავალი.

დიპკურიერი - დიპლომატიური ფოსტის გადამტანი.

დიპლომატიური პროტოკოლი - დიპლომატიური ურთიერთობების წესები.

დისმისლა დიპლომატისათვის შეღავათების მოხსნა და კერძო პირად გამოცხადება.

დისპაჩი (dispatch) - გასამრჯელო, რომელსაც გემის მფლობელი უხდის ტვირთის მფლობელს ამ უკანასკნელის მიერ გემის ვადამდე დატვირთვის და გადმოტვირთვისათვის.

დისტანციური ფრახტი - გადაზიდვის მანძილზე დამოკიდებული გადაზიდვის ღირებულება.

დისტრიბუტორი (distributor) - დამოუკიდებელი შუამავალი, რომელიც სპეციალიზირებულია საქონლის მომხმარებლამდე მიტანაში.

დოკუმენტი - ინფორმაციის მატარებელი მატერიალური საგანი (ქაღალდი, წიგნაკი, კასეტა, ფირი და ა.შ.).

დოუ ჯონსის ინდექსი (Dow-Jones average) - ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების კურსის ცვლილება, გათვლილი 30 უდიდესი ფირმის ფასიანი ქაღალდების ფასთა ცვლილებიდან და გამოქვეყნებული ამ საქმეში დახელოვნებული ფირმა „დოუ-ჯონს კომპანის“ მიერ გაზეთ „ფაინენშლ თაიმ“-ში.

დუბლიკატი - დოკუმენტის მეორე და შემდეგი ეგზემპლარები, რომელთაც გააჩნიათ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დედანს.

„დენდი“ ექსპორტიორის განკარგულება დამოწმებული საბაჟო ორგანოს მიერ, რომელიც ავალებს საბაჟო საწყობს გაუშვას ექსპორტზე მიმავალი საქონელი.

დატვირთვის ხაზი გემის კორპუსზე დატანებული ხაზი, რომელიც უჩვენებს ზღვრული დატვირთვის დონეს.

დისტანციური ფრახტი გადაზიდვის ღირებულება, დამოკიდებული გადაზიდვის მანძილზე.

ე

ეგზეკვატურა (execution) ერთ ქვეყანაში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების მეორე ქვეყანაში აღსრულება.

ეკონომიკის სერვიზაცია - ეკონომიკაში მომსახურებიდან შემოსავლების უპირატესად ზრდა.

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებანი საქართველოში საქონლის შემოტანის ან საქართველოდან საქონლის გატანის შეზღუდვები, გამომდინარე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებიდან. შეიძლება შეიცავდეს კვოტირებას, ლიცენზირებას, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესებას და საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთობის რეგულირების სხვა ფორმებს.

ემბარგო (embargo) 1. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ რომელიმე ქვეყნიდან ამა თუ იმ საქონლის შეტანის ან გამოტანის აკრძალვა; 2. ქვეყნის ნავსადგურებში რომელიმე ქვეყნის გემების შემოსვლის აკრძალვა.

ემისია - დამატებითი ვალუტის გაშვება მიმოქცევაში.

ეტატიზმი (etatism) სახელმწიფოს აქტიური ჩარევა საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში.

ეტიკეტი (ფრანგ. etiquette) - ნიშანდება საქონელზე, ხშირად შეიცავს საწარმოო ან სავაჭრო ნიშანს.

ერთი პირის საწარმო (one man company) - ერთპიროვნული მფლობელობის ფირმა **(Sole proprietorship firm)**.

ეროვნული (ნაციონალური) ვალი მთავრობის შიგა და გარე ვალის ერთობლიობა.

ვერამენტი საბანკო ოპერაცია, რომლის დროსაც ერთი პირის მიმდინარე ანგარიშებიდან თანხები გადაიტანება მეორე პირის მიმდინარე ანგარიშზე.

3

ვალვაცია (valuation) უცხოური ვალუტის ღირებულების ეროვნული ფულადი ერთეულით შეფასება.

ვალიზა - ჩანთა, ტომარა ან პაკეტი, რომლითაც გადაიზიდება დიპლომატიური ფოსტა.

ვალუტა (იტალ. valuta; ინგლ. currency) - 1. ქვეყნის ფულის ერთეული (დოლარი, ლარი, რუბლი, მარკა, ფორინტი და ა.შ.); 2. უცხო ქვეყნის ფულადი ნიშნები (უცხოური ვალუტა); საერთაშორისო (რეგიონული) ფულადი ერთეული (ექიუ, ევრო). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უმრავლესობა ხორციელდება სხვებთან შედარებით ყველაზე მყარ ვალუტაში - აშშ-ს დოლარებში. წამყვან ვალუტებს აგრეთვე მიეკუთვნება ინგლისის გირვანქა სტერლინგი, გერმანული მარკა, იაპონური იენა, ფრანგული და შვეიცარიული ფრანკი.

ვარანტი (warrant) 1. საქონლის განმაწესრიგებელი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში ინდოსამენტის მეშვეობით. 2. ცნობა საწყობიდან იმის შესახებ, რომ იქ ინახება საქონელი და ამ ცნობით შეიძლება მისი დაგირავება.

ვეტერინარული ან სანიტარული მოწმობა - დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ამ ქვეყანაში შემოტანილი საქონელი არ არის დასნეულებული. მოითხოვება საკარანტინო და საბაჟო ორგანოების მიერ იმ დაავადებების ქვეყანაში შემოტანისაგან თავის ასაცილებლად, რომლებიც გადაიტანება ცხოველების, ფრინველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ხილ-ბოსტნეულის მეშვეობით და სხვა გზებით. მოწმობა გაიცემა გამგზავნი ქვეყნის ვეტერინარული და სანიტარული სამსახურების მიერ.

ვიზიტაცია საბაჟო ორგანოების უფლება მოითხოვონ ღია ზღვაში საზღვაოსნო დოკუმენტების წარმოდგენა.

ვიზა 1) თანამდებობრივი პირის წარწერა დოკუმენტზე ან აქტზე, რაც ადასტურებს მის უტყუარობას და მის კუთვნილებას;

2) ნებართვა რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლაზე, ამ ტერიტორიიდან გამოსვლაზე და ამ ტერიტორიის გავლით მგზავრობაზე.

8

ზარაფხანა - მონეტების, ორდენებისა და სხვათა დამამზადებელი სახელმწიფო საწარმო.

ზედდებული (waybill) - დოკუმენტი, რომლითაც ფორმდება სხვადასხვა საქონლის გაშვება, მიღება, გადაზიდვა. არეგულირებს დამოკიდებულებას ტვირთის გამგზავნს, გადამზიდველსა და მიმღებს შორის.

ზუერი (ზვერი) - გადასახადის და ბაჟის სახელწოდება ძველ ქართულად.

იმპორტი (import) - უცხო ქვეყნიდან რაიმეს შემოტანა გასაყიდად.

ინდემნიტეტი (indemnity) - მიყენებული ზარალის ანაზღაურება, კომპენსაცია საერთაშორისო სამართალში.

ინდექსი (index) - სტატისტიკური მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, პროცენტებში, რომელიც ასახავს რომელიმე მოვლენის თანმიმდევრულ ცვლილებას.

ინდოსამენტი - წარწერა მიღების დოკუმენტზე მიღების უფლების სხვაზე გადაცემის შესახებ.

ინკასო (encashment, collection of payment) საბანკო ოპერაცია, როცა ბანკი ამა თუ იმ საანგარიშო დოკუმენტის მეშვეობით ღებულობს თანხებს და ჩარიცხავს მას მიმღების ანგარიშზე.

ინოვაცია - საქონლის, წარმოების, იდეის და ა.შ. განახლება.

ინფლაცია - ფასების ზრდის პროცესი.

ინფრაქცია - პირობების, ხელშეკრულების, კონტრაქტის დარღვევა.

იურიდიული პირი (ინგლ. legal person, juridicial person) - ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთრებაში, განკარგვაში ან ოპერატიულ მართვაში განცერძოებული ქონება, რომელიც თავისი ვალდებულებების შესრულებაზე პასუხს აგებს ამ ქონებით, მას აგრეთვე შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში, არბიტრაჟში ან მომრიგებელ სასამართლოში თავისი სახელით. იურიდიულ პირს უნდა ახასიათებდეს ორგანიზაციული მთლიანობა, რაც მას საშუალებას აძლევს იმოქმედოს როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა და ეს უფლება ასახული უნდა იყოს მის წესდებაში. უნდა ჰქონდეს ქონებრივი დამოუკიდებლობა, შექმნილი უნდა იყოს კანონიერად და გააჩნდეს უნარი თავისი სახელით განახორციელოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობანი. თუ იურიდიული პირი კომერციული ორგანიზაციაა, მას უნდა ჰქონდეს ანგარიში ბანკში და დამოუკიდებელი ბალანსი. იურიდიული პირის დამფუძნებელნი შეიძლება იყვნენ ქონების მეპატრონენი ან მათი რწმუნებით აღჭურვილი ორგანოები ან პირები. იურიდიული პირი

მოქმედებს წესდების და სადამფუძნებლო ხელშეკრულების ან მხოლოდ სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე.

იდენტიფიკაცია - (საბაჟო თვალსაზრისით) დალუქვა, დაბეჭდვა, ციფრობრივი, ასოითი თუ სხვაგვარი მარკირება, საიდენტიფიკაციო ნიშნების, შტამპების დასმა, სინჯისა და ნიმუშების აღება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღწერა, ნახაზების და მასშტაბური გამოსახულების შედგენა, ფოტოგრაფირება, ილუსტრაცია, საქონლისმხლები და სხვა დოკუმენტაცია და სხვა საშუალებები მატერიალური ნივთების და მათი დასახელების და დამახასიათებელი ნიშნების იდენტურობის დადგენის მიზნით.

იმიჯი (image) საქონლის, საწარმოს, ქვეყნისა თუ პიროვნების სახე, ჩამოყალიბებული შეხედულება მასზე.

იმუნიტეტი - ცალკეული პიროვნებების ხელშეუხებლობა მათზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობის ფორმით.

ინკასაცია (collection) საწარმოს, ორგანიზაციის, საბაჟოს თუ დაწესებულების სალაროში შემოსული ნაღდი ფულის შეკრება და ბანკში ჩაბარება კავშირგაბმულობის დაწესებულებების თუ სხვა სპეციალიზირებული ორგანიზაციების მეშვეობით.

„ინკოტერმსი" (Incoterms) - საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოცემული, მსოფლიო კომერციული პრაქტიკის განზოგადოებული საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების კრებული.

ინსპექცია სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც უწევს მეთვალყურეობას რომელიმე დარგს ისე, რომ საკონტროლო ფუნქციას უხამებს ზოგიერთ ადმინისტრაციულ უფლებებს.

ინტელექტუალური საკუთრება სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-სამართლებრივი ურთიერთობა ინტელექტუალური შრომის პროდუქტების (ცოდნა, ინტელექტი, გამოცდილება, პროგნოზირების უნარი, არატრივიალური იდეა, ტექნიკური სიახლე, მენეჯერის ნოვატორული გადაწყვეტილება და ა.შ.) მფლობელობის, განკარგვისა და გამოყენების საქმეში. ინტელექტუალური საკუთრების რეალიზაციის ფორმებია: კაპიტალი, მოგება, შემოსავალი, პროცენტი და რენტა.

იურიდიული აქტი ოფიციალური დოკუმენტი, ჩანაწერი რომელიმე კონკრეტული ფაქტის შესახებ.

კაბოტაჟი - ტვირთების გადაზიდვა ზღვებით და ოკეანეებით, ასევე ჰაერით (საჰაერო კაბოტაჟი).

კაპიტალი ღირებულება, რომელსაც საქმეში ჩადებით მოაქვს ახალი ღირებულება.

კაპიტნის წერილობითი ჩვენება დოკუმენტების პაკეტი, რომელსაც წარუდგენს გემის კაპიტანი საბაჟოს.

კარატი - 0.2 გრამი.

კარგო-გეგმა - გემზე ტვირთის განლაგების გეგმა.

კარტ-ბლანში - განუსაზღვრელი უფლებამოსილების მიკუთვნება რომელიმე საკითხში.

კასირება - რაიმე გადაწყვეტილების გაუქმება.

კასკო (transport insurance) - სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა.

კვაზიფული - უნაღდო ფულადი სახსრები; ბანკში შენახული სახსრები.

კვოტა - დადგენილი წილი; დასაშვები რაოდენობა; შეზღუდული რაოდენობა ან ღირებულება.

კლინჩი - ჩიხში მოქცეული მოლაპარაკება, გარიგება, სიტუაცია.

კლირინგი - ანგარიშსწორება ურთიერთჩათვლის წესით.

კომანდიტური საზოგადოება სააქციო საზოგადოება, რომლის ვალდებულებებზე თავის ქონებით პასუხს აგებს საზოგადოების ერთი წევრი.

კომერცია (commerce) - 1. ვაჭრობა. 2. მოგებისაკენ მიმართული საქმიანობა.

კომერციული ბანკი (commercial bank) - საკრედიტო დაწესებულება, რომელიც მოგების ნახვის მიზნით ეწევა საბანკო საქმიანობას.

კომივოიაჟერი (commis voyageur) - მოგზაური სავაჭრო აგენტი, რომელიც სთავაზობს მყიდველს საქონელს ნიმუშების, კატალოგების და სხვა საშუალებების სახით.

კომიტენტი (consignor) - პირი, რომელიც აძლევს დავალებას სხვა პირს (კომისიონერს) შეასრულოს გარიგება ან გარიგებათა სერია თავისი კომისიონერის) სახელით და მის (კომიტენტის) სასარგებლოდ.

კომპალაცია - სამართლებრივი და ნორმატიული აქტების ოფიციალური გამოცემა.

კონვერსია - მნიშვნელოვანი სახეცვლილება; მნიშვნელოვანი გარდაქმნა.

კონკლიდენტური მოქმედება - საბაჟო შემოწმება კითხვა-პასუხის ფორმით.

კონოსამენტი (bill of lading) სატრანსპორტო ფირმის (გემის, თვითმფრინავის) აგენტის ხელწერილი ტვირთის გამგზავნის სახელზე გადასაზიდი ტვირთის მიღების თაობაზე. შეიცავს პირობას გადასცეს ტვირთი დანიშნულების ადგილას ამ ხელწერილის წარმომდგენს. კონოსამენტში იწერება: სატრანსპორტო საშუალების დასახელება, გადამზიდველის ვინაობა, გამგზავნი, მიმღები, საქონლის გადასატვირთად მიღების ადგილი, ტვირთის დანიშნულების ადგილი, ტვირთის დასახელება, ფრახტი და გადამზიდველის სხვა კუთვნილი ანაზღაურება, კონოსამენტის გაცემის ადგილი და თარიღი, კონოსამენტის ეგზემპლარების რაოდენობა. კონოსამენტის გადაცემა ტვირთის გადაცემის ტოლფასია.

კონსალტინგი - საკონსულტაციო საქმიანობა.

კონსიგნატი - საქონლის მფლობელი, რომელიც საზღვარგარეთ საქონელს ყიდის კომისიონერის (კონსიგნანტის) მეშვეობით მყიდველზე (კონსიგნატორზე).

კონსიუმერიზმი მომხმარებელთა ინტერესების დამცავი სამოქალაქო მოძრაობა.

კონსულის ფაქტურა - კონსულის მიერ საზღვარგარეთ ნაყიდი საქონლის ღირებულების დადასტურება.

კონტინგენტირება - საგარო ვაჭრობის რეგულირება, კვოტების საშუალებით.

კონტრაფაქცია - სხვისი საფირმო ნიშნის უკანონო გამოყენება.

კონტრაქტაცია - კონტრაქტის (ხელშეკრულების) დადება.

კონტო - კომერციული ანგარიში.

კონფიდენტი - საბაჟო ან სხვა ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის საიდუმლო აგენტი.

კოტირება (quotation) - 1. უცხოური ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის დადგენა. 2. სასაქონლო ბირჟაზე ფასების კოტირება. 3. ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, საქონლის საბირჟო კურსის ოფიციალური გამოქვეყნება.

კრეატურა - „იმისცაცობა", ვინმეს პროტექციით ადგილის დაკავება.

კრედიტი - 1) ფულადი სახსრების ან საქონლის გასესხება, ვალად გაცემა გარკვეული ვადით და მევალის მიერ უკან დაბრუნების პირობით, როგორც წესი, პროცენტების გადახდასთან ერთად. 2) საბუღალტრო ანგარიშის მარჯვენა მხარე, რომელშიც აისახება საანგარიშო თანხების გაზრდა ან შემცირება. 3) ნდობა; ვინმეს კრედიტით სარგებლობა - ნდობის სარგებლობა.

კრეკი - სუფთა კოკაინი (ნარკოტიკი).

კროს-კურსი (cross rate) - ორ ვალუტას შორის საკურსო თანაფარდობა, გაანგარიშებული მათი კურსების ბაზაზე ერთი და იმავე მესამე ვალუტით.

კადასტრი 1) იმ პირთა სია, რომლებზეც ვრცელდება სულადობრივი დაბეგვრა; 2) მიწის, წყლის და ა.შ. რაიმე ობიექტების შესახებ ცნობების სისტემატიზირებული კრებული; 3) საინფორმაციო რეესტრი.

კამბიო (debtor's bill) სესხების მოწმობა, ბარათი, თამასუქი.

კანაბისი მარიხუანა, კანაფის მცენარე.

კლეიმი (claims) მყიდველის პრეტენზია გამყიდველისადმი საქონლის ხარისხის ან მდგომარეობის თაობაზე.

კოდექსი ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სისტემური გადმოცემით შეიცავს რომელიმე დარგის სამართლის ნორმებს.

კოლიზია 1) საწინააღმდეგო აზრების შეჯახება; 2) კანონებში არსებული შეუსაბამობანი.

კომანდიტური ამხანაგობა (commandite) გაერთიანება, სადაც ამხანაგობის საქმიანობაზე მთელი თავისი ქონებით პასუხს აგებს ერთი ან რამდენიმე მონაწილე. დანარჩენები მხოლოდ თავიანთი შენატანით.

კომერცია 1) ვაჭრობა; 2) მოგებისაკენ მიმართული საქმიანობა.

კომერციული აქტი 1) კომერციული დოკუმენტი, ჩანაწერი, ოქმი; 2) ტვირთის დაზიანების ან გაფუჭების ფაქტთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტი.

კომისია (საბაჟო თვალსაზრისით) 1) კომისიონერის გარიგება საკუთარი სახელით, მაგრამ სხვა პირის (კომიტენტის) სასარგებლოდ და ხარჯზე (მაგალითად, საბაჟო ბროკერის გარიგება);
2) ასეთი გარიგების შესრულების საფასური.

კომპანია სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო და ა.შ. გაერთიანება.

კომპანიონი თანამფლობელი; საქმეში თანამონაწილე.

კონვენცია სახელმწიფოთაშორისო შეთანხმება რაიმე სპეციალურ დარგში ან სპეციალური დანიშნულებით (საბაჟო, სასაზღვრო, საპაერო და ა.შ.).

კონტრაქტი - ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც შეიცავს ერთმანეთის მიმართ წარდგენილ პირობებს.

კონფისკაცია ქონების, საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, ბეჭდვითი და აუდიო-ვიდეო მასალის იძულებითი და აუნაზღაურებული გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული (მაგალითად, საბაჟო, ორგანოების) აქტით.

კორუფცია თანამდებობის პირის მიერ მის თანამდებობასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით.

კრეკი ოქროს მტვერი, ფხვნილი.

ლ

ლაჟი (agio) - 1. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის გაზრდა ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით. 2. ფასიანი ქაღალდების და ფულის ნიშნების საბიუჯეტო კურსის ამაღლება მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტებში. იგივეა, რაც აჟიო.

ლავერიჯი (laverage) კრედიტის გამოყენება პირადი სპეკულაციური მიზნებისათვის.

ლეიდეისი - ვადა, რომლითაც განისაზღვრება გემის დასატვირთად მიწოდება, როცა ადრე მიწოდების გამო მეფრახტე არ ეწევა მოცდენის ხარჯებს.

ლეფერის მრუდი - მრუდი, რომელიც მეტყველებს, რომ გარკვეულ სიტუაციაში გადასახადების განაკვეთების ზრდა კი არ ზრდის შემოსავლებს ბიუჯეტში, არამედ პირიქით, ამცირებს მას.

ლიზინგი (leasing) დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების, მოწყობილობების, საწარმოო ობიექტების გრძელვადიანი იჯარა.

ლიცენზია (license) - 1. ოფიციალური ნებართვა, გაცემული სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობის წარმოებისათვის, საგარეო სავაჭრო ოპერაციების ჩათვლით. 2. პატენტით დაცული გამოგონების, ტექნოლოგიის გამოყენების უფლების გაცემა განსაზღვრული ვადით.

ლიხტერი - ბრტყელძირიანი სატვირთო ბარჟა, ჩვეულებრივ, არათვითმავალი, რომლითაც მოკლე მანძილზე ნაპირსა და გემს შორის ეზიდებიან ტვირთს.

მსხვილი მონოპოლიების, გაერთიანებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები საკანონმდებლო ორგანოებში, რომლებიც ოფიციალურად ან არაოფიციალურად ახდენენ ზეწოლას კანონმდებლებზე და მოხელეებზე მათი კლიენტების ინტერესების სასარგებლოდ.

ლოგოტიპი - ფირმის სახელწოდება ორიგინალურ მხატვრულ გამოსახულებაში.

ლოიდზის აგენტი - ნავსადგურში მომუშავე ლოიდზის კომპანიის საზღვაო აგენტი, რომელიც ინფორმაციას აწვდის კორპორაციას გემბანის და ტვირთების მოძრაობის, ავარიების შესახებ, აწყობს გამოკვლევებს, ეხმარება სადაზღვევო რეგულირებაში გემების კაპიტნებს. არის მსოფლიოს ყველა დიდ ნავსადგურში.

ლოკო - 1. გარიგების პირობა, რომელიც გულისხმობს, რომ გამყიდველის ფასი არ შეიცავს შემდგომში ტრანსპორტირების ხარჯებს. 2. საქონლის ფასი იქ, სადაც ის იმყოფება ან გამყიდველის საწყობში. 3. ყიდვა-გაყიდვის გარიგება, რომლის მიხედვით ანგარიშსწორება მოხდება იმავე ბირჟაზე, სადაც იქნა დადებული გარიგება.

ლუკრატიული - მომგებიანი, სასარგებლო.

ლუმპსუმის პირობა ანგარიშსწორება ტვირთების გადაზიდვისათვის ერთობლივად, ცალკეული ტვირთების დაუზუსტებლად.

ლსდ - ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნარკოტიკი ჰალუცინოგენი. იწარმოება უგემო და უსუნო სითხის ან თეთრი ფხვნილის სახით.

მაკლერი (broker, jobber) - შუამავალი გარიგებებში საფონდო, სასაქონლო და სავაჭრო ბირჟებზე. მაკლერის გასამრჯელოა კურტაჟი.

მანგონიზაცია - საქონლის ფალსიფიცირება, გაყალბება.

მანკო დანაკლისი, რომელიც წარმოიშვა არასწორი ჩანაწერებისა ან გაანგარიშების შედეგად.

მარკეტინგი (marketing) - კომერციული საქმიანობის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბაზრის შესწავლითა და სამომხმარებლო მოთხოვნაზე აქტიური ზემოქმედებით, ფასის სწორად დადგენით, საქონლის მორალური ცვეთის პროგნოზით, სარეკლამო სტრატეგიითა და ა.შ. განაპირობებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების შეუფერხებელ გასაღებას.

მარკირება (marking) - სატვირთო ადგილზე დასმული დამღა პირობითი ნიშნებით. შეიცავს მონაცემებს, რომლებიც საჭიროა საქონლის დანიშნულების ადგილას სათანადოდ მისატანად და მიმღებისათვის ჩასაბარებლად. მარკირების სახეებია: სასაქონლო, გამგზავნის, სპეციალური, სატრანსპორტო.

მარჟა (margin, stead) - სხვადასხვა მაჩვენებლებს (ფასებს, საპროცენტო განაკვეთებს, ფასიანი ქაღალდების კურსებს და ა.შ.) შორის განსხვავების გამომხატველი სიდიდე.

მარჟინი - მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი. მაგალითად, გემის კაპიტნის განცხადება, რომ გემი „სავსეა ტვირთით".

მენეჯერი (manager) - 1. დაქირავებული პროფესიონალი მმართველი; 2. წარმოების მართვის სპეციალისტი; 3. პროფესიონალურ სპორტში - ორგანიზატორი; 4. კომპანიების, საწარმოების, ბანკების და სხვ. ხელმძღვანელი.

მენეჯმენტი (managment) - მართვის ხელოვნება.

მერკანტული მიდგომა - ვაჭრული მიდგომა.

მეწარმე (entrepreneur) - პირი, რომელიც ეძებს საშუალებებს წარმოების ორგანიზაციისათვის და ამავე დროს თავის თავზე ღებულობს მეწარმეობის რისკს.

მზა ნავმისადგომი ჩარტერის პირობა, რომლითაც მეფრახტემ უნდა დაახვედროს გემს თავისუფალი ნავმისადგომი და შეუდგეს სატვირთო ოპერაციებს გემის მიდგომისთანავე.

მიმდინარე ანგარიში (current account) - ანგარიში, რომელსაც უხსნის ბანკი იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, როგორც თანხების შესანახად, ისე ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

მინდობილობა (letter of authority) დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია წარმომადგენლის უფლებამოსილება აწარმოოს მოქმედება მეორე პირის (მიმნდობის) სახელით.

მიწოდება (supply) - 1. ბაზარზე გამოტანილი საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის, ფულისა და ა.შ. ერთობლიობა, რომელიც მზად არის გასასხვისებლად. 2. პირობები, გარდა ფასისა, რომლებშიც მწარმოებელი თანახმაა გაყიდოს, ხოლო მყიდველი - იყიდოს საქონელი. ასეთი პირობებია შეფუთვა, გადაზიდვა, საბაჟო განწმენდა, მიტანა, ჩამოცლა, მხარეთა ურთიერთობები და დავების გადაწყვეტა.

„მკვდარი ფრახტი“ - მეფრახტის მიერ გემთფლობელისადმი საზღაურის გადახდა გემის ტვირთით შეუვსებლობის შემთხვევაში.

მოგება (profit) სხვაობა ერთობლივ შემოსავლებსა (revenue) და დანახარჯებს შორის.

მოგების ნორმა - დამატებული ღირებულების შეფარდება ავანსირებულ კაპიტალთან.

მოვალე - პირი, რომელმაც ისესხა გარკვეული თანხა ან სხვა აქტივი.

მოვაჭრე ქვეყანა სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია (ცხოვრობს) პირი, რომელთანაც საქართველოს პირს დადებული აქვს ხელშეკრულება ყიდვა-გაყიდვაზე.

მოკლე ტონა - 907,1848 კილოგრამი.

მონაცემების ბანკი ადგილი, სადაც ხდება ინფორმაციის დაგროვება, სისტემატიზაცია და გაცემა.

მონოპსონია - საბაზრო სიტუაცია, როცა ბევრ გამყიდველზე ერთი მყიდველი მოდის.

„მოხერხებული ალამი“ - რომელიმე პატარა ქვეყნის, სადაც შეღავათიანი დაბეგვრაა, ნაციონალური ალმით მცურავი გემი.

მტკიცე ფასი (fixed firm price) რეალიზაციის მთელ პერიოდში (ხელშეკრულების დადებიდან მოსახმარად გაყიდვამდე) უცვლელი ფასი.

მცირე ბიზნესი (small business) - მცირე და საშუალო მეწარმეობის ერთობლივად ამსახველი ტერმინი. მცირე ბიზნესისათვის დამახასიათებელია დამოუკიდებელი მოქმედება თავისი ხარჯითა და რისკით.

მწონავი საერთაშორისო ვაჭრობაში ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება დამოუკიდებელი (ნეიტრალური) პირი, რომელსაც აქვს სავაჭრო პალატის, ქალაქისა თუ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს სპეციალური რწმუნება, სტატუსი ნაფიცი მწონავისა. ასეთი სტატუსიანი მწონავები უნდა იყვნენ რკინიგზის სადგურებში და ნავსადგურებში, სადაც ხდება ტვირთების აწონვა, დათვლა.

მოვაჭრე ქვეყანა საქართველოსთან მოვაჭრე ქვეყნად ითვლება ნებისმიერი ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (მცხოვრებ) პირს დადებული აქვს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი საქართველოს პირთან.

ნ

ნაფიცი მწონავი - ნავსადგურსა და რკინიგზის სადგურებში სპეციალური სტატუსის მქონე მწონავი.

ნაღდი ფული (cash) - ფულის ნიშნები (ბანკნოტები, მონეტები).

ნაღდი ფულით ანგარიშსწორება - საქონლის ღირებულების ანაზღაურება ფულის ნიშნებით.

ნახევარი ნეტო - ტერმინი იხმარება ისეთი საქონლის წონის აღსანიშნავად, რომელიც თავისივე შეფუთვის განუყოფელი ნაწილია. მაგალითად, სუნამო ფლაკონებში, პასტა ტუბებში და ა.შ.

ნეგოციანტი - ბითუმად მოვაჭრე ვაჭარი, რომელიც ეწევა მსხვილ ვაჭრობას, განსაკუთრებით საზღვარგარეთთან, კომერსანტი, სოვდაგარი.

ნეტ-თერმეზი გემის დაფრახტვა დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის ხარჯებისაგან გათავისუფლებით.

ნომინალი (nominal) ფასიან ქაღალდებზე, ბანკნოტებზე, მონეტებზე აღნიშნული ღირებულება.

ნოტა - ერთი ქვეყნის მთავრობის ოფიციალური წერილობითი მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

ნოტისი - კაპიტნის მიერ დამფრახტავისადმი წერილობითი შეტყობინება დატვირთვისა და გადატვირთვისათვის სრული მზადყოფნის შესახებ, რის შემდეგ იწყება სტალიური დღეების დათვლა.

ნოტიფიკაცია (notification) - უწყება, წერილობითი შეტყობინება.

ნულოვანი გადასახადი - გადასახადისაგან ფაქტობრივი გათავისუფლება საგადასახადო დოკუმენტებში "0" თანხის გადახდის დაფიქსირებით.

ნუმიზმატიკა - მეცნიერება ფულადი ნიშნების შესახებ.

ნუნცი - ვატიკანის დიპლომატიური წარმომადგენელი.

„ნიკ“ (Narcotics identification kit) კეისის მსგავსი ჩემოდანი ექსპრესლაბორატორია, რომლის რეაქტივებით თანმიმდევრული ტესტირებით შეიძლება შემდეგი ნარკოტიკების იდენტიფიცირება: მორფინი, კოდეინი, ჰეროინი, დიმედროლი, ამფატამინი, ოპიუმის ალკალოიდები, ბარბირუნტები, ლსდ, მარიხუანა, ჰაშიში და ჰაშიშის ზეთი, კანაფი.

ო

ოლიგოპოლია (oligopoly) - რამდენიმე მსხვილი კომპანიისა და ფირმის ბატონობა ეკონომიკის ცალკეულ დარგებზე ან ბაზარზე.

ომოლოგაცია - ბაზრის მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შესწავლა, შემოწმება, შეფასება.

ონკოლური კრედიტი - კრედიტი, რომელიც უნდა დაიფაროს მაშინ, როცა ამას მოითხოვს კრედიტორი.

ორდერი - ბრძანება საქონლის (საწყობიდან), ფულის, ბინის და სხვათა გაცემაზე.

ორდერული მიწოდება - საბაჟო საზღვარზე ისეთი საქონლის გადაადგილება, რომელზეც ჯერ არ არის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

ორმაგი დაბეგვრა - ისეთი დაბეგვრა, როცა ერთი და იგივე შემოსავალი იბეგრება ორ ან მეტ სახელმწიფოში.

ორიენტირული საზღვარი - რელიეფის ორიენტირებზე მიბმული საზღვარი.

ოტკრუა - ქალაქების შესასვლელებთან დაწესებული ადგილობრივი „საბაჟო" გადასახადი.

ოფერტა (offer) გამყიდველის წერილობითი წინადადება, საქონლის შეთავაზება მყიდველისადმი განსაზღვრული პირობებით და ამ პირობებით ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის შეთავაზება. ის პრაქტიკულად ერთი მხარის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტია.

ოფერენტი - ოფერტას გამგზავნი.

ოფისი (office) - კანტორა, კანცელარია, უწყება, სამმართველო, შტაბ-ბინა.

ოფშორ-ცენტრები ტერიტორიები და ქვეყნები, სადაც რეზიდენტებს საფინანსო ოპერაციების ჩატარებისას ეძლევათ დიდი შეღავათები.

ოფციონი - ჩარტერის პირობა, რომლითაც დამფრახტველს ეძლევა უფლება აირჩიოს ნავსადგური, ტვირთის სახე ან შეცვალოს ერთი ტვირთი მეორეთი.

„ოქროს სამკუთხედი" აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მანიამის, ტაილანდის და ლაოსის ჩათვლით, სადაც მოჰყავთ ოპიუმის ყაყაჩო და საიდანაც მთელ მსოფლიოში გაიტანება ოპიუმი და მისგან ნაწარმოები ნარკოტიკები.

პ

პაბლისიტი - ინფორმაციის საშუალებებში ხშირი გამოსვლით დაუინტერესებელ პირთა მიერ საქონლის ან მომსახურებისადმი ყურადღების მიქცევა - არაპირდაპირი რეკლამა.

„პანამა" (panama) - თანამდებობის პირების მოსყიდვასთან დაკავშირე-ბული მსხვილი თაღლითობა.

პარიტეტი (parity) - თანასწორობა; სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის შეფარდება ოქროს მიმართ.

პარტია (საქონლის) - სასაქონლო ერთეულების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია დათქმული გაგზავნის პუნქტიდან გასაგზავნად მყიდველის მიერ დადგენილ მიწოდების ადგილზე.

პაუპერი - უსაქმური, აქციებიდან ან რენტიდან მიღებული დივიდენდების ხარჯზე მცხოვრები.

პაუშარული გადასახადი ერთდროული და ერთობლივი გადასახადი (გადასახადების ერთობლიობა) დიფერენციაციის გარეშე.

„პიპი" (pip) - სავალუტო კურსის ერთი მეათასედი.

პლანკირებული მონეტა - იაფფასიანი მეტალისაგან დამზადებული, გარედან ძვირფას ლითონგადაკრული მონეტა.

პოლისი (policy) - მოწმობა, გაცემული სადაზღვევო საზოგადოების მიერ დაზღვევის შესახებ. მასში აგრეთვე ჩამოთვლილია დაზღვევის პირობები.

პორტო - საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები, რომელიც დაეწერება კლიენტის ანგარიშს.

პრეროგატივა - სხვებისაგან გამორჩეული, უპირატესი მნიშვნელობის, უფლების მინიჭება.

პრეფერენცია (preference) - უპირატესობის მიკუთვნება, შეღავათის გაწევა.

პრეცედენტი წარსულში მომხდარი, რომლის მაგალითზე ფასდება ან განისჯება ამწყოში მომხდარი.

პრივილეგია - განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა.

პრინციპალი (principal) - სავაჭრო გარიგების მონაწილე, რომლის სახელით, რწმუნებით და სასარგებლოდ მოქმედებს შუამავალი (აგენტი).

პრიფიქსი - მტკიცე ფასი, რომელიც არ ექვემდებარება შემცირებას ან ზრდას.

პროდუცენტი - საქონლის მწარმოებელი ქვეყანა.

პროვიზია - მომსახურების საფასური.

პროკურაცია - ნოტარიუსის მიერ მინდობილობის დამოწმება.

პროკურისტი - ქონების ან ბანკში ანგარიშის განკარგვის თაობაზე ნდობით აღჭურვილი პირი.

პრომპტი (prompt) - სასწრაფოდ დადებული ჩარტერი.

პროფიტი - მოგება, გამორჩენა.

პროფორმა-ანგარიში (proforma bill) - წინასწარი ანგარიში, რომელსაც უგზავნის გამყიდველი მყიდველს ხელშეკრულების პირობის შესაბამისად. პროფორმა-ანგარიში წარედგინება მყიდველს საქონლის ნაწილ-ნაწილ გაგზავნისას. პროფორმა-ანგარიში, როგორც წესი, გამოიწერება პარტიის გაგზავნამდე და წონა, ფასი და სხვა შეიძლება არ დაემთხვას ნამდვილს. ამის გამოსწორება ხდება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

პუნქტი (point) - ტერმინი, გამოყენებული ობლიგაციების ფასების, ვალუტის, პროცენტული განაკვეთების კურსების ცვლილებების აღნიშვნისათვის.

პასიური საგაჭრო ბალანსი სიტუაცია საგარეო ვაჭრობაში, როცა საქონლის იმპორტი აღემატება ექსპორტს.

ჟ

ჟირანტი (endorse) - თანხის გადაგზავნა.

ჟირო (endorsement) - უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა.

რ

რაბატი - საქონლის მსხვილი პარტიის შესყიდვისათვის ფასდაკლება.

რამბურსი - საქონლის ღირებულების გადახდა.

რამბურსირება - 1. ვალის დაბრუნება, გადახდა; 2. თამასუქის გასტუმრება გამცემის მაგიერ; 3. ვალის დაფარვა მესამე პირის მეშვეობით.

რბილი ვალუტა - 1. არაკონვერტირებადი ვალუტა; 2.მყიდველუნარიანობის დაცემის ტენდენციის მქონე ვალუტა.

რეგრესული გადასახადი გადასახადი, რომლის განაკვეთი მცირდება დასაბეგრი ბაზის ზრდასთან ერთად.

რეესტრი 1. სია, ნუსხა, აღწერა; 2. საქმეებისა და დოკუმენტების ჩასაწერი დავთარი.

რევალვაცია (revalvation) - ეროვნული ვალუტის კურსის ზრდა სხვა ქვეყნების ეროვნულ ვალუტასთან შედარებით.

რევერსი - მონეტის ზურგის მხარე.

რეზიდენტი (resident) - ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს უცხო ქვეყანაში.

რეიჯი - ადგილი ორ ნავსადგურს შორის. იგულისხმება, რომ დაფრახტვის დროს გამგზავნი დანიშნულების ადგილად ასახელებს მონაკვეთს ორ ნავსადგურს, მაგალითად, ფოთსა და ბათუმს შორის იმ პირობით, რომ მოგვიანებით, ამ ადგილებთან მიახლოებისას დაზუსტებს მიდგომის ადგილს.

რეკვიზიტი (requisite) - აუცილებელი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

რეკვიზიცია - სახელმწიფოს მიერ ქონების ჩამორთმევა მისი საფასურის ანაზღაურებით.

რეკლამაცია - განცხადება (საჩივარი) მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის თაობაზე.

რემარკა (remark) - შენიშვნა, მინიშნება ან ჩანიშვნა სავაჭრო დოკუმენტებში, ანგარიშებში, შეთანხმებებში და ა.შ.

რემისია (remision) - გადასახდელი თანხის დამრგვალება შემცირების მხარეს.

რენტინგი - მანქანების ან ტექნიკური მოწყობილებების მოკლევადიანი არენდა გამოსყიდვის უფლების გარეშე, იგივეა, რაც მოკლევადიანი ლიზინგი.

რეპატრიაცია - ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნება.

რესტიტუცია - სამართლებრივ უფლებების აღდგენა.

რეფერენცია - ფირმის გადახდისუნარიანობის დადასტურება.

რეფრაქცია (discount) ფასის დათმობა ფაქტიურად საქონლის დაქვეითებული (კონტრაქტის პირობასთან შედარებით დაქვეითებული) ხარისხისათვის.

რეფინანსირება - სესხის მიცემა ადრე მიცემული სესხის დასაფარად.

რეცეპისა (receipt) - წინასწარი ხელმოწერა საქონლის მიღებაზე.

რეცესია (recession) - საქმიანი აქტიურობის გადაცემა სხვისთვის.

„რო-რო“ (roll-on-roll of) სპეციალური კონსტრუქციის გემები და გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის სისტემა, რომლითაც დატვირთვა-გადმოტვირთვა ხორციელდება ჰორიზონტალურად („შეგორებით“).

რენტა (rent) - რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება ან მიწა ისე, რომ მფლობელს არ სჭირდება მეწარმეობრივი საქმიანობა.

ს

სააგენტო შეთანხმება (agency agreement, business agreement) ხელშეკრულება, დადებული აგენტთან პრინციპალის სახელით და მისი ინტერესების გათვალისწინებით გარკვეული საქმიანობის თაობაზე (წარმოადგინოს პრინციპალი ბაზარზე, აწარმოოს პრინციპალის საქონლის გასაღება, შესყიდვა და ა.შ.). ხელშეკრულებაში დაწვრილებითაა აღწერილი აგენტის სამოქმედო რეგიონი, სფერო და უფლება-მოვალეობანი.

საბაზისო ნავსადგურები ნავსადგურები, რომლებშიც შესაძლებელია ტვირთების გაგზავნა პირდაპირ სახაზო ტარიფებით.

საბაზრო ფასი (market price) - ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების გავლენით და გასაყიდი საქონლის ერთეულის სუბიექტური სარგებლიანობის მიხედვით.

საბალანსო მოგება - საწარმოო და არასაწარმოო მიზნების ერთობლიობა (ჯამი).

საბანკო გადარიცხვა - ბანკისადმი გადამრიცხავის დავალება, რათა ბანკმა გადარიცხოს გარკვეული თანხა მეორე პირის სასარგებლოდ.

საბანკო გარანტია (bank guarantee) - ბანკის გარანტია ხელშეკრულებების შესრულებაზე, თანხების ანაზღაურებაზე, საერთოდ კონტრაქტის პირობების შესრულებაზე. ბანკის გარანტია იმით არის დაზღვევაზე უკეთესი, რომ ბანკი ზარალს, გადასახდელს და სხვა პირობას ასრულებს დაუყოვნებლივ.

საბანკო კომისია - საბანკო მომსახურების საფასური.

საბაჟო ღირებულების დეკლარირება დეკლარანტის წერილობითი განცხადება საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ღირებულების შესახებ.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა - ქვეყნებისა ან ქვეყანათა ჯგუფის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებათა ჯამი განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

საგარეო ეკონომიკური (საგარეო სავაჭრო) კონტრაქტი საგარეო ეკონომიკური ოპერაციის დამადასტურებელი კომერციული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეებს შორის მიღწეულ შეთანხმებას.

კონტრაქტის აგებულება:

1. მონაწილეთა სრული სახელწოდება;
2. კონტრაქტის საგანი;
3. ფასი (ერთეულზე და სულ);
4. რაოდენობა, მოცულობა, მიწოდების ვადები, მხარეთა ვალდებულებები;
5. მიწოდების ბაზისური პირობები ("ინკოტერმს");
6. ანგარიშსწორების პირობები;
7. კონტრაქტის ვადები, საგარანტიო საკითხები;
8. სანქციები პირობების შეუსრულებლობისათვის;
9. არბიტრაჟის საკითხები;
10. მხარეთა ხელმოწერები.

დამატებითი პირობები:

1. საქონლის დაწვრილებითი დახასიათება და ხარისხის დადგენის მეთოდები;
2. არასტანდარტული პირობები;
3. ფორს-მაჟორი, დაუძლეველი ძალები;
4. შეფუთვა, მარკირება;
5. მილება-ჩაბარების წესები;
6. დაზღვევა.

კონტრაქტი იწერება ორ ეგზემპლარად. მხარეების ენებსა და ხელმოწერებს აქვთ ერთნაირი ძალა. კონტრაქტს წინ უნდა უძღოდეს იმ ადგილის დასახელება, სადაც ის დაიდო.

სავაჭრო ბალანსი (balance of trade) - ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის შეფარდება რომელიმე საანგარიშო ან საანალიზო პერიოდში; რეზიდენტების ერთობლივი სავაჭრო ოპერაციების შეფარდება არარეზიდენტების ერთობლივ სავაჭრო ოპერაციებთან.

სავაჭრო მარკა (trade mark) - სავაჭრო საწარმოს სახელწოდება, ნიშანი, სიმბოლო ან ემბლემა.

სავაჭრო სახლი (trade house) - სპეციალიზებული ფირმა, რომელიც ეწევა ერთი სახეობის საქონლით ან საქონლის ჯგუფით ვაჭრობას.

საკუთრება (property, ownership) - ყველაფერი ის, რასაც ფასი აქვს და ვინმეს ეკუთვნის.

სანაცია (saning, sanation) სამრეწველო, სავაჭრო, საბანკო დაწესებულებებისა და კომპანიების გაკოტრებისაგან თავის დაღწევის ღონისძიებათა კომპლექსი.

სასაზღვრო ვაჭრობა - საერთაშორისო საქონელბრუნვის სახე, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა ქვეყნების მოსაზღვრე რაიონების სავაჭრო ორგანიზაციები და ფირმები ამ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სატვირთო მანიფესტი დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია გემზე დატვირთული ტვირთის ყველა კონოსამენტური პარტიის საბუთები.

სატრანსპორტო ზედდებული - საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის ხელშეკრულება. საერთაშორისო გადაზიდვებისას ადგენენ ოთხ ეგზემპლარად. პირველი რჩება ტვირთის გამგზავნს, მეორე - ტვირთის თანმხლებია, მესამე და მეოთხე რჩება ტვირთის გადამზიდველთან.

სატრიუმო ჩანაწერი - გემის თითოეულ ნაკვეთურში (ტრიუმში) მოთავსებული საქონლის აღწერა.

საქონელი (goods, commodities) - ნებისმიერი მოძრავი ქონება, მათ შორის ვალუტა, სავალუტო ფასეულობანი, ელექტროენერგია, ენერგიის სხვა სახეები და სატრანსპორტო საშუალებანი (გარდა იმათისა, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისას - კონტეინერები, ვაგონები და სხვა).

საქონლის თანმხლები დოკუმენტი (shipping document) - საქონლის გამგზავნის მიერ ტვირთთან ერთად გაგზავნილი დოკუმენტი. ჩვეულებრივ, ახლავს ანგარიშს, რომელიც წამოიყენება გასახალდებლად. საბაჟო მიზნებისათვის, ჩვეულებრივ, ასეთებს მიეკუთვნება: ხარისხის სერტიფიკატი, სპეციფიკაცია, შეფუთვის ფურცელი (ანუ რა დევს შეფუთვაში) და კომპლექტის ზედდებული (ანუ რა შედის კომპლექტში).

საქონლის "წარმოშობის" სერტიფიკატი (certificate of origin) - სავაჭრო პალატისა თუ სხვა მსგავსი დაწესებულების მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ხსენებული საქონელი წარმოებულია ხსენებულ ადგილას.

„სეილზ-პრომოუშნ" (sales promotion) 1. საქონლის გასაღების სტიმულირება; 2. ვაჭრობის მუშაკთა სტიმულირება (პრემიები, საჩუქრები და ა.შ.).

სერტიფიკატი - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რაიმე ფაქტს; მოწმობა.

სვოპი (swap) საქონლის, სავალო ვალდებულებების, ვალუტის და სხვათა გაცვლა.

სკრინინგი - პარტნიორის კეთილსინდისიერების დაწვრილებითი შესწავლა, მისი კრედიტუნარიანობის დადგენა.

სლოგანი (slogan) - სარეკლამო ლოზუნგი, დევიზი, ფრთოსანი ფრაზა.

სპეციფიკაცია (ლათ. specificatus - განსაკუთრებული; ინგლ. specification) - 1. საქონლის თანმხლები დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია პარტიაში სატვირთო ადგილების რაოდენობა და სახეობები; 2. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დანართი; 3. ანგარიშის თანმხლები დანართი, რომელშიც ჩამოთვლილია საქონელი ხარისხის, მარკის, არტიკულის, ზომის, ფერის, მასალის და ა.შ. მიხედვით. ზოგჯერ სპეციფიკაცია იტყობინება ფასს, ხარისხს, კონტრაქტის ცალკეული პირობების შესრულების ვადებს.

სპიდბოლი - ძლიერი ნარკოტიკი.

სრულყოფილი კონკურენცია - საბაზრო სიტუაცია, როდესაც ცალკეული ფირმები ვერ ახერხებენ საკუთარ ინტერესებისათვის ზემოქმედებას საბაზრო ფასების ჩამოყალიბებაზე.

სტაგნაცია (stagnation) - ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა: კრიზისი, საქმიანობის შეფერხება და შეჩერება.

სტაგფლაცია ინფლაციის და უმუშევრობის დონეების ერთდროული ზრდა.

სტალია - გემის მოცდენის დრო, რომელიც იწყება დატვირთვა-ჩამოცლის ნორმატიული დროის გასვლის შემდეგ.

სტალიური დრო - ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დათქმული დრო გემის დატვირთვისა და გადმოტვირთვის ოპერაციების ჩასატარებლად.

სტივიდორი - 1. ფირმა, რომელიც ეწევა გემის დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს; 2. პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს და პასუხს აგებს გემბანზე ტვირთის სწორად განაწილებისათვის.

სტორნო - საბუღალტრო შეცდომის გამოსწორების ხერხი, როცა შეცდომით ჩაწერილ ოპერაციას ზემოდან წითელი მელნით უკეთებენ სწორ ჩანაწერს.

სუპერკარგო - პირი, რომელიც გემზე განაგებს ტვირთს: ღებულობს, აკონტროლებს, უვლის, გასცემს. უმეტეს შემთხვევაში ეს კაპიტნის მეორე თანაშემწეა.

სპოტი (spot) - ნაღდი და დაუყოვნებელი (2 დღეში) ანგარიშსწორება.

სააქციო კაპიტალი სააქციო საზოგადოების ძირითადი კაპიტალი, რომელიც წარმოიშვება აქციების ემისიის შედეგად. ანსხვავებენ საწესდებო, სახელმოსაწერო და საგადასახადო კაპიტალს.

სააქციო საზოგადოება საზოგადოება რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საქართველოში საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 15 ათასი ლარი, ხოლო აქციის ნომინალური ღირებულება ერთი ლარი ან მისი ჯერადი თანხა.

საბანკო ბილეთები ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული ფულადი ნიშნების სახეობა.

საბანკო დეკლარაცია რაიმეს დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი.

საბანკო კრედიტი (banking credit) - ბანკის მიერ აკუმულირებული თავისუფალი ფულადი სახსრებისა და საკუთარი კაპიტალის ნაწილის გაცემა კლიენტზე დროებითი სარგებლობისათვის.

საბანკო სესხი (bank loan) ბანკის ფულადი სახსრები, გაცემული კრედიტის სახით, პროცენტის გადახდის წესით. განასხვავებენ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხს.

საბაჟო გაფორმება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გარკვეული საბაჟო რეჟიმის ქვეშ მოთავსების და ამ რეჟიმის აღსრულების პროცედურა.

საბაჟო განბაჟება ყველა საბაჟო ფორმალობების (საქონლის დეკლარირების, საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის, გადასახდელების გადახდის, საბაჟო კონტროლის გავლის და სხვა პროცედურების) შესრულება. საბაჟო თვალსაზრისით განბაჟებული საქონელია ის საქონელი, რომელიც აღარ მოითხოვს კიდევ რაიმე საბაჟო პროცედურების გავლას.

საბაჟო კავშირი ორი ან მეტი სახელმწიფოს შეთანხმება ურთიერთსაბაჟო ბარიერების ლიკვიდაციის და მესამე ქვეყნებიდან შემოსულ საქონელზე ერთიანი საგადასახადო განაკვეთების შესახებ.

„საბაჟო ომი" - მსოფლიო ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში საბაჟო ტარიფების გამოყენება.

საბაჟო ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც თავისი ხასიათით არის სამართალდამცავი. სახელმწიფოს სახელით და მის მიერვე უფლებამოსილი. ასრულებს თავის ამოცანებს და ფუნქციებს საბაჟო სფეროში და სხვა მასთან დაკავშირებულ სფეროებში მისთვის და მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ფორმებით და მეთოდებით.

საბაჟო ორგანოების პროდუქტიულობა საბაჟო სისტემის მუშაობის შეფასება ქვეყნის ბიუჯეტში შენატანის მიხედვით.

საბაჟო საგუშაგო - საბაჟო სისტემის სახაზო ქვეგანაყოფი, საბაჟო საქმის ტექნოლოგიური ჯაჭვის საწყისი რგოლი საქონლის იმპორტირებისას და დამამთავრებელი რგოლი საქონლის ექსპორტისას.

საბაჟო სისტემა - კრებსითი მცნება, რომლის ქვეშ იგულისხმება როგორც სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა და ამ პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო და სხვა სტრუქტურები, ასევე ორგანიზაციული წყობა, კანონმდებლობა, წესები და პრაქტიკული საქმიანობა.

საბაჟო ტარიფი (customs tariff, duty rate) - საბაჟო გადასახადის განაკვეთების ნიხრი საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისათვის.

საბითუმო ფასი (whoeesale price) - საქონლის ფასი მისი დიდი პარტიებით გაყიდვისას საწარმოების, ფირმების, საბითუმო, კომერციული და საბითუმო კომპანიების მიერ.

საბიუჯეტო დაწესებულებანი არასაწარმოო სფეროს (სოციალურ-კულტურული, ხელისუფლების და სახელმწიფოს მართვის, თავდაცვის, სასამართლოს, პროკურატურის და ა.შ.) დაწესებულებანი, რომლებიც ყველა მათთვის საჭირო სახსრებს ღებულობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საბიუჯეტო დეფიციტი - ბიუჯეტის ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე. დიდი დეფიციტი ინფლაციური პროცესების განვითარების და სახელმწიფო ფინანსების კრიზისული მდგომარეობის საწინდარია.

საბონდო საწყობი კონკრეტულ საბაჟოსთან არსებული საწყობი, რომელშიც ინახება საიმპორტო საქონელი საბაჟო გადასახადების გადაუხდელად. გადასახადები გადაიხდევინება მხოლოდ მაშინ, როცა საქონელი იგზავნება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის სიღრმეში. საბონდო საწყობში საქონელი ინახება შეზღუდული ვადით, რომლის გავლის შემდეგ ეს საქონელი გაიყიდება და შემოსავალი ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

საგადასახადო კრედიტი კრედიტი, რომელიც ეძლევა მევალეს თავისი საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად მაშინ, როცა მას წარმოეშვება დროებითი საფინანსო სიძნელეები.

საგარანტიო წერილი კომერციული ბანკის წერილი, რომლითაც ის გარანტად უდგება კლიენტის ვალდებულებას.

საგარეო ვალი ეროვნული ვალის ის ნაწილი რომელიც მართებს სახელმწიფოსაგან არარეზიდენტებს.

სადაზღვევო თანხა თანხა, რომლითაც დაზღვეულია ობიექტი.

საცალო ფასი ფასი, რომლითაც ხდება საქონლის მცირე პარტიებად (საცალოდ) რეალიზაცია.

საერთაშორისო აეროპორტი აეროპორტი, რომელიც ანხორციელებს საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს და უზრუნველყოფილია საბაჟო, სასაზღვრო და სანიტარულ-საკარანტინო კონტროლით.

საერთაშორისო სამართლის იმპლემენტაცია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ეროვნულ კანონებსა და წესებში ტრანსფორმაცია.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილი - საზღვარგარეთ, საზღვარგარეთიდან ან საქართველოს ტერიტორიის გავლით, ტრანზიტად გამავალი საფოსტო გზავნილები: წერილები, საფოსტო ბარათები, ბანდეროლები, წვრილი პაკეტები, ყუთები, ტომრები. საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლებულ საერთაშორისო საფოსტო გზავნილებს ესმება სპეციალური შტამპი.

საკონსულო ლეგალიზაცია თანამდებობის პირის ხელმოწერის, მისი სტატუსის, ზოგიერთ შემთხვევაში ბეჭდის სინამდვილის დადასტურება სახელმწიფო ორგანოს რწმუნებულის (კონსულის) მიერ დოკუმენტებზე და აქტებზე, სხვა ქვეყანაში გამოყენების მიზნით. საკონსულო ლეგალიზაციის იურიდიული არსი მდგომარეობს სალეგალიზაციო დოკუმენტების, წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობასთან მათი შესატყვისობის დადასტურებაში.

საკონტრაქტო ფასი (contract price) - ყიდვა-გაყიდვის ფასები შიგა და გარე ბაზარზე, რომელსაც მხარეები აფიქსირებენ კონტრაქტში.

საკუთრება (property, ownership) - ყველაფერი, რასაც აქვს ფასი და ეკუთვნის ვინმეს.

სასაქონლო ნიშანი ორიგინალურად გაფორმებული გრაფიკული, ასოითი ან სხვა აღნიშვნა, რომელიც რეგისტრირებულია დადგენილი წესით და განკუთვნილია ერთი საწარმოს საქონლის (მომსახურების) სხვა საწარმოს მსგავსი საქონლის (მომსახურების) განსასხვავებლად.

სასაწყობო ხელწერილი საწყობის ან ექსპედიტორის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის შესანახად მიღებას. შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც გარიგების ან სესხის ინსტრუმენტი.

საქონლის მიწოდება საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა გაცვლის, უსასყიდლოდ გადაცემის, ხელფასის ნატურალური ფორმით ანაზღაურების, ყველა სხვა სახით, გადახდა ნატურით, დაგირავებული საქონლის გადაცემა გირაოს მიმღების საკუთრებაში.

ტ

ტაიმ-შიტი (time-sheet) - დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად ფიქსირდება დროის ხარჯვა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე.

ტაიმ-ჩარტერი (time-charter) - სავაჭრო ხელშეკრულება სავაჭრო გემის ან მისი ნაწილის გარკვეული ვადით იჯარით ალების შესახებ.

ტრანსაქცია (transaction) - ფულადი საშუალებების გადაგზავნის საბანკო ოპერაცია.

ტრანსფერი - იგივეა, რაც ტრანსფერტი.

ტრაქტაცია (tractate) წინადადებების შეთავაზება განსახილველად პოტენციური გამყიდველებისათვის ან მყიდველებისათვის საქონლის გაყიდვის ან ყიდვის შესახებ საკუთარი და მათი პოზიციების გამოვლენის მიზნით.

ტრეიდერი (trader) - 1. ვაჭარი; 2. საბაჟო მაკლერი; 3. სავაჭრო გემი.

ტენდერი საქონლის მიწოდების ან რაიმე სამუშაოთა საწარმოებლად იჯარის შეკვეთის გავრცელება იმ შესაძლო გამყიდველებზე ან შემსრულებლებზე, რომლებიც შესთავაზებენ დამკვეთს უკეთეს და უფრო ხელსაყრელ პირობებს (ფასი, ხარისხი, მიწოდების ვადები და ა.შ.).

ტვირთი საბაჟო თვალსაზრისით გადატანის (გადაადგილების) პროცესში მყოფი საქონელი.

ტონა (მოკლე) 907, 1848 კგ.

უ

უბაჟო შემოტანა (duty free importation, imports in bond) - ფასიანი საგნების შემოტანა საბაჟო გადასახდელებისა და მოსაკრებლების გადაუხდელად. იმ საბაჟო რეჟიმებისაგან განსხვავებით, რომელთა დროსაც არ ხდება გადასახადების გადახდა, უბაჟო შემოტანა უპირობოა (არ ითვალისწინებს შემოტანილის გატანის პირობას) და ხორციელდება მოქალაქეთა პირადი ნივთების, საჩუქრების და სხვა საქონლის მიმართ.

საქონელი შეიძლება შემოიტანებოდეს ერთობლივი საწარმოებისათვის, ჰუმანიტარული მიზნებით, უცხოური დიპლომატიური და საერთაშორისო დაწესებულებებისათვის.

უზურფრუქტი - ნივთისა და უფლების მეორე პირისათვის ისეთი გადაცემა, როცა მეორე პირი უფლებამოსილია, ისევე როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი ან უფლება და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მათი სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით მას არ აქვს ამ ნივთების გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. უზურფრუქტის დამთავრების შემდეგ ის ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი თუ უფლება მესაკუთრეს.

ულტიმო (ultimo) - გარიგებით დათქმული პერიოდის (თვის, კვარტლის, წლის) უკანასკნელი დღე, რომელსაც როგორც წესი, მოსდევს გარიგებით გათვალისწინებული სხვა ქმედებები.

უნალდო ანგარიში - სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სუბიექტებს შორის ფულადი ანგარიშსწორება გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან კრედიტორის ანგარიშზე მის ბანკში თანხის ჩარიცხვის ან მოთხოვნათა ურთიერთჩათვლის გზით.

უორანტი - დოკუმენტი საწყობში შესანახად საქონლის მიღების შესახებ წონის, ადგილების, ხარისხისა და რაოდენობის მაჩვენებლებით.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (most favoured nation treatment) - რეჟიმის მომცემი ქვეყნის პირობა, რომ იმ ქვეყნის იმპორტირებული საქონლის და ინვესტიციების მიმართ, რომელსაც ანიჭებს ამ რეჟიმს არ გაატარებს ნაკლებ შეღავათებს და მათ არ ექნებათ ნაკლები საგადასახადო, განაკვეთების ან სხვა სახის შეღავათები, ვიდრე რომელიმე მესამე ქვეყანას.

უნცია 28, 349527 გრამი.

უპატრონო ნივთი საბაჟო საქმეში უპატრონოდ ითვლება მოძრავი ნივთი, რომელსაც მასზე უარის თქმის მიზნით მიატოვებს უწინდელი მესაკუთრე.

ფ

ფაკ - მითითება კონტრაქტში საქონლის ხარისხის თაობაზე.

ფასდაკლება „სკონტო" (allowance for cash) - ფასდაკლება ნაღდი ფულით ან ვადაზე ადრე გადახდისათვის. შეიძლება იყოს შეთანხმებული ფასის 3-5%-ით.

ფასი „ვარდნილი ლიდერი" - საცალო ვაჭრობაში რეკლამის მიზნით მცვეთრად ამცირებენ ერთ-ერთი კარგად ცნობილი საქონლის ფასს და ამით მიიზიდავენ მყიდველებს სხვა საქონლის საყიდლადაც.

ფასი ნეტო - ფასი წარმოების ადგილას; ფასი - ფრანკო-ქარხანა.

ფაქსიმილე - ბეჭდის სახით შესრულებული ხელმოწერა; ხელმოწერის ნიმუში.

ფაქტურა (invoice) - გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი ანგარიში, რომელიც ადასტურებს საქონლის ან მომსახურების ფაქტობრივ მიწოდებას და ღირებულებას.

ფაქტურული ღირებულება - ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი საქონლის ფასი ხელშეკრულების პირობით.

ფელდეგერი - საიდუმლო ფოსტის დამტარებელი.

ფიზიკური პირი (ლათ. person, ინგლ. natural person) - სამოქალაქო სამართალუნარისა და ვალდებულებების მატარებელი სუბიექტი, საქართველოს მოქალაქე, უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

ფისკალური პოლიტიკა - საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა.

ფისკი - ძველ რომში - სახელმწიფო ხაზინა. აქედან მოდის გამოთქმა "ფისკალური (საგადასახადო) სამსახური".

ფიქსინგი - ფასის დაფიქსირება ბირჟაზე.

ფორმანი - უფროსი მტვირთავი უცხოურ ნავსადგურებში, პასუხისმგებელია დატვირთვის სისწორეზე.

ფორს-მაჟორი (force major) - განსაკუთრებული და აუცილებელი მოვლენები.

ფრანკირება საქონლის ფასში ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების, შენახვის და დაზღვევის ხარჯების შეტანა.

ფრახტი (freight) - 1. გემების გარკვეული დროით გამოყენება საფასურით. 2. გადასატანი ტვირთი ან თვით გადაზიდვის პროცესი.

ფაქტურა (invoice) გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი ანგარიში, რომელიც ადასტურებს საქონლის ან მომსახურების ფაქტიურ მიწოდებას და ღირებულებას.

ფირმა საბაჟო თვალსაზრისით საერთაშორისო სავაჭრო გარიგების მხარე, კონტრაგენტი, რომელიც ეწევა კომერციულ საქმიანობას.

ფონდი ფულის ან ინვესტიციების გარკვეული მიზნით აკუმულირებული რეზერვი.

ფუნტი 453,5924 გრამი.

ფუტი 0,3048 მეტრი.

შ

შტივკა გემში ჩატვირთული საქონლის გარკვეული წესით დალაგება, შტაბელირება, ზოგ შემთხვევაში სეპარირება (განცალკევება, შემოკავება, შემოლობვა).

შტრიხ-კოდი (bar code) საქონლის იდენტიფიკაციის ავტომატური სისტემის (ბგერითი, ციფრობრივი, მაგნიტური, რადიორყევითი და ვიზუალური იდენტიფიკაციის საშუალებების პარალელურად) ერთერთი საშუალება, რომელიც წარმოადგენს მანქანური წესით დატანებულ და წაკითხვად შტრიხულ სიმბოლოს.

შტურმანის წერილი ტვირთის მიღების დამადასტურებელი გემის ადმინისტრაციის მიერ გაცემული დოკუმენტი.

შეფუთვა მატერიალური გარსი, რომელშიც ათავსებენ საქონელს და რომლის დანიშნულებაა საქონლის დაცვა დაზიანებისაგან ტრანსპორტირების, შტაბელირების და დატვირთვა-გადმოტვირთვისას. დამატებით ასრულებს საინფორმაციო და სარეკლამო ფუნქციებს.

შიგა ვალი ეროვნული ვალის ნაწილი, რომელიც მართებს სახელმწიფოს რეზიდენტებისადმი.

ჩ

ჩარტერი (charter) - ხელშეკრულება, როდესაც ერთი მხარე (გამქირავებელი) განსაზღვრულ საფასურად გადასცემს მეორე მხარეს (დამქირავებელს) ერთი ან რამდენიმე საჰაერო ხომალდის მთლიან ტევადობას ან მის ნაწილს ერთი ან რამდენიმე რეისით მგზავრების გადაყვანის, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვისათვის ან სხვა მიზნისათვის.

ც

ცედენტი (cedent) - კრედიტორი, რომელიც თავისი მოთხოვნის უფლებას უთმობს სხვა პირებს.

„ცხელი ფული“ (hot money) - ფულადი კაპიტალის გადატანა ქვეყნიდან ქვეყანაში მისი მსყიდველობითი უნარის შენარჩუნების და სპეკულაციური ზემოგების მისაღწევად.

ძ

„ძალლური საქონელი“ (dogs) - პერსპექტიული საქონელი, რომელზეც მოდის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ძირითადი საშუალებანი - „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მიხედვით, ამორტიზაციას დაქვემდებარებული ერთ წელზე მეტი ხნის სამსახურის ვადის მქონე მატერიალური აქტივები.

წ

წარმოების ფაქტორები (factors of production) - წარმოების რესურსები: იდეა, ტექნოლოგია, შრომა, კაპიტალი, მატერიალური რესურსები, გასაღების ბაზარი.

ნიგნაკები TIR (საერთაშორისო გადაზიდვები) და T-ფორმულარი - ფორმები, რომლებიც ავტომანქანებს და ტვირთებს უფლებას აძლევენ გადაკვეთონ საზღვარი და ტრანზიტად გაიარონ ქვეყნის ტერიტორიაზე სრული შემოწმების გარეშე (ლუქის გაუხსნელად). მათი საშუალებით ფიქსირდება ტრანზიტის ბოლომდე შესრულება. განსაკუთრებით გამოიყენება ევროგაერთიანების ქვეყანაში.

წმინდა მოგება (net economic profit) - სხვაობა ერთობლივ შემოსავლებსა და აშკარა და ფარულ ხარჯებს შორის.

წმინდა (სუფთა) ინკასო (net encashment) - საფინანსო დოკუმენტების ინკასო, რომელსაც არ ახლავს კომერციული დოკუმენტები.

წონასწორობის ფასი (equilibrium price) - წარმოების და რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობის, მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობის გამომხატველი ფასი.

ჭ

ჭარბწარმოება (overproduction) - ეკონომიკური სიტუაცია, როცა იწარმოება იმაზე მეტი საქონელი, ვიდრე მასზე მოთხოვნაა ბაზარზე.

ხ

ხაზინა - ფინანსთა სამინისტროსთან სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ორგანო, რომელიც მეთვალყურეობს ბიუჯეტის საკასო ალსრულებას, აგროვებს გადასახადებს, სახელმწიფო სესხის შემოსავალს, სხვა სახელმწიფო შემოსავალს და გასცემს მას.

ხარისხი „ტელ-კელ" - ხარისხის დასახელება, რომელიც თავის თავში ატარებს ხარისხის მაჩვენებელს დამატებითი დაზუსტების გარეშე. თარგმანში „როგორიც არის, ისეთია". მეტწილად გამოიყენება იაფი მეორადი საქონლის მიმართ.

ხარისხის სერტიფიკატი (guality certificate) - საქონლის თანმხლები დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის ხარისხის შესაბამისობას

ტექნიკურ მახასიათებლებთან, სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებთან, გარემოს დაცვის წესებთან და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობებთან. ჩვეულებრივ, სერტიფიკატს იძლევა საქონლის მწარმოებელი ან ექსპორტიორი. მყიდველის მოთხოვნით სერტიფიკატი შეიძლება გაიცეს მესამე, ნეიტრალური მხარის მიერ. ადგენენ რამდენიმე ეგზემპლარად. ჩვეულებრივ, ერთი ახლავს ტვირთს, მეორე - საანგარიშსწორებო დოკუმენტებს.

ხელშეკრულება (agreement, contract) - შეთანხმება ურთიერთვალდებულებების შესახებ. ჩვეულებრივ, წერილობითია, ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა მხარის ხელმოწერით.

ხეჯირება (hedging) - ფასისა და მოგების დაზღვევის ფორმა, ფიუჩერსული (ვადიანი) ყიდვა-გაყიდვის გარიგებისათვის საქონელზე და ფასიან ქაღალდებზე, როცა მყიდველი (გამყიდველი) ერთდროულად ყიდულობს (ყიდის) შესაბამისი რაოდენობის ფიუჩერულ კონტრაქტს.

ჯ

ჯობერი (jobber) - 1. ფირმა, რომელიც შეისყიდის საქონლის მსხვილ პარტიებს შემდგომში გაყიდვის მიზნით. 2. ლონდონის საფონდო ბირჟის დილერი.

ჰ

ჰაირინგი (hiring) მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ა.შ. საშუალოვადიანი იჯარა (ლიზინგი).

ჰოლდინგი (holding) - სხვა კანპანიების აქციების საკონტროლო პაკეტების მფლობელობა. ჰოლდინგური კომპანიების მიზანია სხვა კომპანიებისა და ფირმების საკონტროლო პაკეტის შეძენით განახორციელონ მათ მიმართ საკოორდინაციო, მაკონტროლებელი, მმართველობითი, საფინანსო-საკრედიტო და სხვა ფუნქციები.

აბრევიატურები და შეკვეცები

A - გემის მაქსიმალური დატვირთვის ხაზი მტკნარი წყლებისათვის
AAA - საუკეთესო, უმაღლესი კლასის
A/C - მიმდინარე ანგარიში, საგადასახადო ბალანსი
acc ანგარიში, აკცეპტი
acct ბუღალტერი, აუდიტორი
ACE - ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა
ADB - აზიის განვითარების ბანკი
adm - სამმართველო, ადმინისტრატორი
ADP - ინფორმაციის ავტომატური დამუშავება
Adv - კრედიტორი, საავანსო გადახდა
Ag - აგენტი
Agcy - სააგენტო
a.m. შუადღემდე
amt - თანხა, ჯამი
a/oz - და/ან
A.R. წლიური ანგარიში
Arb - არბიტრაჟი
AV - საშუალო რიცხვი
a.w. ფაქტიური წონა
B ტომარა, შეკვრა
BAT - სავაჭრო ბალანსი
bbl, bl - კასრი
B.C. - ნაყარი ან თხევადი ტვირთი
B.N. ბანკნოტი
B.O - ფირმის განყოფილება
BOP - საგადასახადო ბალანსი
B.S - კომპანიის ბალანსი
C ცენტი, ვალუტა
C.B - სალაროს წიგნი
CC - სავაჭრო პალატა
CE - ევროსაბჭო

CFA - სერტიფიკატი
CH - საბაჟოს შენობა
Cont - კონტრაქტი
Corp - კორპორაცია
C.P - გადახდილია
Cp - შეადარეთ
Cr - კრედიტორი
Crs - ავტომობილი
C.T - სატელეგრაფო გადარიცხვა
C' vr - დამალვა
DA - სადეპოზიტო ანგარიში
D/A - დოკუმენტი თან ერთვის
DAC - ნაღდი ანგარიშსწორება მიწოდებისას
dbe - ორმაგი, დუბლირებული
DE - ორმაგი ჩანაწერი (საბუღალტრო აღრიცხვისას)
Dep - დეპარტამენტი
d.f - მკვდარი ფრახტი
dis - დათმობა
Disk - დისკონტი
Div - დივიდენდი
do - დოლარი
D/P - დოკუმენტი გადახდის საპირისპიროდ
d/s - წარმოდგენიდან დღის შემდეგ
d.w ან D/W - დუდვეიტი, გემის ტვირთამწეობა
dz - დუჟინა
Dy - მიწოდება
EAN - შტრიხ-კოდის სისტემა
EC - ევროჩეკი
ECU - ეკიუ
EDi - კომერციული ინფორმაციის მიღების და გაგზავნის კომპიუტერული ელექტრონული სისტემა
E.D.P.- მონაცემების ელექტრონული დამუშავება
EDSP - საანგარიშსწორებო ფასი

E.E - შეცდომების გამოკლებით (გარეშე, უშეცდომოდ)
EFTA - გაცვლა ფიზიკურ საქონელზე (აღებ-მიცემობა)
e.g. მაგალითად
EM - ელექტრონული ფოსტა
emb - აკრძალვა, ემბარგო
EMS - ევროპის სავალუტო სისტემა
encl - დანართი
etc - ასე შემდეგ
exc - გარდა, გარეშე
Exch - გაცვლა; ვალუტა; სავალუტო კურსი, ბირჟა
exdiv - დივიდენდის გარეშე
exps - ხარჯები
f - ფუტი
F.C.V - კონტრაქტის სრული ღირებულება
fgt, frgt - ტვირთი
FiFO - საბუღალტრო აღრიცხვა საქონლის პირველი ფასით
Fin - საფინანსო
FiO - დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს იხდის გამგზავნი
fio - გვარი, სახელი, მამის სახელი
FOT -გადასახადის გამოკლებით
FP - ფიქსირებული ფასი
FX - დევიზები; უცხოური ვალუტა
Fy - საფინანსო წელი
GE,GEO - საქართველი
GEL - ქართული ლარი
GM - მთავარი მმართველი
G.0.B. - ჩვეულებრივი კომერციული ხარისხი
G.R.T. - ბრუტო სარეგისტრო ტონები
d.w. - ბრუტო წონა
H - მაქსიმალური ფასი
C - ასი
HHG - სამეურნეო საქონელი
H.P. - შესყიდვა განვადებით

H.O. - მთავარი ოფისი, შტაბ-ბინა
I - კაპიტალდაბანდება
i.e. - ესეიგი (ეი.)
I/L - საიმპორტო ლიცენზია
IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი
inc - ჩათვლით
ins - დაზღვევა
inst - მიმდინარე თვის
int - პროცენტი
inv - ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი)
iRG - საპროცენტო განაკვეთის გარანტი
IT - საშემოსავლო გადასახადი
jA - ერთობლივი ანგარიში
L - კანონი
L/A - მინდობილობა
L.a. - ავიზო
L.C. ან L/C - აკრედიტივი
L.C.L. - ტვირთის წვრილი პარტია
L.D.- გირავნობის ხელწერილი
LD - შეზღუდული პასუხისმგებლობა
LiP - სიცოცხლის დაზღვევის პოლისი
LOi - საგარანტიო წერილი
LOS - საზღვაო სამართალი
L.S. - ბეჭდის ადგილი
Ltd - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
M - ფული („მანი")
moy - ჟურნალი, დავთარი
mart - ბაზარი
med - საშუალო
mfd - დამზადებულია
mo - ყოველთვიურად
M.O. - ფულადი გზავნილი
Mort - იპოთეკა

M/P - საფოსტო ფულადი გადარიცხვა
M.S. - თბომავალი გემი
N - ნომერი; ნეტო; სუფთა
N.A. - არ არის (საქონელი საწყობში)
NAY - სუფთა აქტივების ღირებულება
N.B. შენიშვნა, მინიშნება
n/e - არა უმეტეს
NiT - უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი
n/m - ნიშანდების (მარკირების) გარეშე
NOL - კომპანიის სუფთა ოპერატიული წაგება
nom - ნომინალური; ნომეკლატურა
N/S - საწყობს არ გააჩნია
N.V. - ნომინალური ღირებულება
O - წარმოშობა; დაკვეთა
O/A - კრედიტის პირობით; კრედიტი ღია ანგარიშზე
O.C. - საქმეებში დატოვებული ასლი
O/D - ოვერდრაფტი
of - ოფიციალური
o/n - ზედნადები ხარჯები
O.K. ყველაფერი წესრიგშია („ოკეი!")
O/o - ბრძანებით, განკარგულებით
OR - პატრონის რისკით
Ord - ჩვეულებრივი აქცია
O.S. გემის მაქსიმალური დატვირთვის ხაზი ზღვის წყლებისათვის ზაფხულობით; გადაუხდელი; ვადაგასული
OT - ადრე შეთანხმებისამებრ
P - ოფციონი „პუტ"
P/A - კერძო ანგარიში
per an - ყოველწლიურად
pkg - ადგილი (ტვირთის ცალობრივი რაოდენობა)
PM - პრემია
P/N უბრალო თამასუქი
P.O.B. საფოსტო ყუთი (წარმოების, ორგანიზაციის)

P.O.C. - შესვლის ნავსადგური
PS - პირადი მდივანი
PSi - შემოწმება, დატვირთვამდე ინსპექცია
Prem - პრემია
Ptr bank - კერძო ბანკი
PTO - იხილეთ უკანა გვერდზე
Pty - შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია
P.W. - ბრუტო წონა
Q - რაოდენობა; კვარტალი; კვინტალი
QP - ხარისხიანი (ჯანსაღი) პროდუქტები
Quat - კოტირება
QwQ - ხარისხი და რაოდენობა
R - რკინიგზა, სარკინიგზო
RE - უძრავი ქონება
Red - კრედიტის გადახდა (დაფარვა)
Regd - რეგისტრირებული
ROS - გაყიდვის შემოსავლიანობა
R.M.D. - დაუყოვნებლივი ნაღდი (ხელზე) ანგარიშსწორება
Rp - პასუხი გადახდილია
S - სერია; გემი; სამხრეთი; ქუჩა
SB - შემნახველი ბანკი
SE - საფონდო ბირჟა
SN - ფასიანი ქაღალდის ნომერი
S.N. - ორდერი დატვირთვაზე
SO - გამყიდველის ოფციონი
T - გემზე დატვირთვის ხაზი თბილი წყლებისათვის; ტარა; გადარიცხვა
TC - საგზაო (ტურისტული) ჩეკი
TD, T/D - ვადიანი დეპოზიტი, ვადიანი ანაბარი
TF - გემის მაქსიმალური დატვირთვის ხაზი მტკნარი ტროპიკული წყლებისათვის
TiR - საერთაშორისო გადამზიდავის წიგნაკი
T.L. - სრული დაღუპვის შემთხვევაში

T.M. - სავაჭრო ნიშანი
T.M.O. -ფულის გადარიცხვა ტელეგრაფით
T.O. - ბრუნვა
T/R - შენახვის ხელწერილი
Tree - მეურვე
Tsy - სახელმწიფო ხაზინა
TT - სატელეგრაფო ფულადი გადარიცხვა (გადაგზავნა)
T.V. - ტანკერი
T.W. - საერთო წონა
Tx - გადასახადი
V - გემი; მოცულობა; ტომი
V/A - ხელწერილი თან ერთვის
VAT - დამატებული ღირებულების გადასახადი დღგ
val - ღირებულება; ფასეულობა
VC - ძვირფასი ტვირთი
ViZ - კერძოდ
vol - მოცულობა
Voy - რეისი
V.P. - ვიცე-პრეზიდენტი
VS - წინააღმდეგ
W - დასავლეთი; დასავლური
w - წონა
W.B. -სატრანსპორტო ზედდებული
W/B -სატრანსპორტო ზედდებული
wh - ნავმისადგომი
whs - სასაქონლო საწყობი
wkly - ყოველკვირეულად
WNA -გემის მაქსიმალური დატვირთვის ზღვარის ხაზი ჩრდილოეთ ატლანტიკაში ზამთარში
W.R. - საწყობის ხელწერილი
WT - ვარიანტი
Y ნელი

რუსული აბრევიატურები

ВВП- ერთობლივი შიდა პროდუქტი
ВНП - ერთობლივი ნაციონალური პროდუქტი
ВЭД - საგარეო ეკონომიკური საქმიანობა
ГТД - სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია
ГТК РФ -რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი
ЕС - ევროკავშირი
МВФ - საერთაშორისო სავალუტო ფონდი
НДС- დამატებული ღირებულების გადასახადი
НТП საბაჟო წესების დარღვევა
СКВ - თავისუფლად კონვენტირებადი ვალუტა
СЭЗ - თავისუფალი ეკონომიკური ზონა
ТК საბაჟო კონტროლი
ТН ВЭД -საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურა
ТСТК - საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებანი
ТО- საბაჟო გაფორმება

ძარითული აბრევიატურები

აშშ ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გფრ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
დსთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
დღგ დამატებული ღირებულების გადასახადი
ეგმ ელექტრონული გამომთვლელი მანქანა
თეზი - თავისუფალი ეკონომიკური ზონა
კბ კომერციული ბანკი
კს კომანდიტური საზოგადოება
რკ რეგისტრირებული კოოპერატივი
სკ საბაჟო კონტროლი

სო	სერთიფიკაციის ორგანო
სპს	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სს	სააქციო. საზოგადოება
სსდ	სატვირთო საბაჟო დეკლარაცია
სსკ	საქართველოს საბაჟო კოდექსი
სსსკ.	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სარჩევი

შესავალი 3

თავი I. თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი და ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება 7

1. ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებანი 7
2. საგარეო ვაჭრობის საბაჟო რეგულირება ევროკავშირის ქვეყნებში 11
3. საბაჟო რეგულირება ამერიკის შეერთებულ შტატებში 20

თავი II. ვაჭრობის საერთაშორისო სისტემა 28

1. საერთაშორისო ვაჭრობის გაეროს პრინციპები 28
2. გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 31
3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - WTO..... 36

თავი III. საბაჟო ორგანოების ორგანიზაცია და მართვა 47

1. საბაჟო საქმის ორგანიზაცია 47
2. საბაჟო ორგანოების მართვა 49
3. საბაჟო ორგანოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები 59
4. საბაჟო ორგანოების მართვის ფსიქოლოგიური ასპექტები 64
5. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი 72
6. საქართველოს საბაჟო ორგანოები 78

7. საქართველოს საბაჟო ორგანოების თანამშრომლები.....90
თავი IV. საბაჟო ინფრასტრუქტურა 108
1. სასაწყობო ინფრასტრუქტურა 108
2. საბაჟო ბროკერი 114
3. საბაჟო გადამზიდველი 116
თავი V. საბაჟო რეჟიმები 122
1. საბაჟო რეჟიმების არსი 122
2. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება 126
3. საქონლის რეიმპორტი 131
4. საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტი 133
5. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა 136
6. უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმი 139
7. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე 142
8. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ 147
9. საქონლის დროებითი შემოტანა და/ან გატანა 149
10. თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება 153
11. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ 156
12. საქონლის ექსპორტი 157
13. საქონლის რეექსპორტი 162
14. საქონლის განადგურება 165

15. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა 168

თავი VI. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საბაჟო-სატარიფო რეგულირება 171

1. საბაჟო ტარიფი 171

2. საქართველოს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის შეთანაწყობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან 175

3. ბმული ტარიფების ფორმირების პრინციპები 177

4. სხვა საბაჟო გადასახდელები 185

5. ზოგიერთი საქონლის საბაჟო დაბეგვრის სპეციფიური ფორმები 204

თავი VII. ექსპორტ-იმპორტის არასატარიფო რეგულირება 211

1. არასატარიფო შეზღუდვების არსი 211

2. საქონლის ექსპორტის, იმპორტის და რეექსპორტის ლიცენზირების წესი 212

3. საქონლის საექსპორტო კვოტები 216

4. ხე-ტყის ნედლეულის და ლითონმჭრელი ჩარხების საქართველოდან ექსპორტის თავისებურებანი 217

5. სამხედრო დანიშნულების საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი 218

6. საქონლის სერტიფიკაცია 220

6.1. სერტიფიკაციის არსი 220

6.2. უცხოური კანონმდებლობა სერტიფიკაციის თაობაზე 224

6.3. სერტიფიკაციის საიდენტიფიკაციო ნიშნები 227
6.4. საქონლის შტრიხული კოდირება 233
6.5. სავალდებულო სერტიფიკაცია საქართველოში 235
თავი VIII. საბაჟო კონტროლი და გაფორმება 237
1. საბაჟო კონტროლის ფორმები და მეთოდები 237
2. საბაჟო კონტროლის განხორციელების ეტაპები 240
3. დოკუმენტური კონტროლი 249
4. საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები 263
5. ინვენტარიზაცია და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება 273
6. სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის საბაჟო კონტროლის თავისებურებანი 277
თავი IX. საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებები და საბაჟო ექსპერტიზა 284
1. საბაჟო ტექნიკა 284
2. საბაჟო კონტროლის ტექნიკურ საშუალებათა კლასიფიკაცია 290
3. ექსპერტიზა: არსი და კლასიფიკაცია 299
4. საბაჟო ექსპერტიზა 302
თავი X. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა 309
1. სასაქონლო ნომენკლატურის არსი 309
2. სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემა 315
3. სასაქონლო ნომენკლატურის ინტერპრეტაციის წესები ...329

თავი XI. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა 341
1. საბაჟო ღირებულების არსი 341
2. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა შემოსატან საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით 343
3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტურ საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით 344
4. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ერთგვაროვან საქონელზე გარიგების ფასის მეშვეობით 345
5. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ღირებულების გამორიცხვის მეთოდით 346
6. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ღირებულების დარიცხვის მეთოდით 347
7. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდით 348
თავი XII. მიწოდების პირობები ("ინკოტერმს-90") 349
1. "ინკოტერმს-90" 349
2. მიწოდების ცალკეული პირობები 352
2.1. EXW ფრანკო-ქარხანა (მითითებულ ადგილას) ... 352
2.2. FCA ფრანკო-გადამზიდველი (მეფრახტე) (დანიშნულების ადგილი) 353
2.3. FAS ფრანკო-გემბანის გასწვრივ ნაპირზე (დატვირთვის მითითებულ ნავსადგურში) 354
2.4. FOB ფრანკო-გემბანზე (დატვრითვის მითითებულ ნავსადგურში) 355

2.5. CFR ღირებულება და ფრახტი (დანიშნულების ნავსადგური) 355
2.6. CIF ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი (დანიშნულების ნავსადგური) 356
2.7. CPT ფრახტი (გადაზიდვა) გადახდილია (მითითებულ დანიშნულების ადგილამდე) 357
2.8. CIP ფრახტი (გადაზიდვა) და დაზღვევა გადახდილია (მითითებულ დანიშნულების ადგილამდე) 358
2.9. DAF მიწოდება საზღვრამდე (დანიშნულების ადგილას) 358
2.10. DES მიწოდება გემიდან (გემბანიდან) (მითითებულ დანიშნულების ნავსადგურში) 359
2.11.. DEQ მიწოდება ნავმისადგომიდან (საბაჟო გადასახდელების გადახდით) (მითითებულ დანიშნულების ნავსადგურში) 359
2.12. DDU მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადაუხდელად (მითითებულ დანიშნულების ადგილას) 360
2.13. DDP მიწოდება საბაჟო გადასახდელების გადახდით (დანიშნულების მითითებულ ადგილას) 361
3. "ინკოტერმს"-ის პირობები და საბაჟო პროცედურები.... 362
თავი XIII. საბაჟო დეკლარირება 366
1. საბაჟო დეკლარირების არსი 366
2. საბაჟო საზღვარზე საქონლის გატარების წესი 372
3. ქონების გატარების წესი 374

4. საქონლის და ქონების დეკლარირების წესი 375
5. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსების საერთო დებულებანი 377
6. საქართველოდან გასატან საქონელზე დეკლარაციის შევსების წესი 379
7. საბაჟოს მიერ შესავსები გრაფების შევსების წესი 393
8. საქართველოში შემოსატან საქონელზე დეკლარაციის შევსების წესი 396
9. დეკლარაციის შევსების წესი საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული საქონლის გატარებისას .. 401
10. დანარჩენი საბაჟო რეჟიმებისათვის დეკლარაციის შევსების თავისებურებანი 402
11. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული ფორმა (ფორმა №2) 455
12. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია 462

თავი XIV. საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობა.. 464

1. საბაჟოს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობის არსი და ფორმები 464
2. საბაჟო წესების დარღვევების არსი და საქმის წარმოების პრინციპები 468
3. საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმები 480
4. საბაჟო ორგანოების სამართალდამცავი საქმიანობის სისხლისსამართლებრივი ფორმები 499

თავი XV. საბაჟო აღრიცხვა 513
1. ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვის ორგანიზება 513
2. საგარეო ვაჭრობის ნატურალური (რაოდენობრივი) და ღირებულებითი სტატისტიკა 516
3. სპეციალური საბაჟო სტატისტიკა 518
4. ბუღალტრული აღრიცხვა საბაჟო ორგანოებში 519
თავი XVI. ინფორმირება და კონსულტირება 523
ძირითადი საბაჟო ტერმინების გლოსარიუმი 527

გამომცემელი:

საგამომცემლო სახლი „ბიზნეს-კურიერი"

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია

ლიტერატურული რედაქტორი: ზურაბ ლავრელაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ეკა აბზიანიძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: ანი ჯალაღონია

კორექტორები: ქეთინო წახნაძე

ნონა ჯღარკავა

ვალერი ჩიხლაძე

ფასი სახელშეკრულებო

აიწყო და დაკაბადონდა საგამომცემლო სახლი

„ბიზნეს-კურიერის"

კომპიუტერულ ცენტრში